დიმიტრი ლობჟანიძე

ქართველები ქლუხორში

დოკუმენტურ-მხატვრული
ნოველები

„მერანი"
2005

...ამასობაში მესამე წლის გაზაფხული დადგა. ორად გაყოფილ მსოფლიოს ურთიერთ დაპირისპირებულ, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმულ მხარეებს არნახული გულმოდგინებით აქეზებდა ომის სასტიკი ღმერთი. სანაცვლოდ, გულუხვად იმკიდა მისთვის ჩვეულ სისხლიან მოსავალს და არავინ უწყოდა, ბოლოს ვის დარჩებოდა „ძლევაი საკვირველი“.

სწორედ იმჟამად, ბრძოლის ველიდან არც ისე შორს, რუსეთის უკიდეგანო ტრამალებში თავაწყვეტილი მიჰქროდა მატარებელი, რომელსაც, ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა ნებით, რაჭა-სვანეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი კავკასიონის ქედს გადაღმა მიჰყავდა ჩასასახლებლად.

მამა-პაპის სამკვიდროდან აყრილთაგან არავინ იცნობდა იმ ადგილებს, სადაც მომავალში უნდა ეცხოვრათ. მხოლოდ ყურმოკვრით სმენოდათ, რომ თურმე ოდესღაც, შორეულ წარსულში ის მხარე ქართველი ტომების სამკვიდრო ყოფილა და იქ, იმ მხარეში, როგორც პირიქითა საქართველოში და ყოფილ დედულ-მამულში, ისე მიემგზავრებოდნენ მატარებლის თავაწყვეტილ სრბოლას მინდობილები. მათგან არავინ იცოდა მაშინ, რა ელოდათ იქ და რამდენიმე წლის შემდეგ, რით დამთავრდებოდა ეს ბუნდოვანი და საეჭვო გამგზავრება.

დანარჩენს უფრო დაწვრილებით თვითონ წიგნი მოგითხრობთ...

ავტორი ყოფილ ქლუხორის რაიონში ნაცსოვრები ათიათასობით ქართველის სახელით, რომელთა სამშობლოს ჯარეთ ცხოერების ცამეტწლიანი ისტორიაა ამ წიგნში მოთხრობილი, ჯელითად მადლობას უხდის ცნობილ ქართველ ბიზნესმენსა და ქველმოქმედს, ბატონ თორნიკე კოპალეიშვილს წიგნის გამოცემის ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

რედაქტორი ომარ შურღაია
მხატვარი-დიზაინერი ელენე ვარამაშვილი

დიმიტრი ლობჟანიძე. ქართვლები ქლუხორში.
© „მერანი“. პირველი გამოცემა. თბილისი. 2005, 480 გვ.

უაკ(UDC) 894-631-4
ლ765
ISBN 99940-0-460-3

სიცოცხლის ხის ფოთლები

მწერალსა და პუბლიცისტს, დიმიტრი ლობჟანიძეს არ სჭირდება მკითხველისადმი ჩემი წარდგენა. მისმა საყმაწვილო მოთხრობების წიგნებმა „მერცხალა", „თამარის საფლავის საიდუმლო", „გასროლა ნაკრძალში". პიესებმა „ზვიადა". „თქმულება ივანე ქვაცხელზე", ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულმა მოთხრობებმა და პუბლიცისტურმა წერილებმა დიდი ხანია, ჩვენი საზოგადოების ყურადღება მიიპყრო. მწერლის კალამი მუდამ თავის სამშობლოს, ადგილის დედას დასტრიალებს, მისი ფიქრები თუ განცდები, ტკივილი თუ სიხარული, ლეგენდები თუ ნამდვილი ამბები ძუძუნაწოვია ყრმობისდროინდელი შთაბეჭდილებებით და ხორცშესხმულია ცხოვრებაგამობრძმედილი ადამიანის განსჯით.

დიმიტრი ლობჟანიძის ახალი, დოკუმენტურ-მხატვრული ნოველების წიგნიც „ქართველები ქლუხორში" უხვად საზრდოობს ყრმობისდროინდელი შთაბეჭდილებებით. იგი სინათლით, სიკეთითა და უკეთესი მერმისის იმედით გასხივოსნებული ერთი გრძელი, ნაღველშეფერილი მოთხრობაა დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებში ქლუხორში ჩასახლებული თავისი მშობლების, ახლობელ-ნათესავების, მეგობრების, მოკეთეების, უბრალოდ, თანასოფლელების, უჩინო თუ ჩინიანი ადამიანების ცხოვრებაზე, რომელიც ქართველთა დიდი და მრავალსაუკუნოვანი, ისტორიული ქარტეხილებითა და კატაკლიზმებით აღსავსე თავგადასავლის მხოლოდ ერთ, შესაშური სიცხადით, სიზუსტითა და სისრულით გაცოცხლებულ, გაუხუნარ ფურცლად წარმოგვესახება.

სწორედ ისტორიელი ქარტეხილებისა და კატაკლიზმების შედეგად აღმოჩდნენ თავიანთი მიწა-წყლიდან აყრილი ქართველები ქლუხორში (კლუხორი), როგორც 1957 წლამდე სტავროპოლის მხარის ქალაქ კარაჩაევსკს (ყარაჩაევსკს) ერქვა. აფხაზეთის კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე მდებარეობს ქლუხორის უღელტეხილი (2781 მ.), რომელიც მდ. კოდორის ხეობას მდ. თებერდის ხეობასთან აკავშირებს. ამ უღელტეხილზე გადადის სოხუმის ცნობილი სამხედრო გზატკეცილი.

მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც გერმანელმა ფაშისტებმა ი. ბ. სტალინის თავგანწირვის შედეგად მოსკოვი ვერ აიღეს და „თიხის ფეხებიანი გიგანტი საბჭოთა კავშირი" ვერ გაანადგურეს, მთელი ძალებით შეტევა სამხრეთის ფრონტზე განავითარეს. მიზანი კავკასიის დაპყრობა, ვოლგისპირეთში გასვლა და მოსკოვის სრული იზოლაცია იყო. სასტიკ, სისხლისმ-

ღვრელ ბრძოლებთან ერთად, საბჭოთა კავშირის ხალხების გადაბირებისათვის სპეცსამსახურები ფართო ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ. ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა ნაწილმა ჩათვალა რა გერმანელთა გამარჯვება გარდაუვალიაო, მტერს „ოქროს უნაგირიანი ცხენით" შეეგება, რითაც კავკასიის ქედს კარები შეეხსნა და საქართველო გაიწირა. ფაშისტების თვითფრინავები თბილისსა და ამიერკავკასიის სხვა ქალაქებს ბომბავდნენ. ხანდაზმულ ადამიანებს გვახსოვს ღამეული განგაშები, პროჟექტორებით დასერილი ზეცა, საზენიტო ქვემეხების ქუხილი. ი. ბ. სტალინის უშუალო ბრძანებით კავკასიონის დაცვა ლ. პ. ბერიას დაევალა. უმძიმესი ვითარების სასწრაფოდ გამოსწორებისათვის მრისხანე ზომები მიიღეს, მოღალატეები ადგილზე იხვრიტებოდნენ. თითოეული ხეობისა და სოფლისათვის უშეღავათო ბრძოლები გაჩაღდა. გერმანელთა საგანგებოდ გაწვრთნილ, სამთო პირობებისათვის შესანიშნავად აღჭურვილ დივიზიებს ჩვენი ხალხის პატრიოტულმა სულისკვეთებამ აჯობა, მტერი მოგერიებულ იქნა. საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ, როგორც კი სული მოითქვა, ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილება მიიღო: დასჯის მიზნით ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები პირწმინდად აჰყარა თავისი მიწა-წყლიდან და შუა აზიაში გადაასახლა, რაც, როგორი გასაოცარიც არ უნდა იყოს მაშინდელი ტექნიკის პირობებში, ერთი ღამის განმავლობაში განხორციელდა. დილით დაცარიელებულ დასახლებებში ძე-ხორციელი აღარ ჭაჭანებდა, მხოლოდ უპატრონოდ დარჩენილი ძაღლები შეჰყმუოდნენ მოქუფრულ ზეცას. ასეთი სავალალო ბედი ეწიათ ყარაჩაელებსაც. ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქი ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ სხვა ოლქსა და ავტონომიურ რესპუბლიკებთან ერთად, საბჭოთა კავშირის რუკიდან გაქრა.

ყარაჩაელების ენა თურქულ ენათა ყივჩაღურ ჯგუფს განეკუთვნება. ცნობილი ისტორიკოსი, კავკასიის ხალხთმცოდნეობის აღიარებული სპეციალისტი, პროფესორი თეიმურაზ მიბჩუანი გვაუწყებს: „1959 წელს ნალჩიკში მოწვეული იქნა სამეცნიერო სესია, რომელიც ყარაჩაი-ბალყარეთის ეთნოგენეზის საკითხს მიეძღვნა. სესიის მასალებში აღნიშნულია, რომ ყარაჩაელთა და ბალყარელთა მათ დღევანდელ ტერიტორიაზე დასახლება უნდა მომხდარიყო არა უადრეს XIV-XVII საუკუნეებისა, ხოლო მათი ეთნოსის ჩამოყალიბების პროცესში გარკვეული როლი უნდა შეესრულებინათ სვანებსაც. ამ თვალსაზრისით არანაკლებ საყურადღებოა ანთროპოლოგთა აზრი. სესიაზე წარმოდგენილი მ. ჯანბერიძისა და ე. პ. ალექსეევის მოხსენებებში ხაზგასმულია ყარაჩაი-ბალყარეთთან სვანთა ანთროპოლოგიური სიახლოვე". (თ. მიბჩუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბილისი, 1986, გვ. 10)

ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ თვით უფლის ზეშთაგონებით ქართველთა მოდგმის მისიაა კავკასიონის ქედის უღელტეხილ-ზეკართა დაცვა. ევრაზიის უკიდეგანო ტრამალებზე მოარული ნომადი ტომები — ბიბლიური გოგი და მაგოგი მახლობელი აღმოსავლეთის ბუნებრივ დამცავ კედელს კავკასიონის მთაგრეხილს დროდადრო მრისხანე ზვავ-ნიაღვრად მოაწ-

ყდებოდნენ და ამიერკავკასიის, მცირე აზიის თუ შუამდინარეთის უძველეს ცივილიზაციებს რისხვად დაატყდებოდნენ. ღვთის ნებითა და განჩინებით, კავკასიონის ქედი დასაბამიდან ქართველთა ტომების ხელთ იყო და კაცობრიობის კულტურის კერების დაცვის მისია, ბუნებრივია, მათ ეკისრებოდათ. ყველა წყარო, ძველიც და ახალიც, საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრად კავკასიონის მთაგრეხილს ასახელებს, მაგრამ ნაკლებადაა გაცნობიერებული ის ისტორიული ფაქტი, რომ კავკასიონის ქედის როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოეთ კალთებსა და მიმდებარე ტერიტორიებზე ოდითგანვე ქართული ეთნოსი სახლობდა, სხვანაირად ისინი, რა თქმა უნდა, უღელტეხილებს ვერ დაიცავდნენ. და ეს რომ ასე იყო, ამას ოცი საუკუნის წინათ მცხოვრები სახელგანთქმული ბერძენი გეოგრაფოსი სტრაბონი გვაუწყებს: „სვანები ფლობენ ირგვლივ ყველაფერს და უპყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის. ჰყავთ მათ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისგან შემდგარი და, როგორც ამბობენ, ჰკრებენ ლაშქარს 200. 000 კაცის რაოდენობით“ (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბილისი, 1957, გვ. 126). შემდგომმა კვლევა-ძიებამ აჩვენა, რომ კავკასიონის ქედის კალთები და მიმდებარე მხარეები, როგორც მიწის ქვეშ, ისე ზედაპირზე ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებითაა მოფენილი. მიუხედავად იმისა, რომ პროფ. თ. მიბჩუანის დასახელებული მონოგრაფია, ჯერ კიდევ 1986 წელს დაიბეჭდა, ხოლო პროფ. ზურაბ რატიანის მონოგრაფია — „წყაროთა ღაღადი ანუ პირიქით საქართველო“ 1995 წელს გამოქვეყნდა, საქართველოს მიწა-წყალი შაგრენის ტყავივით ილევა და ქართველთა ისტორიულ საუფლო-საცხოვრისზე, პოლიტიკოსებთან ერთად, მოსახლეობის ფართო ფენებს ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ თოთხმეტი წელია დამოუკიდებელი ვართ, როგორც მსოფლიოში აღიარებული, თავისთავადი, სუვერენული სახელმწიფო, ეს საკითხები დღესაც, რატომღაც, ტაბუირებული და მიჩქმალულია. უფრო უარესიც, XX საუკუნის 90-იანი წლებიდან საქართველოში ცოდვის კითხვა ტრიალებს: რუსეთის იმპერიამ აფხაზეთი და შიდა ქართლის ჩრდილოეთ ნაწილი ჩამოგვკვეთა, შემზარავი ჭრილობებიდან სისხლი გვდის, ორმოციათასამდე მკვიდრი ქართველი გაწყვეტილია, 300 ათასზე მეტი — მამაპაპური სახლკარიდან აყრილი და საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეული, აღარას ვამბობ უცხოეთში გადახვეწილებზე. იმის ნაცვლად, რომ ქართველი ერი შეკავშირდეს და გადარჩენისთვის ყველაფერი იღონოს, პირიქით ხდება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ეროვნულ ცნობიერებას ბღალავენ, ქართველთა არასრულფასოვნების ღვარძლს თესავენ და გვაიძულებენ, არსებულ საბედისწერო საფრთხეს შევეგუოთ...

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველო ასეთ უბედურებაში არასდროს ყოფილა. მტერი ყოველთვის გაცნობიერებული გვყავდა და აქამდე ღირსეულად მოვედით. დღეს შექმნილი ვითარება თუ სწორად არ შევაფასეთ, მტერ-მოყვარე არ გავარჩიეთ, თავსდატეხილი უბედურება შეიძლება მომაკვდინე-

ბელი გახდეს... სწორედ ამიტომ, მისხალ-მისხალ გაირკვეს ქართველთა კუთვნილი საცხოვრისი სად იწყება და სად მთავრდება, ვის რა აქვს ჩვენი მითვისებული. და, პირიქით, თუ ჩვენ ვინმეს რაიმე წავართვით, ისიც მთელი მსოფლიოს წინაშე უნდა ვაღიაროთ, რადგან მხოლოდ ისტორიულ სიმართლეს და სამართლიანობას შეუძლია ჩვენი ხსნა. ღმერთი მარტოოდენ მას წყალობს, ვინც მართალია და წყალობას იმსახურებს...

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მეორე მსოფლიო ომში ქართველმა ხალხმა წილობრივად ყველაზე მეტი მსხვერპლი გაიღო. ფაშისტებმა კავკასიონი ვერ გადმოლახეს და საქართველო ვერ დაიპყრეს. ყოველივე ეს ქართველთა უმაგალითო სიმამაცით, სისხლისნთხევით და ქართული გონის ძალისხმევით განხორციელდა. ქართველების სისხლითაა მორწყული და ძვლებით მოკირწყლული კავკასიონის კალთები და მთელი შავიზღვისპირეთი, ადგილები, სადაც ბრძოლებს აწარმოებდა ყველაზე საშიში და მძიმე სამხრეთის ფრონტის ჯარები. ქართველი ერისთვის შეღავათი არასდროს არავის მიუცია, არც სტალინმა და ბერიამ დაუშვეს გამონაკლისი. ყოველი ისტორიული კატალიზმების ჟამს ქართველი ხალხის მსხვერპლი განუზომელია. ასე იყო მეორე მსოფლიო ომის საშინელ დღეებში და, ჩვენდა სავალალოდ, ახლაც ასეა: აქლემები ჩხუბობენ და ჩვენ მუდამ კოზაკის როლში ვართ...

ჩვენი ისტორია ხომ გადარჩენისათვის დაუცხრომელი ბრძოლაა. ეს ბრძოლა მესამე ათასწლეულშიც გრძელდება და კვლავ მზად, შემართული თუ არ ვიქნებით, გადაგვთელავენ, გაგვაქრობენ. ჩვენი გადარჩენის ერთადერთი შანსი საკუთარ ძალისხმევასა და სიმართლეშია, ქუდბედად დაყოლილ პატიოსნებაშია. არასდროს არავისთვის არაფერი წაგვირთმევია, არ მიგვითვისებია. სწორედ ამიტომ არ გაგვწირავს ღმერთი...

მეორე მსოფლიო ომის დროს ქართველთა ძველთაძველი მისია კავკასიონის უღელტეხილების დაცვისა აღდგა. თუ მტერი ქედს გამოლახავდა, გერმანიის მხარეზე მოქმედი თურქეთი ჩასაფრებული იყო და გერმანელებთან ერთად ამიერკავკასიას კალოსავით გალეწავდა. საქართველოს ყოფნა-არყოფნის სადაგი დღეები დაუდგა. ქართულმა მხედრულმა შემართებამ და გენმა ამჯერადაც გაიმარჯვა. მტერმა კავკასიონი ვერ გადმოლახა. ვერაგმა, მაგრამ ფრთხილმა თურქეთმა ისევ ჩასაფრება არჩია. ქართველთა გმირობით კავკასიის ფრონტზე გამარჯვებამ მსოფლიოში ყველაზე უდიდესი ომის ბედის სასწორი საბჭოთა კავშირის სასარგებლოდ გადახარა, მაგრამ დარჩა დიდი ცოდვა — ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ნაწილის შუა აზიაში გადასახლება. დანაშაულს, საერთოდ, პიროვნება სჩადის და არა ხალხი, მთლიანობაში შეუძლებელია, ხალხი დამნაშავე იყოს...

დამარცხებული მტერი უკან იხევდა, მაგრამ პოზიციებს უდიდესი მსხვერპლის ფასად თმობდა. მიუხედავად ამისა, კავკასიონის ჩრდილოეთი კალთების იდუმალი სიცარიელის (გადასახლებული ხალხების მიწა-წყალი ერთიან, ერცელ სასაფლაოს ჰგავდა), შევსება საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობამ იქ

ქართველების ჩასახლებით გადაწყვიტა. ის არ იკმარეს 700 ათასი ქართველი ფრონტზე რომ იბრძოდა, ამჯერად მშვიდობიან მოსახლეობასაც უნდა გაელო მსხვერპლი.

მდინარე ყუბანის სათავეებში, იალბუზის შემოგარენში, ძირითადად, სვანები ჩაასახლეს, თებერდის ხეობაში კი — რაჭველები. ასე შეიქმნა კავკასიის ქედს გადაღმა ქართული ქლუხორის რაიონი.

ი. ბ. სტალინის პიროვნების კულტის მხილების შემდეგ დასჯილი გადასახლებული ხალხები, მათ შორის, ყარაჩაელები თავიანთ მიწა-წყალზე დააბრუნეს. ქლუხორში გადასახლებული ქართველები უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ თითოელმა პიროვნებამ, ოჯახმა იმდენი წინდახედულობა, ტაქტი და გონიერება გამოიჩინა, რომ მობრუნებულ ყარაჩაელებთან უბრალო შელაპარაკებაც არ მოსვლიათ. ისინი ქართული სიკეთით და სიყვარულით მიიღეს, დიდსულოვნად დაუთმეს გამშვენიერებული სახლ-კარი, სარჩო-საბადებელი. პირადი ნივთების გარდა, სამშობლოში არაფერი წამოუღიათ. ნიშანდობლივია ისიც, რომ სვანები თავიანთ მიცვალებულებს სვანეთში მარხავდნენ, ხოლო რაჭველები, სიშორის გამო, ამას ვერ ახერხებდნენ, მაგრამ საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ვისაც პატრონი ჰყავდა, არც ერთი მიცვალებული სხვის მიწაში არ დაუტოვებიათ, სამშობლოში გადმოასვენეს. კავკასიის ხალხებისათვის დამახასიათებელი კერძ-მოკეთეობით — ურთიერთგატანასა და სარგებლიანობაზე აგებული მრავალსაუკუნოვანი დამოკიდებულებით, რასაც საფუძვლად ძველქართული სიბრძნე — „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია“ უდევს, არც ერთი კონფლიქტი არ მომხდარა, ქართველები სამშობლოს ღირსეულად დაუბრუნდნენ. ამჯერად რუსეთის იმპერიის შავი ძალები, ანტიკავკასიური ინტერესების მქონე საერთაშორისო სპეცსამსახურები, საქართველოს ერთიან სხეულს რომ არ შლიდნენ, ე. წ. „ეთნოკონფლიქტების“ მავნე თეორიის მომარჯვებით მშვიდობიანი ადამიანების სისხლს არ ღვრიდნენ, კერძ-მოკეთეობაზე დამყარებული კავკასია გაერთიანდებოდა და მშვიდობიანი შრომით, ტრადიციული ძმობით და ურთიერთპატივისცემით მისაღწევს მიაღწევდა. ღვთის წყალობით, საქართველოს და მთლიანად კავკასიას სიმართლე და სიკეთე გადაარჩენს, რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია!

დიმიტრი ლობჟანიძის წინამდებარე წიგნს სიმართლე, სიკეთე და სიყვარული უდევს საფუძვლად. ის ჭეშმარიტი მწერლის ხელწერით შექმნილი, მართლაც, შესანიშნავი მხატვრული მატიანეა. ქლუხორის რაიონის წარმოქმნა და იქ „ქართველების ჩასახლება მეცნიერულად ნაკლებშესწავლილია. მწერალმა მეცნიერებს დაასწრო. მან ხომ ბავშვობიდანვე ყოველივე თვითონ განიცადა და გადაიტანა, სწორედ ამიტომ მწერლის ზეშთაგონებით მოგვცა ისტორიულ მოვლენებზე დამყარებული მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება და მკითხველს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ავტორის თხრობა თანმიმდევრულია, ენა — დახვეწილი და სტილი — ნათელი.

...ადამიანები ამ წუთისოფელში სიცოცხლის ხის ფოთლები ვართ. ბევრი ჩვენგანი უკკალოდ ქრება, დიმიტრი ლობჟანიძემ კი ქლუხორში ჩასახლებული რაჭველების უმრავლესობა დავიწყებისაგან იხსნა, მათი ღვაწლი, მოქმედება და პიროვნული ღირსებები მწერლის ოსტატობით გადმოგვცა. ასე შემოუნახა შთამომავლობას მრავალი უჩინარი, მაგრამ შრომისმოყვარე, უანგარო და პატიოსანი ადამიანის შთამბეჭდავი სახე. ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს საინტერესო წიგნი მრავალ ოჯახს დაამშვენებს.

ლევან ფრუიძე
თბილისი. 2005 წლის იანვარი.

ვუძღვნი ჩემი ძვირფასი დისშვილის, *თინიკო გავაშელის* ნათელ ხსოვნას.

გულის ძახილი

ამ ჩანაწერებს ვინმე შემთხვევით აიღებს ხელში და წაიკითხავს, თუ მის გასაცნობად დროს საგანგებოდ გამონახავს, ორივე შემთხვევაში მადლიერი დავრჩები. მით უმეტეს, თუ შიგ მისთვის თუნდაც მცირედ საინტერესო და სასიამოვნო რამეს იპოვის, ამას რა სჯობია. მაგრამ მიზეზთა და მიზეზთა გამო, ვინც ავტორზე იტყვის, ეს კაცი მოცლილი ყოფილა და ამ საქმისთვის ხელი მოწყენილობის გასაქარვებლად მოუკიდიაო, მართალი არ იქნება. ფიცის ქვეშ ვიტყვი, რომ ამ მოგონებების წერას უსაქმურობისა და მოცალეობის გამო ნამდვილად არ შევდგომივარ. პირიქით, ამაზე არანაკლებ საშური და მნიშვნლოვანი საქმე სხვაც არაერთი მქონდა, მაგრამ დროებით ყველაფერი გვერდზე გადავდე და ქვემოთ მოთხრობილი ამბების წერას შევუდექი.

ბარემ ამასაც გავამხელ: ამ ამბების აღწერისაგან თავს დიდხანს ვიკავებდი. ვფიქრობდი, ეს საქმე იქნებ სხვამ იკისროს და ჩემზე უკეთაც გაართვას თავი-მეთქი, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ასეთი არავინ გამოჩნდა. საქმე კი გადადებას ვერ ითმენდა. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მიმაჩნდა, მისი უყურადღებოდ მიტოვების შემთხვევაში კი, უმოკლეს დროში ყველაფერი დავიწყებას მიეცემოდა, ხოლო ეს მომავალი თაობის წინაშე ყველა ჩვენგანის მხრიდან მიუტევებელი დანაშაული იქნებოდა, რადგან ქლუხორში ქართველთა რამდენიმეწლიანი ცხოვრების ისტორია დასავიწყებელი ნამდვილად არ არის. ასე და ამრიგად, ეს ისტორია უკვალოდ რომ არ გამქრალიყო, გავბედე და ამ მოგონებების წერას ხელი მოვკიდე.

ზემოთ უკვე ვთქვი: ამაზე არანაკლებ საშური და მნიშვნელოვანი საქმე სხვაც არაერთი მქონდა-მეთქი. ეს, მართლაც, ასე იყო. ამ მოგონებებზე მუშაობისას ნაწილობრივ ამის გამოც ძალიან ვჩქარობდი. ვჩქარობდი, რადგან გულით მეწადა, კაცთათვის ხანმოკლე წუთისოფელში ესეც და ეგების სხვა ჩანაფიქრთა განხორციელებაც მომესწრო და ამით ახალგაზრდობაში უქმად გაფლანგული დრო ერთგვარად მაინც ამენაზღაურებინა. მაგრამ,

მოგეხსენებათ, სიჩქარე ასეთ საქმეში (და არამარტო ასეთ საქმეში!) ძალიან ცუდი მრჩეველია. იქნებ გარკვეულწილად სიჩქარის ბრალიც იყოს, რომ ეს ჩანაწერები ისეთი წელგამართული და თავმოსაწონი ვერ გამოვიდა, როგორიც მე მსურდა და შენ, ჩემო თავმდაბალო და მიმტევებელო მკითხველო, ამას ისურვებდი და იმსახურებდი კიდევაც. მაგრამ შენებური დიდსულოვნებით უნდა შემინდო, რადგან, მოგეხსენება, ცხოვრება, ბედი თუ უფალი, ყოველთვის ისე როდი გვანებივრებს და გვწყალობს, რომ ჩვენი შესაძლებლობა ჩვენს სურვილებს უტოლდებოდეს!

და მაინც, ეს ჩანაწერები კარგია თუ ცუდი, ჩემო მკითხველო, ასეც და ისეც, ეს შენი განსასჯელია, მაგრამ ერთი რამ უთუოდ უნდა ვთქვა არა ვინმეს წინაშე თავის გასამართლებლად, ანდა საშეღავათოდ, არამედ ერთგვარი განმარტებისთვის: ჩემი მოგონებები თავისი შინაარსით და თემატიკითაც განსხვავებულია ყველა სხვა ამგვარი ჟანრის ნაწარმოებებისაგან: ის, ვინც მოგონებებს წერს, თუ ყველა არა, დიდი უმრავლესობა მაინც, საქვეყნოდ ცნობილ ადამიანებთან თავის ურთიერთობებზე მოგვითხრობს. ამ ადამიანთა ბიოგრაფიულ წვრილმანებს გვაცნობს, მათი ცხოვრების ნაკლებად ცნობილ შემთხვევებს იხსენებს, ვთქვათ, სად, როგორ იქცეოდნენ ესა თუ ის ცნობილი პიროვნებები, რა უცნაურობები სჭირდათ, რა უყვარდათ, რა აღიზიანებდათ, სად გონებამახვილური ფრაზა უთქვამთ და ასე შემდეგ და ამგვარი შეზავებული თხრობით გვხიბლავენ.

მერედა, ამაში რა არის ცუდიო, იტყვის ბევრი და, ალბათ, იქვე ამასაც დაუმატებს: ადამიანთა დიდი ნაწილი ბუნებით ცნობისმოყვარეა და გამოჩენილ ადამიანთა პირადი თუ საზოგადო ცხოვრების წვრილმანთა ცოდნა ბევრს ხიბლავს და იტაცებს. ამდენად, მეტად მიმზიდველი და საინტერესოა მათი ცხოვრების ამბის წაკითხვა თუ მოსმენა. ბოლოს და ბოლოს, ყველა, ვინც კალამს ჰკიდებს ხელს, განა იმას არ ცდილობს, ისეთი რამე დაწეროს, რითაც სხვებზე მეტად მოხიბლავს და დააინტერესებს მკითხველს? თემასაც ისეთს ირჩევს, რაც უფრო მიმზიდველი და, ამდენად, მომგებიანია. ვინ როგორ აღწევს მიზანს, ეს სხვა საკითხია. შენ რა, ამაში არ გვეთანხმები, თუ რაო?

როგორ არ გეთანხმები, ძვირფასო მკითხველო. იქნებ, სწორედ ამიტომაც იყო, რომ ჩვენს უახლოეს წარსულში, საბჭოურ პერიოდს რომ ვუწოდებთ, უამრავი წიგნი იბეჭდებოდა სერიით – „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“

ამას იმ წყობილებას ნაკლად სულაც არ ვუთვლი. პირიქით. ნეტავ ქვეყნის ხელისუფალთა მხრიდან ახლაც თუნდაც იმის ნახევარი ყურადღება მაინც ექცეოდეს მწერლობას და წიგნებს, როგორც უწინ. მაგრამ აქვე იმასაც დავძენ, რომ ზოგი ჩვენგანი, საზოგადოებრივად მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, ხშირად ზერელედ უყურებს. ასე, მაგალითად, თუ გამოჩენილ ადამიანებს დამსახურებული ყურადღებით ვანებივრებთ და ამაში

მიუღებელი არაფერია, ამ დროს, ჩვეულებრივი, რიგითი ადამიანები ჩრდილში გვყავს მიტოვებული, ნაკლებად გვახსოვს ის რიგითი, ალალი, გამრჯე გლეხკაცები, რომლებიც ყველა დროში – მშვიდობიანობისას ქვეყანას სარჩოთი აპურებენ, ხოლო ომისა და ძნელბედობის ჟამს ხელში ხმლით, საკუთარი სიცოცხლის ფასად, მოძალადე მტრისაგან სამშობლოს იცავენ. დიდება მამულისადმი მათ განუზომელ სიყვარულს და უანგარო ერთგულებას!

იქნებ სწორედ ამიტომაც აღმოხდა მეფე-პოეტს, არჩილს რამდენიმე საუკუნის წინათ ყველა ჩვენგანისათვის მეტად საგულისხმო და დრო-ჟამისგან გაუხუნარი ბაჯაღლო სიტყვები: „თუ ამოწყდეს გლეხიკაცი, საქართველო დაძაბუნდა“. მეფე-პოეტის სწორედ რომ ბაჯაღლო და დრო-ჟამისგან გაუხუნარ ამ სიტყვებს დღევანდელი გადასახედიდან ასე შთამბეჭდავად, ალბათ, ამიტომაც ეხმიანება, მხარს უბამს, ადრე ნათქვამ აზრს აზუსტებს და აკონკრეტებს გამოჩენილი ქართველი პოეტი მურმან ლებანიძე საგულისხმო და დაუვიწყარი სტრიქონებით:

„ვინ მოგვიტანა აქამომდე ეს საქართველო
გარეშე მგოსნის, მეფურ ღვაწლის, ზეგარდმო ნიჭის,
თუ არა გლეხმა, ვინც საკუთრივ ჩაჰყარა ვაზი!
თუ არა ხურომ, ვინც საკუთრივ გამოსწვა კირი!
თუ არა კაცმა, ვინც საკუთრივ გაშედა რკინა
და ქალაქები გამოჰკვეთა
იმ რკინით კლდეში“!

კაცმა რომ თქვას, რას მიქვია რიგითი გლეხკაცი და მაღალი თანამდებობის წყალობით რბილ სავარძელში ჩასვენებული დიდკაცი, როცა ყოველი ადამიანის განვლილი ცხოვრება მხოლოდ ქვეყნისა და სამშობლოს საკეთილდღეოდ გაწეული სამსახურით ფასდება და იზომება. მნიშვნელობა არა აქვს, ამ სამსახურს ქვეყანას სამშობლოზე ზრუნვით მის დროში კარგად ცნობილი პიროვნება – ცოტნე დადიანი გაუწევს, თუ მანამდე ჩრდილში მყოფი, ერთი ვინმე რიგითი მღვდელი თევდორე, რომელიც ამის შემდეგ ერის მარადიულ სიყვარულს და უკვდავებას ეზიარება.

სადღაც ამოვიკითხე და, ვფიქრობ, ეს აზრი უთუოდ მისაღები უნდა იყოს – თითოეული ადამიანი თავისი წუთისოფლის ავ-კარგით და ჭირ-ვარამით მთელი სამყაროაო. თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ, ალბათ, ჭეშმარიტებას მოკლებული არც ის იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყოველი ადამიანის ცხოვრებაზე შეიძლება დაიწეროს „ომი და მშვიდობა“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „წყნარი დონი“ და სხვა მსგავსი გენიალური ნაწარმოებები, თვით „ოდისეაც“ კი, თუ, რა თქმა უნდა, ამა თუ იმ პიროვნებას ზემოთ ჩამოთვლილ მხატვრულ ტილოთა შემქმნელ ხელოვანთა დო-

ნის ღვთაებრივი ნიჭით ცხებული შემოქმედი გამოუჩნდება მეხოტბედ და მოსარჩლედ. ჩემი მხრივ, ასეთი ღირსეული მაქებრის, მეხოტბის და მოსარჩლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ იმ რიგით ადამიანებს, რომელთა შესახებაც ქვემოთ მექნება საუბარი, ეგების თავიანთი მეზობელ-ახლობლების გარდა, ბევრი არავინ იცნობდა და მათი სახელები მათსავე სოფელსა თუ რაიონს გარეთ იქნებ ათიოდე კაცის მეტს არც სმენოდა, მაგრამ ღრმად მწამს, რომ ისინი თავიანთი ცხოვრების წესით, პატიოსანი, ალალი შრომით, ქვეყნისა და საკუთარი ოჯახების ერთგულებით ნამდვილად მისაბაძი პიროვნებები იყვნენ და დავიწყებას არ იმსახურებენ.

მათ გვერდით, ყოფილ საბჭოთა იმპერიაში მცირე ოაზისივით გამორჩეულ, თვალწარმტაც და მყუდრო „კუნძულზე“ საკმაო ხანს ვიცხოვრე, „კუნძულზე“, რომელსაც იმ დროს ქლუხორის რაიონი ერქვა და ახლა, დიდი ხნის შემდეგ, რაც გაშახსენდა, ყველაფერს, რამეს დაკლება-მიმატების გარეშე, შეულამაზებლად ვანდობ ქაღალდის ფურცლებს.

უკვე ვთქვი, რომ ქლუხორთან დაკავშირებული ამბების აღწერისაგან ერთხანს თავს ვიკავებდი-მეთქი. მერეც, როცა, ბოლოს და ბოლოს, გადავწყვიტე, ამ საქმეს შევდგომოდი, ხელი ხან რამ შემიშალა და ხან რამ, სანამ, ამ გაჭიანურება-დაყოვნების გამო, ერთ დღეს რაღაც შინაგანმა ხმამ მკაცრად არ დამტუქსა და არ გამაფრთხილა, თითქმის იმგვარად, ორმოში მყოფი ტყვე დავით გურამიშვილი რომ იგონებს:

„ხმა მესმა ძილსა შინაო:
„რას ხვრინავ, რასა ფშვინაო!

ადექ, იარე, წავიდეთ,
მე წაგიძღვები წინაო“!

კურთხეულ იყოს საქმის სასიკეთოდ გამიზნულ-დამაგვირგვინებული ყოველი ასეთი დამტუქსავი და გამაფრთხილებელი შინაგანი ხმა! სწორედ ამ შინაგანმა ხმამ მაიძულა, საქმისთვის ხელი დაუყოვნებლივ მომეკიდა და წლობით დაგროვილი სათქმელი ფურცლებზე გადამეტანა, თუმცა, ეს არც ისე იოლად და სწრაფად მოხდა.

მართალი უთქვამს, ვინაც თქვა, ყოველგვარი საქმის დასაწყისი ძნელიაო. ჩემს შემთხვევაში ეს ზედგამოჭრილი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ერთთავად ქლუხორსა და ქლუხორელებზე ვფიქრობდი, ნაფიქრის ფურცლებზე გადატანა საკმაოდ გამიჭიანურდა. ამიტომაც ჩემი ყოყმანით უკმაყოფილო შინაგანი ხმა ჭყირტი მაყარივით კვლავ მომიხდა და მოურიდებლად შემომიტია, რას შვრებიო.

რას უნდა ვშვრებოდე, ვფიქრობ, აზრებს და სათქმელს ვალაგებ-მეთქი, – თავის მართლებით მიუგე იმ ხმას, რომელიც მკაცრად მოითხოვდა საქმის-

თვის ხელი დაუყოვნებლივ მომეკიდა, მაგრამ მან ჩემი თავის მართლება არაფრად ჩააგდო.

„რა ამდენი ფიქრი და აზრების დალაგება გჭირდება. ქლუხორის ამბები ასე თუ ისე იცი: შენ თვითონ ცხოვრობდი იქ ჩასახლებულებთან სამშობლოში დაბრუნებამდე და საშუალო სკოლაც იქვე დაამთავრე“.

ეს, მართლაც, ასე იყო და რატომ უნდა მეუარა.

ჩემი დასტურის შემდეგ სხვისთვის უხილავმა შინაგანმა ხმამ იმ კაცივით შემომხედა, მოულოდნელად ისეთ რამეს რომ ყურს მოჰკრავს, რისი გაგებაც დიდი ხანია სწყუროდა, აინტერესებს, მაგრამ იმ წუთას მოსაუბრისგან დადასტურებას არ ელოდება. ან კიდევ, მრავალგზის გამოცდილი გამომძიებელი თვეობით მცდელობის შემდეგ ეჭვმიტანილისგან ისეთ „წვრილმანს“ გაიგებს, რაც ჭეშმარიტების დადგენაში დაეხმარება.

ამის შემდეგ ჩემმა უშეღავათო მოდავე-მრჩეველმა თვალი თვალში გამიყარა და თხოვნაც რომ ეთქმოდა და კეთილი რჩევაც, – უფრო კი ორივე ერთად რომ იგულისხმებოდა, ისე მითხრა:

„ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა ყოველგვარი საქმე განზე გადადე. ქლუხორში გატარებულ წლებზე, იქ ნაცხოვრებ შორეულ თუ ახლო ნაცნობებზე შენთვის ცნობილ, ნანახსა და გაგონილ ამბებს თავი მოუყარე და ყველაფერ ამაზე მოგონებების წერას სასწრაფოდ შეუდექი. შენი პროფესიის კაცს ეს არ გაგიჭირდება“.

როგორც იტყვიან, ქორს აფრენა გულსა ჰქონდა და „აქში“ „აქში“ მეტი იყოო. აკი ვთქვი, ქლუხორსა და ქლუხორელებზე მოგონებების წერის დაწყებას ისედაც დღე-დღეზე ვაპირებდი და შინაგანი ხმის რჩევა, მოთხოვნა და წაქეზება ის ბოლო წვეთი იყო, რამაც სამუშაოდ ამლესა, განმაწყო, ამაჩქარა და ხელიც მიბიძგა, რომ საქმეს დაუყოვნებლივ შევდგომოდი. ამიტომ, ჩემს მოდავეს საუბარში ერთგვარი ხალისით ავყევი.

„ამას, კარგა ხანია, ვაპირებდი, მაგრამ“

„მაგრამ რა“?

„გამოქვეყნება... მარტო დაწერა ხომ არ არის ყველაფერი. დაწერილს მკითხელამდე მიტანაც ხომ უნდა“

„უნდა, როგორ არ უნდა, მაგრამ, ვგონებ, გამოქვეყნება დღეს პრობლემა არ უნდა იყოს. კარგად დაწერილ საგაზეთო მასალას, რომელ ჟანრსაც არ უნდა განეკუთვნებოდეს იგი... დიახ, კარგად დაწერილ მასალას, რომელიც დღევანდელი მკითხველის მაღალ გემოვნებას დააკმაყოფილებს, ჩაითრევს და დააინტერესებს, ყველა, სიამოვნებით დაუთმობს თავის ფურცლებს. თუმცა, არა მარტო გაზეთი, მიმზიდველი შინაარსის, ლაღად დაწერილ, მკითხველისთვის საყურადღებო სტატიის დასტამბვაზე არც სხვა ბეჭდური ორგანო იტყვის უარს“.

„მოცულობა“...

„რისი, მასალის“?

„ჰო, მასალის. თავში უამრავი ამბავი მიტრიალებს და, ასე მგონია, რომ მოგონება საკმაოდ ვრცელი უნდა გამომივიდეს“.

– „მოცულობა?... როგორი მოცულობისაც არ უნდა იყოს, ეს გაზეთში დაბეჭდვაში ხელს არ შეუშლის. რამდენიმე ნომერში გაგრძელებებით დაისტამბება. ცხადია, თუ სათქმელს საინტერესოდ იტყვი და ჟანრსაც შესაფერისს შეურჩევ“.

„ჰმ, თუ სათქმელს საინტერესოდ იტყვიო. დალოცვილო, განა ასე ადვილია რამის საინტერესოდ თქმა და დაწერა“? – ისე უკმაყოფილოდ გავიფიქრე, თითქოს ვინმე სათავისოდ სასარგებლო გარიგებას მთავაზობდა. მე კი არ მსურდა, ხოლო ის ძალას მატანდა, გინდა, თუ არა, ასე მოიქეციო. მერე უცხოსავით შემომიტია ჩემი თავის მართლებებით და არც ისე მყარი მიზეზებით გაღიზიანებულმა შინაგანმა ხმამ:

„კაცო, თუ არ გინდა, ვინ გაძალებს“?!

„როგორ თუ ვინ მაძალებს?! ვინ მაძალებს და: ჯერ – საქმე და მერე ის ხალხი, ვინც“

„ვინც შენთან ერთად ქლუხორში ცხოვრობდა, ხომ“?

„აგაშენა ღმერთმა. კარგია, რომ მიმიხვდი. სწორედაც“...

„აბა, მაშ, რაღას ყოყმანობ, ადექი და საქმეს შეუდექი“!

საქმეს შეუდექიო, ამ გულის ძახილმა და შინაგანი ხმის მოთხოვნამ ამჯერად სასიამოვნოდ ამაღელვა და უცნაურად ამაფორიაქა. წამში უმალ იქით გადავერთე, საბოლოოდ ამ თემის განუყოფელ ნაწილად ვიქეცი და იმ შორეულ დროში გადავსახლდი. უჩვეულო სისწრაფითა და სიცხადით ჩამიარა თვალწინ ქლუხორში გატარებულმა წლებმა და მათთან ერთად იმ ხალხის სახეებმა, ვის გვერდიგვერდ მთელი ცამეტი წელი ვიცხოვრე და რამაც ჩემში, მართლაც, რომ წარუშლელი კვალი დატოვა.

ერთთავად იმის გარკვევას შევუდექი, ჩემი ნაცნობ-მეგობრებიდან ვისი ცხოვრება თუ ცხოვრების ერთი რომელიმე გარკვეული მონაკვეთი იქნებოდა საინტერესო, ფართო საზოგადოებისათვის რომ გამეცნო. გულახდილად მომეთხრო უამრავი სიძნელით აღსავსე მათ ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაზე, მომეყოლა და შთამომავლობისთვის არ დამეკარგა იმ ხალხის შეუბღალავი კაცურკაცობის, ბევრისათვის მისაბაძი, ერთი შეხედვით, უბრალოდ და მარტივად, მაგრამ მაინც სანაქებოდ განვლილი ცხოვრების ამბები, რაშიც ნათლად ჩანს მათი და, აქედან გამომდინარე, საზოგადოდ, ქართველი კაცის როგორც გაჭირვების ჟამს – მაღალი ზნეობა, ჭირთგამძლეობა, სიძნელის წინაშე გაუტეხლობა, მოყვასისადმი მხარში დგომა, ასევე, ლხინში – დარბაისლობა, ზომიერება და თავშეკავებულობა, (რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, უცხოური ფსევდოკულტურის გავლენით და მოძალებით ბოლო დროს, თანდათან დავიწყებას ეძლევა). თუ გნებავთ, რომელიმე გარკვეულ სიტუაციაში დროულად და ლამაზად ნათქვამი მოსწრებული სიტყვა, ფრთიანი ფრაზა, რომელიც

შემორჩა მეხსიერებას და უშელავათო მკითხველისთვის მიმზიდველი, მისაღები, საინტერესო და, ეგების, სამაგალითოც იქნებოდა. მოგეხსენებათ, ყოველივე ეს არც ისე უმნიშვნელო წვრილმანებია მკითხველისთვის ვრცელი თუ მოკლე ამბების მოყოლისას. მით უმეტეს, კონკრეტული ადამიანების ყოველდღიური ცხოვრებისეული საქმიანობის ქაღალდზე გადატანისას.

კარგა ხანს სხვა არაფერი მახსოვდა. წუთით არ მტოვებდა, არ მასვენებდა ქლუხორსა და იმ ხალხზე ფიქრი, ვისზედაც კეთილი და მართალი სიტყვა უნდა მეთქვა. თანაც ისე მეთქვა ეს კეთილი და მართალი სიტყვა, რომ მათ მიმართ ქების თუ კრიტიკული დამოკიდებულების გამომყღავნების შემთხვევაში, ობიექტურობისა და მკაცრი სიმართლისთვის არ მეღალატა: არც რამე დამეკლო და არც გადამეჭარბებინა, ანუ ისე მეთქვა, როგორადაც ისინი თავიანთი უპრეტენზიო, ყოველდღიური კაცურკაცობით და მაღალზნეობრივი ცხოვრებისათვის იმსახურებდნენ.

ასე იყო თუ ისე, ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ავწონ-დავწონე, სათქმელ-უთქმელი გონებაში რიგის მიხედვით დავალაგე და გადავწყვიტე, საქმეს შევდგომოდი. მაგრამ, როცა საწერ მაგიდას მივუჯექი და კალმის წვერი სუფთა ქაღალდს შევახე, უეცრად და უნებლიეთ, ყოველი საქმისა და სურვილების შემმუსვრელი ეჭვი მეწვია, რომელიც სულ მალე ხელფეხის შემკვრელ შიშად გადამექცა: შევძლებდი კი იმ საქმისა და განზრახვის სისრულეში მოყვანას, რის გაკეთებასაც ვაპირებდი, მოვახერხებდი კი იმ სათქმელის დამწყაზრულად ქაღალდზე გადმოცემას, რომელიც ჩემს გულსა და გონებაში ქარისაგან დაწეწილი დილის ნისლივით ნაგლეჯ-ნაგლეჯად ბორიალობდა, ქაღალდზე გადატანას ითხოვდა და თან შესაფერისი ოსტატობით აწყობა-დალაგება სჭირდებოდა? მერე რა რომ გონებაში ბევრი რამე დალაგებული იყო. ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ყველაფერი უმტკივნეულოდ მოგვარდებოდა. გამოცდილებით ვიცოდი, საერთოდ, თავში „წერა“ ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე ნაფიქრალ-ნააზრევის ქაღალდზე მოხდენილად გადატანა-გამყღავნება.

ამასთან ერთად, სხვა, არანაკლები საშიშროებაც არსებობდა, რომელზეც ფიქრი, მინდოდა თუ არ მინდოდა, გონებიდან არ მცილდებოდა. კერძოდ, კმაყოფილი დარჩებოდნენ კი ის ადამიანები, ვისზედაც რაღაცის თქმას ვაპირებდი, რითაც ერთგვარად მომიწევდა მათი ცხოვრების და ნამოქმედარის შეფასება იმით, რასაც მათზე დავწერდი. თუ წაიკითხავდნენ, გულს ხომ არ დავწყვეტდი, ხელს უკმაყოფილოდ ხომ არ ჩაიქნევდნენ და იმედგაცრუებულები ხომ არ მისაყვედურებდნენ: როგორი იმედი გვქონდა ამ კაცის, რომ ჩვენზე აწონილ სიტყვას იტყოდა. მას კი რა უქნია, როგორც მეფე არჩილი ბრძანებს: „ბევრი რამ ჩაურევია,... წმინდა რამ აუმღვრევია“-ო. არადა, ნამდვილად არ მსურდა, მათთვის გული მეტკინა, მით უმეტეს, მათი განაწყენება და იმედის გაცრუება ჩემი „უვიცობით და სირეგვნით“.

აქვე ერთმა, არც თუ ნაკლებსაგულისხმო და ანგარიშგასაწევმა ფიქრმაც წამოყო თავი: არც ის იყო გამორიცხული, რომ არაერთი ჩემი ქლუხორელი ნაცნობ-მეგობარი დარჩენილიყო უკმაყოფილო და გულდაწყვეტილს ესაყვედურნა, შე დალოცვილო, სადაც სხვებზე ამდენი რამე თქვი, იქვე ერთი-ორი კეთილი სიტყვა ჩვენზეც გეთქვა. განა ჩვენც იმ ხალხთან ერთად და შენს გვერდით არ ვცხოვრობდითო?

ვატყობდი, ამგვარ ფიქრებს თუ ავყვებოდი და ყოველ წვრილმან საბაბ-მიზეზს ბორკილად გავიხდიდი, სხვაც ბევრი რამე გამოჩნდებოდა საეჭვო და საყოყმანო, რასაც ადვილი შესაძლებელი იყო, განზრახვა-გადაწყვეტილების შესრულებაზე ხელი საერთოდ აეღებინებინა.

ამ ყოყმანსა და კრკუობაში რომ ვიყავი, ჩემი სოფლის სანახშოზე გაგონილი ერთი საიგავო შემთხვევა გამახსენდა.

...კაცმა ვინმემ ოჯახისთვის შეშის მოსატანად ტყეში წასვლა დააპირა.

სანამ შინიდან გავიდოდა, ცოლმა, შვილმა და სიდედრმა ცალ-ცალკე დამოძღვრეს, შინ წამოსაღები საშეშე ხე მიწიდან რა სიმაღლეზე უნდა მოეჭრა. კაცს არც ერთის წყენინება არ სურდა და თითოეულს ცალ-ცალკე მორჩილად დაპირდა, როგორც შენ მავალებ, სწორედ ისე ვიზამო.

ტყეში შესულს, ერთ ადგილზე სხვებისგან გამორჩევით მდგომი ხე მოეწონა. ხარ-მარხილიც იქვე გააჩერა და ხეს მოსაჭრელად მიადგა. ის იყო ხეზე შემოსაკრავად ცული აღმართა, რომ ცოლის ნათქვამი გაახსენდა: ხე ძირიდან უთუოდ ამა და ამ სიმაღლეზე მოჭერიო. მეუღლის სურვილის შესრულება რომ დააპირა, თვალწინ ვაჟიშვილის სახე დაუდგა. მისი ამბავი, რომ ვიცი, უთუოდ მისაყვედურებს: მამა, ეს რა გიქნია, მე რომ გთხოვე, ხე ისე რატომ არ მოჭერიო და ცულიანი ხელი ჰაერში გაუშეშდა.

ხის ჭრას ახლა სხვა მხრიდან შეუდგა თუ არა, უმალ სიდედრის მკაცრად წარბშეკრული სახე მოაგონდა. მოქნეული ხელი მაშინვე ძირს დაუშვა. სიდედრი ისედაც ამრეზით მიყურებს, ჩემი ნამოქმედარი მისდღემჩი არაფერი მოსწონს და ახლა ეს ხე მისი სურვილის საწინააღმდეგოდ რომ მოვჭრა, სიკვდილამდე მისი საყვედურებიდან ვერ ამოვალო.

„რა ვქნა“? – უმწეოდ იკითხა შინაურების დარიგებით ხელფეხშეკრულმა კაცმა. – ასე მოვჭრა, მეუღლეს ეწყინება, ისე მოვჭრა, ვაჟიშვილი გამიწყრება, სიდედრს რომ არ ვასიამოვნო, სიკვდილამდე საყვედურებს არ გამომილევსო... ბოლოს ყველას მიმართ დამთმობი და ანგარიშის გამწევი, ზედმეტად ხათრიანი გლეხკაცი დაბურული ტყიდან საღამოს შინ ხელცარიელი დაბრუნდა.

ამ იგავის გახსენებაზე, საკუთარ თავზე გამეცინა და უკმაყოფილომ გავიფიქრე: ამგვარ ყოყმანსა და კრკუობაში იმის შიშით, ვაი თუ ყველაფერი ისე ვერ ვთქვა, მე რომ მსურს და თან ყველას მოეწონოს, ან ვინმეს სასაყვედურო არ ჰქონდეს, შეიძლება მეც იმ გლეხკაცივით დამემართოს-მეთქი, ვინც, თუმცა, ვერავინ ხედავდა ხეს რა სიმაღლეზე მოჭრიდა, ოჯახის

წევრთა მიმართ მორჩილების გამო, უღრანი ტყიდან შინ ხელცარიელი დაბრუნდა.

თუმცა, ჩემსა და იმ გლეხკაცის მდგომარეობას შორის საკმაო განსხვავება იყო: მას დაბურულ ტყეში მოწმე და მოდავე არავინ ჰყავდა, ხეს რა სიმაღლეზე მოჭრიდა, მე კი... ჩემი ნათქვამი სიტყვა ქვეყნის სამსჯავროზე უნდა გამომეტანა და ამის გამო ყველაფრისთვის ანგარიში გამეწია. მიუხედავად ამისა, ეჭვები უკუვაგდე, რადგან, ყველაფერთან ერთად, ქლუხორელ ქართველებზე მოგონებების წერის სურვილს ვერ ვძლიე და, საბოლოოდ, გადავწყვიტე, შინაგან ხმას მივყოლოდი და ბედი მეცადა. ამ გადაწყვეტილებით წაქეზებული, განზრახვის შესრულებას დაუყოვნებლივ შეუდექი, თუმცა, ეჭვი ერთხანს მაინც არ მასვენებდა, რომელიც ყოველ წუთს მაფრთხილებდა: უმადურ საქმეს ჰკიდებ ხელს, ვიღაც-ვიღაცეები თუ მადლიერი დაგრჩებიან, უკმაყოფილოც არაერთი გამოგიჩნდებაო. ამგვარ ყოფაში რომ ვიყავი, ანტიკური ხანის ათენის სახელმწიფოს კანონმდებლის, სოლონის სიტყვები გამახსენდა: „ყველას აამო დიდ საქმეში, ძნელია მეტად“-ო და ამით გამხნევებულმა თავს ვუთხარი: წილი ნაყარია, რახან საქმეს ხელი მოჰკიდე, ავად თუ კარგად, ყოველგვარი დაბრკოლებაც უნდა გადალახო და ბოლოშიც გახვიდე-მეთქი.

ასე და ამრიგად, პატივცემულო მკითხველო, მე ვწერ იმას, რაც გამახსენდა და თან გულმოდგინედ ვცდილობ, შენამდე ისე მოვიტანო სათქმელი, რომ უკმაყოფილო არ დამრჩე, მაგრამ თუ ეს ვერ შევძელი, ამას, იმედია, გულმოწყალედ შემინდობ და მაპატიებ.

ღოგენდიმის საუფლო

ქლუხორთან დაკავშირებული ამბების თხრობას ცოტა შორიდან დავიწყებ. ვფიქრობ, რომ ყველაფრის მიზეზ-შედეგი ასე უფრო თანამიმდევრულად აეწყობა და გასაგები გახდება.

ცნობილია, რომ თითოეული ადამიანი როგორც მშობლებთან, ისე მშობლიურ ადგილებთან სისხლხორცეულად არის დაკავშირებული პირდაპირი გაგებითაც და გადატანითი მნიშვნელობითაც. ცხადია, ამ ჭეშმარიტებიდან არც მე ვარ გამონაკლისი. ამიტომაც, მინდა თუ არ მინდა, ალბათ, ორიოდე სიტყვა უთუოდ უნდა ვთქვა როგორც ჩემს მშობლებზე, ისე იმ მშობლიურ ადგილებსა და სოფელზე, სადაც დავიბადე და გარკვეული დროის განმავლობაში ვიცხოვრე. ეს სოფელი ღები გახლავთ, რომლის მოსახლეობის ერთმა ნაწილმა, ჩვენს ოჯახთან ერთად, იმ ქარიშხლიანი, 1944 წლის გაზაფხულზე მშობლიური ადგილები დატოვა, ჩრდილოეთ კავკასიის თვალუწვდენელი სტეპები გადასერა და კავკასიონის მთების ერთ ულამაზეს უბეში, ორი მშფოთვარე მდინარის, – ყუბანისა და თებერდის შესაყართან საკმაოდ მოზრდილ ვაკეზე გაშლილ ქლუხორის რაიონის კოპწია სოფელ მზისაში დასახლდა. დასახლდა და იქ რამდენიმე წელი იცხოვრა და იღვაწა. მართალია, ი. სტალინის სიკვდილის შემდეგ ავანტურისტ ხრუშჩოვის ქართველთა მიმართ მტრული დამოკიდებულების გამო ქლუხორში მცხოვრები ქართველი მოსახლეობა იძულებული გახდა, დაეტოვებინა ახლადმოშენებული ადგილები, მაგრამ ტკბილი მოგონებები იქ გატარებულ დროის ხანმოკლე მონაკვეთზე მთელი ცხოვრების მანძილზე თან გაჰყვა.

ღები რაჭაში, საქართველოს ყველაზე უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე სოფელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისგან ჩრდილოეთით, 5-6 კილომეტრის მოშორებით, კავკასიონის კალთების ძირას, მდინარე ჩვეშურის სათავეში, გაღმა-გამოღმა მთათა შორის შეხიზნულ ჩვეშოს, გონას და ძველთაძველ ნამოსახლარ კოდნარულას, რომლებიც დღესდღეობით უფრო საზაფხულო სადგომებად უნდა ჩაითვალოს, რადგან ამჟამად იქ მხოლოდ რამდენიმე კომლი ცხოვრობს, ისიც – სეზონურად, თუმცა, სამივე ეს სოფელი ერთ დროს ხალხმრავალ დასახლებად ითვლებოდა.

ღების ეტიმოლოგია ბოლომდე გარკვეული არ არის. ზოგი მას სვანურ სიტყვას „ღვაბ“-ს, თუ „ღვებს“ უკავშირებს, რაც ჩაღრმავებულ ადგილს



ს. ღები მე-20 საუკუნის სამოცდაათიან წლებში.

ნიშნავს. შეიძლება, ეს ვარაუდი სიმართლეს მოკლებული სულაც არ იყოს, რადგან სოფელი, მართლაც, მთებით შემოზღუდულ, ჩაღრმავებულ ადგილას არის გაშენებული. თუმცა, არსებობს სხვა, ასევე, დაუზუსტებელი და, შეიძლება ითქვას, ნაკლებად დამაჯერებელი ხალხური გადმოცემაც, რომელიც გასული საუკუნის 30-იან წლებში სამეცნიერო ექსპედიციის დროს ღებში ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჩაუწერია ცნობილ მეცნიერ-ეთნოგრაფს, ბატონ სერგი მაკალათიას. ამ გადმოცემის თანახმად, სოფელს, მოსისხლეების შურისძიებას გარიდებული ვიღაც მღებავი შეხიზვნია და ეს სახელი მისი საქმიანობის მიხედვით დარქმევია, თუმცა, არა მგონია, ეს გადმოცემა სარწმუნო იყოს და აი, რატომ: თუ ის მღებავი ამ ადგილს, სადაც ამჟამად გაშენებულია ღები, მაშინ შეეხიზნა, როცა იქ, მის გარდა, არავინ ცხოვრობდა, მას ვისთვის რა უნდა შეეღება, რომ ადგილს სახელი მისი საქმიანობის მიხედვით დარქმეოდა, ხოლო თუ მღებავი, მართლაც, შეეხიზნა ამ სოფელს, ცხადია, მას სახელი მის შეხიზვნამდე ერქმეოდა და აქ მცხოვრებ ხალხს ვიღაც უცხო ხიზნის საქმიანობის მიხედვით მშობლიური სოფლისთვის სახელი რატომ უნდა შეეცვალა.

ასე, რომ ეს გადმოცემა მაინცდამაინც დამაჯერებელი არ უნდა იყოს, მაგრამ დაე, იარსებოს ამ თუ სხვა მსგავსმა ლეგენდამ და გადმოცემამ. ისინი ხელს არავის არაფერში შეუშლიან და არც არავის დააბრკოლებენ სახელის წარმომავლობის გარკვევისას. პირიქით, მსგავსი თქმულებები და გადმოცემები კვლევა-ძიებისკენ უბიძგებს ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს. ისე კი, ნამდვილად სასურველია და, იქნებ, აუცილებელიც,

თუ სპეციალისტები უფრო გააქტიურებენ ამ კუთხით კვლევა-ძიებას და ჭეშმარიტებასაც დროულად დაადგენენ – ნამდვილად ვიღაც მღებავს უნდა უმადლოდეს ღები ამ სახელის შერქმევას, თუ სოფლის სახელწოდება სულ სხვა წარმომავლობისაა.

ღებს გვერდით ორი მდინარე ჩამოუდის. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი: სოფელი ორი მდინარის – რიონისა და ჩვეშურის ხერთვისთან, ზღვის დონიდან 1350 მეტრზე მდებარეობს. (ქსე, ტ.10. გვ. 584)

ჩვეშური პატარა მდინარეა, შეიძლება ითქვას, ადგილობრივი მნიშვნელობის. იგი კირტიშოს მყინვარებში იბადება და ღების ბოლოში მაშინ ამთავრებს არსებობას, როცა ფასის მთიდან ტალღების გახელებული თქარათქურით, სოფელში, ურა ცხენის ჭიხვინით შემოვარდნილი ბობოქარი რიონის ტალღებს შეერთვის. მერე მასთან ერთად თავიდან ბოლომდე გადაიჭირითებს დასავლეთ საქართველოს მადლიან მხარეს და თავისი სამშობლოს საქვეყნოდ ცნობილ საზღვაო ჭიშკარს – ფოთს თავს დაუკრავს და შავ ზღვაში ჩაიკარგება, რათა მსოფლიო წყლების ნაწილად იქცეს...

მანამდე კი, როგორც უკვე აღვნიშნე, საქართველოს ეს მარადიული დედა-მდინარე – რიონი ღებს შუაში ჩაუდის და სოფელს ორ ნაწილად ჰყოფს. უნდა ითქვას, რომ სოფლის ორად გაყოფა პირობითია და დასახლების მდინარის გაღმა-გამოღმა მდებარეობით არის განპირობებული. უფრო სწორი იქნება, ვთქვათ: გაღმა-გამომა ღები.

ღები, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ადრეც და ახლაც, იმითაც იყო და არის გამორჩეული, რომ იგი ქვეყნის ჩრდილოეთის საზღვრის ჩამკეტი ფორპოსტია და საქართველო ჩვენი, ქართველების სამშობლო და საცხოვრისი, სწორედ აქედან იწყება. ამასთან ერთად, მასზე ხალხმრავალი სოფელი რაჭაში, ვგონებ, არც ადრე და, მით უმეტეს, არც ახლა არ უნდა იყოს. აქ მეორე მსოფლიო ომამდე საქართველოს სტატისტიკის სამმართველოს მონაცემებით 1939 წელს ღებში 735 კომლი, ანუ 3631 სული ცხოვრობდა. აქედან გონაში 329, ხოლო კარობის მუშათა დასახლებაში 119 სული. ხოლო ამჟამად გაღმა-გამოღმა ღებში სამას კომლამდე მუდმივი მაცხოვრებელია. აღარაფერს ვამბობ, გაზაფხულსა და ზაფხულში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დასასვენებლად ჩამოსულ ღებელებზე.

მართალია, ღებში მცხოვრები ეს სამასი კომლი, თუნდაც ხუთასიც რომ იყოს, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ სოფელს თუ შევადარებთ, საკმაოდ მცირერიცხოვნად მოგვეჩვენება, მაგრამ ნახევრადდაცლილი რაჭისათვის სამასკომლიანი დასახლება ამ კუთხისთვის ხალხმრავალ სოფლად ჩაითვლება.

რაც შეეხება სოფლის წარსულს, როგორც მისი მკვიდრის აწ განსვენებული ცნობილი მეცნიერი-არქეოლოგის, ბატონ გერმანე გობეჯიშვილის მიერ წლების განმავლობაში ბრილისა და ღების ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოირკვა, ღები და მისი

მიმდებარე მიდამოები ძველი წელთაღრიცხვის მეოცე საუკუნეზე ბევრად ადრე ყოფილა დასახლებული, ისიც აღსანიშნავია, რომ იგი არა მარტო უბრალოდ დასახლებული ყოფილა, არამედ აქ მცხოვრები მოსახლეობა კულტურისა და ყოფა-ცხოვრების მაღალი დონით მეტოქეობას უწევდა თურმე იმდროინდელი ცივილიზებული ქვეყნების სოფელ-ქალაქებს. ამაზე ნათლად მეტყველებს ღებისა და ბრილის ტერიტორიაზე მოპოვებული უნიკალური მატერიალური კულტურის ძეგლთა ნიმუშები. იმავე არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი ნივთიერი ძეგლების საფუძველზე დასტურდება, რომ იმდროინდელი ბრილისა და ღების მოსახლეობას მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები ჰქონია ანტიკური სამყაროს თითქმის ყველა ცივილიზებულ ქვეყანასთან.

ამასთან ერთად, ღების მიდამოებში მიკვლეულია მეტალურგიის და სამთამადნო წიაღისეულ სიმდიდრეთა დამამუშავებელი უნიკალური კერები, მათ შორის, რკინის სადნობი ქურები, სადაც, როგორც ლადო ასათიანი ამბობს, „ხალიბურ რკინას ადნობდნენ მამაცი ხალიბელები“.

აქედან გამომდინარე, დღეს, ალბათ, არავისთვის საეჭვო არ უნდა იყოს საქართველოსა და ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიისათვის ჩვენი სამშობლოს უკიდურესი ჩრდილოეთის საზღვრისპირა სოფელ ღების უდიდესი მნიშვნელობა. თუმცა, არ შეიძლება, აქვე ისიც არ ითქვას, რომ სოფელი, როგორც წარსულში, ისე ამჟამადაც არანაკლებ როლს ასრულებს საქართველოს ცხოვრებაში იმით, რომ იგი მუდამ საიმედოდ იცავდა და დღესაც ფხიზლად იცავს ჩვენი სამშობლოს ჩრდილოეთ საზღვარს ყველა ჯურის ავისმოსურნე გადამთიელისაგან. მის, როგორც წარსულში ქვეყნის ფხიზელი მოდარაჯის როლს, მშვენივრად ადასტურებს ღებში დღემდე შემორჩენილი არაერთი ხალხური თქმულება-გადმოცემა, ლექსი თუ ლეგენდა, სადაც ასახულია ქვეყნის ჩრდილოეთის მხრიდან შემოჭრილ მოძალადე უცხო ტომების წინააღმდეგ სამშობლოს საზღვრის დამცველ ღებელთა თავდადებული ბრძოლები და გამარჯვებები. თუმცა, ამგვარ ზოგად განცხადებას, ალბათ, ამის დამადასტურებელი ისეთი მაგალითების მოშველიება აჯობებს, როგორიც არის ამ სოფლის გმირული წარსულის დამადასტურებელი ტოპონიმი „ნაყური“.

ეს სახელი ღების ცენტრში ერთ-ერთ მოზრდილ მოედანს ჰქვია.

ენა, მართლაც, რომ უჩვეულო ფენომენია თავისი ლექსიკური მარაგითა და ტოპონიმიკური სამკაულებით. სიტყვაში (ენაში) ერის ღვთაებრივი სულია დავანებული. ალბათ, ამიტომაც „პირველითგან იყო სიტყუაჲ და სიტყუაჲ იგი იყო ღმრთისა თანა, და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“. (იოანე. 1,1).

ტოპონიმში, ანუ ამა თუ იმ გეოგრაფიული ადგილის სახელწოდებაში, ხშირად ქვეყნის გარდასული ისტორიის ნაწილია ჩაკირული და განივთებული, რომლის ახსნა და ამოცნობა ზოგჯერ შეუძლებელია. მაგრამ არის

ისეთი ტოპონიმებიც, რომელთა მოკლე სახელწოდებაში ჩადებული ვრცელი შინაარსის ამოცნობა შედარებით ადვილად ხერხდება. მით უფრო, თუ მასთან გარკვეული ხალხური გადმოცემაცაა დაკავშირებული, რომელშიც მოცემულია ამ სახელწოდების ამხსნელი სიტყვების გასაღები.

უკვე ვთქვი, ღებში სოფლის ერთ-ერთ მოედანს „ნაყური“ ჰქვია-მეთქი. „ნაყური“...

მე მგონია, იგი მეტად საინტერესო, ულერადი და თითქმის რაღაცნაირი იდუმალებით მოცული სიტყვაა, ერთგვარად ცნობისმოყვარეობის აღმძვრელ-გამაღიზიანებელი, ხოლო თუ ამ სიტყვის წარმომავლობასაც ჩავუღრმავდებით და გამოვიძიებთ, დავრწმუნდებით, რომ მასთან სოფელში მეტად საინტერესო გადმოცემაა დაკავშირებული.

სათქმელი შეიძლება, ერთგვარად, კიდეც გამიგრძელდეს, მაგრამ ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ამ გადმოცემას ბარემ აქვე მცირეოდენი შემოკლებით გავიხსენებ.

დარწმუნებული ვარ, ადამიანთა უმეტესობა ძველადაც ცდილობდა, მეზობლებთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა და მშვიდობიანად ეცხოვრა, რადგანაც ყველამ იცოდა, სხვას თუ ავნებდა, ვერც თვითონ გადაურჩებოდა ხიფათს. „შენ რომ სხვას მოჰკლავ, შენც მოგკვლენ, მტერს არ შეარჩენს გვარია“,-ო, თუმცა, მაშინაც, ჩვენი დროისა არ იყოს, ამგვარ ბრძნულ შეგონებებს აგრერიგად როდი უწევდნენ ანგარიშს. ალბათ, ამიტომაც წარსულშიც საკმაოდ ხშირი იყო კუთხეებისა თუ მხარეების ერთმანეთზე თავდასხმა, მეზობლების ურთიერთ მიხტომ-მოხტომა და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდება. როგორც ჩანს, ამ მხრივ გამონაკლისს არც ღები წარმოადგენდა.

როგორც ჩვენს დრომდე შემორჩენილი გადმოცემა გვაუწყებს, ერთხელ ღებს თავს დიგორელი ოსები დასხმიან. ეს, ალბათ, მე-17 საუკუნის შემდეგ მოხდა, როცა საქართველოს დაუძლურებული სამეფო თავის ერთ-ერთ კუთხეს, დვალეთს უკვე ვეღარ აკონტროლებდა. ეს მხარე ოსურმა მოსახლეობამ დაიკავა და იქ მცხოვრები ძირძველი ქართველობა მოძალებულ დამპყრობლებს შეერწყა და შეერია.

ღებიდან 5-6 კილომეტრის მოშორებით, ჩრდილოეთით, მდ. ჩვეშურის ხეობაში ერთ-ერთ ადგილს ქვაციხურა ჰქვია. აქ ძმებს, ქვაციხისელებს ციხე ჰქონიათ და იქვე, ამავე ციხეში უცხოვრიათ. მათ ნასახლარ ვაკეზე, ზედ მთების ძირას, მოაქჟამამდე დევს პრეისტორიული ხანის უზარმახარი კლდე-ლოდი, რომელზედაც ყოფილა დაშენებული იმ ძმები ქვაციხისელების ციხე. „ქვაც იხურაო“, იმ უზარმაზარ ქვაზე ციხის დაშენების შემდეგ უთქვამს ხალხს და ამიტომ დარქმევია იმ ადგილს „ქვაციხურა“. ძმები ქვაციხისელები, თურმე, დღედაღამ ფხიზლად იცავდნენ ღებს, ანუ საქართველოს ჩრდილოეთ საზღვარს მთის გადაღმიდან შემოჭრილ მომთაბარე ტომთა თავდასხმებისაგან.

ერთხელაც ღების ასაკლებად წამოსული ასეთი მარბიელი ლაშქარი დროულად შეუნიშნავს ერთ-ერთ ძმას, ივანეს და ეს ამბავი უმალ სოფლისთვის უცნობებია.

ღებელები მტერს მომზადებული დახვედრიან და უთანასწორო ბრძოლაში გაუმარჯვიათ კიდეც. ხალხს თავისი გმირული გამარჯვების ამბავი ხალხური ლექსით შემოუნახავს:

„დიგორსა დასხდნენ ვაზირნი, რჩეული ბადელოვანი*
მთანი და მთანი ავწონოთ სავალად კირტიშოვანი.
ქვაციხეს რომ შემოვიდნენ, გზანი დაუხვდათ კლდოვანი,
წინ ივანე შეეფეთათ გამბედავი, ძალოვანი.
ფიცხლად შინისკენ გაფრინდა, ვით შევარდენი ფრთიანი,
ციხის დუროზე შეიჭრა, მაღლით დაიწყო ხმიანი:
– ვაჟებო, ფრთხილად იყავით, საქმეა ღალატიანი!
დილა გათენდა მზიანი, ლაშქარსა გახდა ხმიანი.
გაელაშქრნენ საომრად, მტერს მისცეს დიდი ზიანი,
გამყრელიძესა აქებენ, რომელს იესე ჰქვიანო,
ქართული ხმალი გასტეხა,სისხლი ყუასა სცხიანო.
ოსებსა ხოცვა დაუწყეს, ჯირკებივითა ჰყრიანო,
სამარეც აღარ აღირსეს,ღორის ნათხარში ჰყრიანო.
გიჯობდა ჯანხოტიშვილო, არ ასტეხოდე ღებსაო,
გეჭამოს ოსის ქარჯინა, გამოდგომოდე თხებსაო“.

მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. როცა ღებელი ვაჟკაცები დიგორელ ოსებთან გაცხარებული ბრძოლაში იყვნენ, ბავშვების, ქალების და მოხუცების ამარა დარჩენილ სოფელს, საძარცავად, მარყალელი თათრები დასცემიან, მაგრამ მტერზე გამარჯვებულ ღებელებს მოუსწრიათ და მათთვისაც მუსრი გავლიათ.

მოკლულ მტრებს ღებელები, თურმე, ყურებს აჭრიდნენ და სოფლის მთავარ მოედანზე ყრიდნენ. გადმოცემით, მოჭრილ ყურებს ის მოედანი ერთიანად დაუფარავს და ხალხსაც ამის გამო იმ ადგილისთვის „ნაყური“ დაურქმევია.

ამის დამადასტურებელ არავითარ ისტორიულ წერილობით საბუთს ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ ხალხში დღემდე შემორჩენილი ეს გადმოცემა და სოფლის უმთავრესი მოედნის სახელწოდება „ნაყური“ თავისთავად იძენს უტყუარი ისტორიული საბუთის მნიშვნელობას.

---

* ბადელოვანი – დეალეთში მცხოვრები, ოსებში გათქვეფილი ქართველები ბადელიძეების ფორმაშეცვლილი გვარი.

ამ გადმოცემიდან გამომდინარე, ასე მგონია, რომ წარსულში მოკლული მტრისათვის ყურის მოჭრის ჩვეულება, ღების გარდა, სხვა ქართული კუთხეებშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

მოკლული მტრისთვის ყურის მოჭრა, როგორც ვაჟკაცობის დასტური, მერე ამით სხვების წინაშე თავის მოწონება, ძველად, ალბათ, ისეთივე ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა, როგორც, ვთქვათ, ხევსურებისთვის მოკლული მტრისთვის მკლავის მოჭრა და შინ მიტანა. ამას მაფიქრებინებს (ტოპონიმ „ნაყურთან" ერთად) აკაკი წერეთლის ცნობილ პოემაში „ორი ქართველი" აღწერილი ამბავი, სადაც ასეთი სტრიქონებია:

„მაგრამ დასთქვეს ძმობილობაც,
ბეგარა და სამსახური,
რომ მიუძღვნან ერთმანეთსა
მათგან მოჭრილ მტრისა ყური.

დაშაშხულის ყურებითა
ზანდუკები სავსე დახვდათ"!

ღების წარსულის გასაცოცხლებლად, ვფიქრობ, გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს კიდევ ერთ ტოპონიმ – „სახიზნოს"-თან დაკავშირებულ ლეგენდა-გადმოცემას. იგი ხუთი-ექვსი წლის ბიჭუნას ოთხმოც წელს გადაცილებული სალომე ლობჯანიძისაგან (გოგნიეეთი) მომისმენია და დღემდე დამამახსოვრდა.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს გადმოცემა წერილობით არსად არ არის დაფიქსირებული. ამიტომ ღების ისტორიის ეს საინტერესო ფურცელი მომავალ თაობებს რომ არ დაეკარგოთ, აქ თავიდან ბოლომდე ისევე უცვლელად გავიხსენებ, როგორც იგი სალომე ბებიამ ბავშვობაში მე და ჩემს თანატოლებს ტკბილი ქართული ზღაპარივით გვიამბო.

თავისთავად სალომე ბებია ერთობ კოლორიტული ქალბატონი გახლდათ და არც მისი ორიოდე სიტყვით გახსენება იქნება ურიგო. იგი ტანხმელი, მაღალი ქალი იყო. მიუხედავად ასაკისა, (როგორც უკვე ვთქვი, ამ დროს იგი ოთხმოც წელს იქნებოდა გადაცილებული) წლები აგრერიგად არ ეტყობოდა. ყოველ შემთხვევაში, არც მოხრილი გახლდათ, როგორც ეს ხშირად ემართებათ ასეთ ასაკს მიახლოვებულ ადამიანებს, არც ჯანმრთელობას უჩიოდა. სიარულითაც საკმაოდ ყოჩაღად დადიოდა, თუმცა, ხელიდან ჯოხს არ იშორებდა.

სალომე ბებიამ უამრავი ძველი ამბავი, ზღაპარი, ლეგენდა და გადმოცემა იცოდა. თანაც ყოველივე ამას ისე მიმზიდველად ყვებოდა, არ შეიძლებოდა, ყური არ დაგეგდო და არ მოგესმინა, თუნდაც ასაკოვანი ყოფილიყავი და თუნდაც პატარა. გული ახლა იმაზე მწყდება, რომ იმ

დროს ისეთი არავინ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი, რაც მან იცოდა, ჩაეწერა და მომავალი თაობებისთვის შემოენახა. როგორც ჩანს, განსვენებულმა ყველაფერი საფლავში ჩაიტანა და ამჟამად სოფლის ისტორიის ნაწილი ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია. ამიტომაც „სახიზნოსთან" დაკავშირებულ ამ გადმოცემას, ბევრ სხვა რამესთან ერთად ისიც რომ არ დაიკარგოს, სიტყვა-სიტყვით გიამბობთ.

ერთხელ ღებს, თურმე, ჭირი მოსდებია. მთელი სოფელი ისე გაუნადგურებია, რომ მკვდრების დამმარხავი აღარავინ დარჩენილა. საქმეს ისიც აძნელებდა, რომ სიკვდილის შიშით, ჭირისაგან გარდაცვლილებთან მიახლოვებას თვით აქა-იქ ცოცხლად შემორჩენილი ახლობლებიც ველარ ბედავდნენ. ბოლოს ხალხმა, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, გადაწყვიტა, ჭირიან სოფელს გარიდებოდა. თურმე, ცოცხლად გადარჩენილები ღებიდან აიყარნენ, რიონის ხეობას აღმა აჰყვნენ და იქ ერთ მყუდრო ადგილზე დაესახლნენ. ისე გაიარა მრავალმა წელმა, რომ არც ერთ გახიზნულს ღებისკენ ერთხელაც არ გაუხედავს, მანამ, სანამ ერთმა მათგანმა არ გაბედა და მამა-პაპის ნასახლარს არ დაუბრუნდა. ეს მოხდა ძალიან დიდი ხნის შემდეგ. მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და ამის მერე ღები ხელახლა აღდგა და გაშენდა. დროებით ნასახლარს ხალხმა „სახიზნო" უწოდა. ამ ადგილს დღეს ასე ჰქვია.

ღებში გავრცელებულ სხვა თქმულებებისა და ლეგენდების თხრობას აღარ გავაგრძელებ, მხოლოდ აქვე დიდი ქართველი პოეტის, გიორგი ლეონიძის მიერ საქართველოს მთიანეთზე, კერძოდ, ამირანის კავკასიონის მთაზე მიჯაჭვის დამსურათხატებულ სტრიქონებს გავიხსენებ:

„მთა მთაზე მოჩანს მაღალი,
არწივის ჩრდილით ფარული.
თავზე თოვლაგადანაყარი,
წარღვნიდან ამოპარული.
ხან ჩანს მზის ამოსახედი,
ხან შავ ნისლების ნახირი,
მეხის ნიაღვრის ხმას ერთვის
ხმალდარტყმულ ვეფხის ძახილი!

აქ დაბეს ამირანი,
აქ დაარტყეს რკინის ურო"

ეს სტრიქონები კაცს ყურში რომ ჩაგესმის, განსაკუთრებით იმას, ვისაც მთის რაჭის უკიდურეს სოფელ ღების სანახებიდან ყომრალ ნისლებში გახვეული კავკასიონისთვის თვალი ერთხელ მაინც შეუვლია, უთუოდ ასე ეგონება, პოეტი ნამდვილად ღების სანახებში – ნაყურში, ლორგოთავს,

სოფლის წყაროსთან თუ ჯვარიყანაში იდგა, შესცქეროდა სოფლის გარშემო მცველებად შემოჯარულ, ფერხისას მროკავი ვაჟკაცებივით ერთმანეთზე ხელიხელგადახვეულ, ცისთვის თავებმიბჯენილ ალპურ მთებს და მათზე მაღალ თოვლიან მწვერვალებს, სევდამორეული მდუმარებით უყურებდა, უფლის ბრძანებით როგორ აჯაჭვავდნენ ღებისკენ პირქუშად მზირალ პიტალო კლდეებს ადამიანებისთვის ციდან ცეცხლის მომტან ამირანს, როგორც აკაკი ერთ თავის ლექსში ამბობს, რომლის, „გულს ცეცხლი არ ნელდებოდა, უსამართლო ძლიერებას მონურად ქედს არ უხრიდა“... გასცქეროდა და ღვთიური მადლით მირონცხებულ პოეტს აქაური ბუნების უბადლო პეიზაჟის ზედმიწევნით დამსურათხატებელი ეს ზემოთ მოთხრობილი კურთხეული სტრიქონები ქაღალდზე გადაჰქონდა, რომ სამშობლო მხარის უჩვეულო სილამაზის ხილვით აღძრული და გულში დაუტეველი განცდა მკითხველისთვის გაეზიარებინა.



ღები 1890 წელს. ფოტო ვიტორიო სელასი.

როცა პოეტურ სიტყვაში ასე ხელშესახებად გაცოცხლებული მშობლიური კუთხის ხოტბის შემსხმელი სტრიქონების კითხვას ჩაათავებ, რომელთა შორისაც იმასაც წაიკითხავ: „აქ დააბეს ამირანი, აქ დაარტყეს რკინის ურო“-ო, გმირის მიჯაჭვის ადგილის ასე ზოგადად მიმნიშნებელი სიტყვებით გაღიზიანებულ ჩემისთანა ფანტაზიის მოყვარულ კაცს არ შეიძლება ცნობისმოყვარეობა არ აღეძრას და ადამიანთა მოსარჩლე გმირის მიჯაჭვის კონკრეტული ადგილის ძიება-მიგნების სურვილი არ გაუჩნდეს. გაუჩნდეს და სხვა ვინმეს თუ არა, საკუთარ თავს მაინც არ დაეკითხოს, არსებობდა კი სინამდვილეში ის დალოცვილი ამირანი? ხოლო თუ არსებობდა, პოეტი რომ ამბობს, აქ დააბეს ამირანი, აქ დაარტყეს რკინის ურო, სახელდობრ, ამით რომელ ადგილს მიგვანიშნებს, სად იგულისმხმება ეს „აქ“?.

ეჰ, ფიქრი ერთხელ თუ დაიძრა, მერე მას რა შეაჩერებს. ხოლო ამ ძნელად გასაცემ კითხვაზე ერთ-ერთი სავარაუდო პასუხი, ალბათ, ასეთი იქნება: „არარაისგან თვითონ ღმერთიც ვერარას შექმნის“* „უცეცხლოდ

---

* ლუკრეციუსი „საკანთა ბუნებისათვის“ თარგმანი პ. ბერაძის.

კვამლი არ აბოლდება“ და „რაც არ დაჭდება, რა აფრინდება“. (ანდაზები) ამ სამი, სხვადასხვა კონტექსტში გამოხატული სიბრძნიდან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ ოდესღაც ნამდვილად არსებული გმირთა გმირი და მასთან დაკავშირებული ამბები დროთა განმავლობაში თანდათან გაზღაპრებულა და ლეგენდების ბურუსში გახვეულა. თუმცა, ხალხი დავიწყებით მაინც არ ივიწყებს მისთვის თავდადებული გმირის ამბავს და თაობიდან თაობაზე გადაცემით ჩვენამდე, მართალია, შეცვლილს და გაბუნდოვანებულს, მაგრამ მაინც მოუღწევია.

ბავშვობაში ჩემი თანასოფლელი გლეხკაცის, თემურ გავაშელიშვილისგან (ოლელეეთი) მომისმენია: ამირანი კავკასიონის ქედზე ერთ ღრმა და ბნელ გამოქვაბულში მსხვილი ჯაჭვით არის დაბმული და თავზე უზარმაზარი მთა ახურავს. ეს ჩვენი რიონი სწორედ იმ კლდიდან და მთიდან მოედინებაო. ქვეყანამ იცის, რომ რიონი, ფასის მთიდან იღებს სათავეს. ასე რომ ღებელ გლეხკაცებს ამირანის მიჯაჭვის ადგილად დღემდე ფასის მთა ეგულებათ. კაცმა რომ თქვას, რაღა მარტო ღებელებს! ძველი ბერძნებისთვისაც ხომ პრომეთე-ამირანის მიჯაჭვის ადგილი კავკასიონის მთა – ამარანტმთა, ანუ ამირანის მთა იყო!

ამირანის შესახებ ყველა ქართულ თქმულებაში გმირთა გმირი მჭედლებზეა გაბოროტებული და მათზე შურისძიება სწყურია.

რატომ, რა იმალება ამ გაზღაპრებულ თქმულებაში?

ამირანი ხომ ციდან ადამიანებისათვის ცეცხლის მომტანად და რკინის დამუშავების პირველ მოძღვრათმოძღვარად და ოსტატად ითვლება, ხოლო მისი მოწაფეები რკინის პირველი გამომდნობნი და დამმუშავებლები მჭედლები იყვნენ. ის მჭედლები, რომლებმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველად მათივე კეთილისმყოფელი და ხელობის მოძღვრის, ამირანის თავისუფლების აღმკვეთი ბორკილები გამოჭედეს. ამასთან ერთად, ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სწორედ ღების მიდამოებშია აღმოჩენილი უძველესი მაღაროები, და რკინის გამოსადნობი ქურები, რამაც ასახვა პოვა ამირანის შესახებ შექმნილ ლეგენდა-თქმულებებში. თუმცა, უმჯობესია, ყოველივე ამის კვლევა სპეციალისტებს მივანდოთ. მე კი ჩემი თხრობის საგანს დავუბრუნდე იმ იმედით, რომ დიდსულოვანი მკითხველი ამ ერთგვარ ლირიკულ გადახვევას უთუოდ შემინდობს.

ფრონტისპირა სოფელი

1942 წლის შემოდგომის მზიანი დღეები იდგა. მეორე წელი ილეოდა, რაც ორი სამყარო სამკვდრო-სასიცოცხლოდ შებმოდა ერთმანეთს. კაცობრიობის არსებობის მანძილზე არნახული, სასტიკი და დაუნდობელი ბრძოლები მიმდინარეობდა. იმჟამად ყველაზე მრისხანე ბრძოლები კავკასიონის მისადგომებთან იყო გაჩაღებული, სადაც საბჭოთა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა. გერმანელთა ჯარები შეუვალ კედლად აღმართულ კავკასიონის ორწოხებს თავგამეტებით აწყდებოდნენ და გაშმაგებული მონდომებით ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, გაერღვიათ მოწინააღმდეგის თავდაცვითი პოზიციები, გადაელახათ კავკასიონის ქედი, შემოჭრილიყვნენ საქართველოში, დაეპყროთ იგი და მთელი კავკასიის ბატონ-პატრონად გამხდარიყვნენ. ცხადია, თუ ამას მიაღწევდნენ და ამასთან ერთად, ხელთ იგდებდნენ ბაქოს ნავთობის უმდიდრეს საბადოებს, ძნელი სათქმელი იყო მერე რა მოხდებოდა. იცოცხლეთ, გერმანელ ფაშისტებს, გეგმები და მიზნები თავიანთ სასარგებლოდ, დიდებული ჰქონდათ, მაგრამ მათ განხორციელებას წინ უამრავი დიდი თუ მცირე წინააღმდეგობები ხვდებოდა! მათგან უმთავრესი, იყო, საბჭოთა ჯარებისა და ხალხის გაუტეხელი ნება, დაეცვათ სამშობლო და მტრისთვის არც ერთი გოჯი მიწა უბრძოლველად არ დაეთმოთ. თუმცა, ყოველივე ეს სულ სხვა საუბრის თემა გახლავთ და, კაცმა რომ თქვას, ჩემი თხრობის მიზანს არც წარმოადგენს. ხოლო თუ მაინც ვიგონებ, მხოლოდ იმიტომ, რომ მას უშუალო კავშირი აქვს ამ ჩანაწერების უმთავრეს საკითხთან.

...შემოდგომა ღებელი გლეხკაცისთვის, წელიწადის სრულიად გამორჩეული დრო გახლავთ. ღებშიც და სხვაგანაც, სწორედ შემოდგომაზე აბინავებენ მიწაზე მოწეული მთელი წლის ნაშრომ-ნაამაგარს, რასაც ღებელებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, თიბვის სეზონიც ემატება.

საქმე ის არის, რომ ღები მთის სოფელია, სადაც მეურნეობის ძირითადი დარგი მესაქონლეობაა. ეს დარგი ღებელისთვის იგივეა, რაც კახელი გლეხკაცისთვის მევენახეობა, ჯავახელებისთვის – მეკარტოფილეობა, ქართლელებისათვის – მეხილეობა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთათვის – მეცხვარეობა და ასე შემდეგ. ვინც მესაქონლეობას კარგად იცნობს, დამეთანხმება, რომ ღებელი გლეხკაცი შემოდგომაზე სამყოფი თივის მო-

უმარაგებლად საქონელს ზამთარში ვერ გამოკვებავს და ვერც შეინახავს. ხოლო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გარეშე დარჩენილი აქაური გლეხკაცის ოჯახი, ძალიანაც რომ ეცადოს, ვერც იარსებებს. ეს საზოგადოდ. კონკრეტულად კი აქვე, ბარემ, ამასაც ვიტყვი: კავკასიონის გადაღმა, სადაც გერმანელთა ჯარის ნაწილები იდგნენ და მთებს აქეთ ცდილობდნენ გადმოსვლას, სულ რაღაც რამდენიმე კილომეტრში ჩემი მშობლიური სოფელი – ღები იყო.

იმ დროს, როდესაც სოფლის ბრძოლისუნარიანი მამაკაცები ფრონტზე იბრძონდნენ, სავალდებულო სამსახურში გაწვევის ვადას გადაცილებული კაცები, ქალები და ბავშვობის ასაკიდან ის-ის არის გამოსული ბიჭები ერთიანად მინდორში იყვნენ გაკრეფილები. ვინ მოსავალს იღებდა, ვინ კიდევ – თივას ამზადებდა ჯერ კოლექტივის ფერმისთვის, ხოლო, როცა საზოგადო საქმეს მორჩებოდნენ, – საკუთარი ოჯახისთვის. ასეთი გახლდათ იმ დროის ყველასათვის სავალდებულო კანონის აუცილებელი მოთხოვნა.

ასე რომ მთელი სოფელი – დიდიან-პატარიანად მინდორში იყო გასული. მათ შორის, ჩვენი ოჯახის ყველა წევრი, ჩემს გარდა.

მე, მაშინ ექვსი-შვიდი წლის ბიჭუნა, თანატოლებთან ერთად თამაშით ვერთობოდი, როცა ერთ დღეს საკმაოდ მრავალრიცხოვანმა სამხედრო რაზმმა ორღობე ამოიარა, ჩვენი ეზოს ჭიშკარი შეაღო და სახლის წინ თავი მოიყარა.

ეს რომ დავინახე, თამაში შევწყვიტე და სახლს მივაშურე. ნაწილობრივ, – ცნობისმოყვარეობით, ნაწილობრივ, – იმის გასაგებად, ის უცხო ხალხი ჩვენს ეზოში რატომ შევიდა.

სამხედრო რაზმს სასოფლო საბჭო თავმჯდომარეც ახლდა. ალბათ, ამიტომაც რაზმმა თავი უფლებამოსილად ჩათვალა (ეს დიდი ხნის შემდეგ გავიგე, თორემ მაშინ რა ვიცოდი, ან ჯარს რისი უფლებები ჰქონდა, ან ადგილობრივ ხელმძღვანელს) პატრონის დაუკითხავად მის სახლსა თუ კარ-მიდამოში დაბანაკებულიყო.

ერთი სიტყვით, დავინახე თუ არა რომ ჯარისკაცები ჩვენს სახლში დაბანაკდნენ, ყველაფერს თავი მივანებე და უმალ იქით გავეშურე, სადაც სამუშაოდ წასული მშობლები მეგულებოდნენ. ის ადგილი კი სოფლიდან დაახლოებით 2-3 კილომეტრის მოშორებით იყო.

ამ მანძილის გავლა მაშინ არც ჩემთვის და არც ჩემი თანატოლი ღებელი ბიჭებისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ საქმეს ის ართულებდა, რომ მდ. ჩვეშურის ერთი ტოტი ხიდის კურტამს აქეთ გადმოსულიყო და ხიდამდე მისასვლელს კეტავდა. კეტავდა ჩემი ასაკის ბავშვისთვის, თორემ კურტამს აქეთ გადმოსული წყალი უფროსებს პრობლემას ვერ შეუქმნიდა. მე კი, სანამ იმ ტოტს არ გადავლახავდი, ხიდზე ვერ მოხვდებოდი, ხოლო თუ ხიდზე ვერ მოხვდებოდი, ვერც გაღმა გავიდოდი და, ცხადია, ვერც მშობლებს შევატყობინებდი მომხდარ ამბავს. ამიტომაც უკან გამობრუნება არც მიფიქრია.

დღესაც კარგად მახსოვს, როგორ შევედი წყალში, რომელიც ყველაზე ღრმა ადგილას მკერდამდე მომწვდა, მაგრამ გაღმა ნაპირს როგორღაც მაინც მშვიდობიანად გავაღწიე. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მთის მდინარის წყალი, პატარაც რომ იყოს, ძალიან ჩქარი და ძლიერია, ალბათ, დამეთანხმებით, 6-7 წლის ბიჭისთვის რამდენად ძნელი და სახიფათო შეიძლება ყოფილიყო მისი გადალახვა. მახსოვს, მაშინაც და შემდეგაც, ოჯახში როგორი გაკვირვებულები იყვნენ ამით და არც კი სჯეროდათ, რომ ვინმეს დაუხმარებლად გავედი იმხელა წყალში.

როცა მშობლები ჩემს საღ-სალამათობაში დარწმუნდნენ, დაწვრილებით ვუამბე რაც მოხდა სოფელში. მათ მინდორში მუშაობას მაშინვე მიანებეს თავი და შინისკენ გამოეშურნენ.

არ მახსენდება, მინდვრიდან შინ მობრუნებულ მშობლებს, ჩვენს კარმიდამოში დაბანაკებული სამხედრო რაზმის ხელმძღვანელობის მიმართ რაიმე ფორმით უკმაყოფილება გამოეხატოთ და ამაში არც არაფერია გასაკვირი. მაშინ ყველას – დიდსაც და პატარასაც – მშვენივრად ესმოდა, რომ საბჭოთა ჯარი ჩვენს ქვეყანას და ხალხს, ასევე, მთელ ცივილიზებულ მსოფლიოს ყველაზე კაცთმოძულე, ბოროტი მტრის – ფაშიზმისაგან იცავდა. მოსახლეობა ჯარს ყველგან – ღებშიც და საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზეც – მტრისაგან თავის დამცველად და განმათავისუფლებლად მიიჩნევდა. მიიჩნევდა და ისიც პირნათლად ასრულებდა კიდევაც ამ მოვალეობას.

რაც შეეხება ჯარს, ის ჩვენს სახლში და, ასევე, სოფელშიც, მანამდე იყო დაბანაკებული, სანამ მტერი კავკასიონის მისადგომებიდან საბოლოოდ არ განიდევნა. ამ ხნის განმავლობაში სოფელი ფრონტისპირა სოფლის ცხოვრებით ცხოვრობდა და ათენ-აღამებდა. ღების ცაში ღამღამობით განუწყვეტლივ დაფრინავდნენ საბრძოლო თვითმფრინავები, ხოლო დღისით მოსახლეობა სანგრებს თხრიდა. ფრონტის ხაზი ღებთან იმდენად ახლოს იყო, რომ მზის ჩასვლის შემდეგ წყვდიადჩამოწოლილში ნასროლი ჭურვები ბნელეთს დღესავით ანათებდა და მათი გრუხუნის ხმა სოფელშიც გარკვევით ისმოდა.

ალბათ, აუცილებელი არც არის იმის თქმა, რომ სოფელში დაბანაკებული რეგულარული არმიის ნაწილები დღედაღამ სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. ამას გარდა, სოფელში იმ მამაკაცებისაგან, ვისაც ასაკის, თუ სხვა მიზეზით მოქმედ არმიაში გაწვევა არ ეკუთვნოდა, მუშათა ბატალიონი ჩამოყალიბდა და ყველანი მასში გააერთიანდნენ. მამაჩემიც, როგორც მოქმედ არმიაში გასაწვევ ასაკს გადაცილებული, ამ ბატალიონში მსახურობდა.

ბატალიონის ყოველდღიური ცხოვრება ბევრად არ განსხვავდებოდა მოქმედი არმიის ჯარისკაცთა ცხოვრებისაგან. ეს არც იყო გასაკვირი. იმ დროს სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაბმული ქვეყნისთვის ზურგიც ფრონ-

ტი იყო. მუშათა ბატალიონის ხელმძღვანელთა შორის, სხვა ღებელებთან ერთად, იყვნენ შალვა ლობჯანიძე (მჭედლიანთი) და სერგია ლობჯანიძე (ჩოპეენთი).

ზოგს, შეიძლება, ამის გაგება გაუჭირდეს და იკითხოს, გვარ-სახელის მერე ეს „მჭედლიანთი“ და „ჩოპეენთი“ რაღა საჭიროა, ან რას ნიშნავსო?

საქმე ისაა, რომ მთის რაჭაში ოდითგანვე დამკვიდრებულია ერთი ჩვეულება. კერძოდ, ღებში ძვირად თუ ვინმეს მოიხსენიებენ გვარით. ამის მიზეზი ის არის, რომ სოფელში შეიძლება რამდენიმე სერგია ცხოვრობდეს, ამასთან ყველა ლობჯანიძე და ყველა შიოს ძე იყოს. ასეთ შემთხვევაში მიდი და გაიგე, ოთხას-ხუთას გინდაც ამაზე ნაკლებ, მით უფრო, ბევრად მეტ კომლიან სოფელში, რომელ სერგიაზე, ბაცაზე ან ირაკლიზე არის საუბარი. ამიტომ არც თანასოფლელებმა და არც ვინმე უცხომ ზედმეტად რომ არ იწვალოს, ღებში ადამიანს არავინ მოიკითხავს გვარისა და სახელის მიხედვით. ოჯახს, გვარ-სახელის გარდა, ერთგვარი ზედწოდება, ანუ ვისიანობა გააჩნია და კაცს ამის მიხედვით გამოარჩევენ სხვებისგან. როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია – სერგია ჩოპეენთი ან შალვა მჭედლიანთი. ამგვარი ზედწოდების წყალობით ღებელები უმალ ხვდებიან საუბარ-მოკითხვისას უცხოს თუ შინაურს მათი რომელი მეზობელი ჰყავს მხედველობაში.

ეს წეს-ჩვეულება ღებელებს არც მზისაში დასახლების შემდეგ მოუშლიათ. ამიტომ თავს ნებას მივცემ, ის, ვისზედაც ქვემოთ მექნება საუბარი, უმეტეს შემთხვევაში ზედწოდება-ვისიანობით მოვიხსენიო. მანამ კი, სანამ საუბარს განვაგრძობდე, ამასთან დაკავშირებით ერთ განმარტებასაც შემოგთავაზებთ.

მახვილი თვალი უთუოდ შეამჩნევს, რომ ჩემი მოგონებების გმირებს ერთ შემთხვევაში ჯერ სახელით და ვისიანობის მაწარმოებელი ზედწოდებით მოვიხსენიებ, ასე, მაგალითად: სერგია ჩოპეენთი, სხვა შემთხვევაში პირველად ვწერ ზედწოდებას, მერე სახელს – ჩოპეენ სერგია.

ამის გამო ვინმემ, შეიძლება, იკითხოს: კი, მაგრამ რომელია უფრო სწორი და დასაშვები მიმართვის ფორმა.

უნდა გითხრათ, რომ ორივე სწორი და დასაშვები ფორმაა. განსხვავება მათ შორის ის გახლავთ, რომ როცა სიტყვა მოიტანს, ღებელი, ალბათ რაჭის სხვა სოფლელიც, თავისი თანასოფლელის სახელს ვისიანობის მაწარმოებელ ზედწოდებას თავში დაურთავს. ასე მაგალითად, მჭედლიან შალვა, მაგრამ სხვა შემთხვევაში იმავე თანასოფლელზე იტყვის – შალვა მჭედლიანთი და ამ დროს ვისიანობის მაწარმოებელ ზედწოდებას მისი მაწარმოებელი „ით“ ბოლოსართი დაერთვის. პირველ შემთხვევაში კი ზედწოდება – ვისიანობის მაწარმოებელი ბოლოსართი არ გააჩნია.

ერთიც:

მჭიდლიანი ან ჩოპეენი სოფელში მარტო ერთ ოჯახს არ ჰქვია. ღებში, ასევე, საზოგადოდ, რაჭის სხვა სოფლებშიც და, ალბათ, საქართველოს

არაერთ კუთხეშიც, ამგვარი ზედწოდებების, როგორიც არის „ჩოპოეენთი", „მეშედლიანთი" შეიძლება რამდენიმე ოჯახი იყოს. ისინი ყველანი ერთმანეთის ბიძაშვილები არიან. ერთ დროს, ერთი წინაპარი ჰყავდათ და ერთი საერთო საგვარეულო სახლიდან გასული (გაყოფილი) ძმების შთამომავლები არიან.

სერგია ლობჯანიძე

შალვა ლობჯანიძე

მაშ ასე: ახლა კი განვაგრძობ თხრობას და გეტყვით, რომ სერგია ლობჯანიძე თადარიგის ოფიცერი იყო, მაგრამ იმ დროს უკვე გლეხკაცის ცხოვრებაზე გადართული, ალბათ, ვერ წარმოიდგენდა, თუ კვლავ მოუწევდა ჯარში სამსახური. თუმცა, როგორც ჩანს, ცდებოდა. როცა ღებში მუშათა ბატალიონი ჩამოყალიბდა, როგორც თადარიგის ოფიცერი სამხედრო შტაბში გამოიძახეს და ბატალიონის რიგითი შემადგენლობის წვრთნა და ხელმძღვანელობა დაავალეს. უნდა ითქვას, რომ იგი უნაკლოდ ართმევდა თავს მასზე მინდობილ ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმეს.

რაც შეეხება შალვა ლობჯანიძეს, იგი იმ დროს თავის მოგვარესთან შედარებით ახალგაზრდა იყო, მაგრამ ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ფრონტზე ნაბრძოლი და უახლესი სამხედრო საქმისა თუ წესების მცოდნე და მათში ღრმად ჩახედული პიროვნება გახლდათ. იმ დროს იგი ბრძოლაში მიღებული ჭრილობების მოსაშუშებლად შინ დროებით იყო გამოშვებული. მოხდა ისე, რომ ღებში მოქმედი სამხედრო შტაბის მოთხოვნით ბატონი შალვა შემდეგ ფრონტზე ხელახლა გაწვევის ნაცვლად ადგილზე დატოვეს და მუშათა ბატალიონის ერთ-ერთი ქვედანაყოფის ხელმძღვანელობა მიანდეს. ფრონტზე სამხედრო ცხოვრების უმძიმეს დღეებგამოვლილი ჩვეული გულმოდგინებით მოეკიდა მინდობილ საქმეს და, როგორც ბატალიონის ისე სამხედრო შტაბის ხელმძღვანელთა შორის გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდა.

1944 წლიდან ბატონი შალვა უკვე ქლუხორში გადასახლებულთა შორის არის. და როგორც უმაღლესი განათლების მქონეს და პარტიის წევრს, რაიაღმასკომის თავმჯდომარედ ნიშნავენ. და ამ თანამდებობაზე ქარ-

თველების ქლუხორიდან უკან, საქართველოში დაბრუნებამდე რჩება. იგი ერთ-ერთი უპატიოსნესი, პრინციპული, კეთილშობილი, საქმის მცოდნე და გულისხმიერი ხელმძღვანელი გახლდათ. მისი სჯეროდათ, უყვარდათ, აფასებდნენ არა მარტო ისინი, ვინც მასთან ერთად მუშაობდა, არამედ რაიონის მთელი მოსახლეობა, რიგითი ადამიანები, რომელთაც ხელმძღვანელისაგან უპირველესად ყურადღება და საქმეში გულისხმიერება სჭირდებოდათ.

„თუ ვინმეს რამე გაუჭირდებოდა, დახმარების სათხოვნელად ყველა მასთან მიდიოდა და მისი კაბინეტიდან გამოსული ადამიანები მუდამ კმაყოფილი იყვნენ ბატონი შალვას მიერ მათ მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებით," – იგონებს იმ დროს ქლუხორში ნაცხოვრები ქალბატონი ქეთევან ებანოიძე-საყვარელიძისა და იგი ამით არა მარტო თავის, არამედ ქლუხორელი ქართველების დიდი უმრავლესობის აზრს გამოხატავს.

ქლუხორიდან წამოსვლის შემდეგ ბატონი შალვა, მეუღლესთან და ორ ქალიშვილთან ერთად, ონის რაიონში დაბრუნდა. აქაც იგი პარტიულ სამუშაოზე აგრძელებს საქმიანობას და ჩვეული გულმოდგინებით ეკიდება მასზე მინდობილ დიდ თუ მცირე საქმეს.

უნდა ითქვას, რომ მას არც ქლუხორში და არც ონში მუშაობისას არასოდეს უღალატნია პრინციპისათვის, – გაეცა იმდენი, რამდენსაც მისგან ქვეყანა მოითხოვდა და ეცხოვრა მაღალი იდეალების ერთგული ადამიანის უმწიკვლო ცხოვრებით.

მე ბატონი შალვა პირველად ღებში, ბავშვობისას ვნახე, მუშათა ბატალიონის წევრებს რომ ავარჯიშებდა. ქლუხორში ცხოვრებისას იგი ახლოს გავიცანი და იმთავიდან დღემდე ისეთი შეხედულებით დავრჩი მასზე როგორც, ზემოთ უკვე მოგახსენეთ.

სიკვდილის გზაზე...

ომემოდგომა მიიწურა. დაზამთრებას და სოფელში თოვლის ჩამოყრას ალბათ, ბევრი აღარაფერი აკლდა. სწორედ ამ ხანებში ღებში დაბანაკებული ჯარის შტაბიდან ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ ნალჩიკში საბჭოთა ჯარის სარდლობისათვის რაღაც მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო ინფორმაციის მიტანა გახდა აუცილებელი. ვისაც ამ საქმის შესრულება დაევალებოდა, იგი ღებიდან მარტოდმარტო უნდა წასულიყო ჩრდილოეთ კავკასიაში. გადაეარა უკვე დათოვლილი, ძნელად გადასალახავი კავკასიონის ქედი, გაევლო ვრცელი და მეტად სახიფათო, მომქანცველი რუსეთის ტრამალები და, დავალების პირნათლად შესრულებას რომ თავი დავანებოთ, თუ საკუთარი სიცოცხლე რამედ უღირდა, რითაც სურდა და როგორც სურდა, გვერდი აევლო და ისე შეუმჩნევლად გადაეკვეთა ფრონტის ხაზი, რომ გერმანელებს ხელში არ ჩავარდნოდა, თორემ დავალებას ხომ ვერა და ვერ შეასრულებდა. ამასთან, რაც მათ ტყვეობაში დაემართებოდა, ყველაფერი საკუთარი თავისთვის უნდა დაებრალებინა. ერთი სიტყვით, საიდუმლო სამხედრო დავალების შესასრულებლად მიმავალს უნდა დაეძლია ყოველგვარი მოსალოდნელი გასაჭირი თუ მოულოდნელად წამოჭრილი დაბრკოლება. გამძვრალიყო ნემსის ყუნწში. საჭირო შემთხვევაში, ქცეულიყო უჩინმაჩინად, გამოება ფრთები, აფრენილიყო ცაში, ჩამძვრალიყო მიწაში, თუ სხვაგან, სადაც უნდოდა, მაგრამ ნალჩიკში უთუოდ ჩასულიყო და საბჭოთა ჯარის სარდლობისათვის გადაეცა მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო ცნობა. თანაც, ყოველივე ეს მოკლე დროში უნდა მოესწრო.

ახლა ძნელია ჩემთვის იმის გარკვევა, თუ რით იყო განპირობებული ის ამბავი, რომ ეს მეტად რთული და პასუხსაგები ამოცანა, თუ საიდუმლო სამხედრო დავალება, რაც გნებავთ ის უწოდეთ, მაინცდამაინც ღების მუშათა ბატალიონის რომელიმე რიგით წევრს უნდა შეესრულებინა და არა რეგულარული არმიის ასეთ საქმეებში გამოცდილ ოფიცერსა თუ ჯარისკაცს. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ეს საქმე არც ისე ადვილი შესასრულებელი იქნებოდა არამცთუ ისეთი არასამხედრო პირისთვის, როგორიც მუშათა ბატალიონის რიგითი წევრი იყო, არამედ თვით ამგვარი საქმეებისათვის კარგად გაწვრთნილი პროფესიონალისათვისაც კი.

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ამინდი სულ უფრო უარესდებოდა და არამცთუ მთებში, უკვე ბარშიც ხვავრიელად თოვდა.

ასე იყო, თუ ისე, მოგეხსენებათ, ომში არავინ დაგიდევს, შენ რა გუნებაზე ხარ, ესა თუ ის საქმე მოგწონს თუ არა, ან გარეთ რა ამინდია. ღებში განლაგებული სამხედრო შტაბის უფროსმა ბრძანა, მუშათა ბატალიონის წევრებიდან შეერჩიათ ისეთი, ვინც ამ საპასუხისმგებლო დავალებას სხვებზე უკეთ შეასრულებდა. შეიძლება, აქ ამის თქმა არც იყოს აუცილებელი, მაგრამ შტაბის უფროსის ხელქვეითებს, ალბათ, მიახლოებით მაინც ეცოდინებოდათ, რა დავალება იყო შესასრულებელი.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ამ საქმისთვის მუშათა ბატალიონის რამდენიმე წევრი შეირჩა. შტაბის ხელმძღვანელობამ თითოეული ცალ-ცალკე გამოიძახა და საგანგებო დავალების შესასრულებლად ნალჩიკში წასვლა შესთავაზა.

მალაქია ლობჯანიძე ქალიშვილთან, სარასთან და სიძესთან, ლადო ლოცულაშვილთან ერთად. 1947 წელი.

სწორედ შესთავაზა და არა უბრძანა, ალბათ, იმიტომ, რომ მუშათა ბატალიონის წევრები ასაკგადაცილებული, არასამხედროვალდებულები იყვნენ, ხოლო საგანგებო დავალების შემსრულებელს გარკვეული მოთხოვნები უნდა დაეკმაყოფილებინა; შტაბის ხელმძღვანელობა დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ მის მიერ შერჩეული პირი უთუოდ შესძლებდა დავალების შესრულებას. ამ საქმისთვის შტაბში გამოძახებულმა ღების მუშათა ბატალიონის თითოეულმა წევრმა იგრძნო, რომ ნალჩიკში წასვლაზე თანხმობა საკუთარი სიცოცხლის აშკარა საფრთხეში ჩაგდებას ნიშნავდა. გმირობას და თავდადებას ყველას ვერ მოვთხოვთ... ვინც როგორ მოახერხა, ისე შესძლო ამ საფრთხის თავიდან აცილება.

საქმე საშური გახლდათ და ნალჩიკში საგანგებო დავალების შესასრულებლად გასაგზავნი კაცი სასწრაფოდ უნდა შეერჩიათ. შეარჩიეს კიდეც... მამაჩემი, მალაქია ლობჯანიძე და თავიანთ უფროსობას მის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს.

შტაბის უფროსი, ცხადია, საგანგებოდ დაინტერესდა, სხვებთან შედარებით, რა უპირატესობა ჰქონდა ამ კაცს ასეთი ძნელი და სახიფათო დავალების შესრულებლად, ანუ რა განსაკუთრებული ნიშნით შეარჩიეს იგი.

მოახსენეს: – მალაქია ლობჯანიძე 1918-20 წლებში ჯარში მსახურობდა და სხვებზე უკეთ ერკვევა სამხედრო საქმეში. მამაჩემი ნამდვილად იყო ჯარში ნამსახური, მაგრამ სამხედრო საქმეში სხვებზე უკეთ ერკვეოდა თუ

არა, ეს არავინ იცოდა. შტაბის უფროსს, ალბათ, ასე იმიტომ მოახსენეს, რომ უფრო ადვილად დაერწმუნებინათ იგი ბატალიონის სხვა წევრებთან შედარებით მამაჩემის უპირატესობაში.

ზოგიერთმა მამაჩემის დახასიათებისას ზემოთ ნათქვამს ესეც დაუმატა: მას მთასვლელობის გამოცდილებაც აქვს. 1927 წელს გიორგი ნიკოლაძის თაოსნობით მყინვარწვერზე ჯგუფური ასვლისას მეწინავე ხუთეულში შედიოდაო. ამ მოგონებებზე მუშაობისას საგანგებოდ დავინტერესდი ამ ფაქტით და მისი დამადასტურებელი დოკუმენტური მასალის მოძიება ვცადე, მაგრამ ვერ მივაკვლიე. ისე კი, თვითონ მამაჩემისგან გამიგონია, რომ იგი მყინვარწვერზე სხვებთან ერთად ნამდვილად ავიდა და ისიც მეწინავეთა შორის რომ იყო, მაგრამ გიორგი ნიკოლაძის თანაგუნდელთა შორის იყო თუ არა, ამაზე თავს ვერ გამოვიდებ. მყინვარწვერის დამლაშქვრელთა შორის კი ნამდვილად რომ იყო, ამაში საეჭვო არაფერია.

ამას გარდა, მამაჩემის შესახებ შტაბის უფროსისთვის ესეც უთქვამთ, ალბათ, მისი პირადი საქმის გაცნობის შემდეგ:

– მალაქია ლობჯანიძე თითქმის სანახევროდ ნალჩიკშია გაზრდილი და. რუსულ ენას უნაკლოდ ფლობს.

– მეორე კაცი არ მოინახება ღებში, ვინც მასავით კარგად იცის ნალჩიკამდე მთებზე გადასასვლელი გზა-ბილიკები. თვალებიც რომ აუხვიოთ, ნალჩიკში ისე ჩავა, ნაბიჯი არ შეეშლება.

და კიდევ: – ნალჩიკში მისი ორი ძმა ცხოვრობსო.

სხვადასხვა გზით მამაჩემის შესახებ შეკრებილი მონაცემები შტაბის უფროსმა თავის ხელქვეითებს მაინც გადაამოწმებინა თურმე და იგი სწორი აღმოჩნდა.

ამგვარი გადამოწმება-დაზუსტების შემდეგ მამაჩემი შტაბში იხმეს. მისცეს კონკრეტული დავალება. დაარიგეს, როგორ უნდა მოქცეულიყო და ემოქმედნა ძნელ, გამოუალ პირობებში ჩავარდნილს, დაუთქვეს სამხედრო პაროლი „როდინა“., ჯიბეში, ყოველ შემთხვევისთვის, ერთი უბრალო, გასაშლელი დანა ჩაუდეს და პატიოსანი კაცი ძაღლს რომ კარში არ გააგდებს, ისეთ ამინდში, მკაცრი ზამთრის ერთ ღრუბლიან დილას ათასგვარი ხიფათით აღსავსე გზას გაუყენეს. გზას-მეთქი, ვამბობ, სულმნათი ვაჟასი არ იყოს, თორემ, გზას, რომელსაც მამაჩემი გაუდგა, სიკვდილის გზა უფრო ეთქმოდა, ვიდრე ჩვეულებრივი გზა-სავალი, ყოველ ნაბიჯზე დანაღმული იყო და ზემოდან ფიფქი თოვლით დაფარულ ნაპრალებს ჯოჯოხეთივით ბნელ და თვალჩაუდგმელ უფსკრულში ედგა ძირი. ამას გარდა, ცადაზიდული მწვერვალებიდან სულ მცირე ხმაურზე, თუ ათასი სხვა მიზეზით, ან სულაც უმიზეზოდ, შეიძლება, ერთბაშად დაძრულიყო ყოვლისწამლეკავი ზვავები. დაძრულიყო და უზარმაზარ ხეობათა პირდაფჩენილ ხახაში ჩაეტანა არა მარტო სიკვდილ-სიცოცხლის ბეწვის ხიდზე გადებულ გზაზე მიმავალი მარტოხელა მგზავრი, რომელიც ცასა და ქვე-

ყანას შუა სიცოცხლის ჩაუქრობელ წერტილად მარტოდმარტო იძროდა ამ პირველყოფილ ულმობელ სამყაროში, არამედ ყველაფერი, რაც მთებიდან მოწყვეტილი თოვლის ამ უზარმაზარ მასას ნებსით თუ უნებლიეთ შემთხვევით წინ დახვდებოდა.

აქ ბუნებას არავის დანდობა არ სჩვეოდა და არც ვინმეს სიცოცხლე ულირდა რამედ მრისხანე სტიქიას.

ამ და მოულოდნელად წამოჭრილ არაერთ სხვა ხიფათს თუ გადაურჩებოდა, გასავლელად წინ ედო არანაკლებ გულცივი და ულმობელი, ერთიანად დათოვლილი მინდვრები, სადაც დახმარების იმედი არავისგან არ უნდა ჰქონოდა. ვთქვათ, გასაჭირში ჩავარდნილისთვის, ვინმეს თუნდაც ცარიელი მანუგეშებელი სიტყვა ეთქვა. მშიერისთვის – ლუკმა მიეწოდებინა. დაღლილი – მოუსვენებინა, დამზრალი – გაეთბო და გაყინული – გაელღო.

ყველა სხვა ხიფათს რომ ხელიდან დაძვრენოდა, სულ ადვილად შეიძლებოდა, თოვლით დაფარულ ამ უკიდეგანო, ერთფეროვან თეთრ უდაბნოში კაცს მხარი ქცეოდა და გზა ვერ გაეგნო, რაც თავისთავად სიკვდილს ნიშნავდა. მაგრამ თუ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა გასაჭირს ასე თუ ისე მაინც გაუძლებდა და აიტანდა, წინ არანაკლებ სახიფათო ფრონტის ხაზი უნდა გადაელახა, სადაც გერმანელთა ტყვიას რომ გადარჩენოდა, ტყვედ ჩავარდნის საშიშროება სულაც არ იყო გამორიცხული, რაც დაახლოებით ამას ნიშნავდა: გინდა მგელს შევუჭამივარ და გინდაც მგლისფერ ძაღლსაო.

არა მგონია, მამას არ სცოდნოდა, რა საფრთხეში იგდებდა თავს, როცა დავალების შესრულებაზე თანხმდებოდა. არ ვიცი, შტაბში ისეთი რა უთხრეს, და სხვებივით მანაც რატომ არ თქვა უარი ამ ურთულესი დავალების შესრულებაზე. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, სასიკვდილო განაჩენზე. დარწმუნებული ვარ, თუ მოინდომებდა, სხვა მისი თანაბატალიონელებივით, ისიც არაერთ მიზეზს გამონახავდა ამ იძულებითი მოგზაურობის თავიდან ასაცილებლად და ყველა ეს მიზეზი დამაჯერებელი იქნებოდა. მაგრამ ასე მგონია, მისი ბუნებიდან გამომდინარე, მამამ უბრალოდ ტყუილის თქმა არ იკადრა და სინამდვილეში როგორიც არ იყო, ისეთად არ ეჩვენა სამხედრო შტაბის უფროსს. ჰოდა, ამ გადამეტებულმა გულწრფელობამ, უეშმაკობამ, სიმართლის ერთგულებამ, სიამაყემ და თავმოყვარეობამ კინაღამ იმსხვერპლა. მართალია, ყოველგვარ ხიფათს ცოცხლად გადარჩენილმა ჯოჯოხეთის ცხრავე გარსი გამოიარა, მაგრამ ამისთვის ერთი უბრალო მადლობაც არავის უთქვამს. პირიქით კი მოხდა: ჯერ გერმანელების ხელში ტყვედ ჩავარდნილი და მერე საბჭოთა ციხეში ყალბი ბრალდებით ცხრა თვეს გამოკეტილი ალალ-მართალი კაცი, დახვრეტას, მართლაც, სასწაულით რომ გადაურჩა.

ამის შემდეგ ბევრს შეეძლო, ეთქვა მამაჩემისთვის: მალაქია, ახია შენზე, რაც გადაგხდა, მადლში ვინ ჩაგაგდო, რაც გააკეთეო და ამგვარი ნიშ-

ნისმომგებნი მართალიც იქნებოდნენ. მაგრამ ყოველგვარ საქმეს სხვაგვარი ახსნაც აქვს. ერთ-ერთი ის გახლავთ, რომ ყველა კაცს თავისი ზნეობა მართავს და კაცი თავის თავს ვერ გადაახტება. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა გვარიანად წამოზრდილს მამამ ეს ამბავი მიამბო, ჭაბუკური სიფიცხითა და წინდაუხედაობით ვკითხე, არ შეიძლებოდა, ამ განსაცდელისთვის უარის თქმით თავი აგერიდებია-მეთქი.

გაეცინა.

მითხრა, ალბათ, ასეც შეიძლებოდა მოვქცეულიყავი მაშინ, ვთქვათ, კოლმეურნეობის ბრიგადირს ყანის სამარგლად რომ გამოვეძახე. მართალია, ჩვენს ნაწილს მუშათა ბატალიონი ერქვა, მაგრამ სინამდვილეში მეც სხვასავით სამხედრო მოსამსახურე ვიყავი და სამხედრო ბრძანების შეუსრულებლობის ნება არ მქონდაო.

შენი თანაბატალიონელები თუ წავიდნენ სამხედრო ბრძანებისა და წესდების წინააღმდეგ, შენ მათგან გამორჩეული რითი იყავი-მეთქი, ეს რომ ვუთხარი, რაღაცნაირი ნაწყენი და უკმაყოფილო სახით შემომხედა და მომიგო: ყველა კაცი ამ ქვეყანაზე თავისი ბედით და კაცობით ცხოვრობს. ისეთი რამე არ უნდა გააკეთო, მერე მთელი სიცოცხლე რომ ინანო, ეს რა მომივიდაო. ახლაც მიმაჩნია, რომ მაშინ სწორად მოვიქეცი და წარსულზე სულაც არ ვდარდობო.

ვერაფერს იტყვი. ისე გამოდის, რომ ეს მისი ბედისწერა იყო და ბედისწერის გარდაულობას დამორჩილებული სიკვდილს ეთამაშებოდა.

ჩვენი საუბარი მაშინ ამით დასრულდა.

კარგია, როცა ყველაფერი კარგად მთავრდება და გასაჭირიც ჩავლილია, მაგრამ ახლაც გულწრფელად ვამბობ, მამა თუნდაც რომ დაღუპულიყო იმ დავალების შესრულდებისას, მისი საქციელი მაინც ბევრად უფრო საამაყო და გამართლებული იქნებოდა, თუნდაც ჩემს თვალში, ვიდრე იმათი, ვინც ეშმაკობით შინ დარჩა და თავი გადაირჩინა. ბოლოს და ბოლოს, ვიღაცას ხომ უნდა შეესრულებინა სამხედრო დავალება, ის მალაქია იქნებოდა, გიორგი თუ სანდრო.

ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, თითქოს ბევრი რამ ადვილად გეჩვენება კაცს, მაგრამ ჩემთვის დღესაც ძნელად დასაჯერებელია, მარტოდმარტომ როგორ გადალახა ამდენი ხიფათით აღსავსე მთები. ან გზა როგორ არ დაებნა იმ უკიდეგანო ტრიალი მინდვრების ერთიანად დათოვლილ ერთფეროვან გარემოში. ამხელა მანძილის გავლისას რას ჭამდა, სად ეძინა, როგორ არსად გაიყინა, ანდა, მინდორში თავს დატეხილი ქარბუქისაგან დახრჩობას როგორ გადაურჩა?! აქ კიდევ არაერთი კითხვა „რატომ“ და „როგორ“ დაისმის, რომლებზეც პასუხის გაცემა, ამდენი ხნის შემდეგაც ძალიან ძნელია.

ისე კი ნალჩიკში მიმავალ მამას რომ ეგონა, ყოველგვარი გასაჭირი უკან დარჩა და უკვე სამშვიდობოს ვარ გასულიო, მოულოდნელად ტყვედ ჩაუვარდა გერმანელებს.

კაცმა რომ თქვას, ამას არც მთლად მოულოდნელად ტყვედ ჩავარდნა ეთქმოდა. უზარმაზარ სიგრძეზე გაჭიმულ ანუ, როგორც მაშინ ერთმა ქართველმა პოეტმა თქვა – „ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე“ გადაჭიმულ ფრონტის ხაზზე მოულოდნელად თავს დატეხილი განსაცდელი ღებელ გლეხკაცს ან აქ წამოეწეოდა, ან სხვაგან. ეს მამამ თუ არ იცოდა, მის იქ გამომგზავნებს მაინც ხომ უნდა სცოდნოდათ! იქნებ იცოდნენ კიდეც. იქნებ კი არა, ნამდვილად ეცოდინებოდათ, მაგრამ ომი ომია და ომში გასამარჯვებლად ჯარისკაცმაც და გენერალმაც ის უნდა აკეთოს, რასაც მისგან გამარჯვების აუცილებლობა მოითხოვს. განა ომი ყოველდღე მამაჩემისთანა ათასობით კაცს არ იწირავდა? ომში ჯარისკაცის სიკვდილი ხომ ისეთივე ბუნებრივი ამბავია, როგორც მშვიდობიან დროს დილით ჯანმრთელი ადამიანის საწოლიდან წამოდგომა.

მამამ, გერმანული არ იცოდა. არც გერმანელებში აღმოჩნდა ვინმე რუსულის მცოდნე. სამაგიეროდ, მისდა გასაოცრად, ქართველი მოინახა უცხოთა შორის.

იგი, როგორც რამდენიმე ხნის შემდეგ, იგონებდა მამა, თურმე მაღალი, მხარბეჭიანი, ათლეტური აღნაგობის, წარმოსადეგი ახალგაზრდა კაცი იყო, ასე 25-26 წლის. მას მამაკაცურად მიმზიდველ სახეს შავი თვალწარბი და მოკლედ შეკრეჭილი შავი ულვაშები უმშვენებდა.

თუმცა, თავიდან არ ვიცოდი, ვინ იყო, მაგრამ ოთახში დასაკითხად რომ შემოვიდა, ისე ძალიან ჰგავდა ქართველს გერმანელი ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი უცნობი, რომ კინაღამ სკამიდან წამოვდექი, როგორც თანამემამულეს ჩამოსართმევად ხელი გავუწოდე და ქართულად მივესალმე, მაგრამ უცებ გამახსენდა, ტყვე რომ ვიყავი და რომ არაფერი შემშლოდა, თავი დროზე შევიკავეო, – იგონებდა მამა ომის შემდეგ.

ახლა ძნელია იმის თქმა, როგორ მოახერხა თარჯიმანმა გერმანელების დარწმუნება, ამას მზვერავ-ჯაშუშობის არაფერი ეტყობა, ნამდვილად თავისი გასაჭირით შეწუხებული გლეხია და საეჭვო და გასაკვირი არ უნდა იყოს, როგორც თვითონ ამბობს, დახმარების სათხოვნელად ნალჩიკში ძმებთან მიდიოდესო.

ასე იყო თუ სხვაგვარად, ამაზე ლაპარაკი დღეს მხოლოდ ვარაუდებით შეიძლება. მით უმეტეს ამის შესახებ არაფერი უთქვამს მამას. ერთი კია, იმ უცნობი ქართველის გამოქომაგებამ მამა ნამდვილად გადაარჩინა სიკვდილს.

მერეც, იმ დალოცვილს, მამა ტყვეობიდან რომ დაუხსნია, როგორღაც დრო უხელთებია და გაუფრთხილებია, ნალჩიკში ახლა გერმანელები არიან და მეტი სიფრთხილე გმართებს, თორემ, ერთი ბრმა ტყვია არც შენთვის დაილევა. ასე თუ მოხდა, მაშინ ვერც გამომგზავნთაგან დანაბარებ ამბავს მიიტან ადგილზე და ყველაზე ძვირფას სიცოცხლესაც დაკარგავ. ბედი მუდამ როდი გაგიღიმებს. მიზეზთა და მიზეზთა გამო მოსარჩლედ

და მხსნელად გერმანელებთან მყოფი დადიანი, ჯანდიერი თუ ერისთავი ყოველთვის ხომ არ შეგხვდებაო.

ერთი სიტყვით, ბედის უკუღმართობით თუ იმ დროისათვის დამახასიათებელი სახელმწიფო ინტერესებით, გინდაც სხვა რაღაც მიზეზებით, მოწინააღმდეგეთა ბანაკში მოხვედრილმა უცნობმა, ჩვენმა თანამემამულე დადიანმა, ჯანდიერმა თუ ერისთავმა, რომლის ნამდვილი ვინაობა, ჩვენთვის, სამწუხაროდ, სამუდამოდ უცნობი დარჩება, თურმე ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ქართველი კაცის სისხლი ზედმეტად არ დაღვრილიყო. ერთხელ კიდევ დავსძენ, სწორედ მისმა მოხერხებულობამ და გონიერებამ იხსნა მაშინ მამა აშკარა დაღუპვისაგან.

ნეტავ საკუთარ მამულში ვიცოდეთ ქართველებმა ერთმანეთის ისე გატანა და მოფრთხილება, როგორც ეს უცხო მიწაზე მოხვედრისას ზოგჯერ მაინც გვჩვევია ხოლმე!

ტყვეობიდან თავდაღწეული მამაჩემისთვის ამ ღვთით კურთხეულს, ცოტაოდენი საგზლის გატანებაც მოუხერხებია, უამისოდ გზაში შიმშილი მოგკლავსო. ეს, მართლთაც, ასე მოხდებოდა, ვინაიდან ნაცემი, უსმელ-უჭმელობით დაუძლურებული ვერც დიდხანს გასძლებდა და ვერც ნალჩიკამდე დარჩენილ გზას გაივლიდა.

არ ვიცი, ის ღვთით კურთხეული კაცი ამუამად სად არის. სავარაუდოა, რომ ცოცხალთა შორის არც იყოს, თუმცა, ვინ იცის. ერთს კი შევთხოვდი უფალს: სადაც უნდა იყოს, ისიც და მისი მონაგარი, ღმერთმა დაიფაროს ავისა და ბოროტისაგან.

თავიდანვე სახიფათო გზაზე შემდგარმა მამამ, იქ კი დააღწია თავი აშკარა სიკვდილს, მაგრამ ნალჩიკში მაინც ვერ გადაურჩა ხელახალ დატყვევებას.

როგორც იმ უცნობმა კეთილისმყოფელმა გააფრთხილა, იმ დროს ნალჩიკში, მართლაც, იდგნენ გერმანელები. ქალაქში შესული მამა პატრულს გადააწყდა. უსაბუთო კაცი რომ ნახეს, დააკავეს და საპატიმროში უკრეს თავი. საპყრობილეში მყოფმა, როგორღაც მოახერხა და ნალჩიკში მცხოვრებ ძმებს თავისი გასაჭირი შეატყობინა. ისინიც დატრიალდნენ. მათი და კიდევ „ვიღაცების“ დახმარებით იმ ინფორმაციამ, რისთვისაც მამამ ამხელა გზა და გასაჭირი გამოიარა, ადრესატამდე მიაღწია. შემდეგ მოახერხეს და პატიმარი აშკარა დახვრეტას ხელიდან გამოსტაცეს, თუმცა, ციხიდან ვეღარ გამოიხსნეს. ერთადერთ იმედად პატიმარსაც და მის გულშემატკივართაც ის რჩებოდათ, რომ დღეს თუ ხვალ ნალჩიკს საბჭოთა ჯარები გაანთავისუფლებდნენ და მისი ტყვეობა და პატიმრობა ამით დამთავრდებოდა. მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. რამდენიმე კვირაში ნალჩიკი გერმანელებისაგან, მართლაც, გაანთავისუფლეს საბჭოთა ჯარებმა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, ასე დაემართა მაშინ მამაჩემს. შეიძლება დღევანდელი გადასახედიდან ვიფიქროთ,

ქვეყნისათვის გაწეული სამსახურის, ჯარისკაცური მოვალეობის პირნათლად მოხდის და გადატანილი უზომო გასაჭირისათვის ჯილდოს თუ არ მისცემდნენ, წესით უბრალო მადლობა მაინც უნდა ეთქვათ და უმალ შინ გამოეშვათ, მაგრამ მაშინ სულ სხვაგვარად უყურებდნენ ყოველ ფაქტს და მოვლენას. იმ დროს სახელმწიფოში მოქმედებდა, ერთი საკმაოდ გონივრული პრინციპი. ენდე და შეამოწმეო. არსებობდა კიდევ მეორე არანაკლებ მისაღები სიბრძნე თუ შეგონება: ყველაფერს ეჭვით შეხედე.

მათ, ვინც მამა გერმანელების ტყვეობა-პატიმრობისას დააკავეს, ეტყობა, თავისებური წინდახედულება გამოიჩინეს და ფაქტი სახელმწიფოებრივი პოზიციებიდან შეაფასეს: იყო კი ის კაცი ნამდვილად ის, რადაც თავს ასაღებდა, თუ... ერთი სიტყვით, საბჭოთა დაზვერვამ მამას გერმანელებზე არანაკლები ბრალდება წაუყენა: თუ შენ კარგი კაცი იყავი, ისეთი რა საქმე გქონდა, რომ ამ გაგანია ომსა და ზამთარში ღებიდან ასეთი ძნელი და გრძელი გზა ფეხით გამოიარე და ნალჩიკში ჩამოხვედი. მტრის ტყვეობაში ყოფნით თვალს ვერ აგვიხვევ და ვერ მოგვატყუებ. ჩვენმა მტრებმა ციხეში იქნებ განგებ ჩაგსვეს, მათ სასარგებლოდ შენი ჯაშუშობა რომ დაეფარათ. გამოვიკვლევთ ყველაფერს და თუ სამშობლოს მოღალატე ხარ, სამშობლოს მოღალატეს რაც ეკუთვნის, მისხალ-მისხალ მოგიზღავთო. ამაში არც მაშინ და არც დღეს იოტის ოდენადაც ვერ გაამტყუნებ იმათ, ვინც მომხდარ ფაქტს ამ კუთხით აფასებდა. მძიმე დრო იყო და თუ მამაჩემი თავის უდანაშაულობას არ დამტკიცდებოდა, ასეთი სასჯელი, ცხადია, არც მას ასცდებოდა.

მამა, რა თქმა უნდა, შეეცადა საბჭოთა გამოძიებისთვის აეხსნა, როდის, ვინ და რისთვის გამოგზავნა ნალჩიკში. უმიზეზოდ ეჭვმიტანილმა ისიც მოითხოვა, რომ მისი ნათქვამი გადაემოწმებინათ. გამოეკვლიათ, რა პირობებში მისცეს სამხედრო პაროლი „როდინა“, ვინ მისცა და ასე შემდეგ.

უნდა ითქვას, რომ სამხედრო გამოძიებამ მამაჩემის ნათქვამი თითოეული სიტყვა მათთვის არსებული და ხელმისაწვდომი ყველა არხით გულდასმით გადაამოწმა. ბედად სამხედრო შტაბის უფროსი, ვინც მამაჩემი ნალჩიკში გააგზავნა, ცოცხალი აღმოჩნდა. მან მამაჩემის მიერ სამხედრო გამოძიებისთვის მიცემული ჩვენება სიტყვა-სიტყვით დაადასტურა, რამაც იგი სამშობლოს მოღალატის ბრალდებისა და დახვრეტისაგან იხსნა.

განთავისუფლებით კი გაანთავისუფლეს, აბა, სხვაგვარად როგორ უნდა მომხდარიყო, როცა კაცი უდანაშაულო და ცამდე მართალი იყო. ეჰ, ამას კი ვამბობ ახლა, აბა, სხვაგვარად როგორ უნდა მომხდარიყო-მეთქი, მაგრამ ისიც ხომ ვიცი, რომ სულ ადვილად შეიძლებოდა, საქმე სულ სხვაგვარად წასულიყო. განა ცოტა მაგალითები ვიცით, როცა უდანაშაულოები უფრო მკაცრად დაუსჯია ეგრეთწოდებულ „მართლმსაჯულებას“, ვიდრე ნამდვილი დამნაშავენი.

ეტყობა, რომ ტყვეობაში ნამყოფი მამის მიმართ ეჭვი და მერე სიმართლის დასადგენად ყველაფრის ზედმიწევნით გადამოწმება, ქვეყნის უშიშროების მიზნებს ემსახურებოდა და, ამდენად, ალბათ გამართლებულიც იყო, მაგრამ... როცა გამოირკვა, რომ კაცმა ქვეყანას მთელი თავისი შეგნებით და შესაძლებლობით გვარიანი სამსახური გაუწია, რის გამოც მისი სიცოცხლე რამდენჯერმე ბეწვზე ეკიდა. ისიც დადგინდა, რომ არა მარტო უდანაშაულო, არამედ ქვეყნის უერთგულესი ჯარისკაცი იყო, სახელმწიფო რომ გქვია, თუ შენი მოქალაქის მიერ ქვეყნისადმი გაწეულ სამსახურს სათანადოდ არ აფასებ და ამ დაფასებას ჯილდოთი არ აღნიშნავ, შენთვის თავდადებულ კაცს ერთი უბრალო სიტყვიერი მადლობა მაინც უთხარი. თქვენც არ მომიკვდეთ! ეტყობა, ყველაფერი ბედია. ალბათ, ასეთ შემთხვევას გულისხმობს ბრძნული ხალხური ანდაზა: ბედი მომცა და სანაგვეზე დამსვაო.

ჩვენს ოჯახს, ცხადია, უმძიმეს პირობებში უხდებოდა ცხოვრება. მართალია, ომი იყო და მაშინ ყველას უჭირდა, მაგრამ ჩვენს გასაჭირს ოჯახის უფროსის უგზო-უკვლოდ დაკარგვა კიდევ უფრო ამძიმებდა. მამაჩემის ორი უმცროსი ძმაც ფრონტზე იყო და ოჯახმა არც მათი ამბავი იცოდა. მახსოვს, მეზობლები, სადაც მნახავდნენ, თავზე ხელს თბილად გადამისვამდნენ და თან მკითხავდნენ, მამაშენის შესახებ ხომ არაფერი გაგიგიათო. უარს რომ ვეტყოდი, თავს დანანებით გადაიქნევდნენ და გამშორდებოდნენ.

ოჯახმა არ იცოდა, თორემ, სოფელში, თურმე, რახანია, დადიოდა ჭორმართალი ამბავი: მალაქია გერმანელებს ტყვედ ჩავარდნიათ. ბევრი უწამებიათ და რომ ვერ გაუტეხიათ, დაუხვრეტიათო.

ომი იყო, სოფელში ცუდი ამბების მეტი რა მოდიოდა, მაგრამ, ეტყობოდა, მამაჩემის დახვრეტის ამბავი მაინც განსაკუთრებულად სტკენდა გულს ჩვენს მეზობლებს. თუმცა, ოჯახს არავინ აგრძნობინებდა, რომ რაღაც იცოდნენ, შეიძლება, იმიტომაც, რომ ბოლომდე არ სჯეროდათ მამაჩემის დახვრეტის ამბავი. ალბათ, ფიქრობდნენ: ომია, ომში კი ვინ იცის, რა არ ხდება. შეიძლება, ყველაფერი ჭორია, ის კაცი იქნებ ცოცხალია და ოჯახი ტყუილად რატომ უნდა გავამწაროთ. სანამ მისი დაღუპვის ამბავი ოფიციალურად არ მოვა, დეე, ელოდონ. თუ გამოჩნდა, ამას რა სჯობია, არადა, ცუდი ამბის გაგებას ოჯახი და ახლობლები ყოველთვის მოესწრებიანო. იქნებ, თავის მხრივ, მართლებიც იყვნენ ჩვენი გასაჭირით უზომოდ შეწუხებული კეთილი მეზობლები.

მამის უგზო-უკვლოდ დაკარგვას დედაჩემის ავადმყოფობაც ზედ დაერთო.

ამ პერიოდში სოფელს ტიფი მოედო და არაერთი ადამიანი იმსხვერპლა. ტიფი დედაჩემსაც შეეყარა და რამდენიმე თვე მისი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. სწორედ იმ დღეებში კავკასიონის მისადგომებთან საბჭოთა

და გერმანელთა ჯარების ნაწილებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა. ის ბრძოლა თუ ვისი გამარჯვებით დამთავრდა, ეს ყველასთვის ცნობილია. აქ კი მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენი ეზო, რომელიც სავსე იყო დაჭრილი ჯარისკაცებით, ნამდვილ საველე ლაზარეთს დაემსგავსა. დაჭრილთაგან ზოგი წყალს ითხოვდა, ზოგიც – შველასა და დახმარებას, სხვა კიდევ – ექიმს თუ ექთანს უხმობდა. მე და ჩემს თანატოლებს მათთვის აბა, რა დახმარების გაწევა შეგვეძლო, მაგრამ ერთთავად ეზოში ვტრიალებდით და დაჭრილებს არ ვშორდებოდით. მართალია, რუსულის ცუდი ცოდნა გვარიანად გვიშლიდა ხელს დაჭრილებთან ურთიერთობაში, მაგრამ ერთი რამ კარგად გვესმოდა: დაჭრილ ჯარისკაცს ყველაზე მეტად ექიმი და ექთანი სჭირდებოდა და ჩვენც წამდაუწუმ მათთან გავრბოდით. მე, ამავე დროს, დედაჩემთანაც შევირბენდი ხოლმე, რომ გამეგო მასაც ხომ არაფერი სჭირდებოდა. თუმცა, მასთან მუდამ იყვნენ ჩემი უფროსი დები.

კარგა ხნის ავადმყოფობის შემდეგ დედაჩემის მდგომარეობას საგანგაშო აღარ ეთქმოდა, მაგრამ საშიში არაფერიაო, ალბათ, ვერც ამას იტყოდა კაცი. ერთ უბრალო გაუფრთხილებლობას შეიძლებოდა, ავადმყოფობის გართულება მოჰყოლოდა.

შემოდგომა იდგა.

ერთ დღეს რაჭის ბარის სოფლებიდან ღებში გლეხებმა თავიანთ ეზოებში მოწეული ხილი და ყურძენი ამოიტანეს კარტოფილზე გასაცვლელად. ამგვარი აღებ-მიცემობა რაჭის მთასა და ბარს შორის მუდამ არსებობდა. ღებში ხილის ნაკლებობა იყო. მით უმეტეს აქ ვაზი, საერთოდ, არ ხარობს. სამაგიეროდ, ღების კარტოფილი განთქმულია მთელს რაჭაში. სამწუხაროდ, ღების მიწაზე მოსული, მთელ იმ კუთხეში განთქმული კარტოფილი, ბევრ რამესთან ერთად, ამ ბოლო დროს სრულიად გადაგვარდა და, ჩვენში, როგორც ბევრ სხვა რამეს, არც მას ჰყავს პატრონი, რომ მიხედოს, აღადგინოს და დაუბრუნოს ძველებური სახელ-დიდება.

ხანგრძლივად ლოგინში წოლითა და ავადმყოფობით გაწამებულმა დედამ მოულოდნელად ყურძენი ინატრა.

ჩემმა უფროსმა დებმა იუარეს, ამდენი ხნის განმავლობაში კვების ჩვეული რეჟიმიდან ამოვარდნილ, ნაავანდყოფარ ორგანიზმში რამე ზედმეტი გართულება არ გამოიწვიოს, არ გაწყინოს, უფრო უარესი რამე არ დაგემართოსო. ყოველ შემთხვევაში, სიფრხთილე გამოიჩინეს.

ამაზე უარესი რაღა უნდა დამემართოს, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე ვდგავარო, გაგვიცხადა შვილებს დედამ და ყურძენი ხელახლა მოითხოვა.

რაღას ვიზამდით, ავადმყოფმა ძლივს მოიხედა, რაღაც ინატრა და როგორ შეგვეძლო, მისი თხოვნა არ შეგვესრულებინა. თუმცა, როგორც ვთქვი, გულში მაინც გვეშინოდა, ამას მისი ჯანმრთელობის გაუარესება არ

მოჰყოლოდა. ნათქვამია, შეშინებულმა ძაღლმა ცხრა წელიწადს ჯირკვს უყეფაო. ჩვენც შიშის საკმაო საბაბი გვქონდა და გვეშინოდა.

ვუყიდეთ და შემოვუტანეთ.

ახლაც კარგად არ მახსოვს, ორი თუ სამი მტევანი შეეჭამა.

შვილები გარს ვეხვიეთ ავადმყოფი მშობლის საწოლს და შიშით ველოდით, ყურძნის ჭამის შემდეგ ხომ არ გაუარესდებოდა ავადმყოფის მდგომარეობა. მართალია, იგი იმ დროს უსასოო იყო, მაგრამ შვილებს, უფლის მერე, ამ ქვეყანაზე, ყველაზე დიდი იმედი მაინც დედისა გვქონდა.

არ ვიცი, ყურძნის იმ ორმა-სამმა მტევანმა მოახდინა სასწაული, თუ ძლიერ ორგანიზმს კრიზისი გადატანილი ჰქონდა და ავადმყოფს ყურძენმა ძალა და ენერგია დაუბრუნა, დედა მაშინვე ლოგინიდან წამოდგა და ოთახში ნელ-ნელა გაიარ-გამოიარა. იმ დღიდან გამოკეთება დაეტყო და სულ მალე სრულიად გამოჯანმრთელდა.

მოგეხსენებათ, დროს ვერაფერი აჩერებს. იგი მძიმედ, მაგრამ მაინც შეუჩერებლად მიდიოდა და თან მიჰქონდა შემოდგომის დოვლათი და მშობლიური მიწის მიერ უხვად მოტანილი ბარაქის მადლი და სურნელი. სამაგიეროდ, დედამიწაზე წარბშეკრული შემოდიოდა მკაცრი, სუსხიანი მთის ზამთარი. ამას ახლა ვგრძნობ, თორემ, მაშინ ექვსი-შვიდი წლის ბავშვისთვის წელიწადის ყველა დროს თავისი ხიბლი და სილამაზე ჰქონდა. მათ შორის არანაკლებ მომხიბლავი იყო ზამთარი თოვლით და სიცივით.

1943 წლის იანვრის ერთ ღრუბლიან შუადღეს, თანატოლებთან ერთად, ციგით მოსრიალე, ის იყო ჩვენი სახლის გვერდით გატკეცილ თოვლში თავქვე დაშვებული ორღობედან ვაკეზე გავედი, რომ პირდაპირ ფეხებში შევუარდი გახუნებულ სამხედრო მაზარაში გამოწყობილ კაცს.

იგი დაიხარა. ხელში ამიყვანა და გადამკოცნა.

ასე მოულოდნელად შევხვდით ეთრმანეთს მე და მამა ერთი წლის განშორების შემდეგ ჩვენი სოფლის ორღობეში.

მისი ჩამოსვლის შესახებ ოჯახში წინასწარ არავინ არაფერი ვიცოდით. დარწმუნებული ვარ, რომ მეზობლები, რომლებმაც წინდახედულება გამოიჩინეს და არ გაგვიმხილეს გერმანელების მიერ მამაჩემის დახვრეტის შესახებ სოფელში დავარდნილი ამბავი, უზომოდ კმაყოფილი იქნებოდნენ საკუთარი თავშეკავებით და წინდახედულებით.

უცხო მხარეში გამგზავრება

მამაჩემის სახლში დაბრუნების შემდეგ, დიდ დროს არ გაუვლია, სოფელში ხმა რომ გავარდა: ხალხს ჩრდილოეთ კავკასიაში ასახლებენ, ბინები უკვე მზად არის, მგზავრობის ხარჯებს და ტრანსპორტსაც მთავრობა გამოყოფს, ვისაც სურვილი აქვს, სიები დგება და ჩაეწერეთო.

ჩადით,

ნახეთ,

თუ ადგილიც მოგეწონებათ და ცხოვრების პირობებიც დაგაკმაყოფილებთ, დარჩით და იცხოვრეთ. არადა, თქვენი აქაური სახლ-კარი სად გაგექცევათ, დაბრუნდით და როგორც გიცხოვრიათ, ისევ ისე იცხოვრეთ, ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთ, რაც გაქვთ ესეც და ისიც, რასაც მომავალში შეიძენთო.

მამაჩემს ეს ამბავი, ეტყობა, ჭკუაში დაუჯდა. ჩანს, მისთვის მისაღები აღმოჩნდა პირობები, რომლებსაც ღებიდან წამსვლელებს სთავაზობდნენ. ამას ისიც ემატებოდა, რომ ადგილი, სადაც ხალხს ჩასახლებას უპირებდნენ, მისთვის ნაცნობი მხარე იყო... ზოგადად მაინც. მართალია, უშუალოდ ქლუხორში ნამყოფი არ იყო, მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვი, მამამ ახალგაზრდობის წლები ჩრდილოეთ კავკასიაში გაატარა და, ცხადია, გარკვეული წარმოდგენა მაინც ჰქონდა, სადაც უნდა წასულიყო. ამიტომ არც შეყოყმანებულა, ისე ჩაეწერა ღებიდან წამსვლელთა სიაში.

ახალ ადგილზე გადასახლების გამო დედ-მამას მაშინ გვარიანი უკმაყოფილება მოუვიდათ. დედას ცოცხალი თავით არ უნდოდა ღებიდან სადმე წასვლა და მშობლიური ადგილების მიტოვება. მით უმეტეს ასე შორს, სადღაც უცხო მხარეში სამუდამოდ გადაკარგვა. მიუხედავად იმისა, რომ დედა მეზობელ სოფელ ჭიორიდან იყო, ღები, ეტყობა, მაინც გამორჩეულად უყვარდა. იქნებ, ქვეცნობიერად იმასაც გრძნობდა, რომ მშობლიურ ადგილებს მერე ვეღარასოდეს ნახავდა და ამიტომაც არ ეთმობოდა მამაპაპათა მიწა-წყალი. იმ თაობის ხალხს სამშობლოსადმი განუზომელი სიყვარული ჰქონდათ. ზოგიერთი ჩვენგანივით არა-მგამად როდი უყურებდნენ სამშობლოს და მისდამი სიყვარულს კუჭით როდი ზომავდნენ. მისი დატოვება უდიდეს ცოდვად მიაჩნდათ. ისინი ისე როდი ფიქრობდნენ და იქცეოდნენ, როგორც დღეს ზოგიერთი ფიქრობს და იქ-

ცევა – სადაც კარგად ვიცხოვრებ, სამშობლოც ის არის და თავიანთი მოქმედების გასამართებლად პირზე აკერიათ დიდებული ბარათაშვილის სულ სხვა დროს და სხვა სიტუაციაში სწორედ ამგვართა შესარცხვენად მწარე გულისტკივილით ნათქვამი სიტყვები „რის ქართველობა, რა ქართველობა! მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?“ ასეთებს საქილიკოდ არ ყოფნით რაფიელ ერისთავის ბიბლიურ შეგონებასავით წმინდათწმინდა სიტყვებიც: „არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

მამა თავგამოდებით გვარწმუნებდა: ჩავალთ, თუ არ მოგვეწონება, წინ რა დაგვიდგება, ავდგებით და უკანვე გამოვბრუნდებითო. არ ვიცი, თვითონ ასე სჯეროდა, თუ ამას დედაჩემის დასამშვიდებლად ამბობდა, ახლა ძნელია ამაზე გადაჭრით რამის თქმა.

მიუხედავად ასეთი დაპირებისა, დედას მშობლიური კუთხიდან უცხო მხარეში წასვლაზე თავისი უარყოფითი აზრი მაინც არ შეუცვლია. მაგრამ არც მამა ცვლიდა ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას. ასე, რომ საბოლოოდ, ჩვენც, სხვებთან ერთად გავემგზავრეთ საცხოვრებლად ახალ ადგილზე. დედას ამის გამო მთელი გზა თვალზე ცრემლი არ შეშრობია. იგი ღების დატოვებას ვერაფრით შერიგებოდა. სამწუხაროდ, ეს გადასახლება ჩემს მშობლებს საბედისწეროდ ექცათ.

ამ გამგზავრებასთან დაკავშირებულ ყველა წვრილმანს აქ ვერ მოვყვები, რადგან ბევრი რამ დრომ მეხსიერებიდან წაშალა, ან გააფერმკრთალა, ზოგიც დღეს იმდენად უმნიშვნელოდ მეჩვენება, რომ არ ღირს მასზე ყურადღების გამახვილება, თუმცა, რამდენიმე შემთხვევას მაინც გავიხსენებ.

ახლაც თვალწინ მიდგას შორს გასამგზავრებლად გამზადებული, აშლილ სკასავით აფორიაქებული სოფელი. ზოგი ოჯახი ორად იყოფოდა: ერთი ნაწილი ადგილზე რჩებოდა, მეორე ნაწილი კი მამა-პაპათა ნამოსახლარს ტოვებდა და მანამდე სახელიც რომ არ სმენოდა, იმ მხარეში წასასვლელად ემზადებოდა. წამსვლელ-დამრჩენებს გულში ათასგვარი ფიქრი უტრიალებდათ. ყველაზე მეტად მაინც ერთი რამ ადარდებდათ, რას მოუტანდა ან წამსვლელს და ან დამრჩენს ეს გადასახლება. ჯერ ისევ გაცხარებული ომის დროს გადასახლებაში მიმავალნი მშვიდობიანად ჩააღწევდნენ თუ ვერა ახალ ადგილზე, ხოლო თუ ჩააღწევდნენ, როგორი ცხოვრების პირობები ექნებოდათ იქ. ერთი სიტყვით, საფიქრ-საზრუნავი არც წამსვლელთ აკლდათ და არც დამრჩენთ. ეს ყველას კარგად ეტყობოდა მოღუშულ სახეებზე. ამას უფროსებზე ვამბობ, თორემ ჩვენ: მე და ჩემს თანატოლებს ბევრი არაფერი გვესმოდა იმისა, რაც ჩვენს გარშემო ხდებოდა. ერთი სული გვქონდა, როდის ჩავსხდებოდით იქვე, ჭიორის ჭალაში, რიონისპირას ჩამომდგარ ავტომანქანებში და სადღაც ახალ ადგილას გავემგზავრებოდით. გამგზავრების მოლოდინში ჭალაში დავრბოდით და უდარდელად ვთამაშობდით.

ჩვენსავით მხიარული იყო გაზაფხულით მორთულ-მოკაზმული დღე და ბუნება. აპრილის მზით გამთბარ მიწას სიმწვანე მოსდებოდა. ტყეს ფოთოლი მოესხა და ერთიანად დაბურულიყო. ბალახმოდებულ ფერდობებს და ტყიან ხეობებს ზვიადად გადმოსცქეროდნენ თოვლიანი მწვერვალები.

მზე ხან ზომაზე მეტად გამოანათებდა და გაუსაძლისად დაცხებოდა, ხანაც ღრუბლის პირბადეს მოიხვევდა და სასიამოვნოდ აგრილდებოდა.

ერთი სიტყვით, ის დღეს სწორედ ისეთი გახლდათ, როგორადაც ერთ ქართულ ლექსშია აღწერილი:

„ხეზე ზის, კვირტში იცინის,
ხან ნათბილარი, ხან გრილი.
ნუშის და ატმის ტოტებში
ფეთქავს უუჟუნა აპრილი".

იმ ხანებშიც აპრილი იდგა.

ამ დროისათვის მთისთვის ჩვეული გაზაფხულის თავსხმა წვიმები ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული. ამიტომაც, ერთი მხრივ, ფასის მთის მყინვარებიდან დაშვებული, გორიბოლო-ბრილის სანახებგამოვლილი და ქალაქის ხიდქვეშ (გაღმა-გამოღმა ღების დამაკავშირებელ, რიონზე გადებულ ხიდს სოფელში ოდითგანვე „ქალაქის ხიდს" უწოდებენ!) ვიწროებში გრგვინვით შემოვარდნილი რიონი, ხოლო, მეორე მხრივ, კირტიშოს მყინვარების ძუძუნაწოვი ჩვეშური ჯერ არ ამღვრეულიყო და ორივენი ერთად, ჩვეული გააფთრებით არ მოსდებოდა ღების ჩრდილო და სამხრეთ სანახებს. არც გაღმა მხრიდან ისმოდა ლათქიშორას და მუხამეშურის მთა-ბარის წამლეკავი ტალღების ტყლაშუნი, როგორც ადიდებისას ჩვეოდათ ხოლმე ამ მდინარეებს თუ რუებს გაზაფხულის წვიმების დროს.

მთათა საუფლოდან მოვარდნილი ორი მარადიული დობილი – რიონი და ჩვეშური ცალ-ცალკე მოისწრაფოდნენ ღებისაკენ, რომ სოფლის ბოლოს, ორბეთის ქედის ძირში დიდი ხნით ერთმანეთის ნახვას დანატრებულთ, შეეყვარებულებივით ყელი ყელს გადაეჭდოთ, ჩაკვრდონენ და ჩახვეოდნენ ურთიერთს, ხოლო შემდეგ, წყვილად გამგზავრებულებს, მთვრალი მაყრებივით, მხიარული სიმღერით გადაეჭერითნათ ჭიორის რიყიან ჭალაზე, საკანაფოების ბოლოზე მკერდით შეხეთქებოდნენ ბეჭდაუდებელი ფალავნებივით ასვეტებულ უზარმაზარ ლოდებს, საგლოლოს ხიდთან ერთხელ კიდევ დამტკბარიყვნენ მშობლიური ადგილების სიმშვენიერით, ხოლო შემდეგ ერთ უღელში შებმულებს, თავიდან ბოლომდე მოეხილათ დედა-საქართველოს ჭალა-ვაკეები და ფოთთან, შავი ზღვის მშფოთვარე ტალღებს შეერთებოდნენ როგორც მარადისობის ნაწილნი.

ჭიორის ჭალაში, რიონის გაღმა-გამოღმა, საკანაფოებს ზემოთ ჩამომდგარი სატვირთო მანქანები ხალხით ივსებოდა. ესენი ღებელები და ჭიორე-



სოფელი ჭიორა

ლები იყვნენ, სხვა სოფლებიდან ქლუხორში წამსვლელები საგლოლოზე – გლოველები და უწერაში – უწერელები შემოგვიერთდებოდნენ.

ჯერ შუადღე არ იქნებოდა, როცა ოჯახები, ვინც ქლუხორში გადასახლებაზე თანხმობა განაცხადა და ეს ხელის მოწერითაც დაადასტურა, ავტომანქანებზე მოთავსდა. წამსვლელ-დამრჩენები ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ჩვენმა კოლონამ გეზი ქუთაისისაკენ აიღო.

ქუთაისში დღის ბოლოს ჩასულები, პირდაპირ სატვირთო ვაგონებში ჩაგვსხეს. თითო ვაგონში ხუთი-ექვსი ოჯახი. „მოგვათავსეს", ვაგონში არ იყო არც წყალი, არც სველი წერტილები და არც საწოლები დასაძინებლად. ამიტომ, ვინც სად მონახა ადგილი, იქვე „დაასახლა" თავისი ოჯახი. ამასობაში კიდეც ჩამოღამდა და ყველანი დასაძინებლად დავწექით. ნათქვამია, ძილს სასთუმალი არ უნდაო. როგორც ჩანს მთელი დღის აურზაურმა და სულიერმა მღელვარებამ ყველა ისე დაღალა, ვინც სად მივდეთ თავი, იქვე ისე ღრმად ჩაგვეძინა, რომ არც მატარებლის დაძვრა გაგვიგია და არც სხვა რამ ხმაური.

მეორე დღეს, როცა გავიღვიძეთ, მზეზე აელვარებულ რელსებზე შემდგარი ჩვენი მატარებელი ბორბლების დაგადუგით და წივილ-კივილით მიაროღვევდა უსაზღვრო სივრცეს უნაპირო სტეპებში. დროდადრო გვერდით ჩავუქროლებდით პატარ-პატარა სოფლებს, რომლებიც თვალთაგან უმალ უჩინარდებოდნენ და კვლავ დაუსახლებელ უნაპირო ველებზე მივქროდით.

დარწმუნებული ვარ, უმეტესობას მაშინ წარმოდგენა არ გვქონდა, სად მივდიოდით. ასე მგონია, რომ ამ მოგზაურობას ყველა ჩვენგანისთვის –



სოფ. გლოლის ერთი კუთხე.

დიდებიისთვისაც და მით უმეტეს, ჩემი თანატოლი პატარებისთვის – ერთგვარი რომანტიკული ელფერი დაჰკრავდა. ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ ვგონებ, არავის ეეჭვებოდა, რომ თუ ახალი საცხოვრებელი ადგილი არ მოგვეწონებოდა, უმალ უკან გამოვბრუნდებოდით. მაგრამ იმაზე კი უთუოდ ნაკლებად ფიქრობდა ვინმე, უკან რით, ან როგორ გამობრუნდებოდა. ამხელა მანძილზე მთელი ოჯახის მგზავრობას, ისიც იმ გაცხარებული ომის დროს, რამდენი რამე სჭირდებოდა, ამას, ალბათ, ბევრი არ ითვალისწინებდა.

რასაც ქვემოთ ვიტყვი, ეს ჩემი ახლანდელი ნააზრევი და წარსულში მომხდარი ამბების დღევანდელი თვალით შეფასებაა. მაშინ ექვსი-შვიდი წლის ყმაწვილისთვის ასეთი განსჯა სრულიად არაბუნებრივი იქნებოდა, რადგან ამ ასაკის ბავშვებს ასეთი აზრები თავში არ მოუვიდოდათ.

სხვებზე საუბრისგან თავს შევიკავებ, მხოლოდ ჩემს ოჯახზე ვიტყვი.

ვთქვათ, დედაჩემს ასეთ საქმეებში გამოცდილება არ ჰქონდა. მშობლიური ადგილებიდან ასე შორეულ მოგზაურობაში პირველად მიდიოდა. ამას გარდა, და, მგონია, რომ უმთავრესი მაინც ეს არის: ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენლებთან მას საქმიანი ურთიერთობის არავითარი გამოცდილება არ ჰქონია. მაგრამ მამამ ხომ არაერთხელ იწვნია და გამოსცადა სახელმწიფო მოხელეთა დაპირებებს და მიცემულ სიტყვას რა ფასი ჰქონდა! მიკვირს და დღესაც ვერ გამიგია, მან როგორ ირწმუნა მათი ნათქვამი: წადით, ნახეთ და თუ ახალი საცხოვრებელი ადგილები არ მოგეწონებათ, ისევ უკან დაბრუნდითო. მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც ხომ ვიცით, რომ ხალხური სიბრძნე ღაღადებს: ადამიანს ენით დააბამენ და საქონელს – რქითო. როგორც ჩანს, მამა ერთხელ კიდევგულუბრყვილოდ ენდო იმათ, ვინც დაპირებისას არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობდა.

გავუსწრებ მოვლენებს და ვიტყვი: როგორც შემდგომში ცხოვრებამ დაგვანახა, თავისთავად, ალბათ, არც ის იყო დიდი სიბრძნე და წინდახედულება, რომ ომის დროს მთელი კუთხის მოსახლეობა – ყარაჩაელები თუ ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხები დედაბუდიანად აყარეს და განუკითხავად შუა აზიაში გადაასახლეს. იქნებ მაშინდელი საბჭოთა კავშირის წესების, კანონების და განსაკუთრებით, ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, იმ დროს ეს სრულიად გამართლებული ქმედება იყო, მაგრამ ამ ნაბიჯმა ჩვენზეც, ქართველი მოსახლეობის შემდგომ ცხოვრებაზეც იმოქმედა უარყოფითად, რაც იმაში გამოიხატა, რომ რამდენიმე წლის შემდეგ იმ ადგილების იძულებით დატოვება და აყრა-დაყრა მოგვიწია. იქნებ საჭირო იყო, როცა ასეთ ნაბიჯს დგამდა ხელისუფლება, ხალხზე უფრო მეტად ეფიქრა.

ეჰ, მეც კარგად გავუტიე, ხელისუფლებას ხალხზე უფრო მეტად უნდა ეფიქრა-მეთქი. ნეტავი, ვის, სად, ან რომელ დროსა და ეპოქაში უფიქრია ხალხზე გულწრფელად, რომ ჩვენი დროის ხელისუფლებას ეფიქრა, როცა ეს ამბები ხდებოდა.

ხალხი, ჩემო ძმაო, დროშაა. როცა პირადი მიზნებისთვის სჭირდებათ, ცალკეული პიროვნებები თუ პარტიებად გაერთიანებული ადამიანთა გარკვეული ჯგუფები მას ლამაზი სიტყვებით და სატყუარა იდეებით თავგზას აუბნევენ. მერე, როგორც კი თავის ნებაზე მომართავენ, დროშასავით გაშლიან, ბაირაღად წინ გაიძღოლებენ და მოჩვენებითი თვალწარმტაცი მომავლით გაბრუებულს გაურკვეველი მიმართულებით და ყალბი პერსპექტივებით ერთი რომელიმე ამოჩემებული მიმართულებით მიერეკებიან მანამ, სანამ თავიანთ ჩანაფიქრს არ აისრულებენ და როგორც კი, მიზანს მიაღწევენ და ქვეყნის მართვის სადავეებს ხელთ იგდებენ, იმ დროშას, რომელსაც ხალხი ჰქვია, უმალ დაკეცავენ და ბნელ ჯურღმულში ისე გადამალავენ, რომ ვინმეს არც მისი გასაჭირი ადარდებს და არც მისთვის ადრე მიცემული დაპირებების შესრულება ახსოვს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დროში სწორედ ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობენ და მოქმედებენ პარტიებიც და მათი მოთავე ცალკეული პიროვნებებიც. მაგრამ ეს მედლის ერთი მხარეა. ახლა მინდა, საუბრის თემას სულ სხვა კუთხით შევხედო.

ახალს ვერაფერს ვიტყვი, თუ აღვნიშნავ, რომ იმ პერიოდში, როცა საბჭოთა კავშირს სტალინი მეთაურობდა, ის ქვეყანა დანარჩენი მსოფლიოსაგან განსხვავებული იყო ყველაფრით – უარყოფითი ნიშნებითაც და დადებითითაც.

დავუბრუნდეთ ჩვენს გადასახლებას.

წარმოიდგინეთ, გადაწყვეტილების მიღებასა და, ასევე, მის შესრულებაში როგორი მტკიცე და მოწესრიგებული უნდა ყოფილიყო იმდროინდელი სახელმწიფო მმართველობის ყოველი რგოლი, რომ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაბმულ საბჭოთა სახელმწიფოს თავისი ქვეყნის ტერიტორი-

ის ერთი კუთხიდან ათასობით კილომეტრით მოცილებულ მეორე კუთხეში ამდენი ხალხი უმოკლეს დროში გადაეყვანა. ამისათვის მყისიერად გამოეძებნა საჭირო სახსრები, ტრანსპორტი და სხვა აუცილებელი საშუალებები. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ამ ხალხს უნდა გადაეკვეთა ფრონტის ხაზი და მშვიდობიანად ჩაეღწია დანიშნულ ადგილზე.

ყოველივე ეს ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, ორმოცდაათი წლის წინანდელი ამბები ჩვენს დღევანდელობას შევუდაროთ.

აშკარად მსოფლიო თანამეგობრობის მხარდაჭერით განმტკიცებული მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში იმავე ქვეყანას – რუსეთს, ანუ ფაქტობრივად ყოფილ საბჭოთა კავშირს, ელემენტარული წესრიგი ვერ დაუმყარებია სახელმწიფოში და სახელმწიფოს შიგნით მისთვის ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც ვერ მოუგვარებია. ათი წელია, რვაასიათასიან ჩეჩნეთის მოსახლეობას კბილებამდე შეიარაღებული თითქმის 150 მილიონიანი რუსეთი ებრძვის და ასე თუ ისე მისთვის სასურველი შედეგისთვის ვერ მიუღწევია. იქნებ ეს განგებ ხდება, მაგრამ რეალობა ასეთია. იმ დროს, როცა ამგვარ საკითხებს მაშინდელი რუსეთი ხელის ერთი დაკვრით წყვეტდა. სტალინის პერიოდის საბჭოთა კავშირს, ანუ ფაქტობრივად რუსეთის იმპერიას მთელი იმდროინდელი მსოფლიო კრიჭაში ედგა, მტრობდა და ყველაფერში ხელს უშლიდა, მაგრამ მაინც ბევრს ვერაფერს აკლებდა.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეს მთელი მსოფლიო ცდილობს როგორმე ამოიყვანოს ჭაობიდან რუსეთი, რათა ცივილიზებული სამყაროს ნაწილად აქციოს, მაგრამ შედეგი არ ჩანს.

ნურავინ იფიქრებს იმ წყობილებას და იმ ქვეყანას ვაიდეალებდე, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს, რეალობას თვალი გაუსწროს კაცმა და ყველაფერზე სიმართლე თქვას. მით უმეტეს, წინამორბედთა ლანძღვით და საკუთარი უნიათობის სხვაზე გადაბრალებით ქვეყანა ვერ აშენდება. განა იგივე რუსეთი არ იყო, ოღონდ სხვა მეთაურის ხელში, კბილებამდე შეიარაღებული კაცობრიობის უბოროტესი მტერი – ფაშიზმი რომ დაამარცხა?!

თუმცა, ალბათ, უმჯობესია მოვეშვა ამგვარ რთულ და უმადურ (თუ უფრო სახიფათო არა) საკითხებზე მსჯელობას და დაწყებული ამბის თხრობას დავუბრუნდე.

მართალია, ქლუხორში ჩვენს გადასახლებას გეგმური და ნებაყოფლობითი ჩასახლება ერქვა, მაგრამ გადასახლებულთა სიაში ჩაწერილებს, ხელის მოწერის შემდეგ, უფლება არ ჰქონდათ, უარი ეთქვათ უცხო მხარეში გამგზავრებაზე. ადგილობრივი ხელმძღვანელობა გულმოდგინედ ცდილობდა, ამ ღონისძიების შეუფერხებლად ჩატარებით ზემდგომი ორგანოების წინაშე თავი ღირსეულად გამოეჩინა, ვიღაც-ვიღაცების წინაშე თავიანთი მორჩილების და ორგანიზატორული ნიჭის დემონსტრირება მოეხდინა.

ღონისძიების სრულყოფილად ჩასატარებლად ისინი არანაირ ხერხს არ ერიდებოდნენ. ამასთან დაკავშირებით ამჟამად თბილისში მცხოვრებმა ღების ყოფილმა მკვიდრმა ჟორა ლობჯანიძემ მიამბო: ჩვენი ოჯახი ეკონომიკურად სოფელში ერთ-ერთ ძლიერ ოჯახად ითვლებოდა. მე პირადად ვიცნობდი მამამისს, ისმაილ ლობჯანიძეს. ღებში განთქმული მქედელი იყო. მის სამქედლოში ნაწრთობი თუ გამოქედილი სასოფლო-სამეურნეო იარაღები სოფელში ყველას სჭირდებოდა და, ცხადია, ალბათ, შემოსავალსაც არ დაემდურებოდა იგი. როცა რამდენიმე კაცმა ქლუხორში წასვლაზე უარი განაცხადა, თურმე ისმაილი სასოფლო საბჭოში დაიბარეს და უთხრეს, იმ მხარეში, სხვებთან ერთად, შენც უნდა წახვიდე. პარტიის წევრი ხარ, სოფელში ავტორიტეტით სარგებლობ, ოჯახიც ძლიერი გაქვს და ხალხი ქლუხორში წამსვლელთა შორის შენ რომ დაგინახავს, იფიქრებს, კარგი რომ არ იყოს ის მხარე, ისმაილი იქ არ წავიდოდაო.

ისმაილ ლობჯანიძე და მისი ვაჟი, ტიტე, მართლაც, გაემგზავრნენ ქლუხორში, სადაც ერთი წელი დაჰყვეს მზისაში და შემდეგ ისევ უკან, ღებში დაბრუნდნენ.

ისე კი, უნდა ითქვას, რომ, ჩვენს ერთგვარ ნებაყოფილობით გადასახლებას ძალდატანებაც ახლდა, მაგრამ ქლუხორი საცხოვრებლად ბრწყინვალე ადგილი აღმოჩნდა. იქ ღებზე ბევრად უფრო უკეთ და იოლად შეიძლებოდა ცხოვრება.

ახლა კი იმდროინდელი ამბების ზოგადი განსჯა და მოვლენათა ჩვენეული შეფასებები დროებით გვერდზე გადავდოთ და კვლავ მგზავრობისას თავსგადახდენილ „წვრილმანებს“ დავუბრუნდეთ.

მალანგარა

ალბათ, ბევრისათვის ცნობილია, რომ მაშინ შავი ზღვის სანაპიროზე, აფხაზეთის მიმართულებით, სარკინიგზო ხაზი არ იყო გაყვანილი. ამიტომ აზერბაიჯანისა და დაღესტნის გავლით გავუყევით ჩრ. კავკასიისკენ მიმავალ გზას. მაგრამ სანამ სამხრეთ კავკასიას დავტოვებდით, რამდენიმე დღის მგზავრობის შემდეგ გამოგვიცხადეს, ხვალ სადგურ ბალაჯარაში შევალთ. იქ ჩვეულებრივზე მეტხანს გავჩერდებით, აბანოში წავალთ და თავს მოვიწესრიგებთო.

მართლაც, მეორე დღეს, დაახლოებით შუა დღისას, ჩვენმა მატარებელმა სადგურ ბალაჯარას მიაკივლა. სვლას ნელ-ნელა უკლო და გაჩერდა.

ყველანი ფანჯრებს ვეცით. გვინდოდა, მალე დაგვენახა, სად ან როგორ ადგილას მოვედით და რანაირი იყო ეს ბალაჯარა.

უნდა ითქვას, რომ აქამდე ჩვენს მიერ გამოვლილი პატარა-პატარა სადგურებიც და სოფლებიც, უთუოდ იმიტომ, რომ რკინიგზისპირას მდებარეობდა, მეტ-ნაკლებად მტვრიანი და ჭუჭყიანი იყო. ალბათ, ასე იმის გამოც გვეჩვენებოდა, რომ ჩვენ მთიანი მხარიდან მოვდიოდით, სადაც ცაც კრიალაა, მთა-ბარი – ამწვანებული და მტვრის ნასახი არასდროს არ ხვდება, ასეთი ჭუჭყიანი გარემოს ხილვა გვიკვირდა. მაგრამ რაც მანამდე ვნახეთ, მასთან შედარებით სადგური ბალაჯარა და მთლიანად ქალაქიც, წარმოუდგენლად ჭუჭყიანი. და ყველაფერი ერთიანად მაზუთში იყო ამოვლებული.

ერთხანს ვაგონებიდან ვათვალიერებდით იქაურობას. შემდეგ გამოგვიცხადეს, დაბლა ჩავსულიყავით და აბანოში წაგვიყვანეს. სანამ თავს ვიწესრიგებდით, ჩვენს ტანსაცმელს დეზინფექცია გაუკეთდა და მერე ყველანი კვლავ ვაგონებში დაგვაბრუნეს.

ახლა ზოგიერთს ყველაფერი ეს, შეიძლება, უმნიშვნელო წვრილმანად მოეჩვენოს. დიდი ამბავი, თუ აბანოში წაიყვანეს და ასე შემდეგო. სხვა დროს, იქნებ ეს, მართლაც, არც თუ ისე საყურადღებო ფაქტად მიგვეჩნია – ადამიანები აბანოშიც დადიან და ლამაზადაც იცვამენ. კი ბატონო, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქვეყანა იმჟამად სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყო ჩაბმული და თითქოს ქვეყნის ხელმძღვანელობას, ფრონტის გარდა, არაფერზე არ უნდა ეფიქრა. მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე

მთლად ასე არ იყო. ჩვენდამი გამოჩენილ ყურადღებას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ ვიღაც პასუხისმგებლობას გრძნობდა. იცოდა, რომ პასუხს მოთხოვდნენ, თუ უყურადღებოდ დატოვებდა მშობლიური ადგილებიდან აყრილ და შორს, უცხო მხარეში მიმავალ ადამიანებს. ამასთანავე, არა მარტო ახსოვდა, არამედ ფიქრობდა კიდეც ისეთ „წვრილმანზეც“ კი, როგორიც გზაზე დამდგარი ხალხის სისუფთავე, პირადი ჰიგიენა და მათი ინფექციისაგან დაცვაა, აქედან ჩანს, რომ ადამიანებს იმ დროს არც ისე უყურადღებოდ ექცეოდნენ.

ვიცი, აქ არაერთი მაშინვე ქვეყანაში განხორციელებულ რეპრესიებს გაიხსენებს, ის რაღა იყო, ადამიანები მაშინ რატომ არ ახსოვდათო. გეთანხმებით. ისიც იყო, როგორც იმ წყობილების და ცხოვრების განუყოფელი ნაწილი, მაგრამ იყო უამრავი რაღაც სხვა. მათ შორის ისიც, რაც ახლახან ვთქვი.

თუმცა, დავუბრუნდეთ დაწყებულ სათქმელს.

ჩვენთან ერთად ჩვენი მეზობელი, მოხუცი ქალი, ფროსია გავაშელიშვილიც ოჯახთან ერთად მიდიოდა ქლუხორში. ცხადია, საცხოვრებლად, როგორც ჩვენ ყველანი. ფროსია ბებია სოფლური ცხოვრების ყველა წვრილმან ამბავში ჩახედული გახლდათ და არაფერი ეშლებოდა, მაგრამ იმის გამო, რომ მშობლიური ღებიდან შორს ფეხი არასოდეს გაედგა და ეს მისი პირველი შორეული მოგზაურობა იყო, რასაც იმუამად ხედავდა, ბევრი რამ უცხოდ ეჩვენებოდა და ზოგ რამეში გარკვევა უჭირდა. ეს არც არის გასაკვირი. განა ჩვენც, ყველანი ასეთები არა ვართ – „ყოფიერება ქმნის ცნობიერებას!“.

ერთი სიტყვით, იმ აურზაურში ბალაჯარის აბანოში ფროსია ბებიამ თურმე თავშალი დაკარგა.

მაშინ მოხუცი ღებელი ქალები გრძელფესვიან, მაღალი ხარისხის თავშალს ატარებდნენ. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფროსია ბებიასაც უთუოდ ამგვარი ძვირადღირებული თავშალი ექნებოდა.

ქლუხორში რომ ჩავედით და სოფელ ქვემო თებერდაში (იგივე მზისაში) დავბინავდით, მგზავრობის წვრილმანების მოგონებისას, როგორც კი სიტყვა მოიტანდა და ვინმე ბალაჯარას გაიხსენებდა, ფროსია ბებია გულისტკივილით იტყოდა, აი, დაიწვეს ბალანგარა, მე იქ თავშალი დავკარგეო.

ბალანგარი (ბალანგარა) ქართული ენის რაჭული დიალექტის ღებურ კილოკავზე ბინძურს, ჭუჭყიანს, უსუფთაოს ნიშნავს. სიტყვების „ბალაჯარასა“ და „ბალანგარას“ შორის ბგერათა მსგავსების გამო ფროსია ბებია დარწმუნებული იყო, რომ სადგურს და ქალაქს „ბალანგარა“ ერქვა და მას ამ სახელს სწორედ მისი სიბინძურის, ჭუჭყიანობის გამო უწოდებდნენ. ვინც იცოდა, რომ ეს ასე არ იყო და ამ ორ სიტყვას შორის ერთგვარი მსგავსება სრულიად შემთხვევითი ამბავი გახლდა, მოხუცი ქალის მიერ ბალაჯარის ბალანგარად მონათვლა ღიმილს იწვევდა.

ბალაჯარის შემდეგ ყველაზე მეტად დერბენდი დამამახსოვრდა. იგი ბალაჯარასთან შედარებით ბევრად უფრო სუფთა, კოპწია და კეთილმოწყობილ ქალაქად გამოიყურებოდა.

ცხადად მახსოვს, შუადღის მცხუნვარე მზით გათანგული სადგურის ბაქანზე უამრავი სხვადასხვა ჯურის ხალხი ირეოდა. ჩვენ, ბაქანზე რაც ხდებოდა, მხოლოდ იმას ვხედავდით, რადგან ვაგონებიდან ძირს არ ჩავსულვართ. ყოველ შემთხვევაში მე და ჩემი თანატოლები მაინც. ხალხის უმეტესობა ნახევრად შიშველი იყო, ან რაც ეცვათ, ის ტანის სიშიშვლეს ძლივს უფარავდათ. ეს არც იყო გასაკვირი. ოთხწლიანი უსასტიკესი ომით გაძვალტყავებულ ქვეყანას, ბუნებრივია, არ შეეძლო ჯართან ერთად ზურგში მყოფი მშვიდობიანი მოსახლეობის საკვებით და ტანსაცმლით ყოველმხრივ უზრუნველყოფა.

ვაგონებთან ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ გაძვალტყავებული ადამიანები და თუ ოდნავ ვარგისიანი რამე გააჩნდათ, გვთავაზობდნენ, გვეყიდა, ან პურზე გაგვეცვალა.

უცხო მხარეში მიმავალ, თავისი საცხოვრისიდან აყრილ ხალხს ძვირადღირებული, თუ იაფფასიანი ნივთების შესაძენად არც მოჭარბებული ფული გააჩნდა და ნორმირებულ პურსაც, ბუნებრივია, მომჭირნედ ხარჯავდა. ერთადერთი, რისთვისაც შეიძლებოდა იგი დაეთმო, მარილი იყო.

დერბენდელებს ბაქანზე ტომრებით ჰქონდათ გასაყიდად გამოტანილი მარილი. ქარხნული წესით გამომცხვარ მრგვალ პურში, რომელიც, ალბათ, კილოგრამს არ აღემატებოდა, ერთ ტომარა წვრილად დაფქულ (ექსტრა) მარილს იძლეოდნენ, ხოლო როცა მატარებლის გასვლის საყვირის ხმა გაისმა, ტომარა მარილის ნახევარ პურში გაცვლაზეც თანახმანი იყვნენ.

ვისაც შესაძლებლობა ჰქონდა, ზოგმა მთელი, ზოგმაც ნახევარი ტომარა მარილი შეიძინა. ეტყობა, უფროსებმა კარგად იცოდნენ, ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ახალ ადგილზე ჩასვლისას, პირველ ხანებში მაინც, ოჯახს უმარილოდ გაუჭირდებოდა. და არც შემცდარან, ვინც თადარიგი დაიჭირა. სანამ ყველაფერი ასე თუ ისე აეწყობოდა, სხვა რამესთან ერთად, ქლუხორში არც მარილი იშოვებოდა. უმარილოდ კი, მოგეხსენებათ, არც ერთი კერძი არ მზადდება და უიმისოდ სუფრაც არ ვარგა. ალბათ ამიტომ არის, რომ თვით გაშლილი მეფური სუფრის სიუხვეც ორ ქართულ სიტყვაში „პურ-მარილში“ თავსდება.

ვეიცი

ერბენდიდან გამოსული მატარებელი დიდხანს თითქმის აღარსად გაჩერებულა. ზოგიერთ სადგურში მხოლოდ რამდენიმე წუთით შეისვენებდა, ხალხი წყალს, ან რამე აუცილებელ მარაგს შეივსებდა და კვლავ მთელი სისწრაფით ფხაშეუშლელად მივქროდით წინ. ჩვენი მატარებელი პატარ-პატარა სადგურებში საერთოდ არ ჩერდებოდა. მათ წივილ-კივილით ჩაუვლიდა და მხოლოდ საყვირით ამცნობდა იქაურობას, გავიარეო.

მატარებელმა სისწრაფეს მას შემდეგ უმატა, რაც უკან მოიტოვა აზერბაიჯანისა და დაღესტნის ძნელად სავალი მთაგორიანი ადგილები. იქაური ზღვისპირეთიდან მარცხნივ შემობრუნდა და ჩრდილოეთ კავკასიის უსაზღვროდ მაღალი ცის ქვეშ გაწოლილ უკიდეგანო სტეპებში გაიჭრა. ცხადია, ვაკეზე სვლა მატარებელს უფრო ეადვილებოდა და ამიტომაც ხალისიანად მიიწევდა წინ.

არ ვიცი, იმიტომ, რომ ასეთი გაშლილი უნაპირო ვაკე აქამდე არ გვენახა, თუ იმის გამო, ვიღაც-ვიღაცეებმა რომ თქვეს, რადგან აქამდე მშვიდობიანად მოვაღწიეთ, ამის შემდეგ საშიში არაფერია, აწი, ქლუხორშიც მალე ჩავალთო. ვაგონში ამდენი ხნის ყოფნით და ერთფეროვანი მგზავრობით თავგაბეზრებულ ხალხს გუნება გამოუკეთდა და ხალისიანი განწყობილება დაეუფლა.

ირგვლივ საოცარი სიმშვიდე სუფევდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ერთადერთი თვითმფრინავის გუგუნს, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში გადასვლის შემდეგ მატარებელს წუთით არ სცილდებოდა, რათა ჩვენთვის ციდან მოსალოდნელი ხიფათი აეცილებინა, ვერავინ იტყოდა, რომ სადღაც, ჩვენგან არც ისე შორს, იმდროინდელ მსოფლიოს თავს რისხვად ატყდებოდა ადამიანთა მასობრივად გამანადგურებელი იარაღის დაუნდობელი ცეცხლი. ყოველ შემთხვევაში ამას ვერ ვგრძნობდით მაშინ მე და ჩემი თანატოლები და, ცხადია, ასაკისა თუ სხვათა და სხვათა ვამო არც შეგვეძლო, გაგვეცნობიერებინა ქვეყანაზე რა უბედურებაც ტრიალებდა.

სტეპი, სადაც ჩვენი მატარებელი ბორბლების დაგადუგითა და საყვირის დროდადრო შორს ხმის მიმწვდომი შეკივლებით მიჰქროდა, სრულიად დაუსახლებელი იყო. ყოველ შემთხვევაში, დილიდან შუადღემდე ისე ვიარეთ, რომ არც ერთი დასახლება არ შეგვხვედრია. და აი, მოულოდნელად,

ლიანდაგის გაყოლებაზე უამრავი ტანკი შევნიშნეთ. უკიდეგანო ვაკე, რასაც ჩვენი თვალი სწვდებოდა, მთლიანდ დაფარული იყო გვერდიგვერდ ჩამწკრივებული საბრძოლო მანქანებით. მატარებელი შეუჩერებლად მიჰქროდა, მაგრამ ტანკებით გაჭედილ მინდორს ბოლო არ უჩანდა.

ახლა, თითქმის ორმოცდაათი წლის შემდეგ, როცა ამას ვიხსენებ, მაშინდელზე არანაკლებად მიკვირს და ვერ ამიხსნია, ამდენი ტანკი ამ უკაცრიელ ტრიალ მინდორზე საიდან, ან რისთვის მოიტანეს და აქ რატომ განალაგეს. ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ ისე ახლო-ახლოს ჩაემწკრივებინათ, რომ მათ შორის ადამიანი ძლივს თუ გაივლიდა. 1944 წლის აპრილის ბოლოს ფრონტის ხაზი შორს იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან. ეს ტანკები, თუ ბრძოლისთვის გამოსადეგი იყო, დანიშნულებით რატომ არ იყენებდნენ, ხოლო თუ ნაბრძოლი ტექნიკა იყო, ყველა ერთად აქ ხომ არ იბრძოლებდა, რომ მწყობრიდან გამოსვლის შემდეგ, უვარგისობის გამო იქვე დაეტოვებინათ. თუ სხვა ადგილიდან იყო მოტანილი, რაღა მაინც-დამაინც ეს დაუსახლებელი, ტრიალი მინდორი აირჩიეს მათ სასაფლაოდ? მატარებელს მათ გვერდით ჩვეული სისწრაფით რომ ჩაექროლა და ვაგონიდან მომეკრა თვალი იმ ტანკებისთვის, ვიფიქრებდი, ალბათ, რომელიღაც კინოში ვნახე ყოველივე ეს და ყველაფერი ერთმანეთში ამერიამეთქი. მარამ მოხდა ისე, რომ ჩვენი მატარებელი იმ ტანკებთან ახლოს, მინდორში გაჩერდა. ვიღაცამ ამბავი მოიტანა, გზაზე შეფერხებაა და ერთიორი საათი მაინც ვერ წავალთო.

ამით ისარგებლა ხალხმა და მუხლის გასამართავად, სანამ ადგილიდან კვლავ დავიძროდით, ვაგონებიდან ძირს ჩამოვედით. იმ ადგილას არავითარი სხვა სანახავი არ იყო. ტანკები კი ლიანდაგიდან ასე ორმოცდაათი მეტრის მოშორებით იყო ჩამწკრივებული. უფროსები მათ დასათვალიერებლად გაეშურნენ და ჩვენც პატარებს ადგილზე რა გაგვაჩერებდა. ახლოს მისვლისას, როგორც უფროსებმა თქვეს და ჩვენც დავრწმუნდით, ისინი ნაბრძოლი ტანკები აღმოჩნდა. განსაკუთრებით ერთი ტანკი დამამახსოვრდა. იგი ყველაზე განაპირას იდგა და ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი წინიდან ზუსტად იმ ადგილას ჰქონდა მოხვედრილი, სადაც წესით ტანკისტი უნდა მჯდარიყო. ჭურვს თითქმის ხუთი სანტიმეტრის სისქის რკინა მაჯის სიმსხოზე გაეგლიჯა და მეორე მხარეს გასულიყო. უფროსები ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ, რამდენად იყო შესაძლებელი, რომ ტანკისტი ცოცხალი გადარჩენილიყო. ყველას უცნობი ტანკისტის ბედი როგორც ახლობლისა, ისე აწუხებდა. ბოლოს უმეტესობა იმაზე შეთანხმდა, რომ ასეთ შემთხვევაში ტანკისტის ცოცხლად გადარჩენა ნაკლებად სავარაუდოდ გამოიყურებოდა.

ამაზე სარჩლობა, ალბათ, ერთხანს კიდევ გაგრძელდებოდა, რომ ვიღაცას არ დაეძახნა, გზა განთავისუფლდა, დასხედით, მივდივართო. ამ დროს მატარებელიც აკივლდა და ჩვენც, ყველამ ვაგონებს მივაშურეთ.

მატარებელი თავიდან მძიმედ დაიძრა, მაგრამ სულ მალე სიჩქარეს უმატა და ბოლოს ჩვეული სისწრაფით გაეკრა ბორბლებქვეშ გაფენილ მზის გულზე მბრწყინავ კრიალა რელსებს.

მინდორი კვლავ ცარიელი იყო. მხოლოდ ერთგან შევნიშნეთ, რამდენიმე ცხენი უდარდელად ძოვდა ბალახს. ამისთვის შეიძლება, ყურადღება საერთოდ არავის მიექცია, ერთი უჩვეულო ამბის მოწმენი რომ არ გავმხდარიყავით. მართლაცდა, რა იყო ამაში გასაკვირი. მწვანე ბალახით აბიბინებულ მინდორში ცხენებს უნდა ეძოვათ, აბა, სხვა რა უნდა ექნათ, მაგრამ ის იყო ჩვენმა მატარებელმა მათ გვერდით ჩაუარა და, მგონი, შეჭკივლა კიდეც. ალბათ, გასაფრთხილებლად, ახლოს არ გამეკაროთო, რომ ყველასათვის მოულოდნელად, ერთი კვიცი დაფრთხა. რამ დააფრთხო, ან რა მოელანდა, ახლა ძნელია ამის თქმა. იგი წამიერად ადგილიდან მოსწყდა და, თითქოს ფრთები გამოისხაო, მატარებელს ისეთი თავგამეტებით აედევნა. ჩვენ, პატარები კი არა, უფროსები ამბობდნენ, ასეთი სწრაფი ჭენება ცხენისა არ გვინახავსო და, იქნებ, არც ცდებოდნენ. კვიცი მატარებელს ერთი წამითაც არ რჩებოდა უკან.

ამის მნახველი ხალხი ვაგონის ფანჯრებს მიაწყდა. ყველა კვიცს ამხნევებდა, მაგრამ მას არავის გამხნევება არ სჭირდებოდა, თავაწყვეტილი ჭენებით მოსდევდა მატარებელს. არა მარტო მაშინ, ჩემთვის დღესაც ამოუხსნელ ამოცანად რჩება, მატარებლის გვერდით ჩავლისას ცხოველს ასეთი რა მოელანდა, რომ თავდავიწყებაში ჩავარდა, დედა მიატოვა და სტეპში თავაწყვეტილი ჭენებით გაიჭრა.

ამ უჩვეულო ორთაბრძოლის ყველა მაყურებელს მიაჩნდა, რომ კვიცი ადრე თუ გვიან დაიღლებოდა და მატარებელთან შეჯიბრს დიდხანს ვერ გაუძლებდა. ყველაზე მეტად სავარაუდო იყო, რომ უცნაურ აღტყინებაში ჩავარდნილი, გამოფხიზლდებოდა, სადღაც, შორს, მინდორში მიტოვებული დედა გაახსენდებოდა და მასთან დაბრუნდებოდა, რადგან, ბოლოს, და ბოლოს, მიხვდებოდა, რომ მის ამ დაუოკებელ სრბოლას აზრი არ ჰქონდა. ასე ვფიქრობდით დიდებიც და პატარებიც, მაგრამ ვის შეეძლო, კვიცის გულში ჩაეხედა და მისი სულის მოძრაობა შეუმცდარად ამოეცნო, თან იმასაც მიმხვდარიყო, ადამიანის ხელით შექმნილ და მისგანვე მოძრაობაში მოყვანილ ამ უსულგულო რკინის გროვასთან შეჯიბრსა და მასზე გამარჯვებას კვიცისთვის რა მნიშვნელობა ჰქონდა. ერთი კია, კვიცსა და მატარებელ შორის მანძილი სულ უფრო იზრდებოდა, მაგრამ კვიცი მაინც არ წყვეტდა დევნას. ყოველ შემთხვევაში ასე ჩანდა მანამ, სანამ სტეპის რელიეფი არ შეიცვალა და ცხოველი თვალს არ მიეფარა.

მე გული ყველაზე მეტად იმან დამწყვიტა, რომ რამდენიმე კაცმა თქვა, კვიცი მატარებლის დევნას მანამდე არ შეწყვეტს, სანამ გული არ გაუსკდება და მკვდარი არ დაეცემაო.

იმ დღეს სულ ამაზე ვფიქრობდი. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ღამით სიზმარში სადღაც მინდორში დავბორიალობდი და იმ კვიცს გულშეწუხებული დავეძებდი.

დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ მინდორში დაგდებული ვიპოვნე. ახლოს მივედი, დავიჩოქე და ყელზე მოვეხვიე. შევეცადე, ფეხზე წამომეყენებინა, მაგრამ როცა მივხვდი, რომ მკვდარი იყო, ხმამაღლა ავტირდი.

ჩემსავე ტირილზე გამომეღვიძა. გულამომჯდარს დედა მეფერებოდა და მამშვიდებდა.

მე ირგვლივ მიმოვიხედე და ვიკითხე:

– კვიცი რა იქნა?

– რომელი კვიცი? – მკითხა დედამ. მერე, ალბათ, მიხვდა, სიზმარი რომ ცხადში გამომყვა და მითხრა: – დამშვიდდი. კვიცი, ადგილზე რომ ჩავალთ, იქ დაგვხვდებაო...

კაცი დაიკარგა

ბოლო ორი დღე ჩვენი მატარებელი კვლავ ერთფეროვან ვაკე-სტეპებში მიჰქროდა. თუმცა, რაც უფრო წინ მივიწევდით, სულ უფრო ხშირად გვხვდებოდა მინდორში შავად წამომართული დამწვარი ხორბლისა და მზესუმზირის გორები. ამაზე უფროსები ამბობდნენ, უკან დახევისას, მტერს რომ ხელში არ ჩავარდეს, მთავარსარდლობის ბრძანებით, ადგილობრივი ხელისუფლება და მოსახლეობა შეგნებულად წვავს მომკილ-გალეწილ მოსავალსო. ასე იყო ნამდვილად, თუ არა, ჩვენ პატარებმა ეს არ ვიცოდით, მოსმენით კი ყველაფერს ვისმენდით, რასაც უფროსები ამბობდნენ და ყურს მივაწვდენდით.

კვიცისა და მატარებლის შეჯიბრიდან, მგონი, მეორე თუ მესამე დღეს ნევინამინსკს მივაღწიეთ. აქ მატარებელი შედარებით ხანგრძლივი დროით გაჩერდა. ამდენი ხნის მგზავრობით თავგაბეზრებული ხალხი ვაგონებიდან დაბლა ჩავიდა და აქეთ-იქით მიმოიფანტა – ზოგი თავისი წვრილმანი საკითხების მოსაგვარებლად, ზოგი კი ისე, თვალის სეირისათვის.

ქლუხორში მიმავალთა შორის იყო ერთი ოჯახი სოფ. ჭიორიდან, რომელსაც ცოლშვილიანი მუნჯი ვაჟი ჰყავდა. ეტყობა, სხვებთან ერთად ისიც ბაქანზე ჩავიდა. არავინ იცის, როგორ ჩამოსცილდა თავისიანებს. მისი არყოფნა ახლობლებმა მხოლოდ მატარებლის დაძვრის წინ სულ რამდენიმე წუთით ადრე შეამჩნიეს. მიიკითხ-მოიკითხეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. ხალხი დაფაცურდა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ის ახალგაზრდა, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, ვერავინ ვერაფერი გაიგო. მახსოვს, მილიციასაც მიაკითხეს, მაგრამ, როგორც იქიდან დაბრუნებულებმა თქვეს, იქ ძალიან უცხვირპიროდ შეხვდნენ. მუნჯები და ყრუები კი არა, მილიონობით სიცოცხლით სავსე ახალგაზრდობა იღუპება, მათთვის ვერავის უშველია და ერთი ყრუ-მუნჯისთვის რა ქვეყანა შეეყარეთ, არსად არ დაიკარგებაო. სწორედ ამაზე იტყვიან, სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო.

ამასობაში მატარებელიც დაიძრა და ყველა თავის ადგილს დაუბრუნდა, იმ დაკარგულის გარდა. მატარებლის მგზავრები, ვინც კი იმ კაცის დაკარგის ამბავი გაიგო, ყველა ძალიან შეწუხდა. ამაში გასაკვირი არაფერია. საღ-სალამათი ახალგაზრდა თვალსა და ხელშუა გაქრა. ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორი მძიმე იქნებოდა ოჯახის მწუხარება.

ახლობელთაგან ერთი თუ ორი კაცი ნევინამინსკში დარჩა დაკარგულის მოსაძებნად, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, ამან შედეგი ვერ გამოიღო.

უნდა ვივარაუდოთ, რომ მატარებლიდან სხვებთან ერთად ბაქანზე ჩასული მუნჯი, ალბათ, ხალხში გაერია. არ არის გამორიცხული, იმ არეულობაში გზააბნეული სულ სხვა მატარებელში ასულიყო და სიმუნჯის გამო უცხო ხალხისთვის თავისი გასაჭირი ვერ გაეგებინებინა. არც ის არის აზრს მოკლებული, რომ ბაქნიდან გასული სამხედრო პატრულს გადაყროდა. მაშინ, იმ საშინელი ომის დროს, ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცის ფრონტზე წაუსვლელობა ყოვლად მიუტეველი იყო და დეზერტირობას ნიშნავდა. ცხადია, თუ ეს ასე მოხდა, პატრული უთუოდ საბუთს მოსთხოვდა. საბუთი კი, მატარებლიდან რამდენიმე წუთით ჩასულ კაცს, თან არ ექნებოდა. ამას დაემატებოდა, სიმუნჯე, რაც შეიძლება, პატრულს სიმულიაციად და ჯარში წასვლისათვის თავის არიდების ფანდად მიეჩნია. აქედან გამომდინარე, მდგომარეობის გასარკვევად, ალბათ, სამხედრო კომენდატურაში წაიყვანეს. მუნჯობა არც იქ დაუჯერეს და თავი პირდაპირ ფრონტზე უკრეს. არც ის არის გამორიცხული, ჯაშუშობა დაებრალებინათ. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, გართულებას ვერ გადაურჩებოდა. ყოველივე ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია. სამწუხარო ის არის, რომ საცოდავი კაცი სრულიად უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ასე, რომ ჩვენი თითქმის ორკვირიანი ოდისეა უმსხვერპლოდ მაინც არ დამთავრებულა.

ისტორიულ-ტოპონიმიკური ექსკურსი

ამ სამწუხარო ამბის მეორე დღეს ჩვენი მატარებელი ქალაქ ჩერკესკში შევიდა. ეს ქალაქი ჩრდილოეთ კავკასიის ბოლო სარკინიგზო სადგურია. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, ჩიხია. აქედან რკინიგზა წინ აღარ მიდის. ამის შემდეგ მდინარე ყუბანის ულამაზესი ხეობა იწყება და ასფალტიანი სამანქანო გზა ჩერკესკიდან ჩრდილოეთით რაიონის ცენტრის – ქლუხორისაკენ მიემართება.



ქალაქი ქლუხორი

ქლუხორი პატარა, კოპწია, ლამაზი ქალაქი იყო, კეთილმოწყობილი, ასფალტიანი ქუჩებით, სკვერებით, კაპიტალური ადმინისტრაციულ-სამეურნეო შენობა-ნაგებობებით. მისი რაიონული ტერიტორია 3592,8 კვ. კმ-ია. თბილისიდან რაიონის ცენტრამდე, ბაქოს გავლით, 1522 კმ-ია. (ბაქოს გავლით იმიტომ ვამბობ, რომ ქლუხორში გადასახლებულმა ქართველებმა ეს გზა გავიარეთ) რკინიგზის სადგურ ბატალპაშინსკიდან ქლუხორამდე – 64 კმ. (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, სახელგამი, 1949 წ.).

ქალაქს ერთი მხრიდან მდინარე ყუბანი ჩამოუდის, ხოლო მეორე მხრიდან – მდ. თებერდა. ეს ორი მდინარე ზედ ქალაქის ბოლოში უერთდება ერთმანეთს და შემდეგ სულ ერთად მიედინებიან, სანამ ზღვაში არ ჩაიკარგებიან.

იქნებ, ყოველივე ამის ასე დაწვრილებით მოყოლა არც იყოს აუცილებელი, მაგრამ, ის რაც ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ მოხდა, დღეს უკვე ისტორიაა იმ ხალხისათვის, რომელიც საქართველოდან შორს, ჩრდილოეთში რამდენიმე წელი ცხოვრობდა. ამ ისტორიის გახსენება კი, ოდესმე შეიძლება ვინმეს მოუნდეს და ზოგი რამ მისთვის სასარგებლო ამ სტრიქონებშიც იპოვოს. მით უმეტეს, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე ბევრგან დღემდე შემორჩენილი ქართულ-ქრისტიანული კულტურის არაერთი ისტორიული ძეგლი, რასაც თვალნათლად ცხადყოფს 1946-47 წლებში ქლუხორის რაიონში ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფის მიერ, აწ განსვენებული მეცნიერის, გიორგი გოზალიშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული დაზვერვითი საძიებო გამოკვლევები. ამ ნარკვევებზე მუშაობისას ბევრი ვეძებე იმ ექსპედიციის მიერ მოკვლეული მასალები. დარწმუნებული ვარ ექსპედიციის ანგარიში უთუოდ გამოქვეყნდებოდა რომელიმე ჟურნალში. უფრო მეტიც: ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი, როცა ბატონ გიორგი გოზალიშვილის გამოკვლევების ერთი ნაწილი სადღაც წავიკითხე. მასში იგი ამტკიცებდა, რომ ტოპონიმები „კლუხორი„ და „თებერდა„ ძველი კოლხური ტომების „კულხას“ და „თუბალების“ სახელწოდებიდან უნდა მოდიოდესო. მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც გამოკვლევას და ვერც ექსპედიციის სხვა მასალებს ვერსად მივაკვლიე. დახმარება ვთხოვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლებს, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, და სამწუხაროდ, მათ ამის შესახებ არაფერი სმენოდათ. ესეც კიდევ ერთი მაგალითი ქართული უდარდელობისა. მოგვიანებით ამავე საკითხის გასარკვევად მე და ჩემი მეგობარი თბილისის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში კავკასიის ხალხთა ისტორიის კათედრაზე შევხვდით ორ ახალგაზრდა მეცნიერს, რომელთაც პროფესორის ტიტული ამშვენებდათ. ერთმა გვითხრა: ქლუხორი? ჰო, მსმენია, მგონი, სამხრეთ საქართველოში უნდა იყოს. მეორეს საერთოდ არაფერი გაეგო არც ქლუხოროზე და არც იქ მცხოვრებ ქართველებზე. არადა, ის მეცნიერები იმ დღეს აუდიტორიაში სტუდენტთა 24-25 კაციან ჯგუფს ლექციას უკითხავდნენ კავკასიის ხალხთა ისტორიაზე. რას და როგორც ლექციას წაუკითხავდნენ სტუდენტებს ასეთი პროფესორები, ამის მიხვედრა არავისთვის ძნელი არ უნდა იყოს. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ ტოპონიმებს, ამასთან დაკავშირებულ აქ ერთ ამონაწერს მოვიტან:

„კლუხორის გადასასვლელი კავკასიონის ქედზეა. სახელწოდება წარმოიშვა ძველი ქართული ტომის კოლხებისაგან... პირველდაწყებითი ფორმა ამ სიტყვისა იყო კოლხოორ, კულხოორ, კლუხორი“. – „გეოგრაფიულ

სახელწოდებათა ახსნა-განმარტება“ მოკლე სიტყვა-ცნობარი. შედგენილი გ. ნ. გეხტმანის, გ. ზ. გეხტმანის, გ. ი. გოზალიშვილის და ე. პ. მესხის მიერ. გამოცემლობა „განათლება“, თბილისი,1965.

ვფიქრობ, აქედან ერთმნიშვნელოვნად ჩანს აწ განსვენებული მეცნიერი გიორგი გოზალიშვილი იზიარებს მოსაზრებას, რომ „კლუხორი“ წარმოიშვა ძველი ქართული ტომის *კოლხების* სახელწოდებიდან.

ეფრონისა და ბროკჰაუზის ცნობილ ენციკლოპედიაში ქალაქი „ქლუხორი“ არსად მოიხსენიება. თუ რატომ, ჩემთვის უცნობია. იქნებ იმიტომ, რომ იქ საუბარია იმ მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებზე, სადაც ხალხი მეცხოველეობას მისდევს და მიწათმოქმედებას ეწევა. ქლუხორი კი ალბათ ამ დროს პატარა დაბა, ან ქალაქური ტიპის დასახელება იყო. იქ ზოგადად წერია: ყუბანის ოლქის ბატალპაშინსკის განყოფილება. ხოლო ბატალპაშინსკთან დაკავშირებით ისტორიული სინამდვილე ასეთი გახლავთ: მე-18 საუკუნის ბოლოს თურქეთის სულთანმა ჩრ. კავკასიის დასაპყრობად და შემოსაერთებლად ბატალ-ფაშას მეთაურობით უზარმაზარი არმია გაგზავნა.

თურქეთის არმიას განუსაზღვრელი იარაღი და ფული გააჩნდა ყარაჩაის ტერიტორიაზე მცხოვრები მუსულმანი მთიელების მოსასყიდად, შესაიარაღებლად და რუსეთის წინააღმდეგ ასაჯანყებლად.

რუსეთის იმპერატორმა ბატალ-ფაშას თურქულ არმიას 3000-იანი ჯარი დაუპირისპირა გენერალ გერმანის მეთაურობით.

რუსებსა და თურქებს შორის ბრძოლა მოხდა 1789 წლის 28 სექტემბერს მანამდე უცნობი სტანციის ტერიტორიაზე. რუსებმა სასტიკად დაამარცხეს მათზე ბევრად მრავალრიცხოვანი ბატალ-ფაშას არმია. ამ გამარჯვების შემდეგ საბოლოოდ აღიკვეთა თურქეთის გავლენა ჩრ. კავკასიის ცენტრალურ ნაწილზე და რუსებმა ამ გამარჯვების აღსანიშნავად მანამდე უსახელო ადგილს ბატალპაშინსკი უწოდეს. ეს სახელი მას 1939 წლამდე შერჩა, ხოლო ამ წელს ჩერკესკა დაერქვა*.

ჩემთვის აუხსნელი და გაუგებარია, (ვფიქრობ, ალბათ, სხვისთვისაც) გამარჯვებულმა რუსებმა რატომ უწოდეს დამარცხებული მტრის სარდლის სახელი თავიანთი გამარჯვების ადგილს, მაგრამ რეალობა ასეთია. თუმცა, რუსებისგან არაფერი არ უნდა გიკვირდეს, თვით ასეთი უცნაურობაც კი.

რაც შეეხება ქლუხორს, მას სახელწოდება რამდენჯერმე შეცვლია. ასე, მაგალითად, 1930 წლიდან მას მიკოიან-შახარი ერქვა ცნობილი საბჭოთა პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, ანასტასი მიქოიანის პატივსაცემად. თუმცა, ჩემთვის ყოვლად გაუგებარია, მიქოიანს ამ კუთხის ხალხის მიმართ რა განსაკუთრებული დამსახურება უნდა ჰქონოდა, რომ მხარის მთავარი ქალაქისთვის მისი სახელი ეწოდებინათ.

---

* ფ. ა. ბროკჰაუზი, ი. ეფრონი. ენციკლოპედია ტ. III, გვ. 171.



ქალაქი ქლუხორი 1960 წ.

ერთი სიტყვით, ქალაქს, როგორც ვთქვი, 1930 წლიდან მიკოიან-შახარი ერქვა. 1944 წლიდან 1957 წლამდე – ქლუხორი, ხოლო ამჟამად ყარაჩაევსკი ჰქვია და, ალბათ, სამუდამოდ შერჩება ეს სახელი.

იქ ყოფნისას ადგილობრივი ყარაჩაელი მოხუცებისაგან მსმენია, არ ვარგა, როცა ამა თუ იმ დასახლებას სახელწოდებას ხშირ-ხშირად უცვლიანო. სრული ბეშმარიტება გახლავთ. არც თუ იშვიათად, სახლწოდების შეცვლას იწვევს პატრონის შეცვლა, რაც ძირითადად ამა თუ იმ ტერიტორიის, თუნდაც, ქალაქის ერთი ხალხის ხელიდან მეორეში გადასვლას მოჰყვება.

იმავე ეფრონისა და ბროკჰაუზის ენციკლოპედიაში ნათქვამია, რომ ყუბანის ზედა წელზე და მისი შენაკადების აუზში სამი სოფელია – კარჭუტი, უჩკულანი და ხურზუკი. ამავე ხეობაში არის კიდევ რამდენიმე სოფელი, რომელიც მოგვიანებით გაშენებული დასახლებები ჩანს, ვინაიდან ზემოაღნიშნულ ენციკლოპედიაში იმ სამ სოფელთან ერთად ისინი არსად არ ფიგურირებენ.

მდინარე ყუბანს მდ. თებერდა მარცხენა მხრიდან ერთვის. თებერდის ხეობაში, ქართული მოსახლეობის იქ ცხოვრების დროს, ხუთი სოფელი, უფრო სწორად, დასახლებული პუნქტი იყო. ამათგან ორი: ქვემო თებერდა, ანუ მზისა და ზემო თებერდა ნამდვილი სოფლები იყო თავისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობითა და სამეურნეო საქმიანობით. და-

ნარჩენი სამი კი განსხვავებული ხასიათისა გახლდათ. ასე, მაგალითად, ზემო თებერდის შემდეგ ე. წ. „რუდნიკი“ იყო. სადაც ვერცხლის, თუთიის და სპილენძის შემცველ მადანს იღებდნენ. იქ, მგონი, სხვა წიაღისეულის მოპოვება ხდებოდა. იმის იქით, ჩრდილოეთით, საკავშირო კურორტი – თებერდა მდებარეობდა თავისი ბრწყინვალე ტყე-პარკითა და კეთილმოწყობილი დასასვენებელი სახლებით, ხოლო კავკასიონის მთების ძირას ალპინისტური ბანაკი – დომბაი იყო განლაგებული.

მდ. თებერდის ხეობის სოფლები და დასახლებები შედარებით მოგვიანებით წარმოქმნილი ჩანან. ამას მაფიქრებინებს ის, რომ არც ამ სოფლებსა და დასახლებებზე არის რამე ნათქვამი ზემოხსენებულ ენციკლოპედიაში.

ეფრონისა და ბროკჰაუზის ენციკლოპედიის ცნობით, ყარაჩაი ადრე ყაბარდოს დიდი სათავადოს შემადგენლობაში შედიოდა. 1822 წელს მთელ ამ მხარეს რუსეთის სახელმწიფოს ქვეშევრდომობა მიუღია.

ყუბანის ხეობის ზემოთ აღნიშნულ სამ ყველაზე ძველ სოფელში – კარჩუტში, უჩკულანსა და ხურზუკში იმ დროს 15811 კომლს უცხოვრია. ასეა დაფიქსირებული ენციკლოპედიაში, აქვე ისიც არის მითითებული, რომ მათ შორის სამი კომლი ქართული ყოფილა. ასეა ჩაწერილი არაბული ციფრით „3“.ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ კარგად ვერ მივხვდი, სინამდვილეში რა რაოდენობის კომლი იგულისხმება მასში: სამი, სამასი თუ სამი ათასი. ალბათ, მაინც სამი კომლი, ვინაიდან საეჭვოა, სამასს, ან სამი ათას კომპაქტურად დასახლებულ ქართულ კომლს იმ დროს ეცხოვრა ამ მხარეში. თუმცა, ვინ იცის? დვალეთიც ხომ ჩრდილოეთ კავკასია იყო, სადაც ერთ დროს მთლიანად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობდა.

კაცმა რომ თქვას, დვალეთი ამ მხრივ გამონაკლისი სულაც არ არის. ამას შესანიშნავად ცხადყოფს ზ. რატიანი თავის მეტად საყურადღებო გამოკვლევაში „წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო“

აღნიშნულ გამიკვლევაში უტყუარი ფაქტების მოშველიერებით ავტორი ნათლად და დამაჯერებლად ცხადყოფს რომ „ჩრ. კავკასია... ქართველთა ისეთივე-დედა-სამშობლოა, პირველსაცხოვრისია, როგორც ამიერკავკასია არის პირიქითა საქართველოს ქართველთა დედა-სამშობლო – პირველსაცხოვრისი... მათი (ქართველების, – დ. ლ.) ნაკვალევი ადგილთა სახელწოდებებით, ეკლესიებით... და სხვა ისტორიული ძეგლებით არის დადასტურებული აწინდელი ყარაჩაისა და ბალყარეთის მიწა-წყალზე. ამდენად მდინარე ყუბანის მთელი მარცხენა ნაპირის მხარე, მისი მიმდებარე შავი ზღვის სანაპიროთი ტამანის ნახევარკუნძულამდე, ისეთივე შემადგენელი ნაწილი იყო, როგორც ნებისმიერი სხვა ქართული მხარე, ვთქვათ კახეთი, კლარჯეთი, ქართლი... ასე რომ ეს მხარე გახლდათ პირიქითა საქართველო“ (ზ. რატიანი „წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო“. თბილისი 1995 წ. გვ. 5, 58.).

მაგრამ მოდით, ამ საკითხის უფრო ვრცლად კვლევა ისტორიკოსებს მივანდოთ, მე კი მასზე ყურადღებას მხოლოდ იმდენად გავამახვილებ, რამდენადაც ყოველივე ეს ქლუხორთან არის დაკავშირებული.

ეს რაც შეეხება ამ კუთხის წარსულს. ნამდვილი უბედურება კი მას და მის მოსახლეობას ჩვენს დროში დაატყდა თავს. ეს მოხდა დიდი სამამულო ომის დროს.

ცნობილია, რომ 1942 წელს, როცა გერმანელთა ჯარები კავკასიას მოადგნენ, საბჭოეთის წყობილებაზე განაწყენებულმა ჩრ. კავკასიაში მცხოვრებმა ზოგიერთი ხალხის ცალკეულმა წარმომადგენლებმა ფაშისტებს ოქროსუნაგირიანი თეთრი ცხენი შეაგებეს, ნიშნად მათდამი ერთგულებისა. მათ შორის იყვნენ ყარაჩაელთა წარმომადგენლებიც.

არაერთ, სხვა უსიამოვნო ფაქტთან ერთად, ამასაც ყვებოდნენ: ქლუხორის რაიონში შემოსულმა ჰიტლერელმა ჯარისკაცებმა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ქვედა თებერდის საბავშვო სახლის 500 არასრულწლოვანი აღსაზრდელი, სოფლიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით გაიყვანეს და იქ ე.წ. „ბაღების" ტერიტორიაზე დახვრიტესო. არ ვიცი, ეს ფაქტი რამდენად შეეფერება სინამდვილეს, მოარული ხმები კი ნამდვილად ასეთი იყო. მე პირადად არ მჯერა, ამგვარი ვანდალიზმი თუნდაც ფაშისტურ სამხედრო ნაწილებს უმწეო ბავშვების მიმართ გამოეჩინათ, მით უფრო საეჭვოა, რომ მასში ადგილობრივ მოსახლეობას მიეღო მონაწილეობა. შესაძლოა, ადგილობრივ მცხოვრებთაგან რამდენიმე კაციანი ჯგუფი, მართლაც, მიემხრო მტერს, მაგრამ დაუჯერებელია, მთელი კუთხის მოსახლეობას ასეთი რამე ჩაედინა. არც ის არის გამორიცხული, რომ ქვეყანაში არსებული წყობილების მიმართ მტრულად განწყობილ ადამიანთა მცირერიცხოვანი ჯგუფის ნამოქმედარი რომელიმე „ფრთხილ" ადგილობრივ სახელმწიფო მოხელეს მთელი კუთხის მცხოვრებთათვის გადაებრალებინა და მცდარი ცნობები მიეწოდებინა ცენტრისთვის. მაშინ ძალიან მძიმე დრო იყო. სტალინსა და საბჭოთა მთავრობას კი თუნდაც მცირე გადამცდომთა მიმართ შეღავათების გაწევა არ სჩვეოდათ. არც დრო იყო მტყუან-მართლის გასარჩევად. ამიტომ მტრის მხარეზე გადასულ გარკვეული რაოდენობის თანამემამულეთა დანაშაულისთვის მთავრობამ ერთიანად ყველას აგებინა პასუხი: როცა გერმანელებმა უკან დაიხიეს და ქლუხორი კვლავ საბჭოთა ჯარებმა დაიკავეს, მთელი ავტონომიური ოლქის მოსახლეობა ერთ ღამეში გაასახლეს. ეს კი, როგორც ჩვენთან საუბარში თვითმხილველები ამბობდნენ, ამგვარად მომხდარა: ღამის პირველ საათზე, როცა ყველა შინ იყო და, ალბათ უმეტესობას ეძინა კიდეც, თითოეული ყარაჩაელის ოჯახის ეზოში ერთდროულად შევიდა თითო სატვირთო მანქანა ორი შეიარაღებული ჯარისკაცისა და ერთი ოფიცრის თანხლებით. თურმე სამხედროებმა ოჯახებს გამოუცხადეს, გათენებამდე სასწრაფოდ მოეგროვებინათ ყველაფერი, რისი წაღებაც შეეძლოთ, ჩაეტვირთათ მანქანაში და სამგზავროდ მომზადებულიყვნენ.

ცხადია, ხალხი მიხვდა, ეს სახელმწიფოს მხრიდან საპასუხო დამსჯელი ღონისძიება იყო მათ თანამემამულეთა ერთი ჯგუფის მტრის მხარეზე გადასვლის გამო. ბევრს იქნებ დაუმორჩილებლობის სურვილიც ჰქონდა, მაგრამ ვინაიდან მთელ ოლქში შეიარაღებული ჯარის ნაწილები იდგა და ყველაფერი წინასწარ ზუსტად იყო გათვლილი და საუკეთესოდ ორგანიზებული, დარწმუნდნენ, წინააღმდეგობის გაწევას აზრი არ ჰქონდა და ბედს შეურიგდნენ.

დილის ექვს საათზე ყარაჩაის ავტონომიურ ოლქში არც ერთი ადგილობრივი მცხოვრები აღარ იყო. ეს ოპერაცია, 5-6 საათში, ოპერატიულად, ყოველგვარი ზედმეტი ხმაურის გარეშე ჩატარდა.

აქ ერთი რამ უთუოდ უნდა ითქვას. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ტოტალიტარული სახელმწიფო იყო და მკაცრად განსაზღვრულ სახელმწიფოებრივ წესებს ემორჩილებოდა, სახელმწიფოში არც ერთი დიდი თუ მცირე საქმე იურიდიულად გაფორმებისა და, თუნდაც ფორმალურად, კანონთან შესაბამისობაში მოყვანის გარეშე არ ხორციელდებოდა. ამან მიბიძგა, მეფიქრა, რომ ყარაჩაელთა თუ ჩრდილოეთ კავკასიიდან გასახლებული სხვა ხალხების შესახებ რამე ოფიციალური დოკუმენტი უთუოდ უნდა არსებულიყო. საქართველოს ყველა საარქივო დაწესებულებაში შევეცადე, მომეპოვებინა ამის დამადასტურებელი მონაცემები, მაგრამ ვერსად ვერაფერს მივაკვლიე. ბოლოს ვირწმუნე, ზემდგომი ორგანოების მსგავსი დადგენილების არარსებობა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოში მაინც, ხოლო თუ ასეთი დადგენილება მაინც არსებობდა, უთუოდ მოსკოვის არქივებში უნდა ყოფილიყო დაცული, რაზედაც, ცხადია, ხელი არ მიმიწვდებოდა. ის იყო ძებნაზე ხელი ჩავიქნიე და საბოლოოდ გადავწყვიტე საქმე ამგვარი დოკუმენტაციის მოპოვების გარეშე განმეგრძო და რაც სათქმელი მქონდა, უამისოდ მეთქვა, რომ საქართველოს ცენტრალური არქივის უახლესი ისტორიის განყოფილების გამგემ, ბატონმა თემურ ზურმუხტაშვილმა მოსკოვში 1997 წელს რუსულ ენაზე გამოცემული ოლეგ პლატონოვის წიგნი „XX საუკუნის რუსეთის საიდუმლო ისტორია. სტალინის ეპოქა“ – შემომთავაზა და მითხრა: იქნებ ამ წიგნში იპოვო შენთვის საინტერესო ცნობებიო. და, მართლაც, სწორედ იქ მივაკვლიე ყარაჩაელების, ასევე, ომის დროს და შემდგომ წლებში რეპრესირებული ხალხების შესახებ ჩემთვის საჭირო მასალებს, რისთვისაც ბატონ თემურს უღრმეს მადლობას მოვახსენებ.

მომყავს ყარაჩაელთა შესახებ დაცული დოკუმენტის ქართული თარგმანი:

ყარაჩაელები.

სტავროპოლის მხარის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხსენების ჩანაწერი.

საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. სახალხო კომისრის მოადგილეს ს. ნ. კრუგლოვს.

1943 წლის ნოემბერში ყარაჩაის ავტონომიური ოლქიდან 14774 ოჯახი 68938 ყარაჩაელი იქნა დეპორტირებული. ძირითადი კონტინგენტის გასახლების შემდეგ სსრკ სტავროპოლის მხარის სახალხო კომისარიატის სამმართველოს მიერ გამოვლენილ იქნა კიდევ 329 ყარაჩელი. ყველა მათგანი გასახლებულ იქნა მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სტავროპოლის მხარის სამმართველოს უფროსი

ტკაჩენკო.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სტავროპოლის მხარის სამმართველოს უფროსის მოადგილე

ივლევი.

(ტკაჩენოს და ივლევის სახელის და მამის სახელის ინიციალები დოკუმენტში მითითებული არ არის. დ.ლ.)

რამდენად სწორი და სამართლიანი იყო ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობის მოქმედება, ეს შეფასებულ იქნა შემდგომ წლებში ქვეყნის სათავეში მოსული ახალი ხელმძღვანელობის მიერ და იგი დღეს ყველასათვის ცნობილია. ჩემი მხრიდან კი დავძენ: ყოველი ისტორიული მოვლენა იმ დროის პირობების გათვალისწინებით უნდა განისაჯოს და დასკვნებიც ამის შესაბამისად იქნეს გამოტანილი, თუმცა, ამაზე სიტყვას, აქ ახლა აღარ გავაგრძელებ. მით უმეტეს, რომ ეს ჩემი კვლევის საგანი არ გახლავთ, ერთი რამ კი მაინც უნდა ითქვას: დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მთელი ერი არ შეიძლება გენიოსი იყოს და არც ვინმესადმი ერთნაირად მორჩილი, მით უმეტეს, მოღალატე. ყველა ამ ნიშნის მატარებელი მუდამ და ყოველთვის ხალხის მხოლოდ გარკვეული ნაწილია. მაგრამ გამარჯვების თუ დამარცხების შემთხვევაში, შედეგს მთელი ერი თითქმის ერთნაირად იმკის. ჩანს, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. ვისაც ჩემი აზრი აინტერესებს ამ საკითხზე, ვიტყვი, რომ ძალიან სამწუხაროა, რაც იმ ხალხს იმ დროს თავს დაატყდა. მაგრამ მაშინ მძიმე და მკაცრი დრო იყო და თვით უმცირესი გადაცთომასაც კი ადამიანებისთვის მეტად უმძიმესი შედეგები მოჰქონდა. სამწუხაროდ, ამ ტრაგედიაში ჩართული აღმოჩნდა ქართველობაც. კერძოდ, რაჭა-სვანეთის თუ საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობა, რომელთაც რაღაც ათი-თორმეტი წლის განმავლობაში რამდენჯერმე მოუწიათ მშობლიური ადგილებიდან აყრა და მათთვის უცხო ადგილებში ცხოვრების თავიდან დაწყება, რაზედაც შევეცდები, შეძლებისდაგვარად, ქვემოთ მოგითხროთ.

პირიქითა საქართველოში

ქლუხორში ჩასული ქართველი მოსახლეობის პირველი ნაკადი ძირითადად თერთმეტ სოფელში დასახლდა. პირველი ნაკადი-მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ რამდენიმე წლის შემდეგ რაიონში გაჩნდა კიდევ ერთი ახალი ქართული დასახლება: სოფ. ბარი. იქ ჩრ. კავკასიის, არ ვიცი, ზმეისკაიადან, არ ვიცი, ბესლანიდან გადმოსული მთიულები დამკვიდრნენ.

ქლუხორის სოფლებიდან რაიონის ცენტრთან ყველაზე ახლოს კამენომოსტი მდებარეობდა. აქ ძირითადად უწერლები და ღებელების რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა.

უნდა ითქვას, რომ სოფელს მშვენიერი მდებარეობა აქვს. იგი მდ. ყუბანის ორივე ნაპირას არის გაშენებული და გაღმა-გამოღმა მხარეს ერთმანეთთან ქვის ბუნებრივ ბურჯებზე გადებული კაპიტალური ხიდი აერთებს. ეს ხიდი სტრატეგიული მნიშვნელობის გახლავთ. იგი ქლუხორის რაიონს რუსეთის მახლობელ ოლქებსა და მხარეებთან აკავშირებს. სოფელს „კამენომოსტი“ უთუოდ ამ ხიდის გამო დაერქვა. თუმცა, ჩვენს დროს მას ახალშენი ეწოდა, მაგრამ ხალხი, ვის როგორც მოსწონდა და მოუხერხდებოდა, ზოგი ახალშენს ეძახდა და ზოგიც – კამენომოსტს.

იმავე ყუბანის ხეობაში, რაიონის ცენტრიდან ასე, 30-35 კილომეტრის მოშორებით, ამ მხარის უძველეს სოფლებში, რომლებიც შეტანილია ეფრონის და ბროკჰაუზის ენციკლოპედიაში, კარჩუტსა და უჩკულანში, ასევე, რამდენიმე სხვა სოფელიც მესტიის და ლენტეხის რაიონებიდან წამოსული სვანები დასახლდნენ (როგორ ჰგავს ყარაჩაული უჩკულანი ჩვენს უშგულს. ესეც ისტორიულად კავკასიის ხალხების მჭიდრო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის მაგალითად უნდა ჩაითვალოს, რის მოშლასაც ასე ჯიუტად ცდილობენ ბოლო დროს რუსეთის ამჟამინდელი ხელისუფალნი. იგივეს ადასტურებს „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“: „ყარაჩაელებს მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა მეათე საუკუნიდან ჰქონდათ ქართველებთან“).

სვანების მიერ თავიანთ საცხოვრისად ყუბანის ხეობის სოფლების არჩევა უთუოდ იმანაც განაპირობა, რომ ეს მხარე ახლოს არის სვანეთთან. ამ სოფლებიდან მთის ბილიკებით დილით წასული მუხლმაგარი კაცი საღამოს უკვე მესტიაშია. მშობლიურ სოფლებთან ამ ტერიტორიულ სი-

ახლოვეს სვანები სისტემატურად იყენებდნენ. ასე, მაგალითად, ქლუხორში გარდაცვლილ ახლობლებს იქვე როდი მარხავდნენ. მიცვალებულის ნეშტი ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და თანასოფლელებს მთებზე მხრებით გადაჰქონდათ და მშობლიური სოფლის მამაპაპურ სასაფლაოზე კრძალავდნენ. ამ ფაქტში, ცოცხლებისაგან მიცვალებულის პატივისცემის გარდა, მშობლიური კუთხის მიმართ რაფიელ ერისთავისა და ვაჟასეული დამოკიდებულება მჟღავნდებოდა. („არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა". „მიწაც ტკბილია მშობლიური, გულს რომ ეყრება ფხვიერი")

უნდა ითქვას, რომ ეს გრძნობა ქლუხორში მცხოვრები არც სხვა ქართველებისთვის იყო უცხო, მაგრამ, სვანებივით, მათ თავიანთ მიცვალებულთა წინაშე ამგვარად ვალის მოხდა იმ საპატიო მიზეზის გამო არ შეეძლოთ, რომ ქლუხორიდან მათი მშობლიური ადგილები ბევრად შორს იყო, ვიდრე სვანეთი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ქლუხორიდან საბოლოოდ წამოსვლისას არაერთმა ქართველმა ოჯახმა თავიანთი მიცვალებულები წამოასვენა და მამა-პაპათა საძვალეში დაკრძალა.

რაჭის ოთხი სოფლიდან წამოსულთაგან ჭიორელებმა და გლოველებმა საცხოვრებლად რაიონის ცენტრიდან 30-35 კილომეტრის მოშორებით მდებარე სოფელი ზედა თებერდა აირჩიეს, ხოლო ჩვენ, ღებელები ქვედა თებერდაში დავბინავდით, რომელსაც შემდეგ „მზისა" ვუწოდეთ. „მზისა" რაიონის ცენტრიდან 18-20 კილომეტრით იყო მოცილებული.

რაც შეეხება ქვედა თებერდისთვის სახელის გამოცვლას, ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვიტყვი. მანამდე კი დავძენ, რომ ეს სოფელი ორი მხრიდან – ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან – მაღალ, დაბურულ ტყიან მთებს შორის მოქცეულ ვაკეზეა გაშენებული. მისი სიგრძე ორჯერ-სამჯერ მეტია სიგანეზე. მიუხედავად ამისა, სახნავ-სათესად ვარგისი მიწები ყველა ოჯახს ჰყოფნიდა საკარმიდამო ნაკვეთებად. ამას გარდა, თითოეულ მოსახლეს სახლის წინ, ან უკანა მხარეს ხეხილის მშვენიერი ბაღი ჰქონდა გაშენებული. უფრო ზუსტი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ სოფელი ერთიანად ხეხილის ბაღებში იყო ჩაფლული, ნამდვილ სამოთხეს ჰგავდა და თავისი მდებარეობით ერთმანეთზე ხმალდახმალ სამტროდ მისული მთების ადგილზე შესაჩერებლად, მოშუღართ შუა ჩაგდებული მერდინივით იყო გაშლილი. თავის მხრივ, მდინარე თებერდა სოფელს სამხრეთიდან ჩაუდიოდა. იგი კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე იღებს სათავეს და იქიდან წამოსული ჯერ ამ ხეობის პირველ დასახლებებს – დომბაის და საკავშირო კურორტ თებერდას გამოივლის. (სანამ საბჭოთა კავშირი არსებობდა, ამ კურორტს ასეთი სტატუსი ჰქონდა). შემდეგ – ზედა თებერდასა და ქვედა თებერდას, ანუ მზისას. უნდა ითქვას, რომ მიუხედავად მანძილის სიმოკლისა, მდინარე თებერდა სათავიდან შესართავამდე წიფლის, მუხის, რცხილის და არაერთი სხვა

ჯიშის ტყეებით დაბურულ, ულამაზესი მთებით შემოზღუდულ, თვალწარმტაც ხეობაში მოედინება.

მზისას მიახლოებული მდინარე ახალ კაპიტალურ ხიდქვეშ გაივლის და გზას ქლუხორისკენ გააგრძელებს. ამ ხიდზე გადავლა ყოველგვარ თანამედროვე ტრანსპორტს უსაფრთხოდ შეუძლია. მდინარე ხიდქვეშ საკმაოდ ღრმა და ფართო მორევს აჩენს.

გადმოცემით, მდ. თებერდაზე ახალი ხიდის ადგილას, ომამდე, სხვა მკვიდრად ნაშენი რკინის ხიდი ყოფილა. ცნობილია, რომ 1942-1943 წლებში ჩრ. კავკასიაში, მათ შორის, ქლუხორის რაიონის როგორც სხვა სოფლებში, ისე ქვედა თებერდა-მზისას ტერიტორიაზე სისხლისმღვრელი ბრძოლები მიმდინარეობდა. ის ხიდი ბრძოლების დროს დანგრეულა. რკინის კონსტრუქციების ნამსხვრევები ჩვენს დროშიც ეყარა აღდგენილი ხიდის ქვეშ მორევსა თუ მდინარის კალაპოტში. ჩემს პატარა ბიჭობაში, მე და ჩემი თანატოლები მდინარეში ბანაობისას იქ ჩაყრილ რკინის ნამსხვრევებს შიშით გვერდს შორიდან ვუვლიდით, ზედ რომ არ წამოვგებოდით. როგორც მთის ყველა მდინარე, თებერდის წყალი სუფთა და გამჭვირვალეა. შიგ, მის ფსკერზე, ადვილად შეიძლება კაცმა კენჭებიც კი დაინახოს.

ხიდს გასცდება თუ არა, მდინარე თხმელის ტყით დაფარულ ჭალაში გაივაკებს და აქ შედარებით მშვიდდება, მაგრამ ისე არა, რომ ვინმემ უსაყვედუროს, ეს დალოცვილი, როგორც კი კლდოვან მთებს გამოსცილდება, რავა ხელზე გაზრდილი ბატკანივით მშვიდი და უწყინარი ხდება და ტანსაც როგორ მოწყვეტილად მიათრევსო. ნურას უკაცრავად! რიხი, მშფოთვარება და სისწრაფე არც ჭალაში მიმავალს აკლია.

მდინარე სავსე იყო თევზით. მისი სიმრავლე აქ განსაკუთრებით ჩვენი ჩასახლების პირველ წლებში იგრძნობოდა. როგორც უფროსები ამბობდნენ, ასე მომრავლების მიზეზი ის არის, რომ აქაურ თევზს შუბლის ძვალზე ჯვარი აქვს გამოსახული და ყარაჩაელები, როგორც მუსულმანური სარწმუნოების ხალხი, ასეთ თევზს არ ჭამენ და აქაურ წყლებში სწორედ ამის გამოა იგი ასეა მომრავლებულიო. შუბლჯვრიანი თევზები მეც მინახავს, მაგრამ არ ვიცი, ნამდვილად ეს იყო მიზეზი მდ. თებერდაში თევზის ასე უხვად მომრავლებისა, თუ სხვა რამე. თევზი იქ იმდენად უხვად იყო, რომ ჩვენ, პატარა ბიჭები ბინულებსა და ჭალაში ნაკადულებისგან გაჩენილ გუბურებში მათ ჩანგლით და ზოგჯერ შიშველი ხელებითაც კი ვიჭერდით.

თევზის მომრავლების მეორე და არანაკლებ სარწმუნო მიზეზი მე ის მგონია, რომ ადგილობრივი მცხოვრებლების გასახლების შემდეგ ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეს ადგილები უპატრონოდ იყო მიტოვებული და თევზს არავინ იჭერდა. ეს კი, თავისთავად ცხადია, მათ გამრავლებას ხელს შეუწყობდა. უნდა ითქვას, რომ აქაური თევზი, როგორც მთის მდინარისა, ძალინ გემრიელია. ერთხელ მზისაში ხიდქვეშ მე და

ჩემი თანატოლები სამი დღის განმავლობაში ვაკვირდებოდით იქ მორევში შეფარებულ ორ დიდ თევზს, რომლებიც იმ ადგილს არ სცილდებოდნენ. შემდეგ ერთი მათგანი ჩვენმა მეზობელმა და თანატოლმა, ქეშანა ლობჯანიძემ დაიჭირა. იგი წონით სამ კილოგრამამდე გამოვიდა. სხვა დროს მსგავსი სიდიდის თევზი აქ არავის დაუჭერია.

სოფელი მზისა თებერდაზე გადებული ხიდიდან იწყება და მდინარის ორივე ნაპირზეა გაშენებული.

მზისაში ჩვენი ჩასახლების დროს თანამედროვე, კეთილმოწყობილ ორსართულიან სახლებთან ერთად ერთსართულიანი სახლები და ხის მორებით ნაგები მიწურებიც ბლომად იყო, რომელთაც ჩვეულებრივი სახურავის ნაცვლად, ზემოდან 50-60 სანტიმეტრის სისქის მიწა ეყარა. ადგილობრივი ყარაჩაელი მოსახლეობა ამ მიწურების ნაწილს საცხოვრებლად იყენებდა, სხვებს, ალბათ, – საქონლის სადგომად. თუმცა, საეჭვოა, საქონლის სადგომად გამოეყენებინათ. უფრო სავარაუდოა, რომ იქ ხალხი ცხოვრობდა. საქმე ის გახლავთ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ცხვარ-ძროხა ზამთარ-ზაფხულს ძირითადად მთაში, ე.წ. „სადგომებში" ჰყავდათ დაბინავებული. თივასაც იქვე ამზადებდნენ. ასეთ სადგომებს ისინი „ყოშებს" ეძახდნენ, რაც, თუ არ ვცდები, ბინასაც ნიშნავს, ბანაკსაც და სადგომსაც. თუ იმ სადგომის აღმნიშვნელად ყოშს ვიხმარ, ენის მბრივ დარღვევა ან ბარბარიზმი, ვფიქრობ, არ იქნება.

მზისა მდინარის გასწვრივ სიგრძისად არც ისე განიერ ვაკეზეა გაშენებული. მართალია, სოფელს ვრცელი ტერიტორია არ უკავია, მაგრამ დასახლების სიმჭიდროვის გამო, სახლები ბევრი იყო. ცხადია, ძირითადი მოსახლეობაც, ასევე, მრავალმრიცხოვანი იქნებოდა ალბათ.

ჩვენ, იქ ჩასახლების პირველი დღიდანვე, 80 კომლამდე ვიყავით. იმის გამო, რომ სახლები ჩვენს რაოდენობას ორჯერ თუ მეტად ჭარბობდა, ხალხმა რომელი ვარგისიანად ჩათვალა. იქ შესახლდა. მიწურების უმეტესობას საქონლი სადგომებად იყენებდა. ზოგი მათგანი, დროთა განმავლობაში, თავისით დაინგრა.

მზისას ყველა აუცილებელი შენობა-ნაგებობა გააჩნდა, რაც ტიპურ სოფელს უნდა ჰქონოდა. სოფლის ცენტრში ერთსართულიანი ქვიტკირის შენობა იდგა, რომელშიც სასოფლო საბჭო, კოლმეურნეობის გამგეობა და ქოხ-სამკითხველო განთავსდა. სოფელში იყო ტიპური პროექტით აგებული რვაწლიანი სკოლა, რომლის ერთი მხარე დამოუკიდებელი სცენითა და საკმაოდ ვრცელი დარბაზით, გამოყენებული იყო სოფლის კლუბად. ამ კლუბში იმართებოდა კულტურული ღონისძიებები – თეატრალური დადგმები, როგორც ადგილობრივი ძალებით, ისე საქართველოს დედაქალაქიდან, თუ რუსეთის სხვადასხვა ქალაქიდან საგასტროლოდ ჩამოსული პროფესიონალი მსახიობების მონაწილეობით. აქვე ტარდებოდა კოლმეურნეობის კრებები, რომლებზეც მშობლებთან ერთად, ჩვენც – მე და ჩემი

თანატოლებიც გასართობად ხშირად ვესწრებოდით. ის კრებები ძალიან წააგავდა ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეში“ აღწერილ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას.

ამას გარდა, სოფელში იყო წყლის წისქვილი, სამჭედლო და მუსულმანური სამლოცველო, მეჩეთი, რომელსაც, როგორც საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე არსებულ უმეტეს რელიგიურ-საკულტო ნაგებობებს, საკოლმეურნეო საწყობად იყენებდნენ.

მზისას მდ. თებერდა შუაში ჩაუდის. მისი მარცხენა ნაპირის გაღმა, მთის ძირას, არც თუ ისე განიერ ზეგანზე, ხეხილის, მართლაც, დიდებული ბაღი იყო გაშენებული. ქართული ხალხური ზღაპრისა არ იყოს, რა ხეხილი გინდოდათ, რომ იქ არ ხარობდა, ყურძნის გარდა. ყურძენი ქლუხორში დამწიფებას ვერ ასწრებდა.

იმავე ზეგანზე, ბაღის მახლობლად რამდენიმე მრავალსართულიანი, კეთილმოწყობილი ქალაქური ტიპის კაპიტალური ნაგებობა იდგა. მაგრამ შიგ არც ვინმე ცხოვრობდა და არც რომელიმე სახელმწიფო ორგანიზაციას ეკავა. ჩემთვის დღემდე უცნობია, ასეთი შენობები რა მიზნით იყო აგებული. ერთი კია, რომ მთელ იმ დასახლებას ყველა „დეტ დომს“ ეძახდა. მსგავს კაპიტალურ შენობა-ნაგებობებს იმ დროში სახელმწიფო ორგანიზაციები სამეურნეო დანიშნულებით აშენებდა. აქ კი არავითარი წარმოება-დაწესებულება არ ყოფილა. იმ ნაგებობებიდან მხოლოდ ერთადერთში ერთხანს სკოლამდელი უდედმამო ბავშვები იყვნენ შესახლებული. მათ იმ დროს ყველა „დოშკოლატებს“ ეძახდა. ძალიან მალე ეს ე. წ. „დოშკოლატები“ სადღაც სხვაგან გადაიყვანეს.

ამის შემდეგ არ გაუვლია დიდხანს, რომ მათ ნაცვლად, საქართველოდან, კოჯრის საბავშვო სახლის აღსაზრდელები ჩამოიყვანეს და იმ შენობებში შეასახლეს. სწავლით ეს ახლად მოყვანილი საბავშვო სახლის აღსაზრდელები სოფლის რვაწლიან სკოლაში ჩვენთან ერთად სწავლობდნენ.

საბავშვო სახლის აღსაზრდელებს თავიანთი პედკოლექტივი დიდებულად ზრდიდა და უვლიდა. ასევე, ბრწყინვალედ კვებავდნენ, აცმევდნენ და ემსახურებოდნენ. მათ, იმ დროს, უდედმამოები ერქვათ, თუმცა, როგორც შემდეგ გავიგე, ზოგიერთ მათგანს მშობლებიც ჰყავდა. საქმე ის გახლავთ, რომ ის ქვეყანა, რომელსაც საბჭოთა კავშირს ვუწოდებდით, უმაღლესად ზრუნავდა ქვეყნის მომავალზე. ისე კი არა, დღეს საქართველოში რომ არავის ადარდებს ეს საკითხი. თბილისის ქუჩებში ათასობით მაწანწალა ბავშვი მათხოვრობს და მცირეწლოვანთა შორის მეძაობა კატასტროფულად იზრდება. მაშინ როდესაც ზოგიერთი მთავრობის წევრი და პარლამენტარი ქვეყანას ძარცვავს და ნაქურდალი ფულებით ფეშენებელურ სასახლეებს იშენებს. ეს საკითხი ჩემს მონათხრობთან პირდაპირ კავშირში არ არის, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და გულმა არ მომითმინა, წარსულსა და აწმყოს შორის პარალელი არ გამევლო და რომ რამე არ მეთქვა.

მზისა რაიონის სხვა სოფლებიდან იმითაც გამოირჩეოდა, რომ იქ თითქმის დაუზიანებლად იყო შემორჩენილი ღირსშესანიშნავი ისტორიული ძეგლი – ქრისტიანული ეკლესია. ეს ეკლესია, გუმბათიანი გახლდათ და გადმოცემით, წმინდა გიორგის სახელობისა იყო. იგი სოფლის გალმა, მდინარის მარცხენა ნაპირას, მთაზე იყო აღმართული. მისი დანახვა სოფელში შემოსულ კაცს ყოველი კუთხიდან შეეძლო. ეკლესია გარედან კირით იყო შეთეთრებული. რაც შეეხება შიგნითა ნაწილს, როგორც მზისაში ნაცხოვრები ჩემზე უფროსები ყვებოდნენ (რომელთა ნაამბობს ქვემოთ უფრო ვრცლად გაგაცნობთ), კედელზე ფრესკების ნაკვალევი ადგილ-ადგილ ჩვენს დრომდე ეტყობოდა. სხვათა ნათქვამს იმიტომ მოგახსენებთ, რომ მე თვითონ ის ეკლესია შიგნიდან არ მინახავს. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მაშინ ჩვენ, სკოლის მოსწავლეებს, არც უფლის რწმენას გვინერგავდა ვინმე და არც ეკლესიაში სიარული და ლოცვა იყო ნებადართული. თუ ვინმე მაინც მოინახულებდა ეკლესიას, უმეტესწილად როგორც ისტორიულ ძეგლს და არა, როგორც ღვთის სახლს და სამლოცველოს.

ახლა ძალიან ვნანობ, რომ მაშინ ის ეკლესია ყურადღებით არ დავათვალიერე, მაგრამ, ალბათ, დამერწმუნებით, რომ ეს ჩემი ბრალი სულაც არ არის. ჯერ ერთი, იმ ხნის ყმაწვილს, ეკლესია-მონასტრების ბევრი არაფერი გამეგებოდა და არც მომეთხოვებოდა. მეორეც, ახალგაზრდა თაობას უღმერთოებად გვზრდიდნენ და მეც და ჩემი თანატოლებიც ეკლესიურ ამბებში გაცნობიერებული არ ვიყავით. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ეს მიზეზები არც მშველის და არც მამართლებს, რომ დაწვრილებით არ შემიძლია იმ ეკლესიის ღირსშესანიშნაობის აღწერა. ამას კი კვლავაც გავიმეორებ, რომ ეკლესია გუმბათოვანი იყო. მთავარი შესასვლელის გარდა, თუ არ ვცდები, ორი სხვა კარი გვერდებიდანაც ჰქონდა.

უკვე ვთქვი, რომ ეკლესიის შესახებ ბევრი რამ დაწვრილებით არ მახსოვს-მეთქი. ამიტომ ზოგი რამის დასაზუსტებლად იმ მზისელი თანასოფლელების ნაამბობს მოვიშველიებ, რომლებიც იქ ჩასახლების პირველი დღიდანვე ცხოვრობდნენ, ასაკით ჩემზე უფროსები იყვნენ და ეკლესიასთან დაკავშირებული „წვრილმანები“ უკეთ ახსოვთ.

დუსია გავაშელიშვილმა მიამბო (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, დამიდასტურა), რომ მზისას ეკლესია ნამდვილად გუმბათიანი, ქართული იყო. „ქართულში“ იგი მართლმადიდებლურ – ქრისტიანულს გულისხმობდა. ჩვენ, მე და ჩემი თანატოლი ქალები, – იხსენებს ქალბატონი დუსია, – ხშირად ავდიოდით იმ ეკლესიაში. მიგვქონდა საჭმელი, მცირეოდენი ღვინოც. იქ, ბუნების წიაღში, თითქმის მთელი დღე ვრჩებოდით. შიგნითაც შევდიოდით, სანთლებს ვანთდებდით, ვლოცულობდით და მერე შინ ვბრუნდებოდით.

მოხატულობა?

იყო, მაგრამ, ძალიან დაზიანებული, ალბათ, სიძველით თუ მოუვლელობით. ამიტომ მიჭირს იმის თქმა, რა იყო კედლებზე გამოხატული"

მარიამ გობეჯიშვილი იგონებს: „ერთ კვირა დღეს მე და ჩემმა თანატოლმა ქალებმა გადავწყვიტეთ მზისას ეკლესიაში სალოცავად ასვლა. ამის სურვილი ჩემმა მეუღლემაც გამოთქვა, მაგრამ მე ვუთხარი, რომ იქ მარტო ქალები მივდიოდით და აღარ წამოსულა. ეკლესია გუმბათოვანი იყო. კედლებზე მხატვრობის კვალიც ეტყობოდა, მაგრამ არ ვიცი მათი მნიშვნელობა".

თამარ ლობჯანიძე – გავაშელისა. 1950 წ.

ჩემმა უფროსმა დამ – თამარმა მიამბო:

„ეკლესია გარედან კირით იყო შეთეთრებული, კარიბჭის წინ, შესასვლელში დიდი კეცი ქვა იდო. ეკლესიაში შესვლისას ორ თუ სამ ქვის საფეხურს ჩაივლიდი და იქაც ისეთივე კეცი ქვა იდო, როგორიც გარეთ, კარის წინ. ეკლესიის კედლებზე ნახატები ჩვენს დრომდე ეტყობოდა. წარწერებიც იყო შემორჩენილი, მაგრამ ჩვენ მათი წაკითხვა არ შეგვეძლო"

ეკლესიასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო ამბავს მომიყვა ნოდარ გობეჯიშვილი (დეტუეეთი).

„იმ დროს (1976 წ.), მზისაში მცხოვრებ ბიძასთან ვიყავი სტუმრად ჩასული. ერთ დღეს მე და ბიძაჩემი, მის ორ ამხანაგთან ერთად, მზისას ეკლესიაში ავედით. თან პურ-მარილი გვქონდა წაღებული. ეკლესიის მოხილვის შემდეგ ეზოში დავსხედით პურის საჭმელად. ახლაც კარგად მახსოვს, ეკლესიაში შესასვლელი კარის წინ და, ასევე, შიგნითა მხრიდან დადებული ორი დიდი ბრტყელი კეცი ქვა. ერთ-ერთ კედელზე გამოხატული იყო ცხენზე ამხედრებული კაცი, რომელსაც თავს ზემოთ რგოლი მოუჩანდა, ასეთივე რგოლიანი თავის ნაწილის ნახატი სხვა კედლებზეც იყო შემორჩენილი, თუმცა, ბევრი რამის გარჩევა ჭირდა".

ამის მთხრობელი ეკლესიის მოხატულობასა და სხვა საკითხებში ვერ ერკვეოდა, მაგრამ ეჭვი არ არის მის მიერ ნახსენები ცხენზე ამხედრებული კაცი უთუოდ წმინდა გიორგი უნდა ყოფილიყო, ხოლო კედელზე გამოხატულთა თავს ზემოთ გვირგვინი – ღვთაებრივი შარავანდედი.

ნოდარ გობეჯიშვილმა იმ დღეს ეკლესიაში მომხდარი, ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანი ფაქტიც გაიხსენა.

„ის იყო, პურის ჭამა დავამთავრეთ და წამოსვლას ვაპირებდით, რომ ეკლესიის ეზოში სამი უცნობი მამაკაცი შემოვიდა. მათ ერთხანს ათვალიერეს ეკლესია გარედან, გარშემოც რამდენჯერმე შემოუარეს. როგორც მივხვდით, ჩვენს იქიდან წასვლას ელოდებოდნენ. ჩვენც პურობა მოთავე-

ბული გვქონდა. ამიტომაც სწრაფად ავიყარეთ, მაგრამ წასვლით, ეკლესიიდან შორს არ წასულვართ. იქვე ტყეში დავიმალეთ, რათა გაგვეგო, ის სამი უცნობი ასე გვიან რისთვის იყვნენ მოსული და რას მოიმოქმედებდნენ.

როგორც ჩანს, მოსულებმა ივარაუდეს, რომ ჩვენ უკვე შორს ვიყავით და სამივენი ეკლესიაში შევიდნენ. სიშორისა და სიბნელის გამო ვერ ვხედავდით, იქ რას აკეთებდნენ. არადა, გვაინტერესებდა ამის გაგება. ეშვი გვქონდა, რაიმე სამალავი ხომ არ ჰქონდათ მონიშნული, სადაც რაღაც მნიშვნელოვანი განძი ეგულებოდათ.

ის იყო მათთან მისვლა დავაპირეთ, რომ მოულოდნელად თავს მილიციისფორმიანი ოთხი შეიარაღებული კაცი დაგვადგა და იარაღის მუქარით გვიბრძანეს, ადგილიდან ფეხი არ მოგვეცალა. ორი მათგანი ჩვენთან დარჩა სადარაჯოდ, ორიც ეკლესიაში შევიდა და ის სამი უცნობი, რაღაც ნივთებით სავსე ტომარასთან ერთად გარეთ გამოიყვანეს.

ეკლესიიდან გამოყვანილებმა რომ დაგვინახეს, სანამ რამეს ვიტყოდით, მილიციელებს უთხრეს, ესენი გაუშვით, ამათ ჩვენთან საერთო არაფერი აქვთ. რაც შეეხება ჩვენს ვინაობას, რაიონში ჩავიდეთ. იქ ან თქვენი, ან რაიონის ხელმძღვანელობა ცენტრს (ე. ი. მოსკოვს) დაუკავშირდება და ყველაფერი ადვილად გაირკვევაო.

ჩვენ, მართლაც, მაშინვე გამოგვიშვეს. ისინი რუსულად ლაპარაკობდნენ და რაც ჩვენი იქ ყოფნის დროს თქვეს, ყველაფერი გვესმოდა. შემდეგ რა მოხდა, ეს არ ვიცი"

მე თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოვეცი ყველაფერი, რაც ნ. გობეჯიშვილმა მიამბო, მაგრამ რამდენად ზუსტი და სარწმუნოა მისი მონათხრობი, ამაზე ვერაფერს გეტყვით.

გამორიცხული არ არის, ყოველივე, მართლაც, ისე მომხდარიყო, როგორც მან მიამბო. ანუ ის სამი კაცი, მართლაც, მისულიყო ეკლესიაში და იქ გადანახული რაღაც საეკლესიო განძ-სიწმინდეები წაეღოთ. თუ ვარაუდებს გავყვებით, მაშინ შეგვიძლია, ვიფიქროთ, რომ მზისას ეკლესია ადრე შუა საუკუნეებშია აგებული, როცა საქართველო ძლიერი სახელმწიფო იყო და ქრისტიანობაც მაშინ მთელ კავკასიაში, მათ შორის, ჩრ. კავკასიაშიც ვრცელდებოდა მანამ, სანამ თემურ-ლენგი არ შემოიჭრა და იქ მუსულმანობა არ გაბატონდა.

ეკლესია რომ შუა საუკუნეებში, ან იქნებ უფრო ადრეც არის აგებული, ამას მაფიქრებინებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტიც. კერძოდ, მუსულმანი ყარაჩაელები ათი საუკუნე მაინც იქნება, რაც ქლუხორის ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ხოლო სულ სხვა, არამართლმადიდებლური სარწმუნოების ხალხი ქრისტიანულ ეკლესიას რატომ ააგებდა? არც ის არის გამორიცხული, მზისას ეკლესია ბევრად უფრო ადრე, იქ მცხოვრებ ყარაჩაელთა გამუსულმანებამდე, როცა ისინიც ქრისტიანები იყვნენ, მაშინ იყოს აგებული.

რაც შეეხება ნ. გობეჯიშვილის ნაამბობს, თითქოს სამმა უცნობმა ეკლესიიდან ტომრით განძი გამოიტანა, თუ მის უტყუარობას დავუშვებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ „ნაპოვნი“, ალბათ, ამ მხარეში მაჰმადიანობის მოძალების და საქართველოს სამეფოს გავლენის შესუსტების შემდეგ ეკლესიის დატოვებამდე, იმ იმედით მალე კვლავ უკან დაბრუნდებითო, მღვდელმსახურთა მიერ გადამალული საეკლესიო ნივთები – ხატები თუ სხვა სიწმინდეები იყო, რისი დაკარგვაც ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობისთვის აუნაზღაურებელ დანაკარგად მიმაჩნია. მინდოდა, ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული კულტურის ძირებზე საუბარი აქ დამესრულებინა, მაგრამ გულმა არ მომითმინა ერთი, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი შემთხვევაც არ გამეხსენებინა.

მზისაში ჩვენი თანსოფლელი აფრასო ლობჯანიძე და მისი ოჯახი, ისე, როგორც ღებიდან წამოსული ჩვენ, მისი მეზობლები, შუა აზიაში გადასახლებული ერთ-ერთი ყარაჩაელის ნაცხოვრებ სახლში დაბინავდა და იქედან წამოსვლამდე იქ ცხოვრობდა.

ამასთან დაკავშირებით ადგილზე დარჩენილი იმ შვიდი თუ რვა ყარაჩაელი გლეხიდან ერთ-ერთმა – ალი ბუტამ ასეთი რამე უამბო პავლე ლობჯანიძეს (იგი მშობლიური ქართულივით უნაკლოდ ფლობდა ყარაჩაულს. ალი ბუტა და ბატონი პავლე ხშირად ერთად ჩამოსხდებოდნენ სანახშოზე და ტკბილად საუბრობდნენ ყარაჩაულად). სახლი, სადაც ამუამად აფრასო ლობჯანიძის ოჯახი ცხოვრობს, თქვენს ჩამოსახლებამდე აქაურ ყარაჩაელ ლობჯანიძეს ეკუთვნოდა, რომელიც სარწმუნოებით მუსულმანი იყო და სხვებთან ერთად შუა აზიაში გაასახლესო. ჩემი აზრით, მეტად საგულისხმო ფაქტია. საინტერესოა, შუა აზიაში გადასახლებული იმ ლობჯანიძის წინაპარი როდის და საიდან მოხვდა მზისაში. რადგან სარწმუნოების შეცვლა უკვე მოესწრო, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი წინაპრების მზისაში დასახლებიდან ძალიან დიდი დრო უნდა გასულიყო.

თუ ყოველივე ეს, რაც ყარაჩაელმა ალი ბუტამ ბატონ პავლეს უამბო სიმართლეა (კაცმა რომ თქვას, სიმართლე რატომ არ უნდა იყოს. მოხუც ყარაჩაელ ალი ბუტას ასეთი ტყუილის გამოგონებას და მერე პავლესთვის თქმას, რა რჯიდა?!) უნდა ვივარაუდოთ, რომ შუა აზიაში გადასახლებული ლობჯანიძე, რომელმაც ადრე რაღაც მიზეზით, თავისი მშობლიური მიწა-წყალი დატოვა და სარწმუნოების გამოცვლაც მოუხდა, ყოველივე ამას მტკივნეულად განიცდიდა და ეროვნული წარმომავლობაც რომ არ დაეკარგა, თავისი გვარი ბოლომდე შეინარჩუნა.

სოფლის სხვა ღირსშესანიშნაობათაგან უთუოდ უნდა აღვნიშნო, აგრეთვე, სკოლის ეზოში მოშრიალე, მართლაც, არაჩვეულებრივი უზარმაზარი სიდიდის ვერხვი.

მთის რაჭაში, მათ შორის, ღებში ნაცხოვრებ კაცს ხის სიდიდით ვერავინ გააკვირვებს. მაგრამ ეს ვერხვი მაინც, მართლაც, არაჩვეულებრივი, სულ სხვანაირი იყო. იგი, ერთ ძირზე ამოსული, სამ ტოტად იყო ზეცისკენ აღმართული და თითოეული მათგანი, დამოუკიდებლად, უზარმაზარი ხე გახლდათ. გაზაფხულზე რომ შეიფოთლებოდა, მის ქვეშ დაცემული ვაკის თითქმის ნახევარს თავისი ჩრდილით ფარავდა. ვერხვის ქვეშ ერთთავად ხავერდოვანი მწვანე ბალახი ბიბინებდა და სასიამოვნოდ გრილოდა. ამიტომაც ზაფხულის პაპანაქება სიცხეში, განსაკუთრებით კვირადღეს მაინც, იქაური მაცხოვრებლები, უმეტესად, კაცები და ბავშვებიც, როგორც კი შინ საქმეებს მორჩებოდნენ, ამ ხის ქვეშ მოიყრიდნენ თავს. ახალგაზრდები ბურთისა და ჭადრაკის თამაშით ვერთობოდით, უფროსები წარსულს იგონებდნენ, ან მიმდინარე პოლიტიკურ თუ სხვა საზოგადოებრივ მოვლენებზე ერთმანეთს აზრს უზიარებდნენ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ახალი საცხოვრებელი ადგილი სოფლის პირობაზე არავისგან დასაწუნი არ იყო არც მთით, არც ბარით, არც წყლით და ჰაერით და არც სახნავ-სათესი სავარგულეებით. მიუხედავად ამისა, პირველ ხანებში ზოგიერთი იქ ჩასახლებული მაინც ამრეზით უცქეროდა მზისას და მის შემოგარენსაც. ეს უმთავრესად იმით იყო გამოწვეული, რომ ძალიან დიდი და მწვავე იყო მშობლიური კუთხის მონატრება. ბევრს გული კვლავ თავისი მამაპაპური ადგილებისკენ მიუწევდა. ეს არც იყო გასაკვირი. მშობლიური მხარის სიყვარული ყველა ადამიანისთვის უმაღლესი გრძნობაა და სირცხვილიც იქნებოდა კავკასიონს გადაღმა რამდენიმე კვირის თუ თვის წინ ჩასახლებულ ღებელებს თავიანთი ადგილის დედა და ნაფუძვარი დავიწყებოდათ. ახალი გარემოს მიმართ გაუცხოებას ისიც ამძაფრებდა, რომ ჯერ ისევ ომი იყო. ლუკმაპურის შოვნა ჭირდა. ხალხი სანამ უცხო მიწასა და გარემოს ალღოს აუღებდა, ამას გარკვეული დრო და ფსიქოლოგიური მომზადება სჭირდებოდა. ცხადია, ასეთ დროს შეჩვეული ჭირი ბევრად უფრო ადვილად ასატანი იყო შეუჩვეველ ლხინზე. ამ და სხვა სიძნელეთა გამო გულშიც და ცხადადაც არაერთი ნანობდა, სამშობლოდან ასე შორს რომ წამოვიდა. მით უმეტეს, როცა ბევრი მათგანი უახლოეს მომავალშიც სასიკეთოს ვერაფერს ხედავდა. კაცმა რომ თქვას, რამდენიმე დღეში გინდ, თვეში, რა ისეთი სასწაული უნდა მომხდარიყო, რომ ყველა კმაყოფილი ყოფილიყო. ალბათ, ამიტომაც არაერთს გული აუცრუვდა ახალ საცხოვრებელზე და გუნებაში მშობლიურ კუთხეში დაბრუნება ჰქონდა ამოჭრილი. მაგრამ უსახსრობის გამო ასეთები უკიდეგანო ოკეანეში გადაკარგულ კუნძულზე გარიყულ, დაღუპული გემის მგზავრებს ჰგავდნენ. სანამ მათი ტყვეობის კუნძულს რომელიმე შემთხვევით ჩავლილი გემი არ მოადგებოდა და გემბანზე არ აიყვანდათ, თვითონ მათ, იძულებითი ტყვეობიდან თავის დაღწევის არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდათ. ამას თვითონაც კარგად გრძნობდნენ და იძულებული იყვნენ, უკეთეს შემთხვევამდე ბედს შერიგებოდნენ. ასეც

მოხდა. ბევრმა უკან დაბრუნების მსურველმა დროებით დაანება თავი ამაზე ფიქრს და შრომას მოჰკიდა ხელი. თუმცა, ოცნება მშობლიურ ადგილებში დაბრუნებაზე არასდროს განელებია.

...კარგად მახსოვს, მზისაში ყოფნის პირველი დღეები იყო. შინიდან მარტო გამოვედი. შარაგზას დავადექი და ისე აღმოვჩნდი სოფლის ცენტრში, რომ არც კი გამიგია. სოფელი დიდი არ იყო, ამიტომ მისი ერთი უბნიდან სხვა უბანში მისვლა სულაც არ გამძნელებია.

გარეთ კაცი არ ჭაჭანებდა.

მოგეხსენებათ, ბავშვი, მით უმეტეს ახალ გარემოში მოხვედრილი, ყველაფრის ნახვას ესწრაფვის. მეც იმ დროს სოფელში გამოსული, ხარბად ვათვალიერებდი, რასაც ირგვლივ ვხედავდი: ვაკვირდებოდი სახლებს, როგორები იყვნენ. ჰგავდნენ თუ არა იმათ, რაც აქამდე მენახა. ორღობეები, საით მიემართებოდა. თვალს ვერ ვწყვეტდი ფერდობებს, ბუჩქებს რომ დაეფარა, ულრანი ტყით შემოსილ ულამაზეს მთებს, რომელთაც ძირი აყვირებული მდინარის ნაპირას ედგათ და თავით სადღაც უსასრულობაში ერწყმოდნენ ზეცას. ერთი სიტყვით, ყველაფერი მაინტერესებდა და მომწონდა კიდეც, რასაც ირგვლივ ვხედავდი და სადამდისაც თვალი მიმიწვდებოდა.

ასეთ ყოფაში ვიყავი, გრიგოლია გავაშელიშვილი რომ მომიახლოვდა (გრიგოლია გვარი არ გეგონოთ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კაცის სახელია. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, მას გრიგოლი ერქვა, მაგრამ თანასოფლელები ასე მიმართავდნენ და ამიტომ მეც მის სახელს ამ ფორმით მოვიხსენიებ).

გრიგოლია ბიძია ღებიდან ერთ-ერთი გადმოსახლებულთაგანი იყო. იმ დროს იგი ასე, ორმოცდაათ წელს გადაცილებული ჭარმაგი გლეხი გახლდათ. სხვა საქმიანობაზე მეტად ნადირობა უყვარდა. ნადირობდა ყველაფერზე – გარეულ ცხოველებზეც და ფრინველებზეც.

მოახლოებისას ჯერ უხმოდ შემათვალიერა. მერე, თუმცა, შვილიშვილად შეევეფერებოდი, როგორც თანატოლს ისე მკითხა, აქაურობა როგორ მოგწონსო.

– ძალიან კარგი ადგილია. – არც დავფიქრებულვარ ისე მივუგე. თუმცა, ალბათ, მაშინ შვიდი-რვა წლის ყმაწვილს ბევრი არაფერი გამეგებოდა კარგი და ცუდი ადგილისა. თვალით ვზომავდი ყველაფერს. თვალს კი, რასაც იქ ხედავდა, ყველაფერი მოსწონდა. რაც შეეხება ბატონ გრიგოლიას, იგი როგორც მისი ასაკის კაცს შეეფერებოდა, ცხოვრების სიბრძნითა და გამოცდილებით იყო დამძიმებული. იმ დროს მთასა და ბარს იმის მიხედვით ამოწმებდა მისი, თუ სხვისი ოჯახისათვის სარჩო-საბადებლის მოპოვება ადვილი იყო თუ ძნელი. ძალიან კარგადაც იცოდა, რომ ჩემი ხნის ბავშვი დიდი ვერაფერი შემფასებელი ვიქნებოდი მზისას მთისა და ბარისა, მაგრამ, ეტყობა, გულზე ისე მოწოლოდა დარდი, მისთვის სულ ერთი იყო, ვის გაუზიარებდა სათქმელ-სატკივარს.

– კარგი არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენი ბედი ეს ყოფილა, მახეში გაბმული ჩიტივით სხვაგან გასაქცევიც არსად გვაქვს და იძულებული ვართ, ამ სოფელს, როგორიც არის, ისეთს შევეგუოთ. – მითხრა დანანებით და მზერა მდინარის გაღმა აღმართულ ტყიან მთებს მიაპყრო. მეც იქით გავიხედე და იმ წუთას რაც ენაზე მომადგა, ის ვუთხარი:

– რატომ არ არის კარგი გრიგოლია ბიძია, შეხედე რა ლამაზი ტყიანი მთებია. იმ ტყეში, ალბათ, უამრავი ნადირ-ფრინველი იქნება! – კარგად მახსოვს, სწორედ ასე ვუთხარი, მაგრამ ახლა გულწრფელად მიკვირს, მაშინ საიდან მომივიდა თავში ეს აზრი. საიდან უნდა მცოდნოდა პატარა ბიჭს, რომ ტყე ნადირ-ფრინველით ფასობდა და მზისას ტყეებში ეს ნადირ-ფრინველი ბევრი იყო თუ ცოტა. მახსოვს, ჩემს სიტყვებზე სახეზე გაკვირვება გამოეხატა. ისევ ტყეს გახედა, მერე სახე ჩემკენ იბრუნა და თითქოს სხვას მიმართავსო, ისე წამოიძახა:

– უყურე ერთი ამ თითის სიგრძე ბავშვს, ეს რა მოიფიქრა! აქაოდა, გრიგოლია ბიძია მონადირეა და ამას რომ ვეტყვი, ესიამოვნებაო. ხედავ, კაცო, რა გზით სცადა ჩემი დამშვიდება! სწორედ რომ უცნაური თაობა მოდის, მე და ჩემმა ღმერთმა! გრიგოლია ბიძიას, მგონი, კიდეც ესიამოვნა ჩემი პასუხი და კიდეც ეწყინა. გაკვირვებით რომ გაუკვირდა, ამაში საეჭვო ნამდვილად არაფერი იყო. ერთი სიტყვით, თავისი გაოცება დაუფარავად გამოხატა. შემდეგ მოურიდებლად შემომხედა, თითქოს უნდოდა, დარწმუნებულიყო, მართლა მე ვიყავი თუ არა. შევატყვე, რომ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, გადაიფიქრა და ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია, ალბათ, აქაოდა არ ღირს, თითისტოლა ბავშვთან უაზრო კამათიო, გაბრუნდა და წავიდა.

დრომ რომ განვლო. ხალხი ნელ-ნელა შეეგუა ახალ გარემოს, სოფელს და საცხოვრებელს. ვისაც ადრე მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი უკან დაბრუნება, ვგონებ, იმანაც შეიცვალა აზრი და განზრახვა. საქმე გამოუჩნდათ და შრომას გულმოდგინედ მოჰკიდეს ხელი. ყოველ შემთხვევაში, ერთი-ორი წლის შემდეგ, ახალი სამკვიდროს მიმართ უკმაყოფილებას ხმამაღლა არავინ გამოთქვამდა და ძველებურად არც იმაზე ლაპარაკობდნენ, უკან უნდა დავბრუნდეთო. ცხადია, პირვანდელი შეხედულებები არც იმათ შეუცვლიათ, ვინც თავიდანვე კმაყოფილი იყო თავისი არჩევანით და მზისაში ცხოვრებით.

„ყაჩაღები“

ბულუხორში ქართველების გამოჩენისთანავე მზისაში და, ალბათ, რაიონის სხვა სოფლებშიც უმალ გავრცელდა ხმები, აქაურ ტყეებში ყაჩაღები იმალებიანო. პირველ ხანებში ამან ხალხი შეაშფოთა, მაგრამ, როცა თითქმის მთელი წელი ისე გავიდა, რომ ყაჩაღი თვალით არავის უნახავს და იმ არემარეში მათი არსებობა არც რაიმე ფორმით დადასტურებულა, ეს ჭორ-მართალი ამბავი, კარგა ხანს თითქმის ყველას გადაავიწყდა. ასე გაიარა ერთმა წელმა. ამ ხნის განმავლობაში არა მარტო ჩვენთვის, მზისელებისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარული ამბავი მოხდა – დამთავრდა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მძვინვარე, სასტიკი და სისხლისმღვრელი ომი. ამის ფონზე ან ყაჩაღები ან სხვა სიძნელეები ვისღა ახსოვდა. მით უმეტეს, რომ ამ სიხარულს განსაკუთრებულ ფასს და ელფერს ომიდან ჩვენი ახლობლების, ნათესავების, მეზობლების, ნაცნობების ნელ-ნელა შინ დაბრუნება მატებდა. ამასთან ერთად, ისიც არანაკლებ გვახარებდა, რომ მზისაში დაბრუნებულ ჯარისკაცთაგან არც ერთს არც ფეხი აკლდა, არც თვალი და არც ხელი. მართალია, ზოგიერთი მათგანი ფრონტზე რამდენჯერმე იყო დაჭრილი, მაგრამ ნაჭრილობევი ყველას კარგა ხნის მოშუშებული ჰქონდა და გარეგნულად მისი კვალი არ ემჩნეოდათ.

აკაკი გავაშელი (მარჯვნიდან) ჯარის ამხანაგთან, აზერბაიჯანელ მუსა მამედოვთან ერთად. ბუდაპეშტი. 1945 წ.

თანასოფლელთაგან ომიდან ყველაზე გვიან აკაკი გავაშელი (მესკიეთი) დაბრუნდა. დაბრუნდა ისე, რომ წინასწარ შინაურებისთვის ისიც კი არ შეუტყობინებია, მოვდივარო. ის კი არადა, მისმა მშობლებმა და და-

ძმებმა მის შესახებ ბოლო სამი წლის განმავლობაში ისიც კი არ იცოდნენ, მკვდარი იყო თუ ცოცხალი. ომიდან დაგვიანებით დაბრუნების მიზეზი კი ის გახლდათ, რომ აკაკი ფრონტზე სკოლის მერხიდან გაეწვიათ ცხრამეტი წლის ასაკში. ხოლო ომი რომ დამთავრდა, ალბათ, იმიტომ, რომ ქვეყანაში სავალდებულო სამსახურში გასაწვევი მათი შემცვლელი ახალგაზრდობა საკმარისად არ იყო, აკაკი და მისი თანატოლები ორი წელი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში დატოვეს, სახელმწიფო საზღვარს დაცვა სჭირდებოდა. მიზეზი ყოველმხრივ სწორი და მოტივირებული გახლდათ და მათაც ვალი ქვეყნის წინაშე, ისევე როგორც ომიანობისას, მშვიდობიანობის დროსაც პირნათლად მოიხადეს.

ახლაც თვალწინ მიდგას მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი აკაკი გავაშელის გამოჩენა სოფლის ცენტრში. მამამისს, გიორგის რომ ახარეს, აკაკი ჯარიდან დაბრუნდაო, ისე გაუხარდა, ხელები გაშალა და სახეზე ბედნიერების ღიმილდაფენილმა იცეკვა. მანამდე ეს კაცი, ასე მგონია, გაღიმებულიც არავის უნახავს.

ერთი სიტყვით, ასეთმა სასიხარულო ამბებმა და მოძალებულმა საქმემ უაჩაღების ამბავი ხალხს, საერთოდ, გადაავიწყა.

ომის შემდეგ პირველი მშვიდობიანი მაისი ილეოდა. მზიანი ამინდი იდგა, რაც კიდევ უფრო ახალისებდა საზეიმო გუნება-განწყობილებას. მთელი სოფელი გარეთ იყო გამოფენილი. ვინ ეზოს ასუფთავებდა, ვინ კიდევ სხვა საოჯახო საქმეებს აგვარებდა. ნაწილი ბაღ-ბოსტნებში ტრიალებდა. შემოდგომის სარჩოს ხალხი საფუძველს ამთავითვე უყრიდა.

მზის ჩასვლას ბევრი არაფერი აკლდა, როცა საკუთარი ეზოებიდან ყველამ დაინახა, სახაროს მთის ფერდობს ცეცხლი რომ მოედო. „სახარო“ სოფლის პირდაპირ, მდინარის გაღმა აღმართულ ერთ ტყიან ქედს დაარქვეს ჩვენმა უხუცესებმა ღებში ამავე სახელწოდების მთის მიმსგავსებით.

ხანძართან ერთად სოფელმა ტყიდან გამოსული შვიდი-რვა უცნობი ადამიანი შენიშნა. რამდენიმე კაცმა უმალ შეკაზმა ცხენები და, მიუხედავად იმისა, რომ მათგან მხოლოდ ერთ-ორს თუ ჰქონდა იარაღი, მაინც ჭენებით გაქუსლეს ცეცხლმოდებული მთისკენ. უნდოდათ, ხანძარი ჩაექროთ, მაგრამ თუ ვინმე შემოუტევდათ, არც ბრძოლას მოერიდებოდნენ. თუმცა, საქმე აქამდე არ მისულა. სანამ ცხენოსნები ადგილზე მივიდოდნენ, უცნობები უკვე ტყეში გაუჩინარებულიყვნენ და საქმე არც შეიარაღებულ შეტაკებამდე მისულა.

ცხადია, ყველას აინტერესებდა, ვინ იყო ის ხალხი, ვინც ბალახს ცეცხლი წაუკიდა და მათკენ მიმავალ მზისელთა დანახვაზე ტყეში გაუჩინარდა. მაგრამ ამას პასუხი მხოლოდ მოგვიანებით გაეცა. ესენი, ჩემი ვარაუდით, იყვნენ გადასახლებას შემთხვევით გადარჩენილი ყარაჩაელები, რომლებიც უცხო მხარეში გასახლების შიშით ტყეს აფარებდნენ თავს. მართალია, დამსჯელი ოპერაცია კარგა ხნის დამთავრებული იყო, მაგრამ

მათ მაინც ეშინოდათ, რომ თუ ღიად გამოჩნდებოდნენ, სადაც მათი თანამემამულეები გაასახლეს, მათაც იმ გზას გაუყენებდნენ. ეს შიში სრულიადაც არ იყო უსაფუძვლო: ბუნებრივია, რომ იმ ხალხს არავითარი სურვილი არ ჰქონდა მშობლიური ადგილების დატოვებისა და შუა აზიაში, უცხო და უცნობ ადგილებში გადასახლებისა. ამიტომაც ყოველნაირად ცდილობდნენ, თავი დაეღწიათ დევნისაგან. ბევრი მათგანი ტყეში იყო გასული. ისინი არავის არაფერს უშავებდნენ. უბრალოდ, ცდილობდნენ, უკეთეს დრომდე მხოლოდ სიცოცხლე შეენარჩუნებინათ. უწყინარად იმიტომაც იყვნენ, რომ უნდოდათ, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ყურადღება ზედმეტად არ მიეპყროთ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სათანადო ორგანოებისათვის, როგორც შემდეგ გაირკვა, ყველაფერი უამისოდაც ცნობილი ყოფილა, მაგრამ დამნაშავეთა დაპატიმრებას არ ჩქარობდნენ, სანამ ამისათვის ხელსაყრელი პირობები არ მომწიფდებოდა. მართლაც, როგორც კი საამისო პირობები შეიქმნა, ქლუხორის ტყეებს თავშეფარებული ყაჩაღები სულ მალე შეიპყრეს და დასაჯეს კიდეც. მათთვის ჩამორთმეული ცხენები კი კოლმეურნეობებს დაურიგეს. ერთ-ერთმა ასეთმა ცხენმა, სახელად „პისტოლი" რომ ერქვა, კინალამ სიცოცხლეს გამომასალმა, თუმცა, ამასაც და ტყეში გავარდნილ ყარაჩაელებთან დაკავშირებულ ორ სხვა შემთხვევას ქვემოთ გავიხსენებ.

აკაკი გავაშელი (მარცხნიდან პირველი) სიძესთან – გოგი ქავთარაძესთან და დასთან – ნათელასთან ერთად.

რაც შეეხება ტყეში ხანძრის გაჩენას, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრე, ჩემი ღრმა რწმენით, ეს სულაც არ იყო წინასწარ გამიზნული ბოროტგანზრახვა. ეტყობა, ტყისპირას დასასვენებლად წამოწოლილ ყარაჩაელთაგან, ერთ-ერთმა შემთხვევით ანთებული სიგარეტის ნამწვი გადააგდო. ნამწვი ხმელ ბალახში ჩავარდა და ხანძარიც უმალ ავარდა. იმ ანდაზისა არ იყოს, ძაღლი ვინც მოკლა, მანვე გადაათრიოსო, ხანძარი მათვე ჩააქრეს და კვლავ ტყეში გაუჩინარდნენ, უცხოებს ზედმეტად თვალში რომ არ მოხვედროდნენ და სახელმწიფო უშიშროების მუშაკებისთვის დევნის საბაბი ზედმეტად არ მიეცათ.

ამჟამად დედოფლისწყაროს სოფ. მირზაანში მცხოვრებმა მარსელა ლობჯანიძემ მიამბო:

„ერთ საღამოს მე და ჩემი თანატოლი გოგოები შთალას ფერმაში მივდიოდით (ეს სახელიც „შთალა" უფროსებმა მზისაში ერთ-ერთ მთას დაარქვეს ღებში ამავე სახელწოდების მთის მიმსგავსებით). მაშინ მეც და ის ჩემი რამდენიმე თანატოლი კოლმეურნეობის ფერმაში – ზოგი მწველავად, ზოგიც მეხბორედ ვმუშაობდით. გზაზე შემოღამებულებმა ტყეში კოცონი შევნიშნეთ, რომელსაც ხუთი-ექვსი უცხო კაცი გარს შემოსხდომოდა და ვახშმობდა.

მათ დანახვაზე ყველანი ძალიან შევშინდით. გაგონილი გვქონდა, ტყეში ყაჩაღები იმალებიანო. უკან გამობრუნება დავაპირეთ, მაგრამ იმ დროს ჩვენთან მყოფმა ერთ-ერთმა ჩვენმა თანატოლმა ყარაჩაელმა გოგონამ დაგვამშვიდა, ნუ გეშინიათ, ისინი არაფერს დაგვიშავებენო. ეს ჩვენი მეგობარი ყარაჩაელი გოგონა იმ შვიდი თუ რვა ადგილობრივი ყარაჩაელი ოჯახის შვილი იყო, რომლებიც, როგორც თვითონ ამტკიცებდნენ, მთავრობამ სხვებთან ერთად იმიტომ არ გაასახლა, რომ ეროვნებით ლეკები იყვნენ. ერთი სიტყვით, ჩვენი თანატოლი ლეკი თუ ყარაჩაელი გოგონას ნათქვამით დაიმედებულები საითაც მივდიოდით, გზა კვლავ იქით განვაგრძეთ. ამასობაში, ეტყობა, იმ ხალხმაც შეგვამჩნია და დაგვიძახეს, მოდით, ნურაფრის შეგეშინდებათო. მზისაში ჩვენ ერთ-ერთი ყარაჩაელის ოჯახის მეზობლად ვცხოვრობდით. მათ ჩემს თანატოლ ბავშვებთან ურთიერთობისას თითქმის უნაკლოდ ვისწავლე ყარაჩაული ენა. ამიტომ ყველაფერი მესმოდა, რასაც ისინი თავიანთ ენაზე ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ.

იმ ყარაჩაელმა გოგონამ კიდევ ერთხელ დაგვამშვიდა და ჩვენც მივედით იმ უცხო ხალხთან. რომ არ მივსულიყავით, თუ მოინდომებდნენ, სად გავექცეოდით. ცეცხლთან მიგვიპატიჟეს. ძალიან ზრდილობიანად დაგვამშვიდეს, ნურაფრის ნუ გეშინიათ, ჩვენ არც თქვენ და არც სხვებს არაფერს ვუშავებთ. ტყეს თავს იმიტომ ვაფარებთ, რომ შუა აზიაში წასვლა არ გვინდაო. მათ შორის აღმოჩნდა ჩვენი თანასოფლელი ყარაჩაელი ხამითაც. ეს ხამითა ორი წლის წინათ სამხედრო სავალდებულო სამსახურში მზისადან გაიწვიეს. ის და მისი მშობლები მზისაში ცხოვრობდნენ. ეს იმ ალი ბუტას უფროსი ვაჟი იყო, ზემოთ რომ ვახსენე. მას და მის ოჯახს მეც კარგად ვიცნობდი, მის უმცროს ძმებთან კი ვმეგობრობდი.

სამხედრო სამსახურში გაწვეული ხამითა გზიდან უკან დაბრუნდა. ეტყობა, იმის შიშით, რომ არ დაესაჯათ სამხედროში წაუსვლელობის თუ სხვა რამ მიზეზით და ტყეში გასულ ყარაჩაელებს შეაფარა თავი.

ხამითამ რომ დაგვინახა, გაუხარდა, ყველას ახლოს გვიცნობდა და გულთბილად მოგვესალმა. წამოსვლისას ხამითამაც და იმ დანარჩენებმაც გვთხოვეს, დიდი ხანია, მაწონი არ გვიჭამია. გვენატრება და თუ მოახერხებთ, იქნებ მოგვიტანოთ, მაგრამ ისე რომ უფროსებმა არ გაგიგონ და ამის გამო რამე უსიამოვნება არ შეგხვდეთო. ჩვენ დავპირდით, რომ თხოვნას

შევუსრულებდით და არც მოგვიტყუებია. ტყიდან გამოსვლის შემდეგ ხამითა ამ ამბავს ხშირად მადლიერებით იგონებდა“.

რაც შეეხება ყაჩაღებთან დაკავშირებულ მეორე შემთხვევას, იგი ამ ამბიდან მეორე წელს მოხდა.

მზისას კოლმეურნეობას ფერმის საქონელი მთაში საზაფხულო საძოვრებზე ყავდა აყვანილი. მწყემსები მათ იქვე აძოვებდნენ, წველიდნენ და ყველ-კარაქსაც იქვე ამზადებდნენ. წესი იყო, მწყემსები საქონელს ღამღამობითაც აძოვებდნენ. ეს სულაც არ იყო ძნელი, არც რამე ხიფათთან დაკავშირებული. საძოვრები ფერმის შენობებს თითქმის ზედ ებმოდა. იქაურ მთებში ისეთი ვრცელი საძოვრები იყო და ისეთი ბალახი იცოდა, ნახირი, თუ მწყემსი არ გადენიდა, შორს სულაც არ მიდიოდა. ამის გამო მენახირეს ჯაფა ნაკლებად ადგებოდა.

ბარემ ამასაც ვიტყვი: იმ დროს იმ მხარეში – როგორც მთაში, ისე ბარად – ქურდობა და ავკაცობა იშვიათი შემთხვევა იყო. მაგრამ გამონაკლისების და მოულოდნელობისგან ეს ქვეყანა არასოდეს არის დაზღვეული. ალბათ, ისიც ერთ-ერთ გამონაკლისი შემთხვევათაგანი გახლდათ, რასაც ახლა გიამბობთ.

ერთ ღამეს, როცა ფრანგა (ეროვნება არავის ეგონოს, კაცის სახელია. უცხოელთა მიბაძვით მშობლებმა მას უთუოდ „ფრანცი“ დაარქვეს, მაგრამ სოფლისთვის უფრო მისაღები, ალბათ, ადვილად გამოსათქმელი „ფრანგა“ აღმოჩნდა და იმ კაცს მთელი სიცოცხლე ამ სახელით იცნობდა ყველა) გავაშელიშვილი, ჩვეულებრისამებრ, ნახირს აძოვებდა, საიდანღაც უცნაური ხმა შემოესმა. ეს ხმა არც ნადირის ღმუილს ჰგავდა არც ადამიანისას. როცა იმ მხარეს მიაყურადა, საიდანაც ხმა ისმოდა, მოულოდნელად თავს ვიღაც უცნობი დაესხა, რომელიც ტანად ნამდვილი ჯუჯა იყო. მიუხედავად ქონდრისკაცობისა, მწყემსი უმალ დარწმუნდა, თავდამსხმელი ფიზიკურად იმდენად ძლიერი იყო, ჩვეულებრივი ტანის მოწიფულ ვაჟკაცს არაფრით ჩამოუარდებოდა. ამიტომაც ვერ შესძლო მწყემსმა მისი დამარცხება. აქვე, ალბათ, ზედმეტი არ იქნება იმის თქმაც, რომ ფრანგა იმ დროს ახალგაზრდა კაცი იყო, არც მშიშარა გახლდათ და არც ჯანი აკლდა. ყოველ შემთხვევაში, თავის თანატოლებს არაფერში ჩამოუარდებოდა. ყველაზე უცნაური მაინც ის იყო, რომ თავდამსხმელი კრინტს არ ძრავდა. მინიშნებითაც არ მიანიშნებდა, ვინ იყო, რა სურდა, ან რატომ ებრძოდა უცნობ ადამიანს, რომელსაც, ალბათ, არც კი იცნობდა და მისთვის არაფერი არ დაეშავებინა.

ეს ამბავი პირველად რომ მოვისმინე, გერმანულ ეპოსში „თქმულება ნიბელუნგებზე“ აღწერილი ამბავი გამახსენდა, მიწისქვეშა სამყაროში შესულ ზიგფრიდს აურაცხელი განძის მცველი, მრისხანე ჯუჯა ალარიხი რომ ესხმის თავს. ისე ნურავინ იფიქრებს, თითქოს ან მწყემსს ვადარებდე ზიგფრიდს, ან იმ თავდამსხმელ ჯუჯას ალარიხს, მაგრამ იმღამინდელი შემთხვევა რაღაცით ჰგავს ამ წიგნში აღწერილ ამბავს.

ეს თავდასხმა და ორთაბრძოლა თურმე ზედიზედ სამი ღამე მეორდებოდა. როცა უცნობმა ვერ შეძლო მწყემსის დაჯაბნა და, ჩვენთვის გაუგებარი თავისი განზრახვის შესრულება, რისთვისაც ღამღამობით მოდიოდა და მწყემს თავს ესხმოდა, მას შემდეგ აღარ გამოჩენილა.

ხალხი მაშინვე ვარაუდობდა, რომ ის ჯუჯა, ალბათ, ტყეში გავარდნილი ყაჩაღების გუნდის წევრი იყო, მაგრამ დიდხანს არავინ იცოდა სინამდვილე, სანამ ერთხელ იმ დროს მთაში ფრანგასთან ერთად ფერმაში მომუშავე მის ქვისლსა და მეგობარს, შოთა ლობჯანიძეს (კაცელეეთი) არ ვკითხე, ამ ამბის შესახებ ხომ არაფერი იცი-მეთქი.

მან მითხრა: ციხიდან დაბრუნებულმა ხამითამ გვიამბო, ტყეში გასულ ჩვენს ჯგუფს ერთი ვიღაც მუნჯი ჯუჯა შემოეკედლა. მიუხედავად ტანდაბლობისა, იგი საკმაოდ ჯანიანი ვინმე იყო. მთავრობის მოგზავნილი გვეგონა და ბოლომდე არ ვენდობოდით, მაგრამ ეჭვის საბაბიც არ გვქონდა.

ერთ ღამეს თავის მუნჯურ ენაზე გვითხრა, მსუქან ხბოს მოგიყვანთ და მის ხორცს გაჭმევთო. ჩვენ ნათქვამი არ დავუჯერეთ, მაგრამ არც წინააღმდეგობა გაგვიწევია.

სამი ღამე ზედიზედ იკარგებოდა და უკან ძალიან გვიან მუდამ ხელცარიელი ბრუნდებოდა.

ერთი კვირის შემდეგ კვლავ ხბოს მოყვანის დაპირებით გავიდა ბანაკიდან და უკან აღარ დაბრუნებულა.

ორი თუ სამი ღამე ვუცადეთ, მაგრამ რომ არ გამოჩნდა, ეჭვი შეგვეპარა და ადგილის გამოცვლა დავაპირეთ, მაგრამ ველარ მოვასწარით. მილიციის ნაწილებმა ალყა შემოგვარტყეს. საქმეზე გაგზავნილი ორი თუ სამი კაცის გარდა, ვინც მაშინ ადგილზე აღმოვჩნდით, ყველანი დაგვიჭირეს. ეჭვი შეგვეპარა, რომ იმ ჯუჯამ გაგვყიდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი საბუთი ხელთ არაფერი გაგვაჩნდა. ფრანგას უთუოდ ის ჩვენი ჯუჯა ებრძოდა, რომ დაეჯაბნა და ხბო წაერთმიაო, ამბობდა ხამითა და თავისი ნათქვამი არ ეეჭვებოდა.

ვინ იცის, შეიძლება ეს მართლაც ასე იყო...

ყარაჩაელი მაჟშვიმი ქართულ სკოლაში სწავლობენ

მოყვასის სიყვარულის აუცილებლობასა და შემწყნარებლობაზე მაცხოვრის მიერ გულმხურვალებით ნაქადაგარ შეგონებას ქართველი კაცის ბუნების სახით ბრწყინვალე ნიადაგი დახვდა. ცხოვრებამ ეს არაერთხელ დაადასტურა. ამის შესახებ ბევრი თქმულა და დაწერილა კიდეც.

ის კი არადა, მოყვასის მიმართ სიყვარულსა და შემწყნარებლობაში ჩვენ არამარტო ჩვენს თანამოძმეთა მიმართ, განსაკუთრებით სხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანთა მიმართაც ერთგვარი ზღვარგადასული კეთილი დამოკიდებულებაც კი გვჩვევია. პირადად მე ვერ ვიტყვი, სხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ადამიანების მიმართ ჩვენი ამ ზღვარგადასული შემწყნარებლური დამოკიდებულებით ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყო.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს გულით ან გონებით უარვყოფდე მოყვასისადმი სიყვარულის ამ ღვთაებრივ შეგონებას, მაგრამ სხვებზე ზედმეტმა თანგადაყოლამ, მოფერებამ, ზოგ-ზოგების წინაშე უსაფუძვლო თავმოდრეკილმა ქცევამ და დათმობამ არაერთი სიმწარე გვაგემა და ჩვენი კეთილშობილება უკან ბოროტებად დაგვიბრუნა. ამის დამადასტურებელი მაგალითები წარსულში რომ არ ვეძებოთ, აწმყოშიც უხვად მოინახება. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, ჭკუა დღემდე ვერ გვისწავლია და სწორი დასკვნა მომხდარიდან ჯერაც ვერ გამოგვიტანია. ამის გამო არაერთხელ გვიხდება თავში ხელი საცემი. ასე რომ არ იყოს, მოყვასის სიყვარულს და სხვათა მიმართ შემწყნარებლობას რა სჯობია. ოღონდ ეს ორმხრივად უნდა ხდებოდეს. მაშინ, გაგიხარიათ, დიდებული რამეა ტოლერანტობა.

სიმართლე თუ გნებავთ, ასე იქნებ ბევრი ვფიქრობთ, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, გული ნებას არ გვაძლევს გაჭირვების ჟამს ვინმეს ხელი ვკრათ და არ დავეხმაროთ.

ქართველი კაცის შემწყნარებლური დიდბუნებოვნობა, უცხოთათვის მხარში ამოდგომა, მინაგვალება, მოფერება და გასაჭირში თანაგრძნობა რომ უფრო თვალნათლივ წარმოჩინდეს და, ამასთან ერთად, ქლუხორ – მზისაში ჩვენი ცხოვრების ამბები ხელშესახები სრულყოფილებით გახდეს დასანახი, ალბათ, ზედმეტი არ იქნება, თუ რამდენიმე სიტყვას იმ ყარაჩაელებზეც ვიტყვი, რომლებმაც იმ საბედისწერო, 1943 წლის გადასახ-

ლების ღამეს, რაღაც ხერხით თუ მეთოდით, თანამოძმეთა მწარე ხვედრის თავიდან აცილება შეძლეს და მშობლიურ კუთხეში დარჩენა მოახერხეს. არ ვიცი, რაიონის ტერიტორიაზე სულ რამდენი იყო ასეთი ოჯახი, მზისაში კი მათი რიცხვი ათს არ აღემატებოდა. ისინი სოფლის სხვადასხვა უბანში ცხოვრობდნენ და, კარგახანს საკუთარ კარ-მიდამოში თავისი ნებით ჩაკეტილები, ეზოდან, ჭიშკარს გადაღმა არ გადმოდიოდნენ. ცხადია, გადასახლების შიში და ელდა ჯერაც არ განელებოდათ. ეს არც იყო გასაკვირი: ამ ხალხმა იცოდა, რომ ბრალდება, რომელიც მათ თანამემამულეებს მთავრობამ წაუყენა, მათაც მთლიანად ეხებოდათ. ყოველ შემთხვევაში, ისინი, ალბათ, ვარაუდობნენ, თუ ეს ხალხი (ანუ ჩვენ, ქართველები!) მთავრობას ჩვენზე რამე არასასურველ ინფორმაციას მიაწვდის, ჩვენც უმალ თავს შუა აზიაში ისე გვიკრავენ, როგორც არაერთ ჩვენს თანამემამულეს მოექცნენო. მათი შიში სულ არ იყო საფუძველს მოკლებული, პირველ ხანებში მაინც. ყარაჩაელთა გადასახლებასთან დაკავშირებულ იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში თუ ერთხელ კიდევ ჩავიხედავთ, რომელზედაც ზემოთაც მქონდა საუბარი, იქ ერთ, მეტად საგულისხმო ფრაზას ამოვიკითხავთ: „საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარიატის სტავროპოლის სამხარეო სამმართველოს მიერ ძირითადი კონტიგენტის გადასახლების შემდეგ (საუბარია ყარაჩაელებზე) სტავროპოლის მხარეში გამოვლენილ იქნა კიდევ 329 ყარაჩაელი. ყველა მათგანი გადავასახლეთ მათი ძირითადი საცხოვრებელი ადგილიდან“ – მოახსენებენ საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეს, ს. გ. კრუგლოვს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სტავროპოლის სამხარეო სამმართველოს უფროსი ტკაჩენკო და მისი მოადგილე იველევი.

ასეთი განსაცდელის გადამტან ხალხს რომ ეფრთხილა, სულაც არ იყო გასაკვირი. ამიტომაც ფრთხილობდნენ კიდეც. ახლოს არ გვეკარებოდნენ. ჩვენთან ყოველგვარ ურთიერთობას გაურბოდნენ. ათასში ერთხელ, ისიც ფარულად, როცა სახლის კარს გამოაღებდნენ, ჯერ კარგად შეამოწმებდნენ, მათი დანახვა ხომ არავის შეეძლო და როცა დარწმუნდებოდნენ, რომ არავინ უთვალვალებდათ, ეზოში ქურდულად გამოვიდოდნენ, შორიდან შეფარვით გვწკვრელავდნენ, გვზვერავდნენ, გვამოწმებდნენ, ვინ ვიყავით, როგორები ვიყავით, როგორ ვიქცეოდით, არკვევდნენ იმ დღეებში არა, მაგრამ მომავალში მაინც შეიძლებოდა თუ არა ჩვენი ნდობა, ჩვენთან დალაპარაკება, ურთიერთობა და ასე შემდეგ.

კაცმა რომ თქვას, მათ შესახებ ბევრი რამ არც ჩვენ ვიცოდით, თუნდაც ის, იმ საბედისწერო ნოემბრის ღამეს, როგორ გადაურჩა გადასახლებას თითო-ოროლა ოჯახი.

მიუხედავად წადილისა, უფრო მეტი გვცოდნოდა მათ შესახებ, თავს ნებას არავინ აძლევდა, ისინი ზედმეტი ცნობისმოყვარეობით შეეწუხებინა.

რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა ჩვენ შორის უნდობლობის ყინული გალღვა და საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ჩვენგან მათ არავითარი საფრთხე არ მოელოდათ, ურთიერთ ნდობაც ჩაისახა, მაგრამ გადასახლებაზე თუ ჩამოვარდებოდა საუბარი, დაბეჯითებით გვარწმუნებდნენ, ჩვენ ეროვნებით ყარაჩაელები კი არა ვართ, არამედ ლეკები და გადასახლებას ამიტომ გადავურჩითო. როგორც ჩანს, მაინც ფრთხილობდნენ. შიშს დიდი თვალები აქვს და მათი სიფრთხილე ზედმეტად სულაც არ ჩაითვლებოდა. მაშინ მკაცრი დრო იყო და ძლივს საფრთხეს გადარჩენილები თავდაცვის ყოველგვარ გზას და ხერხს მიმართავდნენ თანამოძმეთა ბედი რომ არ გაეზიარებინათ.

მიუხედავად ჩვენდამი ფარული უნდობლობის და დაეჭვებისა, ჩვენ ერთხელაც არ მიგვიცია საბაბი, გვეკვლია, ისინი ნამდვილად ლეკები იყვნენ, ჩეჩნები თუ ყარაჩაელები.

ჯერ ერთი, ჩვენთვის ლეკს, ჩეჩენსა და ყარაჩელს შორის დიდი განსხვავება არ იყო. ვიცოდით, რომ ყველანი ერთი და იგივე მუსლიმანური რელიგიის მიმდევრები იყვნენ და ამის გამო კინაღამ ერთი მოდგმის ხალხადაც მიგვაჩნდა. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენი მხრიდან ასეთი მიდგომა სწორი იყო, მაგრამ მაშინდელი სინამდვილე ამგვარი გახლდათ.

იყო კიდევ სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზი, რომ მათ ჩვენი არ უნდა შინებოდათ: ჩვენ ბუნებით არ ვიყავით დასმენისადმი მიდრეკილი ხალხი, ანუ, როგორც ამჟამად ამბობენ, „ჩამშვებები“ არასოდეს იმის განჯაში არ შევდიოდით, რამდენად სამართლიანი იყო, რომ თანამოძმეთა მსგავსად მთავრობამ ისინიც არ გადაასახლა შუა აზიაში. მიგვაჩნდა, რომ ამგვარი საკითხები მთავრობის მოსაგვარებელი იყო. რახან აქამდე არავინ მოთხოვათ პასუხი, ჩანს, უდანაშაულოდ ჩათვალეს. ჰოდა, ჩვენ ვინ ვიყავით, რომ მათი დანაშაულ-უდანაშაულობა გვერკვია!

უთუოდ, დროთა განმავლობაში დაკვირვების შემდეგ მიხვდნენ, რომ ჩვენ ის ხალხი არ ვიყავით, მათთვის რამე გვევნო. ალბათ, ბევრმა რამემ იმაშიც დაარწმუნათ, რომ ჩვენ იქ ერთი-ორი დღით, გინდათ, ორი წლით არ ვიყავით ჩასულები. თუ სასწაული არ მოხდებოდა და ხელს რამე არ შეგვიშლიდა, სამუდამოდ ვაპირებდით ქლუხორ-მზისაში ცხოვრებას. ასე რომ, როდემდე უნდა გამოკეტილიყვნენ თავიან სახლებსა და კარ-მიდამოში! რაც უფრო მალე დაძლევდნენ შიშსა და უნდობლობას, ეს, უპირველესად, მათთვის იქნებოდა უკეთესი. რამდენ ხანსაც არ უნდა დამალულიყვნენ, ბოლოს მაინც ერთად მოგვიწევდა ცხოვრება და მეზობლური ურთიეთრობა. ამიტომ ჩვენს მათკენ ხელგაშლილ სწრაფვას მათაც, მართალია, ფრთხილად და ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ ბოლოს მაინც იგივე გრძნობითა და ქმედებით უპასუხეს.

ყველაზე მალე, ადვილად და უმტკივნეულოდ მაინც ჩვენ, ბავშვებმა და მოზარდებმა მოვახერხეთ ყარაჩაელ თანატოლებთან დაახლოება. ბავ-

ვები ხომ უფრო მიმნდობები არიან ყველგან და ყველაფერში. ერთი სიტყვით, ერთ სოფელში ცხოვრებამ, საერთო საქმის ერთად კეთების აუცილებლობამ, ჩვენ, – ჩასულები და ისინი – ადგილობრივი მკვიდრნი, სულ მალე ისე დაგვაახლოვა, რომ რაგინდ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, მიუხედავად აღმსარებლობის სხვადასხვაობისა, შერეული ოჯახებიც კი შეიქმნა. ამას გარდა, ვინაიდან სოფელში სხვა სკოლა არ იყო, იმ ცხრა თუ ათმა ყარაჩაელთა ოჯახმა თავიანთი შვილების წერა-კითხვის უცოდინრად დატოვებას ქართულ სკოლაში შეყვანა ამჯობინეს და რვა კლასის დამთავრებამდე ყარაჩაელთა ბავშვებიც ჩვენთან ერთად ქართულ სკოლაში სწავლობდნენ. (მზისაში მხოლოდ ერთად-ერთი რვაწლიანი ქართული სკოლა ფუნქციონირებდა). ისინი ამ ხნის განმავლობაში ჩვენზე არანაკლებ დაეუფლნენ ქართულ ენას. ასევე, რამდენიმე ღებელმა ბავშვმა, მათ, ვისი ოჯახებიც ყარაჩაელთა ოჯახებთან მეზობლად ცხოვრობდა და, ცხადია, ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ თავიანთ ყარაჩაელ თანატოლებთან, მშვენივრად ისწავლეს ყარაჩაული ენა. მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდა.

თამარ ლობჯანიძე (მარცხნივ) ყარაჩაელ ქალიშვილთან ერთად. 1950 წ.

მანამდე კი მზისაში ჩვენი დასახლების პირველი დღეებიდანვე, მართლაც, რომ მშვენიერი დარები დაიჭირა. კრიალა ცა, ბრდღვიალა მზე, ამწვანებული მთა-გორები და დაბურული ტყე ძალუმად გვიხმობდა შინიდან გამოსასვლელად. ყოველივე ამას თუ დავუმატებთ სოფლის ბოლოს მთებიდან მხიარული მაყრულით მომავალ მდინარე თებერდას, რომლის ნაპირებსაც ტყით დაბურული ჭალები ამშვენებდა, ჩვენი ასაკის ბავშვებს სახლში რა გაგვაჩერებდა და შინ არც ვჩერდებოდით.

უფროსები დილიდანვე მინდორში მიდიოდნენ სამუშაოდ. ჩვენ ზაფხულის არდადეგები გვქონდა და, დილით ავდგებოდით თუ არა, უმალ სოფლის სანახშოს მივაშურებდით. იქ ერთხანს სხვადასხვა თამაშობით ვერთობოდით. შემდეგ მზე რომ კარგად შემოიმაღლებდა და მივიჩნევდით, რომ წყალი უკვე ნაწილობრივ მაინც გათბებოდა, სოფლის ბოლოს, სადაც წყლის წისქვილი და სამჭედლო იდგა, ჩვენთვის ყველაზე მოხერხებულ ადგილას, ქვიშის ნაპირიან საბანაო მორევს მივაშურებდით.

წისქვილისა და სამჭედლოდან დაახლოებით ასი მეტრის მოშორებით, ზედ გზის პირას, ადგილობრივ მკვიდრ თანამემამულეთაგან განცალკევებით, ყარაჩაელი ალი ბუტას ოჯახი ცხოვრობდა.

მოგეხსენებათ, მუსლიმანები მრავალშვილიანობით გამოირჩევიან. ამ მხრივ არც ალი ბუტა და მისი მეუღლე იყვნენ გამონაკლისნი – მათ შვიდი თუ რვა შვილი ჰყავდათ. ქალიშვილების სახელები ახლა არ მახსენდება. ვაჟებიდან უფროსს ხამითა ერქვა, რომლის შესახებაც ზემოთ უკვე ვისაუბრე, შუათანას – ხალითა, ხოლო სულ უმცროსს – მახმუთა.

იქ ცამეტი წლის ცხოვრების მანძილზე ჩვენ ყარაჩაელებისთვის არავითარი საბაბი არ მიგვიცია სულ მცირე უკმაყოფილებისთვისაც კი. ჩვენსა და ყველა მათ შორის სრული კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ ალი ბუტას ოჯახი ჩვენვნდამი განსაკუთრებით თბილ დამოკიდებულებას იჩენდა. ეს ითქმის როგორც მშობლებზე, ისე შვილებზე. ცხადია, ჩვენც და ჩვენი მშობლებიც მათ ოჯახს ამგვარივე გრძნობით ვპასუხობდით.

უკვე ვთქვი, ჩვენსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის დაახლოებას საფუძველი, ჩვენ, პატარებმა ჩავუყარეთ-მეთქი. ყველაფერი კი თავიდან ასე დაიწყო:

მზისაში ჩვენი ჩასახლების პირველი ზაფხული იყო.

მე და ჩემი თანატოლები მდინარეზე საბანაოდ ყოველდღე დავდიოდით და გზად მუდამ ალი ბუტას სახლის გვერდით უნდა ჩაგვევლო. ალი ბუტას შუათანა ვაჟი, ხალითა ჩვენი კბილა იყო. თამაში და გართობა მისთვის, ისევე როგორც ჩვენთვის – მისი თანატოლებისთვის, ბუნებრივი გრძნობა იყო, თავისი ტომის სამეგობროს მოკლებულ ხალითას, ქართველ ბიჭებს ერთად რომ გვხედავდა, გული ჩვენსკენ მოუწევდა. თუმცა, სითამამე არ ყოფნიდა, პირდაპირ მოსულიყო ჩვენთან. სამაგიეროდ, ეტყობოდა, კარგა ხანს თვალს შორიდან გვადევნებდა, რომ გაეგო, ვინ ვიყავით და როგორები ვიყავით.

ერთხელაც, როგორც ჩანს, ვეღარ მოითმინა და წისქვილთან ჩამოვიდა. ჩვენი ერთ-ერთი თანატოლი, გივი გავაშელიშვილი (მესკიეეთი) მასთან მივიდა. ხალითას გაცლა არ უცდია. გივიმ თხოვა, ჩვენთან მოსულიყო და მდინარეში ებანავა. მას არც ამაზე უთქვამს უარი. ამის შემდეგ, როგორც კი მათ სახლთან ჩავივლიდით, ჭიშკართან გვხვდებოდა და მერე მთელი დღე გვერდიდან არ გვშორდებოდა. ხალითამ მოკლე ხანში ქართულში ენაც გაიტეხა, ერთ-ორი საყველპურო ყარაჩაული წინადადება მისგან ჩვენც ვისწავლეთ, რამაც კიდევ უფრო დაგვაახლოვა. ხალითას მაგალითს სულ მალე სხვა ყარაჩაელმა ბავშვებმაც მიბაძეს და რაკი ნავსი ერთხელ გატყდა, მერე ყველაფერი თავისით აეწყო. ალბათ, შინ მისულმა შვილებმა მშობლებს უამბეს ჩვენთან ურთიერთობის შესახებ, რამაც ხელი შეუწყო უფროსების დაახლოებასაც.

ქართველებისა და ყარაჩაელების მაშინდელ ურთიერთობას დღევანდელი გადასახედიდან რომ ვაფასებ, სულ უფრო ვრწმუნდები, რომ თუ ხალხებს ორმხრივი სურვილი ექნებათ, თვით ურთულეს პრობლემასაც კი, იარაღის გარეშეც სულ ადვილად მოაგვარებენ. ასე მგონია, რიგით ადამიანებს ერთმანეთთან არავითარი პრობლემები არ გააჩნიათ. სიძნელეებს მხოლოდ პოლიტიკანები ქმნიან თავიანთი უგნურებით. თუ რატომ და რისთვის, ეს გრძელი საუბრის თემაა და სჯობია, ამჟამად ამის ახსნისაგან თავი შევიკავო, თუმცა, საზოგადოდ, ზოგიერთ რამეზე პასუხის გაცემა, ვფიქრობ, არ უნდა გაგვიჭირდეს, არც მე და არც სხვას.

რაჟიკო მასწავლებელი

ზოცა ამბობენ, სახელს კაცი ამშვენებს და არა პირიქითო, მგონია, რომ ამაში საეჭვო არაფერია. თუმცა, უცნაური სახელი შეუჩვეველ ყურს ერთგვარად ჭრის, პირველ ხანებში მაინც, სანამ იგი ჩვენთვის უცხოა. ისე კი, საზოგადოდ თუ ვიტყვიო, რაც ერთი კუთხის, გინდაც, ქვეყნის მცხოვრებთათვის უცნაურად ულერს, შეიძლება, ის სხვებისთვის სრულიად ბუნებრივი იყოს და არც გაკვირვებას იწვევდეს. ერთი სიტყვით, სახელი „რაჟიკო“ შეიძლება ბევრს არ მოსწონდეს, მაგრამ თვითონ მასწავლებელ რაჟიკო ლობჯანიძეს, (ნანუკიანთი) როგორც კაცს, მოქალაქეს, კეთილშობილ ადამიანს და კოლორიტულ პიროვნებას, დასაძრახი ნამდვილად არაფერი სჭირდა.

მზისაში გადასახლებისას იგი ასე, 23-24 წლისა იქნებოდა. ტანად საშუალოზე ოდნავ მაღალი, მუდამ სპორტულ ფორმაში იყო. სიარულის დროს ისე მოძრაობდა, იტყოდით, ამ კაცის ტანს ოდნავი წონა არა აქვს, ან თუ აქვს, ფეხებს უფრთხილდება – არ სურს, ტანის სიმძიმით შეაწუხოს და ასე მსუბუქად იმიტომ დადისო. უთუოდ ამის მიზეზი იყო, ფეხსაცმლის ძირს ისე გაცვეთდა, კაცს საგანგებოდ რომ შეემოწმებინა, ვერც ერთ მხარეს ზედმეტ ნაცვეთს ვერ უპოვნიდა. ესეც მის განსაკუთრებულ ხასიათზე მეტყველებდა.

იგი სამამულო ომის მონაწილე გახლდათ, მფრინავი იყო. მტრის თვითმფრინავებთან ერთ-ერთ საჰაერო ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა თურმე და მარცხენა ხელი მაჯის ზემოთ, სახსარში ჰქონდა მოკვეთილი.

მიუხედავად ცალი ხელის დაკარგვისა, როცა გამოჯანმრთელდა, შესაშური ოსტატობით ცეკვავდა ევროპულ ცეკვებს, მაგრამ განსაკუთრებული მოხდენილობით „ქართულს“ ასრულებდა. შვენოდა კიდეც საცეკვაო წრეში მსუბუქად ტრიალი.

ერთხელ, ეს ადრე იყო... საავადმყოფოდან გამოწერილი, მშობლიურ სოფელში რომ დაბრუნდა, რომელიღაც მეზობლის ოჯახში ქორწილის დროს, რამდენიმე ჭიქა ღვინო დალია თურმე. სულის ამაფორიაქებელი მუსიკის გაგონებაზე, ძარღვებში უჩვეულოდ აბორგებულმა სისხლმა არ მოასვენა და გულმაც აღარ მოუთმინა თუ, ყველაფერთან ერთად, საკუთარი შესაძლებლობების შემოწმება მოუნდა – ძველებურად ემორჩილებოდა

მზისას რვაწლიანი სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა ერთი ჯგუფი. სხედან, მარცხნიდან მარჯვნივ, პირველ რიგში: მასწავლებლები: რაჟიკო ლობჯანიძე, ალექსანდრე მაჭავარიანი, დუნია გავაშელი – ლობჯანიძისა და ზოია გავაშელი. მეორე რიგში: ნიურა, ლელიკა, ქეთინო, როზა, საშიკო ლობჯანიძეები. მესამე რიგში: ტიტე გობეჯიშვილი, ოთარ, რევიკო და მავრა ლობჯანიძეები.

თუ არა ხელდაკლებულს სხეულის დანარჩენი ნაწილები, წრეში გადახტა და, მუსიკის რიტმს არაჩვეულებრივი ლაღი მოძრაობით აყოლილმა, შესაშური ოსტატობით იცეკვა. თვითონაც ეშხში შესული მემუსიკე უსწრაფესი მოძრაობით დაატარებდა მოქნილ თითებს მკერდის მთელ სიგრძეზე გადაწელილ ახალთახალი აკორდეონის კლავიშებზე და კიდევ უფრო ახელებდა უმისოდაც თავდავიწყებას მიცემულ მოცეკვავეს. წრიდან გამოსვლის შემდეგ მექორწილე თანასოფლელთა მოწონების ტაში კიდევ დიდხანს არ ცხრებოდა.

არავინ იცოდა, მის მიერ, მართლაც, უნაკლოდ შესრულებულ „ქართულში“ თვითონ მას რამე გულწრფელად არ მოეწონა, თუ უფრო უფლის მიერ ნაჩუქარი სრულყოფილი სხეულის დაკარგულ ნაწილს მისტიროდა, გულდაწყვეტილმა სევდიანად წამოიძახა თურმე: აფსუს, სად არის ახლა ჩემი მარცხენაო, რამაც ყველას უზომოდ დასწყვიტა გული და მისადმი უსაზღვრო თანაგრძნობამ არაერთ ლამაზ ღებელ ქალს, სინანულის ცრემლები მოჰგვარა.

ცეკვასთან ერთად რაჟიკო მასწავლებელი, სასიამოვნოდ მღეროდა ქართულ ხალხურ სიმღერებს და სუფრაზე სიტყვაუხვი, ენამზე მოქართულე

პირველ რიგში: მარცხნიდან მარჯვნივ – თამარ გობეჯიშვილი და ციალა ლობჯანიძე, მეორე რიგში: სულიკო მეტრეველი, დიმიტრი, კარლო და კარლო ლობჯანიძეები. 1955 წ. მზისა.

და ლაღი მომლხენი გახლდათ. და კიდევ, მიუხედავად ომში დაკარგული მარცხენა ხელისა, შესანიშნავი მონადირე იყო და ნიშანშიც საკმაოდ მარჯვედ ისროდა. ამის დასტურად ერთ შემთხვევას გავიხსენებ.

რაჟიკო მასწავლებელი ქლუხორში ჩასახლების პირველივე დღიდან მზისას რვაწლიან სკოლაში მე და ჩემს თანატოლებს სამხედრო საქმეს გვასწავლიდა. მოზარდებთან საერთო ენის გამონახვა სკოლაში თუ სკოლის გარეთ, მასავით არავის შეეძლო. გამორიცხული იყო ჩვენთვის რამე დაეგვალებინა და არ შეგვესრულებინა. გასაოცარი უშუალობით ეხერხებოდა მოზარდებთან საუბარი და ურთიერთობა. ესეც მისი განსაკუთრებული ნიჭი გახლდათ.

ზაფხულის არდადეგებს მზისელი მოსწავლე ახალგაზრდობის უმეტესობა სოფელში ვატარებდით და უფროსებს საჯახო საქმეებში როგორც შეგვეძლო, ისე ვეხმარებოდით. ამით, ადრეული ასაკიდან, შრომასაც ვეჩვეოდით და საქმესაც ვსწავლობდით. უფრო ხშირად კი საშემოდგომო სამუშაოების დროს, როცა სოფელი მუშახელის ნაკლებობას განიცდიდა, კოლმეურნეობას თიბვაში, ნათიბი ბალახის მოგროვებასა თუ სხვა საქმეში ვშველოდით. ასეთ დროს ჩვენი შეუცვლელი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი რაჟიკო მასწავლებელი იყო.

ერთხელაც მთაში ნათიბ ბალახს ვაბულულავებდით.

ბალახის აბულულავების შემდეგ ბაუნებიც (მცირე ზომის ზვინები) დავდგით. საქმეს ნაადრევად მოვრჩით და უფროსებთან ერთად, ხის ჩრდილში დასასვენებლად თავი ყველამ ერთად მოვიყარეთ.

ამ დროს, ჩვენგან საკმაოდ მოშორებით, თივის ზვინზე ქორი შემოჯდა. ფრთები გაისწორა და თავი ისე ჩაჰკიდა, თითქოს ფიქრობდა, დავრჩე თუ გავფრინდეო. ერთხანს ასე განაგრძობდა ჯდომას.

ვილაცამ, ისე, სხვათაშორის, იკითხა, აქედან თივის ზვინზე შემომჯდარ ქორს ტყვიას ვინ მოარტყამსო. მთიბავთაგან რამდენიმეს თან ჰქონოდა შაშხანა, მაგრამ ერთ'ხანს ხმას არავინ იღებდა. ზვინი და მასზე შემომჯდარი ქორი შორს იყო და, ალბათ, გულში ყველას ეეშვებოდა ნიშანში ტყვიის მოხვედრება. მარცხის შემთხვევაში არავის არ სურდა თავის შერცხვენა, რადგან თითოეული მათგანი თავს მარჯვე მსროლელად თვლიდა.

– მე... ვცდი. – რაღაცნაირი ორმოფული ყოყმანით თქვა ბოლოს რაჟიკო მასწავლებელმა და სასროლად მოემზადა. მერე თითქოს მარცხის შემთხვევაში წინასწარ ბოდიშს იხდისო, დაუმატა: – თუ ავაცილე, იმედია, ჯარიმას არავინ გადამახდევინებს. – და შემრიგებლურად გაიღიმა.

ამ ხნის განმავლობაში ქორი არხეინად იჯდა ზვინზე და აინუნშიც არ აგდებდა ჩრდილში მჯდომთა მიერ მის შესახებ გამართულ თათბირს.

რაჟიკო მასწავლებელმა ცალ მუხლზე დაიჩოქა, თოფის ლულა განზე გაშვერილ მოკვეთილ მარცხენაზე დაიდო და აქეთ-იქით თავის მოუსვენრად მოტრიალე ფრინველს დიდხანს უმიზნა. ბოლოს გაისმა სროლის ხმა. ქორი ჰაერში ამოტრიალდა და ზვინის თავიდან გადმოყირავებული ძირს დაეცა.

ზუსტი სროლით აღტაცებულებმა მოწონების ყიჟინა დავეცით. რამდენიმე ბიჭი მოკლული ფრინველის მოსატანად ზვინისკენ ყვირილით გავიქეცით, მაგრამ შუა გზამდე არც კი ვიყავით მისული, რომ ქორი წამოფართხალდა, ფრთები გაშალა და ჰაერში აიჭრა.

ყველანი სახტად დავრჩით. ვერც ჩვენ, ახალგაზრდები და ვერც უფროსები ვერ მიხვდნენ, რა მოხდა. ერთნი ამბობდნენ, ტყვია არ მოხვედრია, თოფის გასროლის ხმამ გააბრუა და ზვინიდან ამან გადმოაგდოო. მეორენი ირწმუნებოდნენ, ფრინველს ტყვია, ალბათ, ფეხებში მოხვდა და დაარეტიანა, მაგრამ ყვირილზე გონს მოეგო, გამოფხიზლდა და თავს უშველაო. ასე იყო თუ ისე, მაშინ რაჟიკო მასწავლებელს ეს სროლა ყველამ ერთხმად გამარჯვებად ჩაუთვალა.

რაჟიკო მასწავლებელი ლიტერატურული ნაწარმოების სასიამოვნო და ოსტატური მკითხველიც გახლდათ. იმ დროს ქლუხორში, განსაკუთრებით სოფლებში, ძალიან ჭირდა ქართულ ენაზე გამოცემული საინტერესო მხატვრული ლიტერატურის შოვნა. ამიტომ როგორც კი ვინმე მიმზიდველი შინაარსის ორგინალურ თუ ნათარგმნ წიგნს ხელში ჩაიგდებდა, საღამოობით, სამუშაოს შემდეგ, მამაკაცები კოლმეურნეობის გამგეობის ერთ-ერთ

ოთახში, ან ქოხ-სამკითხველოში შეიკრიბებოდნენ. რაჟიკო მასწავლებელი გრძელი მაგიდის თავში თამადასავით დაჯდებოდა და გარშემო შემოკრებილ თანასოფლელებს გვიანობამდე სასიამოვნო ხმით, მოუწყენლად უკითხავდა წიგნს. დიახ, მარტო მამაკაცებს, თორემ საკოლმეურნეო მინდვრებიდან გვიან საღამოზე შინ მობრუნებული ქალები საოჯახო საქმეებს ძლივს აუდიოდნენ და იმის დრო სად ჰქონდათ, მიუხედავად დიდი სურვილისა, მათთვის საინტერესო ლიტერატურული ნაწარმოების შინაარსი მოესმინათ. ამგვარ „ლიტერატურულ საღამოებს“ ჩვენ, ყმაწვილებიც ხშირად ვესწრებოდით და სულგანაბულები ვისმენდით წიგნში აღწერილ საინტერესო ამბებს. მაგრამ იყო შემთხვევები, როცა უფროსები ასეთ შეკრებებს აღარ გვასწრებდნენ. ეს უმთავრესად მაშინ ხდებოდა, როცა ჩათვლიდნენ, რომ წიგნში მოთხრობილი ამბების მოსმენა ჩვენთვის ნაადრევი იყო და მას, შეიძლება, უარყოფითად ემოქმედა ჩვენს ფსიქოლოგიაზე. პედაგოგიური თვალსაზრისით რამდენად სწორი იყო საკითხისადმი მსგავსი მიდგომა, ახლა ამის განსჯას არ შევუდგები, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენ იმ წიგნების შინაარსით უფრო ვინტერესდებოდით, რომელთა მოსმენასაც უფროსები ასე მონდომებით გვიკრძალავდნენ. აკი არსებობს გამოთქმა: აკრძალული ხილი უფრო ტკბილიაო.

მახსოვს, ერთხელ შიო არაგვისპირელის „გაბზარული გულის“ კითხვას არაფრით დაგვასწრეს უფროსმებმა. ალბათ, იქ აღწერილი სასიყვარულო ამბების გამო. მიუხედავად ამისა, ყმაწვილები გარეთ, ფანჯარასთან ვიდექით და შიგნით მყოფებზე არანაკლები ინტერესით ვისმენდით წიგნში აღწერილ ამბებს, რასაც რაჟიკო მასწავლებელი ასე გატაცებით უკითხავდა თავის მსმენელებს.

ჩვენს მასწავლებელს, არაერთ შესანიშნავ თვისებასთან ერთად, ზოგჯერ წრეგადასული სიფიცხე და თავშეუკავებლობაც ახასიათებდა. ეს განსაკუთრებით მაშინ იჩენდა თავს, როცა ვინმე დაუმსახურებლად აწყენინებდა, ან მის სწორ აზრს სათანადო ანგარიშს არ გაუწევდა.

...ქლუხორში ერთი წლის ჩასახლებულები არც კი ვიქნებოდით, ჩვენს სოფელს რაიკომის მეორე მდივანი, ალფეზ გასვიანი ეწვია. კვირა დღე იყო. ხალხი ისვენებდა და მოსახლეობის უმეტესობას თავი სანახშოზე მოეყარა. მე და ჩემი ამხანაგებიც იქვე, უფროსების გვერდით ვტრიალებდით.

მდივანმა მანქანა გააჩერა. გადმოვიდა და ხალხს მიესალმა. მერე გამოიკითხა, როგორ მოეწყვეთ, რა გიჭირთ, სოფელი როგორ მოგწონთო.

– ჯერ მოწყობისა აბა, რა მოგახსენოთ, ახალ ადგილზე მოსაწყობად გლეხკაცისთვის რამდენიმე თვე ძალიან მცირე დროა, ნელ-ნელა ვეჩვევით და ვეგუებით აქაურობას. რაც შეეხება სოფელს... სოფელს არაუშავს, დასაწუნი ნამდვილად არაფერი აქვს და არც ვწუნობთ, ოღონდ, კარგი იქნებოდა მისთვის სახელი შეგვეცვალა – თითქოს თავის აზრსაც უზიარებს და

გაბო ლობჯანიძე დედასთან და ცოლ-შვილთან ერთად.

თან ნებართვასაც სთხოვსო, ისე უთხრა მდივანს გაბო ლობჯანიძემ (კაცელეეთი).

– თუ ასე გსურთ, შეუცვალეთ, ეს რა პრობლემაა, მაგრამ „თებერდას“ რას უწუნებთ. მით უმეტეს, როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, ამ ადგილებში, შორეულ წარსულში, ქართველურ ტომებს – კულხებს და თუბალებს უცხოვრიათ და სოფლის სახელი „თებერდა“, ასევე, „კლუხორიც“ აქედან უნდა მომდინარეობდეს. – მოკლედ და მარტივად სცადა საკმაოდ რთული საკითხის ახსნა მდივანმა, შემდეგ კი იმითაც დაინტერესდა, სოფლისთვის რა სახელის დარქმევა გვინდოდა.

– ღებში არის ერთი მშვენიერი ადგილი, მზისურებს ვეძახით. ჩვენი ახალი სოფელი იმ ადგილს გვაგონებს და ამიტომ გვინდა „მზისა“ დავარქვათ. – აუხსნა მდივანს კვლავ გაბო ლობჯანიძემ.

– „მზისა„ მშვენიერი სახელია, რაღაცნაირი ხალისით და მოწონებით დაეთანხმა მდივანი და იმ დღიდან სოფელს მზისა დაერქვა, თუმცა, არც თუ იშვიათად, ბევრი კვლავ ქვემო თებერდასაც ეძახდა.

აქვე ბარემ იმასაც ვიტყვი: საერთოდ, მზისას დედაქალაქიდანაც არ აკლდნენ შესანიშნავი, საპატიო სტუმრები. ასე, მაგალითად, ომი ახალი დამთავრებული იყო, რომ ქლუხორს ქართული კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილ მუშაკთა ერთი ჯგუფი ეწვია კონცერტებისა და მხატვრ-

ული საღამოების ჩასატარებლად. მათ როგორც რაიონის ცენტრში, ასევე, სხვა სოფლებთან ერთად, მზისაშიც გამართეს კონცერტი.

იმ საღამოზე მზისელები ძალიან მოხიბლა დები იშხნელების შესანიშნავმა სიმღერებმა. თუმცა, არანაკლებ დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე იუმორისტულმა ნომრებმა, რომელთა შესრულების მაღალი ოსტატობით, ხალასი იუმორით, რასაც საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებათა მხილების პათოსიც არ აკლდა, გამოირჩეოდა იმუამად ჯერ კიდევ ახალგაზრდა, შემდგომში ყველასათვის ცნობილი და საყვარელი, ქართული კინოსა და თეატრის გამოჩენილი მოღვაწე, დიდებული მსახიობი იპოლიტე ხვიჩია.

მაშინ ამ ჯგუფის კონფერანსიემ ერთ-ერთ ნომრად გამოგვიცხადა: ახლა მზისასადმი მიძღვნილ ლექსს წაუკითხავს პოეტი ალექსანდრე შანიძეო. იმ ლექსის ერთი სტროფი ახლაც მახსოვს:

„მზისა, პატარა სოფელი,
მთებში ჩადგმული მზისა,
რა სიხარულით შემოგვხვდა,
უმალ მიგვიღო მისად“.

დავუბრუნდეთ დაწყებულ ამბავს.

იმ დღეს, როცა სოფლისთვის სახელის გადარქმევა გადაწყდა, მარტო ამით არ დამთავრებულა ყველაფერი. რაიკომის მდივანი ჩვეულებრივზე მეტხანს შეყოვნდა მზისაში. ჯერ ერთი, ალბათ, იმიტომ, რომ რაიონის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო და სამსახურებრივად ევალებოდა ხალხის ჭირ-ვარამი დაწვრილებით გაეგო. ამასთანავე, თუ შესაძლებელი იყო, მტკივნეული საკითხები ადგილზევე გადაეჭრა, ან, არადა, სამომავლოდ გაეთვალისწინებინა. მეორეც, ღებელები და სვანები ოდითგანვე მეზობლად ცხოვრობენ და, ცხადია, აინტერესებდა, ძველი მეზობლები როგორ მოეწყვნენ ახალ ადგილზე.

მდივანი სოფლის ცენტრში შეკრებილებს, ვისაც საუბარს დაუწყებდა, ჯერ ყველას გვარსა და სახელს ეკითხებოდა.

მზისაში სულ სამი გვარის ხალხი ცხოვრობდა: გავაშელიშვილები (გავაშელები), გობეჯიშვილები და ლობჯანიძეები. საუბარი, ჩვეულებრივ, დინჯად, დარბაისლურად მიმდინარეობდა მანამ, სანამ მდივანი რაჟიკო მასწავლებელს არ გამოელაპარაკა.

რაჟიკო მასწავლებელი თანასოფლელებს შორის იდგა და მშვიდად ისმენდა მდივნის ხალხთან საუბარს.

ეტყობა, მან სტუმრის ყურადღება იმითაც მიიქცია, რომ ცალი ხელი არ ჰქონდა. ვფიქრობ, მდივანი მიხვდა, რომ იგი ომის მონაწილე იყო და სხვებივით მასაც ჰკითხა, რა გქვიაო. რაჟიკო მასწავლებელმაც, ცხადია,

უთხრა, რაც ერქვა. არ ვიცი, მდივანს ეს სახელი მანამდე არ გაეგონა და იფიქრა, გირიზ-ხუმრობის* მოყვარული ღებელი დამცინისო, თუ რა ვიცი, რა მოხდა. მოულოდნელად სახე შეეცვალა და ისე გაბრაზდა, თითქოს მისთვის ერთი უბრალო, უწყინარი, ჩვეულებრივი სახელი კი არ ეთქვათ, არამედ ვიღაც უზრდელ გარეწარს უხამსი სიტყვა ეკადრებინა.

– რაჟიკო რა სახელია! – ბრაზით იყვირა ბატონმა ალფეზმა.

ღები მთის სოფელია. მთაში კი, მოგეხსენებათ, უცხო სტუმრის და უფროსის პატივისცემა თაყვანისცემამდეა აყვანილი. ეს წეს-ჩვეულება დღემდე შენარჩუნებულია ღებში. მართალია, ღებელებს ზოგჯერ წრეგადასული ხუმრობა და გირიზი სჩვევიათ, მაგრამ მათ ისიც კარგად იციან, ვისთან იხუმრონ და როდის რა თქვან. ცხადია, ამ შემთხვევაში რაჟიკო მასწავლებელს ერთი წუთითაც არ უფიქრია რაიკომის მდივანთან შეუფერებელი ხუმრობა. რაიონის ხელმძღვანელ, გინდაც სხვა თანამდებობის პირთან ასეთ ფამილიარობას ღებელი კაცი თავს ნებას არავითარ შემთხვევაში არ მისცემდა. უბრალოდ, ის უთხრა, რაც ერქვა, მაგრამ იმის გაგონებაზე, რაჟიკო რა სახელიაო, თავი თავმოყვარეობაშელახულად იგრძნო და საშინლად გაფიცხდა. ეტყობა, ესეც იფიქრა, აქაოდა, რადგან თანამდებობის პირია, აბუჩად მიგდებსო. ასეთ რამეს კი ღებელები არავის პატიობენ. რაჟიკო მასწავლებელმა არც აცია – არც აცხელა, არანაკლებ აგდებულად მიახალა, – ალფეზა რაღა სახელიაო. საქმე ის გახლავთ, რომ „ალფეზა“ ქართული ენის რაჭული დიალექტის ღებურ კილოკავზე არამგრადი ხასიათის ფიცხ და თავშეუკავებელ, ანუ, დაახლოებით, არასერიოზულ კაცს ნიშნავს. ამაზა იტყვიან, მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო.

მდივანი მშვენივრად მიხვდა რაც უთხრეს, მაგრამ მთელი ძალისხმევა მოიკრიბა, რათა საკუთარი სიფიცხე მოეთოკა და როგორც სოფელთან, ისე მოსაუბრესთან ურთიერთობა უფრო მეტად არ გაემწვავებინა. შეხედვით კი ისე შეხედა რაჟიკო მასწავლებელს, იფიქრებდით, სხვა შემთხვევასა და სხვა ადგილას მას დიდი სიამოვნებით გააწნავდა სილას ყბაშიო. მაგრამ ახლა ხელი უკმაყოფილების ნიშნად ჩაიქნია და ჩაილაპარაკა:

– ჩვენ სვანები ხომ ვართ, რაც ვართ, მაგრამ თქვენ, ღებელები ასჯერ უარესი უხიაგები და მოურჯულებლები ყოფილხართო. ღებელი ქლუხორში კი არა, გინდაც პარიზში წაიყვანე საცხოვრებლად, თავის წესს და ადათს არსად მოიშლისო. მერე უხმოდ გატრიალდ, ჩაჯდა მანქანაში, ხალხს საკმაოზე ცივად დაემშვიდობა და წავიდა.

ამ შემთხვევიდან დიდი ხნის შემდეგ ბატონ ალფეზთან ერთად საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში მომიწია მუშაობა. იმ დროს იგი სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი გახლდათ, მე კი ამავე სამინისტროს გაზეთ „ავტოტრანსპორტელის“ ერთ-ერთ გან-

---

* გირიზი – რაჭული დიალექტის ღებურულ კილოკაზე დამცინავ ხუმრობას ნიშნავს.

ყოფილებას ვხელმძღვანელობდი. როცა ერთმანეთს დავუახლოვდით, სხვა ამბებთან ერთად, ბატონ ალფეზს ეს შემთხვევაც გავახსენე. მან გულიანად გაიცინა. კი, კარგად მახსოვს ეს ამბავიო, თქვა და ისიც მკითხა, ის რაჟიკო ახლა სად არისო. ვუთხარი, ნალჩიკში ცხოვრობს- მეთქი.

– ნალჩიკში თუ მოვხვდი, უთუოდ ვნახავ, წარსულს მოვიგონებთ და კიდეც შევრიგდებითო. დარწმუნებული ვარ, ამის წინააღმდეგი არც რაჟიკო მასწავლებელი იქნება-მეთქი, ვუთხარი.

არ ვიცი, მოახერხა თუ არა ბატონმა ალფეზმა ნალჩიკში ჩასვლა და რაჟიკო მასწავლებელთან შეხვედრა. იმაში კი ეჭვი არ მეპარება, ორივეს ძალიან გაუხარდებოდა ძველი ამბების გახსენება. შერიგდებოდნენ კიდეც, თუმცა, შესარიგებელი არაფერი სჭირდათ და სამეგობრო სუფრასთან ამ შემთხვევასთან ერთად ბევრ სხვა რამესაც მოიგონებდნენ.

სამწუხაროდ, ამჟამად აღარც ჩემი კეთილი მასწავლებელი რაჟიკო ლობჯანიძეა ცოცხალი და არც ბატონი ალფეზ გასვიანი.

მაპატიოს ერთმაც და მეორემაც, თუ ამ მცირე მოგონებით წარსულიდან მათი სულები გამოვიხმე და რაიმეთი შევაშფოთე...

დილა მშვიდობისა, ერმილე!

ვერ ვიტყვი, რომ რასაც ქვემოთ მოგითხრობთ, ისეთი სიახლე იქნება, რაც ჩემამდე არავის უთქვამს, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებ, რომ ნათქვამის კიდევ ერთხელ განმეორებით ქვეყანა არ დაიქცევა. ესეც ცნობილი ჭეშმარიტებაა: გარდასული დროის მოვლენებზე წერისას წარსულს აწმყოს ადარებ და ამა თუ იმ მომხდარი ფაქტისა და მოვლენის მიმართ ძალაუნებურად ამუღავნებ შენს პიროვნულ დამოკიდებულებას. თუ წარსულში ზოგი რამ შენს აღფრთოვანებას იწვევდა, ან ესა თუ ის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ფაქტი მისაღებად მიგაჩნდა, დიდი ხნის შემდეგ მის მიმართ, შეიძლება, უარყოფითადაც კი განეწყო, ან, პირიქით. არც ის არის გამორიცხული, მოვლენების შეფასებისას შეცდე, მაგრამ მიუღებელი ის არის, რომ ადამიანმა ვიღაცის თუ რაღაცის გამო საკუთარ რწმენას უღალატოს და სინამდვილე განგებ გააყალბოს.

მზისაში დასახლებულ ღებელებს, პირველ წლებში მაინც, ბევრ სხვა რამესთან ერთად, უშუქობასთან შეგუება ძალიან გაუჭირდათ. ამას ჩემი თანამედროვენი ადვილად გამიგებენ, მაგრამ ესეც სათქმელია: ღებელების წუხილს თავისი მიზეზი ჰქონდა. საქმე ის გახლავთ, რომ ღებში ელექტროსადგური ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში აიგო. ეს ელექტროსადგური, ზაჰესისა და რიონჰესის შემდეგ, თუ არ ვცდები, საქართველოში მესამე მცირე ელექტროსადგური იყო. ამიტომაც ღებელები ცივილიზებული კაცობრიობის ამ მიღწევის მადლს ქლუხორში დასახლებამდე დიდი ხნით ადრე იყვნენ ზიარებულნი.

ჭრაქი დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდათ და მზისაში კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარის გარეშე დარჩენილთ ძალიან გაუჭირდათ წარსულში დაბრუნება და „ბნელ კუთხეში მიგდებული“ მამაპაპური ნავთის ლამპის შუქზე ცხოვრება. სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაბმულ ქვეყანას მისი ერთი უმნიშვნელო სოფლის – მზისას ელექტროფიცირებაზე უფრო მნიშვნელოვანი ბევრი სხვაც საზრუნავიც ჰქონდა მოსაგვარებელი და არაერთი სახელმწიფოებრივი საკითხი – გადასაწყვეტი. ამ და ზოგიერთ სხვა მიზეზთა გამო, მზისას მოსახლეობისთვის ელექტროენერგიის მიწოდება არც ომის შემდგომ აღმოჩნდა სახელმწიფოსათვის იოლი მოსაგვარებელი. ყოველ შემთხვევაში, ომის დამთა-

ვრებიდან რამდენიმე წელი სოფელი კვლავ ნავთის ლამპის ამარა იყო დარჩენილი.

მაგრამ როცა მზისელებს იმედი გადაეწურათ, რომ მათი სოფელი მოკლე ხანში ჩაერთვებოდა ერთიანი საკავშირო ელექტროსისტემის ქსელში, როგორც ჩანს, სწორედ მაშინ სადღაც, ქვეყნის მმართველობის ზედა რგოლში ვიღაც-ვიღაცეები დაინტერესდნენ ამ ამბებით და „მზისა, პატარა სოფელი, მთებში ჩადგმული მზისა“, რომ მსოფლიო ცივილიზებული სამყაროდან გარიყული არ აღმოჩენილიყო, ამ პატარა ქართულ სოფელში მცირე ჰესის აშენება გადაწყვიტეს.

ჯინორია ლობჯანიძე მეუღლე დუსიასთან ერთად

ამ საჭირო და აუცილებელი საქმის წარმატებით დაგვირგვინებას ერთგვარად ხელს ის მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც უწყობდა, რომ სოფელს გვერდით საკმაოდ წყალუხვი მდინარე თებერდა ჩამოუდიოდა. აქედან გამომდინარე, ენერგიის წყარო არსებობდა.

ხალხს სურვილიც ჰქონდა და მონდომებაც არ აკლდა. მთავრობა დაფინანსებას თუ სხვა სახის ხელშეწყობასაც ჰპირდებოდა. დანარჩენი დროსა და ადამიანების გულმოდგინე გარჯაზე იყო დამოკიდებული. ბოლოს და ბოლოს, ქვეყანამ რომელმაც ომის შემდგომ უმძიმეს პირობებში ბრატსკის გიგანტური ჰესი ააშენა. მზისაში ადგილობრივი მნიშვნელობის მცირე ელექტროსადგურის აგებას რა უნდოდა. არა, როგორ არ უნდოდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მთავრობამ ბრძანა, ხალხს კი ამის სურვილი ჰქონდა და დასახული მიზნის შესასრულებლად ადამიანებმა არხის გასაჭრელად მიწას წერაქვი დაჰკრეს. ამ საქმეში მთელი რაიონი მონაწილეობდა. მშენებლობაზე ძირითადად ჩვენი სოფლელები მუშაობდნენ, მაგრამ მათ დასახმარებლად ყოველ შაბათ-კვირას რაიონის ხელმძღვანელობას მუშა-მოსამსახურეებიც გამოყავდა.

იმ დროს ქლუხორის რაიკომის პირველი მდივანი ბატონი დავით ვაჩაძე გახლდათ. იგი, როგორც გამოცდილი პარტიული და სამეურნეო მუშაკი, მზისას ჰესის მშენებლობას ყურადღებას ერთი წუთით არ აკლებდა. მშენებლობის სანახავად, ხშირად ამოდიოდა და ადგილზე ყველაფეს გუ-

ლმოდგინედ ამოწმებდა. ერთი სიტყვით, რაიონის ხელმძღვანელი მუდამ საქმის კურსში იყო.

ალბათ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ სულ მოკლე ხანში ელსადგურის საძირკველიც ჩაისხა და მშენებლობის კონტურებიც გამოიკვეთა.

აქ ერთი დეტალი მინდა გავიხსენო.

მოგეხსენებათ, დღეს საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი რაიმე კაპიტალური შენობის აგება ცემენტის გარეშე წარმოუდგენელია. მაშინ ცემენტი ჭირდა, მაგრამ დაწყებული საქმე ამას სულაც არ შეუფერხებია. სოფელმა მამაპაპური წესი გაიხსენა, საქმის მცოდნე მზისელმა გლეხკაცებმა საკირე გამართეს, კირქვის კარიერი გამონახეს და კირის დასამზადებელი საჭირო ნედლეული ადგილზე მოზიდეს. ტყე ზედ ებმოდა სოფელს და ანთებული საკირე დღედაღამ ჩაუქრობლად გიზგიზებდა.

უფროსები ერთთავად იქ ტრიალებდნენ. მართალია, ჩვენ, მე და ჩემს თანატოლებს კირის გამოსაწვავად არავინ გვეპატიჟებოდა, მაგრამ იქ ყოფნა ჩვენთვის საუკეთესო გასართობი იყო.

არხის გაჭრასა და შენობის აგებასთან ერთად, არანაკლებ მნიშვნელოვანი საქმე გახლდათ ელექტრობოძების დასმა, მათზე მავთულების გაჭიმვა და სახლებში ელექტროგაყვანილობის დამონტაჟება.

ამ საქმეს ოთხკაციანი ბრიგადა ედგა სათავეში: ერმილე გავაშელიშვილი, ჯინორია ლობჯანიძე, თემურ და საშა გავაშელიშვილები. უფროსის მოვალეობას ერმილე გავაშელიშვილი ასრულებდა. თუმცა, უფროსობა აქ ტრადიციულად არ უნდა გავიგოთ. მათი ურთიერთობა მეგობრული იყო და ურთიერთპატივისცემას ემყარებოდა, მაგრამ ხელმძღვანელი მაინც ერმილე გავაშელიშვილი იყო. მას ამ საქმეში მის უმცროს მეგობრებზე მეტი გამოცდილება ჰქონდა. იგი, სანამ ქლუხორში გადმოსახლდებოდა, წლების განმავლობაში მუშაობდა ღების ელექტროსადგურში. რაც შეეხება დანარჩენებს, რამდენადაც ვიცი, მათ სპეციალური განათლება ამ დარგში არ ჰქონიათ, მაგრამ მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ღვთით ბოძებული ნიჭის წყალობით დიდებულად ართმევდნენ თავს საკმაოდ რთულ საქმეს. მთელი სოფლის ელექტროფიცირება მათ უზრუნველყვეს და შუქის ჩართვისას მცირეოდენი ზადი არსად აღმოჩენია მათ ნამუშევარს.

მზისას ელსადგურის მშენებლობის დამთავრება ნამდვილი ზეიმი იყო არა მარტო სოფლის მოსახლეობისთვის, არამედ მთელი რაიონისთვისაც. შუქის ჩართვა საზეიმო ვითარებაში მოხდა. იყო მილოცვები, კმაყოფილების გამომხატველი სიტყვები, და ბოლოს, ლხინის სუფრა, სადაც სოფლის მცხოვრებლებთან ერთად მრავლად იყვნენ მოწვეული სტუმრებიც ცხადია, რაიონის ხელმძღვანელობაც. მათ შორის, ბატონი დავით ვაჩაძეც, რომელმაც სოფელს სიტყვით მიმართა და ელსადგურის მშენებლობის წარმატებით დამთავრება მოულოცა. ამ შემთხვევისათვის ზედგამოჭრილია

გონიერი ანდაზა: სოფელი ლონიერია, თუ კაცი გონიერიაო. სწორედ სოფლის გონიერებამ და მტკიცე ერთიანობამ უმოკლეს დროში ააშენა მზისაში ელსადგური.

არ ვიცი, სხვა ამას როგორ უყურებს, ან ამ მოსაზრებაში ვინ დამეთანხმება და ვინ არა, მაგრამ, ასე მგონია: ესა თუ ის პიროვნება სამსახურებრივ იერარქიულ კიბეზე რაკი ერთხელ ფეხს შედგამს და ხალხი, განსაკუთრებით უფლებამოსილი ხელმძღვანელი ელიტა, თვალს შეაჩვევს და მეტ-ნაკლებად შეეგუება ამა თუ იმ საქმეში მის უფროსობას, მერე ეს პიროვნება ზემოთ-ქვემოთ განუწყვეტლივ მოძრაობს: – დასჭირდებათ, უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობას ჩააბარებენ, დრო გავა და სხვა საქმეს მიანდობენ. შეიძლება, მისი ეს ახალი საუფროსო უბანი წინაზე დაბალი იყოს, მაგრამ მაინც უფროსია და არა ხელქვეითი. დრო მოვა, გაიხსენებენ და ახალი მანტიით მოევლინება საზოგადოებას. ანუ, როგორც ჩვენებური გლეხები იტყვიან: კუთხის ქვას მუდამ კუთხეში დებენ. ვისაც მშენებლობის ამბები მეტ-ნაკლებად მოეხსენება, ეს ანდაზა პირდაპირი მნიშვნელობითაც გამართლებულია და ზოგადი, ანუ გადატანითი მნიშვნელობითაც. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულს, ეს წესი ყველა რანგის სახელმწიფო მოხელეზე ერთნაირად ვრცელდება. ანუ, როგორც შენობის აგებისას კუთხის ქვა უთუოდ კუთხეში უნდა დაიდოს, ასევე, საქმეში გამოცდილ კაცს სოფელი კვლავ ახალ საქმეს მიანდობს.

...მზისაში ელსადგურის მშენებლობის დამთავრებისა და მისი ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, რომ რაიონის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მზისაში სასოფლო-სამეურნეო კადრების გადახალისება-განახლება მოხდა. რაიონის ხელმძღვანელობამ უთუოდ ელსადგურის მშენებლობაში გაწეული შრომა დაუფასა და ერმილე გავაშელიშვილი სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ დააწინაურა.

მართალია, სოფელი მზისა დიდი არ იყო, მაგრამ მისთვის საჭირო და აუცილებელი ყველა დაწესებულება გააჩნდა. მათ შორის, ადგილობრივი რადიოკვანძიც, რომლის დანიშნულება დედაქალაქიდან მიღებული ყოველდღიური გადაცემების სოფლის მოსახლეობისათვის მოწოდება და ცენტრალურ მოედანზე აღმართულ ელექტრო ბოძზე ჩამოკიდებული რეპროდუქტორის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფა გახლდათ.

იმ დროს რადიოკვანძის უფროსად იური გობეჯიშვილი მუშაობდა. იგი ჩემზე ორი-სამი წლით უფროსი იქნებოდა. მაღალი, სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა იყო. ხალისიანი, ხელმარჯვე და ჩხირკედელა. ყველაფერი ემარჯვებოდა, თუმცა, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მაშინ რამე სპეციალური ტექნიკური განათლება არ ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მინდობილ საქმეს, ანუ რადიოკვანძის მუშაობას თავს ბრწყინვა-

ლედ ართმევდა და სოფელიც კმაყოფილი იყო. მოგეხსენებათ, იმ დროს, რომელზედაც მოგითხრობთ, ტელევიზია ჩანასახშიც არ არსებობდა. ყოველ შემთხვევაში, მოსახლეობის ფართო მასებისათვის, თორემ სპეციალისტებმა იციან, რომ ტელეხედვას გაცილებით ადრე, XX საუკუნის ოცდაათიან წლებში ჩაეყარა საფუძველი. მაგრამ დღევანდელი სახით, ტელეგადაცემის მიღებამდე ჯერ ძალიან შორს იყო. ამიტომაც რადიო, ყველასათვის საყვარელი „უმანძილო გაზეთი", დიდი ხნის განმავლობაში სრულ ზენიტში იყო.

და-ძმა თამარ და იურა გობეჯიშვილები.

სოფლის რადიოკვანძი, წესისა და რიგის მიხედვით, სასოფლო საბჭოს დაქვემდებარებაში შედიოდა.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ ერმილე გავაშელიშვილის დანიშვნის შემდეგ, მიუხედავად იმისა, ახალ თავმჯდომარეს იურის მიმართ არც საყვედური გამოუთქვამს, არც საკითხი დაუსვამს მის მოხსნა-განთავისუფლებაზე. სოფელში ვიღაცამ ხმა-ჭორი დააგდო, ერმილე იურის რადიოკვანძის უფროსობიდან ათავისუფლებსო. როცა ვინმე იკითხავდა, რატომო, მოპასუხეს არგუმენტი მზად ჰქონდა: იმიტომ, რომ იგი ამ დარგის სპეციალისტი არ არისო, არადა, იმ დროს სოფელში იურის გარდა, სხვა, არც სათანადო განათლების და არც „გაუნათლებელი" პიროვნება, იყო, ვინც რადიოკვანძის მუშაობას, მასზე უკეთესად გაუძღვებოდა. უცხო კი იმ მცირე ხელფასზე, რასაც რადიოკვანძის უფროსს აძლევდნენ, არავინ მოვიდოდა. არადა, ჭორი თავისთავად არსებობდა და ერთგვარ უჩინარ ეჭვს ბადებდა რადიოკვანძის უფროსის გულში. როგორც ჩანს,

მას სამუშაოდან განთავისუფლებაზე მეტად ის წყინდა, რომ ვიღაც-ვიღაცეები არასპეციალისტად თვლიდნენ.

ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ რადიოკვანძის უფროსმა გადაწყვიტა, თავმჯდომარისათვის რამე ხელშესახები მაგალითით დაემტკიცებინა, რომ იგი რადიოსაქმეში ბევრად უფრო ღრმად იყო ჩახედული, ვიდრე ეს სოფელში ვიღაც-ვიღაცეებს მიაჩნდათ და რადიოკვანძის გაძღოლას სჭირდებოდა, ახლა ძნელია იმის თქმა. იურის სურდა, ყოველ დილით სამსახურში უთენია მიმავალ თავმჯდომარეს მისალმებოდა, თუ უბრალოდ და უწყინრად გახუმრებოდა, მე მგონია, ერთიც იყო და მეორეც. სინამდვილეში კი ფაქტი ასეთი გახლდათ: როგორც ხშირად იტყვიან ხოლმე, ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას (იმ დღეს, მართლაც, ზაფხულის მშვენიერი დილა იყო), როცა საბჭოს თავმჯდომარე, ერმილე გავაშელიშვილი სოფლის თემშარაზე, ჩვეულებრივ სამსახურისკენ მიიჩქაროდა, საიდანღაც ხმამაღალი მისალმება შემოესმა:

– დილა მშვიდობისა, ერმილე!

ერმილე ასე ადრიანად ქუჩაში ვინმეს გამოჩენას არ მოელოდა, მაგრამ მაინც გაიფიქრა, ალბათ, რომელიღაც მეზობელი მესალმებაო და აქეთ-იქით მიხედ-მოიხედა, მაგრამ თემშარაში არავინ ჭაჭანებდა. არც ქუჩის მოპირდაპირე სახლების აივნებზე ჩანდა ვინმე.

როცა ვერსად ვერავინ შენიშნა, ერმილმ ერთი ფიქრით ისიც კი გაიფიქრა, ხომ არ მომეჩვენაო, მაგრამ ეს ფიქრი მალევე უარყო, და მართალიც იყო. ამის მოჩვენება როგორ შეიძლებოდა, როცა ხმა გარკვევით გაიგონა. ერმილემ გზა განაგრძო. ამ დროს კვლავ შემოესმა:

– დილა მშვიდობისა, ერმილე!

ახლა უკვე საეჭვო აღარაფერი იყო, იქვე სოფლის ცენტრში აღმართული ბოძის თავზე გადმოკიდებული რეპროდუქტორიდან ესალმებოდნენ, იმ რეპროდუქტორიდან, საიდანაც დილიდან გვიან ღამემდე საქართველოს რადიოს მიერ მომზადებულ გადაცემებს ისმენდა ისიც და მთელი სოფელიც.

ამან სულ დააბნია თავმჯდომარე, რადგან საქართველოს რადიოში არავინ ეგულვებოდა ისეთი ნაცნობი, რომელიც ასე საქვეყნოდ მიესალმებოდა. რომც ჰყოლოდა კიდეც, მაშინ რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებები ასე არავის ესალმებოდა და ეს მშვენივრად მოეხსენებოდა ერმილეს.

ამ ფიქრებში რომ იყო, რადიოკვანძის ღია ფანჯარაში მზერა შეასწრო კვანძის უფროსს, იური გობეჯიშვილს, რომელიც თვალს სასწრაფოდ მიეფარა. ერმილესთვის უმალ ცხადი გახდა, ვისი ნაცელქარიც იყო ეს მისალმება. თვითონაც ღიმილი მოერია ჯერ თავის გულუბრყვილობაზე, ხოლო შემდეგ იურის უწყინარ ახალგაზრდულ ანცობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კაბინეტის კარი შეაღო და თავისთვის გაიფიქრა, მოდი და ახლა ამ ბიჭზე ვინმემ თქვას, ტექნიკური განათლება არა აქვს და

თავისი საქმე არ იცისო. საქმე რომ არ იცოდეს, საქართველოს რადიოში ადგილობრივ რადიოლქსელს და მიკროფონს უცოდინარი კაცი როგორ ჩართავს.

...დღის ბოლოს კი სანახშოზე შეკრებილ თანასოფლელებს შორის ჩამდგარი ერმილე თავმჯდომარე მეზობლებს ღიმილით უყვებოდა იმ დილით მასა და რადიოკვანძის უფროსს შორის მომხდარ ამ სასაცილო შემთხვევას.

ორი სტეფანე

ამ ზისაში ორი სტეფანე ცხოვრობდა. ერთი გახლდათ სტეფანე გავაშელიშვილი (ჯაგოენთი), მეორე კი – სტეფანე ლობჯანიძე (აფშეენთი).

ორივე სტეფანე ერთი, ჩვეულებრივი, რიგითი გლეხკაცები იყვნენ და დღიდან გაჩენისა ჩვეულებრივი, რიგითი გლეხკაცის ცხოვრებით ცხოვრობდნენ: ხნავდნენ, თესავდნენ, თიბავდნენ, ტყეს ჭრიდნენ და შეშას ამზადებდნენ მკაცრი ზამთრის პირობებში ოჯახის გასათბობად და არა კომერციული მიზნებისთვის (იმ დროს, როცა ეს ხალხი ცხოვრობდა, საზოგადო ინტერესები პირადულზე მაღლა იყო დაყენებული და ადამიანებიც ამ პრინციპს ემორჩილებოდნენ). ერთი სიტყვით, აკეთებდნენ ყველაფერ იმას, რასაც გლეხკაცისგან ცხოვრება მოითხოვდა.

აფშეენ სტეფანე წვრილშვილის პატრონი იყო. ალალი, გამრჯე, დაუღალავი მეურნე. ბავშვივით მიმნდობი. უეშმაკო და, შეიძლება ითქვას, ზომაზე მეტად გულუბრყვილოც. მისი პირველქმნილი შეურყვნელი ბუნების მიზეზი იქნებ ისიც გახლდათ, რომ ქლუხორში გადასახლებამდე, თავისი მშობლიური სოფლის და რაიონის ცენტრის – ონის იქით, მგონი, სხვაგან არსად იყო ნამყოფი. ამიტომაც ცხოვრებას მისთვის მარტივ ყოფასთან დაკავშირებული ხალასი ურთიერთობის მეტი არაფერი უსწავლებია.

კაცმა რომ თქვას, სოფლის გარეთ წასვლა, ეტყობა, არ დასჭირვებია და ამიტომაც მუდამ შინ ტრიალებდა. საქმე ღებელ გლეხკაცს სოფელშიც თავზე საყრელი ჰქონდა და სხვაგან სასიარულოდ აბა, სად ეცალა, თორემ, თუ აუცილებლობა მოითხოვდა, გაგიხარიათ, რაჭველი კაცისთვის მოგზაურობა უცხო ხილი სულაც არ არის, უყვარს და ეხერხება კიდეც! დარწმუნებული ვარ, რომ საჭიროების შემთხვევაში სადმე წასვლისას ჩვენს სტეფანესაც არ აერეოდა გზა-კვალი. აკი, ერთი პოეტი პირდაპირ მიუთითებს ამ მხარის ალალ-მართალი ქართველობის თანდაყოლილ თვისებაზე, თუ მათი ყოფიერებით იძულებით შეძენილ ჩვეულებაზე: ბავშვიც არ იყო რაჭაში, არ ყვარებოდა შორი გზაო. თუმცა, არ შეიძლება, ისიც არ ითქვას, რომ იმ დალოცვილი შორი გზის სიყვარული, უცხო მხარეში სამუშაოდ წასვლა და ოჯახს ხანგრძლივად მოცილება ხშირად რაჭველი კაცის ნება-სურვილზე როდი იყო დამოკიდებული. ეს უმეტესად ეკონო-

მიკური შეჭირვებითა და სხვა არანაკლები მიზეზებით იყო გამოწვეული, რასაც მშვენივრად ადასტურებს მეორე, ჯაგოენ სტეფანეს ცხოვრების მაგალითი. მას მოვლილი ჰქონდა არა მარტო რუსეთის არაერთი მხარე, არამედ საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანაც.

საქმე ის გახლდათ, რომ იგი პირველი მსოფლიო ომის დროს რუსეთის არმიაში გერმანელების წინააღმდეგ იბრძოდა. ჯარისკაცის მძიმე ცხოვრებამ ომის გზებზე დიდხანს ატარა და არაერთი ქვეყანა შემოიარა. ბოლოს გერმანელებს ტყვედ ჩაუარდა. შინ ომის დამთავრებიდან კარგა ხნის შემდეგ დაბრუნდა. ეს მოხდა პირველი მსოფლიო ომის დროს, მაგრამ მისი „ოდისეა" ამით არ დასრულებულა – არც მეორე მსოფლიო ომს ჩაუვლია ჯაგოენ სტეფანეს მონაწილეობის გარეშე.

არ ვიცი, უკვე ერთ დიდ ომგადახდილ სტეფანე გავაშელიშვილს მეორე მსოფლიო ომის ფრონტზე გაწვევა ასაკით კვლავ ეკუთნოდა და ამიტომ გაიწვიეს, თუ ვინმე ქრთამით თავდაძვრენილი დეზერტირის სანაცვლოდ უკრეს თავი იმ ორომტრიალში. აბა, იმას ხომ არ ეტყოდნენ სამხედრო კომისარიატში პირველი მსოფლიო ომგამოვლილ, სამხედრო სამსახურისათვის საჭირო ასაკგადაცილებულ კაცს, შენ გერმანელებს კარგად იცნობ, გამოცდილი ჯარისკაცი ხარ და ამ ომს თუ მოვიგებთ, ისევ შენი დახმარების წყალობით მოვიგებთო. ჯაგოენ სტეფანეს, როგორც ოცდაბუთი წლის წინათ, ახლაც ისევე ჩააცვეს ჯარისკაცის ფარაჯა და თავი მოქმედ არმიაში უკრეს.

ესეც მისი ბედი იყო, თუ უბედობა, გერმანელების ტყვეობას ვერც ამჯერად ასცდა. უფრო გასაოცარი კი მაინც ის გახლდათ, რომ ამ მეორე ტყვეობისას ბედმა ისევ იმ ქალაქში ამოაყოფინა თავი, სადაც პირველი ტყვეობისას იმყოფებოდა. (ყოველ შემთხვევაში, ამ ფაქტის უტყუარობაზე თავს ნამდვილად ვერ დავდებ, მაგრამ ის კი უდაოა, რომ ომიდან დაბრუნებული სტეფანე ძია, როცა ჩვენ: მე და მისი ვაჟის, ბერდიას თანატოლებს ომისდროინდელ თავგადასავლებს გვიამბობდა, ამ ამბავს სწორედ ასე იგონებდა. ის კი არადა, ჩვენთვის არც ის დაუმალავს, რომ ტყვეობაში მეორედ მოხვედრისას ძველ ნაცნობ გერმანელებსაც შეხვედრია თურმე, რამაც, როგორც თვითონ ირწმუნებოდა, ტყვეობაში ყოფნის გასაჭირი ერთგვარად გაუადვილა.

მისსავე ნაამბობს ვიხსენებ: ნაცნობებს უთქვამთ (ეტყობა, ერთგვარი იუმორით) იმ უპატრონო რუსებს შენს მეტი და შენზე უკეთესი ჯარისკაცი სხვა არავინ ჰყავთ, რომ ჩვენს წინააღმდეგ საბრძოლველად მუდამ შენ გაგზავნიანო?!

ალბათ, არავინ ჰყავთ, ან კიდევ, თქვენს წინააღმდეგ ომში ჩემი მონაწილეობა კარგად აქვთ დაცდილი: როცა მე რუსების რიგებში თქვენს წინააღმდეგ ვიბრძვი, ისინი თქვენზე მუდამ იმარჯვებენო, – იმავე კილოზე მიუგია სტეფანე ძიას, რაზეც გერმანელებს უპასუხნიათ:

არავინ ჰყავთ და ჩვენც ისე მოვიქცევით, როგორც ეს ჩვენი საქმისთვის უკეთესი იქნება. კარგად რომ დავფიქრდით, დავრწმუნდით, რომ სწორედ შენი ბრალია, სულ რომ ჩვენ ვმარცხდებით რუსებთან ომში. ამიტომ ახლა ავდგებით და საერთოდ აღარ გაგიშვებთ იმ შენს ქვეყანაშიო. ცხადია, მისთვის ამხელა მნიშვნელობის მიწერით გაეხუმრნენ ხელახლა ტყვედ ჩავარდნილ სტეფანეს ძველი ნაცნობი გერმანელები.

სტეფანე ძიამ სალაპარაკო გერმანულიც მშვენივრად იცოდა, ენაც გვარიანად უჭრიდა და ხუმრობაც იმ გერმანელებზე არანაკლებ ეხერხებოდა.

რას ამბობთ! არ გამიშვებთ და ჩემი საამურა (საამურა მეუღლეს ერქვა) რომ გაიგებს, სამშობლოში ჩემს დაბრუნებას განგებ აჭიანურებთ, აქ ჩამოვა და თქვენც და მეც შავ დღეს დაგვაყრისო.

ეს რომ ვუთხარი, დაფრთხნენ ის დალოცვლილი გერმანელები და ასე ნაადრევად ამიტომაც გამანთავისუფლეს, თორემ ვინ იცის, იქ როდემდე ვიყურყუტებდიო, – სიცილით გვიამბობდა ომისა და ტყვეობის ამბებს ჩვენ, მისი ვაჟის მეგობრებს ყოველგვარი გასაჭირის ზედმეტი დრამატიზების გარეშე გადამტანი სტეფანე ძია. ახლა კი ვხვდები, ომისა და ტყვეობისას გადატანილ გასაჭირს მსუბუქი იუმორით რომ იგონებდა სიკვდილს სასწაულებრივად გადარჩენილი ძველი ჯარისკაცი, მაგრამ მაშინ ყმაწვილობისას მისი ყოველი სიტყვა მჯეროდა და ერთგვარად მშურდა კიდეც, ჩემს მეგობარს ასეთი გაბედული მამა რომ ჰყავდა, რომელიც მტერს ტყვეობაშიც არ ეპუებოდა. მერე და მერე, როცა წამოვიზარდე, დავრწმუნდი, რომ ორი დიდი ომის საბედისწერო გზებზე ქარიშხლებგამოვლილ, ძალად გაჯარისკაცებულ ღებელ გლეხკაცს რაც უნდა გაჭირვებოდა, ხუმრობის ხალისს არასოდეს კარგავდა და მოწყენილს ძვირად თუ ნახავდით. ვინ იცის, ყველაზე მეტად იქნებ ეს შველოდა ძნელბედობის ჟამს ჯარისკაცს და ათასგვარი ჭირ-ვარამის დროს ყოველგვარ სიძნელეს ასე უფრო ადვილად უმკლავდებოდა და იტანდა.

ერთხელ შევესწარი: ომიდან დაბრუნებიდან დიდი ხნის შემდეგ, მზისაში სანახშოზე თანასოფლელებს შორის მოსაუბრე სტეფანე ძიას რომელიღაც მეზობელმა ჰკითხა, ვიცით, არც ერთი დიდი ომის შენს გარეშე რომ არ ჩაუვლია, ბარემ ისიც გვითხარი, რამდენი ორდენი გაქვს მიღებული და რამდენი კაცი გყავს მოკლულიო.

სტეფანე ძიას აშკარად შეეტყო, რომ არ ესიამოვნა ასეთი შეკითხვა.

– კაცის კვლა ღმერთმა მეც მაშოროს და ყველა თქვენგანსაც. მართალია, ორივე ომში ვმონაწილეობდი, მაგრამ პირისპირ ბრძოლაში არავინ მომიკლავს. ომი ომია და შორიდან ჩემგან ნასროლი ტყვია, ალბათ, ვინმეს უთუოდ მოხვდებოდა, მაგრამ ვთვლი, რომ ეს დანაშაული ცოდვად მე არ ჩამეთვლება. ომში არც ორდენების მისაღებად და არც ვინმეს მოსაკლავად წავსულვარ. ვეფხობ, არ დამიჯერებთ, მაგრამ მაინც ვიტყვი: იქ,

როგორც შემეძლო, მუდამ იმას ვცდილობდი, როგორმე სხვებისთვისაც ამეღებინებინა ხელი კაცის კვლაზე.

არ ვიცი, სტეფანე ძია ომში ნამდვილად ცდილობდა თუ არა, ვინმესთვის კაცის კვლაზე ხელის აღებინებას, მაგრამ, ცხადია, მის მეზობლებს ეს არასდროს ურწმუნიათ. ან კი ასეთი რამე რა დასაჯერებელი იყო, როცა კაცობრიობის არსებობის დღიდან მოაქუამამდე ადამიანები ისე მოვედით, ერთმანეთის უაზრო ხოცვა-ულეტაზე ხელი ვერაფერმა აგვაღებინა. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, უფალმა ღმერთმა მოსეს პირით ეჰე, როდის გვიბრძანა და გაგვაფრთხილა ადამიანები, არა კაც კლაო. მერე, ვინ ისმინა ეს შეგონება?! ღმერთს არ დავუგდეთ ყური, უფლის რჩევა და მოთხოვნა არ შევასრულეთ და ჯაგოენ სტეფანე ვინ იყო, რომ თანასოფლელებს მისი ნათქვამი ერწმუნათ, ომში მუდამ იმას ვცდილობდი, ეგებ, როგორმე კაცის კვლაზეო სხვებისთვისაც ხელი ამეღებინებიაო. ან კი ეს რა დასაჯერებელია, ორ ბანაკად გაყოფილ მსოფლიოს მიერ წამოწყებულ სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაბმულ ჯარისკაცს სიტყვიერი შეგონებით ვინ ააღებინებდა ხელს კაცის კვლაზე. მაგრამ ისიც ხომ რაღაცას ნიშნავს, რომ სადღაც მთის რაჭაში გადაკარგული ერთი რომელიღაც სოფლიდან ომის გზაზე იძულებით გასულ ღებელ გლეხკაცს მთელი სიცხადით ჰქონდა შეგნებული, რომ კაცის კვლა ბოროტებაა და იმის სურვილი არ ასვენებდა, ადამიანებს, არამც თუ მშვიდობიანობის დროს, ერთმანეთი ომშიაც არ დაეხოცათ.

ომებგამოვლილი ჯაგოენ სტეფანე ბოლო დროს მზისაში კოლმეურნეობის ნახირს მწყემსავდა.

„სამამულო ომის შემდგომ დღეებში სტეფანე გავაშელიშვილი კვლავ ჩადგა სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლთა რიგებში. გასულ წელს შინ დემობილიზაციით დაბრუნდა. ახლა კი იგი ინდიშის* მთაშია.

ღამით, როცა ნახირს დააბინავებენ, ახალგაზრდა მწყემსები ცეცხლს გააჩაღებენ. ძველ ჯარისკაცს საპატიო ადგილზე დასვამენ და სთხოვენ, უამბოთ პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე გატარებული ცხარე დღეების შესახებ. სტეფანე გავაშელიშვილი პირველი მსოფლიო ომის ამბებთან ერთად განსაკუთრებული სიამაყით იგონებს სტალინგრადის ბრძოლებში თავის მონაწილეობას და თავგადასავალს“. (გაზ. „განთიადი“, 9 მაისი, 1946 წელი).

ორ სტეფანეზე საუბრის დასასრულს მინდა, მათი ურთიერთობიდან ერთი უცნაური შემთხვევა გავიხსენო.

ერთ დღეს აფშეენ სტეფანე რაღაც საქმისთვის სოფლის საზაფხულო საძოვრებზე მიდიოდა. იქ იმ დროს მზისას კოლმეურნეობის ფერმები იყო და მისი საქონელი ძოვდა. ეს მთა ძალიან დიდი იყო. მზისას ტერიტო-

---

* ინდიში — ქლუხორში ერთ-ერთი მთის სახელია.

რიაზე იწყებოდა და სტავროპოლის მხარის უკიდეგანო საძოვრებს ებმოდა. იქით მიმავალი აფშეენ სტეფანე ხედავს, რომ ირგვლივ არავინ არის, გარდა სოფლის ნახირის და მისი მწყემსის – ჯაგოენ სტეფანესი. ამ სტეფანეს კი მიწაში ჩარჭვია ნახირის გასადევნი ჯოხი, ზედ თავისი ქუდი ჩამოუცვამს, გაუშლია ხელები, უვლის გარშემო ქუდჩამოცმულ ჯოხს და ცეკვავს.

ეს რომ დაინახა აფშეენ სტეფანემ, დაიბნა. შედგა და ერთხანს შორიდან უცქირა მოცეკვავე სეხნიას, რათა გაეგო, რა ხდებოდა. მარტო მოცეკვავე კაცი და ისიც რაღაც ჯოხის გარშემო, აქამდე არ ენახა. გულში უსიამოვნო ეჭვმა გაჭკრა, ეს ჩემი მოსახელე ჭკუიდან ხომ არ შეცდაო. როცა მიუახლოვდა, დაუფარავი წყენით ჰკითხა, გაგიწყრა შენი და ჩემი გამჩენი, გაგიჟდი, თუ რა დაგემართა, რომ ჩაგირჭვია მიწაში ჯოხი და მის გარშემო მარტო კაცი დავლურს უვლიო.

ჯაგოენ სტეფანემ ცეკვა შეწყვიტა თურმე და მეზობელს უთხრა:

– ეჰ, ჩემო სეხნია, ამხელა მთაში დღეების განმავლობაში მარტო მყოფმა ნახირივით ბღავილი რომ არ დავიწყე, ის რატომ არ გიკვირს? შემაწუხა ათას რამეზე ფიქრმა, მოუწესრიგებელ, მძიმე ცხოვრებაზე დარდმა და გამოსავლის ძიებაში თავის ამაოდ ტეხამ. რომ არ გავგიჟებულიყავი, უსიამოვნო ფიქრებისაგან თავის დასაღწევად ისევ ამ ხერხს მივმართე. სიმართლე თუ გინდა გითხრა, მშვენივრადაც გავერთე. დაიმახსოვრე, როცა ძალიან გაგიჭირდეს, ჩემი გამოცდილებით ისარგებლე და ნახავ, როგორ შვებას იგრძნობო.

აფშეენთ სტეფანემ ერთხანს უხმოდ უცქირა სეხნიას და სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ღიმილით უთხრა:

– ბედნიერი ხალხი ხართ ჯაგოენნი, დარდის აყოლა არ გჩვევიათ. არ ვიცი, ეს დიდი სიბრძნით მოგდით თუ დიდი უგნურებით, მაგრამ, შეიძლება, ასე უკეთესიც კი იყოს, რადგან ამ წუთისოფელში, ალბათ, ასე უფრო იოლად გაუძლებს კაცი გასაჭირს, ვიდრე მუდმივი წუწუნით, დარდით და ჭმუნვით. – კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მოსახელის დამოძღვრის გუნებაზე მოსულ აფშეენ სტეფანეს, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა და თავისი გზით ისე გასწია, რომ პასუხს არ დალოდებია.

თავმჯდომარე... პუანკარე

ომზისაში ჩვენი ჩასახლებისა და ომის დამთავრებიდან ორი-სამი წლის შემდეგ ცხოვრების ასპარეზზე ყმაწვილობის ასაკიდან ახლად გამოსული და კაცობაში ის-ისაა ფეხშედგმული თაობა გამოვიდა. ისინი თავიანთი შეხედულებებით, სიახლისადმი სწრაფვით, ცხოვრებისეული პრობლემებისადმი ახლებური მიდგომებით, საზოგადოებრივ ურთიერთობათა უკეთ მოწყობის სურვილით, სწავლა-განათლების მიღებისათვის დაუოკებელი ლტოლვითა და კიდევ ბევრი სხვა თვისებით საგრძნობლად განსხვავდებოდნენ თავიანთი წინამორბედი თაობის ადამიანებისაგან. ეს არც არის გასაკვირი. დრო მიდის. ბევრი რამე იცვლება, ძველი თაობის ნაცვლად, ახალი მოდის. ახალ თაობას დროის შესაფერისი ახალი იდეები მოაქვს და ცხოვრებაში მათი განხორციელებით თავისი ადგილის დამკვიდრებას ცდილობს. თაობათა ცვლასთან ერთად, იცვლება შეხედულებებიც, ცალკეული ფასეულობებიც, რათა მუდმივი განახლების მარადიული ჯაჭვი არ გაწყდეს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას: კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის პირობებში, განსაკუთრებით ომის დამთავრების პირველ წლებში იმ სოფელსა და იმ რაიონში, რომელზედაც აქ ვწერ, არც თუ ისე ადვილი განსახორციელებელი იყო, თუნდაც, საუკეთესო მისწრაფება-სურვილები და თვით ყველაზე კეთილშობილური განზრახვა-ჩანაფიქრიც კი. ამას ხშირად, სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად, მრავალი ობიექტური წინააღმდეგობა ეღობებოდა. კერძოდ, კაცი გენიოსიც რომ ყოფილიყო, ვინაიდან მაშინ არც სოფელში და არც სოფელს გარეთ სხვა სამუშაო ძნელად მოიძებნებოდა, საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად, სურდა თუ არ სურდა, ყველას კოლმეურნეობაში ან საბჭოთა მეურნეობაში უნდა ემუშავნა – ხელში თოხი აეღო, გუთნის ტარს მოჰკიდებოდა, მიწა ეხნა და ეთესა, ცელი ექნია და ბალახი ეთიბა, მხარზე ჯოხი გაედო და კოლექტივის ნახირი ემწყემსა, ანუ მისგან როდის რასაც მოითხოვდნენ, ის ეკეთებინა და ისე ეცხოვრა.

ამაზე ზოგი შეიძლება სამართლიანად შემოგვედაოს, განა ფაბრიკა-ქარხნებში ხალხი არ მუშაობდაო? მუშაობდა, როგორ არ მუშაობდა, მაგრამ ქლუხორის რაიონში საწარმოები ნაკლებად იყო, მით უფრო სოფლებში რა ფაბრიკა-ქარხნები უნდა ყოფილიყო?

ცხადია, შრომასა და საქმის კეთებაში ცუდი არაფერია. პირიქით, ადამიანი, უწინარესად, შრომისთვის არის გაჩენილი. აკი, უფალმაც ეს უთხრა სამოთხიდან გამოძევებულ ადამს და ევას, – ადამიანთა მოდგმის უპირველეს დედას და მამას: ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ პური არსობისა თქვენიო. ამასთან სადაო ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრება ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ყველანაირი ნიჭისა და ცოდნის გამოყენების ასპარეზი არსებობდეს. ამასთან ერთად, ადამიანის შრომა უთუოდ განათლების, კვალიფიკაციისა და გარჯის მიხედვით უნდა ნაზღაურდებოდეს, რაც არც იმ დროში (და, საუბედუროდ, არც ამ დროში) მიზეზთა და მიზეზთა გამო, ნაკლებად ან საერთოდ არ ხორციელდება.

სოფელში მცხოვრებთა საქმიანობის ასპარეზი ძირითადად კოლმეურნეობაში შრომა გახლდათ. ამაში მიუღებელი თითქოს არაფერი არ უნდა იყოს. როგორც იმთავითვე ყოფილა მიღებულ-დადგენილი, რასაც რუსთაველიც ადასტურებს: „რაცა ვისცა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს, მუშა მიწყივ მუშაკობდეს“-ო. მაგრამ აქ დასაქმებული ადამიანის უკმაყოფილებას ის იწვევდა, რომ პატიოსანი კაცი, როგორი თავგამოდებითაც არ უნდა ეშრომა, წლის ბოლოს შინ ბევრს ვერაფერს შეიტანდა. ამის მიზეზი, ჩემი აზრით, ცუდი საზოგადოებრივი წყობილებისა და, ასევე, შრომის ცუდი თუ გნებავთ, არასწორი ორგანიზაციის გარდა, ალბათ, სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მიზეზებიც იყო. ამიტომაც უჭირდა იმ დროს ქლუხორში (და სხვაგანაც) თითქმის ყველა კოლმეურნეს საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული მცირე შემოსავლით წლიდან წლამდე თავის გატანა.

იმდროინდელი კოლმეურნე გლეხკაცის შეჭირვებული ცხოვრება და ქვეყანაში მშრომელი ადამიანის ფასი უფრო თვალნათლივ რომ წარმოვიდგინოთ, ერთ შემთხვევას გავიხსენებ: მზისაში სოფლის საკოლმეურნეო ყანებში მოწეული ჭირნახული შემოდგომით რომ დააბინავეს, საერთო კრებაზე იმ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ განაცხადა: ზამთარში კოლმეურნეობის ფერმის ღორების გამოსაკვებად ამდენი და ამდენი ტონა სიმინდის მარცვალი უნდა გამოვყოთ და გადავინახოთო. ამის მოსმენისას ერთ-ერთი კოლმეურნე ფეხზე წამოდგა და ყველას გასაგონად ხმამაღლა მოითხოვა: ამხანაგო თავმჯდომარე, თუ მართლა ასე გულმოდგინედ ზრუნავთ ღორების გამოსაკვებად და ამისთვის ამდენი ტონა სიმინდის გამოყოფას აპირებთ, მეც ღორების სიაში ჩამწერეთო.

იმ იმდროისათვის ასეთი მეტად თამამი, თავხედური და პოლიტიკურად საშიში განცხადებისგან გამოწვეული საერთო დაბნეულობისა და შეშფოთებისგან კრება ჯერაც ვერ გამორკვეულიყო, რომ ვიღაცამ არანაკლებ თამამად და თავხედურად დაუმატა: ჩვენ ყველანი, დიდი ხანია, ღორების სიაში ვწერივართ, ოღონდ, ქვეყნის ხელისუფლება ნამდვილ ღორებზე ნაკლებ ყურადღებას გვაქცევს და მათზე ბევრად უარესად გვკვებავსო.

ცხადია, უდიდესი გულისტკივილით ნათქვამი. ცხოვრების რეალობის ამსახველი ეს მწარე სიმართლე – ნამდვილ ღორებზე ნაკლებ ყურადღებას გვაქცევსო, იმუამინდელი ქვეყნის პოლიტიკური წყობის და მის ხელისუფალთა წინააღმდეგ იყო მიმართული და არა რომელიმე კონკრეტული კოლმეურნეობის თავმჯდომარისა.

ეს მართალი ენამწარე გამონათქვამები მაშინ, საბედნიეროდ, არ გახმაურებულა და სოფლის გარეთ არ გასულა, თორემ ბევრ ვინმეს მოუწევდა რამდენიმე წლით ციმბირში მთავრობის ხარჯზე უფასო საგზურით „დასვენება“.

არაერთი სხვა მსგავსი მიზეზ-შედეგი განაპირობებდა საზოგადოების დიდი ნაწილის ჩუმ უკმაყოფილებას არსებული წყობილების მიმართ. ჩუმს იმიტომ, რომ ღიად უკმაყოფილების გამოხატვა მაშინ ისეთი ტოტალიტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, არც თუ იოლი და უსაფრთხო გახლდათ. ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან დღეს ყველასთვის ცნობილია, იმ დროს როგორ უსწორდებოდნენ სხვაგვარად, ანუ თავისუფლად მოაზროვნეებს.

მიუხედავად ყოველივესი, როგორც ჩანს, საზოგადოებრივ წინსვლას მაინც ვერაფერი აჩერებს. ალბათ, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ მზისელი ახალგაზრდობა დიდი მონდომებით ცდილობდა, დაეძლია ხელფეხის შემბორკავი დაბრკოლებები და როგორც ადიდებული მდინარე კლდოვან ნაპირს, ისე აწყდებოდა თავისი მიზნების განხორციელების ხელის შესაშლელად ერთფეროვანი ცხოვრების მიერ აღმართულ ყრუ კედელს.

ბევრი ამ შეჭიდებაში ნაადრევად იღლებოდა, გული უტყდებოდა და იმედგაცრუებული ყრიდა ფარ-ხმალს. ნაწილი კი, წყლის წვეთის მსგავსად, ჯიუტად ერკინებოდა დახავსებულ ყოფას და დიდი გასაჭირის შემდეგ, მაინც აღწევდა დასახულ მიზანს... თუ საზოგადოებასთან ერთად არა, პიროვნულად მაინც.

იმ მზისელი ახალგაზრდებიდან, რომელთაც არსებული ვითარება შინაგანად არ მოსწონდათ, მის უკეთესობისკენ შესაცვლელად ისწრაფოდნენ და ამ მიზნით მისთვის დამახასიათებელი უარყოფითი მხარეების საჯაროზე გამოტანას არ უფრთხოდნენ, ერთ-ერთი მათ შორის გრიშა ლობჯანიძეც – გოგნიეე გრიშა იყო. იგი იმასაც კარგად გრძნობდა, რომ აქამდე შეძენილი ცოდნა საკმარისი არ იყო ცხოვრების ფართო ასპარეზზე გამოსასვლელად და სწავლის გაღრმავების სურვილი მოსვენებას არ აძლევდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ ატყობდა, მუდმივად მიწაზე მუშაობას ვერ შესძლებდა. შეიძლება ასეც ითქვას: ფიზიკური შრომა მისი შინაგანი მოწოდება არ გახლდათ. არადა, იმდროინდელი კანონების თანახმად, სოფლიდან წასვლის სურვილს, ეს სურვილი თუნდაც უმაღლესში სწავლის გაგრძელება ყოფილიყო, წინ არაერთი დაბრკოლება ეღობებოდა.

როგორ, კაცო, რა დაბრკოლება უნდა გადალობებოდა უმაღლესში სასწავლებლად წასვლის სურვილს, აკი, კონსტიტუციაში, როგორც იტყვიან, შავით თეთრზე ეწერა, ყოველ საბჭოთა მოქალაქეს შრომის, სწავლისა და დასვენების უფლება აქვსო. კი ბატონო, ეწერა, მაგრამ კონსტიტუციასა თუ კანონთა კრებულებში განა ამის გარდა სხვა რამეებიც არ წერია, რომ არ სრულდება?! ქაღალდზე ბევრი კარგი რამ შეიძლება დაიწეროს, მაგრამ ან საერთოდ, ან სანახევროდაც არ განხორციელდეს. მთავარი ლამაზად წერა და ლაპარაკი კი არ არის, თავიდათავი კარგი დაწერილის თუ ხმამაღლა ნათქვამის ასევე კარგად შესრულებაა.

კონსტიტუციაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მუხლად ჩაწერილ სწავლის უფლების განხორციელებას პასპორტი სჭირდებოდა. მერე პასპორტის აღება რა ისეთი უსაშველო მიზეზიაო, ალბათ, ამასაც იტყვის დღეს მავანი. მიზეზიც იყო და თანაც საკმაოდ დიდიც, ვინაიდან სოფელში მცხოვრებს იმ დროს, როგორც წესი, პასპორტს არ აძლევდნენ. ხოლო თუ ვინმე მაინც მოინდომებდა მის აღებას, ამას, სათანადო დასაბუთებასთან ერთად, პირველ რიგში, სჭირდებოდა ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან. ამ ცნობის გარეშე მილიციის საპასპორტო განყოფილებაში ზედაც არავინ შემოგხედავდა. ცნობა კი სასოფლო საბჭოს უნდა გაეცა. საბჭო ასეთ ცნობას იმ შემთხვევაში გასცემდა, თუ ამაზე კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის თანახმობა იქნებოდა. თავმჯდომარე კი თითქმის არასოდეს იყო ასეთ რამეზე თანახმა, ვინაიდან სასოფლო საბჭოს მიერ გაცემული ცნობა პასპორტის აღებას უხსნიდა მწვანე გზას, ხოლო პასპორტიან ახალგაზრდას (გინდაც ხნიერ მოქალაქეს) საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, სადაც მოესურვებოდა, იქით შეეძლო წასვლა და ცხოვრება. ხოლო საითაც სურდა, იქით წასული ახალგაზრდა, დღევანდელობისა არ იყოს, ქალაქურ ცხოვრებას რომ იგემებდა, კვლავ თოხსა და გუთანზე ხელის მოსაკიდად ძნელადღა დაბრუნდებოდა სოფელში. უკან დაუბრუნებელი ყოველი მეთოხე და მეგუთნე კი სოფელს მუშახელად აკლდებოდა. ეს მუშახელის ნაკლებობა კი, თავის მხრივ, არაერთ პრობლემას ჰქმნიდა. ასე, რომ... ყოველივე ეს რწყილისა და ჭიანჭველას იგავს ჰგავდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ იმ დროს, როცა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ქვეყანაში ჯერ კიდევ იშვიათობას წარმოადგენდა, ფიზიკური სამუშაო თავზე საყრელი იყო, ხოლო მუშახელი – ნაკლები.

ყოველივე ეს ჩემი თაობის ადამიანებმა კარგად იციან, მაგრამ აქ ზოგიერთი რამის გასარკვევად სიტყვამ მოიტანა და იმიტომ შევახსენე მათაც და სხვებსაც. ისე კი ჩვენს დროს უმუშევრობით შეწუხებული, უსახსრო და ჯიბეცარიელი ბევრი ვინმე, ალბათ, ინატრებს იმ დროს და იტყვის, ნეტა სამუშაო იყოს, თორემ მუშაობაზე უარის მთქმელი ვინ იქნებაო. მართლაც, სწორედ ამაზეა ზედგამოჭრილი, ტკბილის გემოს მანამდე ვერ გაიგებს კაცი, სანამ მწარეს არ გამოსცდის. მომავალში, ალბათ, კიდევ ბევრ

მსგავს რამეს ვნახავთ, რაც წინა თაობასაც არ უნახავს. თუმცა, მთავარ სათქმელს დავუბრუნდეთ.

მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ასეთი, თითქმის გადაულახავი წინააღმდეგობები შეხვდებოდა, გრიშა ლობჟანიძემ რაკი სოფლიდან წასვლა და სწავლის გასაგრძელებლად ეს მიზნად ქცეული ფიქრი ერთხელ გულში ამოიჭრა, ეტყობოდა, უკან დახევას არ აპირებდა.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია ესეც ვთქვა, რომ მზისას კოლმეურნეობა ეკონომიკურად საკმაოდ სუსტი იყო. ამას არაერთი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზი განაპირობებდა, მაგრამ რაიონის ხელმძღვანელობას მიაჩნდა, რომ კოლმეურნეობის ჩამორჩენის უმთავრესი მიზეზი თავმჯდომარეთა უნიათობა იყო. სინამდვილეში სოფლის სიღარიბის მიზეზი თავმჯდომარე სულაც არ იყო. ამაში უმთავრესი ბრალი, ალბათ, უფრო არსებულ სისტემას მიუძღვოდა, მაგრამ უფროსობა ასე თვლიდა და ერთადერთ გამოსავალსაც თავმჯდომარეების ხშირ-ხშირ ცვლაში ხედავდა. როცა გრიშა სოფლიდან წასვლაზე ფიქრობდა, მზისას კოლმეურნეობის თავმჯდომარედ რაიონიდან ახლახან გამოგზავნილი და დანიშნული კაცი იყო. ახლა მისი სახელი და გვარი არ მახსენდება, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ კაცს მიაჩნდა, რომ კოლმეურნეობა იმ შემთხვევაში აღორძინდებოდა და გაძლიერდებოდა, თუ ჭარბი მუშახელი ეყოლებოდა. ამიტომაც სოფლიდან ვინმეს წასვლას ყოველგვარი დასაშვები თუ დაუშვებელი ხერხებით ეწინააღმდეგებოდა. ამასთან ერთად, ოცდაათიანი წლების კომკავშირულ პრინციპებზე აღზრდილი, მათრახისა და მაუზერის დიდი მოტრფიალეც გახლდათ.

ახალმა თაავმჯდომარემ გრიშა ლობჟანიძის განზრახვის შესახებ, რომ შეიტყო, ეს არსებული წყობილების წინააღმდეგ გალაშქრებად და ლამის სახელმწიფოს ღალატის ტოლფას მცდელობად შეაფასა. ეტყობა, მისთვის უცხო იყო იმის გაგება, რომ ცხოვრება მარადიულად ერთ ადგილზე არ დგას. დროში „ყველაფერი ბრუნავს და ყველაფერი იცვლება“ (დემოკრიტე). განახლების პროცესს ქვეყანაზე ვერაფერი შეაჩერებს. ეს ცხოვრების დიალექტიკაა. მას დროულად შეცნობა და ალღოს აღება სჭირდება და არა ხიშტშემართული დახვედრა. როგორც ჩანს, მზისას კოლმეურნეობაში ახალმა თავმჯდომარემ ეს სიბრძნე არც იცოდა და არც ცდილობდა, რომ სცოდნოდა. განა ცოტა შემთხვევა ვიცით, როცა უღირსები სხედან ღირსეულთა თანამდებობებზე! ესეც, რაიონიდან გამოგზავნილი თავმჯდომარეც უთუოდ ერთ-ერთი ასეთი შემთხვევათაგანი იყო.

...იმ დღეს მზისას სასოფლო კლუბში კოლმეურნეობის საერთო კრება ტარდებოდა. კრებას რაიკომის ინსტრუქტორიც ესწრებოდა. ასე მგონია, რომ ყოველი დროის ტოტალიტარულ სახელმწიფოში, მათ შორის ჩვენს დროშიც, როცა პიროვნება, თუ სხვა მხრივ არა, ეკონომიკურად მაინც არ არის თავისუფალი და სახელმწიფოს მიერ მიგდებულ მიზერულ ხელ-

ფასზეა დამოკიდებული, ასეთ სახელმწიფოში ყოველი პატარა თუ დიდი-მოხელე დიდ პატივშიც არის და დიდ ძალაუფლებასაც ფლობს. საბჭოთა ხელისუფლების დროს რაიკომის ინსტრუქტორი შეიძლება რიგითი მზისელი გლეხკაცისთვის არა, მაგრამ სოფლის ხელმძღვანელისთვის ნამდვილად ავტორიტეტული ფიგურა გახლდათ. ხოლო რიგითი გლეხკაცისთვის თუ რატომ არ იყო ის ინსნტრუქტორი თუ უფრო მაღალი თანამდებობის მოხელე ავტორიტეტი, ამის გასაგებად ერთ შემთხვევას გავიხსენებ.

ერთხელ, ეს იყო ომის წლებში, ღებში კოლმეურნეობის საერთო კრებას ონის რაიკომის მდივანი დაესწრო. კრებაზე ძალიან მწვავე სიტყვით თურმე ერთ-ერთი კოლმეურნე გამოვიდა. მან, საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა, თანაც მეტად კვალიფიციურად და ფაქტების მოშველიებით, რაიონის ხელმძღვანელობა.

ეს მდივანმა თურმე იწყინა. იფიქრა, ეს ვიღაცა, რადგან ასე გამართულად ლაპარაკობს, სოფელში უთუოდ რამე ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობსო და მკაცრად მიუთითა: როგორ ბედავ ასეთ ლაპარაკს, მე შენ სამსახურიდან მოგხსნიო.

მოკრიტიკე კოლმეურნემ არც აცია და არც აცხელა, ისე მიაძახა მდივანს, ვერ მომხსნიო.

მდივანი ამან კიდევ უფრო გააცხარა და იგივე გაუმეორა, მოგხსნი და თანაც დაუყოვნებლივო.

გლეხკაცმა მშვიდად მიუგო, ვერაფერსაც ვერ მიზამ, თოხიდან თუ მომხსნი, ცელს დავიჭერ, ცელს ამიკრძალავ, გუთანს მოვკიდებ ხელს, ქედი იყოს, თორემ უღელი ყოველთვის მოინახებაო.

ამგვარი წინააღმდეგობით შემცბარმა მდივანმა გვერდით მჯდომ თავმჯდომარეს ჰკითხა, ვინ არის ეს კაცი, ჩემიც რომ არ ეშინიაო.

ერთი რიგითი კოლმეურნე გლეხია, ცელის, ცულის და გუთნის მუშააო.

ჰოო, კიდეც ამიტომ იქცევა ასე თამამად, ბევრიც რომ მოვინდომო, გუთანს და ბარს ვერ წავართმევ და სხვა რამე მაგ კაცს არაფერი ჰქონია წასართმევიო. ცხოვრებაში ვისაც არაფერი აქვს დასაკარგი, ის, უმეტეს წილად, თამამი და გაბედულია.

კრებაზე, ევალებოდა და თავმჯდომარე სიტყვით პირველი გამოვიდა. ალბათ, რაიკომის ინსტრუქტორის წინაშე თავი, რომ მოეწონებინა და ხელმძღვანელი ამხანაგისთვის დაენახვებინა, საქვეყნო პრობლემების მოგვარებაზე როგორი გულმოდგინებით ზრუნავდა, მან განსაკუთრებული სიმკაცრით ახალგაზრდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმაზე ისაუბრა. მიუხედავად იმისა, რომ მზისელ ახალგაზრდებს საკოლმეურნეო საქმიანობაში მონაწილეობის აქტიურობა არ აკლდათ, თავმჯდომარემ მაინც საყვედურით აღნიშნა, ზოგიერთი მათგანი, იმის ნაცვლად რომ მხარში ამოგვიდგეს, თვალი სოფლიდან გაქცევაზე უჭირავსო.

სწორედ ამ დროს გრიშა ლობჯანიძემ გვერდით მჯდომ ერთ-ერთ ახალგაზრდას რაღაც გადაულაპარაკა, რასაც არც კრებაზე განსახილველ საკითხთან ჰქონდა რამე საერთო და არც ვინმე მის მონაწილეს შეეხებოდა, ნათქვამზე გრიშასაც და გვერდით მჯდომსაც გაეცინათ. თავმჯდომარემ იეჭვიანა, ალბათ, მე დამცინისო. გულში ხინჯად ისიც ჰქონდა, გრიშა სოფლიდან წასვლას რომ აპირებდა და, თავმჯდომარის აზრით, ამით სოფლის სხვა ახალგაზრდებს, ცუდ მაგალითს აძლევდა. ამიტომ ძლიერ გაღიზიანებულმა მიაძახა: შენ მანდ სიცილ-ხარხარს და ხალხის აბუნტებას მოეშვი. ძალიან კარგად ვიცი, თვალი რომ სოფლიდან გაქცევაზე გიჭირავს, მაგრამ დაიმახსოვრე, სანამ მზისაში კოლმეურნეობის თავმჯდომარე მე ვარ, არც შენ და ვერც შენისთანები აქედან წასვლის უფლებას ვერ ეღირსებითო.

ეტყობა, ამგვარი მუქარის ასრულებაში სხვა დროს ხელგაწაფულ თავმჯდომარეს იმედი ჰქონდა, წამოყელყელავებულ ახალგაზრდებს ახლაც ენას მუცელში ჩააგდებინებდა და თვითნებობის ხალისს სამუდამოდ დააკარგვინებდა, მაგრამ გრიშას მოთოკვა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. იგი ადგილიდან წამოხტა და შეკამათებას შეუჩვეველ თავმჯდომარეს დაურიდებლად მიახალა: შენ რა, პუანკარე ხომ არ ხარ, ხელ-ფეხს რომ გვიბორკავ და სოფლიდან წასვლას გვიკრძალავ. არ დაგავიწყდეს, ახლა ოცდაათიანი წლები როდია, არც მზისაა ადრე შენი ნათავმჯდომარები სოფელი და ტყუილა გგონია, რომ ყველას შენს ჭკუაზე ატარებო.

პუანკარე ხარო!

როგორც ჩანს, თავმჯდომარეს აქამდე ასეთი არც სიტყვა სმენოდა და არც მსგავსი სახელი გაეგონა. უთუოდ იფიქრა: ეს „პუანკარე" თუ დედის გინება არ არის, არც ამაზე ნაკლები სალანძღავი სიტყვა უნდა იყოსო და სულ გადაირია. ვის უბედავ ამის თქმას, პუანკარე ხარო. პუანკარე მე კი არა მამაშენია. პუანკარეები არ დაელიოს შენს გვარს და ჯილაგსო.

გრიშას, ცხადია, არ წყენია თავმჯდომარის ამგვარი შემოტევა. პირიქით, ერთგვარად გაუხარდა კიდეც მისმა მოდავემ საკუთარი უვიცობა რომ საქვეყნოდ გამოამჟღავნა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, თავმჯდომარე მოვალე სულაც არ იყო, რომ სცოდნოდა, პუანკარე ვინ იყო. სანამ იგი გრიშას რამეს უპასუხებდა, რაიკომის ინსტრუქტორმა, რომელიც საკმაოდ განათლებული პიროვნება აღმოჩნდა, დაასწრო და ღიმილით სცადა გაცხარებული თავთმჯდომარის დამშვიდება: ასე ძალიან სულ ტყუილად სწყრები. ეგ პუანკარე არც ისე უხეირო ვინმე იყო, შენ რომ გგონია. საფრანგეთის გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე გახლდა. მის ქვეყანაში არც ერთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პოსტი არ დარჩენილა, მას რომ არ სჭეროდა. ბოლოს საფრანგეთის პრეზიდენტი და მეცნიერებათა აკადემიის წევრი იყო.

ეს ახალგაზრდა, პუანკარე ხარო რომ გიკიჟინებს, ალბათ, იმას გულისხმობს, იგი ქვეყნის სოციალური რეფორმების გატარებას ეწინააღ-

მდეგებოდა, რითაც სახელმწიფოს წინსვლას ერთგვარად აფერხებდა. სხვა მხრივ პუანკარეობა სულაც არ არის შეურაცხმყოფელიო.

ამგვარმა განმარტებამ და, ალბათ, უფრო რაიკომის წარმომადგენლისადმი რიდმა და ხათრმა იმოქმედა და თავმჯდომარე დამშვიდდა. ცხადია, იგი იმასაც მიხვდა, რომ კაცი თუ საფრანგეთის პრეზიდენტი იყო, მისი სახელით მოხსენიება მისთვის არც ისე საძრახისი უნდა ყოფილიყო.

ინსტრუქტორი რაიონის ცენტრში რომ დაბრუნდა, ეტყობა, იქ, გასართობად, რაიონის ხელმძღვანელობას უამბო მზისაში მომხდარი ეს ერთგვარი კურიოზული შემთხვევა. რაიონში ამას სულ სხვა კუთხით შეხედეს. ახალგაზრდას განათლებულობა მოუწონეს და გადაწყვიტეს, გრიშა რაიონში პარტიულ სამუშაოზე გადაეყვანათ.

გრიშას ახალ სამუშაოზე თავი ნამდვილად არ შეურცხვენია, მაგრამ ცოდნის გაღრმავება-სრულყოფის სურვილი არც იქ ასვენებდა. სახარების შეგონება, ეძიებდე და ჰპოვებდეო, ამ შემთხვევაში მასზე ზედგამოჭრილია. მოგვიანებით მან ჯერ უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა, შემდეგ, ასევე, უმაღლესი პარტიული სკოლა. მანამდე კი, როგორც მიამბეს, რაიკომში სამუშაოდ გადასულ გრიშას იმჟამად უკვე სხვა სამუშაოზე მყოფი მზისას ყოფილი თავმჯდომარე შეხვედრია და დარცხვენილს უთქვამს, თუ კაცი ხარ, ჩემს მიმართ წყენას გულში ნუ ჩაიდებ. შენ იცი, რომ მე უმაღლესი განათლება არა მაქვს და იმდენი გასაჭირგამოვლილი კაცი ვარ, პუანკარე კი არა, კარგად ბაბუაჩემის მამის სახელიც არ მახსოვს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ეს უბოროტო წალაპარაკება შენი სოფლიდან თავის დაღწევის და სამსახურში დაწინაურების მიზეზი გახდა. ათასჯერ მეტი წარმატება მენახოს შენი, დამიჯერე, ეს ძალიან გამიხარდებაო.

სულაც არ გემდური და არც რამე წყენა მაქვს შენს მიმართ. შენ რომ არ გაგეხსენებინა, ეს შემთხვევა არც მახსოვდაო, დაამშვიდა თურმე გრიშამ ყოფილი თავმჯდომარე და, როგორც ჩემთვის ცნობილია, ამით დამთავრდა მათ შორის ყოველგვარი უსიამოვნო დავა – კამათი.

ცაცო

თავიდან და შემდეგაც დიდხანს მეგონა, რომ ცაცოს მარტო ჩემს სოფელში არქმევდნენ ბავშვებს, თანაც-მხოლოდ ვაჟებს. მერე და მერე გავიგე, რომ თურმე, ეს სახელი საკმაოდ გავრცელებული ყოფილა საქართველოს როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. ამავე დროს ეს სახელი მარტო მამაკაცებს კი არა, ქალებსაც რქმევიათ თურმე.

ცაცო გობეჯიშვილი

რაც შეეხება მჭედელ ცაცო გობეჯიშვილს (დეტუეეთი), იგი პატიოსნად ატარებდა ამ სახელს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. თუმცა, მის რუს მეგობრებს ეგონათ, რომ „ცაცო", იგივე „კაცო" იყო და ერთხანს ასეც მიმართავდენ, როცა კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მრისხანე და სისხლისმღვრელ ომში მოხალისედ წასული ცაცო რუსულ გარემოში მოხვდა.

ომში მოხალისედ მიმავალი ცაცო სოფელში თავმომწონე ბიჭი იყო, მაგრამ თავმოსაწონი სიმღერა სულაც არ იცოდა. და მაინც, მასთან ერთად ჯარში გაწვეულ თანასოფლელებზე არანაკლებ თავმომწონედ მღეროდა: ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო, დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო.

ცაცოს ჯერ არც კარგი ცხენი ჰყავდა, მით უმეტეს, არც ცოლი, მაგრამ მაინც ისე ამაყად მღეროდა, თითქოს ქორწილში პირველ მაყრად წვეული, ფრთიან რაშზე ყოფილიყო ამხედრებული და შინ ყამარივით ციური უმშვენიერეს, ერთგულ, ლამაზ და უსაყვარლეს მეუღლეს ტოვებდა.

მაშინ მისთვის, და არაერთი მისი თანატოლი ღებელისთვის, ეს შინიდან პირველი გასვლა და ბურუსით მოსილი მოგზაურობის დასაწყისი, გამოუცნობ, რომანტიკული ოცნების საბურველში იყო გახვეული. ჭაბუკურ სხეულში უჩვეულო ძალამოზღვავებულებს, ვერ წარმოედგინათ ქვეყანაზე ვინმე, ან რამე თუ სძლევდათ და დაამარცხებდათ. საკუთარი ძალ-

ღონით დაიმედებულები, მომავლის მომხიბვლელ ფერებში მაცქერალნი, ომს, როგორც ლხინს, ისე უყურებდნენ. ასე რომ არ ყოფილიყო, აბა, იმ ქვეყნიერების დამაქცევარ, ქვის ქვაზე დამდუღებელ და არდამტოვებელ უსასტიკეს, სისხლისმღვრელ ომში ხალისით, თან მოხალისედ ვინ წავიდოდა! მაგრამ ცაცო და არაერთი სხვაც მიდიოდა. რას ვიზამთ, ახალგაზრდობას ხშირად სჩვევია ყოველგვარი სიძნელისა და გასაჭირის გაიოლება და არაფრად ჩაგდება. ცაცოც ხომ იმ დროს ჯერ პირზე ახლად ღინღლაშლილი ახალგაზრდა იყო. ამას გარდა, მას და ბევრ მის თანატოლს, ომში წასვლა ამაღლებულ სამყაროსთან ზიარების ერთგვარი საშუალება და გზა ეგონა. მათ არც იცოდნენ და, იმ წუთებში მაინც, ალბათ, არც ახსოვდათ, რომ ომში ადამიანები საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად თავგანწირული იბრძვიან და მოწინააღმდეგეს გულცივად და დაუნდობლად კლავენ. იქნებ ბევრ მათგანს მიაჩნდა, რომ სიკვდილი მათ ვერ გაეკარებოდა და თუ სიკვდილი მოვიდოდა, ისინი კი არა, სხვები დაიხოცებოდნენ. ალბათ, თორემ... თუმცა, მხოლოდ ზოგისთვის იყო ომში წასვლა იოლი და სახალისო, თორემ ჩემს ბავშვობაში მე ვიცნობდი ერთ კაცს, რომელმაც იმის შიშით ომში რომ არ წამიყვანონო, სწორედ იმ მრისხანე უამს, ცაცო რომ ომში თამაშ-თამაშით მიდიოდა, ალესილი ნაჯახი ფეხზე განზრახ დაირტყა და თავი სამუდამოდ დაისახიჩრა.

ომში მიმავალი ღებელი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი. ქუთაისი. 1942 წ.

არც წაიყვანეს ის, საკუთარი ფეხის განზრახმომჭრელი.

გადარჩა და ვერც ის გაუგეს ამის ჩამდენს, სინამდვილეში რა როგორ მოხდა. მისი წინასწარ განზრახული ნამოქმედარი უბედურ შემთხვევას მიაწერეს, რადგან, ერთი შეხედვით, გავდა კიდეც უბედურ შემთხვევას, თორემ სინამდვილე რომ გაეგოთ, მტრისას, მას რომ დღეს დააყრიდნენ! მაშინ ვაუკაცისათვის ასეთი უღირსი და თავისმომჭრელი საქციელისათვის განსაკუთრებული სისასტიკით სჯიდნენ ყველას, ვინც უნდა ყოფილიყო იგი. ისე თავის ნებაზე როდი ატარებდნენ ჯარისკაცებად განწესებულებს თუ საჯარისკაცოდ გამზადებულებს, როგორც, მაგალითად, ჩვენს დროს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის უამს, როცა საქართველოს სათავეში ყვარყვარე და ქონდრის კაცი იჯდა. მაშინ იყო, რომ ყველა – დი-

დიც და პატარაც – თავის ნებაზე იქცეოდა. ამიტომაც ბატონობდა მაშინ ქართულ ჯარში არნახული ქაოსი, უდისციპლინობა და განუკითხაობა. ბევრ სხვა რამესთან ერთად, ესეც გახლდათ ერთ-ერთი მიზეზი, რომ ასე შევრცხვით და დავმარცხდით. იმ დიდი ომის დროს კი საბჭოთა კავშირის სათავეში სულ სხვა შეხედულებებისა და აზროვნების კაცი იდგა. ის ასე იოლად არავის აძლევდა ნებას, მათთვის მინდობილ საქვეყნო საქმეს უსულგულოდ და არამგამად მოჰკიდებოდნენ.

ცაცოს, როგორც ვთქი, ასაკით არ ეკუთვნოდა მაშინ ჯარისკაცობა და არც არავინ ავალდებულებდა, გინდა თუ არა ომში წადიო, მაგრამ თავისი სურვილით გამოცხადდა გამწვევ პუნქტში და რიხით განაცხადა, მტრის წინააღმდეგ ბრძოლა მსურს და მოქმედ არმიაში გამამწესეთო.

დღეს ბევრს, შეიძლება ეს არაბუნებრივად მოეჩვენოს და არც დაიჯეროს. უფრო მეტიც, არნახულ სიბრიყვედაც კი ჩათვალოს ცაცოს ნამოქმედარი. ნეტა, ვინ აძალებდა, სხვის ომში რომ თავის მოსაკლავად მიდიოდაო. მაგრამ ჩემი თაობის ადამიანებმა კარგად იციან, რომ ის ომი სხვისი კი არა, ყველას ომი იყო კაცობრიობის უბოროტესი მტრის – ფაშიზმის წინააღმდეგ და მაშინ ამ უბოროტესი მტრის დასამარცხებლად ფრონტზე არაერთი მიდიოდა მოხალისედ. იმჟამად ასეთი პრინციპებით ცხოვრობდნენ ადამიანები. დრო გადის და იცვლება შეხედულებები. რა ვუყოთ მერე, დროში ბევრი რამის გადაფასება ხდება.

ცაცოსთვის უარი არავის უთქვამს, უკან გაბრუნდი, ჯერ შენ საჯარისკაცო ასაკის არა ხარ. შინ წადი და როცა დრო მოგივა, ჩვენ თვითონ გამოგიძახებთო. ან კი რატომ ეტყოდნენ უარს საომრად ალესილ, თუნდაც, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ახალგაზრდას, როცა იმ დროს ბევრი ცაცოზე უმცროსი ასაკის ბიჭი იბრძოდა ომში, ზოგი ფრონტის წინა ხაზზე, ზოგიც – პარტიზანულ რაზმში. მართალია, ჯერ საჯარისკაცე ასაკისთვის არ მიელწია, მაგრამ შესახედავად ვერავინ დაიწუნებდა. მთასავით ბიჭი იყო და ორსამ კაცს რომ ეყოფოდა იარაღის სატარებლად, ისეთი ჯანი ჰქონდა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მრისხანე მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმული ქვეყნისთვის ყოველი ჯარისკაცი მეტად ძვირად ფასობდა, თავისთავად ცხადი გახდება, რომ მოხალისედ ომში წამსვლელს, თუნდაც, თავისი შესაძლებლობით ცაცოზე ნაკლები ყოფილიყო, არავინ დაიწუნებდა.

ერთი სიტყვით, წავიდა ცაცო ომში და შინ დარჩენილმა მისმა ახლობლებმა, მთელი წელი ისე გავიდა, თავიანთ თავნება ბიჭზე არც ავი იცოდნენ და არც კარგი. თუმცა, როგორც ცაცოს შინაურები, ისე მილიონობით სხვებიც ფრონტზე მებრძოლი თავიანთი შვილების, ძმებისა და მშობლების შესახებ ავ ამბებს უფრო მოელოდნენ, ვიდრე კარგსა და სასიხარულოს. მაგრამ ცაცოს, ეტყობა, მაშინ ბედი სწყალობდა და უფალი იფარავდა ავისა და განსაცდელისგან. ერთ დღეს, როგორც მოულოდნელად წავიდა შინიდან, ასევე, მოულოდნელად დაბრუნდა

ცაცოს მეუღლე მარიამი (მარცხნივ) და თამარ ლობჯანიძე (კაცელეეთი).

სოფელში მძიმედ დაჭრილი და ოჯახურ პირობებში შეუდგა ჭრილობების მოშუშებას.

დრო გავიდა. ცაცო თანდათან ᲂᲛᲛᲯᲝᲑᲘᲜᲓᲐ. ომში მიღებული ჭრილობები მოუშუშდა, მაგრამ ხელმეორედ ჯარში აღარავის გაუწვევია. ალბათ, იმიტომ, რომ საჯარე ასაკის ჯერაც არ გამხდარიყო. დარჩა სოფელში და საგლეხკაცო საქმიანობას მიჰყო ხელი. ამასობაში საცოლედაც მოიწიფა და კაცობაში ფეხშედგმული. ისედაც სასიამოვნო გარეგნობის ახალგაზრდა, თანდათან უფრო დამშვენდა.

ტანად ბრგეს და თვალად მოხდენილ ვაუკაცს არა მარტო ღებში, არამედ ახლომახლო სოფლებშიც ბევრი ქალიშვილი არ ეტყოდა უარს ცოლად გაყოლაზე. უარს კი არადა, არაერთს ეჭირა მასზე თვალი, როგორც ერთ-ერთ რჩეულ საქმროსა და სასიძოზე, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა, სულ ამაოდ. თურმე, საცოლე კარგა ხნის შერჩეული ყოლია: სოფელში ერთ-ერთი მომხიბვლელი ქალიშვილისთვის დაედგა თვალი და მტკიცედ გადაეწყვიტა, თავისი ცხოვრება სამუდამოდ მისთვის დაეკავშირებინა.

ომში მოხალისედ წასვლისა არ იყოს, ცაცოს, ეტყობა, ყველაფერში უჩვეულო ქცევა ხიბლავდა და იტაცებდა. ამით ცხოვრება უფრო მიმზიდველი და ხალისიანი ეჩვენებოდა. ამ თვისებამ უბიძგა, თუ ქალ-ვაჟი წინასწარ შეთანხმდნენ, ერთ, მართლაც, მშვენიერ დღეს გალმა-გამოლმა ღებს ურჟოლვასავით გადაუარა რიონს გალმა, გორმანში დარხეულმა ხმამ: მარიამი მოიტაცესო.

მარიამ-გოგოზე, ცაცოს გარდა, თვალი ბევრ სხვასაც ეჭირა და საცოლედ შეღერებულმა ბიჭებმა თითზე იკბინეს, სანამ ჩვენ რამეს მოვიფიქრებდით, ეს რა გოგო მოგვტაცა ჩვეშოს გაზრდილმა ბიჭმაო.

მარიამს – ცაცოს მიერ მოტაცებულ ქალიშვილს – მამა არ ჰყავდა. ქვრივი დედა ზრდიდა სხვა და-ძმებთან ერთად, მაგრამ უპატრონო ხარო, სოფელში ამის თქმას ვერავინ გაუბედავდა თავმომწონე ქალიშვილს. უფრო იმიტომაც, ცოტა არ იყოს, ფიცხელი ხასიათის, მაგრამ მტერ-მოყვარის უმცდარად გამრჩევი, აი უსამართლოდ რომ თავს არავის დააჩაგვრინებს, ისეთი დედის შვილს.

ამხელა ქალიშვილი გავზარდე და როგრ თუ მე არაფრად ჩამაგდეს, ერთი უბრალო კითხვის ღირსად არ მიმიჩნიეს, მსურდა თუ არა ეს საქმე ასე რომ მომხდარიყოო. ეტყობა, უკაცო ოჯახი ვიღაც-ვიღაცეებმა დაბალ ღობედ მიიჩნიეს, დამჩგარეს და ქალიშვილის მოტაცება ამიტომ გამიბედესო, გულში რისხვით გაიფიქრა უქმროდ მრავალი შვილის გამზრდელმა დედამ. წელზე ის ხანჯალი შემოირტყა, ოჯახში რამდენიმე თაობა, როგორც ძვირფას რელიქვიას და წინაპართა ხსოვნის სიმბოლოს, ისე რომ ინახავდა. ხელში კი არგანივით მძიმე ჯოხი დაიჭირა და შინ პირგამეხებული მიუხტა შვილის მომტაცებლებს. მომავალი მძახლები და მათი ახლო ნათესაობა პირზე ღიმილგადაფენილები წინ შეეგებნენ საჩხუბრად ალესილ დედას... მოუბოდიშეს მომხდარის გამო. არაერთი ტკბილი სიტყვა უთხრეს დასამშვიდებლად. ზოგი რამ ახალგაზრდების დაუმაჭრებლობას და ამით გამოწვეულ აჩქარებას გადააბრალეს. ისიც მორიდებით შეახსენეს, ამ დღეში მარტო ჩვენ როდი ვართ – ქალი ღებში წარსულშიც არაერთხელ მოუტაცნიათ და ახლაც იტაცებენო. ამის მაგალითებიც არაერთი დაუსახელეს გულის მოსაგებად და მდგომარეობის განსამუხტავად... მერე ისიც უთხრეს: მოგეხსენება, კარგ ქალიშვილებს იტაცებენ, თორემ თვალად ნასი და მახინჯი ასეთ ბედნიერებას ძნელად ეღირსებაო.

– კარგ ქალიშვილებს ფხიანი და კარგი ვაუები იტაცებენ, განა თქვენი რომ არის ისეთები! – მისი ქალიშვილის ღირსებების ხაზის გასმამაც ვერ შეაჩერა, გული ვერ მოულბო სასძლოს დედას და მომავალ მძახალს, ამიტომაც დაუფარავად ამოთქვა გულში რაც ჰქონდა: თუმცა, არც დამხდურები ჩამორჩნენ და ღირსეული პასუხიც გასცეს:

– ნურც ასე იტყვი, მძახალო. ჩვენიც რომ ფხიანი და კარგი ვაუკაცი არ ყოფილიყო, მაშინ ვერც შენი მარიამივით თვალწარმტაც ქალიშვილს მოიტაცებდა. აწი, იგი ჩვენი მარტო რძალი კი არა არის, უფრო მეტად შვილია და შვილებში არ გამოგვერჩევა, ისევე, როგორც შენი მძახლობა ჩვენთვის დიდი პატივი და საამაყოა. – სწორედ რომ მოხდენილი სიტყვა-პასუხი გამოუვიდა ორივე მხარეს, რამაც ნაწილობრივ მაინც გაანელა უზომოდ აწეული დაძაბულობა.

...უნდა ითქვას, რომ ახლად შეუღლებულ ცაცოსა და მარიამზე უფრო მშვენიერ, ერთმანეთის შესაფერის წყვილს კაცი ძვირად თუ ნახავდა. ფერი ფერსა, მადლი ღმერთსაო, რომ იტყვიან, სწორედ რომ ასეთები იყვნენ სამეფო და სადედოფლო ქალ-ვაჟი – გარეგნობით ერთმანეთზე უკეთესები, რაც მთავარია, სიყვარულით შეუღლებულები და ასეთ დროს ქვეყანაზე ნეტა რომელი მშობელი იქნებოდა, მათ შორის რომ ჩამდგარიყო გასაყრელად, არ ეპატიებინა ნამოქმედარი, აქაო და წინასწარ რატომ არ შემითანხმდი, მშობლის უკითხავად ეს ნაბიჯი რატომ გადადგიო. გულითა და სულით დალოცეს და მიუტევეს ნამოქმედარი, თუმცა, მიუტევებელი და საუგო საქციელი ცაცოს და მარიამს არაფერი ჩაუდენიათ.

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია და ქლუხორში გადასახლება რომ დაიწყო, ცაცო და მისი ახლად შერთული მეუღლე იქ წამსვლელთ შეუერთდნენ.

მოგეხსენებათ, ახალმოსახლეობა კაცს უამრავ საზრუნავს უჩენს, მით უფრო მაშინ, როცა ომის დროს სამემკვიდროდან აიყრება და უცხო ადგილზე, ეკონომიკურად შეჭირვებული წამოიწყებს ახალი ცხოვრების მშენებლობას. არც ახალმზისელებს აკლდათ ამ მხრივ საფიქრალი, მათ შორის ცაცოს და მის ოჯახსაც. მაგრამ თუ კაცს მარჯვე მეურნე ეთქმის, მიწა უყვარს, თან ჯანი მოსდევს და ალღო და უნარიც დაბადებიდან დაჰყვება, ყოველგვარ გასაჭირს ადვილად გაართმევს თავს.

ცაცო, მართალია, ახალგაზრდა იყო, მაგრამ, როგორც მთაში გაზრდილს, ყოველგვარი საგლეხკაცო საქმე ემარჯვებოდა: კირითხუროობაც შეეძლო და დურგალ-კალატოზობაც. გუთნისდედობაში, ცელისა და ცულის საქმეში ხომ წინ ვერავინ დაუდგებოდა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მექანიზაციისაკენ მიუწევდა გული. განსაკუთრებით შოფრობას არაფერი ერჩია. აპირებდა კიდეც ამ გზას გაყოლოდა, მაგრამ მოულოდნელად მჭედლობას მიჰყო ხელი და მერე სიცოცხლის ბოლომდე მისთვის არც უღალატნია. კაცმა რომ თქვას, ამით არც არაფერი წაუგია.

ღებელებს ახალ ადგილზე ჩასვლისას იქ დახვედრილ ყარაჩაელთა შორის ახმედ შეიხოვის ოჯახიც იყო. თუ გვარის მიხედვით ვივარაუდებთ, მათი წინაპრები ტრადიციით მუსლიმანური რელიგიის მსახურები უნდა ყოფილიყვნენ, შეიხი ხომ მუსლიმანთა უმაღლეს სასულიერო პირს, ღვთისმეტყველსა და სამართლისმცოდნეს ნიშნავს, მაგრამ ახმედ შეიხოვი მჭედელი იყო და სოფლის სამჭედლოში მჭედლობდა.

კარგა ხანს იგი სამჭედლოში მარტო მუშაობდა და მარჯვედაც აუდიოდა თავის საქმეს მანამ, სანამ სამუშაო მოეძალებოდა. მერე კი, როცა გვარიანად გაუჭირდა, თავმჯდომარეს სთხოვა, სოფლის საქმე რომ არ შეფერხდეს, ვინმე ყოჩაღი ახალგაზრდა მომახმარეთ. თუ იგი ნიჭსა და უნარს გამოიჩენს, ამასთან ერთად, სამუშაოს გულმოდგინედ მოეკიდება და მუყაითობასაც

არ დააკლებს, ხელობასაც შევასწავლი და იმაზე ნაკლებ არც შრომადღეს გამოიმუშავებს, რაც მინდორში შრომით უნდა გამოიმუშაოსო.

თავმჯდომარემ ამ საქმეში ყველაზე გამოსადეგ კაცად ცაცო მიიჩნია. თავისთან დაიბარა და რჩევა-დარიგებით უთხრა: სამჭედლოში წადი. დროებით ახმედა მჭედელს მიეხმარე. ახლა შენი თავი იქ უფრო მჭირდება. თუ მაინცდამაინც ურმისა და გუთნის გარეშე ვერ გაძლებ, მინდორიც აქვე არის, ხარ-ურემიც და გუთან-სახნისიც არსად გაგექცევა. ჯაჭვით სამჭედლოში არავინ დაგაბამს. თუ გული მაინც აქეთ გამოგიწევს, მობრუნდი, ორივე ადგილზე დაგხვდება. არც ერთს წაგართმევს ვინმე და არც მეორესო.

ცაცოს ეს წინადადება ჭკუაში დაუჯდა. ხმამაღლა არაფერი უთქვამს თავმჯდომარისთვის, მაგრამ გულში ასე იფიქრა: მოდი, წავალ, ერთი ამ სამჭედლოსაც ვნახავ, რა ხილია. თუ არ მომეწონება, თავმჯდომარის თქმისა არ იყოს, იქ ჯაჭვით ვინ დამაბამს. სოფელში საგლეხკაცო საქმეს რა გამოლევს. გუთანი და ცელის ქნევა რა ისეთი სამუშაოა, ვინმე რომ შემეცილოს. ვირი იყოს, თორემ კურტანს რა გამოლევსო.

ახმედა მჭედელმა კმაყოფილებით მიიღო თავმჯდომარის გამოგზავნილი შეგირდ-დამხმარე. ცაცოს აქამდეც იცნობდა, მაგრამ იცნობდა სოფლის სანახშოზე ჩვეულებრივი, მეზობლური შეხვედრებით. ახალ საქმეში რა ფხის და უნარისა იყო, ამის გასაგებად სამჭედლოში შემოსულს უმალ ხელში ურო შეაჩეჩა და ხალისიანად უთხრა: ვიცი, ჯანი მოგდევს და ოროს აწევა არ გაგიჭირდება, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მე რომ ქურიდან ცხელ რკინას გამოვიღებ და გრემლზე დავდებ, შენ ურო დაჰკარი. დანარჩენს დრო და საქმე გამოაჩენსო.

უნდა ითქვას, რომ მიუხედავად თავიდან ამ საქმეში ხელგაუწაფობისა, რაც დრო გადიოდა, ცაცოს სულ უფრო და უფრო მოსწონდა სამჭედლოში ტრიალი და მჭედლის ხელობა-საქმიანობა, განსაკუთრებით მაშინ, როცა უსახო რკინას სასოფლო-სამეურნეო იარაღის ფორმას მისცემდნენ ოსტატი და შეგირდი. ისე კი, გვარიანი ალღო აღმოაჩნდა შეგირდს. ფხაც კარგი გამოიჩინა და არც საქმის სიყვარული და მუყაითობა აკლდა. ამიტომ სულ მალე ისე გაიწაფა მჭედლის ძველთაძველ ხელობაში, ოსტატი, შეგირდის მონდომების გამო, კმაყოფილებას ვერ მალავდა.

ერთი მეტად საგულისხმო „წვრილმანიც“:

ცაცოს, დედულეთის მხრიდან, სხვა ხელობის წინაპართა შორის, ოქრომჭედლებიც ჰყავდა. არ არის გამორიცხული, რომ მის არსებაში დედის მხრიდან წინაპართა გენმა იყივლა.

ერთ წელიწადში შეგირდს შეგირდობისა ბევრი აღარაფერი ეტყობოდა. ამიტომაც ოსტატი არც თუ ისე ძვირად საქმესა და სამჭედლოს შეგირდის ანაბარა ტოვებდა: ისიც თავს არ იზოგავდა, გამოცდილი მჭედლის სიტყვაძუნწი შექება რომ დაემსახურებინა.

სამᲭᲔდლოᲨᲘ ᲨᲠᲝᲛᲐᲡᲐ და ᲮᲐᲚᲘᲡᲘᲐᲜ ᲐᲖᲠᲗᲐ გაცვლა-გამოცვლაᲨᲘ დრო ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲔᲕᲚᲐᲓ გადიოდა. ᲐᲮᲛᲔᲓᲐ ᲛᲭᲔᲓᲔᲚᲛᲐ ᲨᲔᲐᲛᲩᲜᲘᲐ, რომ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲛᲑᲘᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓ ᲛᲝᲣᲚᲐ ᲔᲮᲔᲠᲮᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲡ და ᲔᲡᲔᲪ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ ᲐᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲓᲐ ᲛᲐᲗ.

...ᲔᲠᲗ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲨᲝᲖᲔ, ᲗᲐᲜᲐᲡᲝᲤᲚᲔᲚᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲩᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲪᲐᲪᲝ ᲦᲔᲑᲨᲘ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲑᲐᲑᲣᲐ – ᲔᲒᲜᲐᲢᲔᲡ, ᲜᲔᲡᲢᲝᲠᲔᲡ, ᲭᲘᲢᲔᲡᲐᲡ, ᲔᲠᲛᲐᲜᲔᲡ და ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲗᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲛᲝᲮᲣᲪᲔᲑᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲝᲑᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲡ ᲘᲒᲝᲜᲔᲑᲓᲐ. ᲖᲝᲒᲯᲔᲠ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝ ᲠᲐᲛᲔᲖᲔ ᲠᲝᲛ ᲬᲐᲙᲘᲜᲙᲚᲐᲕᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲗᲐᲜᲨᲔᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲪᲔᲑᲘ და ᲛᲐᲚᲔᲕᲔ, ᲘᲥᲕᲔ ᲨᲔᲠᲘᲒᲓᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲛ ᲓᲐᲕᲐ-ᲙᲐᲛᲐᲗᲨᲘ ᲠᲐ ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲙᲔᲜᲬᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ: ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲮᲘᲛᲘᲜᲙᲚᲝᲑᲐᲡᲐᲪ ᲨᲔᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲡᲐᲥᲛᲔᲨᲘ ᲒᲐᲜᲪᲓᲘᲚᲘᲡ ᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲔᲜᲘᲚ ᲛᲐᲠᲪᲮᲘᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲥᲘᲠᲓᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲘᲒᲝᲜᲔᲑᲓᲜᲔᲜ და თან ᲛᲐᲮᲕᲘᲚᲡᲘᲢᲧᲕᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲭᲘᲑᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ.

ᲪᲐᲪᲝ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛᲐᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲗ ᲧᲕᲔᲑᲝᲓᲐ, ᲒᲐᲠᲡ ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲔᲑᲘᲚᲘ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ ᲮᲐᲠᲮᲐᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ. ᲠᲐᲙᲘ ᲮᲔᲓᲐᲕᲓᲐ, ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲐᲛᲑᲝᲑᲘᲗ, ᲖᲝᲒ ᲠᲐᲛᲔᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲭᲘᲑᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲣᲛᲐᲢᲔᲑᲓᲐ და ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲛᲝᲛᲮᲓᲐᲠ ᲐᲛᲑᲔᲑᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲪᲮᲐᲓᲘᲗ ᲐᲡᲣᲠᲐᲗᲮᲐᲢᲔᲑᲓᲐ, ᲗᲘᲗᲘᲗᲥᲝᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲥ ᲨᲔᲛᲝᲙᲠᲔᲑᲘᲚᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲡᲛᲔᲜᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲮᲘᲚᲕᲔᲚᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲡᲐᲓᲦᲐᲪ ᲦᲔᲑᲡᲐ და ᲩᲕᲔᲨᲝᲡ, ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲡ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲩᲐᲕᲚᲘᲚᲘ ᲑᲔᲠᲘᲙᲐᲪᲗᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲛᲭᲔᲓᲔᲚ-ᲨᲔᲒᲘᲠᲓᲡ – ᲪᲐᲪᲝᲡ ᲛᲔᲖᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲢᲧᲝᲑᲓᲜᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲗᲮᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ ᲐᲪᲘᲠᲔᲑᲓᲐ, ᲗᲕᲐᲚᲖᲔ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲪᲠᲔᲛᲚᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲜᲘ ᲔᲕᲔᲓᲠᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐᲛᲔ ᲒᲐᲘᲮᲡᲔᲜᲔᲗ და ᲘᲡᲘᲪ ᲖᲝᲒᲡ ᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑᲓᲐ და ᲖᲝᲒᲡᲐᲪ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲗᲮᲖᲐᲕᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲡᲝᲤᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲐᲓ. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲘᲗ ᲮᲝᲛ ᲔᲠᲗᲝᲑᲝᲓᲜᲔᲜ და ᲨᲝᲠᲡ ᲠᲐᲭᲐᲨᲘ ᲛᲘᲢᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲜᲐᲮᲕᲘᲡ ᲡᲣᲠᲕᲘᲚᲡᲐᲪ ᲘᲙᲚᲐᲕᲓᲜᲔᲜ.

ᲛᲖᲘᲡᲐᲡ ᲡᲐᲜᲐᲮᲨᲝᲖᲔ ᲐᲛᲒᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲐ-ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ ᲠᲝᲛ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠᲛᲔ ᲒᲐᲜᲛᲔᲝᲠᲓᲐ, ᲕᲘᲦᲐᲪᲐᲡ ᲐᲖᲠᲐᲓ ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ, ᲐᲡᲔᲗ ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢ-ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢ ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚᲝ ᲗᲮᲠᲝᲑᲐᲡ ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲯᲝᲑᲔᲑᲓᲐ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ „ᲡᲘᲣᲟᲔᲢᲘ“ ᲔᲠᲗ ᲛᲗᲚᲘᲐᲜ ᲐᲛᲑᲐᲓ ᲒᲐᲒᲙᲔᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲜᲐ და ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ ᲗᲐᲜᲐᲡᲝᲤᲚᲔᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲖᲔᲓᲒᲘᲜᲐᲝ.

ᲔᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲣᲛᲔᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲛᲝᲔᲬᲝᲜᲐ. ᲐᲛᲐᲖᲔ ᲐᲠᲪ ᲪᲐᲪᲝᲡ და ᲐᲠᲪ ᲛᲡᲒᲐᲕᲡ ᲒᲐᲠᲗᲝᲑᲐᲖᲔ ᲓᲐᲮᲐᲠᲑᲔᲑᲣᲚ ᲛᲖᲘᲡᲔᲚ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲡᲢᲔᲑᲡ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲗ ᲣᲐᲠᲘ. ᲛᲔᲠᲔ „ᲐᲛᲑᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘᲪ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲜᲔᲜ. ᲪᲐᲪᲝᲛ და ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚᲝᲓ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲙᲘᲚᲛᲐ „ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲛᲐ“ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲚᲣᲑᲨᲘ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ რამდენიმე რეპეტიციაც გაიარეს, „ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲪ“ დაიზეპირეს და ᲑᲝᲚᲝᲡ ᲔᲠᲗ საღამოს მათ მიერ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ „ᲞᲘᲔᲡᲘᲡ“ მიხედვით სოფელის სცენაზე მხიარული „თეატრალური“ დადგმა განახორციელეს.

ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲐᲠᲪ „ᲞᲘᲔᲡᲐ“ და ᲐᲠᲪ „ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ“ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲘᲠᲩᲔᲝᲓᲐ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘᲪ ᲘᲧᲝ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ

მზისელ მოყვარულ თეატრალებს, თუ არ ვცდები, მაშინ ნამდვილი თეატრი და პროფესიონალ მსახიობთა მიერ შესრულებული როლები საერთოდ არ ენახათ. მიუხედავად ამისა, მათ ქართულ გარემოს მოწყვეტილ, სადღაც ჩრდილოეთში, საქართველოდან შორს, პირიქითა საქართველოში მცხოვრებ ქართველობას ერთი ლამაზი, მხიარული საღამო მაინც აჩუქეს.

ამ წამოწყებით წათამამებულებს სურვილი გაუჩნდათ, რომელიმე დრამატურგის პიესა შეერჩიათ და მისი დადგმა შედარებით მაღალ „პროფესიულ" დონეზე განეხორციელებინათ. თეატრალურმა აქტივმა თავიანთი თანატოლები: ყაითო ლობჯანიძე, ვალიკო გავაშელიშვილი, ბადრი ლობჯანიძე, ფრანგი გავაშელიშვილი, რაუიკო ლობჯანიძე, იური გობეჯიშვილი, აგრეთვე, ფუცია ჩაგელიშვილი, ნასტია და თამარ ლობჯანიძეები შეიამხანაგეს და მათთან ერთად კიდევ რამდენიმე ქალ-ვაჟი სოფლის კლუბში შეკრიბეს. მათ შორის ვიღაცამ „რეჟისორობა" იკისრა და ხანგრძლივი რეპეტიციების შემდეგ სოფელს სცენაზე „ხევისბერი გოჩა" დადგეს.

მზისელებისაგან ტაში და ქათინაურები რომ მოისმინეს, გაბედეს და თავიანთი „ხელოვნება" სულიერ საზრდოს მზისელებზე არანაკლებ დანატრებულ, მეზობელ სოფელ ზედა თებერდაში მცხოვრებ ჭიორლებს და გლოველებს უჩვენეს. იქაც კმაყოფილი დარჩნენ ფიზიკური შრომით გადაღლილი, მეზობელი სოფლის გლეხკაცები.

ამ სტრიქონებს თუ ვინმეს წაკითხვა ეღირსა, არ არის გამორიცხული, ზოგმა გაკვირვება ვერ დაფაროს, სოფლის არაპროფესიონალთა მიერ განხორიციელებული თეატრალური დადგმა აბა ვის უნდა მოსწონებოდაო. საქმე ის გახლავთ, რომ შემსრულებლების მსგავსად, მაყურებელიც, ასევე, ნაკლებმომთხოვნი გახლდნენ. ჩემი აზრით, მთავარი მაინც ის იყო, რომ ადამიანებს სურვილი ჰქონდათ, სულიერი მოთხოვნილებები ასე თუ ისე დაეკმაყოფილებინათ. სხვათა შორის, ხევისბერის როლის შესრულების შემდეგ, თანასოფლელები, ცაცოს, ნამდვილ სახელთან ერთად, გოჩასაც ეძახდნენ, რაც მას ძალიან სიამოვნებდა და ეამაყებოდა.

ცაცო მომხიბლავი გარეგნობის ვაჟკაცი იყო და, უნდა ითქვას, ჯანიც მისი აღნაგობის შესატყვისი მოსდევდა. ვფიქრობ, თავის დროზე რომ შესაფერისი პირობები ჰქონდა, სათანადო სპორტული წვრთნა გაევლო და ბოლომდე ამ გზას გაჰყოლოდა, ალბათ, სპორტის არაერთ სახეობაში გამოიჩენდა ნიჭს და სახელსაც საქვეყნოდ დაიგდებდა. ისე კი საზოგადოდ თუ ვიტყვით, ვინ იცის, ღმერთმა რამდენს მიმადლა ნიჭი, მაგრამ რამდენმა დროულად ვერ იგრძნო ეს და სათანადოდ ვერ გამოიყენა. ზოგიერთმა კი, შეიძლება იგრძნო, მაგრამ ბედმა სულ სხვა მიმართულებით წარმართა მისი ცხოვრება და მასში დავანებულმა ნიჭმა გაფურჩქვნა ვერ ჰპოვა. ამის გამო ქვეყანამ, ალბათ, არაერთი დიდი სპორტული შესაძლებლობის მქონე პიროვნება დაკარგა სახელმოუხვეჭლად. მათ შორის, ცაცო გობეჯიშვილიც. თუმცა, ბედისწერას ვინ გაქცევია, რომ ცაცო მჭედელი გაქცეოდა. არადა,

მას ნამდვილად ჰქონდა სპორტული ნიჭი და მონაცემები. ამის დასადასტურებლად რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ.

...იმ შემოდგომაზე ხორბლის უხვი მოსავლით კმაყოფილი მზისელი ქალი და კაცი საკოლმეურნეო კალოზე ტრიალებდა. ტომრებს ხორბლით ავსებდნენ, მანქანებზე უდებდნენ და საკოლმეურნეო საწყობისკენ ეზიდებოდნენ.

სოფლის სამჭედლოში საქმის ცეცხლი ერთგვარად განელებული იყო. წლის ნაშრომი მოსავლის დაბინავებას მთელი ძალების მობილიზაცია სჭირდებოდა. ამ დროს სოფელში დიდიც და პატარაც მინდორში იყო გაკრეფილი, ან კალოზე ტრიალებდა. მჭედლებსაც სამჭედლო მიეტოვებინათ და თანასოფლელებს მოსავლის დროულად დაბინავებაში ეხმარებოდნენ.

მეკალოე ქალები ხორბლის ხვავთან ტრიალებდნენ და ტომრებს ავსებდნენ. ვიღაცას საგანგებოდ თუ შემთხვევით საიდანღაც ერთი უზარმაზარი საცალო მოეტანა. მეკალოეებმა, ის საცალო, ჩვეულებრივ, ხორბლით ააავსეს. ორმა კაცმა მისი მანქანის ძარაზე შეგდება მოინდომა, მაგრამ ვერ შესძლო.

მოგვიანებით სოფელში ყვებოდნენ: ცაცო მჭედელმა თქვა, მაგ საცალოს ზურგზე თუ ამკიდებთ, კალოდან მანქანამდე მარტო მივიტანო. არ დაუჯერეს. ორმა კაცმა ადგილიდან ვერ დასძრა, შენ რომელი ყარამან ყანთელი ხარ მანქანამდე მისი მიტანა რომ შესძლოო.

ცაცომ თავისი არ დაიშალა, არ ვიცი, იმიტომ, რომ სიტყვის გატეხის შერცხვა, თუ თავის იმედი ნამდვილად ჰქონდა და სურდა, თანასოფლელებისთვის დაემტკიცებინა, რომ რაც თქვა, იმის ასრულება შეეძლო კიდევაც. იქნებ ერთიც იყო და მეორეც.

მაშინ კალოზე მყოფთაგან ყველამ თავი იქ მოიყარა, სადაც ეს გამოცდა უნდა შემდგარიყო. რამდენიმე კაცმა მჭედელს ტვირთი ზურგზე აჰკიდა.

ძალიან გაუჭირდა, მაგრამ ხორბლით სავსე ის უხეირო საცალო მაინც მიიტანა მანქანამდე.

ყველას ძალიან გაუკვირდა. იცოდნენ მზისელებმა, რომ ცაცოს ჯანი არ აკლდა, მაგრამ ბევრს ეეჭვებოდა, თუ ამდენი შეეძლო. სოფელი ახლა იმან დააინტერესა, საცალოში რამდენი ფუთი ხორბალი ეყარა.

აწონეს.

ამის დამსწრენი მოგვიანებით სხვადასხვანაირად ყვებოდნენ: ერთნი ამბობდნენ, ხორბლით სავსე საცალო რვა ფუთს იწონიდაო, სხვები თორმეტს ასახელებდნენ. ახლა ძნელია იმის თქმა, მართლა რვა ფუთი იყო, თუ თორმეტი, მაგრამ, ვფიქრობ, უვარჯიშებელი კაცისათვის თუნდაც რვა ფუთის აწევაც დიდი ვაჟკაცობაა.

კიდევ ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო, რომელსაც მე თვითონ შევესწარი.

კვირა დღე იყო. მზიანი და მშვიდი ამინდი იდგა. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ მზისაში, სოფლის წყაროსთან, სანახშოზე, ხალხს თავი მოეყარა და მშვიდად მასლაათობდნენ. შუადღისას რაიონის მხრიდან კურორტ თებერდისკენ მიმავალმა ხალხით გაჭედილმა სატვირთო მანქანამ ამოიარა და წყაროსთან გაჩერდა. გზა ზედ სოფელზე გადიოდა და ისე ძვირად აივლიდა ან ჩაივლიდა მანქანა, რომ რამდენიმე წუთით წყაროსთან არ გაჩერებულიყო და მგზავრები მთის ცივი წყაროს წყლით არ გაგრილებულიყვნენ. არც ამჯერად დარღვეულა ეს ტრადიცია.

შოფერს რაღაც საქმე გამოუჩნდა, მგონი, მანქანაში მცირეოდენი უწესრიგობა იყო გასასწორებელი და ჩანდა, რომ ნავარაუდევზე ბევრად მეტ ხანს მოუწევდა გაჩერება. ეს მგზავრებმაც იგრძნეს და ძარადან ყველანი ძირს ჩამოვიდნენ. მათში ზედა თებერდაში მცხოვრები ალი ბაინცუზოვიც ერია.

ეს ალი ბაინცუზოვი მხარბეჭიანი, საშუალოზე მაღალი, მაშინ ასე ოცდაათი-ოცდათორმეტი წლის კაცი იქნებოდა. ჩვენ ყარაჩაელს ვეძახდით, თვითონ კი ამბობდა, აფხაზი ვარო. სპორტის ყველა სახეობის დიდი მოყვარული გახლდათ, მაგრამ განსაკუთრებით ცხენოსნობაზე იყო გადაგებული. მხოლოდ ეს იყო, საკუთარ თავზე იმაზე ბევრად დიდი წარმოდგენა ჰქონდა, ვიდრე სინამდვილეში იყო და კიდევ; ვერ წარმოედგინა, თუ ვინმე სპორტის რომელიმე სახეობაში დაჯაბნიდა. ამასთანავე, ყოველგვარ მცირეოდენ მარცხსაც კი მტკივნეულად განიცდიდა და დამმარცხებელი მოსისხლე მტრად მიაჩნდა.

მზისელებიც და ზედა თებერდელებიც ყველანი ერთხმად იხსენებდნენ მის გადაჭარბებულ ტრაბახს ცხენოსნობაში ვითომდა სწორუპოვარ წარმატებებზე, ჭიდაობაში – ბეჭდაუდებელ ფალავნობაზე, სიმძიმის აწევაში – უჩვეულო ძალასა თუ ქვის გდებაში ყველა მოწინააღმდეგის ადვილად დამარცხებაზე. ცხადია, ბევრს არ სჯეროდა მისი მონაყოლის, მაგრამ, როცა საუბრობდა, მაინც მოთმინებით უსმენდნენ მშვიდი რაჭველები, რომლებიც, ალბათ, ასე ფიქრობდნენ, დაე, ილაპარაკოს, ნისკარტი ხომ არ გაუცვდება. ენას ძვალი არა აქვს და ყალბი თავის ქებით ქვეყანა არ დაიქცევაო.

მზისას წყაროსთან ერთი დიდი ქვა ეგდო. სოფლელებმა გადაწყვიტეს, მოდი, ვნახოთ, გამოვცადოთ, ალი ამ ქვის აწევას თუ შესძლებსო. ზედმეტად პატივმოყვარე ალის მიაჩნდა, რომ ქვეყანაზე ნაკლებად იყო ისეთი რამ, რისი გაკეთება მას არ შეეძლო. მაგრამ მზისელებმა ისიც იცოდნენ, პირდაპირ რომ ეთქვათ, ამ ქვას ხომ არ ასწევო, შეიძლება ასეთ გამოცდაზე არ დათანხმებულიყო. არადა, მათ გულით ეწადათ ამ კაცის გამოცდა, სინამდვიელში რისი შემძლე იყო.

უნდა ითქვას, რომ ღებსა და მზისაში მცხოვრებ ღებელებს ზოგჯერ საკმაოდ უხეირო ხუმრობაც სჩვეოდათ. როცა საჭიროდ მიიჩნევდნენ, ისეთ

გულუბრყვილო სახეს მიიღებდნენ, უცხოს თავს სულ ადვილად მოაჩვენებდნენ მიამიტ, უტუ, არაფრისმცოდნე ადამიანებად. როცა უცხო ამას ირწმუნებდა და გულწრფელად იფიქრებდა, მოდი, ამ მივარდნილ მთის სოფელში მცხოვრებ ხალხს, ქვეყანაზე ალბათ, თავიანთი მთების, ტყისა და მდინარის მეტი თავის დღეში არაფერი უნახავს. მცირეოდენ მაინც გავათვითცნობიერებო, სწორედ მაშინ ღებელების ეს „გამათვითცნობიერებელი“ უხერხულ მდგომარეობაში ხშირად თვითონ ვარდებოდა, რადგან ეს ჩვენი ღებელები არც ისე გულუბრყვილოები და გაუთვიცნობიერებლები იყვნენ, როგორც ერთი შეხედვით, ჩანდნენ. გულუბრყვილოები და გაუთვიცნობიერებლები კი არადა, ლამის ნახევარი მსოფლიო ჰქონდათ მოვლილი..

ყვებიან. ერთხელ, თურმე, ონის მილიციის ახალი უფროსი ცხენით ასულა ღებში. სანახშოზე შეკრებილებმა უმალ აუღეს ალღო, რომ მილიციის ეს ახალი უფროსი მტკივნეულად თავმოყვარე კაცი ჩანდა და თან ღებელებს ზემოდან დაჰყურებდა.

ღებელებმა თურმე მისი გამასხარავება გადაწყვიტეს. როცა მილიციის უფროსი მათთან ახლოს მივიდა, მის გასაგონად ერთმანეთს საუბარი გაუბეს: ეს ჩვენი მილიციის ახალი უფროსი ბრწყინვალე ვაჟკაცი ჩანს. ცხენიც კარგი ჰყავს და მხედარიც არანაკლები უნდა იყოს, მაგრამ თავის წინამორბედ მილიციის უფროსს მაინც ვერ შეედრებაო.

თურმე მისი წინამორბედი მილიციის უფროსი, მართლაც, კარგი ვაჟკაცი ყოფილა.

ჯერ იმით გულდაწყვეტილმა მილიციის ახალმა უფროსმა, რომ მის წინამორბედს მასზე უკეთესი ცხენოსნის სახელი ჰქონდა დავარდნილი ამ სოფელში, მერე თავისი ხელოვნების ჩვენების სურვილით შეპყრობილი გლეხკაცების საუბარში ჩაერია და ერთგვარად შეურაცხყოფილმა იკითხა, ის ჩემი წინამორბედი მილიციის უფროსი ისეთს რას აკეთებდა, მისი გაკეთება მე ვერ შევძლოო.

ღებელები ერთხანს ვითომ არ უმხელდნენ მილიციის უფროსის „უბადლო“ ცხენოსნობის ამბავს, რითაც კიდევ უფრო ჩააგდეს იგი ინტერესში. ბოლოს, რადგან აღარ მოეშვა, უთხრეს, ის ცხენზე უკუღმა შეჯდებოდა და აქედან ჭიორის ჭალის ბოლომდე სულ ჭენებით ჩადიოდაო. თავის გამოჩენის სურვილით გაბრიყვებული მილიციის ახალი უფროსი თურმე არც დაფიქრებულა ისე უთქვამს, მაგას მეც ვიზამო.

ვერ იზამო. კიდევ უფრო რომ გაეღიზიანებიათ, შედავებიან ღებელები.

გაბრიყვებულა და „უქნია“, მაგრამ ცხენის უკუღმა ჭენებით თავის გამოჩენა კინაღამ სიცოცხლის ფასად დაჯდომია.

ზოგჯერ ასეთი უშნო ხუმრობის მოყვარულმა მზისელმა ღებელებმა გადაწყვიტეს, ალისთვისაც მსგავსი ოინი ექნათ. ამაში თითქოს შემთხვევაც

ახალგაზრდების ერთი ჯგუფი. (მარცხნიდან მარჯვნივ) დგანან: ომარ, ოთარი, შალვა, გურამი და გოგი ლობჯანიძეები. სხედან: იმედა გავაშელი, გოგი გავაშელი, გოგი ოზაშვილი.

ხელს უწყობდათ: მძღოლს ზომაზე მეტად გაუჭიანურდა მანქანის გაფუჭებული ნაწილის გამოცვლა.

ალის გასაღიზიანებელ-წასაქეზებლად რამდენიმე ახალგაზრდა იმ ქვასთან ახლოს მივიდა და განგებ ძიძგილაობა დაუწყეს. თუმცა, მშვენივრად იცოდნენ, ისინი მას ადგილიდან ვერ დასძრავდნენ.

ალიმ ერთხანს შორიდან უცქირა ახალგაზრდების ამაო წვალებას და ბოლოს მაინც წამოეგო მისთვის საგანგებოდ დაგებულ ანკესზე.

– ნუ ჩტო, ნე სმოგლი პადნიატ, და. – ჰკითხა ბიჭებს მიახლოებულმა ალიმ და შეკრებილებს თვალი ამაყად გადაავლო, ვითომ ეგ როგორ დაგემართათ, ეს ქვა რა ისეთი დიდი და მძიმეა, რომ მისი აწევა ასე გაგიჭირდათო. გარეგნულად ის ქვა, მართლაც, არ ჩანდა, არც ისე ძალიან დიდი და არც ძნელად ასაწევი.

– ნეტ, ნე მოჟემ. – იმავე კილოზე მორჩილად მიუგეს ქვასთან მოჩალიჩე ღებელ-მზისელმა ახალგაზრდებმა.

ნიჩეგო, ვი ეშჩო მალინკიე ი სლაბიე. – სცადა ვითომ მათი დამშვიდება ალიმ.

ალიმ ქვას გარს შემოუარა. ეტყობოდა, ხელის მარჯვე მოსაკიდ ადგილს ეძებდა, რომ ადვილად აეწია და მზისელებისთვის თავისი ძალა ეჩვენებინა.

განზრახვას მიუხვდნენ ეშმაკობაში საკმაოდ გამოჭეკილი ღებელები და თავის გამოჩენის სურვილით აღგზნებულს ცეცხლი კიდევ უფრო მეტად შეუნთეს.

– მიდი ალიმა, ამ ქვას შენს მეტი ქვეყანაზე ვერავინ ასწევს. – წააქეზა სერგია გავაშელიშვილმა.

– მიდი, ალი, მიდი! – სერგიას მხარი სხვა უფროსმა კაცებმაც აუბეს. ალი არც თანაგრძნობის გარეშე აპირებდა უკან დახევას, მაგრამ მაყურებელთა წაქეზება კიდევ უფრო იძულებულს ხდიდა, თავი არ შეერცხვინა.

დაიხარა.

ქვას ორივე ხელი შემოხვია. რამდენიმეჯერ დაეჯაჯგურა, მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრა. ამას არ მოელოდა, მაგრამ მაინც არ მოეშვა. ხან ასე სცადა მისი აწევა, ხან ისე, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ბოლოს, ცალ მუხლზე დაიჩოქა და ქვემოდან შეხედა, თითქოს ეეჭვებოდა, რამით დაბმული ხომ არ არისო. ცხადია, მის ეჭვებს არავითარი საფუძველი არ ჰქონდა. ქვას ერთხანს თავი მიანება, წელში გაიმართა, და მის საქვეყნოდ შემარცხვენელ ლოდს კარგა ხანს უხმოდ დასცქეროდა. არ ვიცი, იქნებ გულში კიდეც ნანობდა, ამ საქმეში რად ჩავერიე, ან ეს ოხერი მანქანა მაინცდამაინც აქ რამ გააფუჭა. ასე რომ არ მომხდარიყო, ამ წყეულ ქვასთან შებმა არ მომიხდებოდა და ვერც ამოდენი ხალხი იხილავდა ჩემს შერცხვენა-გაწბილებასო.

– ტიაჟოლი, მძიმეა, ჩორტ ვაზმი! – წყენით ჩაურუსულ-ქართულა, რაც იმასაც ნიშნავდა, მე თუ ვერ ავწიე, ვერც სხვა ვინმე ასწევსო. იმ სხვებში ცაცო მჭედელიც ერია. იგი შეკრებილებთან ერთად უხმოდ დასცქეროდა ქვას. ეტყობოდა, ერთი სული ჰქონდა, თვითონაც ეცადა, სოფლის სანახშოზე დაგდებული ლოდის აწევა. გუნებაში წონიდა იმ ქვის სიმძიმესაც და თავის შესაძლებლობაც, მაგრამ ორთაბრძოლაში ჩაბმას ჯერ ვერ ბედავდა, შესაძლო გაწბილების შიშით, აქაოდა, არ შევრცხვეო.

ცაცოს თითქოს სურვილს მიუხვდნენ და გასამხნევებლად შეუძახეს:

– მიდი, ცაცო, ერთი შენც სცადე, იქნებ ასწიო კიდეც.

– ალიმ რომ ვერ ასწია?... – უკეთესი პასუხი ვერ იპოვა და რაც ენაზე მოადგა იმით იმართლა თავი.

– შე კაცო, ალი ყოვლისშემძლე ხომ არ არის. მან ვერ ასწია, მაგრამ იქნებ შენ ასწიო. და თუ ვერ ასწევ, არც ამით დაიქცევა ქვეყანა... ამის გულისთვის, არც არავინ დაგსჯის და არც ეპოლეტებს ჩამოგხსნიან. არც შენს მჭედლობას დაემუქრება რამე საშიშროება! – აშკარა წყენითა და საყვედურით უთხრა მალაქია ლობჯანიძემ (ალუკეეთი), რომელიც, როგორც ამბობდნენ, ახალგაზრდობაში გვარიანი ჯანის პატრონი იყო და, მიუხედავად მხცოვანი ასაკისა, ძალ-ღონე არც იმუამად აკლდა. ეტყობოდა, მასაც და სხვებსაც ძალიან უნდოდათ ცაცოს ეს ქვა აეწია და ალი დაეჯაბნა. მალაქიას მკვეხარა და ყველას მჯობნის მოსურნე ადამიანები

არ უყვარდა. ალი სწორედ ასეთად მიაჩნდა და გულით, სურდა, იხტიბარგატეხილი ენახა.

ამასობაში ვინც კი იქ იყო, ყველამ თავი იმ ქვასთან მოიყარა. ცაცო ადგილიდან მძიმედ დაიძრა და ქვას მიუახლოვდა.

– ტი ჩტო, ხოჩიშ, რომ ასწიო?! – აგდებულად ჰკითხა ალიმ რუსულქართულად. მას მუდამ ასეთი, ორ ენაზე არეული საუბარი სჩვეოდა. ეტყობოდა, გულში ეშინოდა, ცაცოს ის ქვა არ აეწია და ამით საქვეყნოდ არ შეერცხვინა, მაგრამ ცაცომ, ვითომც მისი ნათქვამი არ გაუგონიაო, ყურადღება არ მიექცია. ქვაზე ნელა დაიხარა და ორი მხრიდან ხელები შემოაჭდო.

ალი და, ცხადია, ყველა იქ მყოფი, ხან ქვას უცქეროდნენ, ხან ცაცოს, ერთხანს ქვაც ადგილზე იყო და ცაცოც, მასზე დახრილი, ისე გარინდებულიყო, თითქოს ზედა აეკრა და ვეღარ სცილდებაო.

ბოლოს ქვა ნელ-ნელა შეინძრა და მიწას მოწყდა.

ხალხი აჩოჩქოლდა, ახმურდა. მიდი, ცაცო, მიდიო, შესძახოდნენ აქეთიქიდან. აქეზებდნენ, მაგრამ ცაცოს წაქეზება არ სჭირდებოდა. რაკი ლოდი ადგილიდან დასძრა და ძირს ქარიც გაუტარა, მერე აღარ მოეშვა, სანამ მუხლებამდე არ აიტანა.

ერთხანს ასე იდგა გაყუჩებული, თითქოს არ იცოდა, რა უნდა ექნა ხელებშუა მოქცეული იმ ვეება ქვისათვის. თვალებში სისხლი მოსწოლოდა და არც კუნთებს და ძარღვებს ადგა უკეთესი დღე. ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა, ქვის მეტ ხანს ხელში დაჭერის აღარც ძალა ჰქონდა და ეს არც საჭირო იყო.

ფეხები განზე გასწია, ზედ რომ არ დასცემოდა და ქვას ხელი გაუშვა.

იგი მძიმედ დაენარცხა მიწაზე და იმ ადგილზე მიწა შეირყა.

თანასოფლელებს კმაყოფილების შეძახილები აღმოხდათ და მისი გამარჯვებით გახარებულები აბმაურდნენ.

ცაცოს გამარჯვებამ აშკარად გაანწყენა ალი ბაინცუზოვი. ბრაზით და გამწარებით ხელახლა შეეჭიდა ქვას, მაგრამ ძვრა ვერც ამჯერად უყო, რამაც უზომოდ გააღიზიანა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, გასაღიზიანებელი არაფერი იყო. ღვთის საუფლოში, იმავე ღვთის ნებით, ეს ქვეყანა ისეა მოწყობილი, როგორც ხალხი ამბობს, მჯობნის მჯობნი არ დაილევა. ცაცომ ალის აჯობა. მას სხვა აჯობებდა და ასე შემდეგ, მაგრამ, როგორც ჩანდა, ალიმ ეს სიბრძნე არ იცოდა. თითქოს გამარჯვებაში მისთვის ხელი მზისელებს შეეშალოთ, უზომოდ ნაწყენმა და გაღიზიანებულმა დატოვა სოფელი.

მიუხედავად დიდი ფიზიკური ძალისა, სოფელში არავის ახსოვს, რომ ცაცო მჭედელს ვინმესთვის ხმამაღალი, ან უდიერი სიტყვა ეთქვა და ან თავისი უპირატესობა ღიად გაემჟღავნებინა. უმეტეს შემთხვევაში, ვინმეს უდიერ ნათქვამსა და მოქმედებაზე ცაცოს პასუხი ყველას მიმართ მიმტევებლური, კეთილი ღიმილი იყო.

იქნებ ამის თქმა საჭიროც არ იყოს, მაგრამ ურწმუნოთა გასაგონად მაინც ვიტყვი: არც ამ შემთხვევაში და არც ჩანაწერების სხვა ადგილას სინამდვილისთვის მისხალითაც არასდროს მიღალატნია. ვწერ იმას და იმაზე, რაც ჩემი თვალით მინახავს, ხოლო ზოგიერთი, აქ მოტანილი სხვათა ნაამბობი მუდამ გულდასმით გადამიმოწმებია. ასე რომ ყველაფერი სარწმუნოა, რასაც ვწერ და ვის შესახებ რამეს ვიხსენებ...

რაც შეეხება ცაცოს, როგორც უკვე ვთქვით, მას ყოველგვარი საგლეხკაცო საქმე ეხერხებოდა. მაგრამ ბოლომდე მჭედლობის ერთგული დარჩა.

აქ ერთი რამეც მინდა უთუოდ ვთქვა, რაც იმ დროის მოთხოვნა და ცაცო მჭედლის ადამიანური თვისება გახლდათ. ეს თვისება და ამ ადამიანის ცხოვრების ერთგვარი კრედო დღეს ბევრს არაბუნებრივად და, უფრო მეტიც, შეიძლება სიბრიყვედაც მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილე მაინც სინამდვილედ რჩება; ხომ იმდენ ხანს იმუშავა ცაცომ მჭედლად და ვერავინ იტყვის, რომ ვინმესგან ხელობის თუ დახმარების საფასური აეღო. იგი სოფლის მჭედელი იყო და ყოველდღიური საქმიანობისათვის კოლმეურნეობიდან შრომადღე ეწერებოდა, რითაც, არსებული წესის მიხედვით, შრომა უნაზღაურდებოდა, მაგრამ დღე ისე როგორ გაივლიდა, ვინმეს პირადი საჭიროებისთვის ზედმეტად არ დაესაქმა იგი. ამისთვის ნაცნობი თუ უცნობი კეთილ მადლობას თუ ეტყოდა, ის ამითაც კმაყოფილი იყო. მოგეხსენებათ, ახლა ასეთი ხალხი სანთლით საძებარია, ან, შეიძლება, საერთოდ აღარ არსებობდნენ. დღეს ადამიანის ყოველი ნამოქმედარი ფულით იზომება. თუმცა, ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ვერც ფულს შოულობს და მოყვასისადმი უანგარო დახმარების გრძნობაც დავკარგეთ და დაგვიჩლუნგდა.

ცაცო მჭედელი, ამ ოცდაათი წლის წინათ ორმოცდაათს ოდნავ გადაცილებული, კახეთში, დედოფლის წყაროს რაიონის სოფელ მირზაანში გარდაიცვალა.

მისი გარდაცვალების შემდეგ ერთმა იქაურმა გლეხკაცმა ცაცოს ნაცვლად მჭედლად მომუშავე თანასოფლელს ცული მიუტანა და სთხოვა, გამომიკვერეო.

ახალმა მჭედელმა ცული ხელში შეატრიალ-შემოატრიალა და პატრონს უთხრა, ამის გამოკვერვას ამდენი და ამდენი მანეთი დასჭირდებაო.

იმ გლეხისთვის (და არც სხვებისთვის) მსგავსი სამუშაოსთვის საფასური ცაცო მჭედელს არასდროს მოუთხოვია, ამიტომ იმ გლეხკაცს ეს ამბავი ძალიან ეუცხოვა და საკმაოდ გაღიზიანებულმა იკითხა, ცაცო მჭედელი რომ ასეთ რამეებში ფულს არავის ახდევინებდა, განა მისი შრომა მაშინ ფული არ ღირდა, თუ როგორ იყოო.

ცაცო მჭედელი როგორ იქცეოდა, ან მის დროს რა წესი და რიგი მოქმედებდა, ეგ მე არ მეხება და არც ვკითხულობ. ახლა კი ეს ასეა. გინდა

საფასური გადაიხადე, არადა, ეგ შენი ცული, როგორც მოგიტანია, ისევ ისე უკან წაიღეო. უკმეხად უთხრა ახალმა მჭედელმა მეზობელ გლეხკაცს.

ცულის პატრონმა უკმაყოფილოდ შეხედა იმ მჭედელს და კახური პირდაპირობით მიახალა, აფსუსი არ არის, ის ღვთისნიერი კაცი მიწაში იწვეს და მის დანატოვარ სამჭედლოში შენისთანა ვიგინდარები მჭედლობდნენო. გამობრუნდა და შინ ჯავრით გულგასიებული წავიდა.

მაშინ რა იცოდა იმ ალალ-მართალმა კახელმა გლეხკაცმა, რომ ამქვეყანად ადამიანთა სხვა, ახლებური ურთიერთობის, საქმიანობის და აღებ-მიცემობის ხანა დგებოდა, სადაც კაცთა შორის ყოველგვარი საქმიანი ურთიერთობები ფულით აიწყვებოდა და გაიზომებოდა. ამ ახალ დროში ცაცო მჭედელივით არავინ განიკითხავდა ცხოვრებისაგან უზომოდ შეჭირვებულ ნაცნობს თუ უცნობს. სხვათა გასაჭირის გულთან მიმტანი ცაცოების ნაცვლად ახლა უკვე პრაგმატული, გულცივი, შეუბრალებელი და ანგარიშიანი ცხოვრება მოდიოდა. მას თან მისივე მსგავსი პირმშო თაობა მოჰყვებოდა, რომელიც ყველაფერ ძველს გულგრილად გადააფასებდა და ერთადერთ მბრძანებელ ბომონს – ოქროს დაემორჩილებოდა და ანგარიშს გაუწევდა. ოქროს, რომელზეც ოცდაექვსი საუკუნის წინათ თქვა სოფოკლემ, კაცობრიობას ოქროზე დიდი მტერი არ მოვლენიაო. ალბათ... არ ცდებოდა ის სულკურთხეული დიდი ბერძენი. თუმცა, ცხოვრება ცხოვრებაა და ის ყველა დროში მისგან დადგენილ უშეღავათო, ულმობელ პირობებს კარნახობს ადამიანებს. წუთისოფელი კი ავი დედინაცვალია, რომელიც მხოლოდ ერთეულებს ანებივრებს. უმეტესობისთვის კატორღულ შრომას იმეტებს და მათაც და სხვათაც წინ, გაურკვევლობისაკენ ეკლიანი მათრახის ცემით მიერეკება მანამ, სანამ სამარის კარამდე არ მიიყვანს.

ურჩი

ეს სიტყვა სულაც არ არის ვინმეს შეურაცხმყოფელი. პირიქით. მე თუ მკითხავთ, ურჩობა ნიჭიერი, ინიციატივიანი, შემოქმედი კაცის თვისებაა, ვისაც მიზანი აქვს, საკუთარი შესაძლებლობის სჯერა და ძალაც შესწევს მის განსახორციელებლად. ამ დროს ვიღაც-ვიღაცები ხელს უშლიან, ის კი არავის ეპუება, რადგან იცის, რომ მართალია და უთუოდ გაიმარჯვებს. ყოველ შემთხვევაში, ამ სიტყვას ეს აზრი და დატვირთვა აქვს ჩემს მონათხრობში.

შეიძლება, ვცდებოდე, მაგრამ მიმაჩნია, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან, გარეგნობის გარდა, ღვთით ბოძებული ნიჭითა და ამ ნიჭის წყალობით, მათ მიერ გაკეთებული დიდი თუ მცირე საქმეებითაც განსხვავდებიან.

ეს მოსაზრება, ასე თუ ისე, აკაკი ლობჯანიძესაც (ნაშოენთი) მეტ-ნაკლებად მიესადაგება. მეტ-ნაკლებად იმიტომ, რომ, რამდენადაც ვიცნობდი, მას ნამდვილად ჰქონდა უფლისაგან მომადლებული ნიჭი. თუმცა, ვფიქრობ, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო, მან ამ ნიჭის სრულად რეალიზება ვერ შეძლო. თორემ ეს რომ მოეხერხებინა, შეიძლება სახელი საქვეყნოდ მოეხვეჭა და თავისი შესაძლებლობები მცირე საქმის კეთებაში არ გაეხარჯა. მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი სურვილი და ვარაუდია. თუმცა, ასე რატომაც მგონია, ამის დასადასტურებლად რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ. იქნება მან უფრო ნათლად წარმოაჩინოს ჩემი მოსაზრება, ან მავანთა და მავანთა თვალში იგი, შეიძლება, სულაც საეჭვო გახადოს, ვინაიდან, რაც მე სიმართლე მგონია, არ არის გამორიცხული, ის ზოგისთვის მიუღებელი აღმოჩნდეს. ეს არც არის გასაკვირი. თითოეული ადამიანი ინდივიდია და ყოველი საგნის და მოვლენის მიმართ მისი ხედვაც ინდივიდუალურია.

მზისაში ჩასახლებისას აკაკი ლობჯანიძე ასე 16-17 წლისა თუ იქნებოდა. არ ვიცი, ამ დროს ჰქონდა თუ არა, მექანიზაციისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება და ამის გამო თვითონ მოითხოვა, ამ საქმის შემსწავლელ კურსებზე გაეგზავნათ, თუ ეს საკითხი, როგორც მაშინ ხშირად ხდებოდა, რაიონში გადაწყვიტეს – მზისას კოლმეურნეობიდან რომელიმე ახალგაზრდა გაეგზავნათ კურსებზე და არჩევანი, სრულიად შემთხვევით, აკაკი ლობჯანიძეზე შეაჩერეს. ასე იყო თუ ისე, აკაკი კურსებზე მიავლინეს. აქ თავი როგორ გამოიჩინა, ეს ტექნიკუმის დირექციის მიერ მათი კურს-

დამთავრებულის დახასიათებაში კმაყოფილებით იყო აღნიშნული. სადაც ისიც კი იყო რეკომენდებული, რომ კარგი იქნებოდა, თუ ეს ყმაწვილი – აკაკი ლობჯანიძე სწავლა-განათლებას უმაღლეს სასწავლებელში სათანადო განხრით სრულყოფდა.

ამგვარი სურვილი გულში იქნებ აკაკისაც ჰქონდა, მაგრამ ვინ მოსთვლის, რამდენ ადამიანს დარჩენია სურვილი განუხორციელებელი უსახსრობის, თუ სხვათა და სხვათა მიზეზთა გამო. გამონაკლისი ამ მხრივ არც აკაკი აღმოჩნდა.

კურსებგავლილი მზისაში რომ დაბრუნდა, შემოდგომის მკა-ლეწვა იყო გაჩაღებული. თითოეული ოჯახის თუ მთლიანად კოლმეურნეობის ეკონომიკა მაშინ კოლმეურნეთა პირად შრომაზე იყო დამოკიდებული. შინ ჯდომა არც აკაკისთვის იყო მომგებიანი და არც კოლმეურნეობისათვის. დაიბარეს სოფლის ხელმძღვანელებმა და ზაიდულა უმაროვს ტრაქტორსა და კომბაინზე დამხმარედ მიამაგრეს.

ეს ზაიდულა უმაროვი მზისაში დარჩენილ ყარაჩაელი რვა თუ ათი კომლიდან ერთ-ერთი იყო. იგი პროფესიით მჭედელი გახლდათ, მაგრამ ხელი, მექანიზაციასთან დაკავშირებით, ყველაფერში ემარჯვებოდა.

ქლუხორის რაიონი, მათ შორის, მზისაც, მთაგორიანი ადგილია. აქ უმეტესად, კოლმეურნეობაშიც და პირად დამხმარე მეურნეობაშიც, ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო ხელით სრულდებოდა, რა თქმა უნდა, მცირე გამონაკლისის გარდა. ამ მცირე გამონაკლისში შედიოდა ბალახის თიბვა და პურეულის ლეწვა, სადაც სპეციალურ სათიბელებს იყენებდნენ. ლეწვა ასე ხდებოდა: კალოზე იდგა კომბაინი, რომელსაც აქ „მალატილკას“ ეძახდნენ. ამ მალატილკას ტრაქტორით ამუშავებდნენ. ამ ორ სამექანიზაციო მანქანას განაგებდა ყარაჩაელი ზაიდულა. პირობითად თუ ვიტყვით, მის მოადგილედ ტრაქტორსა და კომბაინზე მკა-ლეწვის დამთავრებამდე აკაკი ლობჯანიძე დაინიშნა.

მოგეხსენებათ, ადამიანის ხელს ჯერ ისეთი არაფერი შეუქმნია, რომ მარადიული იყოს და არ გაფუჭებულიყოს. თუმცა, საუკუნეების მანძილზე იყო მცდელობა ამგვარ საქმეში სხვებზე მეტად ჩახედულ ხალხს პერპენტუუმმობილედ წოდებული მუდმივი ძრავა შეექმნათ, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს მიზანი ვერ იქნა და ვერ განხორციელდა.

ეს შემთხვევა მზისაში მკა-ლეწვის დაწყებამდე მოხდა. ერთ დღეს ბალახის სათიბელას, რომელსაც ბალახის გათიბვის გარდა, შემოდგომის პურეულის ასაღებადაც იყენებდნენ, ცელი გაუტყდა. შეწუხდა სოფლის ხელმძღვანელობა და ეს ბუნებრივიც იყო. მოსავლის აღება, სანამ კარგი ამინდები იდგა, მანამდე უნდა მოესწროთ. სათიბელას გაფუჭება გვარიანად დააბრკოლებდა აწყობილ საქმეს. ის ნაწილი, რომელიც გატყდა, ქარხნიდან უნდა გამოეწერათ. ან სადმე სხვაგან ეშოვნათ: ეყიდათ ან მეზობელი კოლმეურნეობიდან ეთხოვათ, თუ იგი, რა თქმა უნდა, ვინმეს აღმოაჩნდე-

ბოდა. ამას კი დრო სჭირდებოდა. ზაიდულა დაპირდა ხელმძღვანელობას, ვეცდები, სათიბელას გატეხილი ნაწილი ხვალვე აღვადგინოო.

მის შეპირებას დიდი იმედით და აღტაცებით არც სოფლის ხელმძღვანელობა შეხვედრია და არც რიგითი წევრები. გულში ყველა თითქმის ერთნაირად ფიქრობდა, ქარხანაში დამზადებულ სათიბელას ცელი, გინდაც მისი კბილანები სოფლის მჭედელმა ისე როგორ უნდა აღადგინოს სოფლის პრიმიტულ სამჭედლოში, რომ უნაკლო იყოს და საქმისთვის გამოდგესო. მაგრამ რადგან თქვა, ვეცდები სათიბელას გატეხილი ნაწილი აღვადგინოო და სხვა გამოსავალიც არ ჩანდა, არამგამად და უხალისოდ დაეთანხმნენ საქმის წარუმატებლობაში წინასწარ დარწმუნებული სოფლის თავკაცები.

აკაკი ლობჯანიძე

მეორე დღეს ზაიდულამ ისეთივე კბილანებიანი ცელი მოიტანა, როგორიც ქარხანაში დამზადებულ სათიბელას ეყენა. არავინ დაიჯერა, რომ იგი მისი აღდგენილი იყო და თანაც ასე სწრაფად – ერთ ღამეში და სრულყოფილად, მანამ, სანამ მჭედელმა კბილანებზე დამღად დასმულ-ამოტვიფრული თავისი სახელი „ზაიდულა“ არ აჩვენათ. ეტყობა, მან წინასწარ ივარაუდა, შეიძლება არ დამიჯერონონ, რომ ჩემი ნაოსტატარიაო და, ალბათ, ამიტომ მოიქცა ასე წინდაუხედულად. ვფიქრობ, არც შემცდარა. რაც შეეხება სათიბელას, ზაიდულას მისი ყალიბი დაემზადებინა სამჭედლოში და ძველის მსგავსი ახალი კბილანები ისე ჩამოესხა, რომ ქარხნულისგან არაფრით განსხვავდებოდა. ამ ხერხს მზისაში შემდეგაც ხშირად იყენებდნენ, რადგან მთიან პირობებში კბილანები არც თუ ძვირად ტყდებოდა.

ეს შემთხვევა იმიტომ გავიხსენე, რომ უფრო თვალნათლივ მეჩვენებინა, როგორი მაღალკვალიფიციური სპეციალისტი იყო ზაიდულა. მას ყველაფერი ზედმიწევნით ეხერხებოდა, მაგრამ, როგორც უკვე ავღნიშნე, მზისაში ჩვენი ჩასახლების პირველივე დღიდან მასაც და მისი ოჯახის ყველა წევრს, უფროსი ვაჟის, მიშას გამოკლებით, ჩვენ ყველანი ვძულდით და ვეზიზღებოდით. თუმცა, არც პირადად მისთვის, არც მისი ოჯახისთვის და არც დანარჩენი ყარაჩაელებისთვის ამის საბაბი არ მიგვიცია. ოჯახის სხვა წევრებისაგან განსხვავებით, ზაიდულას უფროსი ვაჟი, მიშა, რომელიც ასაკით თითქმის ჩვენი ტოლი იყო, ძალიან მალე შეგვეთვისა, დაგვიმეგობრდა და დღე და ღამე ჩვენთან იყო. ქართული ენა ისე ისწავლა, ქართველისგან ვერ გამოარჩევდით.

ერთი სიტყვით, ქართველების მოძულე და თავისი საქმის დიდებული მცოდნე ზაიდულას დამხმარედ, თანაშემწედ, დროებით შეგირდად, თუ რაც გნებავთ ის უწოდეთ, დაუნიშნეს კურსებიდან ახლად დაბრუნებული ახალბედა მექანიზატორი, აკაკი ლობჯანიძე.

ერთხანს აკაკის და ზაიდულას ურთიერთობა ნორმალურად მიდიოდა. გარეგნულად მაინც, მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა. ერთხელაც რაღაცაზე ვერ შეთანხმდნენ ორი, საკუთარ უპირატესობაში ცალ-ცალკე დარწმუნებული მექანიზატორი. უნდა ითქვას, რომ ზაიდულასი არ იყოს, აკაკისაც გვარიანად ჯიუტი ხასიათი ჰქონდა და უკან დახევა და დათმობა უჭირდა. მით უმეტეს მაშინ, როცა მტკიცედ სჯეროდა, რომ მართალი იყო. მათი ურთიერთობა ბოლოს იქამდე მივიდა, რომ აუცილებელი გახდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ჩარევა.

თავმჯდომარე ბუნებით მბრძანებლური ხასიათის კაცი გახლდათ. ამის უფლებას თანამდებობაც აძლევდა და იყენებდა კიდეც. ამ შემთხვევაში, ალბათ იმიტომ, რომ არავის ეთქვა, მრავალრიცხოვანი ქართველები ყარაჩაელ უმცირესობას ჩაგრავენო, მხარი ზაიდულას დაუჭირა (ჩვენ ქართველებს ხომ მუდამ ასე გვჩვევია; ოღონდ უცხოს არ ვაწყენინოთ და თვისტომს იოტისოდენა ანგარიშს არ ვუწევთ. ამიტომაც გვაქვს ხშირად ასე „დიდებულად“ საქმე!). აკაკიმ თავმჯდომარის მიერ მისთვის მიცემული შენიშვნაც უკანონოდ ჩათვალა, რაშიც, სიმართლეს თუ ვიტყვით, არ ცდებოდა.

ასაკით შენზე უფროსია, ამასთან ერთად, უცხო ტომის კაცია, მართალიც რომ არ იყოს, მაინც შენ უნდა დაუთმო, ეს შეგონება იწყინა აკაკიმ. მართალი თუ ვარ, ასაკობრივი უფროს-უმცროსობა საერთო საქმეში რა შუაშია, ან სხვა და ჩემიანი რას მიქვიანო და დემონსტრაციულად გამორთო ძრავი, გააჩერა ტრაქტორი (აკაკი უმეტესწილად ტრაქტორის მუშაობისათვის იყო პასუხისმგებელი). ტრაქტორის ძრავას გამორთვამ, ბუნებრივია, კომბაინიც გააჩერა. დაიბანა ხელები, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც, აიკრა გუდა-ნაბადი და შინისკენ გასწია. აგერ ტრაქტორი, აგერ კომბაინი და ერთსაც და მეორესაც მაგ თქვენმა ყოვლისმცოდნე ზაიდულამ როგორც სურდეს, ისე მიხედოსო.

თავიდან აკაკის ამგვარი თავნებობისთვის ყურადღება აგრერიგად არავის მიუქცევია. დიდი ამბავი, ეგ თუ წავიდა, ვითომ უმაგისოდ ქვეყანა დაიქცევა. ბოლოს და ბოლოს, ეს ზაიდულა ხომ აქ არის, ის ისეთი გამოცდილი მექანიზატორია, სხვისი, მათ შორის, რაღაც ერთწლიანი კურსებდამთავრებული ხუშტურიანი აკაკის გარეშეც ადვილად გავალთ იოლადო, ფიქრობდა ყველა იმ წუთებში.

ქვეყანა ნამდვილად არ დაქცეულა, მაგრამ ზაიდულა მთელი საღამო ეწვალა და აკაკის მიტოვებული ტრაქტორი ვერა და ვერ აამუშავა. ამ საქმისა, ვინც კი რაიმე იცოდა, ყველა ჩაერია, მაგრამ ტრაქტორიც მისი ყოფილი პატრონივით, ჯიუტად დუმდა. არადა, საქმე საგანგაშოდ ფერხ-

დებოდა. გამორიცხული არ იყო, ამინდი გაუარესებულიყო და მოსავლის აღების აწყობილ საქმეს საფრთხე დამუქრებოდა. ბუნებრივია, კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ეს არ უნდა დაეშვა. მით უმეტეს, წინააღმდეგობას მიუჩვეველი თავმჯდომარე ამგვარ თვითნებობას არავისგან მოითმენდა. წესით, არც უნდა მოეთმინა. აკაკის ჟინიანობის მოთოკვა სხვა მხრივ რომ ვერ შესძლო, მოსავლის აღებისას იმავე კალოზე სხვებთან ერთად მომუშავე დედამისთან, აგრაფინასთან მივიდა და გადაჭრით მოსთხოვა, ახლავე შინ წადი, ის შენი თავნება შვილი აქ მოიყვანე, მის მიერ დამუნჯებულ ტრაქტორს რაიმე უშველოს, თორემ გამოვიძახებ მილიციას და მოსავლის აღების ჩაშლისა და საბოტაჟისთვის, სადაც ეკუთვნის, იქ კაი ხნით რომ ჩააყუდებენ, მერე მიხვდება, რას ნიშნავს ჩვენს დროში საერთო საქმის წინააღმდეგ წასვლაო.

მაშინ მძიმე დრო იყო. თავმჯდომარემ პოლიტიკური ელფერი მისცა აკაკის, ერთი შეხედვით, დაუფიქრებელ და არსებული ვითარების გაუთვალისწინებელ მოქმედებას, ხოლო პოლიტიკურ გადახრას, სიმართლე, თუნდაც ეგრეთწოდებული გადამხრელის მხარეზე ყოფილიყო, არავის არ პატიობდნენ. ეს მაშინ ყველამ იცოდა, დიდმაც და პატარამაც.

იმ დროში სოფლის ხელმძღვანელს კანონით მინიჭებული უდიდესი ძალაუფლება ჰქონდა. აქედან გამომდინარე, თუ იგი თავის მუქარას შეასრულებდა, გამორიცხული არ იყო, რომ აკაკისთვის ყველაფერი უსიამოვნოდ დამთავრებულიყო. მოსალოდნელი საფრთხით შეშინებულმა დედამ, მუშაობას უმალ თავი მიანება და მეორე დღეს შვილთან ერთად კალოზე დაბრუნდა.

თავმჯდომარის ბრალდების გასაქარწყლებლად აკაკიმ ამჯერად მშვიდად აუხსნა ყველას, ტრაქტორი მე სრულ წესრიგში დავტოვე, ხოლო თუ თქვენმა ყოვლისმცოდნე მექანიზატორმა, ზაიდულამ მისი ამუშავება არ იცის, მე რა შუაში ვარო.

ყველას თვალწინ მივიდა, ტრაქტორს თვალის დახამხამებაში რაღაც გაუსწორა, ღვედს ხელი გამოჰკრა და ტრაქტორი მთელი ხმით აგუგუნდა. ცხადია, კომბაინიც ჩაირთო და პურეულის ლეწვა ჩვეულ რიტმში გაგრძელდა.

თხრობის დასაწყისში აღვნიშნე, აკაკი ლობჯანიძეს რომ სათანადო განათლება მიეღო, შეიძლება, ცნობილი მეცნიერი, გამომგონებელი და თავისი დარგის გამორჩეული სპეციალისტი დამდგარიყო-მეთქი. მას მთელი ცხოვრების მანძილზე თვალს ვადევნებდი და ახლაც მჯერა, რომ ეს უთუოდ ასე იქნებოდა, ვინაიდან, სოფლის მეურნეობის იმ დარგში, სადაც მას მუშაობა უხდებოდა, ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო (და არა მარტო სასოფლო-სამეურნეო) ტექნიკის წვრილმანებში ზედმიწევნით ერკვეოდა. უფრო მეტიც: რასაც ხელს მოჰკიდებდა, ყველაფერს შემოქმედებითად უდგებოდა. იქნებ ყოველთვის ისე არ გამოდიოდა საქმე, როგორც სურდა,

მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მიზანს მაინც აღწევდა. ასე, მაგალითად: ქარხნიდან გამოსულ, მინდვრის, ანუ საველე პირობებში მომუშავე ტრაქტორს თუ კომბაინს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო „წვრილმან“ ნაწილს შეუცვლიდა, ან გადაუადგილებდა და მანქანის წარმადობა და მუშაობის ხარისხი, სასიკეთოდ, საგრძნობლად იცვლებოდა. ეს არ იყო რომელიმე მოყვარულის ჩხირკედელაობა. ეს ბევრად უფრო მეტი იყო, რაც შეიძლება რაციონალიზატორულ წინადადებადაც ჩათვლილიყო და გამოგონებადაც. ცხადია, ამისათვის, არსებული წესის თანახმად, სათანადო ანაზღაურება ეკუთვნოდა ავტორს, მაგრამ აკაკის ამაზე არასოდეს უზრუნია. მისთვის ეს ყოველდღიური საქმიანობა იყო. კი ბატონო, შეიძლება ვთქვათ, რომ ეს მისი მხრივ დაუდევრობა და საკუთარი ნიჭისა და შესაძლებლობის სათანადოდ შეუფასებლობა გახლდათ, მაგრამ რაც იყო, ასე იყო.

აკაკი ლობჯანიძე ბოლო დრომდე, ოჯახთან და თანასოფლელებთან ერთად, სოფელ მირზაანში ცხოვრობდა. აქ იგი მზისადან წამოსულ დანარჩენ ღებელებთან და ადგილობრივ კახელებთან ერთად აქაურ, მართლაც, ბარაქიან ველ-მინდვრებს წლების განმავლობაში ხნავდა და თესავდა და უხვ მოსავალსაც იღებდა. იგი რაიონში ერთ-ერთი წამყვანი, მოწინავე მექანიზატორი იყო.

აკაკის ამჟამად ასაკისა და ბევრი სხვა, უმთავრესად ქვეყანაში შექმნილი სავალალო მდგომარეობის გამო, არაერთ ჩვენს თანამემამულეთა მსგავსად, დღეს თუმცა, ნაკლები ურთიერთობა აქვს აქტიურ შრომასთან და ძირითადად ოჯახში ტრიალებს. მაგრამ ვერ ვიტყვით, თითქოს საქმის კეთება აღარ შეეძლოს, ან სურვილი არ ჰქონდეს, სულაც არა, მაგრამ დღევანდელ ჩვენს დაქცეულ ქვეყანაში, სად არის საქმე, კაცმა რომ აკეთოს!.. ხოლო მომავალში რა როგორ იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს. თუმცა იმ „მომავალში“ კაცს რა ელის, ვინ იცის...

დაქცეული ოჯახი...

ამ წლის შემოდგომაზე მზისას კოლმეურნეობის კალოზე, ხორბლის ლეწვისას, აკაკი ლობჯანიძესა და ყარაჩაელ ზაიდულა უმაროვს შორის მომხდარი უსიამოვნო შემთხვევის მოგონების შემდეგ, დარწმუნებული ვიყავი, რომ რაც ამ ორ ადამიანზე უნდა მეთქვა, ყველაფერი ვთქვი და ერთის ან მეორეს ცხოვრების ამბავს მეტად აღარ მივუბრუნდებოდი. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ჩანაწერებს თვალი კიდევ ერთხელ რომ გადავავლე, უკმარისობის გრძნობა დამეუფლა. წინანდელი გადაწყვეტილების სისწორეში ეჭვი შემეპარა და არც თუ მთლად უსაფუძვლოდ. როცა ყველაფერი კიდევ ერთხელ კარგად ავწონ-დავწონე, მივხვდი, რომ თუ ზაიდულა უმაროვზე, მის ცოლ-შვილსა და მათი ოჯახის თავზე დატრიალებულ ტრაგედიას ვრცლად არ გავიხსენებდი, ეს მონათხრობი სრულყოფილი ვერ იქნებოდა.

ზაიდულათი და მისი ოჯახით ჩემი განსაკუთრებული დაინტერესება ზოგმა, შეიძლება, გაუმართლებელ ახირებად ჩამითვალოს და უკმაყოფილოდ გაიფიქროს, ამ წიგნს „ქართველები ქლუხორში“ ჰქვია და ეს ლეკი თუ ყარაჩაელი ზაიდულა უმაროვი აქ რა შუაშიაო.

საკითხს ცალმხრივად თუ მივუდგებით, ეს მოსაზრება, ერთი შეხედვით იქნებ სამართლიანადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, საქმე ის არის, რომ ჩვენ, ქართველები, იმ წლებში, რომლებიც ქლუხორის რაიონში დავყავით, რობინზონ კრუზოსავით დაუსახლებელ კუნძულზე, გარე სამყაროსგან მოწყვეტილები როდი ვიყავით. პირიქით, რაიონში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებლებთან ყოველდღიური მჭიდრო, საქმიანი და კულტურული ურთიერთობები გვქონდა. ამიტომაც, როცა რამის გახსენების აუცილებლობა მოიტანს, სხვა ეროვნების ადამიანებზე საუბარი გასაკვირი არავისთვის არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ზაიდულა უმაროვი და მისი ოჯახი მთელი ცამეტი წლის განმავლობაში ჩვენთან ერთად ერთ სოფელში, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა და საქმიანობდა.

ასე და ამრიგად, ამის გამო ვინმესგან ჩემს მიმართ რამე საყვედურის მაგვარი მინიშნებაც კი უფრო მეტი რომ არ ვთქვა, არაკორექტულად მიმაჩნია.

ის კი არადა, ამ კაცის ტრაგიკულ ბედზე, როგორც რამდენადმე უჩვეულო შემთხვევაზე, ამ მოგონებებში რამდენიმე სიტყვის თქმა ერთგვარად, ჩემს მოვალეობად და აუცილებლობადაც კი მეჩვენება.

მაშ ასე.

მზისაში ზაიდულა და მისი ჯალაბი სოფლის ცენტრში ცხოვრობდა. ოჯახი შვიდი სულისაგან შედგებოდა. ამათგან ორი ქალიშვილი ჩვენი იქ ჩასახლების დროს გასათხოვარი ასაკისანი იყვნენ. ვაუებიდან უფროსი, მიშა ჩემზე და ჩემს თანატოლებზე ორი წლით უფროსი იქნებოდა. მისი მომდევნო, ასლანი ჩემი ასაკისა იყო, ხოლო სულ უმცროსი – ყაფლანი – ოთხი-ხუთი წლისა გახდებოდა.

ოჯახის უფროსს, ზაიდულას სასიამოვნო გარეგნობის მამაკაცი ეთქმოდა. ტანად თხელი, საშუალოზე ცოტა მაღალი იყო, ცისფერი თვალები ჰქონდა და ჰუსარივით განზე გაცქვეტილ გრძელ ულვაშებს ატარებდა. უხდებოდა კიდეც ასე დაყენებული ულვაშები. პირველსავე შეხვედრაზე შეამჩნევდით, რომ იგი ამაყი, ფიცხი, ენერგიული მამაკაცი გახლდათ. ვაგლახად თავს არავის დააჩაგვრინებდა. ერთი შეხედვით და ერთი შეხვედრით, აბა, კაცი უცხოს სხვას რას შეატყობდა, მაგრამ მერე და მერე ყოველდღიურ ურთიერთობაში გამოჩნდა, რომ იგი საქმიანი, ყველაფერში ხელმარჯვე მეურნე იყო.

ზემოთ ვთქვი და აქ გაკვრით კვლავ გავიმეორებ, მზისაში ჩასახლების პირველ ხანებში იქ დარჩენილი ათიოდე ყარაჩაელის ოჯახიდან ყველა ფრთხილობდა ჩვენთან ურთიერთობისას. ვიმეორებ, ასე იყო ჩასახლებიდან პირველი ერთი-ორი თვის განმავლობაში. მერე, როცა დაინახეს, ჩვენ მათ მიმართ გულთბილ დამოკიდებულებას ვიჩენდით, იმაშიც დარწმუნდნენ, არამცთუ არავითარი ცუდი განზრახვა არ გვქონდა, პირიქით, ვცდილობდით, მათთან გვემეზობლა, გვემეგობრა, უთანამემამულეებით დარჩენილთათვის, რითაც შეგვეძლო, გასაჭირი შეგვემსუბუქებია, ამის შემდეგ სულ მალე ყველა ყარაჩაელის ოჯახი გაგვიშინაურდა. გამონაკლისს ზაიდულა და მისი ოჯახის წევრები წარმოადგენდნენ. ისინი, გარდა ამ ოჯახის უფროსი ვაუისა, ჩვენდამი ბოლომდე ცივ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ. არ მინდა, ზედმეტად მკაცრი სიტყვა ვიხმარო, ეს ჩვენდამი დამოკიდებულება უფრო ფარული ზიზღი და მტრობა იყო, შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ამის მიზეზი მათ ჩვენ მივეცით.

ამასთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ ქართველი კაცის ბუნებისთვის სხვა ეროვნების თუ სარწმუნოების ხალხის მიმართ სიძულვილი და ვინმეს დაჩაგვრა უცხო და მიუღებელია. ეს ჩვენს მიწა-წყალზე მცხოვრებ სხვა ერის წარმომადგენელთა მიმართ არაერთხელ იქნა დადასტურებული. ერთიც: თუ სხვა ოჯახების მიმართ არ გვქონია არავითარი კონფლიქტური დამოკიდებულება, გამონაკლისს რაღა ზაიდულას ოჯახის მიმართ გამოვიჩენდით! არც გამოგვიჩენია. ასეთ დროს თავისთავად იბადება კითხვა, რა

იყო ქართველებისადმი ამ ოჯახის სიძულვილის. კარგი ბატონო, უფრო რბილი გამოთქმა ვიხმაროთ, გულცივი დამოკიდებულების მიზეზი?

პირადად ჩემთვის (ყოველ შემთხვევაში, ეს დღესაც ასე მგონია, ვინაიდან სხვა მიზეზი და საბუთი არ გამაჩნია) ამის მიზეზი, ალბათ, ის გახლდათ, რომ მათი თანამემამულეები მამაპაპური სამემკვიდროდან აყარეს და შუა აზიაში გადაასახლეს. ამის მოთავედ, ზაიდულა და მისი ოჯახი უთუოდ სტალინს თვლიდა – წარმომავლობით ქართველ კაცს და, ამის გამო, მისდამი უარყოფითად იყვნენ განწყობილნი და ეს განწყობილება ჩვენზეც გადმოჰქონდათ. მეორე მხრივ, მათ ამ უარყოფით დამოკიდებულებას, ალბათ, ისიც აძლიერებდა, რომ მათი თანასოფლელების ნასახლარზე ჩვენ – ქართველები დავბინავდით. ეტყობა, არც ზაიდულა და არც მისი ოჯახის წევრები არ შედიოდნენ იმის განსჯაში, რომ ჩვენ ამაში არავითარი ბრალი არ მიგვიძღვოდა.

რა თქმა უნდა, მცირე ჯგუფის გადაცთომის, თუ გნებავთ, ღალატის გამო, მთელი ერის ასე მკაცრად დასჯა ამ ერის წარმომადგენელთათვის მოსაწონი არ იქნებოდა. მით უმეტეს, არც ის არის გამორიცხული, დასჯილთა შორის ზაიდულას ახლო ნათესავებიც ყოფილიყვნენ. ასე შეეძლო, საქმე განესაჯა რომელიმე კერძო პირს და თავისი სიმპათია-ანტიპატიები. გამოეხატა მომხდარის მიმართ. მაგრამ, როცა სასწორზე იდვა მთელი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი, რომლის გამოც პასუხისმგებლობა აწმყოსა თუ მომავლის წინაშე ხელისუფლებას და მის სათავეში მყოფ პირველ პირს ეკისრება, ეს პირველი პირი, ალბათ, ყველაფერს სულ სხვაგვარად სჯის, აფასებს და მოქმედებს. ამ დროს, გულჩვილობისა და ცალკეულ პიროვნებათა მიმართ რაიმე დათმობებისთვის ადგილი არსად რჩება. მით უმეტეს ისეთ იმპერიულ სახელმწიფოში, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო. ბოლოს და ბოლოს, იმ სტალინმა, რომლის სიძულვილის გულისთვისაც, ჩემი აზრით, ზაიდულას და მის ოჯახს ქართველები თავიანთ მტრებად მიაჩნდათ, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი შვილის გადარჩენისათვის ისეთი არაფერი იღონა, რისი გაკეთებაც მილიონობით საბჭოთა ჯარისკაცის მიმართ მიუღებლად ჩათვალა. („ჩვენ გენერლებს ჯარისკაცებზე არ ვცვლით“). ასეთ დროს, ამგვარად მოაზროვნე ქვეყნის მეთაურს იმათ მიმართ, ვისაც სამშობლოს ღალატი ედებოდათ ბრალად, გამორიცხული იყო, შეღავათი ან რაიმე გამონაკლისი დაეშვა.

მაგრამ ზაიდულასა და მისი ოჯახის წევრებისთვის, ცხადია, ასეთ არგუმენტებს ჩალის ფასი ჰქონდა. მათთვის სიმართლე ის იყო, რაც ჭეშმარიტებად მიაჩნდათ. ხოლო თუ მათი ეს ეგრეთწოდებული სიმართლე ირღვეოდა, ყველა, ვისაც სხვა მხარე ეკავა, მათთვის მტერი იყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ამ სიმართლის დარღვევასთან ამ „მტერს“ ჰქონდა კავშირი თუ არა. ამ კატეგორიაში განსაკუთრებით ჩვენ, ანუ ის ხალხი გავდიოდით, ვინც სტალინის თანამემამულეები ვიყავით.

მიუხედავად ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენ არც ზაიდულასა და მისი ოჯახის, არც სხვა ყარაჩაელებისათვის ამის სანაცვლოდ არც ზიზღით და არც სიძულვილით არ გვიპასუხნია. პირიქით, ვცდილობდით როგორც ამ ოჯახთან, ისე დანარჩენ ყარაჩაელებთან მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობა გვქონოდა. თუმცა, სულ ამაოდ. ზაიდულას და მისი ოჯახის წევრების გული მაინც ვერაფრით მოვიგეთ. ამ მხრივ, როგორც ვთქვი, გამონაკლისს წარმოადგენდა ზაიდულას უფროსი ვაჟი, მიშა. იგი ჩვენი ჩასახლების პირველივე დღეებიდან დაგვიახლოვდა, შეგვეთვისა და, მე ვიტყოდი, გულწრფელად შეგვიყვარა. დღედაღამ, ჭირსა თუ ლხინში, ჩვენს გვერდით ტრიალებდა. უმოკლეს დროში სალაპარაკო ქართულს ისე სრულყოფილად დაეუფლა, რომ ქართველებში ვერავინ გამოარჩევდა. ცხადია, ჩვენდამი მის გულთბილ დამოკიდებულებას ჩვენც სიყვარულით და პატივისცემით ვპასუხობდით. დღემდე მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია: როცა მისი ოჯახის ყველა წევრი ჩვენდამი უარყოფითად იყო განწყობილი, მიშას ჩვენთან ასეთ მეგობრულ ურთიერთობას მისი შინაურები როგორ ეგუებოდნენ.

ზაიდულას ორი უმცროსი ვაჟი: ასლანი და ყაფლანი მამასავით ხელმარჯვე, საქმიანი ბიჭები იყვნენ. ფიცხები, სხარტი და გამბედავები, როგორც ნამდვილი მთიელები. ისინიც, როგორც მათი მშობლები და უფროსი დები, ქართულ ოჯახებთან ყოველგვარ ურთიერთობას ერიდებოდნენ, მაგრამ ამას აკეთებდნენ არა ხათრით, მორცხვობით და მორიდებული ხასიათის წყალობით, არამედ ჩვენდამი უარყოფითი დამოკიდებულების გამო.

ზემოთ ვთქვი, ზაიდულა უმაროვი ტრაგიკული ბედის კაცი აღმოჩნდა-მეთქი. და არა მარტო ზაიდულა, მთელი ეს ოჯახი. თუმცა, სანამ ამასზე რამეს ვიტყოდე, მანამდე ერთ სხვა შემთხვევაზე მინდა გიამბოთ, რასაც, ჩემი აზრით, ქვემოთ მოთხრობილ ამბავთან პირდაპირი კავშირი აქვს.

...ერთი შეხედვით, ის დღე ჩვენი ოჯახისთვის მზისაში ყოფნის დღეებიდან არაფრით გამორჩეული არ ყოფილა. იმ საღამოსაც, როგორც ზაფხულის სხვა დროსაც, მთელმა ოჯახმა ერთად ვივახშმეთ. უფროსებმა საოჯახო წვრილმანებზე ილაპარაკეს და მერე ყველამ ერთად დავიძინეთ.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იქნებოდა, როცა ჩვენი სახლის კარზე ვილაცამ შეთქმულივით რამდენჯერმე ფრთხილად დააკაკუნა და შინიდან პასუხს დაელოდა.

როცა ახლადგაღვიძებულმა მამაჩემმა გაკვირვებულმა იკითხა, ვინა ხარო, გარედან ხმამოზომილი პასუხი გაისმა:

– მაკარ მიხაილოვიჩ, მე ვარ, ზაიდულა უმაროვი.

მამას გამბედაობა არ აკლდა.

ამის თქმა, ალბათ, საჭირო არც არის, თუ გავიხსენებთ იმას, რომ მან მკაცრი ზამთრის პირობებში მარტოდმარტომ გადაიარა დათოვლილი მამისონის უღელტეხილი, რუსეთის უკიდეგანო სტეპები. ღებიდან ნალჩიკში

ფეხით ჩასულმა ჯერ გერმანელი ფაშისტების, ხოლო შემდეგ საბჭოთა ციხის ტყვეობას თითქმის ერთი წლის განმავლობაში ისე გაუძლო, მისთვის სულის სიმტკიცეს არსად უღალატნია. ასე რომ, მშვიდობიან პირობებში სოფელსა და საკუთარ სახლში თუნდაც უცხო ტომის კაცის ასე გვიან მოსვლის გამო მის შიშზე ლაპარაკი, ვფიქრობ, უმართებულო იქნება. რაც შეეხება სიფრთხილეს და წინდახედულებას, ეს თვისება, ალბათ, ყველა ადამიანისთვის აუცილებელია. სწორედ სიფრთხილის, წინდახედულების და, ცხადია, ეჭვის გამოც ჰკითხა მამამ ასე გვიან მოსულ სტუმარს, რა საქმე გაქვსო.

მართლაც, ზაიდულა უმაროვი, რომელიც ქართველებთან არამც თუ ამ დროს, დღისითაც გაურბოდა გულღია მეზობლურ ურთიერთობას და სხვა ღებელებზე უკეთესი დამოკიდებულება არც მამაჩემთან ჰქონდა, შუაღამისას ყველასგან ფარულად, მოდის და ეუბნება, საქმე მაქვსო. ასეთ დროს, ვინც უნდა ყოფილიყო, ეჭვიც გაუჩნდებოდა და გონება სიფრთხილეს და წინდახედულებასაც ურჩევდა.

– ეს ერთი სიტყვით არ ითქმის. მარტო ვარ, კარი გამიღე და ყველაფერს აგიხსნი. – მიიღო მამამ კითხვაზე გარედან პასუხი.

შინ შემოსულმა სტუმარმა, მართლაც, ისეთი რამე უთხრა მამას, რისი წინასწარ მიხვედრა ათას წელსაც რომ ეცოცხლა, არ შეეძლო.

ზაიდულამ მამას წერილი აჩვენა და აუხსნა:

– ეს წერილი შუა აზიაში გადასახლებულმა ჩემმა ახლობელმა, ამ სახლის, სადაც შენ და შენი ოჯახი ცხოვრობთ, ყოფილმა პატრონმა, გამომიგზავნა. იგი იტყობინება, რომ სახლის ყველაზე პატარა ოთახის იატაკქვეშ, მიწაში ოქროულობა და ოჯახის კუთვნილი ძვირფასეულობაა ჩაფლული.

ხომ ჰგავს დეტექტიურ რომანებში აღწერილ ამბებს ეს შემთხვევა?

რა თქმა უნდა, ჰგავს.

– მერე?! – საუბარში კითხვით ჩაერია მამა, თუმცა, გულში, ვგონებ, ბოლომდე არ სჯეროდა, რასაც ზაიდულა უყვებოდა.

– მერედა, ის ჩემი ნათესავი მთხოვს, ამოვიღოთ ის ოქრო და ძვირფასეულობა და გავყოთ სამად. ერთი მესამედი პატრონს გავუგზავნოთ (ამას მე ჩემს თავზე ვიღებ), ვინაიდან მას თურმე ეკონომიკურად ძალიან უჭირს. ამასთან ერთად, არც იმედი აქვს, რომ იქიდან ოდესმე ცოცხალი დაბრუნდება. ამიტომ ძვირფასეულობის მიწაში გდებას და ამ საიდუმლოს დამალვას, აწი მისთვის აზრი არა აქვს.

მამაჩემისთვის და, ცხადია, ჩვენთვისაც ეს იმდენად მოულოდნელი ამბავი გახლდათ, მისი ბოლომდე დაჯერება ყოვლად შეუძლებელი იყო. მანამდე მაინც, სანამ იმ განძს, თუ ძვირფასეულობას ხელს არ შევახებდით.

მამამ და ზაიდულამ ყველაზე პატარა ოთახის იატაკის ფიცრები აყარეს და მიწის თხრას შეუდგნენ. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, ზაიდულა

თხრიდა მიწას. ჩვენ – მამაჩემი, მე და ჩემი უმცროსი ძმა შალვა ვუყურებდით.

ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ყარაჩაელებმა გადასახლების ღამეს ყველაფრის თან წაღება ვერ მოასწრეს. განსაკუთრებით ძვირფასეულობა და იარაღი ოჯახში გადამალეს ალბათ იმ იმედით, რომ ოდესმე უთუოდ დაბრუნდებოდნენ უკან თავიანთ სახლებში და ყველაფერს კვლავ დაეპატრონებოდნენ.

ეთერ გავაშველაშვილი (მარჯანიდან მარცხნივ) შალვა და ნინა ლობჯანიძეები.

ყარაჩაელების მიერ შეფუთნილ და თავიანთი სახლების სხვენზე გადამალულ იარაღს – გერმანული თუ საბჭოური წარმოების შაშხანებს და რევოლვერებს ხშირად პოულობდნენ ჩემი თანასოფლელები. რაც შეეხება ძვირფას ნივთებს თუ ოქროულობას, ისინი სოფელში არავის უპოვია. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ არაფერი თქმულა და არც მსგავსი ამბავი გახმაურებულა.

ერთი სიტყვით, გამორიცხული არ იყო, რომ ჩვენი სახლის ყოფილ პატრონს, რომელიმე ოთახის იატაკქვეშ ოქროულობა და ძვირფასი ნივთები, მართლაც, გადაემალა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არც წერილს მოიწერდა და არც ყველასგან განდგომილი და კარჩაკეტილი ზაიდულა უმაროვი ჩვენს სახლში არ მოვიდოდა. მიუხედავად ამისა, განძი ვერ ვიპოვეთ.

ჩვენ ვერ ვიპოვეთ თორემ...

თორემ ის, რომ კარგა ხნის მიწის თხრის შემდეგ ზაიდულამ მამას უთხრა, მიწა გამაგრდა, აქ ბარი ვეღარ მუშაობს, წერაქვი მოიტანე და მიწა იმითა მოვთხაროთო. მამა წერაქვის მოსატანად წავიდა. მაგრამ... ვერც წერაქვის მოტანის შემდეგ გახდა შესაძლებელი შუა აზიიდან გამოგზავნილ წერილში მითითებული განძის პოვნა.

მე არ გამიგია და არც ვიცი, ზაიდულამ მამას თავის გასამართლებლად რა უთხრა, წერილში მოთხრობილი ამბავი ტყუილი რომ აღმოჩნდა.

ერთი კი ფაქტია. ზაიდულა, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანდა, შინ ხელცარიელი წავიდა. თუმცა, სინამდვილეში რა მოხდა, ეს ზაიდულას და უფლის მეტმა არავინ უწყის.

მისი ოჯახის ტრაგედია კი, რომელიც მინდა ახლა გიამბოთ, ამ შემთხვევიდან ერთი, თუ ორი წლის შემდეგ დაიწყო.

ერთ დღეს ზაიდულას შუათანა ვაჟი, ასლანი რაღაც საქმისთვის რაიონში წავიდა. ის დღე ახლაც კარგად მახსოვს. მზიანი, ნათელი და მშვიდი კვირადღე იყო. ასლანი, ეტყობა, დრო ჰქონდა და უბრალოდ გასასეირნებლად, იქნებ სულაც რამის საყიდლად, ბაზარში შესულა. როგორც სოფელში ამბავი მოიტანეს, ბაზარში მანქანა დაჯახებია და გაუტანია. ბედისწერა, თორემ, ჯერ ქლუხორსა და მის გარშემო იმ დროს ორიოდე მანქანა ძლივს დადიოდა. მერე საზოგადოდ ბაზარში, სადაც მუდამ უამრავი ხალხი ტრიალებს, ტრანსპორტი ისე სწრაფად როგორ გადაადგილდებოდა, რომ ახალგაზრდა კაცს მისთვის გზის დათმობა ვერ მოესწრო. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ის ბიჭი მეტად უცნაურ გარემოში ავარიაში დაიღუპა, რამაც მთელი სოფელი გულწრფელად დაამწუხრა.

ძმის გარდაცვალებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ ზაიდულას უფროსი ქალიშვილი ქმარმა გამოაგდო. იგი მამის ოჯახს დაუბრუნდა, რაც კავკასიაში, განსაკუთრებით, მთიელებში, დიდ სირცხვილად ითვლებოდა.

როგორც ჩანს, ავმა საქმემაც შეჩვევა იცის. კაცს ბედის ბორბალი რომ ერთი უკუღმა დაუტრიალდება, უმეტეს შემთხვევაში იგი მანამდე არ შეწყვეტს ბრუნვას, სანამ მისი საბედისწერო ტრიალი ბოლო წერტილამდე არ მივა. არ ვიცი, რამდენად სწორია ეს მოსაზრება, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ასე მოხდა. ჩვენ მაშინ ქლუხორიდან წამოსულები ვიყავით და ერთი, თუ ორი წელი უკვე საქართველოში ვცხოვრობდით, მაგრამ იქაური ამბები მაინც წვდებოდა ჩვენამდე. ასე გავიგეთ ახალი სამწუხარო ამბავი: ზაიდულას უფროს ვაჟს – მიშას ვიღაც ადგილობრივ მცხოვრებთან რაღაც უმნიშვნელო საქმეზე დავა მოსვლოდა და იმ კაცს (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, იმ არაკაცს) თოფით მოეკლა.

ნათქვამია, უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. და კიდევ ერთი, მასზე არანაკლებ ულმობელი, მაგრამ ფსიქოლოგიურად იქნებ ზუსტი ანდაზაც არსებობს, ჭირი ჭირეულსაო და უკეთ მოიჭირვებსო. არ ვიცი, ენობრივი თვალსაზრისით რამდენად სრულყოფილად არის გამართული ეს ანდაზა, მაგრამ როგორც მსმენია, მეც ისე დავიმოწმე და მიმაჩნია, რომ მას საკმაოდ აზრობრივი დატვირთვა გააჩნია, გაჭირვებულს უფრო მეტად უნდა გაუჭირდეს, რომ თავს დატეხილ უბედურებას უკეთ გაუძლოსო. ვერ ვიტყვი, ყველა ახერხებს თუ არა „უფრო მეტი“ გასაჭირის გაძლებას, მაგრამ ზაიდულა უმაროვს, ასე მგონია, რომ ღმერთმა ნამდვილად მკაცრი

გამოცდა მოუწყო. თითქოს მისთვის თავს დატეხილი უბედურება საკმარისი არ იყო, რომ უმცროსი ვაჟი, ყაფლანი ცუდ წრეში მოხვდა და ცხოვრების გზა-კვალი სამუდამოდ აერია. არადა, თავიდან ამ ბიჭს მსგავსი მიდრეკილება, სანამ ჩვენ იქ ვიყავით, ნამდვილად არ ეტყობოდა. როგორც ჩანს, უბედურმა მამამ ამდენ გასაჭირს ვეღარ გაუძლო, თუ სხვა რამემ აიძულა, ასე მოქცეულიყო, დაქცევის პირას მისული ოჯახი მიატოვა და სადღაც გადაიხვეწა. ვერ ვიტყვი, რომ ეს გზა მისთვის ყველაზე უკეთესი გამოსავალი იყო. ან ამით იპოვა სადმე შვება თუ ვერა, მაგრამ, უთუოდ, მან ამაზე გონივრულ აზრს ვერ მიაგნო. ყოველ წუთს, დაქცეული ოჯახის უბედურებისთვის რომ არ ეცქირა, უცხო მხარეში, ანუ სადმე შორს გადახვეწა არჩია.

ახლა დანამდვილებით ან გადაჭრით ვის შეუძლია თქვას, ზაიდულას და მის ოჯახს რა დანაშაულისთვის დაატყდა თავს ასეთი შემზარავი უბედურება. შეიძლება, წინაპრების ცოდვამ უწია. არც ის არის გამორიცხული, ზაიდულამ ის განძი იპოვა და ფარულად მიითვისა. ჩვენზე აქ არ არის საუბარი. ჩვენ იმ განძიდან, თუკი საერთოდ არსებობდა, წესით, არაფერი გვეკუთვნოდა და ახლა, ამდენი წლის შემდეგ ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ ვერ ვიპოვნეთ და, ამდენად, ნებსით თუ უნებლიეთ მასში წილი არ დაგვიდია, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, რომ ჩვენგან ფარულად, ზაიდულამ იპოვნა ის განძი. სიხარბემ სძლია და მიითვისა. მიითვისა ისე, რომ მის ნამდვილ პატრონს, შუა აზიაში მცხოვრებ ახლობელს თუ თანასოფლელს დაუმალა და არ უწილადა. მაგრამ უფლისთვის დაფარული არაფერია. ღმერთმა ჩადენილი დანაშაული არ აპატია და ამიტომაც ასე მწარედ დასაჯა: თვითონ ცოცხალი დატოვა, ოჯახი კი გაუნადგურა, რომ უფრო მეტად გატანჯულიყო.

არ არის გამორიცხული, რომ ასეთი დასკვნების გამოტანის გამო მავანი შემომედავოს: ამ ქვეყანაზე სხვები კიდევ უფრო მიუტევებელ ცოდვებს ჩადიან, მაგრამ ამის გამო არც თვით ისინი და არც მათი შთამომავლობა დასჯილი არავის უნახავს. პირიქით უფროა, ასეთი ადამიანები ხშირად უფრო კარგად ცხოვრობენ, ალალ-მართალი ხალხი კი მთელი ცხოვრება იტანჯება და გამკითხავი არავინ ჰყავსო.

ერთი შეხედვით, იქნებ ყველაფერი, მართლაც, ასეა, მაგრამ ჩვენ სად მივწვდებით უფლის განგებას. ვიცით კი, ასე რატომ ხდება? ამქვეყანაზეც და იმქვეყანაზეც ყველა ისე ცხოვრობს, როგორც უფალს ნებავს და ღვთის განგებით იმსახურებს.

ეს ყველაფერი ვინმემ ისე არ გამიგოს, თითქოს იმის გამო, რომ ზაიდულას და მის ოჯახს რაკი ქართველები ეჯავრებოდნენ და კიდევ, რაც განძთან დაკავშირებით ვთქვი, ნიშნის მოგებით მეთქვას. პირიქით, დღესაც კი, ამდენი ხნის შემდეგ, როცა მათი უბედურების ამბავს ვიგონებ, გულწრფელად ვწუხვარ იმის გამო, რაც მათ შეემთხვათ. იქნებ უმაროვების

ოჯახის დაქცევის მიზეზი, სინამდვილეში არც ის არის, რაც მე მიმაჩნია. ეგებ სულაც რომელიმე მათი შორეული თუ ახლო წინაპარის ნებსით თუ უნებლიეთ ჩადენილი ცოდვა მოეკითხა ზაიდულას და მის ოჯახს. ერთი კია, რომ ეს ოჯახი ხუთ-ექვს წელიწადში ერთიანად ამოწყდა...

გოგია-პელე

სათაურად გამოტანილი ეს ორი სიტყვა არც გვარია და არც სახელი იმ კაცისა, რომელზეც ახლა მინდა გიამბოთ. ისე კი, მეც რომ არ ვთქვა, ყველას მოეხსენება, რომ სიტყვის პირველი ნაწილი – „გოგია“ თუ საქართველოს ერთ კუთხეში შეიძლება გვარი იყოს, სხვაგან კაცს შინაურულად, ასე ეძახიან.

რაც შეეხება „პელეს“, ამას, ალბათ, განმარტება არ სჭირდება. ისედაც მზესავით ნათელი და გასაგებია, ვინაიდან ყველასთვის ცნობილია, რომ „პელე“ შემოკლებით ფეხბურთის ლეგენდარულ მეფეს – ბრაზილიელ ფორვარდს, ედსონ არანტოს დუ ნასიმენტუს ჰქვია.

კი, ბატონო, ეს გოგია რაც არის და როგორც არის, ვიცით, მაგრამ საქვეყნოდ სახელგანთქმულ ფეხბურთელს ქლუხორელ ქართველებთან რა საერთო აქვსო, უთუოდ იკითხავს კაცი. იმას ხომ ვერ იტყვი, რომ ეს მსოფლიოში აღიარებული ფეხბურთელი ქართველებთან ერთად ქლუხორში ცხოვრობდა, სპორტულ სარბიელზე ფეხი იქ აიდგა და მისი მსოფლიო ასპარეზზე გასვლა სწორედ იქედან დაიწყოო.

არა, ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი, რადგან, თქვენთან ერთად, მეც დარწმუნებული ვარ, პელეს ქლუხორსა და იქ ნაცხოვრებ ქართველებზე წარმოდგენა, ნამდვილად არ ექნება, მაგრამ ამ ჯადოქარი ფორვარდის სახელს თუ რა აქვს საერთო ჩვენს თხრობასთან, ამას ცოტა მოგვიანებით აგიხსნით. მანამდე კი ორიოდ სიტყვას გოგიაზე ვიტყვი.

გოგია (გოგი) აკაკი ლობჟანიძის უმცროსი ძმა არის. როგორც ჩანს, ძმებს მექანიზაციისადმი, თუ გნებავთ, საზოგადოდ, ტექნიკისადმი ნიჭი და მიდრეკილება გენეტიკურად მოსდგამთ. ამ მხრივ ძმები ერთმანეთს ჰგვანან. სხვა რამეში კი საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. გარეგნობაზე რომ არაფერი ვთქვა, ხასიათითაც სხვადასხვაგვარნი არიან. ასე, მაგალითად, აკაკისგან განსხვავებით, გოგია მშვიდი, დამთმობი და უწყინარი ბუნების არის. ჩემი დაკვირვებით, სიმშვიდით დედას ჰგავს. იქნებ მამასაც. თუმცა, მე ამ ღირსეულ კაცს არ ვიცნობდი. იგი სამამულო ომში დაიკარგა. რაც შეეხება დედას – აგრაფინას, იგი სოფელში გამორჩეული ქალბატონი გახლდათ თავისი მშვიდი, თვინიერი, გაწონასწორებული, უწყინარი ხასიათით.

გოგიას, 13-14 წლის ბიჭს, ქლუხორში ჩასახლებისთანავე, ნაადრევად მოუწია საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმა. მაშინ ქვეყანაში გაჭირვება იყო. (კაცმა რომ თქვას, ამ დალოცვილ ქვეყანაზე, ანუ იმ სივრცესა და ქვეყანაში, სადაც ქართველ ხალხს უხდება ცხოვრება, გაჭირვება როდის არ იყო!). გოგიამაც, ყველა მისი თანატოლის მსგავსად, როცა ასაკმა მოუწია, სამხედრო სამსახური თავის დროზე მოიხადა, ოჯახი შექმნა და საქმის მოყვარული, გლეხკაცის ალალი შრომით ებრძოდა მკაცრ და ჯიუტ ცხოვრებას. ცხოვრებას, რომელსაც მიწასთან ჭიდილი ჰქვია. მიწა კი, თუ კაცი ხელმარჯვე და დაუზარელი არა ხარ, ისე არაფერს მოგცემს. ესეც უნდა ითქვას, მიწას უჩვეულო მიზიდულობა აქვს და თუ კაცმა ამ დალოცვილ და მადლიან მიწას, ერთხელ ალღო აუღო, კაცს წყალობას არ მოაკლებს.

გოგია ლობჯანიძე

გოგია ლობჯანიძემ საგლეხკაცო საქმიანობა ადრეულ ასაკში ქლუხორში დაიწყო, მაგრამ მიწას და მექანიზაციას თავისი ცხოვრება უფრო მჭიდროდ დედოფლისწყაროს სოფელ მირზაანში ჩასახლების შემდეგ დაუკავშირა. მას ტრაქტორისა და კომბაინის საჭე, როგორც იტყვიან, ამ ბოლო დრომდე ხელიდან არ გაუშვა. ტექნიკის ეს ორი სახეობა უმაღლესად აქვს შეთვისებული.

ამან იგი ყაზახეთში ყამირ მიწებამდე ჩაიყვანა. ეს მოხდა მაშინ, როცა ყამირ მიწებზე შემოდგომით, ხორბლეულის აღებისას, გამოცდილ სპეციალისტებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკიდან დასახმარებლად იწვევდნენ. გოგია ორჯერ ეწვია ყამირს, როგორც კომბაინერი და ორჯერვე საკუთარი შრომით კმაყოფილი და ხელდამშვენებული დაბრუნდა იქიდან. ოჯახის უფროსს თავის დროზე შვილებიც გვერდით ამოუდგნენ და დღეს მირზაანში მისი ოჯახი ეკონომიკურად ერთ-ერთი შეძლებული გახლავთ. ესეც, ოჯახის წევრებთან ერთად, მისი დაუღალავი გარჯის შედეგია.

ამ მცირე მონათხრობს სანამ წერტილს დავუსვამდე, როგორც დასაწყისში შეგპირდით, ბარემ იმასაც ვიტყვი, პელე აქ რა შუაშია.

...მოხდა ისე, რომ მირზაანში ერთ კვირა დღეს გოგია თავის თანატოლებთან ერთად, რა თქმა უნდა, გასართობად, სოფლის სტადიონზე ფეხბურთს თამაშობდა. ამ შეჯიბრს, სხვა ოიანასოფლელებთან ერთად გოგიას მეუღლე, ქეთოც ესწრებოდა. გაცხარებულ თამაშში გოგიამ იმარჯვა და ბურთი ხელთ... უფრო სწორად, ფეხთ იჭდო. არც აცია, არც აცხელა, უმალ მოწინააღმდეგის კარისაკენ შესაშური სიმკვირცხლით გაიჭრა. მაყურებელთა გამამხნევებელ შეძახილებთან ერთად გოგიას მეუღლის ხუმ-

რობით ნათქვამი წაქეზებაც გაისმა: მიდი პელე, დაარტყი, არ შეგვარცხვინოო.

გოგიამ მაშინ ბურთს ფეხიც დაარტყა და გოლიც გაიტანა. იმ დღეს მეუღლის მიერ ქმრისთვის ხუმრობით შერქმეული სახელი „პელე" სამუდამო თიკუნად შერჩა ძალად გაფეხბურთებულ სანაქებო მექანიზატორს.

მირზაანში ახლაც, როცა ვინმე გოგიას იკითხავს, უფრო იოლი მისახვედრი რომ იყოს, რომელ გოგიაზეა საუბარი, იქვე დააზუსტებს, „პელეო" და ყველაფერი ადვილად გასაგები ხდება. არ გეგონოთ, წყინდეს ეს ზედწოდება გამრჯე გლეხკაცს. მით უმეტეს, საქართველოს ისეთ კუთხეში, როგორიც კახეთია, სადაც ძვირად თუ ვინმე მოინახება, რომ ნათლობის სახელთან ერთად, ხალხის მიერ შერქმეულ სახელსაც არ ატარებდეს. ჩვენს გოგიას რა უჭირს, დაიმსახურა და დაიმკვიდრა საქვეყნოდ ცნობილი ფორვარდის სახელი „პელე", მაგრამ ზოგს ქიზიყში ისეთ სახელს შეარქმევენ, კაცი იტყვის, ნეტა არ გამეგონაო. კარგი ზედწოდების მოპოვებასაც კაცურად ცხოვრება სჭირდება... გოგია კი სწორედ რომ კაცურად ცხოვრობს.

ექსპერიმენტმა გაამართლა

ბატონ აკაკი იმნაძეს პირადად არ ვიცნობდი. პირადად, თორემ ისე კარგად ვიცოდი, ვინც იყო. პირადად რომ არ ვიცნობდი, ეს არც არის გასაკვირი. საქმე ის გახლავთ, რომ მაშინ მე მზისას რვაწლიანი სკოლის მოსწავლე ვიყავი, ხოლო ბატონი აკაკი ქლუხორის რაიკომის პირველი მდივანი გახლდათ. ასე რომ, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ მე – რაიონის ერთ-ერთი რიგითი სკოლის, ასევე, რიგით მოსწავლეს, – არ შეიძლებოდა პირადი ნაცნობობა მქონოდა რაიონში უფლებრივ-თანამდებობრივად თითქმის ყოვლისშემძლე რაიკომის პირველ მდივანთან.

მე კი არა და, ზოგადად თუ ვიტყვით, რაიკომის პირველ მდივანთან პირად ნაცნობობასა და ახლო ურთიერთობაზე ხელი ბევრ ვინმეს როდი მიუწვდებოდა იმ, ერთი შეხედვით, უბრალო მიზეზის გამო, რასაც რაიკომის პირველი მდივნობა ნიშნავდა. სიტყვამ მოიტანა, რომ ასე ვამბობ: იმ უბრალო მიზეზის გამო-მეთქი, თორემ იმ დროს ეს არც ისე უბრალო და ხელწამოსაკრავი მიზეზი გახლდათ. რაიკომის პირველი მდივანი მაშინ რაიონში, ისეთივე ყოვლისშემძლე, ანუ თითქმის ყოვლისშემძლე პიროვნება გახლდათ, როგორიც მოწესრიგებულ ქვეყანაში პრეზიდენტია. მაშინ რაიკომის მდივნის სიტყვა ყველასთვის კანონი იყო. ყოველ შემთხვევაში, სანამ კაცი რაიკომის პირველი მდივნის სავარძელს ფლობდა, იგი რაიონში ყველა კაცზე მეტად ყოვლისშემძლე იყო. ეს პრინციპი ქვეყნის მასშტაბით ურყევად მოქმედებდა და, ცხადია არც ქლუხორში ირღვეოდა. მაგრამ როგორც კი ამ პოსტს დაატოვებინებდნენ, ხალხს, ისიც არა ყველას, არამედ ნაწილს, ზოგის სახელი და გვარი ახსოვდა ერთხანს, სხვებისა – მარტო გვარი, ან მარტო სახელი. უმეტესობისა – არც ერთი და არც მეორე.

ჩემი აზრით, პარტიულ ფუნქციონერთა მიმართ ხალხის ასეთი არამდგრადი, ინდიფერენტული დამოკიდებულების უმთავრესი მიზეზი ის გახლდათ, რომ ხშირად მათი ამ მაღალ კარიერამდე ამაღლების გზები და საშუალებები ხალხის ნება, ნდობა და სიყვარული, ან მათი პირადი ღირსებები კი არ იყო, არამედ ვიღაცის მცდელობა და მოწადინება, ესა თუ ის პიროვნება ამ თანამდებობაზე დაესვათ.

ალბათ, ამიტომაც ხდებოდა, რომ უმეტესობა რამდენიმე წელს ისე იპირველრაიკომისმდივნებდა, ხალხს თავს ბევრი ვერავითარი სასიკეთო

საქმით ამახსოვრებდა. ცხადია, ყოველივე ეს მარტო ქლუხორის რაიკომის პირველ მდივნებს არ ეხებათ. ქვეყანაში უმეტესი რაიონის პირველი მდივნები ასეთები, ან დაახლოებით ასეთები იყვნენ. მაგრამ ზოგადი წესიდან გამონაკლისი ყველა საქმეში არსებობს. ალბათ, ამიტომაც, ბატონი აკაკი იმნაძე. როგორც რაიონის ხელმძღვანელი და პიროვნება, რაც მთავარია, როგორც უაღრესად გულისხმიერი ადამიანი, სულ სხვა ტიპის პარტიული მუშაკი გახლდათ. დიახ, ნამდვილად სულ სხვა ტიპის, თორემ ბატონი აკაკის შემდეგ ქლუხორში არაერთი პირველი მდივანი გამოიცვალა და, როგორც მათ უმეტესობაზე არ მითქვამს სიტყვა, არც მასზე დავძრავდი კრინტს. კაცმა რომ თქვას, ვინ მაძალებდა, რამე მეთქვა, ან რა მრჯიდა მის საქებრად დრო დამეხარჯა და თავი შემეწუხებინა! არც არავინ, მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ის სხვებს არ ჰგავდა და სხვები მას, ამიტომ მინდა ბატონ აკაკის ქლუხორის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობის პერიოდიდან რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტის გახსენებით ეს მცირე მოგონება შემოგთავაზოთ.

აკაკი იმნაძე და გალაკტიონი.

ამ კაცის მოგონებასთან წარსულის ნოსტალგია არაფერ შუაშია. ჩემთვის, ისევე როგორც ბევრისთვის, მშვენივრად არის გასაგები, რომ ძველი, დრომოჭმული უნდა დაინგრეს და მის ადგილზე ახალი, უკეთესი ცხოვრება აშენდეს, მაგრამ გვინდა თუ არა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს ის ქვეყანა, რომელსაც საბჭოთა კავშირს ვეძახდით, უნდა ვაღიაროთ, რომ მაშინ სახელმწიფო დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები, მართალია, უფრო ხშირად, ადმინისტრირების მეთოდებით, მაგრამ მუდამ ზუსტად სრულდებოდა.

ცხოვრების ამგვარი და, აგრეთვე, სხვა სახელმწიფოებრივად აუცილებელი წესებიდან გამომდინარე, ეტყობა, რამე გაუთვალისწინებელ გართულებებს ადგილი რომ არ ჰქონოდა, ქლუხორში ჩასულ ქართველ მოსახლეობას, მათ იქ ჩასახლებამდე, უკვე დანიშნული რაიონის ხელმძღვანელობა ადგილზე დახვდა.

ვისაც საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, რესპუბლიკის, მშობლიური ქალაქის, რაიონის, თუნდაც, სოფლის დონეზე გამოუცდია, მას კარგად მოეხსენება, ახალმოსახლეობას რამდენი გაუთვალისწინებელი, ძნელად

მოსაგვარებელი პრობლემა წამოებორკება. მანამ, სანამ ოჯახი დალაგდება, კაცი სულაც რომ არ მოელის, არაერთი დიდი თუ მცირე „წვრილმანი“ საკითხის გადაჭრა უხდება, რა დროსაც, ეკონომიკურად შეჭირვებული ახალმოსახლისთვის, საბოლოო ანგარიშში, დიდი ხომ თავისთავად დიდი პრობლემაა, ერთი შეხედვით, მცირეც დიდ პრობლემად ექცევა ხოლმე. ეს მშობლიური ქვეყნის ტერიტორიაზე, მაგრამ როცა ოჯახი საუკუნოვან სამემკვიდროს ტოვებს და უცხო ქვეყანასა და უცხო ადგილზე იწყებს ცხოვრებას, კაცმა თვითონ თუ არ გამოცადა, ისე ძნელად თუ წარმოიდგენს, ეს რა სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ჩასახლების პირველი დღეებიდან არა, მაგრამ პირველი თვეებიდან მოსახლეობაში უმალ გავრცელდა ხმები, ჩვენი რაიკომის პირველი მდივანი აკაკი იმნაძე, სხვა მდივნები რომ გვინახავს, იმათ არ ჰგავს. გულისხმიერი ადამიანი ჩანს. უბრალო ხალხთან ურთიერთობას არც თაკილობს და არც გაურბის. გლეხკაცისთვის მის კაბინეტში საქმეზე შესვლა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. სათხოვნელად მისულებს გულისყურით უსმენს და გასაჭირში ჩავარდნილს, ვინც უნდა იყოს, უყურადღებოდ არ ტოვებსო და სხვა. უყურადღებოდ არდატოვებაში ხალხი მასთან პირადი თუ საოჯახო პრობლემების მოსაგვარებლად სწორედ ქმედითი დახმარების აღმოჩენას გულისხმობდა პირველი მდივნის მხრიდან და ყველას გულში იმედს უსახავდა, ახლა თუ არა, როცა რამე დამჭირდება, ის კაცი, რადგან ასეთი გულისხმიერია, მეც გულისყურით გამიკითხავსო.

ქლუხორი ინტერნაციონალური რაიონი იყო. მართალია, იგი იმ დროს საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში შედიოდა და ქართულ რაიონად ითვლებოდა, მაგრამ მის ტერიტორიაზე, – ცენტრში თუ სოფლებში, ქართველებზე არანაკლები რაოდენობით სხვა ეროვნების ხალხები – რუსები, სომხები, ოსები, უკრაინელები, ჩერქეზები, ებრაელები, სხვები და სხვები ცხოვრობდნენ. მათ შორის იყვნენ ცოლ-ქმარი არხიპოვებიც. ხოლო თუ რატომ ვამახვილებ ყურადღებას მაინცდამაინც მათზე, ახლავე მოგახსენებთ.

ცოლი სასტუმროში დამლაგებლად მუშაობდა. გამრჯე, შრომისმოყვარე ქალი იყო. ქმარი, მგონი, ერთხანს ბაზარში დარაჯად იდგა და თუ სხვა რამესაც დაავალებდნენ, არც მის შესრულებაზე ამბობდა უარს. ასე რომ, უქნარა ვინმეაო, ვერც მასზე იტყოდით, მაგრამ სასმელი უყვარდა ზომაზე მეტად.

ერთხანს უთმინეს, გააფრთხილეს, დაემუქრნენ, მაგრამ რომ არაფერმა გასჭრა – გამუდმებულ სმას თავი არ დაანება – სამუშაოდან გაათავისუფლეს. ეს არც იყო გასაკვირი, დღედაღამ მთვრალს რა დარაჯობა უნდა გაეწია! თუმცა, სმას არც ამის შემდეგ შეეშვა.

ცოლს გაუჭირდა მრავალშვილიანი ოჯახის და სმას გადაყოლილი ქმრის რჩენა. სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა, ადგა და ბატონ აკაკი იმნაძესთან მივიდა, თავისი ოჯახური მდგომარეობა აუხსნა და დახმარება სთხოვა. იმ

დროს, ესეც საბჭოური ცხოვრების წესის ნაწილი გახლდათ – თუ ამის აუცილებლობა მოითხოვდა, ხელმძღვანელ ამხანაგებს – კარგი გაგებით, მათი ქვეშემრდომი ადამიანების პირად ცხოვრებაში ჩარევაც შეეძლოთ, ანუ სამსახურებრივად ევალებოდათ.

ბატონმა აკაკიმ, როგორც საერთოდ სჩვეოდა, პირადი ცხოვრებით შეჭირვებულ ქალს გულისყურით მოუსმინა და მერე უთხრა, ვნახოთ, შეეცდები, დაგეხმაროთო. მაგრამ როცა ამ ზოგადად ნათქვამ სიტყვაზე ქალს წყენა, უნდობლობა და იმედგაცრუება შეატყო, საქმეში სიცხადის შესატანად დააზუსტა, შესაბამის სამსახურს დავავალებ, შენს ქმარს ლუდის ქარხანაში რამე შესაფერისი ადგილი გამოუნახონ, ხელფასი ექნება და შენც და ოჯახსაც ხელს შეგაშველებთო.

ამგვარი, მისთვის მიუღებელი წინადადებით წონასწორობადაკარგულმა ქალმა ვერ მოითმინა და მდივანს მკვახედ უთხრა, ამხანაგო მდივანო, ფულს იხდის და ღვინის და არყის სმას ახლა არ იკლებს. ლუდის ქარხანაში რომ მუქთა სასმელს ნახავს, ხომ შიგ ჩაიხრჩობა და უფრო მეტი თავსატეხი გამიჩნდება, ეს სადაური დახმარებააო.

– არ ჩაიხრჩობა. – სცადა ქალის დამშვიდება ბატონმა აკაკიმ. – განა რუსული ანდაზა არ არის, სოლს ხიდან ისევ სოლით ამოაგდებენო. მე და თქვენ სხვა გამოსავალი მაინც არა გვაქვს და ბარემ ესეც ვცადოთო.

ერთი სიტყვით, ის კაცი ლუდის ქარხანაში მუშაობის პირველ დღეებში, მართლაც, არ იკლებდა ცივი ლუდის სმას. იკლებდა კი არა, შიგ ბუზივით ვარდებოდა, მაგრამ, როცა დარწმუნდა, რამდენიც სურდა, იმდენის დალევა შეეძლო, თვალი და გული გაუძღა და... ექსპერიმენტმა გაამართლა.

ალბათ, ზედმეტია იმის თქმა, რომ იმ ქალს ამის შემდეგ მზე და მთვარე ბატონ აკაკიზე ამოსდიოდა. სწორედ მისი დახმარებით შვილები უმამობას გადაურჩნენ, ოჯახი – შიმშილს და მუდმივი ლოთობით თავდატეხილ გასაჭირს, ხოლო თვითონ ქალი – უქმრობას. ის კაცი სმით ამის შემდეგაც სვამდა, მაგრამ ზომიერად. ამიტომაც მასზე ვერავინ იტყოდა, ლოთიაო.

ქლუხორი პატარა რაიონი იყო, თითქმის ყველანი ერთმანეთს ვიცნობდით და იქ მომხდარი ყოველგვარი ასეთი „მცირე" ამბავი, რაკი ერთხელ სადმე ითქმებოდა, მერე ხმელ ბალახს მოდებული ალივით, მთელ ქალაქში უმალ ვრცელდებოდა.

ახლა კარგად აღარ მახსოვს იმათი სახელი და გვარი ვისზეც უნდა მოგითხროთ, ეს შემთხვევა კი სოფელ ახალშენში მოხდა. აქაურ ერთ-ერთ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ტყუპი ვაჟი შეეძინა.

შვილის შეძენა რომ ოჯახისთვის მუდამ უდიდესი ბედნიერებაა, აბა, ამის მტკიცება ვის სჭირდება. ტყუპი ვაჟის შეძენა მით უმეტეს! სხვისი არ ვიცი, მაგრამ პირადად მე ტყუპების გაჩენა ბუნების რაღაც უჩვეულო, ღვთაებრივი მოვლენა მგონია და აღტაცებას ვერ ვფარავ მათ დანახვაზე.

ერთი სიტყვით, ტყუპი შვილების შეძენით ახალშენში მცხოვრებმა ახალგაზრდა მშობლებმაც უზომოდ გაიხარეს, მაგრამ დედ-მამის სიხარულს ფრთები ეკონომიკურმა სიდუხჭირემ შეაჭრა.

დედა, ცხადია, ოჯახის და ახალშობილთა მოვლით იყო დაკავებული. ქმარი კოლმეურნეობის ფერმაში მწყემსად მუშაობდა და სანაქებო მუშაკად ითვლებოდა. მაგრამ სავალალო ის იყო, რომ ოჯახს ბევრს ვერაფერს შველოდა მწყემსი მამის დაუღალავი შრომა.

ცოლ-ქმარს ძალიან რომ გაუჭირდა, ტყუპების მამამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიაკითხა და დახმარება სთხოვა. წესი იყო, ასეთ შემთხვევაში, სოფლის გულისხმიერ თავკაცს ყველაფერი უნდა ეღონა, რომ მისი კოლწევრის ოჯახს რითაც შეეძლო, იმით დახმარებოდა. გულისხმიერი თორემ... მაშინდელმა ამავე სოფლის მკვიდრმა თავმჯდომარემ, თუმცა დახმარება კი აღუთქვა ტყუპების მამას, მაგრამ დანაპირები არ შეუსრულა.

გამოსავლის ძებნით შეჭირვებულ მეუღლეს ცოლმა ურჩია, ჩვენს რაიკომის პირველ მდივანზე ამბობენ, ყურადღებიანი კაცია. სხვები თუ აკითხავენ, შენც მიდი და თხოვე, იქნებ ის მაინც დაგვეხმაროს, თორემ შვილები ურძეობით დაგვეხოცებიანო. როცა ქმარს ყოყმანი შეატყო, იქვე ისიც დაუმატა, წადი კაცო, მათხოვარი ვის მოუკლავს, თუ არ გაგვიკითხავს, იმას მაინც გავიგებთ, ხალხი რამდენად მართალს ამბობსო.

ოჯახის მამა წავიდა, მაგრამ თავმჯდომარის უსულგულობით გულგატეხილს, არაფრის იმედი არ ჰქონდა – მდივანიც ისეთი არა-მგამა იქნება, როგორიც ეს ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეაო, ფეხები უკან რჩებოდა და მისკენ არც გული არ მიუწევდა.

კაბინეტში შესულმა მდივანს დაწვრილებით აუხსნა თავისი ოჯახის მდგომარეობა. როგორც მისივე თანასოფლელები მისგან ნაამბობის მიხედვით ყვებოდნენ, ბატონმა აკაკიმ გულისყურით მოუსმინა და მერე მოკლედ უთხრა, ჩემთვის ყველაფერი გასაგებია, წადი და რაღაცას მოვიფიქრებთო.

ის კაცი თურმე კაბინეტიდან იმაზე მეტად დაძმარებული გამოვიდა, ვიდრე შევიდა.

„აკი, დარწმუნებული ვიყავი, რომ აქედან არაფერი გამოვიდოდა. სულ ტყუილა დავიჯერე სხვებისა და ცოლის ნათქვამი, გულისხმიერი კაციაო. ეგეც შენი გულისხმიერი კაცი! დახმარებით ხომ არ დამეხმარა, კეთილი და დამაიმედებელი სიტყვა მაინც ეთქვას ამ დალოცვილს. რაც უნდა იყოს, გაჭირვებულისთვის იმედიანი სიტყვაც რაღაცას ნიშნავს", – გულდაწყვეტილი ფიქრობდა შინისაკენ გუნებადაძმარებით მიმავალი ოჯახის მამა.

მაგრამ შინ შესულმა სახეზე ბედნიერების ღიმილი გადაიფინა, შვილებს მოეფერა და არც ცოლს აგრძნობინა, რომ თავმჯდომარისა არ იყოს, არც მდივანი შეხვდა ისეთი ყურადღებით, როგორადაც მოელოდნენ.

მეუღლის კითხვაზე, რა ჰქენიო, ღიმილით დაიმედა, მდივანმა მითხრა, დარდი ნურაფრის გექნებათ, მე აქ ვიყო და თქვენ და თქვენს ტყუპებს

რამე როგორ გაუჭირდებათო. თან გულში დაუმატა, ნეტავი მართლაც ასე იყოსო.

ბატონმა აკაკიმ თურმე იმ დღესვე თავისთან დაიბარა ახალშენის კოლმეურნეობის თავმჯდომარე და კარგა გვარიანად შეახურა.

კაცი ქვეყანას ტყუპ ვაუებს უზრდის, არც სოფლის საქმეს ღალატობს და მე და შენ იმაზე უკეთესს რას გავაკეთებთ, თუ ასეთ ხალხს, გასაჭირში ხელს შევაშველებთ. ჩვილებს რძე რომ არ მოაკლდეთ ხვალვე შენ თვითონ მიჰგვრი ერთ მეწველ ფურს კოლმეურნეობის ფერმიდან. როგორც წესი მოითხოვს, გააფორმებ კიდეც. გახსოვდეს, იმ კაცს ამ საქმეზე ჩემთან მოსვლა კიდევ აღარ დასჭირდეს, თორემ... – რაიკომის მდივნის სიტყვა რაიონში უმკაცრესი კანონი იყო და კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სად ჰქონდა ორი თავი, კანონის ტოლფასი განკარგულება არ შეესრულებინა!

კიდევ ერთი შემთხვევა მინდა გავიხსენო ბატონ აკაკის გლეხებთან გულისხმიერი ურთიერთობის დასტურად.

ისე მოხდა, რომ ერთ დღეს ბატონი აკაკი მძღოლთან ერთად, ცხადია, მანქანით, რაიონიდან მზისაში მიდიოდა. გზად ფეხით შინისაკენ მიმავალ ორ მზისელ გლეხს: ოყა გავაშელიშვილს და ერმილე ლობჯანიძეს წამოეწია. შოფერს მანქანა გააჩერებინა და გლეხებს შიგ ჩასხდომა შესთავაზა, მეც იქეთ მივდივარ, ერთად წავიდეთო.

გლეხებს მოერიდათ სამუშაო ტანსაცმლით მდივანთან მანქანაში ჩასხდომის, და იუარეს, თქვენ წაბრძანდით, ჩვენ ფეხით წამოვალთო, მაგრამ ის მაინც არ მოეშვათ.

ოყას ხელში თომის კონა ეჭირა და გადააგდო, ხელმწიფის ტოლი კაცის მანქანაში ამას როგორ შევიტანო.

ცხადია, მდივანს ეს არ გამოპარვია. გლეხებს ნაფიქრს მიუხვდა და მათი მორიდებულობაც გულში სათანადოდ დააფასა. მაინც იკითხა, რა არის, რაც გადააგდეთო.

გლეხებმა აუხსნეს, ბალახია ერთგვარი, თომს ვეძახითო.

– გჭირდებათ? – გამოკითხვა განაგრძო მდივანმა.

– ახლა არა, მაგრამ ზამთარში ქალამანში ჩასაფენად ვიყენებთ. ეს ბალახი ფეხს, როგორი ყინვაც არ უნდა იყოს, მშრალად და თბილად ინახავს. – აუხსნა ერმილემ.

– ასე თუა, აიღეთ და თან წამოიღეთ. მოგითიბავთ, აქამდე ხელით მოგიტანიათ და სოფლამდე მანქანით ვეღარ მივიტანთ?

ოყამ და ერმილემ ერთმანეთს შეხედეს. იფიქრეს, ალბათ, გვცდის, თორემ ვის გაუგონია, რაიკომის პირველ მდივანს მტვერში ამოგანგლული გლეხკაცი მანქანაში ჩაესვას. ეს კიდევ არაფერი. იქნებ ამისთანა რამ სულაც არ ყოფილიყო საკვირველი, მაგრამ რაღაც ბალახის კონები მოიტანეთ და მანქანაში დააწყვეთო, ეს ნამეტანი იყო. ბოლოს, მაინც ასე გამოვიდა.

მზისაში მანქანიდან თომიანად გამოსულებს თანასოფლელებმა გვარიანი საყვედური აკადრეს ორივეს – ეგ რა გიქნიათ, რაიკომის პირველი მდივნის მანქანაში თომის კონები როგორ შეიტანეთ, ის კაცი რას იტყვის, ამ ხალხს არც უცხო და საპატიო სტუმარი სცოდნია, არც კულტურა ჰქონია და არც თანამდებობრივად უფროსისადმი რიდიო.

ერმილემ და ოყამ თავი იმართლეს. თომი კი არა, მანქანაში ჩაჯდომასაც არ გვინდოდა, მაგრამ არ მოგვეშვაო და დაწვრილებით მოყვნენ, რაც თავს გადახდათ.

ბევრმა შეიძლება იფიქროს, ასეთი წვრილმანი და იაფფასიანი ქმედებებით მდივანი კეთილი და დემოკრატი ხელმძღვანელის როლს თამაშობდაო. ვერ გეტყვით, იქნებ ნაწილობრივ მართლაც ასე იყო, მაგრამ სხვები, ვინც რაიონში მის შემდეგ მდივნობდნენ, რატომ ისინი არ თამაშობდნენ გლეხკაცებთან ამგვარი ქმედებებით გულისხმიერი პიროვნების და დემოკრატი ხელმძღვანელის როლს?! ადამიანის ყველა ნამოქმედარს შეიძლება მიზეზი და ნაკლი მოვუძებნოთ, თუ არ გვინდა, რომ კარგში კარგი დავინახოთ. გააჩნია, რა კუთხით შევხედავთ მას. მაგრამ ადამიანებისადმი გულისხმიერების გამოჩენა და გასაჭირში მყოფთათვის ხელის გაწვდენა ყველა დროში კეთილშობილურ საქციელად ითვლებოდა და ითვლება. ეს თვისება არასოდეს არ აკლდა ქლუხორის რაიკომის პირველ მდივანს, ბატონ აკაკი იმნაძეს. იგი ამას თავისი ყოველდღიური ცხოვრებით ამტკიცებდა.

მოხდა ისე, რომ დიდი ხნის შემდეგ ერთ-ერთ მის ბიძაშვილს თუ მოგვარეს შევხვდი. მასთან საუბარში ბატონი აკაკი გავიხსენე და მისდამი ჩემი გულთბილი დამოკიდებულება გულწრფელად გამოვხატე. მან ერთხანს მისმინა და მერე საკმაოდ ცივად მითხრა, ეგ ყველაფერი არაფერს ნიშნავს, იგი მაინც კომუნისტი იყო და ეს მთელ მის ნამოქმედარს წყალში ყრისო. იქნებ, მართლაც, კომუნისტობა მისი რწმენა იყო. რაც სჯეროდა იმას ემსახურებოდა, თუმცა, ჩემი აზრით, კომუნისტობის გამო მას მაღალი ადამიანური ღირებულებებისთვის არასოდეს ულალატნია. მთავარი ის გახლავთ, რომ კომუნისტობასაც და თანამდებობასაც ბატონი აკაკი ადამიანების სამსახურისთვის იყენებდა, რასაც, ვერც მაშინ და ვერც დღეს ყველაზე ვერ ვიტყვით. თუმცა, მივყვეთ სათქმელს ბოლომდე...

უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის დასახელება მიმდინარეობდა. იმდროინდელი წესის მიხედვით, მზისას მოსახლეობამ ბატონი აკაკის კანდიდატურა წამოაყენა. იგი სოფელში ამოვიდა და, როგორც საქმის პროცესუალური ნორმები მოითხოვდა, ამომრჩევლებს სოფლის კლუბში შეხვდა. დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი ამავე სოფლის ბიბლიოთეკის გამგე ვახტანგ გავაშელი გახლდათ.

ბატონი ვახტანგი ნაკითხი, წიგნიერი კაცი იყო. მშვენიერ ლექსებსაც წერდა. ერთი სიტყვით, ენა უჭრიდა, სიტყვა მოსდევდა და ამაზე უკეთეს

მიზეზს სად იშოვიდა, რომ დეპუტატობის კანდიდატი რაიკომის პირველი მდივნის წინაშე თავისი შესაძლებლობა სრულად გამოემჟღავნებინა! მით უმეტეს, დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრება და მოღვაწეობა ხელ-ფეხს უხსნიდა, რომ ქებაში გულუხვად დახარჯულიყო.

იმ დღეს ჩვენი სოფლის კლუბში, სადაც ხალხი თავის დეპუტატობის კანდიდატს ხვდებოდა, უფროსებზე მეტი სკოლის მოსწავლეები ვიყავით. დასაჯდომ ადგილს ჩვენთვის მაშინ იქ ვინ გაიმეტებდა. ამიტომ, ვისაც სად შეგვეძლო, იქ ვიყავით შეყუჟული: ნაწილი სადღაც ფეხზე მდგომი, სხვები – ჩამომჯდარი, ზოგი ფანჯრის რაფაზე, ზოგიც – იატაკზე. ოღონდ უფროსებს გარეთ არ გამოვეყარეთ და ამას სულ არ ვჩიოდით.

ვახტანგ გავაშელს აკაკი იმნაძის კაი კაცობა რომ ამომრჩეველ-მსმენელებისთვის უფრო თვალსაჩინო გაეხადა, არ ვიცი, სიტყვას თავისთავად მოჰყვა, თუ მდივნის სახელმა შეუწყო ხელი, ვგონებ, სათქმელი ერთმაც და მეორე გარემოებამაც უკარნახა. ნათქვამში ილიას დაესესხა და მსმენელებს რიხით აუწყა, ჩვენი მდივანი იმდენად პოპულარულია, ბავშვმაც კი იცის, ვინ არის კაკო.

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ ნარედაქტორალ კაცს, ბატონ აკაკის ლიტერატურაც რომ პარტიულ საქმეზე არანაკლებ სცოდნოდა, ამაში გასაკვირი არაფერია. ლიტერატურასთან ერთად, მას არც იუმორის გრძნობა აკლდა და ენაც უჭრიდა. ამიტომაც, როგორც კი მისმა ნდობით აღჭურვილმა პირმა ილიას ზემოთ მოხმობილი სტრიქონი წარმოთქვა, ბატონმა აკაკიმ სიცილით მოუჭრა: ჩემო ვახტანგ, შენ თუ ზაქროობა გინდა, მე, რაიკომის პირველ მდივანს, კაკო ყაჩაღობას ნუ დამაბრალებ, თორემ ამის გამო შეიძლება, არამც თუ დეპუტატად ამირჩიონ, რაიკომის პირველი მდივნობიდანაც გადამაყენონ, ყაჩაღი რაიკომის მდივანი როგორ იქნებაო, რამაც დარბაზში ხალისიანი სიცილი გამოიწვია, დაძაბული განწყობილება განტვირთა და იქ შეკრებილები გაახალისა.

ბატონმა აკაკიმ ქლუხორის რაიკომის პირველ მდივნად ხუთი წელი იმუშავა. შემდეგ იგი პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად დააწინაურეს, სადაც შვიდ წელზე მეტხანს უძღვებოდა საქმეს ამ მეტად რთულ უბანზე. ბოლოს იგი გარდაბნის რაიონის გამარჯვების საბჭოთა მეურნეობას დირექტორობდა...

– ბატონი აკაკი იმნაძე რომ მეურნეობის დირექტორი იყო, მე იმ წლებში დავსახლდი სოფელ გამარჯვებაში. – მიამბო ოთარ ლობჯანიძემ (ზალიკიანთი). – ახალ ადგილზე ცხოვრების წამოწყებას არაერთი წინააღმდეგობა და სიძნელე ახლავს. ამ დროს კეთილი გულით ნათქვამ სიტყვას და რჩევასაც დიდი ფასი აქვს, თორემ ვინმეს მიერ გაწეულ თვით უმცირეს დახმარებასაც კი კაცს რა დაავიწყებს!

ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ვიტყვი, რომ ახალ ადგილზე დაბინავებისას, სანამ ხალხს გავიცნობდი, გარემოს შევეგუებოდი და სიტუ-

აციას ალღოს ავუღებდი, არაერთ გაუთვალისწინებელ სირთულეს გადავაწყდი. მაგრამ უმეტესი მათგანი ადვილად მოვაგვარე და საქმეც ნელ-ნელა ავაწყვე.

ახალ გარემოებაში როგორც კი თავი მყარად ვიგრძენი, გადავწყვიტე ღებიდან მოხუცი მშობლები საცხოვრებლად ჩემთან გადმომეყვანა. ამ განზრახვას, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას, თითქოს წინ არავითარი დაბრკოლება არ ედგა, მაგრამ შინაგანმა ხმამ მიკარნახა, სიფრთხილე და წინდახედულება გამომეჩინა. საქმის შემდგომმა განვითარებამ მალე დამარწმუნა, რომ არ შევმცდარვარ. სასოფლო საბჭოს მაშინდელ ხელმძღვანელობას მივაკითხე, ავუხსენი, რასაც ვაპირებდი და ვიკითხე, გამარჯვებაში მშობლების ჩამოყვანას და ჩემთან ერთად მათ ცხოვრებას კანონთან დაკავშირებით რაიმე გართულება ხომ არ მოჰყვებოდა. იმ დროს ერთი რაიონიდან მეორეში საცხოვრებლად გადმოსულ კაცს ადგილზე ჩაწერისას ზოგჯერ გვარიანი სირთულეები ახლდა.

ოთარ ლობჯანიძე
შვილთან შვილთან –
თედოსთან ერთად.

დამაიმედეს, არავითარი გართულება და წინააღმდეგობა არ მოჰყვება, მოიქეცი ისე, როგორიც სურვილი გაქვსო.

ასეთი დამაიმედებელი სიტვის შემდეგ ღებში ჩავედი, მამაპაპური ბინა გავყიდე და მშობლებთან ერთად გამარჯვებაში დავბრუნდი.

ადგილზე ჩამოსულს, სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელობამ, იმათ, ვინც დამაიმედა ამ საქმეში არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდებაო, ახლა მშობლების ჩაწერაზე ცივი უარი მითხრა, ასეთ რამეს კანონი კრძალავსო.

ვატყობდი და ამის გაგებას დიდი სიბრძნე არ სჭირდებოდა, რომ ამ ხალხის მხრიდან წინასწარ დაგეგმილ უნამუსობას ჰქონდა ადგილი. შემეძლო, როგორ არ შემეძლო, რისთვისაც ისინი ირჯებოდნენ, იმ გზით მიმეღწია იმისათვის, რისთვინაც ისინი თავისი უარით, უკანონოდ მიბიძგებდნენ, მაგრამ მათი განზრახვის განხორციელებას დუმილით ვუპასუხე. სწორედ ამ დროს მომიხდა სოფელ გამარჯვების მეურნეობის დირექტორის, ბატონ აკაკი იმნაძის ახლოს გაცნობა. ახლოს გაცნობა, თორემ შორიდან მისი სახელი და გვარი ქლუხორში ყოფნისას, როგორც იქ მაცხოვრებელს, მეც ხშირად მესმოდა.

სოფელ გამარჯვებაში ჩვენ მაშინ შემთხვევით შევხვდით ერთმანეთს. ალბათ, შემატყო უგუნებობა. დაინტერესდა და გამომკითხა, ვინ ვიყავი,

ისიც, რა გასაჭირი მქონდა. დაწვრილებით ვუამბე, რა სირთულის წინაშეც ვიდექი და ისიც, რომ არ ვიცოდი, რა მექნა.

ბატონი აკაკი ძალიან აღაშფოთა სასოფლო საბჭოს მაშინდელი მუშაკების საქციელმა. ისინი თავისთან დაიბარა და სხვა არაერთ უამურ სიტყვასთან ერთად თურმე ესეც უთხრა:

– ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, შვილს მოხუცი მშობლების თავის გვერდით ყოფნა სურს, რომ უკეთ მოუაროს. როგორც შვილის ვალია, ყურადღება მიაქციოს და მათზე იზრუნოს ამ სიბერის ჟამს. თქვენ კი იმის ნაცვლად, რომ ასეთ კეთილშობილურ საქმეში კაცს გვერდში ამოუდგეთ, პირიქით, ხელს უშლით. არ ვიცი, ვინ ხართ ასეთი უსულგულოები.

ბატონ აკაკის უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდა, ყველამ იცოდა წესრიგის და სამართლიანობის მოყვარული მეურნეობის დირექტორი უღირს საქციელს და უკანონო ქმედებას არავის აპატიებდა. ამიტომაც იყო, რომ მისი ჩარევის შემდეგ ეს საქმე უმტიკვნეულოდ მომიგვარდა.

უყურადღებოდ არც ამის შემდეგ მიუტოვებივარ. ამ ამბიდან რამდენიმე დღის შემდეგ ბატონმა აკაკიმ თავისთან დამიბარა და ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა. რომ გაიგო ინჟინერი ვიყავი, მითხრა, მეურნეობაში საქმის მცოდნე ინჟინერი მჭირდება, თუ რამე ხელს არ გიშლის, მოდი და იმუშავეო.

ასე მომიწია რამდენიმე წელი მის გვერდით მუშაობა. რაც დრო გადიოდა და ახლოს ვეცნობოდი, სულ უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ოგი ბუნებით იყო ასეთი ადამიანი: მუდამ იმას ცდილობდა, კეთილი საქმე ეკეთებინა. ადამიანები უყვარდა და თუ ვინმეს მისი დახმარება სჭირდებოდა, რითაც შეეძლო, ხელს უანგაროდ უმართავდა.

ამ ამბის დასაწყისში ვთქვი, ბატონ აკაკი იმნაძეს არ ვიცნობდი-მეთქი. ეს, მართლაც, ასე იყო. შორიდან მისთვის თვალი არაერთხელ მომიკრავს, მაგრამ დალაპარაკებით არასოდეს დავლაპარაკებივარ. ამის მიზეზიც დასაწყისში ვთქვი, მაგრამ იმ სხვათა მოგონებებით, რაც მასზე ქლუხორში მცხოვრები ზოგიერთი მისი ახლო ნაცნობი ქართველისგან მსმენია, შევეცადე ამ ქვეყნიდან ვალმოხდილად წასულ, კეთილ და გულისხმიერ კაცზე ორიოდე თბილი სიტყვა მეთქვა. რამდენად შევძელი ამ განზრახვის შესრულება, ამის განსჯა მკითხველისთვის მიმინდვია.

შემთხვევა, რომელიც კინაღამ სამედისწეროდ მექცა

ბატონ აკაკი იმნაძეზე საუბრისას ვახტანგ გავაშელიც ვახსენე. იგი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის, ქლუხორის რაიონის პირველი მდივნის ნდობით აღჭრვილი პირი იყო-მეთქი, ვთქვი. ის შემთხვევაც, რომელზეც ქვემოთ მინდა, გიამბოთ და, რაც კინაღამ სიცოცხლის ფასად დამიჯდა, ისიც ვახტანგთან არის დაკავშირებული. მას შემდეგ აგერ უკვე რამდენიმე ათეულ წელზე მეტი გავიდა, მაგრამ მისი ყოველი წვრილმანიც კი, ისე ცხადად მიდგას თვალწინ, თითქოს გუშინ, ან გუშინწინ მომხდარიყოს. ესეც, ჩემთვის, იმ ამბის დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

მეორე მხრივ, ალბათ, აუცილებელია ესეც ვთქვა: ამდენი ხნის განმავლობაში მასზე არაერთხელ მიფიქრია. იმ დღევანდელი შემთხვევა გონებაში უკანასკნელ წვრილმანამდე აღმიდგენია. ყველაფერი ახალი, თუ გნებავთ, ეჭვის თვალით გამიჩხრიკავს, ამიწონ-დამიწონია, გამიანალიზებია და შემიფასებია, მაგრამ ბოლომდე ვერ ამიხსნია, რამ, რა ძალამ მიხსნა იმ საბედისწერო წუთებში აშკარა სიკვდილისაგან. რა კეთილმა ძალამ მომაბრუნა უკან იმქვეყნად მიმავალი. ჩემს თავზე დატეხილი ეს შემთხვევა შეიძლება შევადაროთ სახრჩობელაზე გაყვანილის ბედს, როცა სიკვდილმისჯილი სიკვდილს თვალებში ჩასქერის, ფეხებიდან სკამს გამოაცლიან და ყველა დარწმუნებულია – დამსჯელიც და განაჩენგამოტანილიც, – რომ უცნობ სამყაროში გადასვლიდან ხსნა არსად ჩანს და... ამ დროს, ყველასათვის მოულოდნელად, თოკი წყდება, რაც „მიცვალებულს“ ამ ქვეყანაზე აბრუნებს. ან ათი კილომეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდნილი თვითმფრინავის ყველა მგზავრი იღუპება და ერთადერთი კი ცოცხალი და საღ-სალამათი რჩება. გინდაც უკიდეგანო ოკეანეში გემს ქარიშხალი ნაფოტებად აქცევს. ყველა შიგ მყოფს ზღვის უფსკრული შთანთქავს. ამ დროს სხვებისგან, ერთი შეხედვით, არაფრით გამორჩეულ ერთ ვინმეს ტალღები სრულიად უვნებელს ნაპირზე გამორიყავს.

ასეთებზე იტყვიან, განსაკუთრებულ ვარსკვლავზე დაბადებულები, პერანგით შობილები არიან და ღმერთი სწყალობთო. ალბათ, მართლაც, ასეა, მაგრამ თუ ჩემს მრავალმხრივ მარცხიან, წარუმატებელ, კვიმატიან ცხოვრებას გავითვალისწინებთ, ვერ ვიტყვი, რომ მე იმ ადამიანთა რიცხვს

მივეკუთვნები, ვინც ზემოთ ვახსენე და რომელთა შესახებაც ვაუა ბრძანებს: „ალბათ სწყალობენ ვაუკაცსა, ის ანგელოსნი ზენანი“. არადა, ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც მაშინ აღმოვჩნდი, ყოვლად შეუძლებელი იყო ადამიანის არამც თუ საღ-სალამათად, არამედ საერთოდ, ცოცხალად გადარჩენა, მე კი კანიც არ გამკაწვრია.

შემთხვევა ჩემთვის დღესაც იმდენად დაუჯერებელია, რომ ზოგჯერ მეჩვენება, ეს ამბავი, მე კი არა, სხვას გადახდა თავს, სხვამ მიამბო ყოველივე და მე ის ზღაპარი მგონია. ხანდახან აბსურდულ აზრამდეც მივდივარ: ვითომ რომელიღაც ბოროტმა ძალამ ჩემი დაღუპვა მოინდომა, ბედმა და ჩემმა მფარველმა ანგელოზმა არამც თუ სიკვდილს ხელიდან გამოსტაცა, არამედ ისე გადამარჩინა, რომ ფრჩხილიც კი არ დამზიანებია. ამ შემთხვევას საგანგებო იდუმალებით მოცულად ვთვლი და რეალური განზომილებიდან ირეალურში გადავდივარ. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც ამაშია რამე საგანგაშო და დაუჯერებელი.

ვატყობ, ერთობ გამიგრძელდა ზოგადი საუბარი. ალბათ, დროა, თვითონ შემთხვევა მოვყვე. მაშინ უფრო ნათელი გახდება, რამდენად დამაჯერებელია სხვების გნებავთ, ჩემს შესახებ ჩემს მიერვე ზოგადად გაკეთებული დასკვნები.

როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, მდინარე თებერდა ორ, არათანაბარ ნაწილად ჰყოფდა მზისას. ერთ მხარეს, ვაკეზე, სოფელი იყო გაშენებული. მის გაღმა ნაწილში კი ცარიელი კაპიტალური შენობები იდგა, სადაც რამდენიმე მათგანში სოფლიდან გასულ ოთხ-ხუთ ოჯახს დაედო ბინა. ამ მხარესვე იყო, მართლაც, მშვენიერი საკოლმეურნეო ბაღი, სადაც ყველა ჯიშის ხეხილი ხარობდა.

ეს ბაღი ერთხანს მამაჩემს ებარა. იქ ის მებაღეც იყო, მეკუჭნავეც, აგრონომიც და მომვლელ-დარაჯიც. ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე და მერეც იგი ამ ბაღს თავს დასტრიალებდა, რომ არაფერი გაფუჭებულიყო. შემოდგომობით ბაღში ხილი იკრიფებოდა და უკლებლივ კოლმეურნეობის საწყობს ბარდებოდა. შემდეგ ხდებოდა რეალიზაცია და აქედან შემოსული ფული, სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებთან ერთად, კოლმეურნეებს შრომადღეებზე უნაწილდებოდა.

საზოგადოდ თუ ვიტყვით, ქლუხორის რაიონის სოფლებში ქართველი მოსახლეობის ჩასახლებამდე მცხოვრები ყარაჩაელები ძირითადად მესაქონლეობას მისდევდნენ. მათი მთავარი საქმიანობა ცხვარ-ძროხის მოვლა-მოშენება გახლდათ, რისთვისაც აქაური ბუნებრივი პირობები მეტად ხელსაყრელი იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, მათთვის არც მიწათმოქმედება იყო უცხო და სხვა რამეზე ნაკლებად, არც ხეხილის ბაღების გაშენება ეხერხებოდათ. ალბათ, ამიტომაც მზისაში, ყველა სახლი ხეხილის ბაღებში იყო ჩადგმული. ბარაქალა იმ კაცის მარჯვენას, ვინც მიწის ყადრი იცის, მიწის მოვლა-პატრონობა ემარჯვება და თავისი შრომით მოწეული სარჩოთი ცხოვრობს!

...ასე და ამრიგად, შემოდგომის ერთ მზიან, ნათელ დღეს, როცა საკოლმეურნეო ბაღში ხილი იკრიფებოდა, შინიდან მამასთან გამაგზავნეს. მაშინ ასე, 10-12 წლის ვიქნებოდი. გზად მიმავალს ჩემი თანასოფლელები, რაუიკო და აფრასო ლობჯანიძეები წამომეწივნენ. მკითხეს, მამასთან მიდიხარო? რომ ვუთხარი, დიახ-მეთქი, მითხრეს, ერთი გზა გვქონიაო და სამივენი ერთად გავუყევით სავალს.

ცხადია, არ მიკითხავს, ისინი მამასთან რისთვის მიდიოდნენ.

ხიდი გადავიარეთ და საკოლმეურნეო ბაღისაკენ მიმავალ გზას აღმა შევუდექით. ასე, ორმოცდაათი მეტრი თუ გვექნებოდა ხიდიდან იმ გზაზე გავლილი, დავინახეთ თავქვეზე ჩვენსკენ თავგამეტებული ჭენებით მომავალი მხედარი. მის დანახვაზე რაუიკო ბიძიამ თქვა, მაგ ცხენზე ნამდვილად ვახტანგი ზისო (ეს ვახტანგი, ვახტანგი გავაშელი იყო, ზემოთ რომ ვახსენე).

კი, ნამდვილად ვახტანგია, ხოლო ცხენი – ფისტოლიო, – დაემოწმა აფრასო ბიძია. ასე ერქვა იმ ცხენს. იგი ერთი წლის წინათ მილიციის მუშაკებმა ქლუხორის ტყეებში შეპყრობილ ყაჩაღების ჯგუფს ჩამოართვეს და, ორ სხვა ცხენთან ერთად, ჩვენი სოფლის კოლმეურნეობას გადასცეს.

ფისტოლი ყოველ მხრივ დიდებული ცხენი იყო, მაგრამ ერთი უცნაური თვისება სჭირდა: როცა ჭენებით გახურდებოდა, კისერს გაიწვდიდა და კარგი ვაუკაცი და არანაკლები თავმომწონე მხედარი უნდა ყოფილიყო, რომ მისთვის კისერი მოედრიკა, და სურვილისამებრ, როცა თვითონ სურდა, მაშინ გაეჩერებინა.

– ვახტანგი ზის და თანაც გვარიანად ნასვამი ჩანს. – დაასკვნა აფრასო ბიძიამ. – მაგრამ მაგ ცხენზე, ისიც ნასვამი, რამ შესვა ეგ კაცი, როცა მასზე შეჯდომას ბევრად უკეთესი მხედრები სიფხიზლეშიც კი ერიდებიან.

– სიფხიზლეში არც ეგ შეჯდებოდა, მაგრამ, ეტყობა, არაყმა დააკარგვინა საკუთარი თავის კონტროლი, სამაგიეროდ, სითამამე შეჰმატა. – დაუმატა რაუიკო ბიძიამ.

– გზიდან გადავიდეთ, თორემ მაგისი თვალების პატრონმა, შეიძლება, ცხენი დაგვაჯახოს. – სიფრთხილე გამოიჩინა აფრასო ბიძიამ და გზის ქვევით პირველი თვითონ ჩახტა. აფრასოს რაუიკოც მიჰყვა და მეც მათ მივბაძე, მაგრამ იქ მეტი ადგილი არ იყო და გზის კიდესთან უფრო ახლოს მომიწია დგომა. ისინი ჩემს ქვემოთ, გზიდან შორს იდგნენ.

ვახტანგს სუსტი მხედველობა ჰქონდა. ამას დაემატა არყით გათამამება. თავისი თანატოლების – რაუიკოს და აფრასოს ხუმრობით შესაშინებლად (ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია) ჭენების ეშხში შესული, ისედაც უცნაური ხასიათის ცხენი გზის კიდესთან მოაგდო. გაჭენებულმა ცხენმა გვერდი შემახო, ხოლო, ვახტანგმა ფეხი უნებურად მკერდში მკრა (წინასწარ განზრახვით ამის არავითარი საფუძველი არ ჰქონდა მას). ასე იყო თუ ისე, უდიდესი ძალით დაჯახების შემდეგ გზიდან გადავარდი და კლდოვან ფერდობზე გორვა-გორვით დავეშვი.

მინდა გითხრათ, რომ ფერდობი, სადაც გზიდან გადავარდნილი მივგორავდი, ათი-თხუთმეტი მეტრი სიმაღლის მაინც იქნებოდა და თანაც ერთიანად სიპი კლდე და ციცაბო იყო. იგი ასე ორი მეტრის სიმაღლის შვეულად ჩაჭრილი ფლატეთი ბოლოვდებოდა და ძირი ვაკეზე ედგა. ეს ვაკე ერთიანად მოფენილი იყო წვეტიანი ლურჯი ქვებით. ალბათ, როცა გზა გაღმა დასახლებისა და ბაღისკენ გაჰყავდათ, კლდეს აფეთქებდნენ. კლდის ნაშალი ქვების ნაწილი წყალში თუ ცვიოდა, უფრო მეტი მდინარის კიდეზე, იმ ვაკეზე ეყარა, სადაც გზიდან გადმოვარდნილი დავეცი.

ვერ ვიტყვი, რომ დაცემისას გონება დავკარგე, ვერ წამოვდექი, ასე შემდეგ და ასე შემდეგ-მეთქი. არაფერი ამის მსგავსი. დავეცი თუ არა, ფეხზე წამოვდექი. არც ტკივილი მიგრძვნია, არც სადმე განაკაწრი მქონია, მხოლოდ ერთგან, შუბლზე ოდნავ შესამჩნევი კოპი მაჯდა და რომ არა იმ სიმაღლიდან გადმოვარდნა, შეიძლება, იმ კოპისთვის ყურადღებაც არ მიმექცია არც მე და, ალბათ, არც სხვას.

უკვე ფეხზე ვიდექი, როცა რაჟიკო, აფრასო და, ბოლოს, ვახტანგიც მოცვივდნენ. ისეთი შეშინებულები ჩანდნენ, უთუოდ დარწმუნებული იყვნენ, რომ ცოცხალი არ ვიქნებოდი. სულაც არ იყო გასაკვირი, მათ ასე ეფიქრათ და ასეც მომხდარიყო! ცხენის ისეთი ძალით დაჯახების შემდეგ იმხელა კლდოვან ციცაბო ფერდობზე დაგორებული, რასაც წვეტიან ქვებზე დაცემაც დაემატა, ყოვლად წარმოუდგენელი იყო, ადამიანი არამც თუ უვნებლად, საერთოდ, ცოცხლად გადარჩენილიყო. მიკვირს ნაფლეთებად რომ არ ვიქეცი. მე კი სრულიად საღ-სამალათი ვიყავი.

ბოლოს ჯანმრთელი და უვნებელი რომ მნახეს, სამივემ მთხოვა, რაც მოხდა, არ გამეხმიანებინა, ანუ ოჯახის წევრებისთვის არ მეთქვა, რაც შემემთხვა რადგანაც ყველაფერი ასე მშვიდობიანად დასრულდა. დავთანხმდი და, მართლაც, შინაც არ მითქვამს ეს ამბავი. სამაგიეროდ, დიდი ხნის შემდეგ, როცა ვიხსენებ, რაც თავს გადამხდა, ვერ დამიჯერებია და, უფრო კი, ვერ ამიხსნია, რამ გადამარჩინა მაშინ ისე უვნებლად. შესავალშიც ამიტომ ვილაპარაკე ამდენი ამაზე... დასასრულს ვიტყვი, რომ ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში, ალბათ, ხდება ზოგჯერ ისეთი შემთხვევები, რომლებიც გვაოცებენ თავიანთი უცნაურობით, მაგრამ ახსნა ვერ გვიპოვნია. ეს ამბავიც ამგვარ დაუჯერებელ შემთხვევებს განეკუთვნება. ვფიქრობ, ალათ ამიტომაც იქნება იგი ბევრისთვის დაუჯერებელი ასეთ შემთხვევაში ჩემი ასე უვნებლად გადარჩენა, მაგრამ ვინმე დაიჯერებს თუ არა, ეს მისი საქმეა. ის კი სწორედ ისე მოხდა როგორც ზემოთ ვთქვი.

ყაითო

ყაითო ლობჯანიძე, რომელსაც ნათლობის სახელთან ერთად შალვასაც ეძახდნენ, მასზე მოზრდილ ბიჭებთან, თუ შუახანს მიტანებულ თანასოფლელების გვერდით იმ დიდი ომის დროს, ღებიდან კავკასიონის მისადგომებამდე გერმანელების პირისპირ მდგომი საბჭოთა ჯარის ნაწილებისთვის, ორწოხებსა და კაცთათვის ძნელად გასავლელ სახიფათო მთის ბილიკებით, ტყვია-წამალს ვირით რომ ეზიდებოდა, მაშინ, მაშინ, ჰა და ჰა, 14-15 წლისა თუ იქნებოდა. მაგრამ იმ დროს ცხოვრება მკაცრი და უშეღავათო იყო და ბავშვებიც ნაადრევად ვაუკაცდებოდნენ.

მერეც, ქლუხორ-თებერდაში ჩასახლების პირველივე დღეებიდან ყმაწვილკაცობის ასაკიდან ჯერაც ხეირიანად გამოუსვლელ ახალგაზრდას იმდროინდელი სოფლისათვის დამახასიათებელი არც ერთი მძიმე საქმის შესრულება არ დაჰკლებია. ხან მინდორში იყო მეურმედ, თუ გუთნის დედად, ხანაც ფერმაში ტრიალებდა ნახირის მწყემს-მომვლელად. მუდამ იქ იყო, სადაც მის ყოფნას საქმე მოითხოვდა და ახალ კერაზე ფეხმოკიდებული ოჯახის მოღონიერებას რამით ხელს შეუწყობდა. უნდა ითქვას, რომ არც ყაითოს და არც სხვა მის თანასოფლელთა ოჯახებს მაშინ გასაჭირი არ აკლდათ. აკლდათ კი არადა, შეიძლება ითქვას, რომ ალბათ, ფრონტზე უფრო ადვილიც კი იყო თავის გატანა, ვიდრე იმდროინდელ ზურგსა და სოფელში ოჯახის შენახვა. ამიტომაც თითქმის გაუსაძლისი მდგომარეობიდან უხიფათოდ გამოსვლის, ყოფნა-არყოფნის საბედისწერო გარემოდან თავის დაღწევის, ვაუკაცობისა და გაუტეხელობის, თუ გნებავთ, საწყაო, და ერთადერთი პირობა დღედაღამ დაუზარელი შრომა გახლდათ. მაშინ თითოეული ადამიანის კაცურკაცობა უმეტესწილად ამით იმზომებოდა ქვეყნისა და მეზობლების თვალშიც. ყოველდღიური საქმისთვის თავის არიდება ყველაზე მეტად თავის ამრიდებლის ოჯახს აზარალებდა ეკონომიკურად, ვინაიდან ქლუხორში ჩასახლებულთა დიდი უმრავლესობის შრომის ასპარეზი, რ.ოგორც უკვე ვთქვით, კოლმეურნეობა იყო. აქედან გამომდინარე, კოლმეურნეები ოჯახებს იმ შემოსავლით არჩენდნენ, რასაც ანაზღაურების სახით წლის ბოლოს კოლმეურნეობიდან თითოეულ შრომადღეზე იღებდნენ. კაცმა რომ თქვას, ეს დღეს თითქმის ყველასთვის ცნობილია და ამიტომ შეიძლება, არც იყოს საჭირო მასზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ, ჩემი აზრით, როცა საუბარი გარდასულ ამბებზე

გვიხდება, მის სრულყოფილად წარმოსაჩენად მსხვილმანთან ერთად, წვრილმანებიც არ უნდა დავივიწყოთ.

ერთი სიტყვით, სოფლისა და, აქედან გამომდინარე, საკუთარი ოჯახის სასიკეთოდ ყაითოსაც და მის თანატოლებსაც – გოგიას, ეგრეზი, ფრანგას, ვალიკო გავაშელიშვილებს, გრიშა გობეჯიშვილს, ბადრი, შოთა, ვალერიან და აკაკი ლობჯანიძეებს თუ სხვა არაერთ მზისელ ახალგაზრდას, მათი წილხდომილი მძიმე უღლისთვის საკუთარი, ჯერაც ასაკით გაუმაგრებელი, მაგრამ ახალგაზრდული სიჯიუტით გაუტეხელ-გაუდრეკელი ქედი უნდა შეედგათ. უნდა ითქვას, რომ როგორც მზისელი ახალგაზრდები, ისე ჭარმაგები ქედსაც და მხრებსაც თამამად უდგამდნენ მათ ხვედრსა და უღელს და თავს არასოდეს ირცხვენდნენ არც ერთი მძიმე საქმის ბოლომდე მიყვანაში. ამაში მათ არც ქალები ჩამორჩებოდნენ. ჩამორჩებოდნენ კი არადა, ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობით გამოწვეული არაერთი სიძნელის მოგვარება სწორედ, მათ, ერთი შეხედვით, სუსტ მხრებზე გადადიოდა. მინდა, ესეც ვთქვა, რომ მზისელებზე ნათქვამი თითოეული ჩემი სიტყვა ქლუხორის დანარჩენი სოფლების მაცხოვრებლებსაც თანაბრად ეხებათ.

ასმათ და ყაითო ლობჯანიძეები შვილიშვილებთან ერთად.

ვისაც გადაჭარბებულ და ზედმეტ ქებად მოეჩვენება ჩემს მიერ ადამიანების მიმართ აქ თუ ქვემოთ წარმოთქმული რამდენიმე თბილი სიტყვა, იმას ვურჩევ, გადაათვალიეროს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საცავებში დაცული იმ დროს ქლუხორში გამომავალი, ამჟამად ყამთაღმწერლის მატიანედ ქცეული ქართულენოვანი რაიონული გაზეთი „განთიადი“ და თვითონვე დარწმუნდება, თუ როგორ მძიმე პირობებში და რა შემარცხებით შრომობდნენ ადამიანები საკოლმეურნეო მინდვრებსა თუ მესაქონლეობის ფერმებში.

ამ მოგონებებზე მუშაობისას ეროვნულ ბიბლიოთეკაში კიდევ ერთხელ თავიდან ბოლომდე გადავათვალიერე გაზეთი „განთიადი“. იქ ქლუხორის რაიონში მცხოვრები ქართველი გლეხკაცების დაუზარელი, მუყაითი და ალალი შრომითი საქმიანობის შესახებ არაერთი საგაზეთო წერილია გამოქვეყნებული. მათ შორის ჩემი მოგონებების გმირებზეც.

ამის დასტურად მოვიტან მცირეოდენ ამონარიდს საგაზეთო პუბლიკაციებიდან. ასე, მაგალითად; გაზეთი იტყობინება: „თიბვისა და თივის

შეგროვებაში ყოველდღიურ ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ ყაითო ლობჯანიძე, ფრანგა გავაშელიშვილი, მიშა ლობჯანიძე, კაკო ლობჯანიძე და სამამულო ომის მონაწილე ცაცო გობეჯიშვილი. ბრიგადამ, სადაც ისინი მუშაობენ, 350 ჰექტარზე გათიბა ბალახი. მოაგროვა და დაზვინა 550 ტონა თივა. მიშა და კაკო ლობჯანიძეები სათიბ მანქანაზე მუშაობენ და მნიშვნელოვნად აძლიერებენ მოსავლის აღების ტემპს". (გაზ. „განთიადი", 2 აგვისტო, 1946 წელი).

უქნარობასა და მცონარობას ქლუხორელ ქართველებში თითქმის ვერავის დასწამებდა კაცი. მათ მუყაით, სამაგალითო შრომა-საქმიანობას, უწინარესად, ის განაპირობებდა, რომ საკოლმეურნეო ველ-მინდვრებში გულმოდგინე შრომა – საქმიანობა ოჯახის შენახვასა და ცოლ-შვილის დაპურებას ემსახურებოდა. ამიტომაც ვისაც როგორ შეეძლო, ისე შრომობდა და ამ შრომას წუნს ვერავინ დასდებდა, მაგრამ ეს სამი ბიჭი (მაშინ ისინი და მათი თანატოლებიც 15-16 წლის ბიჭები იყვნენ), ასაკით თითქმის თანატოლი, ყაითო, მიშა და აკაკი ლობჯანიძეები მუყაითობითა და დაუზარებლობით ყველა მზისელისგან გამოირჩეოდნენ ჩასახლების პირველივევე დღიდან. ამას გაზეთ „განთიადში" გამოქვეყნებული არაერთი ინფორმაციაც ადასტურებს.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ამ სამეულს ან სხვებს შრომის განსაკუთრებული მაღალი ანაზღაურება აქეზებდა, ასე სამაგალითოდ რომ ირჯებოდნენ. სულაც არა. მათი შრომის ანაზღაურება დღიური ლუკმაპურის მოპოვებას არ სცილდებოდა, მაგრამ ეს ბიჭები, ასევე, მათი თანატოლებიც, ბუნებითაც და აღზრდითაც შრომისმოყვარენი იყვნენ და სხვაგვარად ცხოვრება, ანუ უქნარობა, უსაქმურობა არ შეეძლოთ.

ამ საკითხს თუ უფრო ფართო გაგებით მივუდგებით, ამ ქვეყანაზე არაერთია ისეთი შეუვალი ფასეულობა, რომელსაც დრო ვერ აფერმკრთალებს, უამთასვლა ფასსა და მნიშვნელობას ვერ უკარგავს და ყავლიც არასოდეს გადის. ასეთ მარადიულ ფასეულობათა შორის ერთ-ერთი უპირველესთაგანია ქვეყნის სასიკეთოდ დაღვრილი წმინდა ოფლი თუ ოჯახის ასაღორძინებლად გაწეული ალალი შრომა.

სწორედ ასეთად მივიჩნევ ქლუხორში გადასახლებული ქართველების შრომას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, დღევანდელი გადასახედიდან მაშინდელი ცხოვრების წესს ბევრი უცხოდ და მიუღებლად თვლიდეს. თუმცა, არც ეს არის საგანგაშო. ბოლოს და ბოლოს, როგორც იტყვიან ხოლმე, რამდენი ადამიანიც არის, იმდენი აზრი არსებობს. ყოველი კონკრეტული ფაქტის მიმართ ყველა ჩვენგანს შეიძლება განსხვავებული შეხედულება ჰქონდეს. მით უფრო, თუ საქმე დიდი ხნის წინათ გარდასულ მოვლენათა შეფასებას შეეხება. დრო მიდის, ახალი ფასეულობები ჩნდება და მათ მიმართ შესაბამისი დამოკიდებულებაც ახლებურად მკვიდრდება, მაგრამ, რაც დრო გადის, კიდევ უფრო აქტიური, კიდევ უფრო ყურადსაღები ხდება დიდი პოეტის მარადიული შეგონება: „არც კაცი ვარგა, რომ

ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“ (ნ. ბარათაშვილი).

მგონი, ერთგვარად, გამიგრძელდა სათქმელი, მაგრამ, იმედი მაქვს, მკითხველი გამიგებს: მინდოდა, ახსნა მომენახა ყაითო ლობჯანიძის თუ სხვა ქლუხორელთა სიბეჯითისა და მუყაითი შრომის მიზეზისათვის.

არ ვიცი, ახალგაზრდა კაცის მიერ თავისი შრომა-საქმიანობით მოპოვებულმა გამრჯე სახელმა განაპირობა, თუ, საერთოდ, დადგა დღის წესრიგში, სოფელ მზისას საკუთარი ვეტერინარი ჰყოლოდა... შესაძლოა, ამის მიზეზი ერთიც ყოფილიყო და მეორეც, მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ რაიონის ხელმძღვანელობამ ყაითო ლობჯანიძე ვეტერინალური საქმიანობის შესასწავლად მცხეთის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ერთწლიან კურსებზე მიავლინა.

მანამდე, ცხადია, ჰკითხეს სურდა, თუ არა ამ სპეციალობის შესწავლა. თუმცა, აქ საკითხავი რა იყო. განათლების მიღების მოწადინე ახალგაზრდას წიგნი მუდამ უყვარდა და შეთავაზებულ წინადადებაზე უარს როგორ იტყოდა, მით უმეტეს, გლეხკაცისთვის ასე საჭირო და სოფელში ასე გამოსადეგი სპეციალობის დაუფლებაზე. თან, როცა ამის შესაშური შესაძლებლობა ეძლეოდა, მაგრამ მაინც ძნელი იყო, თუნდაც, ასეთ მომხიბვლელ წინადადებაზე ხელაღებით დათანხმება, რადგან სოფელში უნდა დაეტოვებინა ეკონომიკურად არც თუ ისე უზრუნველყოფილი ოჯახი, მშობლები, მეუღლე და მცირეწლოვანი ბავშვები, რომელთათვის ყოველდღიური ლუკმაპურის მოპოვებაზე ძირითადად მას უნდა ეზრუნა. მზისადან მცხეთამდე, ანუ პირიქითა საქართველოდან პირაქეთა საქართველომდე საკმაო მანძილი იყო, ხოლო ერთი წლით სახლიდან ასე შორს წასვლა და ამ ხნის განმავლობაში ვაუკაცის გამრჯე მარჯვენის გარეშე ოჯახის დატოვება ბევრ საზრუნავთან იყო დაკავშირებული. არადა, არც ასეთი შესაძლებლობის ხელიდან გაშვება იქნებოდა გონივრული. ახლა სავსებით რეალური იყო ამ მიზან-სურვილის შესრულების შესაძლებლობა, მაშინ, როცა ყაითოს ხვალ ვერავინ მისცემდა იმის გარანტიას, რომ კვლავ გაჩნდებოდა ასეთი შანსი! ბედი სიცოცხლეში კაცთან მხოლოდ ერთხელ ჩამოივლის და მხარზე თავის ბედნიერების მომტან ხელს მსუბუქად შეახებს. ვინც იგრძნობს ბედისაგან ხელის შეხებას, სამუდამოდ წაღმა დაბრუნდება მისი ცხოვრების ბორბალი, ვინც – ვერა, ბედს ტყუილად ნუ დაემდურება.

იფიქრა...

ხან თანახმა იყო, უყოყმანოდ მიეღო სასწავლებლად წასვლაზე ღვთის წყალობასავით შემოთავაზებული მომხიბვლელი წინადადება, ხანაც მზად იყო, უარი ეთქვა ასე ნალოლიავებ ოცნებაზე, განსაკუთრებით იმ წუთებში, როცა სოფელში მის გარეშე დარჩენილი ოჯახის მდგომარეობას გაისოგრძეგანებდა.

ბოლოს, ისევ ოჯახს მოეთათბირა. შეთავაზებული წინადადების მიღებაზე მეუღლემ – ასმათმა წააქეზა და დააიმედა კიდეც: შენ წადი, ჩვენი

დარდი ნუ გექნება, სოფელი ღონიერია. ვეცდები, არ გაგვიჭირდეს, მაგრამ უშენოდ თუ სიძნელეებს მაინც წავაწყდით, არც ამაზე ღირს გულის გახეთქვა, მით უმეტეს, სასწავლებლად წასვლაზე უარის თქმა. ახლა ვის არ უჭირს, მარტოც არ ვრჩები: იქით ნათესავებია, აქეთ – მეზობლები. არც მე ვარ უსაქმური და დავრდომილი, რომ სხვის ხელს შევაჩერდე. კაცი თუ გაირჯება, თავის გატანა არ გაუჭირდება, მით უმეტეს... იცი, შრომა არ მეზარება.

ყაითომ იცოდა, რომ ეს ცარიელი სიტყვები არ იყო. ასმათი ოჯახს უკაცობას არ დაატყობდა, შვილებს არაფერს გაუჭირვებდა. ყოველ შემთხვევაში, საცდელს არ დააკლებდა, ეს კი ცოტას როდი ნიშნავდა ერთი წლით ოჯახიდან მიმავალი თავკაცისათვის.

ერთი სიტყვით, ასმათმა თავის ნებით ქალისა და ოჯახის თავკაცის, დედისა და სოფელ-ქვეყნისთვის ღირსეული პასუხისგამცემი დიასახლისის მძიმე ტვირთი იტვირთა, თუმცა, იცოდა, რომ სანამ მეუღლე სწავლას გაასრულებდა, შინ მობრუნდებოდა და ოჯახს ვაუკაცის გამრჯე მარჯვენას შეაშველებდა, დალხინებული ცხოვრება ნამდვილად არ ელოდა.

თანდათან ყველაფერს შეეგუა, გასწვდა და აუთავდა. ოჯახს ღირსეულად გაუძღვა და მოუარა. შვილებს უპატრონა, საქვეყნო საზრუნავზეც იზრუნა და არც მტერ-მოყვარე დარჩენია პასუხგაუცემელი. ბარაქალა მის ქალობას! ალბათ, სწორედ ასეთ შემთხვევაზე თქვა ქართველმა კაცმა ასე მარჯვედ, ხატოვნად და გემრიელად: ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო, დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო. სწორედაც, რადგან ადამიანისთვის ცხოვრებაში ამა თუ იმ გასაჭირის დაძლევა ზოგჯერ სისხლისმღვრელი ომის მოგების ტოლფასია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბოლოს და ბოლოს, ავად სახსენებელი ყოველი ომი თუ მტრის შემოსევა, როგორც წესი, ფიზიკურ განადგურებასა და ოჯახის მოშლასთან არის დაკავშირებული. ჰოდა, რა ბედენაა, სიკვდილი რა გზით და სახით მოგვიხტება, – ტყვიით მოგვკლავს თუ ოჯახს უომრად შიმშილით გაგვინადგურებს. როცა ამგვარ, ხშირად თვით ვაუკაცისთვისაც წელში გამტეხ განსაცდელს ქალი, დედა თუ მეუღლე ღირსეულად გაუმკლავდება, მისთვის ზედგამოჭრილია ქართველი კაცის მიერ ნატვრასავით სხარტად და უბადლო ოსტატობით ჩამოჩუქურთმებული სიტყვები, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო. კარგი ცოლის პატრონს, სამშობლოს დასაცავად ომში მიმავალს, შინ დარჩენილებზე დარდი და ფიქრი არ მიჰყვება, რადგან ოჯახის ბურჯად ერთგული და გამრჯე მეუღლე ეგულება. იცის, კარგი ცოლის ზრუნვის წყალობით კერაში ცეცხლი ჩაუქრობელი დახვდება და ამით გულდამშვიდებული ერთადერთ მტრის დამარცხებაზე ფიქრობს და შინ გამარჯვებული ბრუნდება. ეს დიდი აზრია ზოგადად ჩადებული იმ სიტყვებში, ომში წასვლა მას უხარისო...

ყაითო ლობჯანიძეს გამრჯე გლეხკაცის სახელი ჰქონდა სოფელშიც და სოფლის გარეთაც. სასწავლებლიდან დაბრუნებული იმ დროს მზისაში

ერთადერთი სპეციალისტი იყო და სოფელმაც და რაიონის ხელმძღვანელობამაც მესაქონლეობის ფერმის გამგეობა მას ჩააბარა: ახალგაზრდა ზოოტექნიკოსია და ამ დარგს თუ მოუვლის, ისევ ის მოუვლისო.

მახსოვს, ფერმის გამგედ ახალი დანიშნული იყო, როცა რამდენიმე წლით მასზე უმცროსს თანატოლივით შემომთავაზა: შთალის მთაში წავიდეთ, ფერმა დავათვალიეროთ. შენთვის ეს ფერმის გაცნობაც იქნება და ლამაზ ბუნებაში გასეირნებაცო. ცხენდაცხენ მოვიარეთ ულამაზესი მთები და ნოყიერი სათიბ-საძოვრები, რითაც, იცოცხლეთ, მდიდარია მზისაც და მთელი ქლუხორის რაიონიც. მაგრამ მესაქონლეობის წარმატებით განვითარებისათვის მარტო მთა და ბალახი არ კმარა. მთავარი, მე თუ მკითხავთ, კარგი ორგანიზატორი და თავისი საქმის მცოდნე და მოყვარული ხელმძღვანელი გახლავთ. ალბათ, ამიტომაც ითქვა თავის დროზე: კაცრები წყვეტენ ყველაფერსო. ჭეშმარიტად! მზისას ფერმის ახალგაზრდა გამგეს ორგანიზატორული ნიჭიც სჭირდებოდა და საქმისადმი ალღოიანი მიდგომაც, რადგან დარგის ფეხზე დასაყენებლად უამრავი საკითხი უნდა გადაეწყვიტა და მოეგვარებინა. თავიდან იყო ასაშენებელი ბოსლების უმეტესობა. ზოგიც საფუძვლიანად შეკეთებას მოითხოვდა. მეწველი ფურები ცალკე უნდა დაებინავებინათ, ხბოები – ცალკე. მართალია, ზაფხულში საქონელს ნაკლებად სჭირდება გადახურული სადგომი, ისინი ძირითადად ღია ცის ქვეშ არიან და ეს მათ სულაც არ ვნებთ, მაგრამ ზამთარი ისეთი ვინმე როდია, მოსვლა დაიგვიანოს, ან, საერთოდ, არ მოვიდეს. გამოცდილი, კარგი მეურნე კი მუდამ მომზადებული უნდა შეხვდეს ზამთარს. ეს, პირველ რიგში, ფერმის გამგეზე ითქმის. სასწრაფოდ მოსაგვარებელი იყო, აგრეთვე, ყველკარაქის ადგილზე დამზადების საქმე. ამას, უპირველეს ყოვლისა, კარგ სპეციალისტთან ერთად, სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობა და საწარმოო ფართობი სჭირდებოდა, სადაც დაცული იქნებოდა ყოველგვარი სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

ერთი, მეტად მნიშვნელოვანი საკითხიც იყო გადასაჭრელი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის გარკვეული ნაწილი ბრუცელიოზით იყო დაავადებული. საჭირო იყო ფერმიდან მათი სასწრაფოდ მოშორება და ახალი, ჯანსაღი პირუტყვით შევსება. ამაზედაც, ფერმის გამგის გარდა, სხვა არავინ იზრუნებდა.

როგორც ხედავთ, საქმე უამრავი იყო. თანაც, სასწრაფოდ მოსაგვარებელი. ნაკლები არაერთი სხვა ხელისშემშლელი და ძნელად გადასაჭრელი საკითხებიც იდგა დღის წესრიგში. ამასთან, გულახდილად თუ ვიტყვი, ყველას როდი უნდოდა, ახალგაზრდა ფერმის გამგეს საქმე გამართულად აწყობოდა და თავი გამოეჩინა. მაგრამ ვიღაც-ვიღაცეების სურვილი, რომ ახალ საქმეში ხელი მოცაროდა, ყაითოს მაინცდამაინც არც აგრერიგად ადარდებდა. საკუთარი თავის იმედი ჰქონდა და ისიც მშვენივრად იცოდა, რომ მონდომებული კაცისთვის დაუძლეველი არაფერია. ამიტომაც მზი-

სას ფერმას სულ მალე დაეტყო გამოცდლილი და მონდომებლი მეურნის ხელი, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ადგილობრივი გაზეთის მუშაკებს. „სოფელ მზისას მეცხოველეობის ფერმა, რომლის გამგედ შ. ლობჯანიძე მუშაობს, დაკომპლექტებულია კვალიფიციური მუშაკებით. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ პირუტყვის სულადობის ზრდის და პროდუქტიულობის ასამაღლებლად. კარგად გამოაზამთრეს პირუტყვი. არც ერთი სული არ დაცემულა. ამჟამად ფერმაში წარმატებით მიმდინარეობს დოლიც. მიღებულია 250 ბატკანი“. – იუწყებოდა გაზეთი „განთიადი“ (29 აპრილი, 1955 წელი).

აქ არ შეიძლება, ერთი, მეტად მნიშვნელოვანი „წვრილმანიც“ არ აღინიშნოს. იმ დროს რაიონის ხელმძღვანელობას, და უფრო ზევითაც, ერთგვარ წესად ჰქონდათ: კაცს პასუხსაგებ საქმეს რომ მიანდობდნენ, ერთხანს აკვირდებოდნენ, როგორ მუშაობდა. თუ გამჭრიახობასა და სათანადო უნარს შეატყობდნენ და უფროსობას მისი ინიციატივიანობა, თვალში მოუვიდოდა, დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას არ დააცლიდნენ და უმალ ახალ „თავსატეხს“ გაუჩენდნენ: სამსახურს შეუცვლიდნენ და ახალ თანამდებობაზე დააწინაურდებდნენ.

ეს წესი ყაითოს მიმართაც არ დარღვეულა. როგორც კი ფერმაში საქმე ასე თუ ისე მოაწესრიგა, რაიონის ხელმძღვანელობამ იფიქრა, ამ კაცს არც სოფლის გაძღოლა გაუჭირდებაო და გადაწყვიტა მისი ახალ თანამდებობაზე დაწინაურება.

ამდენი ხნის შემდეგ ახლაც თვალწინ მიდგას სოფლის კლუბში გამართული კოლმეურნეობის საერთო კრება, რომელსაც კოლწევრებთან ერთად, მთელი სოფელი ესწრებოდა. აქვე იყვნენ მოსწავლეებიც. მათთვის ეს თავყრილობა უფრო გასართობი სანახაობა იყო და სეირის საყურებლად მოსულები, სადაც ეპოვათ დასაჯდომი თუ დასადგომი ადგილი, დაწყებული ფანჯრის რაფიდან იატაკამდე, იქ მოკალათებულიყვნენ.

კრების გახსნისთანავე ქლუხორის რაიაღმასკომის თავმჯდომარე შალვა ლობჯანიძე გამოვიდა სიტყვით. მან ჯერ სოფლის ცალკეული ხელმძღვანელების გადაადგილების აუცილებლობაზე ილაპარაკა და ხალხს ყაითო ლობჯანიძე წარუდგინა. კაცმა რომ თქვას, თანასოფლელებთან ყაითოს ვინმეს წარდგენა რად უნდოდა, მაგრამ წესი იყო და აღმასკომის თავმჯდომარემ მოკლედ დაახასიათა ამ კაცის მიერ სოფელში გაწეული შრომა-საქმიანობა. ყურადღება გაამახვილა მის დადებით თვისებებზე და შემდეგ შეკრებილთ აცნობა, რომ რაიონის ხელმძღვანელობის აზრი იყო, იგი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ აერჩიათ.

კოლმეურნეთა უმეტესობა კმაყოფილებით შეხვდა ამ ამბავს, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომელთათვის ახალი თავმჯდომარის კანდიდატურა, რაღაც მოსაზრებებით, მიუღებელი იყო და ეს მათ არც დაუმალავთ. თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზად მათ მისი ასაკი დაა-

სახელეს (ყაითო მაშინ 26-27 წლის იყო), ასეთ ახალგაზრდას ამგვარი დიდი საქმის გაძღოლა, როგორიც კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა არის, გაუჭირდებაო. უნდა ითქვას, რომ მაშინ ისეთ ახალგაზრდებს, როგორიც ყაითო იყო, ძვირად ნიშნავდნენ პასუხსაგებ თანამდებობებზე და მოწინააღმდეგეებს იმედი ჰქონდათ, რომ ეს საბუთი უთუოდ გაჭრიდა. მაგრამ სოფელიც და აღმასკომის თავმჯდომარეც მიხვდა, რომ საქმე მარტო ასაკში არ იყო. თუმცა, ძველსა და ახალ თაობას შორის დაპირისპირება რომ არ დაწყებულიყო და მდგომარეობაც სოფელში არ გართულებულიყო, მოწინააღმდეგეთა ჯგუფს აღმასკომის თავმჯდომარე აღარ ჩაძიებია. თქმით კი განაცხადა: თუ კაცმა საქმე იცის, ახალგაზრდობის გამო მის დაწინაურებაზე უარის თქმა არც ისე გონივრული მიზეზი გახლავთო და მერე დაუმატა: მაგალითისათვის გეტყვით, რომ ამჟამად პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ოცდაცხრა წლის კაცია და იგი ავტონომიურ რესპუბლიკას, სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, ბრწყინვალედ უძღვება. თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარედ დასაწინაურებელ ახალგაზრდასა და მას შორის სხვაობა რაღაც ორი-სამი წელია.

ჩვენ, პარტიის რაიკომის ბიუროზე ყველაფერი ავწონ-დავწონეთ. მხედველობაში მივიღეთ ის ამბავი, რომ ამ კაცმა რამდენიმე თვეში მესაქონლეობის ფერმაში მშვენივრად ააწყო საქმე და ეჭვი არ გვეპარება, რომ მას არც კოლმეურნეობის გაძღოლა გაუჭირდება, თუ სოფელი გვერდით ამოუდგება!

როცა რაიონის ხელმძღვანელობა დარწმუნებული იყო ამა თუ იმ პიროვნების შესაძლებლობაში, იმედი ჰქონდა, მასზე მინდობილ საქმეს უხინჯოდ შეასრულებდა, ამ დროს, სხვას ვის ჰქონდა უფლება, ამაში ეჭვი შეეტანა და რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილებისთვის წინააღმდეგობა გაეწია! კაცმა რომ თქვას, მაშინ მზისაში კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტზე ყაითო ლობჯანიძეზე უკეთესი კანდიდატურა სხვა ვინმე არც იყო და, ალბათ, ამიტომაც გამოუცხადა ნდობა სოფელმაც და რაიკომმაც. როგორც შემდეგ გამოირკვა, არც სოფელი შემცდარა ამაში და არც რაიკომი.

ყაითოს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ არჩევა რაიონში თიბვის დაწყებას დაემთხვა. ეს კი, მთის რაიონისა და სოფლისათვის, სადაც მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უმთავრესი დარგია, მეტად მნიშვნელოვანი დროა. ეს განსაკუთრებული გამოცდის წინაშე აყენებდა ახლად არჩეულ თავმჯდომარეს, რაც მანაც მშვენივრად იცოდა და, ცხადია, ყველაფერს იღონებდა, რათა პირველი ნაბიჯი უშეცდომოდ გადაედგა. საქმის წარმატებით დაგვირგვინების იმედს ისიც აძლევდა, რომ ყველანაირ ადამიანებთან საქმიანი და კეთილგანწყობილი ურთიერთობის დამყარება ადვილად შეეძლო.

თავმჯდომარედ არჩევიდან მეორე დღეს მამაკაცები შეკრიბა და გამოუცხადა, ხვალ სათიბად გავდივართ, შინ ვისაც რა პრობლემა გაქვთ, შეძ-

ლებისდაგვარად მოაგვარეთ და სათიბად დილაადრიან გასასვლელად მოემზადეთო. საზოგადოდ სოფელში, სეზონის მიხედვით, წელიწადის გარკვეულ დროს რამდენიმე აუცილებელი კამპანია ტარდებოდა, რომელიც შრომისუნარიანი მუშახელის სრულ მობილიზაციას მოითხოვდა. ეს ყველამ – დიდმაც და პატარამაც – კარგად იცოდა. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი თიბვის კამპანია იყო.

უფროსები საქმის მისახედად რომ წავიდ-წამოვიდნენ, ყაითო ჩვენს – უმცროსებს შორის ჩადგა და უბრალოდ, ბუნებრივად და უშუალოდ გვთხოვა: მოძალებულ საქმეს მარტო კოლმეურნეობის წევრი მამაკაცები ადვილად ვერ აუვლენ. თქვენი დახმარება სხვებზე არანაკლებ მჭირდება. ვისაც ცელის ხმარება და თიბვა შეგიძლიათ, რამდენიმე დღე მაინც დამეხმარეთო.

როგორც ოდესღაც, მონღოლები ცხენზე არ იბადებოდნენ, თორემ ცხენოსნობას სიარულთან ერთად სწავლობდნენ, ასევე იყო ჩვენთანაც, მთაში: მე და ჩემი თანატოლები თიბვას თუ სხვა სოფლურ საქმეს თავიდანვე ვეჩვეოდით. ყოველ შემთხვევაში იმ დროს ასე იყო. ამიტომაც თიბვა მზისელი ბიჭებისთვის ისეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო, როგორც ჩვენი თანატოლი ქალაქელთათვის ერთი უბნიდან მეორეში ტრამვაით, ან ავტობუსით რამდენიმე გაჩერების გავლა.

ახალი თავმჯდომარის თხოვნა ყველამ ერთგვარი ხალისითაც კი მივიღეთ. ყველანი ერთად ვიქნებოდით, ვიმუშავებდით, შრომადღეც დაგვეწერებოდა და არც მოგვეწყინებოდა. იქნებ უფრო მეტად ამიტომაც იყო, რომ არც ერთ მოზარდს, ვისაც ცელის ხმარება შეეძლო, უარი არ უთქვამს. ეს კი მთიბავთა რიცხვის ფაქტობრივად გაორმაგებას ნიშნავდა, რაც ყაითოს ორგანიზაციულ ნიჭზე მეტყველებდა.

ერთი კვირა მთიდან შინ ჩამოუსვლელად ვთიბეთ ჩვენც, მოზარდებმაც და უფროსებმაც. კვირის ბოლოს საქმეს მოვრჩით და სოფელში ცოტა დაღლილები, მაგრამ ნამოქმედარით კმაყოფილები დავბრუნდით.

სწორედ კვირის ბოლოს ყაითო ლობჯანიძე, თავმჯდომარის რანგში, რაიკომის ბიუროზე პირველად გამოიძახეს, სადაც თიბვის კამპანიის მოკლე ვადებში ჩასატარებლად საჭირო ღონისძიებების საკითხები განიხილებოდა. როგორც შემდეგ გაირკვა, ბიუროზე მთელი სიმწვავით დაისვა თივის დროულად დამზადებაში არსებული სიძნელეების აღმოფხვრის აუცილებლობა. ყველა სოფლის თავკაცი კატეგორიულად გააფრთხილეს და მოსთხოვეს, დაუყოვნებლივ შედგომოდნენ თიბვას და ორმოებში სილოსის ჩადებას.

ეტყობა, წესი იყო და ამიტომ, განსახილველ საკითხზე რაიკომის ბიუროზე მყოფმა ყველა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ თავისი აზრი გამოთქვა. იქნებ იმის გამო, რომ საუბარში თვითონ არ ჩარეულა, ყაითოსაც ჰკითხეს, შენ, მზისას ახალო თავმჯდომარეე, თიბვის საქმეში რამე გადასაჭრელ-მოსაგვარებელი სიძნელეები ხომ არაფერი გაქვსო.

ყაითომ ყოველგვარი გაზვიადების გარეშე მოკლედ მოახსენა რაიკომის ბიუროზე შეკრებილთ, არავითარი სიძნელე არ მაქვს, ჩვენ თიბვასაც მოვრჩით და სილოსის ორმოებში ჩადებასაც. ერთის გეგმაც გადაჭარბებით შევასრულეთ და მეორისაცო.

ახალგაზრდა თავმჯდომარის ასეთი განცხადება ყველამ არასერიოზულად მიიღო. არადა, რაც თქვა, სრული ჭეშმარიტება გახლდათ. ზოგ-ზოგებმა გამკილავად შეხედეს და გაიცინეს, შედარებით თავშეკავებულებმა კი მხოლოდ ჩაიღიმეს უნდობლობისა და მიმტევებლობის ნიშნად. საერთოდ კი, მისი ეს განცხადება ყველამ სიცრუედ მიიჩნია, მათ შორის, რაიკომის პირველმა მდივანმაც. მან დარბაზს გადახედა, წყენა ვერ დაფარა და საკმაოდ მკვახედ თქვა:

– ეტყობა, ავჩქარდით და შევცდით ასეთ ახალგაზრდა კაცს სოფელი რომ ვანდეთ! – მერე პირდაპირ ყაითოს მიუბრუნდა: – გამოუცდელობისა და ასაკის გამო შეიძლება კაცს ზოგი რამ ეპატიოს, მაგრამ ბიუროს შეცდომაში შეყვანის მცდელობა და ტყუილის თქმა არავის ეპატიება. ჩვენთან თავი საქმით უნდა მოიწონო და არა სიყალბით, სამარცხვინო კვეხნითა და სიცრუით.

ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, სიცრუით თავის მოწონება ვაუკაცისთვის დიდი ვერაფერი შვილია. მით უფრო, სოფლის ხელმძღვანელისთვის. ერთი კვირა ძლივს იქნება, რაც თავმჯდომარედ აგირჩიეს და პირველსავე ბიუროზე ურცხვად აცხადებ, თიბვა და სილოსის ჩადება უკვე დავამთავრე, თანაც, გეგმის გადაჭარბებითო, მაშინ, როცა რაიონში ბალახისთვის ცელი ჯერ არავის მოუსვამს, ანუ თიბვა ჯერ არ დაწყებულა.

შეცდომა ვის არ მოსვლია... ეტყობა, ჩვენც შევცდით, მომავალში თუ მსგავს რამეს შეგამჩნევთ, თავმჯდომარეობიდან ისევე ადვილად მოგხსნით, როგორც დაგნიშნეთ და პასუხსაც მკაცრად გაგებინებთ!

მზისას თავმჯდომარემ მდივანს დაუმსახურებელი საყვედურის თქმა ბოლომდე აცალა და მერე, იმ დროს რაიონის ხელმძღვანელთა ამგვარი თავყრილობისთვის საკმაოდ უჩვეულო სითამამით განაცხადა:

– ამხანაგო მდივანო, მე თავმჯდომარედ დანიშვნა არ მითხოვია, დანიშვნაც თქვენი ნება გახლავთ და განთავისუფლებაც. მე როგორც აქამდე მიმუშავნია, მომავალშიც, ისე ვიმუშავებ. რაც შეეხება თივის დამზადებისა და სილოსის ჩადების გეგმების გადაჭარბებით შესრულებას, ეს არც სიცრუეა და არც სინამდვილის გაზვიადება – გაყალბება, მით უფრო ბიუროსათვის თვალის ახვევა და მოტყუება, რადგან თიბვის კამპანიას მზისაში ნამდვილად მოვრჩით.

ეს ისე დამაჯერებლად იყო ნათქვამი, რომ მასში ეჭვის შეტანა შეუძლებელი გახლდათ, თუმცა, თავმჯდომარის სიტყვების გადამოწმებას რა უნდოდა! ტელეფონიც იქვე იყო და სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსიც. თვით სოფელშიც არ გაჭირდებოდა ამ ფაქტის დადასტურება –

უარყოფა. მართლაც, რაიონის ხელმძღვანელობის მითითებით გადაამოწმეს კიდეც და სინამდვილის გარკვევის შემდეგ ყველა გაკვირვებული დარჩა ახალგაზრდა თავმჯდომარის ასეთი თადარიგიანობითა და მინდობილი საქმისადმი გულმოდგინებით.

ვერ ვიტყვი, რომ იმ დროს ყელამდე ვალებში ჩაფლული მზისას კოლმეურნეობა ახალმა თავმჯდომარემ უმალ მილიონერად აქცია-მეთქი, მაგრამ საქმეს ცდასა და მონდომებას ნამდვილად არ აკლებდა. ამის დასტურად, ალბათ, ის ფაქტიც გამოდგება, რომ თავმჯდომარედ არჩევიდან ერთი წლის შემდეგ რაიონიდან სწორედ ყაითო ლობჯანიძე გააგზავნეს მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. იმ დროს ასეთი ყურადღება და სხვებისაგან გამორჩევა დიდ დაფასებად და პატივად ითვლებოდა. ამგვარი მივლინებით, მოსკოვში, მხოლოდ საქმეში გამოჩენილ, ინიციატივიან და სხვებისაგან გამორჩეული ორგანიზატორული ნიჭის ადამიანებს აგზავნიდნენ.

ვატყობ, სიტყვა გამიგრძელდა. კი, ცნობილია, რომ მოკლედ წერა და სათქმელის სრულყოფილად გადმოცემა ერთგვარი სიბრძნეცაა და ძნელი ხელოვნებაც, მაგრამ ამას კაცი ყოველთვის ვერ ახერხებს. მით უმეტეს მაშინ, როცა ადამიანის ცხოვრების მხოლოდ ერთ რომელიმე პერიოდზე საუბრობ და ამით გინდა, მთელი მისი ცხოვრება და ხასიათი სხვებსაც უჩვენო.

დაწყებულმა საუბარმა, რომ ერთგვარი დასრულებული სახე მიიღოს, ბარემ ამასაც ვიტყვი. ქლუხორის ეპოპეის დასრულების შემდეგ იქედან წამოსული ქართველების ერთი ნაწილი, მათ შორის, ყაითო ლობჯანიძე და მისი ოჯახი დედოფლისწყაროს სოფელ მირზაანში დასახლდა და ამჟამადაც იქვე შეხმატკბილებულად ცხოვრობენ და შრომობენ კახელებთან ერთად. აქვე არ შემიძლია, მადლიერებით ესეც არ აღვნიშნო: მირზაანის, ასევე, ახლომახლო სოფლების – ზემო მაჩხაანის, არბოშიკის და ქვემო მაჩხაანის მოსახლეობამ უდიდესი მზრუნველობა და თანადგომა გამოიჩინეს სამემკვიდრეო ადგილმამულებიდან ორჯერ აყრილი და ბოლოს მათთან ჩასახლებული რაჭველების მიმართ. თითქმის ორი წლის განმავლობაში, სანამ ახალმოსახლე რაჭველებს საკუთარი ჭერი ექნებოდათ, თავიანთ სახლ-კარში შეიფარეს და ამ ხნის განმავლობაში არც ერთის და არც მეორის მხრიდან აუგიანი სიტყვა არავის უკადრებია ურთიერთისთვის.

მადლობა ჩვენს კახელ თანამემამულეებს მათგან ჩვენდამი თანადგომისა და დიდქართველობისთვის!

რაც შეეხება ყაითოს, მან მირზაანის კოლმეურნეობაში ოცდაათ წელზე მეტ ხანს იმუშავა მემინდვრეობის ბრიგადის წინამძღოლად და საქმეს მუდამ უხინჯოდ და სანაქებოდ უძღვებოდა. ამის დასტური გახლავთ ის, რომ მირზაან-მაჩხაანის კოლმეურნეობებში მისი ხანგრძლივი და სანაქებო ნაშრომ-ნაღვაწი არაერთხელ აღინიშნა მთავრობის სხვადასხვა ჯილდოებით... მაგრამ ამაზე, თუ შესაძლებლობა მომეცა, უფრო დაწვრილებით შევეც-

დები სხვა დროს ვისაუბრო. აქ კი მოკლედ ვიტყვი: როცა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანა უსაშველოდ აირ-დაირია და ყველაფერი განუკითხაობამ მოიცვა, იმ დროს ყაითო ლობჯანიძე მირზაანის კოლმეურნეობის ფერმის გამგედ მუშაობდა. მუშაობდა-მეთქი ვამბობ, თორემ მაშინაც და ახლაც ამისთვის ვის ეცალა, და ან ცალია! მაშინაც, ისევე, როგორც გასული საუკუნის ოციან და ოცდაათიან წლებში, იარაღის ტრიალით პირადი ანგარიშსწორება და ურთიერთშორის ბრძოლა იყო გაჩაღებული, რამაც როგორც მთელ ჩვენს ქვეყანას, ისე მირზაანის ფერმასაც დააჩნია თავისი მსახვრალი ხელი. თვითონ განსაჯეთ, იმ დროს ჯერ ისევ კოლმეურნეობად სახელდებულ სოფლის ფერმაში სამასი, თუ უფრო მეტი რაოდენობის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვიდან ბრიგადირმა, დიდი ბრძოლითა და ძალისხმევით, ორმოცდაათიოდე სული ძლივს გადაარჩინა. იმ ვითარებაში ეს პატარა ამბავი როდი იყო. მოგეხსენებათ, მაშინ ვისაც როგორ მოეხასიათებოდა – მხედრიონელი იყო ეს, თუ სხვა გაურკვეველი წარმომავლობის შეიარაღებულ ფორმირებას მიკედლებული უგვანო ვიგინდარა, ტყის ნადირივით, ყველანი ერთიანად ფერმისკენ, საქონლის დასატაცებლად იწევდნენ, აქაოდა, ქვეყანა მაინც უპატრონოაო. ვისაც როგორ შეეძლო, ისე ცდილობდა ნაძარცვ-ნაყაჩაღარში, რაც შეიძლება მეტი წილი დაედო.

მარადიული ქვეყანაზე არაფერია. ვერ ვიტყვი, რომ ცხოვრება დღესაც არ ჭირდეს, მაგრამ მშრომელი კაცი მაინც პოულობს პატიოსანი შრომის სარბიელს და ახლაც იმას აკეთებს, რაც მუდამყამს უკეთებია.

საქმის გონივრულად აწყობა-გაძღოლის სურვილმა და ბოლო დროის ცხოვრებისგან ნაკარნახევმა აუცილებლობამ ყოფილი კოლმეურნეობის ყოფილი ბრიგადირი, ყაითო ლობჯანიძე და მისი მეუღლე ასმათი, დროებით მინდორში გაასახლა. ამ მინდორს „ქვიშიანი" ჰქვია. ბოლო დროს ქვეყანაში წარმოჩენილი ახალი ტენდენციის შესაბამისად, ყაითომ და ასმათმა ფერმერობას მიჰყვეს ხელი და რამდენიმე სულ საკუთარ საქონელს უვლიან. მიუხედავად საპენსიო ასაკისა, ცოლ-ქმარმა ახალ ცხოვრებას სხვებზე არანაკლებ აუღოს ალღო. ვერ ვიტყვი, რომ ყველაფერი ადვილად გამოსდით, მით უმეტეს ისეთ უჩვეულო პირობებში, როცა თითქმის ყოველი ჩვენგანი იმას ვცდილობთ, ერთმანეთს ქვეყნის სასარგებლო საქმის კეთებაში რითაც შეგვიძლია, ხელი იმით შევუშალოთ, მაგრამ საქმის სიყვარულს და გამოცდილებას მაინც თავისი გააქვს. ახალფერმერი ცოლ-ქმარი, მეცხოველეობასთან ერთად, მემინდვრეობასაც მისდევს და აქაც მოსავალი სხვებზე ურიგო როდი მოჰყავს.

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ახალი ფერმერები მარტო თავისთვის ზრუნავდნენ. მთელი ცხოვრება მიწასთან ჭიდილში გამობრძმედილი ჭარმაგი ცოლ-ქმრის სამი დაოჯახებული შვილი და, ასევე, დაოჯახებულ-დასაოჯახებელი შვილიშვილებიც ქალაქში ცხოვრობენ. ქალაქს კი, მოგეხ-

სენებათ, როგორ მუდამ, ამუამადაც, დიდი კუჭი აქვს. ხოლო მის დასაკმაყოფილებლად – ძალიან მცირე შესაძლებლობა. სხვისთვის ვისთვის, თუ არა თავისი მონაგრისთვის არ გაისარჯოს ცოლ-ქმარი! და არა მარტო მათთვის! მე რომ არ ვთქვა, ყველამ მშვენივრად ვიცით, ქვეყანაზე, ახლა მაინც, გაჭირვებულ ნაცნობსა და ნათესავს რა გამოლევს. მეგობრებსაც ხომ ხელს ვერ კრავ ამ დროს. მოჭირნახულე ცოლ-ქმარი – ყაითო და ასმათი, შეძლებისდაგვარად, ყველა მათგანს უწილადებენ თავიანთი დიდი შრომით მოწეული ხვავისა და ბარაქის ნაწილს.

ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება: ყაითოსა და ასმათის ოჯახის ერთ-ერთ ახლობელს შვილიშვილი შეეძინა. დედას რძე არ ყოფნიდა ჩვილისთვის. ყაითოს ოჯახი ოთხი-ხუთი კილომეტრიდან, სადაც საქონელი ედგა, როცა მოუხერხდებოდა, თვითონ უზიდავდა იმ ჩვილბავშვიან ოჯახს რძეს, ცხადია, სრულიად უსასყიდლოდ. ხანაც ჩვილბავშვიანი ოჯახის წევრები თვითონ ეზიდებოდნენ რძეს, მანამ, სანამ ბავშვი არ წამოიზარდა და რძესთან ერთად სხვა საკვების მიღება არ დაიწყო.

წვრილმანია? არც ისე, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს მოყვასისადმი თანადგომის სურვილს ბევრი როდი ამყლავნებს. ესეც არ იყოს, ჩვენი ცხოვრება ხომ უმეტესწილად წვრილმანებისგან შედგება! მეორეც: ზოგჯერ წვრილმანში, როგორც სარკეში, ისე აირეკლება ადამიანის შინაგანი ბუნება და ხასიათი.

ახლა კარგად არ მახსენდება, რას მოყვა ეს საუბარი, მაგრამ ერთხელ ასეთი რამ უთხრა ყაითომ მეუღლეს:

– ასმათ, თუ გვინდა, რომ ღვთით ბოძებული ჩვენი ცხოვრება ამ ქვეყანაზე ღირსეულად გავლიოთ, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ესეც უნდა გვახსოვდეს: არც ეს სახლ-კარია მარტო ჩვენი და არც ჩვენი შრომით მონაგრებული მცირე ქონება. კაცმა თუ მტერ-მოყვარეზე არ იფიქრა და, თუნდაც არ უჭირდეს, ახლობლის, გინდაც, შორეული ნაცნობ-მეგობრის მიმართ ყურადღება არ გამოიჩინა, ასეთ კაცს, ჩვენ ვიქნებით თუ სხვა, სულ ფუჭად უცხოვრია ამ ქვეყანაზე...

ძნელია, არ დაეთანხმო ამ მოსაზრებას, თუ შეგონებას, ვინაიდან მასში არა მარტო ამ ცოლ-ქმრის, არამედ, საერთოდ, გონიერი და კეთილშობილი ადამიანის ცხოვრების აზრი და მიზანი ირეკლება...

სამია მამუა

ბავშვობისა და, საშუალო სკოლა არ იყო. როგორც ჩანს, მოსახლეობის რაოდენობით სოფელს თერთმეტკლასიანი სასწავლებელი არ ეკუთვნოდა. ამიტომ, რვაწლედის დამთავრების შემდეგ, სწავლის გასაგრძელებლად, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა, ან რაიონის ცენტრში, ქლუხორში უნდა წასულიყო, ან სოფელ ზედა თებერდაში. მე ქლუხორში მომიწია სწავლის გაგრძელება.

აკაკი და ნასტია მეტრეველები შვილებთან ელზასთან
და ნუგზარისთან ერთად.

ამას ორი მიზეზი ჰქონდა. ჯერ ერთი, ქლუხორი რაიონის ცენტრი იყო და, სოფელთან შედარებით იქ სწავლების ხარისხი უკეთესი უნდა ყოფილიყო. თუმცა, აქვე ამასაც ვიტყვი: თუ მოსწავლე მონდომებულია, სასურველი ცოდნის მიღება, მეტ-ნაკლებად ყველგან შეიძლება. ამის უამრავი მაგალითი არსებობს. მაგრამ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, ჩემმა მშობლებმა ჩემი რაიონში სასწავლებლად გაგზავნა, უფრო ამიტომ არჩიეს. მაგრამ იყო ამაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი სხვა გარემოებაც. კერძოდ, იქვე, რაიონის ცენტრიდან ორი კილომეტრის დაშორებით, სოფელ ახალშენში (იგივე კამენომოსტში) ჩემი უფროსი და, ნასტია და მისი მეუღლე, აკაკი მეტრეველი ცხოვრობდნენ. აქედან გამომდინარე, სწავლის პერიოდში,

ბინისა და კვების პრობლემა არ მექნებოდა. სკოლაში კი მათი სახლიდან სოფლის სხვა მოსწავლეებსავით ფეხით ვივლიდი.

დამ და სიძემ ოჯახში გულთბილად მიმიღეს, შენ მხოლოდ ისწავლე და დანარჩენი ჩვენზე იყოს, ყველაფერში ხელს შეგიწყობთო, თავიდანვე დამაიმედეს და, მართლაც, არაფერს არ მაკლებდნენ მთელი სამი წლის განმავლობაში, სანამ საშუალო არ დავამთავრე.

თავისთავად ცხადია, ჩემი და, ძმას მზრუნველობას არ მომაკლებდა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც და, საერთოდ, განსაკუთრებული მადლიერებით მინდა, გავიხსენო ჩემი სიძე, აკაკი მეტრეველი.

მისი მზრუნველური დამოკიდებულებიდან გამომდინარე, იგი ჩემთვის უფროსი ძმა უფრო იყო, ვიდრე სიძე. ჩემს დას ნეტა რა მისი გაფრთხილება და თხოვნა უნდოდა, ჩემთვის ისედაც სულს არ იშურვებდა, მაგრამ აკაკი, ვითომ მისი ძმა ვყოფილიყავი და არა მეუღლისა, ისე შესთხოვდა ხოლმე ჩემს დას: ნასტია, მე შინ ხშირად არა ვარ, ეგებ გაფრთხილება არც გჭირდებოდეს, მაგრამ ეცადე, ამ ბიჭს არაფერი მოაკლო, სწავლაში ხელი არ შეეშალოსო.

უნდა ითქვას, რომ ჩემი სიძე მარტო ჩემს მიმართ როდი იყო ასეთი გულისხმიერი, მზრუნველი და ყურადღებიანი. იგი, საერთოდ, არჩვეულებრივად გულთბილი და სხვების მიმართ ყურადღებიანი ადამიანი გახლდათ. თუკი გაჭირვებულს ნახავდა, მუდამ იმას ცდილობდა, ხელი რამით შეეშველებინა, მეგობრობა უღალატო და უანგარო იცოდა, ნათესაობა – უხინჯო და შეუბღალავი, ხოლო მეზობლობაში უშურველი და ხელგაშლილი იყო. სოფელში ერთ-ერთ სანაქებო, გამრჯე გლეხკაცად ითვლებოდა. ხალისიანი შრომა იცოდა. გასაჭირში მოწყენა არ ჩვეოდა. მის გვერდით შრომა-საქმიანობისას დაღლას ვერ იგრძნობდი. საქმეს რომ აკეთებდა, ან ტკბილად ღიღინებდა, ან ხუმრობდა. ხშირად რამე ხალისიან შემთხვევას გაიხსენებდა თავისი ან სხვისი მარცხის შესახებ და თხრობისას მიმზიდველად დაასურათხატებდა, მაგრამ ვინმეს დაცინვით და ღვარძლით კი არა, არამედ ისე, საკუთარი თავიც რომ გაემხიარულებინა და სხვაც. ღვარძლი და ბოროტება ბუნებით არ ახასიათებდა. სიმღერა უყვარდა და ფანდური. ფანდურს, როცა ამის დრო ჰქონდა, გვერდიდან არ იშორებდა. ხელს ისე გაუმართავდა უცხოს თუ შინაურს, მისგან ხელგამართული თავს დავალებულად არ იგრძნობდა. და ამას აკეთებდა ბუნებრივად, შინაგანი მოთხოვნილებით და არა ვინმესთვის თავის მოსაჩვენებლად. მისთვის უცხო იყო გაორება და თვალთმაქცობა. ნამდვილად დიდბუნებოვანი ადამიანი იყო.

შეიძლება, ვინმემ იფიქროს, სიძე იყო და საქებარ სიტყვებს ამიტომ არ იშურვებსო. ასე სულაც არ არის. ამ მცირე მოგონებისას იმის ნახევარიც არ მითქვამს, რაც მას თავისი დიდბუნებოვნებით სხვებისგან გამოარჩევდა. ამის ერთი დასტური ისიც გახლავთ, რომ ას წელს გადაცილებულმა საბია ბაბუამ, ოჯახის გაყრის შემდეგ, თავისი შვილიშვილის – აკაკისა და მისი მეუღლის ოჯახში არჩია ცხოვრება, თუმცა, იმავე სოფელ ახალშენში აკაკი-

ქლუხორის ქართული საშუალო სკოლის კურს დამთავრებულთა ერთი ჯგუფი. მარცხნიდან მარჯვნივ: დგანან – ფილიპე ქალდანი, კარლო ცუცქირიძე, ვალოდია გუჯეჯიანი, დავით გუჯეჯიანი, დიმიტრი ლობჯანიძე, ისლამ უშხვანი, გრიშა სახდუხაძე და ანზორ კვიტაიშვილი. სხედან: – როზა გავაშელი, შურა ბუბაშვილი, მაყვალა ლობჯანიძე და ნათელა ლობჯანიძე. 16 ივნისი, 1854 წელი.

ზე უფრო ახლობელი ქალიშვილიც ჰყავდა. და, უნდა ვთქვა, რომ არჩევანში ბერიკაცი არც შემცდარა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხნის ადამიანი ბავშვივით ფაქიზი მოსავლელია, შვილიშვილი და მისი მეუღლე სწორედ ამგვარი სითბოთი და გულისხმიერებით უვლიდნენ საბია ბაბუას.

საბია მეტრეველი (ლომინაანთი) ქალიშვილმა და შვილიშვილებმა კამენომოსტში უწერიდან ჩამოიყვანეს. როგორც ვთქვი, იგი უმცროსი შვილიშვილის, აკაკის ოჯახში ცხოვრობდა. როცა სწავლის გასაგრძელებლად ქლუხორში გადავედი და სიძისა და დის ოჯახში დავბინავდი, მაშინ საბია ბაბუაც იქ გავიცანი. ის ამ დროს საშუალო ტანის, მხრებში ოდნავ მოხრილი, ტანხმელი მოხუცი გახლდათ. ეტყობოდა, ყველაფრის შემმუსვრელ ასაკსა და დროს მისი სხეული გაელია, თორემ ახალგაზრდობაში ტანმაღალი კაცი იქნებოდა. ბერიკაცი ზომიერად შეკრეჭილ თეთრად დათოვლილ წვერს ატარებდა.

საბია ბაბუა მთელ სოფელში (იქნებ მთელ რაიონშიც) ყველაზე უხუცესად ითვლებოდა და, მგონი, იყო კიდეც. ალბათ, ამიტომაც ნაცნობ-უცნობები შეხვედრისას, სხვა რამესთან ერთად, უთუოდ ჰკითხავდნენ, რა ხნისა ხარო. თვით ისინიც კი, ვისაც გაგონილი ჰქონდათ მის წელთა სიმრავლის შესახებ,

მაგრამ გუნებაში ბოლომდე არ სჯეროდათ მისი ასეთი ხანდაზმულობა. საბია ბაბუა ყველას ერთსა და იმავეს ეუბნებოდა, 130 წელს მალე გადავაბიჯებო. და იქვე, ვგონებ, მეტი დამაჯერებლობისათვის, ამასაც დაუმატებდა, აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში კარგად მახსოვს, მაშინ სამოცდაათ წელს ვიყავი მიტანებული და მეუღლე ახალი გარდაცვლილი მყავდაო.

უნდა ვთქვა, რომ იმ დროს საბია ბაბუას გარეგნულად ამხელა ასაკი არც სიარულზე, არც საუბარსა და გარეგნობაზე არ ეტყობოდა. მშვენიერი მახსოვრობა ჰქონდა. დინჯი, გამართული საუბარი იცოდა და გარდასულ ამბებს – ნანახს თუ გაგონილს, – თავანკარა ქართულით ყვებოდა, თუმცა, მშობლიური რაჭული კუთხის კილოკავი მის საუბარში ნათლად იგრძნობოდა. როგორც უკვე ვთქვი, რამდენიმე წელი მეც იმ ოჯახში ვიცხოვრე, სადაც საბია ბაბუამ და ამიტომაც კარგად მახსოვს იგი.

პურს მანამ არ გატეხდა, სანამ პირჯვარს არ გადაიწერდა და არ ილოცებდა, თუმცა, როგორც ვიცი, არამც თუ სასულიერო აღზრდა არ მიულია, მგონი, სკოლაში საერთოდ არ უვლია.

ყოველ დილით, როგორც კი ადგებოდა, ხელ-პირს დაიბანდა, წვერსა და თმას დაივარცხნიდა. მერე სასადილო ოთახის აღმოსავლეთ კუთხეში მივიდოდა, დაიჩოქებდა და ღრმა მორწმუნის სასოებით ილოცებდა. (თუმცა, ოჯახში ხატი არ იყო), საუზმის სუფრას მხოლოდ ამის შემდეგ მიუჯდებოდა და პურს მერე გატეხავდა.

მაშინ საშუალო სკოლის მოსწავლე ვიყავი და, იმ დროის სულისკვეთებიდან გამომდინარე, ლოცვა-ვედრების ბევრი არაფერი გამეგებოდა (თუმცა, ჩემდა სამარცხვინოდ, ღვთისმეტყველების ღრმად და საფუძვლიან ცოდნაზე თავს ვერც ახლა დავდებ).

საბია ბაბუას, დილის ლოცვას რომ მორჩებოდა, არა დაცინვით, ან გასანაწყენებლად და გასაღიზიანებლად, არამედ საქმის არსში ჩაუხედავობით ვეტყოდი ხოლმე, ღმერთის არსებობა ასე მტკიცედ რატომ გჯერა, როცა იგი, არამც თუ პირადად შენ, ქვეყანაზე კაცისშვილს არ უნახავს-მეთქი. (მრავალი წლის შემდეგ, ახლა ვთხოვ უფალს შენდობას, მის მიმართ მაშინ გამოთქმული ამ მკრეხელური აზრისა და სიტყვებისათვის!).

მახსოვს, ასეთ დროს საბია ბაბუა მიმტევებლურად და მშვიდად შემომხედავდა და დარიგებით, გულდაწყვეტილი მეტყოდა, შვილო, ეტყობა, ცუდად გზრდიან იმ შენს სკოლაში. უფალს ნუ სცოდავ, შეგეწიოს მისი მადლი. ძე ღვთისა, იესო მაცხოვარი ხომ დადიოდა ამქვეყნად. იგი იმ დროს ყველამ იხილა და ეს კი ჭეშმარიტი საბუთია, ჭეშმარიტად ღმერთის არსებობისა. უფალი ღმერთი უხილავად უნდა ვიწამოთ და იგი თავის წყალობას არასოდეს მოგვაკლებსო.

მე ჩემსას არ ვიშლიდი.

შენ რომ მტკიცედ გწამს და ყოველდღე გულმხურვალედ ევედრები, რატომ სხვებზე მეტად არ გწყალობს ღმერთი-მეთქი.

ჩემი კაკოსა და ნასტიას ოჯახი ჯანმრთელად და კარგად რომ მყავს, უფლისგან ამაზე მეტი სხვა რა წყალობა მინდაო, მომიგებდა.

ერთხელ ესეც ვუთხარი, ხალხი ამბობს, რამდენიც გინდა ილოცო, ახლანდელ ლოცვას ძალა არა აქვსო.

საბია ბაბუა მცირე ხნით ჩაფიქრდა. არ ვიცი, ნამდვილად სადმე ჰქონდა გაგონილი, თუ არ უნდოდა ჩემი კითხვა უპასუხოდ დაეტოვებია, მითხრა:

ღვთისადმი ლოცვა-ვედრებას ძალა მუდამ აქვს, თუმცა, ჩემს ყმაწვილ კაცობაში გამიგონია – მაცხოვარს დასაჭერად დაეძებდნენ, მაგრამ ვერ მოიხელთეს. მდევრებს წინ პეტრე მოციქული შეხვდათ. გააჩერეს და ჰკითხეს, იესო ნაზარეველს ვეძებთ, გვითხარი საით წავიდაო.

პეტრე მოციქულმა იცოდა, მაცხოვარი საითაც წავიდა, მაგრამ მიუგო, არ მინახავსო.

არ დაუჯერეს. დაიფიცე, თუ სიმართლეს ამბობ და ნამდვილად არ გინახავსო.

ამა და ამ საუკუნეში ხალხს რომ ღვთისადმი რწმენა ექნება, იმ დროის ლოცვის მადლი გამიწყრეს, თუ მენახოსო. ახლაა ის დრო, პეტრე მოციქული რომ გულისხმობდა, მაგრამ სულ ასე არ იქნება ხალხი სარწმუნოებაზე გულაყრილი. ღვთის ნებით ყველაფერი შეიცვლებაო.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. საბია ბაბუას ნათქვამი სულ ახლახან გულდასმით გამოვიკითხე. მინდოდა, გამეგო, რას ეყრდნობოდა, მაცხოვარსა და პეტრე მოციქულზე რომ მიამბობდა. დამედგინა, საეკლესიო ლიტერატურაში ხომ არ იყო დადასტურებული მსგავსი ამბავი, მაგრამ ვერსად მივაკვლიე, ამიტომ ვერ ვიტყვი, რა ისტორიული თუ ლიტერატურული საფუძველი ჰქონდა საბია ბაბუას ნაამბობს.

ახლა მოდაშია საბჭოთა წყობილების ხელაღებით უარყოფა და უდიერად მოხსენიება. სულაც არ მიმაჩნია სწორად, განუკითხავად არც რამის უარყოფა და არც ქება-დიდება. ყველა დროს აქვს რაღაც მოსაწონი ნიშანთვისება და იქნებ უფრო მეტი – დასაწუნი და უარსაყოფი, მაგრამ ერთსაც და მეორესაც გონივრული და მიუდგომელი შეფასება სჭირდება. ალბათ, ასეც მოიქცევა მომავალი მეისტორიე. მაგრამ საბია ბაბუასთან დაკავშირებით ვიტყვი, რომ საბჭოური ცხოვრების წესი არ მოსწონდა. როცა ამაზე სიტყვა ჩამოვარდებოდა, უმალ წარსულს გაიხსენებდა და იტყოდა, კარგი ცხოვრება სწორედ წარსულში იყოო. საბია ბაბუა გამონაკლისი არ იყო. ადამიანებს ხშირად გვჩვევია წარსულის მონატრება, მასში მხოლოდ კარგის დანახვა და უარყოფითის დავიწყება, მით უმეტეს მაშინ, თუ აწმყოში ცუდად ვცხოვრობთ.

ამაზე ვეტყოდი, აბა, რა ისეთი კარგი იყო წარსული, მთელი მოსავალი მიწის მეპატრონეს მიჰქონდა-მეთქი.

სანამ მიწის მეპატრონე მოვიდოდა, ჩვენ მოსავლის ნახევარი უკვე შინ გვქონდა მიტანილი, ახლა რასაც კაცი მოიწევს, ერთიანად სახელმ-

წიფოს მიაქვსო, იცავდა თავის აზრს საბია ბაბუა. მაგრამ არც მე ვთმობდი ჩემსას.

ეგ ხომ უკანონო ქმედება და სხვისი ქონების ძალად მითვისება იყო-მეთქი.

როცა ხედავდა, რომ მართალი ვიყავი, თავის მხრივ, ისიც თავს იმართლებდა, გვეკუთვნოდა და მიგვქონდა, ალბათ, ამიტომაც არ გვედავებოდა მიწის მეპატრონეო. რას ვიზამთ, როგორც ჩანს, ცალმხრივად ყოველგვარი მოქმედების გამართლება შეიძლება, მაგრამ ჭეშმარიტების აღიარება ძნელია. ალბათ, ამიტომაც ვარღვევთ კანონს ყოველ ნაბიჯზე და სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისაკენ კაცობრიობა წინ ძნელად მიიწევს.

მეცნიერება ადამიანის ჯანმრთელობის გაუარესების მიზეზთა შორის ერთ-ერთად თამბაქოს წევასაც ასახელებს და, ალბათ, ასეც არის, მაგრამ წესს გამონაკლისიც ახლავს. გამონაკლისად კი ამ შემთხვევაში ის ჩაითვლება, ვის როგორი აგებულების ორგანიზმი აქვს.

საბია ბაბუა თამბაქოს განუწყვეტლივ ეწეოდა. სიტყვას რომ ვინმე თამბაქოს მავნებლობაზე ჩამოუგდებდა, გაიღიმებდა და იტყოდა: ვიცი, მსმენია, მაგრამ შეჩვეული ვარ და ვერ ვთმობ. ისე კი ცამეტი წლის ასაკიდან ვეწევი თამბაქოს, მაგრამ ამ ხნის კაცი ვარ და ჯერ სერიოზულად ავად არ გავმხდარვარ. ამით იგი მეცნიერთა დასკვნებსაც უნდობლობას უცხადებდა და ადამიანის ორგანიზმზე არც თამბაქოს მავნე მოქმედებისა სჯეროდა. რა თქმა უნდა, ამაში ის მართალი არ იყო, მაგრამ, ეტყობა, კაცი ღვთით გაჩნდება ჯანმრთელი და ქუდბედიანი და ასეთებზე საზოგადოდ გამოტანილი დასკვნები არ ვრცელდება. ჩანს, საბია ბაბუაც ასეთ ღვთით კურთხეულ ქუდბედიანთა რიცხვს ეკუთვნოდა. არც ის არის გამორიცხული, რომ მას ღვთის მადლი შველოდა იმის გამო, რომ ურწმუნოების ჟამს ღვთის არსებობაში ექვი არასოდეს შეჭპარვია.

საბია ბაბუა ხელობით დურგალი იყო. როგორც რაჭველების უმეტესობა, ახალგაზრდობაში ისიც ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდა და იქ ფიზიკურად მუშაობდა. განსაკუთრებით ოსეთსა და მარყალში, სადაც არაერთი მეგობარი ჰყავდა. და ის იქ შინაურ კაცად იყო მიღებული. ენდოდნენ და პატივს სცემდნენ. მან მშობლიურ ენასავით უნაკლოდ იცოდა ოსური და მარყალური ენები.

საბია ბაბუამ სიცოცხლის ბოლო წელს ჭიორაში გათხოვილი ქალიშვილის ოჯახში მოინდომა ცხოვრება და გარდაცვალებამდე იქვე იყო. როგორც ჩანს, სიცოცხლის ბოლოს მშობლიურმა მიწამ თავისთან მოუხმო.

ახლობლები იგონებენ, გარდაცვალებამდე ორი თვით ადრე შეუძლოდ გახდა და ფეხზე დგომას ლოგინში წოლას არჩევდა, ამიტომაც უმეტესწილად მწოლიარე იყოო.

ერთ დღეს შვილისთვის უთქვამს, ტანსაცმელი მომიტანე, უნდა ავდგე, რომ სიკვდილის წინ ეს ქვეყანა კიდევ ერთხელ მოვიხილოო.

რა დროს სიკვდილია, იწექი, არ გაცივდე და უფრო ცუდად არ გახდეო, – ურჩევია ქალიშვილს.

საბია ბაბუას თავისი არ დაუშლია, ტანსაცმელი მომიტანეო, დიდი-დიდი ორი საათი კიდევ ვიცოცხლო, ეს-ეს არის ძილში ყველა ჩვენი მიცვალებულები ვნახე, ისე ნუ გამიშვებთ, სიკვდილის წინ ეს ქვეყანა კიდევ ერთხელ არ მოვიხილოო, თავისაზე დამდგარა ბერიკაცი.

შინაურებმა ეს მოხუცს ახირებად ჩათვალეს, მაგრამ ტანსაცმელი მაინც მიუტანეს. ჩაიცვა და ეზოში გავიდა. მიიარ-მოიარა, შემობრუნდა შინ, დაწვა, დაიძინა და აღარც გაუღვიძნია. უბოროტო, კეთილი ბერიკაცი, საბია მეტრეველი, მშვიდი სიკვდილით მიიცვალა თურმე.

ამ ამბიდან რამდენიმე წლის შემდეგ უწერაში მომიწია ყოფნა. აგვისტოს ბოლო დღეები იყო, მშვენიერი ამინდები იდგა. ამ დროს, მართლაც, არაფერი სჯობია რაჭაში ყოფნას. დიდებული ჰაერი, ულამაზესი ბუნება, ცად აზიდული ზვიადი მთები, გვერითას უკვდავების წყაროები და ნაკლებად ემოციურ, მშვიდ რაჭველებთან ურთიერთობა ყოველგვარ ამქვეყნიურ საზრუნავს გავიწყებს. ჩემთვის, იქაური კაცისთვის უცხო არ იყო მშობლიური მხარე და მიწიერი სამოთხის ხილვა, მაგრამ კიდევ ერთხელ მისი ხილვისას აღტაცებას მაინც ვერ ვფარავდი.

იმ დილით, ჩვეულებისამებრ, გამოვედი სანატორიუმის ეზოში, სადაც ერთი საკმაოდ ასაკოვანი ბერიკაცი ბალახს თიბავდა. არ ვიცი, ქალაქში დიდხანს ნაცხოვრებს მიწასთან ურთიერთობა მომენატრა თუ რა იყო, გულმა მისკენ გამიწია და ცელის ხელში აღება მომინდა.

გამოველეპარაკე.

80 წელს გადაცილებული უწერელი ბერიკაცი გვარად მეტრეველი აღმოჩნდა. ბერიკაცი-მეთქი, ვამბობ, თუმცა, უძლურების არაფერი ეტყობოდა. ცელს ჯანიანად და ოსტატურად იქნევდა.

საუბარს შევყევით.

მის მხნე, მარჯვე გლეხკაცურ მუშაობას რომ ვუცქეროდი, ჩემში წარსულის მოგონებებმა გაიღვიძეს. ცელის ხელში აღების და მცირე ხნით მაინც მუხლამდე მომდგარი ცვრიანი ბალახის გათიბვის სურვილი გულზე უჩვეულო ძალით შემომეგზნო. მინდოდა, თავი შემემოწმებინა, კვლავ შევძლებდი თუ არა თიბვას. ცოდვა გამხელილი სჯობია, ამაზე არანაკლებ მეწადა, თიბვაში ჩემი ცოდნით ბერიკაცი გამეკვირვებინა.

ვუთხარი, ცოტა ხანს დაისვენე, ცელი მომეცი, ერთი ვცდი, თიბვას როგორ მოვახერხებ-მეთქი.

უნდობლად შემომხედა და მერე კეთილად გაღიმებულმა მითხრა, გაგიჭირდებაო.

რატომ-მეთქი.

აქ, ჩვენში თიბვას ბავშვობიდან სწავლობენ, შენ ქალაქელი კაცი ჩანხარ და ამას ასე ადვილად ვერ შეძლებო.

ვნახოთ-მეთქი, არ მოვეშვი.

შევატყვე, ცელი უფრო იმიტომ არ ეთმობოდა, ამ საქმის ხამმა ქალაქელმა უნებურად ცელი არ გამიფუჭოს და საქმეში ხელი არ შემეშალოსო. მაინც გამოვართვი ცელი. ვატყობდი, თვალს არ მაცილებდა. აინტერესებდა, რას ვიზამდი: შევძლებდი თუ არა ცელის სწორ მოხმარას და ბალახის მეტ-ნაკლებად მარჯვედ მოთიბვას.

ბალახს დავწვდი, ერთი ბღუჯა ავიღე და ცელი გავწმინდე. ბერიკაცი უსიტყვოდ მიცქეროდა, ვატყობდი, უკვირდა, ამ საქმის მცოდნე მთიელივით რომ ვიქცეოდი, მაგრამ არ ვიმჩნევდი, ვითომ ვერც ვხედავდი მის გაკვირვებას.

სალესი გამოვართვი, ცელს პირი ავუწყვე და თიბვას შევუდექი.

რამდენიმე ლესური რომ გავიტანე, მომიახლოვდა და მითხრა, გეყოფა, დასასვენებლად ჩამოსული ცელმა არ გიხამოს, ქალაქელი კაცის პირობაზე არა გიშავს, კარგად თიბავო.

გამეცინა.

რა გაცინებს, ხომ არ გეწყინა, ძალიან რომ არ შეგაქე. მართალი თუ გინდა, გამიკვირდა, ქალაქელი კაცი ასე კარგად რომ თიბავო.

მთლად ქალაქელი არ მეთქმის, წარმოშობით ღებელი ვარ-მეთქი.

ჰო, ეს სხვა საქმეა, ღებელებმა დიდებული თიბვა იციან, ეს შენც გეტყობაო.

თიბვა-ცელის ამბავი დავაგდე და საბია ბაბუას შესახებ ვკითხე, თუ იცნობდი-მეთქი.

კიო, ჩვენს კუთხეში იმდენ ხანს არავის უცოცხლიაო, მითხრა.

მერე რაღაცნაირი ჩუმი სევდით დაუმატა: – თუმცა, მუდამ არც ამ – ქვეყანაზე ხანგრძლივ ცხოვრებას მოაქვს ბედნიერება... უმეტეს შემთხვევაში მაინც. – ვერ მივხვდი, ვის გულისხმობდა, საბია ბაბუას, თუ სხვა ვინმეს, რომ თვალში მეცა, მოხუცს ტანზე შავი პერანგი ეცვა, როგორსაც სოფელში მგლოვიარობის ნიშნად ატარებდნენ. შემეცოდა ბერიკაცი, მაგრამ არაფერი მიგრძნობინებია, აღარც რამე მიკითხავს. მან კი განაგრძო: – თუმცა, საბია ამ მხრივაც განსაკუთრებული ბედის აღმოჩნდა: თავისი ხანგრძლივი წუთისოფელი ისე გალია, სიცოცხლეში ახლობელთა დიდ გასაჭირს არ შესწრებია.

არ ვიცი... იქნებ ამ თუ სხვა რამის გამოც ღირდა იმ კეთილ ბერიკაცზე ამ მცირე მოგონების დაწერა.

ცხენის ფაკავი

ეს დღე ერთი, ჩვეულებრივი, კვირა დღე გახლდათ.

უწერიდან, და არა მარტო უწერიდან... რაჭის სხვა სოფლებიდანაც ქლუხორის რაიონის სოფელ ახალშენში ჩასახლებულები შინ იყვნენ და ისვენებდნენ. მაგრამ მაინცდამაინც იმიტომ კი არა, რომ კვირა უქმს ინახავდნენ, სულაც არა! კოლმეურნეობაში მომუშავე გლეხკაცებისთვის კვირაც ისეთივე სამუშაო დღე იყო, როგორც სხვა დანარჩენი... იმ დღეს დილიდანვე გადაუღებლად წვიმდა. მხოლოდ სამხრობისას გადაიღო წვიმამ და მზემაც მორცხვად გამოანათა, აქაოდა, ამდენ ხანს რომ არ ვჩანდი, ეს ჩემი ბრალი სულაც არ არის, ყველაფრის მიზეზი ის იყო, რომ ცას სქელი ღრუბლები ფარავდა, მეც იმ ღრუბლებს მიღმა ვიყავიო.

მიუხედავად გამოდარებისა, ხალხი მაინც შინ დარჩა. კაცმა რომ თქვას, ასე გვიან რაღა დროს მინდორში სამუშაოდ წასვლა იყო. სოფელმა გულში მადლობა შესწირა უფალს და მისი წყალობით მოსულ წვიმას, რომელმაც თითქმის თვენახევრის მუყაითი შრომის შემდეგ დაღლილ ახალშენელებს დასვენების საშუალება მისცა.

ღრუბლები გვიანობამდე ისე ირეოდნენ ცაზე, არ ეგონათ, თუ კვლავ არ გაწვიმდებოდა. მაგრამ, როცა წვიმა ჯერ შენელდა და მერე მთლად შეწყდა... ამასთან ერთად, ქარმაც წამოუქროლა და ცაზე დაზვინული ღრუბლები მიმინოს გამოჩენით დამფრთხალი ჩიტებივით თვალის დახამხამებაში მიმოიფანტა. მათ მეურვეობას ასე ანაზდად თავდაღწეულმა სექტემბრის მზემ ისეთი ძალით გამოანათა, მიწას ოხშივარი აუვიდა და თანდათან გაშრა კიდეც.

ახალშენელი კოლმეურნეები, როცა საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მინდორში წასვლა არ მოუწევდათ, ქალები საოჯახო საქმეებს მიუბრუნდნენ და შინ თავაუღებლად ფუსფუსებდნენ. ხოლო მამაკაცებმა, ამინდს გამოდარება დაეტყო თუ არა, სასოფლო კლუბის წინ, ეზოში დაიწყეს თავის მოყრა. დამხდურებს ზოგი ჩუმად, თავის დაქნევით, ზოგიც ხმამაღლა მიესალმებოდა. მერე, ვინ სადაც მონახავდა მარჯვე ადგილს, – ქვებზე თუ კლუბის ეზოში რამდენიმე წლის წინათ დაყრილ მუხისა და რცხილის მორებზე – იქ ჩამოჯდებოდა.

თითქოს ერთმანეთს დუმილში ეჯიბრებიანო, ერთხანს ხმას არავინ იღებდა. იქვე, იმ ადგილიდან ასი თუ ასორმოცდაათი მეტრის მოშორებით

ქვის კალაპოტში თქარა-თქურით მიმავალი ყუბანი დაუზოგავად მიერეკებოდა ტალღებს შორეული რუსეთის გამინდვრებული ვაკეებისკენ.

– გამოდის, რომ ვისვენებთ, – თითქოს თანასოფლელების უქმად ყოფნა ეჩოთირება და საყვედურობსო, ისე ესროლა ეს სიტყვები კლუბის ეზოში შეკრებილებს ახლადმოსულმა ოსია რეხვიაშვილმა და თორნიკე ტოგონიძისა და აკაკი მეტრეველის გვერდით ჩამოჯდა.

რაიონის სკოლაში სამი წლის განმავლობაში ახალშენიდან დავდიოდი და ამ ხნის განმავლობაში ეს სოფელი ისე გავითავისე, თითქოს იქ დავბადებულ-გავზრდილიყავი. აქ დიდსა და პატარას ყველას ახლოს ვიცნობდი. მათ შორის, ცხადია, გლეხკაცებსაც. ვიცნობდი, რადგან ძალიან მიყვარდა მათ შორის ტრიალი და არაერთხელ შევსწრებივარ მათ საუბარს დიდი ხნის წინათ გარდასულ ამბებზე.

ის დღეც ერთი ისეთივე დღე იყო, როცა წვიმის გამო დასვენებული, კლუბის წინ მორებზე ჩამომჯდარი ახალშენელი გლეხკაცები თავს სხვადასხვა ამბის გახსენებით ირთობდნენ.

ოსია რეხვიაშვილის სიტყვებზე, გამოდის რომ ვისვენებთო, აქამდე ჩუმად მყოფმა ტუხია გოგრიჭიანმა თავი აიღო და ოსიას უკმაყოფილოდ ჰკითხა:

– რა, გწყინს რომ ვისვენებთ, თუ როგორაა შენი საქმე?!

– არა, კაცო, როგორ მწყინს, მაგრამ...

– ამას რა მაგრამ უნდა. – საუბარში ჩაერია დათიკო მეტრეველი, რომელსაც საბჭოური ცხოვრებისა არაფერი მოსწონდა და ამას არც არასოდეს მალავდა. – თვეზე მეტია, დილა უთენია მივდივართ მინდორში და შინ ღამე ვბრუნდებით. თვეში ერთი დღე დასვენება აღარ გვეკუთვნის? თვეში ერთი დღე კი არა, რომ სადმე სამართალი იყოს, წესით ყოველ კვირას უნდა ვისვენებდეთ.

– წესით... ვინ დააწესა, რომ ყოველ კვირას გვეკუთვნის დასვენება? – უფრო საუბარში ასაყოლიებლად და გასაღიზიანებლად ჩაეძია თორნიკე ტოგონიძე, თორემ მან სხვებზე ნაკლებად როდი იცოდა, რომ დათიკო სიმართლეს ამბობდა.

– ვინ დააწესა და მამაშენმა, სარდიონამ! უფალმა ინება ასე!

– ძალიან კარგი, მაშინ ისიც ბოლომდე თქვი, როგორ?

– როგორ და, უფალმა სამყაროს შექმნა ექვს დღეში რომ დაასრულა, მეშვიდე დღეს დაისვენა და ამ დღეს კვირა უწოდა. აქედან მოყოლებული, ანუ იმ დღიდან, რა დღიდანაც პირველი ადამიანები – ადამი და ევა დამკვიდრნენ ამ ქვეყანაზე, უფალმა მათ და მათ ნაგრამ-მონაგარ-შთამომავალს უბრძანა: რადგან მეტი გონება არ აღმოგაჩნდათ, ჩემი შეგონების მიხედვით, სამოთხეში გენეტარათ მარადის, ახლა კეთილი ინებეთ და ოფლითა თქვენითა მოიპოვეთ სასუფეველი და ჭამეთ პური თქვენიო. აი მას შემდეგ გამოცხადდა კვირა დასვენების დღედ.

– თუ ასეა, ჩვენ რატომ არ გვასვენებენ? – იკითხა ტუხიას ძმამ, იასონმა.

– იასონ, შენ ისეთი მოუსვენარი კაცი ხარ, რომც გითხრან, დაისვენეო, მაინც არ დაისვენებ და ამიტომ არ გასვენებენ, – დაცინვით უთხრა მიხა გოგრიჭიანმა.

– ჩემს გარდა, სოფელში სხვებიც არიან, ვინც უარს არ იტყვის კვირის უქმად გამოცხადებასა და დასვენებაზე. – მოუჭრა იასონმა.

– კარგი ერთი, ნუ მოყვებით რაღაც უაზრობას! – რატომღაც იწყინა ბრიგადირმა, შალიკო ტოგონიძემ. კოლმეურნეობაში სადაა საქმე ისე აწყობილი, ექვს დღეს იმუშაო და მეშვიდე დღეს დაისვენო. აფერებულ ყანას რომელი გიყი დატოვებს მოუმკელს, – ხვალ კვირაა და უნდა დავისვენოო. დაისვენებ და გადამწიფებული თავთავებიდან მარცვლები ქარის უბრალო წამოქროლებაზე ჩაცვივდება. ან წვიმა მოვა, როგორც დღეს და, შეიძლება, ყანა ერთიანად მიწაზე დაწვეს. უყარე მერე კაკალი! რა, თქვენ ეს ჩემზე ნაკლებად იცით, მე რომ ამდენს მალაპარაკებთ?! დათიკო მეტრეველს რომ უსმინოთ, სულ ასეთ რამეებს იქადაგებს. ვითომ არ იცნობთ, რაღა. – შალიკო პარტორგიც იყო და დათიკო უთუოდ ამის გამოც აღარ შედავებია. სხვებმაც გაჩუმება არჩიეს მანამ, სანამ ბრიგადირი არ წავიდა. თუმცა, დუმილი კარგა ხანს არც მერე დაურღვევიათ.

ისე ჩანდა, რომ სიჩუმე ყველას მოსწყინდა. ალბათ, ამიტომაც, მიხა გოგრიჭიანი თანასოფლელებს შორის აქამდე ჩუმად ჩამჯდარ ლუკია მეტრეველს მიუბრუნდა და განგებ, ყველას გასაგონად ხმამაღლა უსაყვედურა:

– ლუკია, რავა მართალი კაცივით გატრუნულხარ და სხვების ცოდვებს ისე ისმენ, ვითომ შენს დღეში არაფერი გეეშმაკოს. არადა, თუ ქვეყნის ჭორებს დავუჯერებთ, ახალგაზრდობაში შენც კაი ჩუმჩუმელა იყავი.

ლუკიამ ცერად გახედა მასზე უმრწმეს მიხას და, თითქოს საყვედურიც რომ ეთქმოდა, ბრალდების დასტურ-უარყოფაც და კამათში აყოლის სურვილიც, ისე უთხრა:

– გაუკილავი ჩემს მეტი არავინ დაგრჩა და ახლა მეც მომდექი ხომ?

– შენი გაკილვა, ლუკია, არც მიფიქრია, მაგრამ როგორც ზოგ-ზოგები ამბობენ, თავის დროზე მარტო უწერამ კი არა, მთელმა ონმა შეიტყო შენი წითელი ცხენის ტყავის ამბავი.

ამის გაგონებაზე რამდენიმეს ისე გაეღიმა, თითქოს მიხას ნათქვამზე კვერს უკრავდნენ. ეტყობა, ლუკიას ახალგაზრდობაში რაღაც მართლაც ეცუღლუტა, რომლის შესახებ, ჩემს გარდა, იქ მყოფთაგან უმეტესობამ დაწვრილებით იცოდა, მაგრამ მისი კვლავ მოსმენის სურვილი მაინც ყველას ჰქონდა. თითოეული მათგანი ნაწილ-ნაწილ იხსენებდა იმ ამბავთან დაკავშირებულ ყოველ წვრილმანს და თან გულიანად იცინოდა. თვითონ ლუკია საუბარში არ ერეოდა. თავისთვის მშვიდად იჯდა. არც უარყოფდა სხვათა ნაამბობს და არც ადასტურებდა. ვერც იმას შეატყობდით, რომ სწყინდა, რასაც მასზე ყვებოდნენ გასართობად ალესილი თანასოფლელები, ხოლო

თუ რომელიმე ყასიდად მაინც ჰკითხავდა, ეს, მართლაც, ასე იყო, თუ ამას ყველაფერს გირიზის მოყვარულები მიხა გოგრიჭიანი, შოთა ერისთავი, თორნიკე ტოგონიძე და მათი მსგავსი მოქილიკეები გიგონებენო, ლუკია თავის დაქნევით უხმოდ დაუდასტურებდა, კი, ნამდვილად ასე იყოო.

ის ამბავი, რაც უწერელ გლეხკაცს, ლუკია მეტრეველს ომამდე შემთხვეოდა და იმ დღეს მისი მეზობლებისგან პირველად მოვისმინე, მინდა, აქვე გავიხსენო.

...ლუკია მეტრეველს ომამდე ჩრდილოეთ კავკასიაში – ოსეთში, მარყალსა თუ მთიან ყარაჩაიში მთელი წელი ხელობაზე ემუშავნა. ცოტაოდენი ფული შეუგროვებია. ნაწილი ოჯახის აუცილებელი საჭიროებისთვის გადაედო, ნაწილით კი ცხენის ყიდვა გადაეწყვიტა.

მოგეხსენებათ და, თუ არ მოგეხსენებათ, მე გეტყვით: ცხენი იმ დროს მთაში მცხოვრები გლეხკაცისთვის ოგივე იყო, რაც დღეს ქალაქში თუ სოფლად მცხოვრებთათვის „ბმვ", „მერსედესი" თუ სხვა მსგავსი მარკის მანქანაა.

ლუკიას, თურმე, ონში ერთი იქაური კაცის ცხენი მოეწონა და მისი ყიდვა გულში ამოიჭრა. შეეკავჭრა, მაგრამ პატრონმა ცივი უარი უთხრა, ონში ამის ბადალი ცხენი არ არის და მასზე ჯდომა შენზე ნაკლებად არც მე მსიამოვნებსო. ამის შემდეგ ორ კვირასაც არ გაუვლია, რომ საოცნებო ქალივით ლუკიას გულში ჩავარდნილ ცხენს თურმე ყიალა შეეყარა.

„ყიალას" მთის რაჭაში ცხენის ერთგვარ ავადმყოფობას ეძახიან (მისი განმარტება არაერთ ლექსიკონში მოვიძიე, მაგრამ ვერაფერს მივაკვლიე. ამიტომ იძულებული ვარ, ამ ავადმყოფობაზე მოგახსენოთ ის, რაც პირად მსმენია).

„ყიალა" რომ ცხენს შეეყრება, ცხოველი ფეხებს, ღვინით მთვრალი კაცივით, აცაბაცად ადგამს და უწესო ქალივით უკანალის აქეთ-იქით რწევით დადის, აი ისე, როგორც ერთ ქართულ ხალხურ ლექსშია: ისე მიიქნევ-მოიქნევს, როგორც საცერი ქატოსო. გლეხკაცები ამბობენ, ამ ავადმყოფობას მკურნალობა თითქმის ვერ შველის და ცხენი მისგან ერთ-ორ კვირაში კვდებაო.

პატრონმა რომ გაიგო, მის ცხენს ყიალა შეეყარა, თავზარი დაეცა. იგი არც გასაყიდად და, მით უმეტეს, სასიკვდილოდ არ ემეტებოდა. სინანულით კი მწარედ ინანა, ეს რა დამემართა, იმ უწერელს ეს ცხენი თავის დროზე რატომ არ მივყიდე, მაშინ ზარალს ხომ გადავრჩებოდიო. მაგრამ დარდით რას უშველიდა და ბოლო საცადელი სცადა: კვირა დილას ავადმყოფ ცხენს ნახევარი ლიტრა არაყი დაალევინა. ამან ცხენი ისე გამოაცოცხლა, რომ პატრონს ეშვი შეეპარა, ხომ არ მომეჩვენა მისი ავადმყოფობაო. ერთი სიტყვით, არაყდალეულ ცხენს, სანამ სასმელი არ გამოუნელდებოდა, კაცი ვერ შეატყობდა, ავად თუ იყო.

ამით დაიმედებულმა პატრონმა ცხენი სამურველით კარგად გაწმინდა, კარგადაც შეკაზმა და გასაყიდად ონის ბაზარზე გაიყვანა. ამ დროს, აქ

კაცი ვის არ ნახავდა. ლუკიას ცხენის შეძენა ჯერაც არ გადაეფიქრებინა და სხვებივით ისიც ბაზარს სწვეოდა. მისგან მოწონებული ცხენი და მისი პატრონი რომ დაინახა, სიხარულით კინაღამ გული წაუვიდა. უმალ მასთან გაჩნდა და ჰკითხა, ცხენს ხომ არ ჰყიდიო.

– ბარემ არ მინდოდა, რომ გამეყიდა, მაგრამ გაჭირვება მაიძულებს გავყიდო. მოვალე არ მასვენებს, დაიქცა მისი ოჯახი და სხვა გზა არ მაქვს, რომ არ გავყიდო. – თავი მოისაწყალა ცხენის პატრონმა.

ლუკიას მისგან სახელდახელოდ ნათქვამის ნახევარიც არ ურწმუნია. მშვენივრად იცოდა, ეს კაცი ყველაფრით რომ ვაჭრობდა და ფულიც ბლომად ჰქონდა და, ცხადია, არც რამე გასაჭირი ადგა, მაგრამ ამას ვინ დაეძებდა. მთავარი იყო, რომ მისთვის სასურველ-მოწონებული ცხენის შეძენის შესაძლებლობა ეძლეოდა და დანარჩენი არ აინტერესებდა. მისი ეშხით დაბრმავებულს გონება დაებინდა და ერთი არ იფიქრა, ეს კაცი რამეს ხომ არ ეშმაკობს, ამ ცხენს ასე იოლად რომ ელევაო.

ერთი სიტყვით, ივაჭრეს.

როგორც ასეთ დროს ხშირად ხდება ხოლმე, აქეთ-იქიდან შუამავალ-მომრიგებლებიც ბლომად გამოჩნდნენ და მყიდველი და გამყიდველი ფასზე ადვილად შეთანხმდნენ. პატრონმა სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა, რახან ავადმყოფი ცხენი მოიშორა და თანაც ისეთ ფასად გაყიდა, როგორადაც არ მოელოდა. იგი ბაზარში ერთი წუთითაც აღარ შეყოვნებულა, აქაოდა, ცხენს მანამდე არაფერი დაემართოს, სანამ აქ ვარ, ან ახალმა პატრონმა არ შეიტყოს, ავად რომ არის და ასეთმა სარფიანმა ვაჭრობამ ბოლოს უბაჟოდ და ამაო არ ჩამიაროსო. მიითვალა თუ არა ფული, ბაზარს უმალ გაეცალა. არანაკლებ ჩქარობდა ლუკიაც. სჯობია, აქაურობას მალე გავშორდე, პატრონს თანხა არ ეცოტაოს და პირი არ მიცვალოსო. შეჯდა ცხენზე და შინისაკენ გამოსწია. ისე იყო გახარებული, კაცი ვერ გაიგებდა, არაყნასვამი ცხენი მას მიაფრენდა, თუ ლუკიას გამოსხმოდა ფრთები და შინისკენ ისიც და მისი ახლად შეძენილი მერანი იმ ფრთებით მიფრინავდნენ.

შინ მისულმა ლუკიამ ცხენს უნაგირი მოხადა, თბილ ბოსელში შეიყვანა, თავზე ქერით სავსე თოფრა გადააცვა და ვახშამზე შინაურებს დაწვრილებით უამბო, როგორ იაფად შეიძინა ეს მშვენიერი ცხენი. ლუკიას ერთი სული ჰქონდა, როდის გათენდებოდა, რომ სოფელში გაეტარებინა და მეზობლების წინაშე თავი მოეწონებინა სარფიანი ნავაჭრით.

ახალშენის სოფლის სანახშოზე შეკრებილები ისეთი კმაყოფილებით ისმენდნენ ოცი წლის თუ მეტი ხნის წინათ მათი თანასოფლელის თავზე გადახდენილ ამ ფათერაკიან ამბავს, თითქოს ეს ყველაფერი პირველად სმენოდათ. არადა, ყველაფრიდან ჩანდა, ამ შემთხვევის ყოველი წვრილმანი თითოეულმა მათგანმა ზეპირად იცოდა.

მეორე დღეს მთელი გაღმა-გამოღმა უწერა მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდა, ლუკიას გუშინ ონის ბაზარზე სისხლივით წითელი ფერის ცხენი

უყიდიაო, – თხრობაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ სანახშოზე შეკრებილი ახალშენელები – უწერლები და ღებელები.

– ეს ამბავი გვიან შემოდგომით მოხდა. – მიხამ რომ შეწყვიტა თხრობა, თორნიკე მეტრეველმა განაგრძო. – თვითონ იცით, მთაში, შემოდგომას ზამთარი ფეხდაფეხ მოსდევს და თოვლი და ყინვა ერთმანეთს ვინ დააცილა.

მეორე დილით, როცა ლუკიამ ახლად ნაყიდი ცხენი ბოსლიდან საქონელთან ერთად გამოუშვა, რომ მდინარეზე დასარწყულებლად წაიყვანა და თან წინა დღის ნავაჭრით სოფლის წინაშე თავი მოეწონებინა, სანახშოზე შეკრებილმა მეზობლებმა ხმამაღლა მიაძახეს, ლუკია, ეს ყიალიანი ცხენი ვინ ქრისტეს ფეხის მკვნეტელმა შემოგატყუაო.

ლუკიას ამ სიტყვებისთვის თავიდან ყურადღება არ მიუქცევია. იფიქრა, ალბათ, სოფლის ლაზღანდარები, როგორც სჩვევიათ, მაგირიზებენ, რომ ენა მოიფხანონო, თორე სად ეს ცხენი და სად ყიალაო. მაგრამ სანახშოზე შეკრებილ დარბაისელ უწერლებს შორის მოლაყბედ მიჩნეული ახალგაზრდებიდან რომ ვერავინ შენიშნა, მეზობლების ნათქვამმა დააფიქრა. სანამ მათ პასუხს გასცემდა, ცხენს აღვირი კისერზე გადააცვა. უკანიდან მოექცა, წინ გაიგდო და უცხოსავით, მუშტრის თვალით დაუწყო შემოწმება. ცხენი ფეხებს გადამთვრალი მაყარივით აცაბაცა მიათრევდა და ტანის უხეირო დრეკით მიირწეოდა. საეჭვო არაფერი იყო, ნამდვილად ყიალა სჭირდა. თავში უმალ გაუელვა შემზარავმა ფიქრმა, ნანატრ ცხენთან ერთად მასში გადახდილი თანხაც რომ ეკარგებოდა. მაგრამ ამაზე მეტად ის აწუხებდა, სოფლის სასაცილო რომ გახდა. ვინ იცის, უსაქმურებს და ენაგატლეკილ ლაზღანდარებს. რამდენ ხანს ექნებათ სალაპარაკოდ, სასაცილოდ და წამოსაძახებლად ეს ამბავი. არადა, მთაში გაზრდილი კაცი რა ეშმაკმა დააბრმავა, რომ ყიალიანი ცხენი ვერ იცნო. თუმცა, რა ექნა, იმ წუთებში, როცა ყიდულობდა, მას ავადმყოფობის არაფერი ეტყობოდა.

შინ მობრუნებულმა ლუკიამ, რაც სოფელში ამ ავადმყოფობის სამკურნალო საშუალება იყო, ყველაფერი სცადა. იმედი ჰქონდა, სააქაოსკენ შემოაბრუნებდა მოუსავლეთში მიმავალ ცხენს, მაგრამ მეორე დილით ბოსელში შესულს ცხენი იატაკზე ფეხებგაფშეკილი და კბილებდაკრეჭილი დაუხვდა, თითქოს მის მარცხს დასცინისო.

თორნიკემ თხრობა წუთით შეწყვიტა. ვანო რეხვიაშვილმა იკითხა:

– ლუკია, ასე იყო, თუ ამ ფათერაკს თორნიკე, შოთა, მიხა და მათი მსგავსი ლაზღანდარები გიგონებენ.

– კი, ასე იყო. – მშვიდად დაემოწმა ლუკია.

– მერე გამყიდველს არ მიაკითხე, და არ უთხარი, ავადმყოფი ცხენი რომ მომყიდე, რას ფიქრობდი-თქო. – დაინტერესდა ბარაკონეე კაკო.

– როგორ არ მივაკითხე. – მიუგო ლუკიამ.

– მერე რაო, რა გითხრა? – ჩაეძია მეწისქვილე შალვა გაგნიძე, თუმცა, მეტ-ნაკლებად ყველამ იცოდა, ამის შემდეგ რაც მოხდა.

– არაფერიც არ მითხრა. უფრო სწორად, ცხენის სიკვდილი რომ შეიტყო და გადახდილი თანხა უკან მოვთხოვე, კინაღამ სიცილით მოკვდა. გული რომ მოიბრუნა, დაცინვით მკითხა, უწერაში შენისთანა ჭკვიანები კიდევ ბევრნი არიანო? ძაღლი მიაკვდა სულში იმ ცხენსაც და მის წინაპრებსაც. მსოფლიო პროლეტარიტის ბელადი იმ ცხენზე კი არა მამაჩემზე დიდი კაცი იყო, მაგრამ რომ მოკვდა, ერთ წუთს არ მიდარდნია და შენი მკვდარი ცხენი ვიდარდო? დარდი იქით იყოს. როდის იყო, რომ მე გაყიდულ საქონელს, ისიც მკვდარ პირუტყვს, უკან ვიღებდი და გადახდილ ფულს მუშტარს ვუბრუნებდი. მოგეწონა საქონელი, იყიდე, გადაიხადე ფული, ჩვენს შორის ყველაფერი ამით დამთავრდა. თუ შეცდი, რა ჩემი ბრალია. ის თვალები დაბრმავდეს, რა თვალებმაც მოგატყუეს. ერთხელ რომ შეცდები, მერე ჭკუას ისწავლი და სხვა დროს საქმეს უფრო გონივრულად აწონ-დაწონი. – ეს რომ მითხრა, შინ შევიდა. კარგა ხანს ვიდექი ეზოში, იქნებ ინამუსოს და ზარალის ასანაზღაურებლად ნაწილი თანხა მაინც დამიბრუნოს-მეთქი, მაგრამ საქმეში ხარ! ვინ გეძებს, ვის დაკარგვიხარ, ნახევარი საათის შემდეგ, გარეთ რომ არავინ გამოიხედა, მივხვდი, დროს ტყუილად ვკარგავდი. გამოვბრუნდი და შინ წამოვედი.

ლუკიამ თხრობა შეწყვიტა, მაგრამ როგორღაც ვგრძნობდი, რომ ყველაფერი ამით არ უნდა დამთავრებულიყო. ალბათ, ამიტომაც ვიკითხე:

– ლუკია ძია, შემდეგ... შემდეგ რა მოხდა?

– შემდეგ რა მოხდა ბიძია, ამას მე გეტყვი, – დამაიმედა შოთა ერისთავმა. – შინ მობრუნებულმა ლუკიამ მკვდარი ცხენი სოფლის განაპირა ტყეში გადაიტანა. იქ ტყავი გააძრო, სასხლიპავებზე წამოაგო, მარილი დააყარა, გააშრო და შეინახა.

– რა, კაცო, კომბლე იყო, ცხენის ტყავის შენახვა რათ უნდოდა?! – გაოცება ვერ დაფარა ალექსი გავაშელმა.

– რათ უნდოდა, ჩემო ალექსი, ეს თავიდან ლუკიას მეტმა არავინ იცოდა. – ლუკია ამას რომ ისმენდა, კმაყოფილებით იღიმებოდა. – ახლა თხრობა ცოცხალა მეტრეველმა განაგრძო. – როცა კარგად დაზამთრდა და, ცხადია, გვარიანადაც აცივდა, ისე, როგორც ჩვენს მთიანეთს ჩვევია, ლუკიამ ცხენის ტყავი ბოსლიდან გამოიტანა და თავის შვილთან, დალოსტისთან ერთად ონის ბაზარს, მიაშურა. – დალოსტიც იქვე იყო და ცოცხალას ნათქვამი თავის ქნევით დაუდასტურა. ლუკიამ მშვენივრად იცოდა, არც ონის ბაზარზე და არც სადმე სხვაგან, თუ კი გაიგებდნენ, რომ ცხენის ტყავი იყო, საქალამნედ არავინ იყიდდა, მაგრამ ლუკია რომელი გიჟი იყო, ეთქვა, ტყავი ხარის კი არა ცხენის არისო. იგი ბაზარში გამოსაჩენ ადგილას დადგა, ცხენის ტყავი გაშალა და მუშტარს დაელოდა. კარგად მოეხსენებოდა, ზამთარში ონსა და ახლომახლო სოფლებში საქალამნე ტყავზე რა მოთხოვნილებაც იყო და ამის იმედი ჰქონდა.

– ცოცხალა, ზამთარში საქალამნე ხარის ტყავზეა მოთხოვნილება, თორემ ცხენის ტყავი მუქთად რომ ვინმეს აჩუქო, არ გამოგართმევს. – შეახსენა ქვედებაან მიშამ.

– ეგ ლუკიამაც იცოდა. – მიუგო მიშას ცოცხალამ. – თუ არადა, თვითონაც აგერ არის და ჰკითხე. საქმე ის არის, რომ ბაზარი უმთავრესად მყიდველსა და გამყიდველს შორის ურთიერთის მოტყუებასა და ეშმაკობაში შეჯიბრია და ვინც უფრო მოხერხებულია, ის იმარჯვებს.

საქალამნე ტყავის მუშტრის მეტი რა იყო იმ დღეს ონის ბაზარში, მაგრამ ყველა ხარის ტყავს ეძებდა. ლუკიას მიერ გამოტანილი საქონელი მუშტრებში ეჭვს იწვევდა და ხალხი ტყავსაც და მის პატრონსაც გვერდს შორიშორს უვლიდა.

ლუკიას გასაჭირს შორიდან თვალს ადევნებდა შიო გლოველი, ლუკიას ძმაკაცი და მეგობარი. შიოს მთელი ონი იცნობდა, როგორც პირიან კაცს, საგლეხკაცო საქმის ზედმიწევნით მცოდნეს, პურ-მარილიან მასპინძელს და სანაქებო თამადას. მან იცოდა, ლუკიას რა იაღლიში მოუვიდა. ესეც არ ყოფილიყო, შიო გლოველს ვინ გამოაპარებდა საქალამნე ტყავის ვარგისიანობის ამბავს. თვალი მოჰკრა თუ არა, მაშინვე მიხვდა, ლუკია ცხენის ტყავს რომ ყიდდა, მაგრამ დაზარალებული ძმაკაცი შეეცოდა. შიომ ისიც შენიშნა, ტყავს საყიდლად ის ონელი ვაჭარიც უტრიალებდა, ვინც ლუკიას ყიალიანი ცხენი შეატყუა.

შიო ლუკასთან მივიდა, მიესალმა და მერე ყველას გასაგონად ხმამაღლა ჰკითხა, ასეთი კარგი საქალამნე ტყავი იმ შენი სანაქებო წიქარა ხარისა ხომ არ არისო.

ლუკიას არ გასჭირვებია იმის მიხვედრა, რომ შიოს მისი დახმარება უნდოდა და თვითონაც ხმამაღლა უპასუხა, გარშემო ხალხსაც რომ გაეგონა:

– სწორედ იმისია, ჩემო შიო, მე და შენ ორი წლის წინათ ყარაჩაიდან ჯოგთან ერთად რომ გადმოვრეკეთ. ორი კვირის წინათ რაღაც ეშმაკად ყინულზე წაიქცა, ფეხი მოიტეხა, რომ არ დამეკლა, სხვა გზა არ მქონდა.

– საწყენია, ნამდვილად ცუდი ამბავი შეგმთხვევია, ჩემო ლუკია, იმ შენი წიქარა ხარის ტყავის ერთ წყვილ საქალამნეს მეც სიამოვნებით შევიძენ, მაგრამ ერთ რჩევას მოგცემ: ონში იმის ნახევარ ფასად ვერ გაყიდი ამ ტყავს, რა ფასადაც ღებში იყიდება. წაიღე იქ. ღებელებიც მადლიერი დაგირჩებიან და შენც მოგებული იქნები.

მართლაო, ისე დაეკითხა ლუკია შიოს, თითქოს არც ღები სცოდნოდა, სად იყო და არც ღებელებზე სმენოდა რამე.

მართლაო, დაუმოწმა შიომ. ამის თქმა იყო და მისი შვილი დალოსტი, აგერ აქ, პირში წყალჩაგუბებული თევზივით გაჩუმებული, რომ ზის ლუკიასთან მივიდა და შეეხვეწა, ერთი წყვილი საქალამნე ტყავი მომიჭერიო. ჯიბეზე ხელი გაიკრა და ფული ამოიღო.

ლუკიამ დალოსტის შეხედა და უთხრა:

– შენ ხომ არ გაგიუდი! ხომ გაიგონე, ამ პატიოსანმა კაცმა რა თქვა, თან თვალით შიოზე ანიშნა, – ღებში ხარის ტყავს ორჯერ მეტი ფასი აქვს, ვიდრე აქ, ონის ბაზარში. ეს ტყავი იქ უნდა წავიღო და გავყიდო. – თან ისე დაფაცურდა, თითქოს მარცლა აპირებდა ბაზრის დატოვებას.

ეს ყველაფერი თავისი თვალით ნახა და ყურით მოისმინა ლუკიას მომტყუებელმა ონელმა ვაჭარმა. არ ვიცი, ლუკია ველარ იცნო, თუ ფულის მოგების სურვილმა გონება დაუბინდა, უმალ ლუკიასთან გაჩნდა და შესთავაზა, მაგ ტყავს ბითუმად ვყიდულობო. თან ისეთი ფასი დაუსახელა, ლუკია იმდენს ფიქრშიც ვერ გაივლებდა.

ლუკია ჯერ თითქოს დაფიქრდა, ღირდა თუ არა ამ ფასში ბითუმად მოვაჭრისთვის ტყავის მიყიდვა. მერე ყოყმანით დაეთანხმა, აღებული ფული ჯიბე'ში ჩაიდო და ბაზარს გაეცალა.

ტყავის ახალი მეპატრონე იმ დღესვე ეწვია უხვთოვლიან ღებს. თან გულში მოგებას ითვლიდა, რასაც საქალამნე ტყავის გაყიდვით ნახავდა.

ღებში ამ ონელ ვაჭარს ქუჩის ძაღლივით ყველა შემწვარ-მოხრაკულს იცნობდა. სოფელში ყოველ მეორე დღეს ათასგვარი წვრილმანი საქონელი აჰქონდა გასაყიდად და კარგ მოგებასაც ნახულობდა. ახლა ღებელებმა მის ხელში ტყავი რომ დაინახეს, ძალიან გაუკვირდათ. იგი ტყავით მოვაჭრე არასოდეს ენახათ, ხოლო როცა შეხედეს და იცნეს კიდეც, ცხენის ტყავი რომ იყო, ვაჭარს სიცილი დააყარეს:

– ფილხაზ, რჯული ხომ არ გამოგიცვლია, ღორის ტყავით ვაჭრობა რომ დაგიწყია. გვითხარი, მამის სული ნუ წაგიწყდება?!

– გაგიუდით? – იწყინა ფილხაზამ. – სად ხედავთ ღორის ტყავს, როდის იყო, ჩემი რჯულის კაცი ღორის ან ტყავს, ან ხორცს ეკარებოდა. მამის სული არ წამიწყდეს, ღორის კი არა, ხარის ტყავია. – შეეცადა ღებელები იმაში დაერწმუნებინა, რაც თვითონ ასე სჯეროდა, მაგრამ ღებელებს ვინ გამოაპარებდა საქალამნე ტყავის ამბავს. ამასთან, ვინმეს გამასხარავებაა-აგირიზების მიზეზი მიეცათ და ამას გირიზის ოსტატი ღებელები ხელიდან როგორ გაუშვებდნენ:

– ფილხაზ, ძალიან კარგია, ქორ-ვაჭრობის ნაცვლად, დაბაღობა რომ დაგიწყია. ერთი კვირაა ვირი მომიკვდა, მისი ტყავიც იყიდე, იაფად დაგითმობ. – შესთავაზა საცივა ჟორჟიკამ.

– დაგენაცვლე, საცივა, ვირის ტყავი არ მჭირდება, ეგ ვირის ტყავი შეუბნელ ამბროსი ჭონს მიუტანე, მამაშენს ქუდს შეუკერავს და ამ ზამთარს ყინვა და თოვლი ვერაფერს დააკლებს. – არ დაიბნა ვაჭარი, მაგრამ არც ღებელი დარჩა ვალში:

– მამაჩემი გარიბალდის ქუდს არის შეჩვეული და ვირის ტყავისგან შეკერილი ქუდის დახურვას არ იკადრებს. – მიუგო საცივამ.

– ვირის ტყავი თუ არ მოგწონს, საახალწლოდ ორი ღორი დავკალი და რომლის ტყავიც მოგეწონება, იმისას დაგითმობ მუქთად და იაფად. ღორის

ტუავი მაგ ცხენის ტუავზე ნაკლები სულაც არ არის საქალამნედ. – დაცინვით შესთავაზა ვაჭარს საფარამ.

– ერთიც ჭირმა წაიღოს და მეორეც! – იყვირა მოტყუებულმა ვაჭარმა. ის ტუავი იქვე დააგდო და თურმე სოფლიდან თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, აქ არიან ღებელი გოგრიჭიანები და გაგნიძეები. ეს ამბავი ჩემზე უკეთ ეცოდინებათ, მათ ჰკითხეთ, თუ არ გჯერათ, – დაასრულა ცოციალამ.

– კი, კი, ყველაფერი ნამდვილად ისე იყო, ცოციალა, როგორც შენ გვიამბე. – დაემოწმა მიხა გოგრიჭიანი.

ერთხანს ხმას არავინ იღებდა.

– შემდეგ რა მოხდა, ბარემ ისიც გვითხარი. – მოულოდნელად ჩაერია საუბარში ანთიმო მეტრეველი.

– შემდეგ რაღა უნდა მომხდარიყო, რაც მოხდა, აკი ყველაფერი ითქვა. – ყველას მაგივრად მიუგო ვანო რეხვიაშვილმა და ქვებსა და მორებზე ჩამომჯდარ მეზობლებს თვალი მოავლო.

– არა, ყველაფერი არ თქმულა. – იუარა ლუკიამ.

– აბა, თუ არ თქმულა, მაშინ თქვი რაც მოხდა. – მიუგო თორნიკე მეტრეველმა.

– რა მოხდა და... – წამით შეყოყმანდა ლუკია და განაგრძო: – ის იყო ცოლ-ქმარი ვახშმად დავსხედით, რომ კარი გაიღო და შიგ ყინვით გათოშილი კაცი შემოვიდა.

ორივე მ-მეც და ჩემმა მეუღლე ანეტამაც მისკენ გავიხედეთ. შემოსულს თავსა და მხრებზე თოვლი ეყარა. გარეთ, ღია კარს მიღმა ჩანდა, დედამიწაზე ნახევარ მეტრამდე თოვლი იდო და თან ხვავრიელად ბარდნიდა.

– მიცანი? – გამარჯობა არ უთქვამს ისე მკითხა სტუმარმა.

– რა დიდი საცნობი შენა ხარ. ფილხაზა ხარ. სახლს ნუ გააცივებ. კარი მიხურე. ხედავ, სუფრა გაშლილია. სტუმრად მოსულხარ, დაჯექი. ქვაბში საქონლის ხორცი იხარშება. გუშინ სამწლიანი მოზვერი დაკლა ქვედებაან გურგენამ. დიასახლისი სუფრას სხვა რამესაც შემოამატებს. ქვევრში თეთრი ღვინო მაქვს, უკეთესი შენს სიცოცხლეში არ გექნება დალეული, ისეთი. ამ თოვაში თბილ სახლში, სუფრასთან ჯდომას და თითო ჭიქის დალევას რა ჯობია. – ვუთხარი და სკამი დავუდგი.

– შენთან სავახშმოდ არ მოვსულვარ. – მითხრა კუშტად. ღუმელთან ახლოს მივიდა და ხელები მიუშვირა. ძალიან იყო გათოშილი.

– აბა, რისთვის მოხვედი?!

– ბოდიში უნდა მოგიხადო.

– ბოდიშს რაზე მიხდი?!

– რაზე და ღებიდან აქეთ მომავალმა ჯერ შენ არაფერი დაგიტოვე გაულანძღავ-უგინებელი და მერე ჩემის თავი.

– მე, ჰო, ვიცი, ჩემთვის რისთვისაც არ დაიშურებდი ქება-დიდებას, მაგრამ შენს თავს რაღას ერჩოდი? – გულწრფელად ვკითხე.

– ლუკია, დაგენაცვლე, საგინებელი თუ ვიყავი, მე ვიყავი, თორემ შენ რას გერჩოდა... თქვენგან ქართველებისგან მსმენია, რაც მოგივა დავითაო... შენთან ურთიერთობაში სიხარბემ მძლია, ვითვალთმაქცე კიდეც და რისი ღირსიც ვიყავი მივიღე. ჩემი ტომის კაცი, ისიც ჩემსავით რომ მთელ ცხოვრებას ვაჭრობასა და ყიდვა-გაყიდვაში გალევს და მერე თავს ასე სულელურად გაიმასხრებს, ის საგინებელი კი არა, ჩამოსახჩობია.

– კარგი, კარგი, ჩამოსახრჩობი არაფერი მომხდარა. ქვეყანაზე ერთხელ ვინ არ შემცდარა. თუ არ შეცდი, ისე ჭკუას ვერ ისწავლი, ესეც შენგან მსმენია. – ვუთხარი.

– ვაი, შენ, ჩემო თავო. ჩემი ტომის კაცს რომ ქრისტიანი ვაჭრობას და ჭკუას ასწავლის... თქვა. მერე ხელი ჩაიქნია და სუფრას მიუჯდა.

იმ ღამეს აბა, სადღა გავუშვებდი – ცა დაბლა თოვლად ჩამოდიოდა. ქვედებაან გურგენასაც დავუძახე. აცხონა ღმერთმა, იცით, ცოცხალი აღარ არის. სამივემ დიდებულად მოვილხინეთ. ის დღე იყო და ის დღე. მე და ფილხაზა დავმეგობრდით და, სანამ ცოცხალი იყო, მეგობრობა არ გაგვიწყვეტია. – დაამთავრა თხრობა ლუკიამ.

– აჰა, ხალხს რომ კითხო, ლუკია ისეთი კაცია, ჭიანჭველას ფეხს არ დააბიჯებსო. არ დააბიჯებს კი არადა... სწორედ ასეთზეა ნათქვამი, თავჩაღუნული და კუდაბზეკილიო – ჩაიცინა მიხა ხიდეშელმა და ამის შემდეგ იმ დღეს ცხენის ტყავზე სიტყვა აღარავის დაუძრავს...

მარადიული მეგვალე

ებიდან სხვებთან ერთად წამოსული რამდენიმე ოჯახი, მზისაში თანასოფლელებთან დასახლების ნაცვლად, უწერლებს შეუერთდა და საცხოვრებლად ახალშენი აირჩია. ღებელების მიერ ამ სოფლისათვის უპირატესობის მინიჭება რაიონის ცენტრთან სიახლოვემ, მისმა გამორჩეულმა ადგილმდებარეობამ, – ერთმაც და მეორემაც განსაზღვრა თუ ამის საბაბ-მიზეზი სხვა რამე იყო, ახლა ძნელია გადაჭრით ამის თქმა. ერთი კი უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ ქლუხორის რაიონში სოფლის მეურნეობის ნებისმიერი დარგის განვითარებისათვის ყველგან თითქმის ერთნაირად კარგი პირობები იყო. გამონაკლისს არც ახალშენი წარმოადგენდა. აქ ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო კულტურა შესანიშნავად ხარობდა და უხვ მოსავალსაც იძლეოდა. ამასთან ერთად, დიდებული სათიბ-საძოვრები მესაქონლეობის განვითარებისთვის არაჩვეულებრივ შესაძლებლობას ქმნიდა. ამიტომაც ახალშენის კოლმეურნეობას სახნავ-სათესი მინდვრებიც საკმარისი ჰქონდა და ცხვარ-ძროხაც ბევრი ჰყავდა.

იქნებ ეს ჩემი მოგონებების თემა არც იყოს, მაგრამ მაინც ვიტყვი ზემოთ ნათქვამის დასტურად: ქლუხორის რაიონში ქართველების დასახლებიდან დიდხანს არ გაუვლია, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, გურია-სამეგრელოს რაიონების სოფლების მოსახლეობამ თავიანთი კოლმეურნეობების ფერმების მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვი მთლიანად ქლუხორში გადმორეკეს და წლების განმავლობაში ზაფხულ-ზამთარს იქ აძოვებდნენ მანამ, სანამ ის კუთხე ქართველმა მოსახლეობამ არ დატოვა.

ბელგია გოგრიჭიანი ახალშენში მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირი იყო. (ნათლობის სახელი უთუოდ ბეგლარი იქნებოდა, მაგრამ შინაურობაში ალბათ თავიდანვე ბელგიას ეძახდნენ და ბოლომდე ეს სახელი შერჩა) მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა და კიდევ იმისა, რომ ღებს, სადაც იგი დაიბადა და აღიზარდა, მეცხვარეობის ტრადიცია არა აქვს და, აქედან გამომდინარე, ალბათ, არც იგი უნდა ყოფილიყო ამ დარგის ღრმად მცოდნე, იგი მისთვის ახალ საქმეს ძალიან კარგად და გონივრულად უძღვებოდა.

ბელგია ახალშენში გავიცანი. ის და ჩემი დის ქმარი, აკაკი მეტრეველი ფერმაში ერთად მუშაობდნენ და განუყრელი მეგობრებიც იყვნენ.

წარმოსადეგი ტანის, ჭანიანი კაცი იყო. თანასოფლელებისგან მსმენია, ერთხელ ბეჭებით სამწლიანი კვიცი ასწიაო. მიუხედავად ასეთი ფიზი-

კური ძალისა, მისგან დაჭაბნილი კაცი სოფელში არავის უნახავს. ძნელად თუ ვინმე გამოიყვანდა მოთმინებიდან, მაგრამ, თუ იძულებული გახდებოდა, მრისხანებაც ზღვარსგადასული იცოდა.

ერთხელ იგი რაიონიდან შინ, სოფელში ბრუნდებოდა.

გზაზე ოთხი თუ ხუთი შეზარხოშებული უცნობი ახალგაზრდა გადაუდგა. თვითონაც ვერ გაიგო, მიზეზი რა იყო, ამ ახალგაზრდებმა შარი აუტეხეს. ბელგია მაშინ თვითონაც ახალგაზრდა იყო და გაქცევა არ იკადრა. თუმცა, სანამ საქმე ჩხუბამდე მივიდოდა, უმიზეზო მოდავეებთან მორიგებას ეცადა, მაგრამ არაფერმა გასჭრა. მომხდურები თავს დაესხნენ და ცემა დაუწყეს. სხვა გზა რომ არ ჰქონდა, თვითონაც გამოიღო ხელი და, მართალია, მასაც არაერთი მუშტი მოხვდა, მაგრამ მოძალადეებსაც სამუდამოდ დაამახსოვრდათ მისი მუშტის სიმწვავე. გაქცევით თავს, ალბათ, ამიტომაც უშველეს.

ეს ამბავი რაიონში უმალ გავრცელდა. საქმე სასამართლომდე არ მისულა, ყველაფერი მორიგებით დასრულდა, მაგრამ მითქმა-მოთქმა ამ ჩხუბის შესახებ კარგა ხანს არ შეწყვეტილა.

მაშინ მეცხრე კლასში ვსწავლობდი და ვაჟკაცობა და სამართლიანობის დაცვა ადამიანის უმაღლეს ღირსებად მიმაჩნდა. ჩხუბში რამდენიმე მოძალადეზე ბელგიას გამარჯვებამ იმდენად მომხიბლა, ლექსიც კი დავწერე. მისი ხელნაწერი სადღაც დამეკარგა. აქამდე მხოლოდ რამდენიმე სტრიქონი დამამახსოვრდა, რომელსაც აქვე გთავაზობთ, მაგრამ არა იმიტომ, რომ მაღალი ღირებულების პოეტურ ნაწარმოებად მიმაჩნია, არამედ როგორც მომხდარი ფაქტის დამადასტურებელ საბუთს. აი ისიც:

„ამ სოფელს, კამენომოსტსა, ზეცა დაჰყურებს მზიანი,
გვერდით ჩაუდის ყუბანი, კალაპოტი აქვს კლდიანი.
სოფელში ბევრი ვაჟია, გულადი, ულვაშიანი,
შიგ ურევია ბელგია, გვარი აქვს გოგრიჭიანი.
სოფლის ცხვრის ფარის მწყემსია, ზაფხულია თუ ზამთარი.
ალალი გულის ვაჟკაცი, მეგობრობაში ჩამწვარი.
ვისაც ეძმობა, ძმა არის, კუბოს კარამდე გაჰყვება,
მოღალატე და ორგული თვალით არ დაენახვება.
იმ დღეს შინისკენ მიმავალს, ბელგიას, თავის გზაზედა,
მთვრალები გადაეყარნენ, დამდგარნი ჩხუბს და შარზედა.
ამშვიდა, ვერ დაამშვიდა, – ოთხი დაესხა თავზედა.
ოთხივე ისე გახადა, აძახა, ვაი, ვაჰ დედა!“

ამ მოგონების დასასრულს აუცილებლად მინდა, მისი ცხოვრების ტრაგიკული და მულოდნელობით აღსავსე ბოლო დღე გავიხსენო. მიუხედავად იმისა, თანასოფლელებს შორის გამორჩეული გლეხკაცი და, ერთი

შეხედვით, ჯანმრთელი ვაჟკაცი იყო, საკმაოდ ახალგაზრდა, თუ არ ვცდები, 27-28 წლისა დაიღუპა.

ეს შემთხვევა ახლაც თვალწინ მიდგა.

გაზაფხულის მშვენიერი კვირა დღე იყო.

ბელგია, ასე, დილის ათ საათზე ჩემს სიძესთან – აკაკი მეტრეველთან შინ მოვიდა და სთხოვა, ხარები და ურემი მათხოვე, ტყიდან ოჯახს შეშა უნდა მოვუტანოო. იმჟამად ახალშენშიც და რაიონის სხვა სოფლებშიც ძირითადი გამწევი ძალა ხარი იყო.

აკი თავშიაც ვთქვი: აკაკი მეტრეველი და ბელგია გოგრიჭიანი განუყრელი მეგობრები იყვნენ-მეთქი. ესეც არ იყოს, აკაკი ბუნებით ისეთი ადამიანი გახლდათ, სულს არავისთვის დაიშურებდა და ბელგიას ხარების თხოვებაზე უარს როგორ ეტყოდა. არც უთქვამს.

მხოლოდ ეს კი უთხრა, წაიყვანე, ერთ დღეს კი არა, თუ გინდა, ერთ თვეს ამუშავე, შენთვის არც ხარი მენანება, არც ურემი, მაგრამ ხომ არ დაგავიწყდა, რომ დღეს კვირაა. როდის იყო, რომ შენ კვირა დღეს ასეთ საქმეზე მიდიოდი. ტყეში წასვლა და შეშის მოტანა რაღა დღეს აიხირეო.

ბელგიამ თავისი არ დაიშალა. ხარ-ურემი წაიყვანა და წავიდა.

არ გაუვლია ერთ საათს, რომ სოფელში ხმა გავარდა, ბელგია გოგრიჭიანი დაიღუპაო. დაუჯერებელი ამბავი იყო, მაგრამ სინამდვილე აღმოჩნდა.

ეს როგორ შეიძლებოდა, რომ მომხდარიყო, ერთი საათის წინ შენთან არ იყოო, ამ უბედურებით უზომოდ შეწუხებული ვინ იცის, მერამდენედ ეკითხებოდა მეზობელი, ალექსი გავაშელი აკაკი მეტრეველს.

– ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლისას ვინ რას გაიგებს, სიკვდილი კაცს ყურს უკან ჰყავს ჩასაფრებული, – მიუგო აკაკიმ და მერე სოფელის ცენტრისკენ გაეშურა იმის გასაგებად, ასე უცებ, მართლაც, რა დაეტაკა ამ ლომივით ვაჟკაცს.

ყველაფერი ეს კი, თურმე, ასე მომხდარა:

ეზოდან გადასულმა ხარები წინ გაირეკა და თვითონაც უკან მიჰყვა. სოფელს არ იყო გაცილებული, უეცრად ჩაიკეცა და სანამ ექიმი მოვიდოდა, ადგილზევე გათავდა.

ბელგია მეორე დღეს, ორშაბათს დაკრძალეს. როცა ეს ამბავი გამახსენდება, ახლაც ვფიქრობ, რატომ დაირღვა დაკრძალვის მკაცრად დადგენილი ქრისტიანული წესი და თუ გნებავთ ტრადიცია. მეორე დღეს, ისიც ორშაბათს, მართლმადიდებელი ქრისტიანის დაკრძალვა სხვა დროს არასდროს მსმენია. ყოველ შემთხვევაში, არც ღებში და არც მზისაში. ამბობდნენ, ახალშენის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ასე მოითხოვა, მინდორში მუშაობას ხალხს რამდენიმე დღე ხომ არ მოვაცდენო. ცუდი დრო იყო და ხალხმა თავმჯდომარეს ამის გამო წინააღმდეგობა ვერ გაუწიაო. არ ვიცი, ეს ხმა რამდენად შეეფერება სინამდვილეს.

ბელგიას გარდაცვალებიდან ორმოცი დღეც არ იყო გასული, მისი მომდევნო ძმა, ტუხია დაიღუპა. ისიც, ასევე, წამიერად.

სოფელში ხალხი უკმაყოფილოდ ჩურჩულებდა, ღმერთი გაგვიწყრა ქრისტიანული წესი რომ დავარღვიეთ და ეს უბედურება ამიტომ მოხდაო. თუმცა ვინ მისწვდება უფლის განგებას! სიკვდილი კი, როგორც ჩანს, კაცს, მართლაც, ყურს უკან ჰყავს ჩასაფრებული... ძმების დაღუპვის მიზეზი კი, როგორც საექიმო ექსპერტიზამ დაამტკიცა, ინფარქტი იყო.

„შეეჭვირი რა, ზეციმხანის ეკვალერია ეი არ მხლემია“

ბუსეთში 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციას საზოგადოების ერთი ნაწილი მომავლის იმედით და აღფრთოვანებით შეხვდა, მეორე ნაწილი – უნდობლობით. დაეჭვებულები ფიქრობდნენ: არა გვგონია, აქედან სასიკეთო რამე გამოვიდესო, თუმცა, საკუთარი ვარაუდის ბოლომდე არ სჯეროდათ და იმის გარკვევაში იყვნენ, თუ სად, ან ვის მხარეზე დამდგარიყვნენ, ხშირად საკუთარ თავსვე ეწინააღმდეგებოდნენ და ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას, ვინ იცის, მერამდენედ ცვლიდნენ. იყვნენ ისეთებიც, ვისთვისაც რევოლუცია თავიდანვე მიუღებელი აღმოჩნდა და ისინი თავიანთი რწმენისა და შეხედულებების ბოლომდე ერთგული დარჩნენ. ასეთებს შორის იყო უწერიდან ახალშენში გადმოსახლებული დათიკო მეტრეველი (პაპუჩიანთი). იგი თავიდანვე უარყოფითად განეწყო ბევრისათვის აღმაფრთოვანებელი რევოლუციის მიმართ. მას მთელი შეგნებით სძულდა რევოლუციის სამომავლო გეგმებიც, იდეებიც და, მით უმეტეს, ახალი ცხოვრების ასაშენებლად გამოყენებული დამსჯელი მეთოდები.

ზოგი იფიქრებს, ეს კაცი, ალბათ, პრივილეგირებულ თავად-აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა, რომლის წინააღმდეგაც იყო რევოლუცია მიმართული, ძველი ცხოვრებისგან მინიჭებული უფლებები უთუოდ გაუუქმეს, მამულები ჩამოართვეს, მასაც და მისიანებსაც ციმბირი და ციხე არ აკმარეს, ახლობლები და ოჯახის წევრები დაუხვრიტეს, როგორც იმ წლებში, საერთოდ ხდებოდა და ამიტომ სძულდა რევოლუციაც, ახალი ცხოვრებაც და მისი მოყვარული ხელისუფლებაცო. დიახ, სიძულვილით ნამდვილად სძულდა, მაგრამ ზემოთ ნახსენები არც ერთი მიზეზ-საბაბი არ ჰქონია რევოლუციისა და მის მიერ დამკვიდრებული ახალი ცხოვრებისა და კანონწესების შესაძულებლად. თავიდანვე არ მოეწონა ის შენი რევოლუცია, მისი ყოველგვარი სიახლით, სიკეთით, მითუმეტეს, უარყოფითი მოვლენებით და ბოლომდე ასეთი განწყობილებით დარჩა მის მიმართ. ამ კაცის ერთ მეტად უცნაურ და ერთგვარად აუხსნელ თვისებასაც უნდა გაესვას ხაზი: ხომ ასეთი საშიში და საბედისწერო იყო ყოველი ადამიანისათვის ახალი ცხოვრების მიუღებლობა, მითუმეტეს, მასთან ღიად დაპირისპირება, მაგრამ დათიკო მეტრეველი თავის უარყოფით დამოკიდებულებას საბჭოური ცხოვრების მიმართ არც სამეზობლოში და არც თანამდებობის

პირებთან საუბრისას არასოდეს მალავდა. იგი გიჟისა და გენიოსის გამბედაობით ეთამაშებოდა ცეცხლსა და ყოვლის შემმუსვრელ რევოლუციის გზით მოსულ უხეშ ძალას.

ადრე რა საქმიანობას ეწეოდა დათიკო მეტრეველი, ვერ გეტყვით, მაგრამ როცა ახალშენში გავიცანი, უკვე ასაკოვანი გახლდათ და პენსიაზე იყო. რაც შეეხება ოჯახის წევრებს, შვილი, თუ არ ვცდები, კომკავშირის რაიკომის პირველი თუ მეორე მდივანის თანამდებობა ეკავა. ეს კი რაიონში, იმ დროს, პოლიტიკური თვალსაზრისით, საკმაოდ დიდ პოსტად ითვლებოდა.

სოფელში, და არა მარტო სოფელში, ყველამ იცოდა დათიკოს დამოკიდებულება არსებული წყობილების მიმართ. არც თუ ისე ძვირად მისი კომკავშირის მდივანი ვაჟი რაიონიდან თავის კომკავშირელ მეგობრებთან ერთად ეწვეოდა ხოლმე მშობლებს სოფელში. სანამ დიასახლისი სუფრის გაწყობის თადარიგში იყო, შვილის მეგობრები, დათიკოსთან ბაასით ერთობოდნენ.

– დათიკო ბიძია, როგორა ხარ? – საუბარში ასაყოლიებლად განგებ ჩაეკითხებოდა რომელიმე მათგანი.

– როგორ ვიქნები ამ ყაჩაღი ხელისუფლებისა და დასაქცევი წყობილების ხელში. – იყო მისი კუშტი პასუხი. არ დაგავიწყდეთ, რომ ჯერ ისევ სტალინია ქვეყნის სათავეში და მის დროს ხელისუფლებისა და წყობილების მიმართ ასეთი „საალერსო სიტყვებისათვის“ ციმბირი აქეთ რჩებოდა ხალხს. ეს მშვენივრად უწყოდნენ მისი ვაჟის კომკავშირელმა მეგობრებმა, მაგრამ დარწმუნებულები იყვნენ, ასეთი საუბარი სახლის გარეთ არ გავიდოდა. ალბათ, ამიტომაც თამამად ლაპარაკობდნენ ამგვარ საკითხებზე დათიკო ბიძიასთან.

– დათიკო ბიძია, რას ერჩი ამ წყობილებას და ხელისუფლებას. ეს წყობილება და ხელისუფლებაა, კისერზე უღელი რომ აგვაცალა და მონობიდან გვიხსნა. – ასეთი გამოთქმები იმ დროს ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ, როგორც ოფიციალურ დონეზე, ისე არაოფიციალურადაც. თუმცა, დათიკო მეტრეველისათვის ეს ბევრს არაფერს ნიშნავდა. ის კი არადა, წონასწორობიდან გამოჰყავდა ამგვარ პასუხს. სულ ერთი იყო, ვისაც არ უნდა ეთქვა იგი.

– უღელი აგვაცალეს, არა! უღელი აგვაცალეს თუ არა, ეს ჯერ კიდევ საკითხავია, მაგრამ, აპეურების ყელში წაჭერით რომ გვახრჩობენ, ეს თუ უღლის აცლაა, მაშინ მე არაფერი მცოდნია. – იყო უჩვეულოდ გაღიზიანებული დათიკო ბიძიას პასუხი მისი შვილის მეგობარი კომკავშირელი ახალგაზრდებისადმი. მაგრამ მათ ეს არც უკვირდათ და არც აღიზიანებთ, ვინაიდან მისგან მათ ამგვარი აზრები არაერთხელ სმენოდათ. ზოგჯერ უფრო ცხარე, მწარე და მკაცრიც.

არ ვიცი, დათიკო მეტრეველს რა განათლება ჰქონდა. ერთი კია, გაზეთს არ გაუშვებდა წაუკითხავს, არც რუსულს და არც ქართულს, რაზედაც

ხელი მიუწვდებოდა, ასე, რომ მუდამ ყველაფრის საქმის კურსში იყო. ეს კაცი სიცოცხლის ბოლომდე თავის პირვანდელ შეხედულებებზე დარჩა. ამის დასტურად ერთ ამბავს გავიხსენებ.

...სანამ ქართველ მოსახლეობას კვლავ საქართველოში მოუწევდა წამოსვლა, დათიკო მეტრეველის ოჯახმა მანამდე რამდენიმე წლით ადრე დატოვა ქლუხორის რაიონი და უწერაში საკუთარ სახლსა და მამაპაპურ კერას დაუბრუნდა.

დათიკოსა და მისი ოჯახის უწერიდან წამოსვლის შემდეგ მათი საკარმიდამო ნაკვეთი, რომელზეც ვენახი იყო გაშენებული, კოლმეურნეობის მიწებს შეუერთეს და აქ მოწეულ ყურძენს კოლმეურნეობის გამგეობა ყოველწლიურად თავისი შეხედულებისამებრ განკარგავდა.

უწერაში ოჯახთან ერთად დაბრუნებულმა დათიკო მეტრეველმა ეს არ იცოდა, თუ ამას ყურადღება განგებ არ მიაქცია და კოლმეურნეობის გამგეობის გადაწყვეტილება არაფრად ჩააგდო, ეს საქმიდან არ ჩანს. ერთი კი ცხადია: ერთ მშვენიერ დღეს შემოდგომაზე, როცა ყურძნის კრეფის დრო დადგა, დათიკო, ისე, რომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელობისთვის წინასწარ არ უცნობებია, შევიდა თავის ყოფილ ვენახში, რომელიც იმჟამად კოლმეურნეობას ეკუთვნოდა, მაგრამ მის ყოფილ მეპატრონეს კვლავ თავისად მიაჩნდა, დაკრიფა ყურძენი, შინ წაიღო და თავის მარანში დაწურა.

იმ დროს მსოფლიოში მიწაზე თუ მიწის გულშიც რა ხდებოდა, სათანადო საბჭოთა ორგანოებისთვის ის არ იყო უცნობი, მიუწვდომელი და გაუგებარი და ერთ პატარა, სოფელ უწერაში ისეთი რა უნდა მომხდარიყო, რომ იგი სოფელს და მის ხელმძღვანელობას არ გაეგო. მით უმეტეს ის, რომ კოლმეურნეობის კუთვნილ ნაკვეთში გლეხმა უნებართვოდ ყურძენი დაკრიფა და მოსავალი შინ წაიღო და არა საკოლმეურნეო მარანში. მერე რა, რომ ადრე ის ვენახი ამ გლეხის პირადი საკუთრება იყო. წესით ძველი მფლობელისთვის, ანუ დათიკო მეტრეველისთვის ვენახის კვლავ მის საკუთრებაში დაბრუნებას გარკვეული პროცედურის გავლა სჭირდებოდა. ეს მოეხსენებოდა თუ არა დათიკო მეტრეველს, ჩემთვის ამის შესახებ არაფერია ცნობილი.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც უნდა წარმართულიყო. დაირღვა კანონი – კერძო პირმა ხელყო საკოლმეურნეო, იგივე საზოგადოებრივი ქონება და კოლმეურნეობის გამგეობამ გლეხს, დათიკო მეტრეველს სასამართლოში უჩივლა. უნდოდა თუ არა დათიკო მეტრეველს, იგი აუცილებლად უნდა წამდგარიყო სასამართლოს წინაშე. და წარსდგა კიდეც.

სასამართლო ჩვეული წესითა და კანონის დაცვით წარიმართა.

მოსამართლე: – ბრალდებულო, თქვენი გვარი და სახელი?

დათიკო მეტრეველი: – ეგ ყველაფერი გამომძიებლის მიერ შედგენილ ოქმში წერია. – მიუგო კუშტად დათიკო მეტრეველმა მოსამართლეს და

მის მიერ დასმულ კითხვას, პასუხი ისე არ გასცა, როგორც ამას წესი მოითხოვდა. იგი ჯიუტად ამყოვანებდა არსებული წყობილების მოხელეთა მიმართ ერთხელ აკვიატებულ დამოკიდებულებას ბოლომდე და სულაც არ დაგიდევდათ იმას, რა მოყვებოდა ამას.

მოსამართლე ბრალდებულის გაღიზიანებულ პასუხს საკმაოდ მშვიდად უსმენს და ასევე მშვიდად უსვამს კითხვას:

მოსამართლე: – იქნებ წერია კიდეც, მაგრამ სასამართლო მოითხოვს, თქვენგან მოისმინოს, რაც ოქმში წერია. გვიპასუხეთ: გვარი და სახელი?

დათიკო მეტრეველი: – დათიკო მეტრეველი.

მოსამართლე: – საცხოვრებელი ადგილი?

დათიკო მეტრეველი: – ონის რაიონი, სოფელი უწერა.

მოსამართლე: – რამდენი წლის ბრძანდებით?

დათიკო მეტრეველი: – ოცდათხუთმეტის.

ასეთი პასუხის მიღებისას მოსამართლემ ეჭვმიტანილს გაკვირვებულმა შეხედა და სათვალე შუბლზე აიწია. ეჭვი შეეპარა, განსასჯელი ხომ არ დასცინოდა, ეხუმრებოდა, ან სულაც, სრულ ჭკუაზე იყო თუ არა. მაგრამ დათიკო მეტრეველს ამისდაგვარი არაფერი ეტყობოდა: სრულიად სერიოზული და მშვიდი სახე ჰქონდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მოსამართლემ გაკვირვება ვერ დაფარა:

მოსამართლე: – ბრალდებულო მეტრეველო, დაფიქრდით, რას ამბობთ! ამ ხნის კაცი ოცდათხუთმეტი წლის როგორ იქნებით. არცა ხართ. – მოსამართლემ დაკითხვის ოქმში ჩახედა – მით უმეტეს, თქვენს წინასწარ ჩვენებაში წერია, რომ 1882 წელს ხართ დაბადებული. ახლა კი 1950 წელია.

დათიკო მეტრეველი: – რაც სწერია, სრული სიმართლეა.

მოსამართლე: – მერე? ოცდათხუთმეტი წლის ვარო, რომ აცხადებთ, ეს რას ნიშნავს, სად არის აქ სიმართლე და ლოგიკა?! – მოსამართლის ხმაში აშკარად იგრძნობოდა წყენა და გაღიზიანება.

დათიკო მეტრეველი: – მოქალაქე მოსამართლე, ეს ოცდათხუთმეტი წელი ის წლებია, რაც თქვენი წყობილების დამყარებამდე, ნიკოლოზის დროს ვიცხოვრე. იმის შემდეგ ამ წყობილების დროს გატარებულ წლებს სათვალავში არ ვაგდებ და სიცოცხლედ არ მიმაჩნია.

მოსამართლე: – ბრალდებულო მეტრეველო, შენ გესმის, რას ამბობ?! გონებაზე ხარ თუ ჭკუიდან შეიშალე! – მოსამართლეს თავის შეკავება უჭირს და აქეთ-იქით შემკრთალი იხედება. ომის შემდგომ წლებში ასეთი რამის თქმა სასამართლო დარბაზში ქვეყნის დაქცევის ტოლფასი იყო. ყოველ შემთხვევაში, მოსამართლისათვის ეს შეიძლება, სავალალო აღმოჩენილიყო. თუ ვინმე „იქ" მიიტანდა, რაც აქ ითქვა, (და მიმტანების მეტი რა იყო ქვეყანაზე!), თუ სხვა რამე არა, შეიძლება ეს, ყველაფერი მისი თანამდებობიდან მოხსნით დამთავრებულიყო.

ბრალდებული: – სრულ ჭკუაზეც ვარ და მშვენივრადაც მესმის, რასაც ვამბობ – ამ „გადარეულ“ დათიკო მეტრეველს, იმის ნაცვლად, რომ ბოდიში მოეხადა სასამართლოს წინაშე, ქედი მორჩილად მოეხარა და პატიება ეთხოვა, შევცდიო, პირიქით, განგებ ეძებს ხიფათს. მისი თავი ჯანდაბას, მოსამართლეს აგდებს საფრთხე'ში. ვინ ოხერია და საიდან მოვიდა ასეთი თავნება, ჯიუტი და ცეცხლთან თამაშში სიამოვნების მძებნელი კაცი.

მოსამართლე უმალ მიხვდა, სასამართლოზე საქმის გამწვავებისთვის თავი უნდა აერიდებინა, საქმის განხილვისთვის პოლიტიკური ელფერი მოეცილებინა და იგი ჩვეულებრივი, სამეურნეო საკითხის კალაპოტში ჩაეგდო, თუმცა, არც კოლმეურნეობის ვენახში თვითნებურად შეჭრა და მისი კუთვნილი ყურძნის მითვისება გახლდათ წმინდა სამეურნეო ამბავი.

ასე იყო თუ ისე, ამ კუთხით დიალოგის გაგრძელებას მოსამართლემ თავი წაყრუება-მიფუჩეჩებით აარიდა და კვლავ ვენახსა და ყურძენს დაუბრუნდა.

მოსამართლე: – როგორც გამოძიების ოქმიდან ირკვევა, დათიკო მეტრეველი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების დაუკითხავად შეიჭრა კოლმეურნეობის კუთვნილ სავენახე ნაკვეთში, მოკრიფა ყურძენი და მიითვისა.

დათიკომ სათქმელის დამთავრება არ აცალა მოსამართლეს, ფეხზე წამოიჭრა და განაცხადა:

– შევიჭერი, რა ზელიმხანის კავალერია კი არ მხლებია. ვენახი ჩემი იყო. შევედი, მოვკრიფე ყურენი და სახლში წამოიღე.

მოსამართლე: – ესე იგი, აღიარებთ, რომ კოლმეურნეობის კუთვნილი ყურძენი მიითვისეთ.

– თუნდაც არ ვაღიარო, ამას რა მნიშვნელობა აქვს. თქვენ ისეთი ხალხი ხართ, მაინც დაწერთ, დანაშაული აღიარაო.

...სასამართლოზე დათიკო მეტრეველს პირობითი სასჯელი აკმარეს და შინ გაუშვეს. ეტყობა, მოსამართლემ კანონში ამისთვის შესაფერისი მუხლი და მოტივირება გამონახა და მარჯვედ გამოიყენა. ალბათ, ჩათვალა, სამოცდაათ წელს მიტანებული გლეხკაცის ციხეში გაშვებით ქვეყნად არსებული უსამართლობა ვერ გასწორდებოდა და მისთვის ამის გამო სინდისს მთელი სიცოცხლე რომ არ დაექენჯნა, ასეთი გადაწყვეტილების მიღება ამჯობინა.

„ჰოი, დედანო“

ბათაურად გამოტანილ სიტყვებში მარტო ერთი სოფლის ქალებს ნურავინ იგულისხმებს. როცა ამა თუ იმ ქალის შრომა-საქმიანობაზე ვსაუბრობ, მასში ქლუხორის რაიონის ყველა სოფელში მცხოვრებ დიასახლისს თუ საზოგადო საქმიანობაში მამაკაცების გვერდით მოღვაწე ქალებსაც ვგულისხმობ. მე ხომ პირადად ყველას არ ვიცნობდი, რომ თითოეულ მათგანზე ცალ-ცალკე მეთქვა რამდენიმე თბილი სიტყვა, რასაც ისინი უთუოდ იმსახურებდნენ. სურვილიც მქონდა, მათი კაიქალობა, მაღალზნეობრიობა, რაც მამაკაცური შრომის შეთავსებასაც გულისხმობდა, ცალ-ცალკე ამეწერა და ყველასათვის გამეცნო, მაგრამ, დამერწმუნებით, ამის შესაძლებლობა ზემოთ აღნიშნული (და არაღნიშნული) მიზეზების გამო არ მქონდა. იგივე მინდა, გავიმეორო ქლუხორელი მამაკაცების შესახებაც, ვინაიდან ვინც იმ დროს იმ მხარეში რამდენიმე წელი დაჰყო, ყველამ ერთნაირ, ან თითქმის ერთნაირ მძიმე პირობებში იცხოვრა: უჭირდათ – ყველას ერთნაირად უჭირდა, ლხინიც ერთნაირი ან მიმსგავსებული ჰქონდათ.

ვისაც ნებსით თუ უნებლიეთ, საკუთარი სურვილით, თუ გარეშე ძალთა ზემოქმედებით, გნებავთ, სხვა რამ მიზეზით, თავისი კარ-მიდამო ოდესმე მიუტოვებია და უცხო მხარეში, უცხო ადგილას, უცხოთა შორის ცარიელი ჯიბით და შიშველი ხელებით ახალმოსახლეობა წამოუწყია, მხოლოდ ის მიხვდება და გაიგებს, ქლუხორში ჩასახლებულ ქართველებს, პირველ წლებში მაინც, რა ჭაპანწყვეტის და ჯოჯოხეთურ ცეცხლში ტრიალის ფასად უხდებოდათ მცირეოდენი სარჩოს მოპოვება, რომ ოჯახი შიმშილით არ დახოცოდათ. მაგრამ, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მათ უცხო მხარეში გადასახლება მძვინვარე ომის დროს მოუწიათ, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხალხის გასაჭირი ჯოჯოხეთში ყოფნას ბევრით არ ჩამოუვარდებოდა და ყოველდღიური შრომა სიზიფეს შრომაზე არანაკლებ მძიმე იყო.

ალბათ, ზედმეტი არც ის იქნება, თუ ვიტყვი, რა ტიტანური ძალისხმევა დასჭირდათ ქლუხორში ჩასახლებულ ქართველებს, რომ ფერფლიდან აღედგინათ გავერანებული სოფლები. გაბერწებული, მშრომელი კაცის მარჯვენას დანატრებული მიწისთვის ღალიანობა და სიცოცხლე დაებრუნებინათ. ბედის უკუღმართობით ჩამქრალ კერებში სიცოცხლე და მარადიული ცეცხლი კვლავ გაეღვივებინათ.

ამაზე არანაკლებ სულისშემძვრელი და ბევრ რამეზე დამაფიქრებელია ისიც, როცა რამდენიმე წლის შემდეგ ასე მოვლილ, სისხლჩაქცეულ შენს ნაშრომ-ნაღვაწს სხვა, უცხო ტომის ხალხს ნებაყოფილობით, უანგაროდ და უსასყიდლოდ დაუტოვებ, ისე, როგორც ეს ქლუხორელმა ქართველებმა გააკეთეს, რათა იმ სხვა, უცხო ტომის ხალხსაც, ყველა სხვა გვარტომის ხალხთან ერთად, ტკბილად და მშვიდად ეცხოვრა ამ დალოცვლ ცისქვეშეთში.

სერგია გობეჯიშვილი მეუღლე დაშასთან (მარჯვნივ) და და სევასტიასთან ერთად.

ყოველივე ამას გამორჩეული მაღალზნეობრიობა, კაცთმოყვარეობა და, ფართო გაგებით, ტოლერანტობა ეწოდება. დღეს და უახლოეს წარსულში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად დაგვანახა, რომ ეს, ანუ ასე მოქცევა, ყველა ერს როდი ძალუძს.

ქართველმა კაცმა არაერთხელ დაამტკიცა, რომ სიკეთის ქმნა მისი ბუნების, ზნის, ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ თუ ამ ფაქტს აქ კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ეს ნურავის გაუკვირდება.

ასეა თუ ისე, ახლა ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ, რადგან ეს ჩემი მთავარი სათქმელიდან შორს წამიყვანს. ამიტომ დროა, მივუბრუნდე იმას, რისი თხრობაც თავიდან დავიწყე. ანუ შევეცადო, შეძლებისდაგვარად, გავიხსენო, ერთეულების მაგალითზე ვაჩვენო, როგორ მძიმე პირობებში უხდებოდათ მზისაში და, საერთოდ, ქლუხორში ჩასახლებულ ქართველებს ბრძოლა არსებობისათვის.

სერგია და დაშა გობეჯიშვილების (იონეეთი) ოჯახს მზისაში დასახლებამდე არ ვიცნობდი. ღებში ისინი ლორგოს უბანში ცხოვრობდნენ, მე კი სხვა, საროკავას უბანში ვიზრდებოდი. იქ კი, მზისაში, ერთ ბედში ყოფნამ, უმალ გაგვაცნო და დაგვაახლოვა ყველანი ერთმანეთს. დაშა ქლუხორში თავის შვიდ ქალიშვილთან ერთად ჩამოვიდა. მათგან ყველაზე უფროსი იმ დროს თორმეტ-ცამეტი წლისა თუ იქნებოდა. ღებიდან მზისაში წამოსვლა, როგორც ჩანს, ოჯახის დედამ დამოუკიდებლად გადაწყვიტა. დამოუკიდებლად იმიტომ, რომ მეუღლე – სერგია იმ დროს ომში იყო და ფრონტზე იბრძოდა. დაშას ათასი სურვილიც რომ ჰქონოდა მასთან ამ საკითხზე მოთათბირებისა, ვერ მოეთათბირებოდა. მოგეხსენებათ, ფრონტის ხაზი ყოველ დღე და ყოველ საათს იცვლებოდა. ბრძოლის ველზე

მყოფ ჯარისკაცებთან მიწერ-მოწერა და ხმის მიწვდენა კი ძნელი, თითქმის შეუძლებელი იყო. ზოგჯერ ექვსი თვე თუ ერთი წელი ისე გავიდოდა, ოჯახმა არაფერი იცოდა ომში წასული ახლობლის შესახებ. ახლაც მიკვირს, იმ მეტად მძიმე წლებში, რა სახსრებით ინახავდა დედა შვიდ შვილს.

ოჯახის მამა – სერგია გობეჯიშვილი, საბედნიეროდ, ომის შემდეგ შინ მშვიდობით დაბრუნდა, მაგრამ ეს მოხდა რამდენიმე წლის შემდეგ. შინ მშვიდობით დაბრუნდა-თქო კი ვამბობთ, მაგრამ იქ სერგიას ომსა და ფრონტთან ერთად ტყვეობა და საკონცენტრაციო ბანაკიც არ დაკლებია. რაც ჯოჯოხეთი იქ გამოიარა, ეს ყველაზე უკეთ მას მოეხსენებოდა, ჩვენ კი მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია. ვარაუდი, რადგან მას ამაზე ლაპარაკი არ სიამოვნებდა.

ჯარისკაცთა ჯგუფი. მარჯვნიდან მარცხნივ: სერგია გობეჯიშვილი შოთა ყრუაშვილი, ვლასი ფელიძე. იასონ ბუაძე და კოტე ფოფხაძე. 26.07.45 წ. ბუდაპეშტი.

სერგია გობეჯიშვილის გვერდიგვერდ ორმოც წელზე მეტ ხანს ვიცხოვრე და არ მახსოვს, ამ კაცს ერთხელ მაინც გაეხსენებინოს ომის ამბები. ახლაც ასეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ იგი მთელი სულით და გულით ცდილობდა, ომში გატარებული წლები საერთოდ ამოეგდო თავისი ცხოვრების სათვალავიდან. სიტყვა ადვილად იტყვის ამოეგდოო. სურვილი ერთია, მაგრამ იმ ჯოჯოხეთურ წლებს, ომს რომ ახლდა, კაცი, სანამ ცოცხალია, მეხსიერებიდან ვერ წაშლის. ეტყობა, ვერც სერგია ივიწყებდა იმ კოშმარს, თუმცა, ძალიან კი ცდილობდა. ეს არც არის გასაკვირი. სერგია ხელოსანი კაცი იყო. კეთილი ქართველი გლეხკაცი, რომლის ბუნებისთვის უცხო და შინაგანად მიუღებელი იყო ომი და კაცის კვლა, მაგრამ ადამიანებს თავისი სურვილის მიხედვით ცხოვრება ძვირად თუ უხერხებდებათ. არც სერგია იყო მილიონობით ამგვარ ადამიანთაგან გამონაკლისი. მისთვის ვინმეს რომ ეკითხა, ხელმარჯვე დურგალ-კალატოზს ხერხი, თეგი, ხუშტარა და შალაშინი ყოველგვარ საომარ იარაღს ერჩია.

სანამ სერგია ომიდან დაბრუნდებოდა, მის მეუღლეს, დაშა გობეჯიშვილს არანაკლები ომი ჰქონდა მძიმე ცხოვრებასთან, შვიდი მცირეწლოვანი შვილი რომ გამოეკვება.

საზოგადოდ თუ ვიტყვით, მეტწილად ასეა: ოჯახი, გნებავთ, სოფელი, როცა ახალ ადგილზე ახალმოსახლეობას იწყებს, საქმე უკეთ რომ ააწყოს, ოჯახის წევრები და, აქედან გამომდინარე, მთელი სოფელიც, დილა-უთენია დგება, ხოლო საღამოს გვიან იძინებს. ალბათ, იმ უხსოვარ დროშია შექ-

მზისელი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი. (მარცხნიდან მარჯვნივ) პირველ რიგში: ფოფინა ლობჯანიძე, თამარ გობეჯიშვილი, ნანა გავაშელი, თამარ და რევიკო ლობჯანიძეები, როზა ლობჯანიძე. მეორე რიგში: ნაზიკო ლობჯანიძე, თამარ, აზა, მაყვალა, ნორა, ოთარ გავაშელები. მესამე რიგში: სვეტლანა, ბონდო ლობჯანიძეები, ნოდარი გავშელი, კარლო და თამარ ლობჯანიძეები.

მნილი ეს ხალხური ანდაზა: ადრე ამდგომს უხაროდეს და გვიან მოსადილესაო. დროის ყაირათიანად გამოყენების ჭეშმარიტებას არც მზისელები ღალატობდნენ. მზეს ისევ სამზეოში ეძინა, როცა დაშა გობეჯიშვილი, და სხვა ქალები, ხარებშებმულ ოთხთვალებზე ისხდნენ და, სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, საკოლმეურნეო მინდორში სამუშაოდ მიიჩქაროდნენ. იმ დროს, განსაკუთრებით სოფლად, ამგვარი ოთხთვალა ტრანსპორტი გადაადგილების ძირითადი საშუალება გახლდათ. შინ კი ოდნავ წამოზრდილი შვილების ამარა ტოვებდნენ მათ მცირეწლოვან პატარა და-ძმებს. კარგი ცხოვრება რომ ყოფილიყო, თვითონ უფროსების საპატრონო მოზარდებს ვინ ანდობდათ ოჯახსა და მცირეწლოვან და-ძმებს!

მიუხედავად ყოველი მხრიდან მოძალებული გასაჭირისა, შინაურ კეთილმოსურნეთა გულის გასახარად და გარეშე ავისმზრახველთა დასაზაფრავად, ულმობელ ცხოვრებას ქედს არ უხრიდნენ მზისელი ქალები და სამუშაოზე ისეთი ხალისიანი სიმღერით მიდიოდნენ, თითქოს მაყრიონი ქორწილიდან ბრუნდებოდა. სიმღერა სულაც არ შეესაბამებოდა იმდროინდელ მათი მძიმე ცხოვრების რეალობას, მაგრამ მაინც მღეროდნენ. იგი დარდს უმსუბუქებდათ და სიძნელეების დაძლევას უადვილებდათ. დაშა, ედესია, ვარვალა, დედაჩემი სალომე, მარიანა და სხვა არაერთი მზისელი ქალი მშვენივრად მღეროდნენ ქართულ ხალხურ სიმღერებს და ამით მე-

ზობლებსაც გუნება-განწყობილებას უხალისებდნენ. საღამოზეც, მიუხედავად მთელი დღის ფიზიკური შრომით დაღლილობისა, ასევე, სიმღერით ბრუნდებოდნენ სოფელში, რათა სხვა რამით თუ არა, სიმღერით მაინც გაეხარებიათ მშობლებს დანატრებული, შემოგებებული შვილები. მათი ალერსის და მოფერების შემყურე იტყოდი, შვილებს და მშობლებს ერთი წელი მაინც იქნება, რაც ერთმანეთი არ უნახავთო. ესეც სათქმელია: მაშინ შვილებსაც უსაზღვროდ უყვარდათ მშობლები და ჩვენი თაობის არც ერთი ბიჭი ასე სამარცხვინოდ, დღევანდელი ახალგაზრდების მსგავსად ამქვეყანად ყველაზე ძვირფას ადამიან – დედაზე არ იტყოდა – „ჩემი დედა...“-ო.

დაშა გობეჯიშვილი, გამრჯე, მშრომელი და ხალისიანი მომღერლის გარდა, სოფელში მიცვალებულის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზად დამტირებელი ქალბატონი გახლდათ. მიცვალებულის „ლამაზად დატირება“ კი ისე, როგორც ერთ-ერთ ქართულ ხალხურ ლექსშია ნათქვამი, „ლამაზად დაგიტირებდი, ხათრ რომ არ მქონდეს ქმრისაო“, მთის რაჭაში ქალისთვის საპატიო, გამორჩეულ ღირსებად ითვლებოდა. ალბათ, ასევე იყო საქართველოს სხვა კუთხეებშიც.'

უნდა ითქვას, რომ მიცვალებულის ლამაზად დატირება, ისევე როგორც კარგი სიმღერა, ყველა ქალს როდი ეხერხება. დამტირებელ ქალს, ნათესავის თუ ახლობლის გარდაცვალების გამო, სევდის გამოხატვასთან ერთად, მიცვალებულის გავლილი ცხოვრების ისე მშერმეტყველურად გახსენება უნდა შეეძლოს, რომ სხვებსაც ცრემლი მოჰგვაროს. დაშა გობეჯიშვილი ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული მოტირალთაგანი გახლდათ მზისაში. ამ საქმეში მას მეტოქეობას მხოლოდ მარიანა ლობჯანიძე (ნანუკიანთი) თუ გაუწევდა.

მარიანა გლოლიდან ღებში გათხოვილი ბიჭაშვილის ქალი გახლდათ. იგი თავის თანატოლ მზისელ ქალებში პატივისცემით, თუ გნებავთ, ერთგვარი რიდითაც კი სარგებლობდა. მას, თუმცა, მკაცრი ხასიათის და ფიცხს, მაგრამ სამართლიან ქალად იცნობდნენ.

მარიანაზე ჩემს ყმაწვილობიჭობაში ამბობდნენ, მიცვალებულის ისეთი დატირება იცის, ქვასაც ცრემლს მოჰგვრისო. რაც შეეხება სიმღერას, მზისაში მისი სიმღერა არავის გაუგონია. არადა, მისი ბაბუის ოჯახიდან გამოსულ რამდენიმე კაცს ვიცნობდი, რომლებიც ქართული ხალხური სიმღერების მშვენიერი შემსრულებლები იყვნენ.

თუ გენეტიკურ კოდს გავითვალისწინებთ, დარწმუნებული ვარ, თავისი გვარიდან არც მარიანა იქნებოდა ამ მხრივ გამონაკლისი. მაგრამ იმ დროს იმ ასაკში აღარ იყო, რომ ეყმაწვილექალა. ეტყობა, თვითონაც ასე ფიქრობდა, დარბაისელ, ოჯახის დედას გასათხოვარ გოგოსავით აკეტება არ შემშვენისო. რაც მახსოვს, ერთთავად მუქი ფერის ტანსაცმელი ემოსა. მით უმეტეს მას შემდეგ მაინც, რაც უსაყვარლესი ძმა, გიო ტრაგიკულად

დაეღუპა, სოფელს მარიანა მგლოვიარეს ტანსაცმლის გარეშე არ უნახავს. იგი თავისი ცხოვრებით, რაღაცნაირად მაგონებს ძველ ქართველ პატრიოტ მანდილოსნებს, თავისი ცხოვრების წესით პირად მაგალითს რომ აძლევდნენ სხვებს.

მზისა პატარა სოფელი იყო, მაგრამ სოფელი დიდია თუ პატარა, თავისთავად გულისხმობს გლეხკაცის მიწასთან მარადიულ ჭიდილს: ხვნას, თესვას, ჭირნახულის მოყვანას და ბეღელში დაბინავებას. ცხადია, ამასთან ერთად, გლეხკაცის მიწასთან კავშირის უწყვეტობა მეცხოველეობის განვითარებასაც ნიშნავს, რასაც არანაკლები შრომა და გარჯა სჭირდება. აქაც გლეხკაცის ღვაწლის გარეშე არაფერი იქმნება.

მარჯვნიდან მარცხნივ. თამარი, თინა და ცუცია ლობჯანიძეები. მზისა, 1946 წ.

ერთი სიტყვით, მიწისა და გლეხკაცის მარადიული ურთიერთობა მითიური ტიტანების და ღმერთების უსასრულო ბრძოლას ჰგავს: მიწა ჯიუტად იცავს თავის წიაღში იმთავითვე დაფლულ, გადამალულ და გადანახულ ჩვენს – ადამიანების – სარჩო-საბადებელს და ადამიანს ასე ადვილად არაფერს უთმობს. თუმცა, არც გლეხკაცია მის მშობელ დედამიწაზე ნაკლებად შეუპოვარი. (კაცმა რომ თქვას, შვილი და მშობელი რომ ერთმანეთს ჰგავდნენ, რა გასაკვირია!) მხვნელ-მთესველს სხვებზე უკეთ მოეხსენება, მიწა-მარჩენალმა რომ გლეხკაცს გული გაუხსნას, შიგ ჩაახედოს და თავისი საგანძური უხვად და უშურველად უბოძოს, რასაც შემოდგომაზე მოწეული ბარაქიანი მოსავალი ჰქვია და რითაც გამრჯე გლეხკაცის შრომა ფასდება, იგი მთელი სიცოცხლე, როგორც წმინდა ცეცხლის მცველი რელიგიური კულტის მსახური, ისე ერთგულად უნდა ემსახუროს მას. დიახ, კაცმა ღვთისაგან ნაწყალობევი პური არსობისა რომ მოიპოვოს, ამისთვის ოფლთან ერთად, გულის სისხლიც უნდა დაღვაროს.

ვისაც მთელი თავისი ცხოვრება მიწასთან ჭიდილში გაუტარებია, მან შესანიშნავად იცის ეს ანბანური ჭეშმარიტება.

გლეხკაცის მიწასთან მარადიული რკენა და ჭიდილი ყველგან ძნელია, მაგრამ მთის სოფელში ეს ჭაპანწყვეტა ბევრად უფრო მძიმეა და მომქანცველი გახლავთ.

მზისაც მთის სოფელი იყო და ზემოთ ნათქვამი ამ სოფლის მცხოვრებლებზეც ზედმიწევნით ვრცელდებოდა. უფრო მეტიც, თუ იმასაც გავით-

ვალისწინებთ, რომ მზისელებმა (ასევე, ქლუხორის სხვა ქართულ სოფლებში მცხოვრებლებმაც) მამაპაპური მიწა-წყალი ომის მძიმე წლებში დატოვეს და უცხო მხარეში თავიდან დაიწყეს ახალი ცხოვრების საფუძვლის ჩაყრა, არავისთვის ძნელი არ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, თუ რა ტიტანური შრომა უნდა გაეწიათ მათ, ოჯახი რომ გამოეკვებათ. ეს დიდი ტვირთი ყველაზე მეტად მხრებზე ქალებს დააწვათ, რომელთა ქმრები, ძმები თუ მამები იმ დროს ომში იყვნენ და ფრონტზე იბრძოდნენ.

ლუკა ლობჯანიძე (კაცელეეთი) მეუღლე პელიასთან და შვილიშვილთან ერთად.

უნდა ითქვას, რომ მზისელმა ქალებმა, მართლაც, მამაკაცური ამტანიანობით, ქალური ალღოთი და გამჭრიახობით ყველაფერი გააკეთეს, რათა ფრონტზე მებრძოლი ქმრების ღირსეულ მეუღლეებად დარჩენილიყვნენ.

დიდება და მადლობა ყველა იმ მზისელ თუ ქლუხორის სხვა სოფლების ქართველ ქალთა ქალობას, ვინც იმ მძიმე წლებში დედის, მეუღლის, ოჯახის ბურჯის მძიმე ტვირთი იტვირთა. ღირსეულად აღზარდა შვილები, ფეხზე დააყენა ოჯახი და ფრონტიდან, არც თუ ძვირად, დაინვალიდებულ თუ ხშირად რაღაც ღვთიური სასწაულით ჯოჯოხეთურ ქარ-ცეცხლგამოვლილ, მრავალ ჭრილობაგადატანილ, შინ ცოცხლად დაბრუნებულ საყვარელ მეუღლეს თბილი კერა და დიდი და წრფელი სიყვარულით გამთბარი, უღალატო ქალური გული და დაუქცეველი ოჯახი დაახვედრა!

დღეს, იმ შორეულ წარსულს და მზისელ ქალებს რომ ვიგონებ, უნებურად მახსენდება ბარათაშვილის უკვდავი სიტყვები, რომელიც, მართალია, სულ სხვა დროსა და სხვა გარემოებაში ითქვა, მაგრამ მშვენივრად მიესადაგება მზისელ ქალთა, მართლაც, დიდებულ ქართველქალობას: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილსახსოვარნო!"-ო.

იმ თაობის ქალებიდან, რომელებიც ქვემოთ მინდა გავიხსენო, ამჟამად ცოცხალი არც ერთი აღარ არის, მაგრამ მათი ერთგულება და ჩუმი ღვაწლი თავიანთი ოჯახებისადმი, ტკბილი, უწყინარი, შეითგაითიანი დამოკიდებულება მეზობლებისადმი და უზომო სიყვარული და თანადგომა საახლობლო-სანათესაოში, კარგად გვახსოვს ჩვენ, მათ შვილებს, ვინც იმ დროს ბავშვები და სკოლის მოსწავლეები ვიყავით. გვახსოვს, ვინაიდან დღედა-

ღამ მათი მუყაითი შრომით მოწეულმა ლუკმამ შეგვინარჩუნა ღვთით ბოძებული სიცოცხლე.

ბევრ სხვა რამესთან ერთად, ამაზეც ხშირად მიფიქრია და ბოლოს იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ ამქვეყანაზე სრულყოფილად, ალბათ, არავინ იცის (მით უმეტეს მე!), თუ ერთი ადამიანი რატომ ცოცხლობს ხანგრძლივად, ხოლო მეორეს წუთისოფელი რატომ არის ხანმოკლე და ბევრად უხანო. ეს სხვაობა უცხოთა შორის კი არა, თვით დედმამიშვილობაშიც ხშირია. მეცნიერები, მათ შორის, გერონტოლოგები, ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ ვარაუდს გვთავაზობენ, მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ყოველმხრივ დასაბუთებული პასუხი ამ კითხვაზე ჯერ არ არსებობს. და ერთიც: დემოგრაფიული სტატისტიკით ქალები უფრო ხანგრძლივად ცოცხლობენ, კაცებზე. ასეა თუ ისეა, ხანდაზმულ ადამიანებთან შეხვედრა და საუბარი დიდად მსიამოვნებს და მათ მიმართ კეთილად განმაწყობს.

ფრონიცია ლობჯანიძე (მშედლიანთი)

იმის გამო, რომ არავითარი სტატისტიკური მონაცემები არ გამაჩნია ქლუხორში მცხოვრები ქართველებიდან რამდენმა ქალმა თუ კაცმა იცოცხლა ჩვეულებრივზე, თუ გნებავთ, საშუალო ასაკზე ხანგრძლივად, ამიტომ მარტო მზისელების მაგალითით შემოვიფარგლები.

...ედესია ლობჯანიძემ (ალუკეეთი) ხუთი შვილი გაზარდა და ამ ქვეყანაზე 101 წელი გაატარა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სიცოცხლის ბოლომდე თითქმის არ დაუძლურებულა. დაუძლურებულა კი არადა, ბოლო დრომდე სახლ-კარს ხომ უვლიდა და პატრონობდა, ეზოში ბარავდა კიდეც მიწას და თოხნიდა. ქალბატონი ედესია ბოლო დროს დედოფლისწყაროს სოფელ მირზაანში ცხოვრობდა და აქვე მიიცვალა მშვიდად და უდრტვინველად.

ქალბატონ ფრონიცია ლობჯანიძეს (მშედლიანთი), თუმცა, ქალბატონ ედესიას მსგავსად 101 წელი არ უცხოვრია, მაგრამ არც ბევრი დაკლებია. ათი შვილის მშობელი დედა და მრავალი შვილიშვილის, აგრეთვე შვილთაშვილებით დიდედამ ეს ქვეყანა 95 წლის ასაკში დატოვა.

ვისაც ამ ბოლო დროს მირზაანში, რაჭველების დასახლების შუა ქუჩაზე, გაზაფხულის მზიან დღეებში თუ ზაფხულში ჩაუვლია, უთუოდ შეამ-

ჩნევდა ქუჩაში კაკლის ჩრდილში ხის ძელსკამზე სამეზობლოს ქალებთან ერთად ჩამომჯდარ ორ ხანდაზმულ ქალბატონს – შურა ლობჯანიძეს (ციბრეენთი) და მარო ლობჯანიძეს (ზვიადეეთი).

მარო ლობჯანიძე, სამი შვილის გამზრდელი, ამჟამად ოთხმოცდახუთი წლის გახლავთ და თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობს. თუ მაინც კითხავთ, მარო ბებია (დეიდა) როგორ ხარო, გიპასუხებთ, ოთხმოცდახუთწლოვანი ასაკის კვალობაზე არა მიშავს, მხოლოდ ზოგჯერ მუხლების სისუსტეს ვგრძნობო. მე მგონია, „მუხლების სისუსტეს“ სიტყვის მასალად ხმარობს, ჩემი მაგარი ჯანმრთელობით მომკითხავი ზედმეტად არ გავაკვირვოო, თორემ მიხრა-მოხრასა და სიარულზე „მუხლების სისუსტისა“ ჯერ ნამდვილად არაფერი ეტყობა.

ასაკში ქალბატონ მაროს ბევრით როდი ჩამორჩება მისი მეზობელი და მეგობარი შურა ლობჯანიძე (ციბრეენთი). ვგონებ, პირიქითაც კია.

ქალბატონმა შურამ რვა შვილი გაზარდა. წუთისოფლისაგან არც მწუხარება დაკლებია, ქმარი და რამდენიმე შვილი ნაადრევად გარდაეცვალა, მაგრამ თავს მაინც მხნედ გრძნობს და არც ავადმყოფობას უჩივის. იგი ამჟამად ოთხმოცდაათ წელს მიტანებულია და უფალს მადლობას სწირავს, როგორც ჯანმრთელობის და ხანგრძლივი სიცოცხლისათვის, განსაკუთრებით კი – მშვენიერი ოჯახის და კვლავაც მრავლად დარჩენილი შვილების და შვილიშვილებისათვის. ქალბატონი შურა უახლოეს ხანში კიდევ ერთი შვილთაშვილის დაბადებას ელოდება და უფალს დღედაღამ თავის მონაგარს ავედრებს.

მცირედი ჩრდილიც არ გაჰყოლია

ამ მოგონებების წერისას ერთი უსიამოვნო განცდა კალმის პირველი მოსმისთანავე ამეკვიატა და მერეც მუდამ თან მდევდა... და მასთან ერთად შინაგანი ხმაც ერთთავად მახსენებდა, ეცადე სათქმელი ისე თქვა, ვინმემ მიკერძოება არ დაგწამოს ღა არ გითხრას, ზოგ-ზოგებზე, ვთქვათ, ახლობელთა შესახებ საუბრისას გულუხვად ირჯები, როცა სხვებზე თხრობისას ძალიან სიტყვაძუნწობო.

ეჰ, აკი ამ წიგნის დასაწყისშივე შევახსენე საკუთარ თავს – იცოდე, უმადურ საქმე ჰკიდებ ხელს. ამ მოგონებებით ბევრს თუ ასიამოვნებ, არაერთს გულს დასწყვეტ და უკმაყოფილო დაგრჩება – მეთქი.

ამასაც გულწრფელად ვიტყვი, არც წერის დროს და არც მერეც, ეჭვი ოდნავ არ შემპარვია იმაში, რომ არაერთი ქლუხორელი, ვინც ამ წიგნის ყდებს შიგნით მოქცეულ ფურცლებს გარეთ დარჩა, მეტ-ნაკლებად, ყველა იმსახურებდა ორიოდე თბილი და ტკბილი სიტყვის თქმას, მაგრამ, მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, თითო-ოროლა სიტყვა ყველაზე მეთქვა, მიზეზთა და მიზეზთა გამო, ეს ვერ შევძელი.

...ჩვენ, ნინა ლობჯანიძის ოჯახის წევრები – მშობლები და და-ძმები ერთი წლის გადასახლებული ვიყავით საქართველოდან, როცა იგი მზისაში ჩამოვიდა და თავისიანებს შემოგვიერთდა.

ნინამ ის-ის იყო, საშუალო სკოლა დაამთავრა და უმაღლესში სწავლის გაგრძელებაზე ფიქრობდა, მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, ჩვენ ერთს ვფიქრობთ და ცხოვრება სულ სხვა ასპარეზს გვთავაზობს... სწორედ ამ დროს სოფელში ქოხ-სამკითხველო გაიხსნა და ნინას სოფლის ხელმძღვანელობამ მისი გამგეობა შესთავაზა, „დროებით, სანამ ამ საქმისთვის შესაფერის კადრს შევარჩევთ, შენ კი სხვა, უკეთეს საქმეს გამოგინახავთო“. უთხრეს ქოხ-სამკითხველოს ახალგაზრდა გამგეს.

კაცმა რომ თქვას, ეს სამუშაო სულაც არ აღმოჩნდა ნინა ლობჯანიძისთვის უცხო და უინტერესო. თვითონ წიგნის დიდი მოყვარული და ნაკითხი გახლდათ. სოფლის მოსახლეობაც თავისუფალ დროს ერთთავად ქოხ-სამკითხველოს მოზრდილ ოთახში იკრიბებოდა. ვინ გაზეთებს კითხულობდა, ვინ – წიგნს თუ ჟურნალებს. ხან ცხოვრებაში მიმდინარე პოლიტიკურ თუ სხვა პროცესებზე ვიღაცას რაღაც აინტერესებდა და მთელი დღე მზისას

ქოხ-სამკითხველოს დარბაზში, როგორც იტყვიან, „ცხოვრება დუღდა და გადმოდუღდა“.

ნინა ლობჯანიძე ერთ-ორ წელიწადში ისე შეეთვისა და შეესისხლხორცა „დროებით“ მინდობილ საქმიანობას, რომ მასთან განშორება ვერც კი წარმოედგინა. მაგრამ იმავე სოფლის ხელმძღვანელობამ (ცხადია, რაიკომის შესაბამის განყოფილებასთან შეთანხმებით) იგი სასოფლო საბჭოს მდივნად დააწინაურა.

ნინა ლობჯანიძე
ქლუხორი, მზისა, 1952 წ.

განსაკუთრებული სიძნელეები არც ახალ სამსახურში შეხვედრია. ახალ საქმესაც ალღო მალე აუღო. ახალგაზრდა იყო, ენერგიული, საქმის მოყვარე და სოფელიც და ხელმძღვანელობაც კმაყოფილი იყო მისი მუშაობით. თუმცა, ხანგრძლივად არც ამ საქმეს შერჩენია. ამას მოჰყვა თბილისში საბუღალტრო-ეკონომიკური ტექნიკუმის დამთავრება და სოფელში კოლმეურნეობის მთავარი ბუღალტრობა, რასაც იგი მთელი ცხოვრება ემსახურა. ჯერ მზისაში, იქედან ქართველების გადმოსახლებამდე, შემდეგ დედოფლისწყაროს სოფელ მირზაანში კოლმეურნეობაში იმუშავა ბუღალტრად, მერე რაიონების და სოფლების გამსხვილებისას, როცა სოფლები მირზაანი და ზემო მაჩხაანი შეერთდა, ახლა უკვე საბუღალტრო მოღვაწეობა დიდი გამოცდილების მქონე და დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობის მრავალრიცხოვან კოლექტივში მოუწია სპეციალობის მიხედვით მუშაობა.

ნინამ ბევრ ვინმეს – შინაურს თუ გარეშეს დასდო ამაგი, მათ შორის, ყველაზე მეტი ჩვენ – მის დაძმებს, მაგრამ ეს არავისთვის უგრძნობინებია... ამ ქვეყნიდან მშობლების ნაადრევად წასვლის შემდეგ მან თავისი ნებით მშობლისა და დის ვალი ერთად იტვირთა და პირნათლად მოიხადა კიდეც. სამწუხაროდ, მისი სიცოცხლის მოულოდნელად შეწყვეტის გამო, ჩვენ ვერ შევძელით ნაწილობრივ მაინც მოგვეზღო მისთვის, გაწეული ღვაწლის თუნდაც მცირედი სამაგიერო. თუმცა იგი ამას არ მოითხოვდა. მას მხოლოდ ერთი სურდა – ამ ქვეყანაზე ნამუსიანად გვეცხოვრა.

იქნებ მას რომ ეწადა და ჩვენც გვსურდა ყველაფერი ცხოვრებაში ისე ვერ შევასრულეთ, მაგრამ არც მთლად ამაოდ ჩაუვლია ჩვენზე მის შრომას...

ნინა ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ მან თავისი ხანმოკლე წუთისოფელი ისე გალია, რომ ამ ქვეყანაზე მის ცხოვრებას ოდნავი ხინჯი

არ გაკარებია და არც იმ ქვეყანაზეც იოტისოდენა ჩრდილი გაჰყოლია. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ყველამ – ნათესავებმა, მეგობრებმა თუ უბრალო ნაცნობებმა მწარედ განიცადეს მისი მიწიერი ცხოვრების ნაადრევად შეწყვეტა...

ნინა ლობჯანიძის ეს მცირე გახსენება დაე, ამ წიგნის ფურცლებს მარად შემორჩეს, როგორც ახლობელთა და ნაცნობ-ნათესავთაგან მისი მოსაგონარი. ქალალდი ხომ ადამიანებზე უფრო ხანგრძლივად და გაუხუნარად ინახავს მისთვის განდობილ ძვირფას ადამიანებზე სიყვარულით თუ გულის ტკივილით ნათქვამ ყოველ სიტყვას. დაე ამ შემთხვევაშიც ასე მოხდეს... ამ ქვეყნად დარჩენილებს სხვა რა შეგვიძლია, იმის გარდა, მიცვალებულებს აქ გაწეული ღვაწლი არ დავუკარგოთ და მათი დამსახურებისამებრ მოვიგონოთ. ამ მცირე წერილის მიზანიც ეს არის.

ოდინმა ცოლი დაადნო

მზისაში ჩასახლებულთაგან სრულიად განსხვავებული ხასიათისა გახლდათ ვარვალა გობეჯიშვილი (გოგენთი). მიუხედავად მძიმე ეკონომიკური მდგომარეობისა, მას კაცი მოწყენილს თითქმის ვერასოდეს ნახავდა. მე მგონი, იგი გარეგნული მხიარულებით ფარავდა და ამავე ხერხით ებრძოდა გაუსაძლისი ცხოვრებით გამოწვეულ ყოველგვარ გასაჭირს. რაღაცნაირი გადამდები სიცილი იცოდა, მოსაუბრესაც სამხიარულოდ განაწყობდა და დარდს დაავიწყებდა. მუდამ იმას ცდილობდა, საკუთარ გასაჭირზე წუწუნით სხვები არ შეეწუხებინა.

ვარვალა დიდი დედობრივი მზრუნველობით ზრდიდა ერთადერთ ვაჟიშვილ ვალიკოს, რომელიც საუბედუროდ, ქლუხორიდან წამოსვლის შემდეგ რუსეთის რომელიღაც ქალაქში ტრაგიკულად დაიღუპა. იგი ამ უდიდეს დარდსა და მწუხარებას გარეგნულად გამოუმჟღავნებელი ამტანიანობით უმკლავდებოდა. ქვეყნის დასანახად ყოველ წუთს ცრემლად არ იღვრებოდა, მაგრამ დედა იყო და ერთადერთი ვაჟიშვილის დაკარგვით დაკოდილი გულის ჭრილობას რა დრო და ჟამი გაუნელებდა!

ბედმა აქაც უმუხთლა ვარვალას, ისევე, როგორც ქმართან შეუღლებისას: ორიოდე წელიც არ უცხოვრია მასთან, რომ ომი დაიწყო და მეუღლე, ირალა გობეჯიშვილი, ბევრ მის თანატოლთან ერთად, ფრონტზე გაიწვიეს. ამის შემდეგ ოჯახს მისი ამბავი, არც ავად და არც კარგად, არ სმენია. მხოლოდ ომის დამთავრებიდან რამდენიმე წლის მერე უცნობმა კაცმა ვარვალას ამბავი მოუტანა: მე და შენი ქმარი, ირალა ფრონტზე ერთად ვიბრძოდით. ასევე, ერთად მოგვიწია იტალიაში იქაური პარტიზნების მხარდამხარ ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლა. ომის დამთავრების შემდეგ გამოგვიცხადეს, ვისაც გსურთ სამშობლოში დაბრუნება, დაბრუნდით. იტალიაში ყოფნის გამო სამშობლოში არავითარი საფრთხე არ გემუქრებათო. მე დავიჯერე, მაგრამ საზღვარზე გადმოსვლისთანავე, სხვებთან ერთად, დამიჭირეს და თავი ციმბირში მიკრეს. ირალა იტალიაში დარჩა და ცოცხალია, სამშობლოში იმიტომ არ ჩამოდის, რომ დასჯისა ეშინია. თუმცა, ჩვენ იქ ყოფნით დასასჯელი არაფერი არ ჩაგვიდენიაო. იქაც ისე, როგორც საბჭოთა ჯარში ფაშიზმს და ბოროტებას, როგორც შეგვეძლო, ისე ვებრძოდითო.

იმ უცხო კაცის მოტანილი ამბავი, სულაც არ გახლდათ ჭორი და სიცრუე.

ოგივე ბედი ეწია ჩემს თანასოფლელს, იტალიაში ფაშისტების წინააღმდეგ მებრძოლ შალვა გავაშელიშვილს (ჯაგოენთი).

შალვა მზისაში ომის დამთავრების შემდეგ ჩამოვიდა. ერთ ხანს ყველაფერი თითქოს რიგზე იყო. ოჯახი მისი მშვიდობიანად დაბრუნებით ხარობდა. თვითონ ის – სამშობლოს, ცოლ-შვილისა და ახლობლების ნახვით, მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. არც საფრანგეთსა და იტალიაში წინააღმდეგობის მოძრაობის რიგებში მამაცური ბრძოლისათვის მიღებულ ორდენებს და მედლებს გაუწია ვინმემ ანგარიში და არც საბჭოთა კავშირის გამარჯვებისათვის თავდადებას (და არა მარტო საბჭოთა კავშირის, ასევე, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას). პირიქით, საფრანგეთ-იტალიაში ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლა ღალატად ჩაუთვალეს. ისიც იმ უცხო კაცივით დააპატიმრეს და ციხის გზას გაუყენეს. შინ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა.

ასე რომ, იმ უცნობმა კაცმა ვარვალას უთუოდ სიმართლე უთხრა. მართალია, სოფელმა მისი ქმრის იტალიაში ყოფნის ამბავი არ დაიჯერა, მაგრამ თვითონ მას ეჭვი ოდნავ არ შეეპარვია იმაში, რაც იმ კაცმა უამბო. ბოლომდე დარწმუნებული იყო, რომ ირალა ომს ცოცხალი გადაურჩა და ახლა იტალიაში ცხოვრობდა.

მზისაში ვარვალას ჩვენს მეზობლად ჰქონდა ბინა. შინ მარტო ყოფნა რომ მოსწყინდებოდათ, დედა-შვილი საღამოობით ჩვენთან გადმოვიდოდა და დედაჩემთან და ჩემს უფროს დებთან ათას რამეზე საუბრობდნენ. დღეს აც კარგად მახსოვს: იგი ხშირად ამბობდა, ჩემი ირალა ცოცხალია, იტალიაშია და შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს სრულიად მოულოდნელად ჩამოვიდეს და სახლის კარი შემოაღოსო. ცხადი იყო, რომ ქმრის დაბრუნების იმედს ერთი წუთითაც არ კარგავდა და, როგორც ერთგულ მეუღლეს შეეფერება, გულში მუდამ მასზე ფიქრობდა. ჩემი აზრით, მის ამ მარადიულ ლოდინში იყო რაღაც პენელოპეს სინდრომის მსგავსი, თუ დიდი არა, მცირე ნიშანი მაინც. თუმცა, რატომ მცირე, იქნებ უფრო მეტიც კი!.. პენელოპე ოცი წელი ელოდა ქმარს, ხოლო ვარვალა ორჯერ და უფრო მეტ ხანს, ანუ სიცოცხლის ბოლომდე.

ამ ამბიდან დიდი ხნის შემდეგ, მგონი, გასული საუკუნის 70-იან წლებში იტალიიდან დაბრუნებულმა, ცნობილმა ჟურნალისტმა, აწ განსვენებულმა ვახტანგ ესვანჯიამ გაზეთ „სამშობლოს“ ფურცლებზე ვრცელი წერილი გამოაქვეყნა იტალიაში მოგზაურობაზე, იქაურ ქართველებთან შეხვედრებსა და შთაბეჭდილებებზე. იმ წერილში, სხვებთან ერთად, ირალა გობეჯიშვილის გვარი და სახელიც იყო ნახსენები.

ვარვალას საიდანღაც გაეგო ამის შესახებ. მის მეუღლესთან ნაბრძოლი ჯარისკაცის ადრინდელი მონათხრობი გაიხსენა. ყველაფერი, ეტყობა, ერთ-

მანეთს შეუჭერა და დაასკვნა, რომ ირალა ცოცხალი იყო და იტალიაში ცხოვრობდა.

მიაქციეთ ყურადღება: ქმრისადმი რაოდენ დიდი სიყვარული და გაუხუნარი გრძნობა მჟღავნდება ამ ერთი რიგითი სოფლელი ქალის მცდელობაში, როგორმე მიაგნოს ომში დაკარგული ქმრის ასავალ-დასავალს!

ერთ დღეს, რამდენიმე ახლობელთან ერთად, სრულიად მოულოდნელად, სამსახურში მომაკითხა და მთხოვა, ქმრის შესახებ უფრო ვრცელი და ამომწურავი ამბის გაგებაში დამეხმარეო.

უარი, ცხადია, არ მითქვამს. იმ დღესვე ტელეფონით დავუკავშირდი ბატონ ვახტანგს და ავუხსენი, რაზედაც ვაწუხებდი. ამითაც არ დავკმაყოფილებულვარ. რამდენიმე დღის შემდეგ პირადადაც ვინახულე და სათხოვარი გავუმეორე, თანაც ვთხოვე, უფრო დაწვრილებით მოეთხრო, თავის წერილში ნახსენებ ირალა გობეჭიშვილზე.

ბატონმა ვახტანგმა ჩემი და ირალას ახლობლების თხოვნა გულთან ახლოს მიიტანა და სინანულით გვითხრა: იტალიაში მოგზაურობისას ბლოკნოტში იმ კაცის გვარისა და სახელის მეტი არაფერი მაქვს ჩანიშნული, რაც ვიცოდი, გაზეთში ყველაფერი დავწერეო. გული დამწყდა, მაგრამ რა შემეძლო!

მიუხედავად იმედგაცრუებისა, ეტყობა, ქმრის პოვნის იმედი ვარვალამ მაინც არ დაკარგა. რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მომაკითხა და დაბეჭითებით მთხოვა, იქნებ ერთხელ კიდევ როგორმე მომეხმარო, დარწმუნებული ვარ, ჩემი ირალა ცოცხალია, თუ ხმა როგორმე მივაწვდინე, იქნებ არ ჩამოვიდეს, მაგრამ თავის ამბავს მაინც შემატყობინებს და მე თავს ამითაც ბედნიერად ჩავთვლიო.

ქმრის ბედით დაინტერესებულ მეუღლეს დახმარებაზე უარს როგორ ვეტყოდი!

ამ ამბავმა საბოლოოდ დამარწმუნა პირველი სიყვარულის გაუხუნარობასა და მარადიულ უკვდავებაში, აგრეთვე, იმ თაობის ქართველი ქალების ქმრებისადმი უჩვეულო ერთგულებაში.

მაშინ გაზეთ „სამშობლოს“ ცნობილი ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი რედაქტორობდა. იგი გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად აქვეყნებდა განცხადებებს, სადაც იტყობინებოდა, ამა და ამ კაცს საქართველოში მისი ახლობლები ეძებენ და ვთხოვთ, გამოგვეხმაუროსო. „სამშობლო“ მაშინ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ვრცელდებოდა და მას სამშობლოდან შორს მცხოვრები ქართველები დიდი ინტერესით კითხულობდნენ.

მივაკითხე ბატონ პაატას. ავუხსენი მდგომარეობა და დახმარება ვთხოვე. იგი მის წინამორბედ ბატონ ვახტანგ ესვანჯიაზე არანაკლები გულისხმიერებით მოეკიდა ამ ამბავს და გაზეთის რამდენიმე ნომერში ზედიზედ გამოაქვეყნა განცხადება ოჯახის და ახლობლების მიერ ირალა გობეჭიშვილის ძებნის შესახებ. მიუხედავად ამისა, ამას საპასუხო გამოხმაურება

არ მოჰყოლია. თუ რატომ, ჩემთვის ძნელია ახლა ამის ახსნა. შეიძლება ადრესატს გაზეთის ის ნომერი ხელში არ ჩაუვარდა. არც იმ ვარაუდის უარყოფა შეიძლება, რომ მან ამდენი ხნის განშორების შემდეგ გულში მინავლებული ცეცხლის ხელახლა გაღვივება და წარსულთან შეხვედრა არ ისურვა. იმ წარსულთან დამაკავშირებელი ყველა მოგონება დავიწყებას მისცა, ისე კი ეს პირადად მე აგრერიგად არ მჭერა. ქართველი კაცი მამულს და ოჯახს, მით უმეტეს, როცა კაცს შინ მეუღლესთან ერთად შვილი და შვილიშვილები ელოდებიან, ასე ადვილად არ ივიწყებს. უფრო სავარაუდოა, რომ ამ პერიოდში ირალა გობეჯიშვილი უკვე ცოცხალთა შორის აღარ იყო.

არც ის არის გამორიცხული, რომ ყველაფერი სცოდნოდა, რაც სამშობლოში დაბრუნებისას მოელოდა და შეიძლება იფიქრა, თუ კი ჩემიანებთან არ ვიქნები, ციმბირსა და გადასახლებაში ყოფნას მირჩევნია საქართველოდან შორს, იტალიაში მშვიდად ვიცხოვროო. კაცს ვერ უსაყვედურებ, ციმბირსა და პატიმრობას იტალიაში თავისუფლად ცხოვრება რატომ არჩიეო. ბოლოს და ბოლოს, ამქვეყანაზე ადამიანისთვის თავისუფლებაზე უფრო ძვირფასი ხომ არაფერია!

შეიძლება, კაცმა ესეც თქვას, დალოცვილი, თუ არ ჩამოვიდა, ორიოდე სიტყვით მაინც გამოხმაურებოდა თავისიანებს და ისინი ამით მაინც გაეხარებინაო.

ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ არც ის არის გამორიცხული, საბჭოური მეთოდების მცოდნეს ეფიქრა, ჩემი თავის გამჟღავნებით, ვაი თუ იქ, სამშობლოში, ჩემიანები დაზარალდნენ. აკი, ნათქვამია, ცხენს ვერაფერი ჰკადრეს და უნაგირი დაამტვრიესო.

ალბათ, ამიტომაც, უძვირფასესი ადამიანების გამოხმაურებას დუმილი ამჯობინა. ვინ იცის... მისი ერთგული მეუღლე კი მთელი სიცოცხლე წმიდათწმიდად ინახავდა მონატრებული ქმრის პირველ და გაუხუნარ სიყვარულს.

ბედნიერია ის, ვისაც ასეთი ტრფობა შეუძლია და ისიც, ვისაც ასეთი მწველი სიყვარულით ეტრფიან!

უკუღმა დაწერილი ანბანი

ყველა იმ მზისელი ქალების – ელისოების, დარიკოების, ბაღდიების, ციცოების, ყეინკეების, ბარბალეების, მაროების, მარგალიტეების, მაკრიების, ვარვალეების, დაშაეების, მარიანების, ედესიების, შურაებისა, ფრონიციეების, ყაჭიელეების, კესარიეების, ოლიეების, მატრონეების, ოლღეების და კიდევ არაერთი სხვა თანასოფლელ მანდილოსანთა გვერდით ცხოვრობდა, შრომობდა დ იღვწოდა ქლუხორში ჩასახლების პირველი დღიდან დაწყებული, იქედან ქართველი მოსახლეობის კვლავ მშობლიურ მიწაზე დაბრუნების ბოლო დღემდე დედაჩემი, სალომე ლობჯანიძე.

მიკერძოებაში ნურავინ ჩამომართმევს, თუ რამდენიმე შემთხვევას მისი ცხოვრებიდანაც გავიხსენებ. მაგრამ სანამ თხრობას შევუდგებოდე, მინდა, ამთავითვე გულწრფელად ვაღიარო: რამდენჯერაც დედაზე მოგონების წერა დავაპირე და კალამს ხელი მოვკიდე, თითქოს ქურიდან გამოღებული გავარვარებული რკინის ნაჭერს შევხებოდი, კალამი იმდენჯერ უსიამოვნო შეგრძნებით დავდე და წერა გადავიფიქრე, იმით შემკრთალმა ეს, ვინმემ სხვაგვარად არ ჩამომართვას-მეთქი. ბოლოს, ხანგრძლივი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ, იმ დასკვნამდე მივედი, რომ სწორი და სამართლიანი არ იქნებოდა მზისელ ქალებზე მოგონების წერისას მასზე არაფერი მეთქვა იმიტომ, რომ იგი დედაჩემი იყო. ამით ამ ამბების მთლიან ჯაჭვს ერთი რგოლი გამოაკლდებოდა და ნაამბობი სრულყოფილი ვერ გამოვიდოდა. რამეს უთქმელობას ისევ სათქმელის გაცხადება ვარჩიე. მაგრამ ღვთის ტაძარში უფლის სამსჯავროს წინაშე გამხელილ აღსარებასავით კიდევ ერთხელ ვიტყვი: ვის შესახებაც არ უნდა ვწერდე, შორეული იქნება ის თუ ახლობელი, ჩემიანი თუ სხვათაგანი, პრინციპი ერთია: აქაც და სხვაგანაც ჭეშმარიტებას არსად ვუღალატო და სიმართლე, თუნდაც იგი ვინმესთვის მიუღებელი იყოს, ყოველგვარი შელამაზების გარეშე, პირუთვნელად ვთქვა.

მართალია, ეს ერთგვარი ვრცელი შესავალი თითქოს წინასწარ თავის მართლებას ჰგავს, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩემგან არც ამის უთქმელობა იქნებოდა.

დედაჩემი – სალომე – რეხვიაშვილის გვარის ქალი გახლდათ სოფელ ჭიორადან. მამამისს ნანე ერქვა, დედას – სიდონია. დედაჩემის ოჯახს სა-

გვარეულო სახელად „ბაღათეენთ“-ს ეძახდნენ. ალბათ, გვარის მესაფუძვლის – ბაღათას სახელის მიხედვით.

დედას სასკოლო განათლება არ მიუღია. ანუ, როგორც ჩვეულებრივ მოწაფეს, სკოლაში არ უვლია. წერა-კითხვა კერძო მასწავლებელთან ჰქონდა ნასწავლი. კერძო მასწავლებელთან ჰქონდა ნასწავლი-მეთქი რომ ვამბობ, ისე არავინ გამიგოს, თითქოს დედას ბავშვობაში გუვერნიორები შინ დაუდიოდნენ.

სალომე ლობჯანიძე შვილიშვილ თინიკოსთან ერთად. 1952 წ.

გუვერნიორებისა და ბონებისათვის კი არა, იმ დროს ამ სოფლის მცხოვრებთა უმეტესობას, მათ შორის, დედაჩემის მშობლებსაც, შვილის სოფლის დაწყებით სასწავლებელში სწავლის ხარჯების გაღების საშუალებაც არ ჰქონდათ.

დედას წერა-კითხვა ასე უსწავლია: მის ბავშვობაში ჭიორაში, ჩემი ბაბუის რომელიღაც მეზობელს ქალაქიდან ნათესავი ქალი სტუმრებია. ახლა არ ვიცი, რატომ და რისთვის: ნათესავების უბრალოდ მოსანახულებლად, რამე აუცილებელი პირადი საქმისათვის, თუ ეგზოტიკურ მთის სოფელში გასართობად და დასასვენებლად.

ასე იყო თუ ისე, როგორც ჩანს, ჭიორაში სტუმრობა ძალიან გაუგრძელდა ქალაქიდან ჩამოსულ სტუმარს. იმდროინდელი მთის სოფლის ცხოვრების პირობებს თუ გავითვალისწინებთ, სავარაუდოა, რომ არც მასპინძლის ოჯახს ჰქონდა იმდენად უზრუნველი ცხოვრება, შინაურებთან ერთად, უცხო ადამიანის ხანგრძლივად რჩენა არ დატყობოდა მისი ოჯახის მწირ შემოსავალს. არადა, სავარაუდოა, რომ სტუმარსაც არ ჰქონდა უკან დაბრუნების დიდი სურვილი. ალბათ, იმიტომ, რომ არც ქალაქში ეგულებოდა მოდაზე გაწყობილი სრა-სასახლე და ლივრეიანი შეფ-მზარეულების მომსახურება. ამიტომ, როგორც, ჩანს, ყველაზე ოპტიმალურ გამოსავალს მიაგნო: გარკვეული გასამრჯელოს საფასურად სოფელში ბავშვებს ქართულად და რუსულად ანბანს შეასწავლიდა. გასამრჯელოს გადახდა ნატურითაც შეიძლებოდა და ფულითაც.

თუ საზოგადოდ ვიტყვი, გლეხკაცს, იმ დროს მაინც, იმდენი ფული სად ჰქონდა, ისეთი ფუფუნების საფასური გადაეხადა, როგორიც ბავშვის სწავლა-განათლება იყო. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ მშობლები და ძალად „მასწავლებელი“ სწავლის ქირად ნატურით გადასახადზე შეთანხმდებოდნენ. კერძოდ, ყოველ ოჯახს დღეში თითოეულ მოსწავლეზე თითო

კვერცხი უნდა მოეტანა. ასე გაგრძელდებოდა მანამ, სანამ ბავშვები ანბანს არ შეისწავლიდნენ. „მასწავლებელი“ კმაყოფილი იყო, რომ ხანგრძლივი დროით რაღაც შემოსავალის წყარო გაუჩნდა. ალბათ, არც დედაჩემის და მისი თანატოლების მშობლები იქნებოდნენ საქმის ასე აწყობით უკმაყოფილონი, რადგან სწავლის საფასურის კვერცხებით გადახდა არ გაუჭირდებოდათ და ამ გზით მათი შვილები რუსულ-ქართულ ანბანს იმდენად მაინც შეასწავლიდნენ. რომ რუსულ და ქართულ ენაზე ნაწერის წაკითხვას შესძლებდნენ. ასე და ამრიგად, ასეთ მოსწავლე-ბავშვების რიცხვში აღმოჩნდა სალომე რეხვიაშვილი – მომავალი დედაჩემი.

მიუხედავად ყოველივესი, დედაჩემი მაინც კმაყოფილი იყო თავისი ბედის, რომ წერა-კითხვის უცოდინარი არ დარჩა.

დიდი ხნის შემდეგ, როცა მზისას სკოლის მოსწავლე ბავშვურად ვცულლუტობდი და გაკვეთილების სწავლაზე მეტ დროს თანატოლებთან გართობა-თამაშობას ვუთმობდი, დედა საყვედურით მეტყოდა: თუმცა, ჩვენ, მე და ჩემს თანატოლებს თქვენს ასაკში უჩვეულოდ ძნელ პირობებში გვიწევდა სწავლა, მაგრამ რასაც გვასწავლიდნენ, დიდი გულმოდგინებით ვცდილობდით საფუძვლიანად გვესწავლა. თქვენ, შენ და შენი მეგობრები, ჩვენთან შედარებით ბედნიერ დროში ცხოვრობთ და მაინც ზარმაცობთ. ახლა უქმად დაკარგული ყოველი წუთი დიდობაში წლების დანაკარგად იჩენს თავს. მაშინ მიხვდები, რასაც კარგავ. ინანებ, მაგრამ ამ დანაკარგს ვერასდროს აინაზღაურებ. ამიტომ სწავლას მეტი გულმოდგინებით მოეკიდეო.

ახლა კი ვხდები, რომ დედა მაშინ ცამდე მართალი იყო, მაგრამ მაშინ... ეჰ, ბავშვები რომ ბავშვობაში მშობლის შეგონების მიხედვით იქცეოდნენ, ცხოვრებაში მათზე მოგებული ქვეყანაზე არავინ იქნებოდა!

მიუხედავად წერა-კითხვის სწავლების ასეთი „სპარტანული“ სკოლის გავლისა, დედა ქართულადაც და რუსულადაც მშვენივრად კითხულობდა. საზოგადოდ თუ ვიტყვი, დედას ქართული მწერლობისადმი სიყვარული მამისეული ოჯახიდან მოსდგამდა. ჭიორაში „ბაღათეენთ“, ანუ დედაჩემის საბაბუაშვილოს ლიტერატურისადმი მიდრეკილება გენეტიკურად ჰქონიათ კოდირებული.

დედას, როცა დრო ჰქონდა და რაზედაც ხელი მიუწვდებოდა, მუდამ დიდი სიამოვნებით კითხულობდა ქართულ კლასიკურ მწერლობას და დიდებული ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშებს. მან ზეპირად იცოდა ადგილები „ვეფხისტყაოსნიდან“, ხალხური „როსტომ-ზურაბიანიდან“, სიმონ გუგუნავას „თამარიანიდან“, თუ სხვა ქართვლ მწერალთა ნაწარმოებებიდან.

რაც შეეხება „თამარიანს“, ისევ დედაჩემის გადმოცემით ვიცი, რომ სიმონ გუგუნავას „თამარიანი“ თავის დროზე მეტად დიდი პოპულარობით სარგებლობდა. არანაკლებ უყვარდათ და სიამოვნებით კითხულობდნენ

მას ჩემს მშობლიურ სოფელ ღებშიც. ამ წიგნთან დაკავშირებით თავის დროზე მეტად შთამბეჭდავი ისტორია გვიამბო დედამ.

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში, ღებს ხშირად სტუმრობდნენ გეოლოგიურ-საძიებო ექსპედიციები. ერთ-ერთ ასეთ, რამდენიმეკაციან ექსპედიციას მთებში შემოაღამდა და გზაში კოკისპირულმა წვიმამაც მოუსწრო თურმე.

მშიერი, დაღლილ-დაქანცული და ერთიანად დასველებული ადამიანები ჩვეშოში ჩვენი ბიძაშვილის – ერმანე ლობჯანიძის ოჯახს მიადგნენ და ღამის გათევა ითხოვეს.

ალბათ, გახსოვთ, უკვე ვთქვი, რომ ჩვეშო ღებიდან 5-6 კილომეტრის მოშორებით ჩრდილოეთით უკიდურესი სოფელია კავკასიონის მთების უბეში. ამჟამად იგი ნასოფლარი უფროა, ვიდრე სოფელი, მაგრამ გასული საუკუნის 30-იან წლებში იქ ხალხი ბლომად ცხოვრობდა.

ერმანეს ოჯახმა დაგვიანებული უცხო სტუმრები შინ მიიწვია. გაათბო, დააპურა და ღამე თბილ ლოგინში მოასვენა. ერთი სიტყვით, ოჯახს რაც შეეძლო, სტუმრებისთვის პატივისცემა არ დაუკლია.

დილით თავის საქმეზე მიმავალი ხალხი ასაუზმეს. ასეთი გულისხმიერი დახვედრით კმაყოფილმა სტუმრებმა გამომშვიდობებისას მასპინძლებს ჰკითხეს, პატივისცემა რით გადაგიხადოთო.

გადასახდელი არაფერია. სტუმარ-მასპინძლობის ქართული წესი რასაც მოითხოვდა, როგორც შეგვეძლო, ისე აღვასრულეთ, ხოლო თუ პატივი ისე ვერ გეცით, როგორც გეკადრებოდათ, ნუ გვიწყენთო, – თავის მხრივ, მოუბოდიშებიათ მასპინძლებს.

არა, მაინც, ისე როგორ იქნება, რამე არ გჭირდებოდეთ, რის გაკეთებასაც შევძლებთ. გვთხოვეთ და უკან არ დავიხევთო, კვლავ გაუმეორებიათ სტუმრებს.

ჩვენ სხვა არაფერი გვინდა, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება, თბილისში რომ ჩაბრძანდებით, იქნებ გუგუნავას „თამარიანი" გვიშოვოთ და გამოგვიგზავნეთო, უთხოვია ჩვენს საბიძაშვილოს.

სტუმრებს ძალიან გაკვირვებიათ ასეთი თხოვნა. თან გახარებიათ კიდეც ამ მიუვალ მთებში მივარდნილ სოფელში მცხოვრებ ხალხს ქართული წიგნი ასე რომ ყვარებია და ის წიგნი კვირის თავზე ფოსტით მისვლია მათი იმღამინდელი მასპინძლის ოჯახს.

ეს წიგნი მთელი სოფლისათვის დიდი სიხარული იყო, სამეზობლოში ხელიდან ხელში გადადიოდაო, იგონებდა დედა. როგორც ჩანს, წიგნის ფასი იმ დროს უფრო იცოდა ხალხმა, ვიდრე ამჟამად. ნეტა იმ დროს! თუმცა, ალბათ, ყველაფრისადმი, მათ შორის, წიგნისადმი უსულგულო დამოკიდებულება, უთუოდ დრომ და ცხოვრებამ მოიტანა.

რაც შეეხება „თამარიანს", როგორც უკვე ვთქვი, დედამ ზეპირად იცოდა ადგილები ამ წიგნიდან. მას საკმაოდ სასიამოვნო ხმა ჰქონდა და, ოჯახურ

წრეში, თავის ქალიშვილებთან ერთად, კარგადაც მღეროდა იმ დროს საყოველთოდ გავრცელებულ სიმღერას წიგნის ერთ-ერთი თავიდან „შალოვ, ჩემო სიხარულო“-ს.

ეს იყო უფრო ახალგაზრდობის წლებში. მერე და მერე, ცხოვრების პრობლემებით დამძიმებული დედა ძვირად თუ ამოიღებდა სასიმღეროდ ხმას. ეტყობა, ოჯახში და მის გარეთაც არაერთი საქმით დატვირთულს და გადაღლილს, სასიმღეროდ აღარც სურვილი ჰქონდა და აღარც განწყობილება.

ახალ ადგილზე ახალი ცხოვრების დაწყების პირველივე დღიდან დედა, თავის უფროს ქალიშვილებთან ერთად, კოლმეურნეობაში მუშაობდა. ამაში გასაკვირი არაფერია. იმ დროს, ახალმოსახლეთაგან არა მარტო დედაჩემი, არამედ ბავშვიც არ იყო, თუკი შეეძლო, რამე არ ეკეთებია. საქმე ის გახლდათ, რომ რაგინდ მცირეც არ უნდა ყოფილიყო წლის ბოლოს შრომადღეზე ფულის სახით თუ ნატურით მიღებული ანაზღაურება, ის მცირეც კი ბევრს ნიშნავდა მატერიალურად ყოველი შეჭირვებული ახალმოსახლე ოჯახისთვის, მათ შორის, ცხადია, ჩვენი ოჯახისთვისაც. რასაც დედაჩემის შესახებ მონათხრობ მომდევნო თავებში უფრო ნათლად დავინახავთ...

სამი ქალი ყანას მკიდა

ეროომა დედაჩემმა გულმოდგინე, ბეჯითი და ხალისიანი იცოდა. რასაც გააკეთებდა, კაცი წუნს ძვირად დასდებდა. საქმის მიფუჩეჩება არ უყვარდა და უსულგულობას ვერც სხვისას იტანდა, თუმცა, ვინმესთვის ნაკლის პირში თქმა აგრერიგად არ სჩვეოდა. ამასთანავე, მან გარჩევა არ იცოდა: საკუთარ, საოჯახო საქმეს აკეთებდა თუ საკოლმეურნეო მინდორში შრომობდა. კარგად მახსოვს, საკარმიდამო ნაკვეთში სამუშაოდ გასული გვერდით ამოგვიყენებდა შვილებს. მუშაობას ბავშვობიდანვე გვაჩვევდა, თუ ჩვენი ნამუშევარი არ მოეწონებოდა, განსაკუთრებით ჩემი, რადგან მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, და, ალბათ, ყველაფერს ისე ვერ ვაკეთებდი, როგორც საჭირო იყო, გვეტყოდა, თავი დამანებეთ, მირჩევნია, საქმე ხარისხიანად მე თვითონ გავაკეთო, ვიდრე თქვენს მიერ ზერელედ ნამუშევარი შემდეგ ხელახლა გასაკეთებელი გამიხდესო.

ნათქვამი რომ ზოგადი არ გამომივიდეს, რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ. ვფიქრობ, ამით უფრო თვალნათლივ გამოჩნდება მისი ადამიანური თვისებები.

ახლა კარგად აღარ მახსოვს, მზისაში ორი თუ სამი წლის დასახლებულები ვიყავით, თუ უფრო მეტი ხნის. გაზაფხულზე მიწა დროულად მოიხნა და დასათესიც დროულად და ხარისხიანად დაითესა. არ ვიცი, ბუნების წყალობა იყო, ადამიანების განსაკუთრებული შრომის შედეგი, თუ ორივე ერთად, იმ წელს ქლუხორის რაიონში, სწორედ რომ არნახული მოსავალი მოვიდა. როგორც რაიონის სხვა სოფლების მცხოვრებლებს, ასევე, მზისელებსაც დიდად დაუფასდათ ნაშრომ-ნაღვაწი. აქაურმა საკოლმეურნეო მინდვრებმაც და საკარმიდამო ნაკვეთებმაც, მართლაც, რომ გულუხვად დაიბერტყა თავისი მადლიანი კალთა.

შემოდგომის საამური დღეები იდგა. აფერებული ყანები სამკალად შემოსულიყო და ხალხიც – დიდ-პატარა – უთენია მიდიოდა საქმეზე, რომ კარს მომდგარი შემოდგომის ხვავრიელი ნაწყალობევი ბეღლებში დროულად დაებინავებინათ.

საქმის წარმატებით დაგვირგვინებას ყველაზე მეტად მუშახელის ნაკლებობა ართულებდა. ამიტომ იყო, რომ სკოლაში მეცადინეობა დროებით შეწყდა და ჩვენც, მოსწავლეები, მოსავლის აღებაში უფროსების დასახ-

მარებლად წაგვიყვანეს. მუშახელის ნაკლებობას ისიც ემატებოდა, რომ სოფელს მოწეული ჭირნახულის ასაღებად სასოფლო-სამეურნეო მანქანებიც არ ყოფნიდა და ყანები უმთავრესად მამაპაპური ნამგლით იმკებოდა. მოგეხსენებათ, ამას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება. შემოდგომაზე წვიმები არც ისე ძვირია. ყოველ წუთს შეიძლება, შეიცვალოს ამინდი, წვიმები დაიწყოს და მთელი წლის გულმოდგინე შრომა გლეხკაცისა წყალში ჩაიყაროს. ამ და მსგავს გართულებებს ითვალისწინებდა ადგილობრივი და რაიონის ხელმძღვანელობა და, ხალხს დროის უქმად დაკარგვის საშუალებას არ აძლევდა.

ისე მოხდა, რომ ბრიგადირმა ერთ-ერთი გამოცალკევებული ნაკვეთი მოსამკელად დედაჩემს, ჩემს დას, სარას და ბრიგადის ერთ-ერთ წევრს, ელისა ლობჟანიძეს გაუპიროვნა. თან სამივენი გააფრთხილა, იცით, საქმე, საშუროა და თავი არ შეირცხვინოთო.

საქმე რომ საშურო იყო, ეს სამივემ კარგად იცოდა და ბრიგადირის წაქეზება სულაც არ სჭირდებოდათ. დედაჩემი და ელისა გამოცდილი მომკელები იყვნენ, ჩემს დას უფროსების მსგავსი გამოცდილება არ ჰქონდა, მაგრამ შრომა არც მას ეზარებოდა.

მოგეხსენებათ, სოფელი ქალაქივით საათის მიხედვით როდი აწესრიგებს თავის ცხოვრებას. პირიქით, საათს ნაკლებად იყენებს. მისი საათი, უმეტესად, ღამით ვარსკვლავებით გადაჭედილი, მოკრიალებული ცაა, დღისით – ამომავალი მზის მოახლოებით შემღვრეული ღამე და რძისფერ-შერეული აღმოსავლეთს მოდებული განთიადის ნათება. მზისელი გლეხკაცებიც ოდიდთგანვე დადგენილი ამ წესით ცხოვრობდნენ. ცხადია, არც დედაჩემი იყო სხვებისგან გამონაკლისი. იმ დღეს წლობით გამომუშავებულ ჩვეულებასთან ერთად ბრიგადირის გაფრთხილებაც გაითვალისწინა და, მთვარე და ვარსკვლავები ჯერ ისევ ცაზე ენთნენ, როცა ადგა. ცოტა ხნის შემდეგ ჩემი დაც გააღვიძა და ორივემ მეზობლად მცხოვრებ ელისას მიაკითხა.

ელისა, როგორც ჩანს, მათ ასე უთენია არ ელოდა, მაგრამ დედაჩემის ხმაზე ფაციფუცით მოემზადა, ალბათ, იფიქრა, დამგვიანებიაო, მაგრამ კარში გამოსულმა ცას რომ შეხედა და მიხვდა, რა დროც იყო, უსაყვედურა:

– მართლაც რომ უცნაური ქალი ხარ, სალომე. ყველაფერში გადამეტებული გულმოდგინება გჩვევია. მე და შენ უძილობასაც და დილით ადრე ადგომასაც შეჩვეულები ვართ, მაგრამ ეს გოგო ჯერ ბავშვია. მის ასაკში ადამიანს ძილი ქვეყანას ურჩევნია. ეს მაინც რატომ არ შეიცოდე, ასე უთენია რომ ფეხზე წამოგიგდია. მე და შენ და ამ თოთხმეტ-თხუთმეტი წლის გოგომ თუნდაც მთელი ღამე არ დავიძინოთ, რავა გგონია, სოფლის გასაკეთებელ საქმეს მარტო ჩვენ გავაკეთებთ?

– ელისა, სოფლის კი არა, ჩვენ მხოლოდ ჩვენს გასაკეთებელ საქმეს გავაკეთებთ. – მშვიდად მიუგო დედამ. თუმცა, თავისას არც ელისა თმობდა.

– თუნდაც ეგრე იყოს, ასე უთენია ადგომის და სამკალში გასვლისათვის ვინმე ჩინ-მედლებს დაგვკიდებს თუ რა. სოფელს მაინც გახედე. ჯერ თუ მოძრაობს სადმე რამე სულიერი. ჩვენც იმ დროს რომ წავსულიყავით, როგორც ყველა, ჩვენს გასაკეთებელ საქმეს სხვებზე ნაკლებად მაშინაც არ გავაკეთებდით. ასე ღამიანად სამკალში მიმავალი ვინმემ რომ გვნახოს, ხალხის დაცინვას ვერ გადავურჩებით.

– არაფერია, ელისა, დაცინვას ვინ მოუკლავს. იტყვიან და გაჩუმდებიან. არ გაჩუმდებიან და მანამდე ილპარაკონ, სანამ არ მოსწყინდებათ. აი, ჩინ-მედლებს რაც შეეხება, ადამიანი თუ თვითონ არ ვარგა, ათასი ჩინ-მედალიც რომ დაჰკიდონ, ეს მას ვერ შეცვლის. ტუჩიანმა ვარდენიკამ ომიდან რამდენიმე მედალი ჩამოიტანა, მაგრამ რა ქურდბაცაცაც ომში წასვლამდე იყო, ისევ ისეთად დარჩა და იქედან დაბრუნებულმა ავკაცობა რომ არ მოიშალა, კიდეც ამიტომ უკრეს თავი ციხეში. – ერთ-ერთი მეზობლის მაგალითით იმართლა თავი დედამ. – დილით, სიგრილეში უფრო ხალისიანად ვიმუშავებთ. სამაგიეროდ, სიცხეში მეტხანს დავისვენებთ და აღარც ზედმეტად დავიღლებით.

თითქოს ყველაფერი სიმართლე ითქვა, მაგრამ ელისას შინიდან წამოყოლილი უსიამოვნო განწყობილება ერთხანს მაინც არ განელებია.

...იმ დღეს სამივემ შუადღემდე დაუსვენებლად იმუშავეს. საკმაოდ დიდი ფართობი მომკეს და შეკონეს კიდეც.

ჯერ ისევ ყანას მკიდნენ, სამკალ-მომკილი ფართობების დასათვალიერებლად ცხენით მომავალმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ რომ ინახულა. მან უხმოდ გადახედა მომკილ ფართობს. ეტყობა, ესიამოვნა და გაუკვირდა კიდეც სამი ქალის ნამგლით ნამუშევარი და იკითხა, ეს ყანა მარტო თქვენ სამმა მომკევითო.

კიო, დაუდასტურეს ქალებმა.

– მომწონს. კარგად გიმუშავნიათ. – დაუფარავი კმაყოფილებით აღიარა, საერთოდ, ქებაში სიტყვაძუნწმა თავმჯდომარემ და ბრიგადის დანარჩენი წევრების მიერ მომკილი ფართობის დასახედად გასწია.

მე მგონია, ადამიანური სისუსტეა: ყველას გვსიამოვნებს, როცა ჩვენს ნამოქმედარს ვინმე დაინახავს და მოგვიწონებს. ცხადია, არც დედა, ჩემი და და ელისა დარჩენილან თავმჯდომარის შექების მიმართ გულგრილნი.

თავმჯდომარე ბრიგადის დანარჩენ წევრებთან თურმე იმ დროს მივიდა, როცა მუშაობით დაღლილები ხის ჩრდილში ისხდნენ და ისვენებდნენ. მან ჯერ მათ მომკილ ფართობს თვალი უსიტყვოდ გადაავლო და გონებაში სამი ქალის ნამკალს შეადარა. როგორც ჩანს ამდენი ხალხის ნამუშაკარი იმ სამეულთან შედარებით მცირედ მოეჩვენა და საკმაოდ გაღიზიანებულმა, დაუფარავად უსაყვედურა ბრიგადირსაც; და ბრიგადის წევრებსაც. რა დროს ჩრდილში წოლა და დასვენებაა, დილას აქეთია, ამდენი ხალხი ყა-

ნაში ტრიალებთ და იმდენი ფართობიც ვერ მოგიმკიათ, რაც სალომემ, ელისამ და ჯერ ბავშვობის ასაკიდან გამოუსვლელმა გოგომ მომკაო.

– მთლიანობაში მათზე მეტი ნამკალი ნამდვილად არ გვქონდა, მაგრამ ერთ კაცზე გადაანგარიშებით იმ დღეს ჩვენი სამის ნამუშევარი სხვებისას უთუოდ აჭარბებდა. – იტყოდა ხოლმე ამ შემთხვევის მოგონებისას დედა.

შეიძლება, ზოგიერთმა თქვას, ნეტა ის ქალი კოლმეურნეობაში ასე თავგამოდებით რას შრომობდა, როგორც დღეს ბევრი ამბობს, იმ დროს ბეჯით, გამრჯე და ცუღლუტ მუშაკსაც შრომადღე თანაბრად ეწერებოდა და ანაზღაურებაც ერთნაირი ეძლეოდაო. მაგრამ ვინც ასე იფიქრებს, ბოლომდე მართალი არ იქნება. იმდროინდელ ცხოვრებას, რომელსაც ეს ჩანაწერები ეხება, ნაკლის მეტი რა გააჩნდა (თუმცა, ნეტა ცხოვრებას რომელი დროში არ ახლავს ნაკლი!). მაგრამ წარსულს, რაც კარგი ჰქონდა, ნურც იმას დავუკარგავთ. ერთიცაა, ყველა მისი ავ-კარგის განმსჯელად მე ნაკლებად გამოვდგები, მაგრამ ამას კი ვიტყვი, თავდადებულ მშრომელს არც იმ დროს აკლდა დაფასება სახელმწიფოს მიერ. ამა თუ იმ მოვლენის შეფასებაში განსხვავებული აზრი მუდამ იქნება, მაგრამ იმაში გასაკიცხი რა არის, კაცი რასაც დასთეს, პირად მეურნეობაში იქნება ეს თუ საზოგადოში, იმას ბოლომდე კეთილსინდისიერად მოუაროს და მოწეული მოსავალი უდანაკარგოდ აიღოს.

ამ პრინციპით ცხოვრობდა მაშინ დედაც და მისი თანასოფლელი ქალებიც. ხნავდნენ მიწას, თესავდნენ და მოსავალს იწევდნენ. მართალია, შრომის ანაზღაურება დიდი არ იყო და თავი ძლივს გაჰქონდათ, მაგრამ დრო იყო მაშინ ასეთი. ესეც სათქმელია: ჯერ თავდაუზოგავად შრომებდნენ და ბევრს ვერაფერს იღებდნენ, რომ ეზარმაცად და ცუდად ეშრომათ, მაშინ ვინ რას მისცემდათ?!

ესეც არ იყოს... ნურც ისე გაიგებს ვინმე, თითქოს დედაჩემს კოლმეურნეობის საქმეზე სხვებზე მეტად შესტკიოდა გული. ან იგი საბჭოთა წყობილების სხვებზე უფრო თავგამოდებული ქომაგი და ჭირისუფალი იყო. სრულიადაც არა! ამგვარი ფანატიზმისაგან იგი ძალიან შორს იყო. არც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ერკვეოდა იმაზე მეტად, ვიდრე ერთი ჩვეულებრივი რიგითი დიასახლისი უნდა ერკვეოდეს. აქვე უნდა ვთქვა ისიც, რომ მაშინ არც დღევანდელივით პოლიტიზებული იყო ქალი და კაცი.

დედა ერთი ჩვეულებრივი, რიგითი კოლმეურნე იყო, რომელსაც საქმის ღალატი, პირადი – საოჯახო იყო ის საქმე, თუ საზოგადო, არ შეეძლო, ან არ ჩვეოდა. ალალი შრომა ადამიანური ცხოვრების აუცილებლობად მიაჩნდა და მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ამ პრინციპით ცხოვრობდა.

უნდა ითქვას, რომ მეურნეობის გონივრული მოწყობა და კაცის გააზრებული შრომა არც ერთ დროში უშედეგოდ არ ჩაივლის. ხოლო მიწა ისეთი მადლიანი დედაა, თუ ზემოდან ტაროსმაც ხელი შეუწყო და მისთვის ზეცის

ნამი გამოიმეტა, გამრჯე გლეხკაცს ნაშრომ-ნაღვაწს არასოდეს უკარგავს. ასე მოხდა იმ წელსაც, მთელ ქლუხორის რაიონში არნახული მოსავალი მოვიდა. როგორც იტყვიან, ქვამაც კი ნაყოფი გამოისხა. ცხადია, არც მზისა აღმოჩენილა რაიონის სოფლებიდან გამონაკლისი. ამიტომ, ვინც მთელი წელი გულმოდგინედ იშრომა, მისთვის შრომას უქმად არ ჩაუვლია. გამრჯე ოჯახების უმეტესობამ, წლის ბოლოს შრომადღეზე ტონობით ხორბალი და კარტოფილი მიიღო. ამას თუ დავუმატებთ მეცხოველეობიდან და მეფუტკრეობიდან მიღებულ შემოსავალს და მასთან ერთად საკარმიდამო ნაკვეთებში მოწეულ ჭირნახულს, მზისელებს იმ წელს არც საკუთარი თავისთვის და, მით უმეტეს, არც უფლის მიმართ საყვედური არ ეთქმოდათ. სხვებზე ნაკლებად არც ჩვენს ოჯახს უშრომია. მშობლებთან ერთად ჩემი უფროსი დებიც არც ერთ დღეს უქმად არ აცდენდნენ და შემოდგომის ბარაქამ თავი ჩვენს ჭერქვეშაც უხვად მოიყარა. ერთი სიტყვით, ის წელი ქლუხორის რაიონში ერთ-ერთი ყველაზე უხვმოსავლიანი გახლდათ იმ სამოთხ წელიწადში, რაც იქ ქართველობა ჩასახლდა. ამას ვერ ვიტყვი ქლუხორის რაიონის მომიჯნავე სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეებზე, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის სხვა ოლქებსა და მხარეებზე, სადაც ძირითადად ხორბლეული ითესებოდა და ქვეყანას იქ მოწეული მოსავალი კვებავდა. ჯერ ხანგრძლივმა გვალვებმა და მერე გამუდმებულმა ქარებმა იქ თითქმის პირწმინდად გაანადგურა ნახნავ-ნათესები, რის შედეგად იმ წელს ქვეყანაში იმის მესამედი მოსავალიც არ მოვიდა, რაც სხვა დროს მოდიოდა.

იმ მოუსავლიან წელიწადს უმძიმეს დღეში აღმოჩნდა სტავროპოლის მხარის მოსახლეობა. გაჭირვებული ხალხი მხარის სოფელ-ქალაქებიდან (შეიძლება სხვა ახლო-მახლო მხარეებიდანაც) სიცოცხლის შესანარჩუნებელი ლუკმა პურის საშოვნელად, გარღვეული საგუბარიდან გადმოხეთქილი წყლის ნიაღვარივით დაიძრა და მოაშურა ქლუხორის რაიონის სოფლებს. მათ შორის, მზისასაც. მოდიოდნენ ყველა ასაკის ადამიანები ჯგუფ-ჯგუფად და ცალ-ცალკე. აი ისე, ომის დროს დაბომბილი სოფელ-ქალაქებიდან თავის გადასარჩენად აყრილი და სხვაგან მიმავალი ხალხი რომ გვინახავს სამამულო ომის თემაზე შექმნილ კინოფილმებში. მათ შორის უამრავი იყო შიმშილითა და კოპტონის ჭამით დასიებული ადამიანები. ლუკმაპურის საშოვნელად აყრილთა შორის ბევრი იყო უბირი და არასმქონე, მაგრამ უმეტესობას თან მოჰქონდა ძვირფასეულობა – ოქროვერცხლის ნივთები, ახალი თუ ნახმარი ტანსაცმელი. ერთი სიტყვით, ხალხს, თუ ოჯახში რამე ღირებული გაჩნდა, თან წამოეღო, რომ საკვებ პროდუქტებზე გადაეცვალა. ეს არც არის გასაკვირი, სული ტკბილია და სიცოცხლე – ყველაზე ძვირფასი. ის ადამიანებიც თავიანთი და ახლობელთა სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ. ოღონდ შიმშილით არ დახოცილიყვნენ და ჩალის ფასად ცვლიდნენ ძვირფას საოჯახო ნივთებს ხორბალსა თუ კარტოფილზე.

ალბათ, დამეთანხმებით, ასეთ დროს აღებ-მიცემობაში გაქნილ და გამობრძმედილ ადამიანს სრულიად „ოოლად“ და სინდისის შეუწუხებლად შეეძლო ოქროულობის, თუ სხვა ძვირფასეულობის დაგროვება და ამით ხელის მოთბობა. გულახდილად თუ ვიტყვი, არაერთმა გამოიყენა კიდეც ეს შესაძლებლობა და კარგადაც „იმარჯვა“. მიუხედავად ყოველივე ამისადმი უარყოფითი დამოკიდებულებისა, ყველას ვერც ბილწი ცდუნებისაგან თავის შეკავებას მოვთხოვთ და ვერც – წმინდანობას. თუ მსოფლიოში სახელგანთქმულ პიროვნებას შეძლო ეთქვა, არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არისო, უბრალო რიგითი ადამიანისათვის ამგვარი საქციელი რატომ უნდა ყოფილიყო ვინმესთვის უცხო და მოულოდნელი!

თუმცა, მეც ვერ გავუძელი ცდუნებას, რომ ამგვარი ფაქტისადმი ჩემი საკუთარი დამოკიდებულება არ გამომემჟღავნებინა. მით უფრო, რომ მზისაშიც და ახლო-მახლო სოფლებში არაერთ ოჯახს ამგვარი „გარიგებისაგან“ თავი არ შეუკავებია. მაგრამ იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მათ კარზე მისულ უცხო ტომის გაჭირვებულ ადამიანებს, რითაც და როგორც შეეძლოთ, სრულიად უანგაროდ ეხმარებოდნენ.

ასე, რომ, როგორც ერთი ცნობილი მწერალი ამბობს, ეს ქვეყანა მხოლოდ ვეფხვებით და ნიანგებით დასახლებული არასოდეს არ ყოფილა. მაგრამ ის ყველაფერი სინამდვილე გახლდათ. სინამდვილეზე კი მუდამ ისე უნდა ითქვას, როგორც სინამდვილეში იყო.

ნიშნობის მეჯლი

ამ წელს დედა სადღაც გაცივდა. მიუხედავად იმისა, რისი შესაძლებლობაც წამლების მხრივ მაშინ იყო, არაფერი დაგვიკლია, ავადმყოფობა მაინც გაურთულდა. ბარემ ამასაც აქვე ვიტყვი: სამედიცინო მომსახურების მხრივ იმ დროს თითქმის არავითარი პრობლემა არ არსებობდა. მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვას უშუალოდ სახელმწიფო აწესრიგებდა. რაც შეეხება წამლებს თუ სხვა სამკურნალო საშუალებებს, ახლა რომ არის, მაშინ იმის მეათასედი არ იყო, მაგრამ, მეორე მხრივ, იმ თაობის ადამიანთა უპირატესობა დღევანდელთან შედარებით ის გახლდათ, რომ იმჟამად თითქმის ყველაფერი ეკოლოგიურად სუფთა იყო და ხალხიც ნაკლებად ავადდებოდა. არც დედა უჩიოდა ჯანმრთელობას, მაგრამ რატომღაც გრიპი გაურთულდა და ავადმყოფობა გაუმიზეზდა.

კვირა დღე იყო. თითქმის ყველანი შინ ვიყავით, მამაჩემის გარდა. ასე შუადღე იქნებოდა, გარედან ვიღაცის ხმა რომ შემოგვესმა. ამბის გასაგებად სახლიდან ჩემი და, თამარი გავიდა და უკან რომ მობრუნდა, თქვა: რუსი ქალი და კაცი არიანო. როგორც უკვე ვთქვი, იმ დროს სოფელ-სოფელ უამრავი ხალხი დადიოდა ძვირფასი ნივთებისა და ოქროულობის პროდუქტებზე გადასაცვლელად და ამიტომ მათი მოსვლა არავის გაგვკვირვებია. ჩემი და იდგა და დედისგან პასუხს ელოდა.

დედა ერთხანს დუმდა, მერე თქვა:

– გასაგებია, შვილო, რისთვისაც იქნებიან მოსული, მაგრამ ხომ იცით, რომ ჩვენ არც ხორბალს ვცვლით ნივთებზე და არც ფულზე ვყიდულობთ რამეს. – დედამ თამარს ყოყმანი რომ შეატყო, გადაჭრით დაუმატა: – საერთოდ, ყველამ თავისი საქმე იცის, მაგრამ მე ამგვარი აღებ-მიცემობა არ მომწონს.

მაშინ საკმაო რაოდენობის ხორბალი გვქონდა იმისათვის, რომ სხვებივით ოქროულობასა და ძვირფას ნივთებზე გაგვცვალა და ახალი წლის მოსავლის აღებამდეც საკვებადაც გვყოფნოდა, მაგრამ ამას ჩვენი მშობლები ორი მიზეზით არ აკეთებდნენ. ჯერ ერთი, თადარიგს იჭერდნენ, ვაი თუ მომავალი წელი მოუსავლიანი გამოდგეს, პური შემოგვაკლდეს და ნაყიდ-შეძენილი ძვირფასეულობაც და რაც ჩვენ გვაქვს, ისიც გასაყიდი გაგვიხდესო და, მეორეც, განსაკუთრებით დედა, ვერ ეგუებოდა უკიდუ-

რესად შეჭირვებულ ხალხთან ვაჭრობას და აღებ-მიცემობას. დღევანდელი გადასახედიდან თუ შევხედავთ ამას, შეიძლება ითქვას, რომ სიმდიდრის პატიოსანი გზით შეძენა და მერე მისი შვილების თუ შვილიშვილებისთვის დატოვება დასაგმობი და დასაძრახი სულაც არ არის. ვიმეორებ, პატიოსანი და ადამიანური პოზიციიდან მისაღები საშუალებით, მაგრამ მაშინ ადამიანების გარკვეული ნაწილი, მათ შორის, ჩემი მშობლებიც, სხვაგვარად ფიქრობდნენ. დრო მიდის, შეხედულებები იცვლება და, აქედან გამომდინარე, ადამიანები საგნებს და მოვლენებს სხვადასხვანაირად აფასებენ.

ჩემი და კი იდგა და დედის განკარგულებას ელოდა.

– აქ რას უდგახარ, გადი, შვილო და იმ ხალხს დროზე მიუტანე ამბავი, ტყუილად რომ არ იდგნენ და გველოდონ. სადმე წავლენ და თავიანთ საქმეს სხვაგან მოაგვარებენ. – დედის ხმაში საყვედური და უკმაყოფილება იგრძნობოდა, თუმცა, ოჯახის წევრთაგან არავის ჩაუდენია მისი საწყენი და სასაყვედურო საქციელი. შეიძლება ფიქრობდა, მისი შვილებიდან რომელიმეს ამგვარ აღებ-მიცემობაში ჩართვის სურვილი ჰქონდა.

სანამ ოჯახში ასე ვმსჯელობდით, ეტყობა, იმ უცხო ხალხს გარეთ დგომა მოსწყინდა. ალბათ, მოითათბირეს, ოჯახში შევიდეთ, გასაყიდი ნივთი ვაჩვენოთ, დავაინტერესოთ, მოვურიგდეთ და უკან დროზე გამოვბრუნდეთო.

არ ვიცი, ნამდვილად ასე იფიქრეს, თუ სხვაგვარად, უცნობები შინ შემოვიდნენ, მაგრამ ლოგინში მწოლიარე ავადმყოფი რომ დაინახეს, იუხერხულეს, თუ რა იყო, არ ვიცი, უკან გაბრუნება დააპირეს. მაგრამ იმ დროს სოფელს სტუმარ-მასპინძლობის თავის წესები ჰქონდა, რომელთა დაცვა ყველასთვის სავალდებულო იყო და ყველა იცავდა კიდევაც. შემოსულებს ჩემი დები მიეგებნენ, სკამები მიართვეს და დასხდომა შესთავაზეს.

სტუმრები ახალგაზრდები იყვნენ. ქალი ოცდახუთ წლამდე იქნებოდა, თუმცა, ასაკი არ ეტყობოდა. მასზე უფროსი არც კაცი ჩანდა. ტანზე ორივეს სადად ეცვა. ტანსაცმელს ახალი არ ეთქმოდა, მაგრამ დასაწუნიც ნამდვილად არაფერი ჰქონდა.

ორივენი სასიამოვნო გარეგნობისანი გახლდნენ. კაცი – კაცურად, ქალი კი თვალში საცემი ეშხიანი და ლამაზი იყო. საშუალო სიმაღლისას თეთრ-ყირმიზი სახის ფერი შვენოდა. თვალები კრიალა ცისფერი ჰქონდა, ხოლო სამხრეთელივით შავი თმა ტევრად ეყარა მხრებზე. კარგად დამამახსოვრდა: რომ გაიღიმებდა, ოქროს კბილი გამოუჩნდებოდა, რაც მის მარილიან სახეს ეშხს და მიმზიდველობას მატებდა. კაცი თავიდანვე ჩუმად იჯდა, ეტყობოდა, ეუხერხულებოდა უცხო გარემოში ყოფნა. სამაგიეროდ, ქალი მალე გაშინაურდა. ალბათ, იმიტომ, რომ შინ სულ ქალები იყვნენ, ჩემს გარდა. მე კი, როგორც ბავშვს, ალბათ, ანგარიშს არ მიწევდნენ.

დედას ერთი უწყინარი სისუსტე ახასიათებდა: ადამიანის გარეგნულ სილამაზეს დიდ პატივს სცემდა. ალბათ, ქვეცნობიერად მიაჩნდა, რომ

ლამაზ სხეულში ლამაზი სული იყო მუდამ დავანებული. უნდა ვთქვა: ეს ფრთიანი გამონათქვამი ძველთა ძველია, მაგრამ ყოველთვის როდია სწორი, თუმცა, ამ საკითხზე ჩემი მოსაზრება არც ერთ იმდღევანდელ ჩვენს სტუმარს არ ეხება.

სანამ სტუმარი ქალი საუბარს საქმეზე დაიწყებდა, ავადმყოფს უკითხავად მიუახლოვდა, ხელი დაუჭირა და მაჯა გაუსინჯა. ექიმი აღმოჩნდა. ავადმყოფის დანახვაზე, ეტყობა, პროფესიულმა ჩვევამ სძლია და დედა გულმოდგინედ გასინჯა კიდევაც. გასინჯვას რომ მორჩა, თქვა, სერიოზული და საგანგაშო არაფერია. გაციებულია, მაგრამ ამჟამად ავადმყოფობა ჩამცხრალია და სულ მალე ყველაფერი გაუვლისო. თან ჩემს დებს ურჩია, ადუღებულ რძეში გახსნილი უმარილო თხის ქონი ასვით და მოცვის ჩაიც არ ავნებსო.

რა თქმა უნდა, იმედიანმა სიტყვამ ძალიან გაგვახარა, მით უფრო, რომ თვითონვე ვამჩნევდით, დედას დღითიდღე სულ უფრო უკეთესობა ეტყობოდა. ამის შემდეგ ქალმა ჩვენთან მოსვლის მთავარი მიზეზი გაიხსენა. შუა თითიდან ბაჯაღლო ოქროს მოზრდილი „კალიცო“ წაიძრო, დედაჩემს მიაწოდა და უთხრა, ამ ბეჭედში ოთხი-ხუთი კილოგრამი ხორბალი მოგვეცით და თქვენი იყოსო. რომ შეატყო, დედაჩემმა ვერ გაიგო მისი რუსული, ჩემს დებს თხოვა, უთარგმნეთო.

უთარგმნეს.

დედამ მუშტრის თვალით დაათვალიერა ბეჭედი, შვილებს გადმოგვხედა და თითქოს სხვათაშორის თქვა, ალბათ, ნიშნობის ბეჭედიაო და მერე პატრონს თავისი ხელით იმავე თითზე წამოაცვა, რომელზეც მანამდე ეკეთა. თან ქართულად უთხრა, ბეჭედი არ გვინდაო. როცა დედის სიტყვები, დებმა ქალს უთარგმნეს, იგი ძალიან შეწუხდა და ჩუმად მჯდომ კაცს გადახედა. მას კრინტი არ დაუძრავს, თითქოს ყოველივე რაც იქ ხდებოდა, მას არ ეხებოდა. მერე ქალმა ყველანი შეგვათვალიერა და იკითხა, თუ ძალიან ძვირი მოვითხოვე, თქვენ რამდენიც გიღირდეთ, იმდენი მოგვეციოთო.

დედამ რომ გაიგო, რაც ქალმა თქვა, უთხრა, ძვირი სულაც არ მოგითხოვია. ეს ბეჭედი იმაზე ბევრად მეტი ღირს, რაც მოითხოვე. მაგრამ არც მე და არც ჩემი ოჯახი ამას არ იკადრებს, გაჭირვებულ ადამიანს ნიშნობის ბეჭედი ხელიდან წააძროს. ეს ღვთის საგმობი საქციელი იქნება და უფალი ამას არც მე და არც ჩემს შვილებს არ გვაპატიებს. ეს ოგივეა, თუნდაც, კაცი გაგიძარცვავსო. ბოლო სიტყვები მას შემდეგ დაამატა, როცა შეატყო, შვილები მისი მოსაზრების საწინააღმდეგო აზრის გამოთქმას აპირებდნენ. ამას გვირჩევნია, – ეს სიტყვა მრავლობითში თქვა და ჩვენ გადმოგვხედა, – დიახ, ამას ბევრად გვირჩევნია, უბრალოდ დაგეხმაროთ, უფალი ამას უფრო მოგვიწონებსო.

სანამ ის ქალი და კაცი რამეს იტყოდნენ, დედამ ჩემს ერთ-ერთ დას უთხრა, გადი მეორე ოთახში, ნაკლული ტომარა რომ დევს, შიგ ნახევარ ფუთამდე ხორბალი იქნება, გამოიტანე და ამ ხალხს ტომრიანად მივცეთო.

როცა ჩემმა დამ ტომარა გამოიტანა და იმ ხალხს გადასცა, თან დედის სურვილიც აუხსნა, სტუმრებმა ვერ გაიგეს, რა ხდებოდა და ერთმანეთს დაბნეულებმა გადახედეს. მათთვის დაუჯერებელი ამბავი იყო, ალბათ, რომ ეს უცხო ხალხი ასე მუქთად და უსასყიდლოდ, ასეთ მძიმე დროს ამდენ ხორბალს ჩუქნიდა.

დაბნეულობიდან ქალი მალე გამოერკვა. მიხვდა, რაც ხდებოდა და საჩუქარზე უარი თქვა. რაც შემოგთავაზეთ, იმის გარეშე უცხო ხალხისგან ასეული საჩუქრის მიღება ჩვენთვის სირცხვილი იქნებაო.

ამაზე დედამ ქალს უწყინრად გაუღიმა და დაამშვიდა, აკი, შენც ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე გამსინჯე, ეს იმის საზღაური იყოს და ბარი ბარში ვიქნებითო. ამ ამბის ასეთმა ახსნამ, ეტყობა, ქალზე დამაჯერებლად იმოქმედა, მაგრამ როცა სახლიდან გადიოდნენ, ცოლ-ქმარი (ცოლ-ქმარი ვართო, ასე თქვეს) ასე უანგაროდ გაწეული დახმარების გამო ისე იყვნენ დაბნეულები, ხეირიანად მადლობის თქმაც ვერ მოახერხეს. ალბათ, იმ ხალხის გაოცებაც და დაბნეულობაც არ უნდა იყოს ადამიანურად გაუგებარი. იმ მძიმე წლებში ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი უმძიმეს გასაჭირში იყო. შინიდან საზრდოს საშოვნელად გადმოვარდნილმა ქალმა და კაცმა მშვენივრად იცოდა, რომ მოჭარბებული ხორბლეული თუ სხვა პროდუქტები არავის ჰქონდა და ასეთ დროს თუ ოჯახის გამოსაკვებად გადანახულ საზრდოს მოიკლებდა და სხვას უწილადებდა, გასაკვირი სულაც არ არის, რომ ეს ვინმეს არაბუნებრივად მოსჩვენებოდა. მე ამ დროს, ჩემთვის განზე ვიდექი და შორიდან უხმოდ ვადევნებდი თვალს უფროსების საუბარს და ქმედებას. მაშინ კარგად ვერ ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა. ანდა იმ დროს ამას რა მაფიქრებინებდა, რომ ოდესმე ამის გახსენება და ქაღალდზე გადატანა მომიწევდა.

მით უმეტეს იმას როგორ წარმოვიდგენდი, რომ რამდენიმე გრძელი წელიწადის შემდეგ თითქმის იგივე ამბავს სულკურთხეული ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეში“ ამოვიკითხავდი. ამით კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ უფლის მიერ ჩვენს გულებში დანთებული კაცთმოყვარეობის ღვთიური მადლის და სიკეთის ცეცხლი ყველგან და ყოველთვის ერთნაირი ხელგაშლილობით დადის ამ ქვეყანაზე, რათა იგი, როგორც თვით სამყაროს შემოქმედის მარადიული არსებობა, არასოდეს გაქრეს და გაფერმკრთალდეს.

თითქმის ოთარაანთ ქვრივისეული

სტეფანეს და სევასტიას ჩვენს მეზობლად არც ღებში უცხოვრიათ და მზისაში დასახლებისასაც ისე მოხდა, რომ ჩვენ თითქმის სოფლის თავში ვცხოვრობდით, ხოლო ისინი – სოფლის ბოლოს. რაც შეეხება ურთიერთნაცნობობას, მათ ჩემი მშობლები ღებიდან იცნობდნენ. მზისაში კი საერთო გასაჭირმა ერთმანეთთან ყველა, როგორც ნათესავები და ოჯახის წევრები, ისე დაგვაახლოვა და გაგვაერთიანა.

გასაჭირი ვახსენე და კვლავ ვიტყვი: ახალ ადგილზე დასახლების პირველ წლებში მეტ-ნაკლებად ყველას გვიჭირდა, მაგრამ სტეფანეს და სევასტიას ოჯახი ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო. არავინ იფიქროს, ვითომ ცოლ-ქმარი ზარმაცები იყვნენ და მათი სიღარიბის მიზეზი სწორედ ეს ყოფილიყო. სულაც არა. პირიქით, ერთიც და მეორეც გამრჯე, დაუზარელი ადამიანები იყვნენ, მაგრამ ოჯახში შვიდი თუ რვა მცირეწლოვანი შვილი ჰყავდათ სარჩენი და შრომადღეებზე მიღებული ცოლ-ქმრის მწირი შემოსავალი ყველაფერს ვერ წვდებოდა.

უნდა ითქვას, რომ სოფელში ერთმანეთის დახმარებაზე უარს არავინ იტყოდა, მაგრამ ყველას თითქმის ერთნაირად უჭირდა. სწორედ მაშინდელ მზისელებზე იყო ზედგამოჭრილი ხალხური ანდაზა: „ყვავს რა ჰქონდა, ბუზს გაჰქონდაო“. ერთს რა ჰქონდა, რომ მეორესთვის მიეცა ან გაეყო, მაგრამ ხალხი, ერთმანეთს უყურადღებოდ მაინც არ ტოვებდა.

...იმ დროს სოფელს საკუთარი წყლის წისქვილი ჰქონდა და როგორც სხვები, ჩვენი ოჯახიც ხორბალს იმ წისქვილში ფქვავდა.

წისქვილში ხორბალი ბავშვებს მიგვქონდა, ხოლო ფქვილი შინ თითქმის მუდამ დედაჩემს მოჰქონდა. ჩვენ, შვილები, გამუდმებით ვცდილობდით, დედისთვის ეს ტვირთი აგვეცილებინა, მაგრამ ოგი მუდამ ცივ უარს ამბობდა, დახმარება თუ გინდათ, ხელი სხვა რამეში შემაშველეთ, წისქვილიდან ფქვილის ამოტანა კი ჩემთვის ძნელი სულაც არ არის. პირიქით, კიდეც მეხალისებაო. ჩვენ გვიკვირდა, წისქვილიდან ფქვილის ამოტანა რა ისეთი სახალისო იყო, მაგრამ დედა თავისას არ იშლიდა. ამ თავსატეხს ახსნა დიდხანს ვერ მოვუნახეთ. მხოლოდ ქლუხორიდან გადმოსახლების შემდეგ გავიგეთ ამის მიზეზი. საქმე ის გახლდათ, რომ სტეფანეს და სევასტიას ოჯახი წისქვილთან ახლოს ცხოვრობდა. დედა დროდადრო წისქვილიდან შინ წამოსაღებ ფქვილს

ორ ნაწილად ყოფდა თურმე. ერთ ნაწილს სევასტიას ოჯახს მიუტანდა. თუ უფროსები შინ არ იყვნენ და უმცროსებს ეძინათ, მათთვის წინასწარ გამზადებულ ფქვილიან ტომარას აივანზე აიტანდა და კარის წინ დატოვებდა. იყო თურმე ისეთი შემთხვევაც, როცა ყველანი შინ იყვნენ, მაგრამ მაშინაც ასე, უჩუმრად ტოვებდა ფქვილს. მისი აზრით, მთავარი სიკეთის ქმნა იყო და არა სამადლობელო სიტყვის მოსმენა იმისგან, ვის მიმართაც ამ სიკეთეს ჩადიოდა. არ ვიცი, სევასტიას ოჯახის მიმართ დედაჩემის ეს საიდუმლო ქველმოქმედება რამდენ ხანს გრძელდებოდა. მაგრამ სახარება გვასწავლის, არ არსებობს დაფარული, რომელიც არ გაცხადდესო. ეტყობა, სევასტიას და სტეფანეს ოჯახიც, ბუნებრივია, ალბათ, დაინტერესდა, ვინ იყო ის კეთილისმყოფელი, ვინც მათ გასაჭირში დახმარების ხელს ასე უანგაროდ უწვდიდა. დაინტერესდა და გაიგო კიდეც, მაგრამ დედამ ორივე დაანამუსა თურმე, ეს ამბავი არ გაეგებინათ. ასეც მოხდა, სანამ დედა ცოცხალი იყო, ამის შესახებ არაფერი გაგვიგია. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ სევასტიამ და მისმა ოჯახის წევრებმა დიდი მადლიერებით გვიამბეს ყველაფერი, რა და როგორ იყო.

ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ სხვებზე მდიდრულად ვცხოვრობდით, ან სევასტიას და სტეფანეს ოჯახი ჩვენი ნათესავი იყო და მათ დედა ამიტომ ეხმარებოდა. არც ერთი და არც მეორე. დღეს, მე თვითონ, ამდენი წლის შემდეგ თანასოფლელებთან დედაჩემის ამგვარ ურთიერთობებს რომ ვიხსენებ, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, გასაჭირში მყოფი თანამოძმისადმი შეძლებისდაგვარად ხელის გამართვა მისი შინაგანი მოთხოვნილება იყო. თავს ბედნიერად მაშინ გრძნობდა, თუ ვინმეს დაეხმარებოდა. ამასთან დაკავშირებით ბავშვობისდროინდელი ასეთი შემთხვევა მახსენდება: ერთ დილას რომ ავდექი და ფეხსაცმელი ვერ ვიპოვნე. დედას ვკითხე, ჩემი ფეხსაცმელები სად არის-მეთქი. შეცბა, თითქო დანაშაული ჩაედინა, მაგრამ ვერც ტყუილის თქმა იკადრა, ბოლოს, თითქოს ბოდიშს იხდისო, ისე მითხრა, მათხოვარმა ჩამოიარა, თან შენი კბილა ბიჭი ახლდა. იმ ბავშვს ფეხშიშველა სიარულით ფეხები ჰქონდა დახეთქილი, შემეცოდა და ფეხსაცმელები იმას მივეცი. შენ სხვას გიყიდითო.

შეიძლება, დედაჩემი ამგვარი მოქმედებით ზოგ რამეში ოთარაანთ ქვრივს გვაგონებდეს და ვიფიქროთ კიდეც, რომ მას ბაძავდა. მართალია, კეთილ ქმედებაში ვინმეს მიბაძვა, სირცხვილი სულაც არ არის, მაგრამ გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ დედა, საკუთარი თავის გარდა, სხვას არავის არ ბაძავდა. მით უმეტეს, ოთარაანთ ქვრივს ვერ მიბაძავდა, ვინაიდან უმცდარად ვიცი, მას „ოთარაანთ ქვრივი" წაკითხული ნამდვილად არ ჰქონდა. დარწმუნებული ვარ, რასაც აკეთებდა, ეს მისი შინაგანი მოთხოვნილება იყო და არ შეეძლო, სხვანაირად მოქცეულიყო, როგორც იქცეოდა.

აწმყო — მშობელი მომავალისა

ბზისაში, სოფლისა და მდინარის გაღმა მხარეს, ზედ ტყით დაბურული მთების ძირას, არც თუ ისე განიერ ვაკეზე, კაპიტალურად ნაგები შენობები და მრავალსართულიანი სახლები იყო. ისეთები, როგორსაც იმ დროს მხოლოდ რაიონის ცენტრსა და დაბა-ქალაქებში აგებდნენ. საზოგადოდ თუ ვიტყვით, ამგვარ შენობებში რაიონულ ცენტრებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში საზოგადოებრივი დაწესებულებები იყო განთავსებული. მაგრამ ჩვენს დროს, მზისაში, ეს შენობები ცარიელი და სრულიად გამოუყენებელი იყო. ჩემთვის დღემდე გაუგებარია, რა მიზნით ააგეს ასეთი კეთილმოწყობილი კაპიტალური შენობები სოფელ ადგილას, როცა ახლო-მახლო არავითარი წარმოება-დაწესებულება არ ფუნქციონირებდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ იმ შენობებიდან ერთ-ერთში, დროებით, სკოლამდელი ასაკის ბავშვები და მათი აღმზრდელი მასწავლებლები იყვნენ შეხიზნულები. მაგრამ ჩვენი ჩასახლების შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ ისინი სადღაც სხვა ქალაქში გადაიყვანეს. ხოლო მათ ნაცვლად, კოჯრის საბავშვო სახლიდან ჩამოყვანილი სხვადასხვა ასაკის აღსაზრდელები მოათავსეს.

აქვე არ შეიძლება ესეც არ აღინიშნოს: მაშინ ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური პირობების მიუხედავად (ომი ახალი დამთავრებული იყო. ხოლო ომის შემდეგ ქვეყანა რა დღეში იყო, ამაზე აღარაფერს ვიტყვი, ეს ისედაც ცნობილია) კოჯრის საბავშვო სახლიდან ჩამოყვანილ აღსაზრდელებს (და, ალბათ, საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიც, სადაც ამგვარი დაწესებულებები ფუნქციონირებდა) ისე უვლიდნენ, რომ იტყვიან, ჩიტის რძეს არ აკლებდნენ: ისინი საუკეთესო შენობებში ცხოვრობდნენ: დღეში სამჯერ კვებავდნენ. მაგრამ ისე კი არა, ახლა ვიღაც-ვიღაცეები მოხუცთა და მიუსაფართათვის სათნოების სახლს თუ რაღაც ამის მსგავს დაწესებულებას რომ გახსნიან და თავიანთ ბინადრებს, პატიოსანი კაცი ძაღლსაც რომ არ აკადრებს, ისეთ ბალანდას აჭმევენ. მზისას საბავშვო სახლის აღსაზრდელებს, სხვა რამეზე რომ არაფერი ვთქვა, კარაქი და ხიზილალაც არ აკლდათ, მერე და როდის: ომის დამთავრების პირველ წლებში, როცა ქვეყანას უკიდურესად უჭირდა, მაგრამ უდედმამო ბავშვებზე სახელმწიფო მაინც განსაკუთრებით ზრუნავდა. ეცვათ მაღალხარისხოვანი ფართლისაგან

შეკერილი ერთნაირი ფორმის ტანსაცმელი. სწავლით ჩვენთან ერთად, სოფლის სკოლაში სწავლობდნენ. მაგრამ როცა გაკვეთილების შემდეგ საბავშვო სახლში ბრუნდებოდნენ. სადილობისა და დასვენების შემდეგ, თავიანთი აღმზრდელ-მასწავლებლები დამატებით ამეცადინებდნენ.

ყოველ კვირის ბოლოს აბანოს დღე ჰქონდათ. დაბანვის შემდეგ თეთრეულს და საცვლებს უცვლიდნენ. ერთი სიტყვით, იმ დროს ობოლი და უდედმამო ბავშვები უფრო ჩვენ, მშობლებიან, მე და ჩემს თანატოლებს გვეთქმოდა, ვიდრე მათ, საბავშვო სახლის აღსაზრდელებს, რომლებიც სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდნენ. ჩემს სიტყვებს ისე ნურავინ გაიგებს, თითქოს ოჯახსა და დედ-მამასთან შედარებით უპირატესობას ობლობას და სახელმწიფოს ხარჯზე გინდაც დიდებულად ცხოვრებას ვანიჭებდე. ვის არ მოეხსენება, რომ მშობლის ალერსს ქვეყანაზე ვერაფერი შეცვლის. მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ მაშინ სახელმწიფო უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მოზარდი თაობის აღზრდას და მათზე განსაკუთრებულად ზრუნავდა კიდეც. თუნდაც იმიტომ თავი მიუსაფარად არ ეგრძნოთ და ყოველმხრივ სრულფასოვანი ადამიანები აღზრდილიყვნენ.

მზისას საბავშვო სახლში კოჯრიდან გამოყოლილი არაერთი შესანიშნავი აღმზრდელი მუშაობდა და მშობლიურ მზრუნველობას არ აკლებდა მოზარდებს. სამწუხაროდ, აღმზრდელთაგან მხოლოდ სონია დევრისაშვილისა და შუქური ჩემიას სახელი და გვარი დამამახსოვრდა. შუქურის უმცროსი ძმა ჰყავდა, რეზო, მაგრამ ის, როგორც მახსოვს, აღსაზრდელი იყო.

მზისას საბავშვო სახლს ქართული ხალხური სიმღერების შესანიშნავი გუნდი ჰყავდა. ამ გუნდის წევრები სოფლებშიაც და რაიონის ცენტრშიც დიდი წარმატებით მართავდნენ კონცერტებს.

როცა მზისას მაშინდელი უდედმამო ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა ყოფა-ცხოვრებას ვიხსენებ, მას ძალაუნებურად ჩვენს დღევანდელ სინამდვილეს ვადარებ; თბილისში და არა მარტო თბილისში, საქართველოს ყველა კუთხეში ხედავ მიუსაფარ, მაწანწალა, მზრუნველობამოკლებულ, მათხოვარ ბავშვებს, რომლებიც ხელგაწვდილები დგანან და გამვლელ-გამომვლელს ხმამაღლა თუ უხმოდ შესთხოვენ, დამეხმარეთო. ასეთ წუთებში კაცს გინდა, მთელი ქვეყნის გასაგონად იყვირო, განსაკუთრებით იმათ გასაგონად, ვინც ეგრეთწოდებული „პრიხვატიზაციით“ თუ სხვა უკანონობითა და მაქინაციებით ხელში ჩაიგდეს ქვეყნის მთელი სიმდიდრე. უცხოეთის ბანკებში საიმედოდ დააბინავეს და ახლა ოდნავადაც არ ადარდებთ ბედი „მიუსაფართა ამა ქვეყნისათა“.

დიახ, მათ გასაგონად მინდა, ვიყვირო: ხალხო, მივხედოთ ჩვენი ერის ხვალინდელ დღესა და მომავალს, თორემ თუ ყოველივე ეს ასე გაგრძელდა, დღეს სამათხოვროდ ხელგაწვდილი ჩვენი ბავშვები, ხვალ, დიდი ილიას მიერ საქვეყნო გულისტკივილით გამოტირებული, ცხოვრების უკუღმართობით და ადამიანთა უსულგულობით სახრჩობელაზე სიცოცხლედასრუ-

ლებული იმ ერთი ობოლი ბიჭის ცოცხლად დარჩენილი ძმის მსგავსად ყველა ჩვენგანს პირში მოგვახლიან მწარე სინამდვილეს: – განა თქვენ კი არა ხართ ქვეყნის უღვთოდ გამძარცველთა თანამოზიარენი, განა თქვენ კი არ მიგვიყვანეთ ციხის კარსა და სახრჩობელამდე და მაშინ, ჩვენს მიერ განწირული ბავშვების ეს სიტყვები უფლის განკითხვის დღეზე უფრო მკაცრი და ულმობელი აღმოჩნდება ჩვენი თაობის ყველა ადამიანისათვის!

ნურც ის დაგვავიწყდება, რომ დღეს ჩვენს მიერ სამათხოვროდ განწირული ჩვენივე მომავალი ხვალ დამნაშავეთა რიგებს შეავსებს და თავიანთი ლამაზი ბავშვობის დამახინჯებისათვის ყველას ერთნაირად მოგვთხოვს პასუხს – მტყუანსაც და მართალსაც. (თუმცა მაშინ, არავინ იცის, ვის ექნება ნება თქვას, ამაში ბრალი მე არ მომიძღვისო.) და მაშინ მათი შურისძიება ღვთის განაჩენივით მრისხანე და უშეღავათო იქნება.

ამგვარი წინასწარმეტყველებით მე არც ვინმეზე მეტად გონიერ, ქვეყნის ჭირისუფლად მომაქვს თავი და მხრებზე არც ვინმეს მოძღვარ-დამრიგებლის მანტიას ვისხამ, თუმცა, როგორც საკუთარი თავის, ისე ყველას გასაგონად და საყურადღებოდ ვიტყვი: თუ ჩვენ – დღევანდელი თაობა ქვეყნის საძირკველი ვართ, მომავალში ამავე ქვეყნის გუმბათი და კედელ-ბურჯები, ჩვენი შვილები იქნებიან. და ნუ მოვუშლით საფუძველს იმ ქვეყანას, რომელსაც ჯანსაღი კედელ-ბურჯები უნდა ამშვენებდეს და თავზე არანაკლებ მტკიცე გუმბათი ედგას.

ჩვენგან მრუდედ ჩაყრილი მომავლის ტაძრის საძირკველი ვერც კედლებს დაიჭერს და ვერც გუმბათს. შედეგისთვის კი პასუხი, ღვთისა და ერის წინაშე, ჩვენ ყველას ერთნაირად მოგვეთხოვება, მაგრამ ვაი, რომ მაშინ ათასიც რომ თავი ვიმართლოთ გამრუდებულ საქმეს ვეღარაფერი გაასწორებს.

ყოფილ საბჭოთა ქვეყანას კაცი ნაკლის მეტს რას მოუნახავს, მაგრამ, როგორც ჩანს, მისმა ხელმძღვანელობამ მომავალი თაობის ფასი ჩვენზე ბევრად უკეთესად იცოდა და მისი აღზრდის საქმეს სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან უდგებოდა. ამიტომაც ზრუნავდა ის ქვეყანა ობოლ ბავშვებზე ასეთი გულმოდგინებით და თავდადებით. ნურავინ იფიქრებს, თითქოს ამის თქმა იმ წარსული ქვეყნის ნოსტალგიით იყოს გამოწვეული. სულაც არა. ეს რეალობაა და სინამდვილეს, როგორადაც უნდა ვეცადოთ, გვერდს ვერ ავუვლით.

ფურნელი გამომწვარი მავშვები

ისევ პირველ სიტყვას დავუბრუნდით.

მიუხედავად უდედმამო ბავშვთა სახლში არსებული, მართლაც, ცხოვრების შესანიშნავი პირობებისა, მის აღსაზრდელებს მაინც უჩვეულო ძალით იზიდავდა ერთგვარი კარჩაკეტილი ყოფიდან გამოსვლის სურვილი, სწრაფვა და თავის ნებაზე აღმა-დაღმა უკონტროლოდ ხეტიალი. საქმე ის გახლდათ, რომ გაკვეთილების შემდეგ ისინი გარკვეული რეჟიმით ცხოვრობდნენ. ცხადია, ამაში უკანონო, ცუდი და მიუღებელი თითქოს რა არის, მაგრამ ადამიანისთვის, მით უფრო მოზარდისთვის, თავისუფლებაზე ძვირფასი, თუ გნებავთ, თუნდაც ქაოსურზე, არაფერია. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მზისას საბავშვო სახლის ზოგიერთი აღსაზრდელი მაინც ჯიუტად ისწრაფვოდა, აღმზრდელ-მასწავლებლებს ხელიდან გასხლტომოდა და რამდენიმე დღე, თუნდაც ნახევრად მშიერ-მწყურვალს, აღმა-დაღმა ეხეტიალა. ამ ეგრეთწოდებული თავისუფალი ხეტიალის დროს იყო შემთხვევები, როცა საბავშვო სახლის აღსაზრდელები სოფელში, თუ სოფლის გარეთ თავიანთი ფორმის ტანსაცმელს ვინმე შემთხვევით გადაყრილს ლუკმაპურზე ან რამდენიმე მანეთზე უცვლიდნენ. თვითონ ძველმანებს ჩაიცვამდნენ და ეს ახალი დროის გავროშები, სადაც დაუღამდებოდათ, ღამეს იქ ათენებდნენ. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ ტანსაცმელში აღებული ფული თუ საჭმელი არ შემოელეოდათ, ან აღმზრდელ-მასწავლებლები არ იპოვნიდნენ და კვლავ საბავშვო სახლში არ დააბრუნებდნენ. იქ, რა თქმა უნდა, დაბანდნენ, ახალ ფორმას ჩააცმევდნენ, დააპურებდნენ და შეუვალი ტონით მკაცრად გააფრთხილებდნენ, რომ მსგავსი რამის განმეორების შემთხვევაში სასტიკად დასჯიდნენ. თუმცა, ეს გაფრთხილება მაინცდამაინც ხანგრძლივად არ მოქმედებდა, რადგან იცოდნენ, რომ მათ ხელშეუხებლობას სახელმწიფო და კანონი იცავდა და, ამ სიტყვიერი დატუქსვისა და გაფრთხილების გარდა, უბატონოდ ხმას ვერავინ გასცემდათ.

მზისას მოსახლეობა, კატეგორიულად იყო გაფრთხილებული ადგილობრივი ხელმძღვანელობის, აგრეთვე, მილიციის რწმუნებულის მიერ, რომ თავშესაფარი არ მიეცათ, არც რაიმე ნივთი ეყიდათ საბავშვო სახლის აღსაზრდელებისაგან. ეს ძირითადად შეეხებოდა ფორმის ტანსაცმელს,

რომელსაც, თუ ვინმეს უნახავდნენ, უმალვე ჩამოართმევდნენ და პასუხსაც მკაცრად მოთხოვდნენ.

ასე იყო თუ ისე, ზაფხულის ერთ, ჩვეულებრივ საღამოს ჩვენს ეზოში საბავშვო სახლიდან გამოპარული ორი მოზარდი შემოვიდა. ფორმის ტანსაცმელი არც ერთს არ ეცვა. ეს ნიშნავდა, რომ ისინი საბავშვო სახლიდან კარგა ხნის გამოპარულები იყვნენ და ტანსაცმლის გაყიდვა და მისი საფასურის დახარჯვა უკვე მოესწროთ. ბავშვებმა საჭმელი და ღამის გასათევი ითხოვეს.

დედას ბავშვები შეეცოდა. მათი დაპურებაც გადაწყვიტა და თავშესაფრის მიცემაც, მაგრამ ჩემმა უფროსმა დებმა ამის ნება არ დართეს. შეახსენეს, რომ ამის გამო ოჯახს უსიამოვნება არ ასცდებოდა. მით უფრო, რომ ტანსაცმელი უკვე გაუყიდიათ და მის შეძენასაც ჩვენ დაგვბრალებენო. დები მართალი იყვნენ. ამაში ეჭვი არც დედა ეპარებოდა. არადა, ბავშვებიც ძალიან ენანებოდა. ბოლოს, დააპურა ორივე და ურჩია, საბავშვო სახლში დაბრუნებულიყვნენ. მით უფრო, რომ ჯერ არც ისე გვიან იყო და არც საბავშვო სახლი გახლდათ ჩვენი სახლიდან შორს. შორსაც რომ ყოფილიყო, მათთვის არც ეს წარმოადენდა დაბრკოლებას და გადაულახავ სიძნელეს. ერთი სიტყვით, ბავშვები დანაყრდნენ და კეთილ მასპინძელს დაპირდნენ, საბავშვო სახლში დავბრუნდებითო, თუმცა, მათი დაპირება ბოლომდე არავის გვირწმუნია.

თითქოს ყველაფერი ამით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მეორე დილით ვიღაცამ ამბავი მოიტანა: საბავშვო სახლიდან გამოპარულ ორ აღსაზრდელს წუხელ ღამე სოფლის ფურნეში გაუთევია. დილაუთენია ამდგარ ხაბაზს სიბნელეში მძინარე ბავშვები ვერ შეუნიშნავს, ფურნეში ცეცხლი ჩვეულებრივ დაუნთია და ორივე ბავშვი შიგ გამოუწვავსო.

იმ დროს მზისას დიდი ფურნე ჰქონდა სოფლის ბოლოს. იგი იმხელა იყო, შიგ ორი კი არა, ხუთი ბავშვიც ადვილად მოთავსდებოდა. იმაზე დიდი უბედურება, მართლაც, რა უნდა მომხდარიყო, რომ ბავშვები ფურნეში გამომწვარიყვნენ.

ამ ამბის გაგონებაზე დედას გულზე ცეცხლი მოედო. ჯერ შვილებს შავი დღე დააყარა, ეს რა მიყავით, მიუსაფარი ბავშვები ღამე გარეთ როგორ გამაშვებინეთ. თქვენ რომ ასე არ გეუარათ, წუხელ შინ დავაძინებდი და ეს შემზარავი უბედურება არ მოხდებოდა. ახლა ან კაცს, ან ღმერთს რა პასუხი გავცეო. დედა ბუნებით ზედმეტად ემოციური იყო, თუმცა, ახლა მის წუხილს მარტო ემოციებს ვერ დავაბრალებდით. იგი დედა იყო და იმ ცეცხლში გამომწვარი ბავშვების ადგილას საკუთარი შვილები ჰყავდა წარმოდგენილი და მის მწუხარებას ეს უფრო ამძაფრებდა.

დედამ ჯერ იტირა, ივალალა, ბოლოს გულმა არ მოუთმინა, და შინიდან გავიდა, რომ ყველაფერი დაწვრილებით გაეგო.

საბედნიეროდ, ბავშვების ფურნეში გამოწვის ამბავი ჭორი გამოდგა. ის ღამე, მართლაც, ფურნეში გაეთიათ, მაგრამ, სანამ ცეცხლს დაანთებ-

დნენ, იქაურობა ორივეს მანამდე დაეტოვებინა. ბავშვები დედას, თურმე, გზაზე შემოყროდნენ. მათი დანახვა ისე გახარებოდა, თითქოს ცეცხლში დაწვას იმ დღეს მისი საკუთარი შვილები გადარჩენოდნენ.

ორივენი შინ მოიყვანა.

ჯერ ხელ-პირი დაბანა და მერე ასაუზმა. იგი უზომოდ კმაყოფილი იყო, რომ, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, ღვთის წინაშე ასეთი ცოდვა არ დაიდო. ის იყო, ბავშვები ჭამას მორჩნენ, რომ ეზოში მათი ძებნით შეწუხებული ორი აღმზრდელ-მასწავლებელი ქალი შემოვიდა. სოფელში მიესწავლებინათ, ბავშვები სადაც იყვნენ.

აღმზრდელ-მასწავლებლებმა ბავშვების შინ შეყვანისა და დაპურებისათვის დედას გვარიანი საყვედური უთხრეს. თან ისიც შეახსენეს, აკი, მთავრობის წარმომადგენლებისგან შენც და შენი თანასოფლელებიც გაფრთხილებული ხართ, რომ საბავშვო სახლიდან გამოპარულ ბავშვებს თავშესაფარი არ მისცეთ. მსგავსი შემთხვევის განმეორებისას, ჩვენ იძულებული ვიქნებით, ყველაფერი მთავრობას ვაცნობოთო. ეს იმ დროს მკაცრი მითითება, თუ გნებავთ, დარიგება და სახიფათო მუქარა იყო. მიუხედავად ამისა, დედამ ვერ მოითმინა და რაც გულში ჰქონდა, არ დაუფარავს:

– თავშესაფარი რომ არ მივცეთ, ხომ შეიძლება, ყველასაგან უყურადღებოდ მიტოვებულ ბავშვებს გამოუსწორებელი უბედურება შეემთხვევთ? – მრავალმნიშვნელოვნად იკითხა თავის სიმართლეში დარწმუნებულმა დედამ.

– არაფერი მოუვათ. აბა, ჩვენ იქ რისთვის ვართ! – იყო მათი, ასევე, მრავალმნიშვნელოვანი პასუხი.

– იქ, ადგილზე ჰო, მაგრამ როცა თქვენგან შორს არიან, ისევე, როგორც ამ დღეებში, მაშინ?! – თითქოს ერთმანეთს დადანაშაულება-თავის მართლებაში ეჯიბრებოდნენ, ამას ჰგავდა იმ წუთებში მათი დავა-კამათი.

– პასუხს მაინც ყველგან და ყველაფერზე ჩვენ ვაგებთ.

– მერედა, თქვე კარგო ხალხო, თუ ვინმე მოსალოდნელ ცუდ შედეგსა და ამის გამო პასუხისგებას თავიდან აგაცილებთ, ამაში ცუდი რა არის?

– არაფერი ცუდი არ არის, მაგრამ საქმე რომ ჩვენს პასუხისგებამდე არ მივიდეს, ამაზე თადარიგს ჩვენ თვითონ დავიჭერთ! – საკუთარი პოზიციის დათმობას არ აპირებდნენ აღმზრდელ-მასწავლებლები და ამაში იყო, ალბათ, სიმართლის ნაწილი.

– თუ ასეა, ეგ თადარიგი მანამდე დაგეჭირათ, სანამ ეს ბავშვები საბავშვო სახლიდან გაიქცეოდნენ და ახლა სასაყვედურო და გასაჭავრებელი არაფერი გექნებოდათ.

აღმზრდელ-მასწავლებლებმა დედას წყენით შეხედეს. ეტყობოდათ, მისგან ნათქვამი მწარე სიმართლე გულზე მოხვდათ, ემწარათ და თვითონაც რაღაც ძალიან მწარე პასუხის თქმას აპირებდნენ, მაგრამ, ალბათ, ასაკით უფროსობის გამო მოერიდნენ. ეზოდან კუშტად წარბშეკრულები გავიდნენ და შეხლა-შემოხლის მთავარი მიზეზი – ის ორი ბავშვიც წინ გაიგდეს.

ის იყო სტუმრები ეზოდან გავიდნენ, რომ დედა მოულოდნელად შეტრიალდა. დილით ჩვენს ბაღში დაკრეფილი ვაშლით და მსხლით სავსე თეფში გამოიტანა. აღმზრდელ-მასწავლებლებს წამოეწია და მიაწოდა.

– დაივიწყეთ, რაც მოხდა. ვაშლი მიირთვით, ჩვენი ეზოდან სტუმარი ჯერ ისე არ გადასულა, ხილი მაინც არ გაესინჯოს. ნურც თქვენ მეტყვით უარს, გთხოვთ! – ამ სიტყვებში, ალბათ, იმდენი გულწრფელობა და უშუალობა იყო, რომ ორივე მხარემ დაივიწყა რამდენიმე წუთის წინ ერთმანეთის მიმართ გამოთქმული საყვედურები. აღმზრდელ-მასწავლებელმა ქალებმა კუშტად შეკრული წარბები გახსნეს და დედას მიწოდებული ხილით სავსე თეფში ხელჩანთაში ჩაცალეს.

– მაინცდამაინც მკაცრად ნურც ამ ბავშვებს გაუჯავრდებით. რაც უნდა იყოს, ობლები არიან. – ხმას დაუწია დედამ, წინ წასულ ბავშვებს რომ არ გაეგონათ.

აღმზრდელ-მასწავლებლებმა ჯერ ერთმანეთს შეხედეს, მერე ერთმა დანანებით უთხრა:

– მკაცრად გავუჯავრდებით თუ რბილად, ეს ამათზე მაინცდამაინც დიდად არ იმოქმედებს. თვალი სულ მუდამ გაქცევაზე უჭირავთ. – შებრუნდნენ და წინ მიმავალ ბიჭუნებს წამოეწიენ. ჩანთიდან დედას მირთმეული ვაშლები ამოიღეს და ბავშვებს მიაწოდეს.

ამ დროს იქვე ვიდექი და გულდასმით ვისმენდი ყველაფერს, რაც იმ დილით ჩვენს ეზოში ხდებოდა. ვფიქრობ, თითქმის ზედმიწევნით უცვლელად გადმოვეცი ყველაფერი, რაც მაშინ მოვისმინე და ვნახე. უნდა ვთქვა, რომ დედა ისეთი მომთხოვნი და პრინციპული, როგორიც იმ დილით საბავშვო სახლის აღმზრდელ-მასწავლებლებთან ვნახე, სხვა დროს თითქმის არასოდეს მინახავს. ისე კი, კაცმა რომ თქვას, რა მისი საქმე იყო საბავშვო სახლის აღსაზრდელებსა და მათ აღმზრდელ-მასწავლებელთა ურთიერთობაში ჩარევა. მაგრამ, ალბათ, ეგონა, უდედმამო ბავშვებს ვინმესგან მზრუნველობა აკლდათ. ობლები შეეცოდა და ვერ მოითმინა, რომ არ გამოქომაგებოდათ. რამდენად მართალი იყო, ახლა ამის გარჩევას არ შევუდგები. ვიტყვი მხოლოდ ერთს: უძლურისა და გასაჭირში მყოფის თანაგრძნობა და სიბრალული მისი ადამიანური თვისება გახლდათ.

„თვითონ ბაღლსაც ეხსომება“

ედა სიბრალულსა და გულისხმიერებას არა მარტო ადამიანების მიმართ იჩენდა, იგი, ასევე, ყურადღებიანი იყო შინაური ცხოველების მიმართაც. აქ ერთ შემთხვევას გავიხსენებ, რაც, ერთი მხრივ, ზემოთ ნათქვამს დაადასტურებს, ხოლო, მეორე მხრივ, დავრწმუნდებით, რომ ცხოველი მეტად მგრძნობიარეა ადამიანის მიერ მის მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისა და ალერსიანი მოპყრობისადმი.

ბოლო დროს ოჯახური საქმეებით დატვირთული დედა გარე სამუშაოებში ძვირად მონაწილეობდა. უფრო ხშირად შინ იყო და, ბუნებრივია, შინაური საქონლის მოვლაც მას უწევდა. უვლიდა კიდეც და, როგორ უგუნებოდაც არ უნდა ყოფილიყო, ეს იქნებოდა საოჯახო პრობლემებით თუ სხვა რამე მიზეზით გამოწვეული, საქონელს მაინც არ გაუჯავრდებოდა თვით ხმამაღალი სიტყვითაც კი, თორემ ჯოხს თავის დღეში არ დაჰკრავდა არც დიდს და არც პატარას. უფრო ხშირად ალერსიანი სიტყვით იურვებდა გაჯიუტებულ პირუტყვს.

ამასთან დაკავშირებით დიდი ხნის წინანდელი შემთხვევა მახსენდება. მაშინ ასე სამი-ოთხი წლის ვიქნებოდი. მამას ჩრდილოეთ კავკასიაში სამწლიანი გაუხედნავი მოზვერი ეყიდა და თანასოფლელების ჯოგისთვის გამოეყოლებინა, ჩემს ოჯახში მიიყვანეთო.

მოიყვანეს, მაგრამ ისეთი ურჩი და თავნება გამოდგა, რომ ახლოს არავინ მიიკარა, მათ შორის, მამაკაცებიც, რომ რქებში თოკი ჩაებათ და ბოსელში შეეყვანათ. მოზვერი ვინმეს მიახლოებაზე გაბრაზებული ქშინავდა და ყველას რქით სარჩოლად უტევდა. ასეთ ყოფაში რომ იყო, საქონელს დედა რამდენიმე ნაბიჯზე მიუახლოვდა და ტკბილად დაუყვავა. საკუთარ ხმას შეაჩვია და ნელ-ნელა ქედზე ხელი გადაუსვა. მოზვერმა ერთი-ორჯერ თავი უკმაყოფილოდ აიქნია, მაგრამ მალე გაჩერდა. დედა შუბლზე ხელის მოსმით მოეფერა, თან საალერსო სიტყვებით ამშვიდებდა. მოზვერი გაიტრუნა, თითქოს ესმოდა, რასაც ეუბნებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ალბათ მიხვდა, რომ ეალერსებოდნენ. ეამა და დაწყნარდა. დედამ რქებში თოკი ჩააბა და მშვიდად შეიყვანა ბოსელში.

დიდი ხნის წინათ რომელიღაც სამეცნიერო ლიტერატურაში ამოვიკითხე, საქონლის (ძროხის, ხარის და მისთანათა) მახსოვრობა ერთ წელზე

მეტ ხანს არ გრძელდებაო. შეიძლება, ეს, მართლაც, ასეც იყოს, მაგრამ ფურების მიმართ, ამ ეგრეთწოდებული მეცნიერული დასკვნის სისწორეში ერთი შემთხვევის გამო ეჭვი შემეპარა.

მახსოვს, ჩემი მშობლების მიერ გაყიდული ჩვენი შინ გაზრდილი ძროხა მისმა ახალმა პატრონმა სოფლიდან 20-25 კილომეტრით მოშორებით, სხვა სოფელში წაიყვანა. ამისთვის იქნებ, საერთოდ, არავითარი ყურადღება არ მიმექცია, რომ არა ის შემთხვევა, რაც იმ ძროხასთან დაკავშირებით დამამახსოვრდა.

ისე მოხდა, რომ ამ ამბიდან სამი-ოთხი წლის შემდეგ უცხო მწყემსებმა ჩვენს სოფელზე ნახირი ჩამოატარეს. ჯოგს მთავარი გზით რაიონის ცენტრში მიერეკებოდნენ, არ ვიცი, ხორცკომბინატში ჩასაბარებლად, არ ვიცი, სხვა საძოვარზე გადასაყვანად.

ის მთავარი გზა, რომლითაც მენახირეები საქონელს მიელალებოდნენ, ჩვენს სახლის ორასი-სამასი მეტრით იქნებოდა მოცილებული. ჩვენამდე რომ მოსულიყო, კაცი იქნებოდა თუ ნახირი, ორღობეში უნდა ჩამოეხვია, ანუ სულ სხვა მიმართულებით წამოსულიყო.

თავისი გზით მიმავალმა ნახირმა ჩვენი სახლისკენ ჩამოსახვევ ორღობეს რომ მოაღწია, ჯოგს ჩვენს მიერ რამდენიმე წლის წინათ გაყიდული ფური გამოეყო. ზედ ჩამოსახვევთან შედგა, კისერი იმ მხარეს მოიღრიცა, სადაც ოდესღაც ცხოვრობდა და მთელი ხმით აბღავლდა. ცხადია, იცნო ის ადგილი, სადაც გაიზარდა. მაგრამ როცა ყურადღება არავინ მიაქცია, მოულოდნელად ჯოგი მიატოვა, ორღობეში სირბილით თავქვე დაეშვა და ასე ბღავილით მოადგა ჩვენს ჭიშკარს და მანამ არ შეწყვიტა ბღავილი, სანამ სახლიდან გამოსულ დედას თვალი არ მოჰკრა.

დედამ ფური რომ დაინახა, ძალიან გაუკვირდა. საქონელი მისკენ მიმავალ ყოფილ პატრონს ისე უცქეროდა, კაცი იფიქრებდა, სადაცაა ხმას ამოიღებს და ადამიანური ენით დაილაპარაკებსო. დედა ახლოს მივიდა, კისერზე ხელი მოხვია, მიეალერსა, დაუყვავა. ადრინდელივით შინიდან ვედროთი წყალში გახსნილი ფქვილი გამოუტანა და წინ დაუდგა. ფური დარწყულდა და დანაყრდა კიდეც. სწორედ ამ დროს აქოშინებულმა მწყემსებმა მოირბინეს. ალბათ, იფიქრეს, ფური დავკარგეთო. მწყემსები ჯერ ვერ მიხვდნენ, რაში იყო საქმე, მაგრამ, როცა ყველაფერი გაიგეს, პირუტყვის მიერ ძველი პატრონის მონახულებამ ისინიც ძალიან გააკვირვა.

იქნებ ამჯერად მეტის თქმა არც იყოს საჭირო, მით უმეტეს, რომ დედაჩემზე თხრობა ისედაც გამიგრძელდა, მაგრამ ცდუნებას მაინც ვერ ვძლიე, აქ დიდი სპარსი პოეტის, საადის ერთი სტროფი არ გამეხსენებინა, რომელიც ასე ეხმიანება ჩემს მონათხრობს. აი ისიც:

„თვითონ ძაღლსაც ეხსომება შენი ლუკმის გემო,
არასოდეს დაგივიწყებს თუნდ ყოველდღე სცემო.

ხოლო კაცი, ზოგი კაცი, რომ გადაჭყვე თანაც,
სულ უბრალო წყენისათვის გულში დაგცემს დანას“

თუკი ცხოველი იმ შემთხვევაშიც არ ივიწყებს ლუკმის მიმწოდებელ პატრონს, „მან თუნდ ყოველდღე სცემოს“, მაშინ ადვილი მისახვედრია, ჩვენს მიერ რამდენიმე წლის წინათ გაყიდულ ფურს რატომ ახსოვდა მასზე მზრუნველი პატრონი და ის ოჯახი, სადაც ალერსიანი მოფერების მეტი არაფერი უგვრძნია...

დაგვიანებული მოდიში

მზისელ ქალებზე საუბრისას საჭიროდ მიმაჩნია, მარია ნიკოლაევნაც გავიხსენო. თუკი სხვა ქალბატონებზე ამდენს ლაპარაკობ, ის რატომ არ უნდა გაიხსენოო, იტყვის, ალბათ, ზოგიერთი. საქმე ის გახლავთ, რომ მე უმეტესწილად ქლუხორში მცხოვრებ ქართველებს ვიგონებ, მარია ნიკოლაევნა კი ეროვნებით პოლონელი გახლდათ. დიახ, იგი ეროვნებით პოლონელი იყო, მაგრამ მზისაში მცხოვრებ ქართველთა ოჯახებს დიდი ამაგი დასდო. ამიტომაც მინდა, რამდენიმე სიტყვა მასზეც ვთქვა.

ჩვენ რომ მზისაში ჩავსახლდით, მარია ნიკოლაევნა იქ დაგვხვდა. იგი შუა აზიაში გადასახლებას გადარჩენილ ათიოდე ყარაჩაელიდან ერთ-ერთის – აბდულა (მგონი, გვარად შეიხოვის) ცოლი იყო. ეს აბდულა, როგორც მახსოვს, ფინგანში მსახურობდა, თუმცა, ზოგჯერ კოლმეურნეობის მინდვრებშიც უწევდა მუშაობა, მაგრამ ფიზიკური შრომა მაინცდამაინც არ ეხერხებოდა. ამის გამო აქა-იქ ჩუმ-ჩუმად კიდევაც დასცინოდნენ მზისელი ღებელები. ისე კი, ვინც ახლოს იცნობდა, ამბობდნენ, რომ თავისი საქმის კარგი სპეციალისტიაო.

რაც შეეხება მის მეუღლეს – მარია ნიკოლაევნას, იგი მზისას რვაწლიან სკოლაში მე და ჩემს თანატოლებს რუსულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა. უაღრესად განათლებული, საქმის მცოდნე, კულტურული და მეტად კეთილშობილი ადამიანი გახლდათ. ახლა, ამდენი წლის შემდეგ, წარსულს დადინჯებული თვალით რომ ვაკვირდები, კიდევ უფრო ვრწმუნდები, რომ იგი ნამდვილად კვალიფიციური პედაგოგი იყო. როცა საჭიროება მოითხოვდა, თვითეული ჩვენგანის მიმართ ინდივიდუალურ პედაგოგიურ მეთოდს იყენებდა, რათა საგანიც შეეყვარებინა და ცოდნაც სრულყოფილი მიგვეღო.

ერთი ასეთი შემთხვევა მაგონდება:

ჩემმა თანაკლასელმა, ბერდია გავაშელიშვილმა, არ ვიცი, განგებ, არ ვიცი, სხვა რამ მიზეზით, მგონი, ნეკრასოვის ლექსი „ბაბუსია“ ზეპირად ვერა და ვერ ისწავლა. ჩვენდა გასაკვირად, მარია ნიკოლაევნას ამის გამო მისთვის არც ხმამაღალი სიტყვა უთქვამს, არც ჩვეულებისამებრ, ორიანი დაუწერია. ეს ამბავი კარგა ხნის შემდეგ ყველას დაგვავიწყდა, მათ შორის, ბერდიასაც. მაგრამ მოახლოვდა პირველი მაისი.

ამ დღეს მაშინ დიდი ზეიმით აღვნიშნავდით. მარია ნიკოლაევნამ ჩვენს რამდენიმე თანაკლასელს, ლექსები შეურჩია და უთხრა, ამ ლექსებს ზეპირად კარგად ისწავლით და საზეიმო საღამოზე წაიკითხავთო. მიუხედავად იმისა, ჩემს მეგობარ ბერდიას ამგვარი რამეები საერთოდ არ ემარჯვებოდა, რუსულის მასწავლებელმა საზეიმო საღამოზე გამომსვლელთა სიაში ისიც შეიყვანა და განსაკუთრებული სერიოზულობით დაავალა, შენ „ბაბუსიას“ ზეპირად, უშეცდომოდ ისწავლი და საზეიმო საღამოზე წაიკითხავო.

მოგეხსენებათ, ყველა ლექსი როდი ესადაგება საზეიმო საღამოზე წასაკითხ განწყობილებას. მათ შორის, თავისთავად არც ეს მშვენიერი ლექსი გახლდათ პირველ მაისს საზეიმოდ შეკრებილი საზოგადოების წინაშე წასაკითხი შინაარსის. მაგრამ ჩვენ მაშინ ეს და ამის მსგავსი ამბები აგრერიგად არ გვესმოდა. იმ დროს მე და ჩემი თანატოლები ისეთ ასაკში ვიყავით, რომ ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა დიდ ამბად მიგვაჩნდა და გულმოდგინებას არ ვაკლებდით, რომ სოფლისა და ამხანაგების წინაშე თავი გამოგვეჩინა. ცხადია, ბერდიას, აქაოდა სხვებს არ ჩამოვრჩეო, თავი არ დაუზოგავს, რომ ლექსი ზეპირად ესწავლა. მაგრამ იმ წელს ის საპირველმაისო საღამო ჩვენს სოფელში საერთოდ არ გამართულა. იქნებ, ჩვენმა კეთილმა მასწავლებელმა, მარია ნიკოლაევნამ ეს წინასწარ იცოდა და არც დიდად ანაღვლებდა, ჩატარდებოდა თუ არა იგი. ჩემთვის ახლა ცხადია: მისი მიზანი იყო, ის ლექსები გვესწავლა ზეპირად, რომლებიც, თავის დროზე, ვიცუღლუტეთ და არ ვისწავლეთ. იგი თავისი ინდივიდუალური პედაგოგიური მეთოდის გამოყენებით მიზანს ბოლოს მაინც აღწევდა.

მარია ნიკოლაევნასა და ბერდიას, როგორც მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობიდან მინდა კიდევ ერთი შემთხვევა გავიხსენო.

ერთ დღეს ისე მოხდა, რომ რუსული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილი, ჩვენი მუდმივი საკლასო ოთახის ნაცვლად, გეოგრაფიის კაბინეტში ჩაგვიტარდა. მარია ნიკოლაევნას ხელში რუკაზე გეოგრაფიული ადგილების საჩვენებელი ჯოხი ეჭირა და ახალ მასალას გვიხსნიდა. ამ დროს ბერდია გვერდით მჯდომ გურამ გობეჯიშვილს და მე რაღაცას გატაცებით გვეჩურჩულებოდა. მარია ნიკოლაევნამ ჯოხი მერხზე რამდენჯერმე დააკაკუნა, რომ საუბარი შეგვეწყვიტა და ყური მისთვის დაგვეგდო, მაგრამ ამაოდ. მაშინ მოთმინებიდან გამოსულმა მასწავლებელმა ჯოხი გამეტებით მოიქნია, რომ მერხზე მთელი ძალით დაერტყა და თავისი უკმაყოფილება ამით გამოეხატა.

შემთხვევით ბერდიამ თავი მარია ნიკოლაევნას მაღლა აწეული ჯოხიანი ხელისკენ მაშინ გადასწია, როცა მასწავლებელმა ჯოხი მერხზე დასარტყმელად ძირს დაუშვა და იგი მერხის ნაცვლად ბერდიას თავში მოხვდა. დარტყმა იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ ჯოხი ორად გატყდა, ერთი ნახევარი იატაკზე დავარდა, მეორე ბერდიას და გურამის გვერდით მდგომ, ამგვარი მოულოდნელობით შეცბუნებულ ჩვენს მასწავლებელს შერჩა ხელში.

მზისელი მასწავლებლების და მოსწავლეების ერთი ჯგუფი. პირველ რიგში მარცხნიდან მარჯვნივ სხედან: აკაკი გავაშელი, გურამ გობეჯიშვილი, რაჟიკო ლობჯანიძე, მარია ნიკოლაევნა ქმრითა, გივი გავაშელი, ოთარ ლობჯანიძე, ომედა გავაშელი. მეორე რიგში: ზოია გობეჯიშვილი, ლელიკა გავაშელი(?), თამარ ლობჯანიძე, ეთერი გავაშელი, ოთარ გავაშელი. მესამე რიგში: ქეშანა ლობჯანიძე, თამარ გობეჯიშვილი, დოდო გავაშელი, ნაზიკო ლობჯანიძე, მერი ლობჯანიძე, უშანგი გავაშელიშვილი, ქეთინო ლობჯანიძე და გვრიტია ლობჯანიძე. კურორტი თებერდა, 1952 წ.

შეცბუნებულს, იმიტომ, რომ მარია ნიკოლაევნას ფიზიკური ძალა ჩვენს დასასჯელად არასოდეს გამოუყენებია, თუმცა, იქნებ ხშირადაც ვიმსახურებდით ამას. თავის მხრივ, ბერდიაც მიხვდა, რომ ყველაფერი, რაც მოხდა, მისი ბრალი იყო და ამის გამო დამსახურებული უფრო დიდი სასჯელი რომ თავიდან აეცილებინა, ორივე ხელი თავში იტაცა და ყასიდად ხმამაღლა აყვირდა: ვაი-ვაიო.

მასწავლებელმა რომ ბერდია თავში ხელებწავლებული და აზლუქუნებული დაინახა, იფიქრა, ეტყობა, რალაც გამოუსწორებელი უბედურება მოხდაო. მივიდა და ტკბილი მოფერებით სცადა მისი დამშვიდება. ბერდიამ რომ დაინახა, დასჯის ნაცვლად, მეფერებიანო, ხმაურს უმატა, უფრო მეტი შელავათი რომ მიელო.

ამ ყოფაში რომ ვიყავით, კლასში სერგო დირექტორი შემოვიდა. მართალია, იგი, ჩვეულებრივ, მოსწავლეების მიმართ მრისხანებით არ გამოირ-

ჩეოდა, მაგრამ უწესრიგობა არ უყვარდა და შეუფერებელ საქციელს არავის პატიობდა. ბერდიას ფერი ეცვალა, მასწავლებელმა რომ თქვას, გაკვეთილზე ხელს მიშლიდა, დასჯა არ ამცდებაო. თავის მხრივ, მარია ნიკოლაევნასაც იგივე აწუხებდა: დირექტორმა რომ გაიგოს, მოსწავლეს ჯოხით გავუტეხე თავი, ვინ იცის, ამას რა მოჰყვებაო.

დირექტორმა შემცბარი მასწავლებელი და თავზე ხელებწავლებული მოსწავლე რომ დაინახა, ბუნებრივია, იკითხა, რა მოხდაო.

წუთით ყველა გავინაბეთ. არ გვინდოდა, გვეთქვა, რაც მოხდა და ამით ჩვენი მასწავლებელი უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვეგდო.

ის იყო, მარია ნიკოლაევნამ დააპირა, თვითონ ეამბნა დირექტორისთვის, რაც უნებურად შეემთხვა, რომ ბერდიამ დაასწრო. იგი ფეხზე წამოდგა და დირექტორს „აუხსნა“: ისეთი არაფერი არ მომხდარა, უბრალოდ თავი ამტკივდა და ხელები ამიტომ მაქვს წავლებულიო.

სერგო დირექტორს წარბი გაეხსნა. თუ მეტი არაფერია, გაკვეთილის შემდეგ, ამბულატორია აქვეა, ჩადი, გაგსინჯავენ, რამე წამალს დაგალევინებენ და თავის ტკივილიც გაგივლისო.

ასე ვიზამო, დაპირდა ბერდია და დაჯდა.

დირექტორმა, რაც სჭირდებოდა მასწავლებელთან, მალე გაარკვია და საკლასო ოთახიდან გავიდა.

როცა მარტონი დავრჩით, შევატყვეთ, რომ მარია ნიკოლაევნამ რაღაცის თქმა დააპირა, ალბათ, უნდოდა აეხსნა, რომ ყველაფერი, შემთხვევით მოხდა, არ უნდოდა, ბერდიასთვის თავში ჯოხი დაერტყა, მაგრამ სანამ რამეს იტყოდა, ზარიც დაირეკა. კლასი ახმაურდა, ყველანი ჩანთებს ვეცით და გარეთ გავცვივდით. ჯერ მანამდეც, თორემ ამ ამბის შემდეგ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გაღიზიანებული და წონასწორობიდან გამოსული არასოდეს გვინახავს.

უნდა ითქვას, რომ მარია ნიკოლაევნა ჩვენს მიმართ ყურადღებას და გულისხმიერებას არა მარტო სკოლაში იჩენდა, არამედ სკოლის შემდეგაც. სუსტ, სწავლაში ჩამორჩენილ მოსწავლეებს გაკვეთილების შემდეგ ხშირად შინაც აკითხავდა და სრულიად უანგაროდ და გასამრჯელოს გარეშე დამატებით ამეცადინებდა. დღესაც დარწმუნებული ვარ, რომ ამას მას არავინ ავალებდა. ეს მისი, როგორც პედაგოგის, შინაგანი მოთხოვნილება გახლდათ და საკუთარ სურვილს და მოთხოვნილებას დიდი სიამოვნებით იკმაყოფილებდა. შეიძლება, ჩემი კეთილი მასწავლებლის ეს მეთოდი: მოსწავლეებისადმი უანგაროდ დახმარება დღეს ბევრისთვის უცხო და მიუღებელი იყოს, მაგრამ მაშინ, იმ თაობის ადამიანები, რომელთა შესახებაც მოგითხრობთ, ბევრი რამის მიმართ სულ სხვაგვარ დამოკიდებულებას იჩენდნენ, ისევე, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში მარია ნიკოლაევნა და ამაში პედაგოგიური თვალსაზრისით მიუღებელს ვერაფერს ვხედავ, პირიქით.

ადრეც მითქვამს, რომ მზისაში ჩასახლების პირველ წლებში მოსახლეობას ეკონომიკურად ძალიან უჭირდა. ასე გასინჯეთ, უფულობის გამო ზოგჯერ მშობლები შვილებისათვის სახელმძღვანელოებსაც ვერ იძენდნენ. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მარია ნიკოლაევნა სრულიად ფარულად ხელმოკლე მოსწავლეებისათვის წიგნებსა და რვეულებს საკუთარი ხელფასით ყიდულობდა და ამის ხმამაღლა გაცხადებით არც მშობლები და არც მოსწავლეები არასოდეს ჩაუყენებია უხერხულ მდგომარეობაში. ესეც მისი დიდბუნებოვნების გამოვლინება გახლდათ. აკი, უფალიც ამასვე გვასწავლის, სიკეთე ფარულად ჩაიდინე და შედეგს ნუ დაელოდებიო.

კიდევ არაერთი შემთხვევის გახსენება შეიძლება ჩემს კეთილ მასწავლებელზე. მაგრამ ამჯერად ამით დავკმაყოფილდები. საზოგადოდ მაინც მინდა ვთქვა, რომ მზისას რვაწლიანი სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მარია ნიკოლაევნა ცდას არ აკლებდა, რომ ჩვენ, მის მოსწავლეებს დრო უქმად არ დაგვეკარგა და ყოველი წუთი ცოდნის შესაძენად გამოგვეყენებინა, მაგრამ ჩვენ მაშინ ამას აგრერიგად ვერ ვაცნობიერებდით, რითაც უთუოდ გულს ვტკენდით როგორც მარია ნიკოლაევნას, ისე სხვა მასწავლებლებს.

ახლა, ამდენი ხნის შემდეგ, როცა ამ ამბებს ვიგონებ, ჩემი და ჩემი თანატოლებისა საყმაწვილო ასაკისათვის დამახასიათებელი გაუაზრებელი საქციელის გამო, მრცხვენია და სინდისი მქენჯნის. სწორედ ამიტომ, ქალბატონო მარია ნიკოლაევნა, თქვენც და ჩვენს სხვა ყოფილ მასწავლებლებსაც, მინდა, გთხოვოთ, შეგვინდოთ თქვენს ყოფილ მოსწავლეებს მაშინდელი ჩვენი უსაქციელო ნამოქმედარი. ხოლო, ეს მცირე მოგონება, თქვენს მიერ ჩვენდამი გაწეული დიდი ღვაწლის სამადლობელოდ და ჩვენი ყმაწვილური წინდაუხედავი, მაგრამ უბოროტო, ნამოქმედარით მიყენებული წყენისათვის ბოდიშის მოხდად ჩაგვითვალოთ. ვიცი, ეს ერთგვარი აღიარება და, ამავე დროს, მონანიება, ძალიან დაგვიანებულია, მაგრამ ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. თქვენი დიდსულოვნების ამბავი რომ ვიცი, უთუოდ შეგვინდობთ და გვაპატიებთ. მით უმეტეს, მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ქვეყანაზე ჯერ ისე არც ერთი – რიგითი თუ სახელოვანი – პიროვნება არ აღზრდილა, ვისაც ბავშვობაში არ ეცელქოს და სკოლაში არ ეცუღლუტოს.

„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდემის“

ადამიანის ცხოვრებაში ყველა დრო თავისებურად მომხიბვლელია, მაგრამ სტუდენტობა მაინც სულ სხვაა. იგი იმითაც არის გამორჩეული, რომ აქ მთავრდება ჩვენი ცხოვრების ერთი გრძელი, ხალისიანი პერიოდი და იქვე იწყება არანაკლებ მნიშვნელოვანი ახალი ხანა: ადამიანი დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე გამოდის და რა ცოდნაც უმაღლესი სასწავლებლის კედლებში ჭკუა-გონების ვარჯიშით შეიძინა, ეს ყველაფერი პრაქტიკულ საქმიანობაში უნდა გახარჯოს. ამ გზას მეტნაკლებად ყველა ჩვენგანი გაივლის და ამ მხრივ გამონაკლისი არც ქეთევან ებანოიძე-საყვარელიძეს ცხოვრება ყოფილა.

ქეთევან ებანოიძე – საყვარელიძისა. ქლუხორი. 1952 წ.

...ქალბატონ ქეთევანს, როცა უმაღლესში იურიდიული მეცნიერების საფუძვლებს ეუფლებოდა, სმენით იქნებ სმენოდა ქლუხორის არსებობის შესახებ და ამ ახალ ქართულ რაიონზე ზოგი რამე იცოდა კიდევაც, მაგრამ თუ იქ სამუშაოდ წასვლა მოუწევდა, ამას, ალბათ არც იფიქრებდა.

ქვემოთ ნათქვამის დასადასტურებლად ერთი რამეც მინდა ვთქვა: უმეტეს ჩვენგანს მოყვასისაგან გაწეული დახმარება არასოდეს გვავიწყდება. მით უმეტეს იმდროინდელი, როცა ცხოვრების ასპარეზზე პირველ ნაბიჯებს ვდგამთ, აი ისე, როგორც სულკურთხეული ჩვენი წინაპარი ბრძანებს: „კარგი საქმე კაცსა ზედა, აზომ თურმე არ წახდების“-ო.

ქეთევან ებანოიძე-საყვარელიძისა დღეს ხუთი ათეული წლის შემდეგ, უდიდესი მადლიერებით იგონებს მაშინდელი საქართველოს იუსტიციის მინისტრის, რაფავას მამაშვილურ გულისხმიერებას. იუსტიციის სამინისტროში სამუშაოს სათხოვნელად მისულ ახლად ინსტიტუტდამთავრებულ

ქეთევან ებანოიძეს მინისტრმა ქლუხორის რაიონში ნოტარიუსად წასვლა შესთავაზა. ყოყმანი რომ შეატყო, იქვე დაუმატა, იქ რომ ჩახვალ, თვითონ დარწმუნდები, რომ ძალიან კარგი რაიონია და არ ინანებ. რაიკომის მდივანს მე დავურეკავ და ვთხოვ, რომ ადგილზე ჩასულს ყოველგვარი დახმარება აღმოგიჩინოს და ყურადღება არც შემდეგ მოგაკლოსო.

შინ მობრუნებულმა ქალიშვილმა ოჯახში რომ თქვა, სამუშაოდ ქლუხორის რაიონში გამამწესესო, წინააღმდეგი არავინ წასულა, თუმცა, შორს რომ იყო ის ქლუხორი, შინაურებს ამის გამო უკმაყოფილება არ დაუფარავთ.

ქეთევანის მამას – ვასილ ებანოიძეს უნდოდა, საკუთარი თვალით ენახა მისი უმაღლესდამთავრებული ქალიშვილი ნოტარიუსად სად იმუშავებდა და ადგილზე როგორ მოეწყობოდა. ამიტომაც სამსახურის ადგილის სანახავად შვილს თან გაჰყვა.

...უცნობ მხარეში მიმავალი მამა-შვილი გზაში, ერთმანეთი რომ არ დაეზაფრათ, ხმამაღლა არ უმხელდნენ გულში ნაფიქრს, თორემ ფიქრში ორივეს ქლუხორის რაიონი წარმოდგენილი ჰქონდათ სადღაც მივარდნილ, უუმურ ადგილას გადაკარგული ერთი მოზრდილი სოფლის მაგვარ დასახლებად.

ქალბატონი ქეთევანი ახლა, ამდენი წლის შემდეგ უდიდესი სიყვარულით იგონებს იქ გატარებულ წლებს და ქლუხორის დანახვით გამოწვეულ პირველ შთაბეჭდილებას:

„ – ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა იქ ჩასულს დამხვდნენ, წამიყვანეს და შემასახლეს ოროთახიან გარემონტებულ, კეთილმოწყობილ ბინაში. თვითონ ქალაქმა ჩემზეც და მამაჩემზეც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ყველგან ვარდ-ყვავილების სურნელება ტრიალებდა. ერთი სიტყვით, ქლუხორი მთებში ჩადგმული ქალაქი-ბაღნარი იყო, თავისი მრავალსართულიანი, კეთილმოწყობილი სახლებით, ასფალტიანი ქუჩებით და სკვერებით. რაც მთავარია, ყველა ქლუხორელმა ქართველმა საკუთარი შვილივით მიმიღო. ყველანი უდიდესი სიყვარულით მექცეოდნენ. ურთიერთ სიყვარული ქლუხორელი ქართველების დამახასიათებელი თვისება იყო. და კიდევ: თუ ვინმეს რამე გაუჭირდებოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, ახლობელი იყო, უცხო, ქართველი თუ სხვა ეროვნების, ყველა ისე ეხმარებოდა, როგორც თავისი ოჯახის წევრს. იქ გამწესებით ძალიან კმაყოფილი ვიყავი ჩემი ბედის, რასაც განსაკუთრებით ვუმადლი საქართველოს იუსტიციის მაშინდელ მინისტრს, ბატონ რაფავას“

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ოჯახში, გასაჭირში მყოფი ადამიანების მიმართ ქრისტიანული კაცთმოყვარეობის და მხარში ამოდგომის წეს-ჩვეულებზე აღზრდილი ქალიშვილი, ქეთევან ებანოიძე ქლუხორში ჩასვლის პირველი დღიდან იქ მცხოვრები ადამიანების მიერ გამოჩენილ გულისხმიერებას და საყვარულს თვითონაც სიყვარულით და გულისხმიერებით პასუხობდა.

ქლუხორში ჩასვლის პირველივე დღიდან, ახალგაზრდა იურისტსა და ქლუხორელ ქართველებს შორის, თბილი, მეგობრული და ნათესაობამდე ამაღლებული ურთიერთობა დაამყარდა. ამიტომაც იყო, რომ ქალბატონმა ქეთევანმა, რომელმაც რამდენიმე წელი იმუშავა ქლუხორში რაიონის მთავარ ნოტარიუსად, დღესაც კი, ამდენი ხნის შემდეგ ქლუხორსა და იქ გაცნობილ ადამიანებს უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით იგონებს. მის ამ მოგონებას უთუოდ ის ჭეშმარიტი და გულწრფელი გრძნობა ასაზრდოვებს, რომელზეც ნიკოლოზ ბარათაშვილი ამბობს: „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“.

ჭეშმარიტად!

მეფუტკრე

მზისაში ლამაზი ადგილები სანთლით საძებარი ნამდვილად არ იყო. ერთგან რომ ამწვანებულ კორდს, დაბურული ტყით შემკულ მცირე ვაკეს, თუ გადმომქუხარე ჩანჩქერით დამშვენებულ შიშველ კლდეს ნახავდი, მოგეწონებოდა და იტყოდი, ღმერთს ფეხი აქ უდგიაო, სხვაგან არანაკლებად თვალწარმტაცი ტყე, გორაკი, ჭალა თუ მინდორი შეგხვდებოდა და აღარ იცოდი, უპირატესობა რომლისთვის მიგენიჭებინა.

ერთ-ერთი ასეთი ადგილთაგანი იყო ხუტორი ბოინიც (ადრე აქ, ალბათ, სასაკლაო იყო და ამიტომ თუ ეწოდა ეს სახელი). მას ცალი მხრიდან მდინარე თებერდა ჩაუდიოდა, ხოლო გარშემო ფოთლოვანი ტყით დაბურული გორაკები და მთები ერტყმოდა. თვითონ ხუტორი ამწვანებული ტყიანი ვაკე ადგილი იყო, რომლის შუაგულში ერთადერთი სახლი იდგა.

ამ სახლში სამი უშვილძირო მოხუცი ცხოვრობდა: სეითო, მისი ცოლი, დორა კარნევნა და მისი და, ფროსია. ისინი ყარაჩაელები არ ყოფილან, რუსები იყვნენ.

ხუტორ ბოინის ეს სამი ბინადარი, ჩვენ რომ ჩავსახლდით და მას შემდეგ იქ დაგვხვდნენ. ასე განცალკევებით ცხოვრობდნენ მთელი იმ ხნის მანძილზე, რაც ჩვენ იქ, მზისაში ვბინადრობდით. სოფელთან ახლო ურთიერთობა და მისვლა-მოსვლა არასოდეს ჰქონიათ. ალბათ, ამის მიზეზი უფრო ის იყო, რომ იმ დროს სამივენი გვარიანად ხანდაზმულები იყვნენ. მათი ბინიდან სოფლამდე საკმაოდ შორი მანძილი იყო და ფეხით ამ გზის გავლა, თუნდაც დღეში ერთხელ, უთუოდ გაუჭირდებოდათ. ამის გამო იყო, რომ ერთთავად თავიანთ კარმიდამოში ტრიალებდნენ და გადაჩვეულები იყვნენ ხალხთან ურთიერთობას. თუმცა, სოფელთან ძვირი კონტაქტი ადამიანების სიძულვილით გამოწვეული გაუცხოვება სულაც არ გახლდათ. პირიქით! მათ საკუთარ კარმიდამოში სტუმრის დანახვა ძალიან სიამოვნებდათ და როგორც შეეძლოთ, პატივისცემასაც არ აკლებდნენ ნაცნობ, თუ მათთან შემთხვევით მოხვედრილ ადამიანს.

მოხუცებს რამდენიმე სული საქონელიც ჰყავდათ, ანუ იმდენი, რამდენის მოვლასაც ახერხებდნენ და პირადი სარგებლობისთვის აუცილებელი იყო, მაგრამ ისინი მეცხოველეობაზე მეტად, მეფუტკრეობას მისდევდნენ. მათი ადგილი კი სწორედ რომ შესაფერისი იყო მეფუტკრეობისთვის. აქვე უნდა ვთქვა, რომ მაშინ ფუტკარი, როგორც ახლა, ასე ძნელად მოსავლელი და შე-

სანარჩუნებელი სულაც არ იყო. ეკოლოგიურად, მართლაც, იდეალურად სუფთა გარემოში ამ ღვთითკურთხეულ მწერს არავითარი დაავადება არ უჩნდებოდა და არც იხოცებოდა. ერთადერთი მათი შემწუხებელი თაგვი იყო, მაგრამ იმასაც ადვილად უსწორდებოდნენ. ათასში ერთხელ სკაში შეპარულ თაგვს უმალ დააცხრებოდნენ. ისიც, თავი რომ გადაერჩინა, ინსტინქტურად კუთხეში მიიკუმეებოდა და იქვე უღებდნენ ბოლოს. მერე ერთიანად სანთლით დაფარავდნენ ისე, რომ გახრწნისას მის სუნს არ შეეწუხებინა ამ დიდებული მწერის მეტად მგრძნობიარე ყნოსვის ორგანოები.

ერთხელ შემთხვევით, თუ რაღაც პირადი საქმის გამო, მამაჩემსაც მოუწია მოხუცებთან სტუმრობა. მაშინ მამა სატყეო უბნის უფროსად მუშაობდა.

იმ დღეს სტუმარ-მასპინძლის საუბარი დიდხანს გაგრძელდა. მოხუცები, ეტყობა, დანატრებულები იყვნენ ადამიანებთან მშობლიურ ენაზე ლაპარაკს.

წამოსვლისას მოხუცმა მეფუტკრემ მამას თხოვა, როცა გზა აქეთ დაგირჩეთ, ჩვენს უნახავად ნუ ჩაივლითო.

ასეც მოხდა: მათი ურთიერთობა მეგობრობაში გადაიზარდა. მიუხედავად უარისა, მამას რამდენჯერმე შინ თაფლიც გამოატანეს. როგორც ჩანს, პატივისცემაში მოხუცებს არც მამა რჩებოდა ვალში.

ერთ დღეს სეითომ მამაჩემს უთხრა, ფუტკარმა თავი იყარა, ორი ძირი სკა შენთვის საჩუქრად გავამზადე, წაიღე და მოუარეო.

მამამ შორს დაიჭირა. ჯერ ერთი, მე ფუტკრის მოვლა-პატრონობის არაფერი გამეგება და, მეორეც, თქვენ რატომ უნდა დაგაკლოთო.

მამაჩემზე ნაკლებად ჯიუტი არც მოხუცი მეფუტკრე გამოდგა. ფუტკარი იმდენი მყავს, მათ მოვლას ვერ ავუდივარ და ორ ძირ სკას თუ წაიყვან, მადლობელი დაგრჩები. ამით საქმეც შემიმსუბუქდება. რაც შეეხება მოვლას, ფუტკარი ისეთი უფლის მიერ დალოცვილი მწერია, არავითარი განსაკუთრებული მოვლა არ სჭირდებაო. თან აუხსნა, როგორ უნდა მოევლო.

ასე და ამრიგად, სეითოს დაჟინებით ფუტკარი გავიჩინეთ, მოვამრავლეთ და არც მის მოვლა-პატრონობაში შეგვიქმნია სიძნელეები. პირიქით, ძალიან კმაყოფილი ვიყავით, რადგან იმ დღიდან ოჯახში თაფლი არასოდეს გამოგვლეკია.

ახლა სეითო მეფუტკრეს რომ ვიგონებ, სულ უფრო მეტად ვრწმუნდები: დროთა განმავლობაში ადამიანს თავისი საქმიანობისათვის დამახასიათებელი თვისებები უყალიბდება. ფუტკრებთან ურთიერთობისას შეუთავსებელია ანჩხლობა, ბრაზი და გაღიზიანება. ალბათ, ამიტომაც არიან მეფუტკრეები მშვიდი ხასიათის ადამიანები. ამ მხრივ არც მოხუცი სეითო, მისი მეუღლე და ცოლისდა იყვნენ გამონაკლისები...

რამ, რამ შეგვცვალა?!

საზოგადოდ, სოფლები, უმეტესად – მთის სოფლები მაინც, თითქმის ყველგან მჭიდროდ არის დასახლებული. სხვა რამესთან ერთად, ამის ერთ-ერთი მიზეზი, ჩემი აზრით, ალბათ, მცირე მიწიანობა გახლავთ: მთაში მიწას თვალის ჩინივით უფრთხილდებიან და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს სამოსახლოდ მეტად იშვიათად იყენებენ. ამ მხრივ გამონაკლისს არც მზისა წარმოადგენდა. მთელ ამ სოფელში ყველანი ერთმანეთთან ახლო-ახლო ვცხოვრობდით. მიუხედავად ამისა, ჩვენი ყველაზე ახლო მეზობელი პავლე და ფრონიცია ლობჯანიძეების (მჭედლიანთი) ოჯახი იყო.

არ ვიცი, ამ სიახლოვის, თუ ხასიათთა ერთნაირობის გამო, ჩვენი ორი ოჯახის, როგორც უფროსებს, ისე მოზარდებს შორის თავიდანვე რაღაცნაირი მეტად თბილი, აი, სისხლისმიერ ნათესავებს რომ სჩვევიათ, ისეთი განსაკუთრებული ურთიერთობა დამყარდა. უნდა ვთქვა, რომ ეს ურთიერთობა და მეზობლური დაახლოება იმ დროს იმდენად ბუნებრივი, მტკიცე, ხალასი და გაუბზარავი აღმოჩნდა, რომ მიუხედავად ქლუხორიდან წამოსვლის შემდეგ ჩვენი ოჯახების სხვადასხვა ადგილას დასახლებისა, იგი დღემდე არ გაბზარულა და არ განელებულა.

ვინმესთვის როგორი გასაკვირი არ უნდა იყოს, ასე მჭიდროდ დაკავშირებული და ადამიანური სიყვარულით გამთბარი მარტო ჩვენი ორი ოჯახის ურთიერთობა არ ყოფილა. ალბათ, ასეთივე თბილი ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან ქლუხორის რაიონში მცხოვრებ თითქმის ყველა ოჯახს. თითქმის-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მცირე გამონაკლისიც, იქნებოდა, მაგრამ უმეტესად, ქლუხორში მცხოვრები ქართველების (თუ გნებავთ, სხვა ეროვნებებისაც) ოჯახების მეზობლური ურთიერთობაც იმდენად თბილი, ტკბილი და მეგობრული გახლდათ, რომ ახლაც კი, აგერ რამდენიმე ათეული წლის განშორების შემდეგ, იქ ნაცხოვრები, თუნდაც უცნობი ადამიანები ერთმანეთს რომ შეხვდებიან, გაიგებენ თუ არა ურთიერთის „ქლუხორელობას“, ისეთი სიხარულით გაუფართოვდებათ თვალები, თითქოს დიდი ხნის დაკარგული ძმა, ნათესავი, ან ძვირფასი მეგობარი ეპოვნოთ.

წარსულს რომ ვიგონებ და მას დღევანდელობას ვადარებ, მიკვირს და ვერაფრით ამიხსნია, ახლანდელ საქართველოსა და ქართველებში, უცხო ტომთა მიმართ ასეთი ტოლერანტობით განთქმულ ქვეყანასა თუ ხალხში, ჩვენივე საკუ-

თარ თანამოძმეთა მიმართ ამდენი ღვარძლი, ურთიერთმტრობა, შური, გაუტანლობა და დაუნდობლობა რამ წარმოშვა და ასე ძლიერ რამ გააღვივა?!

თუ ვინმე მეტყვის, გაჭირვებამო, ვუპასუხებ: ჩვენ, ომის დროს საკუთარი სამემკვიდროდან აყრილებმა და უცხო ადგილზე ჩასახლებულებმა, ამაზე ბევრად უფრო დიდი გაჭირვება გადავიტანეთ, მაგრამ არც ერთმანეთის და არც უცხოთა მიმართ არ გავბოროტებულვართ. პირიქით, გასაჭირის ჟამს ერთმანეთი უფრო მეტად შევიყვარეთ და, დარწმუნებული ვარ, სწორედ ამან გადაგვარჩინა.

არც ის არის გამორიცხული, ვინმემ მითხრას, ეს ქართველების თანდაყოლილი თვისებაა – ერთმანეთის გატანა და სიყვარული უცხოეთში უფრო მეტი გულმოდგინებით გვჩვევია, ვიდრე ჩვენს მამულში. თქვენც, უცხო მხარეში გადასახლებულებს, ალბათ, ამიტომ გიყვარდათ ერთმანეთიო. არა მარტო ამიტომ. ისე კი წარსულში იქნებ, მართლაც, ასე იყო, მაგრამ ამჟამად ესეც მოიშალა. აღარც უცხოეთში ვინდობთ ერთმანეთს.

თავის მართლების მოყვარულმა ზოგიერთმა ნაცნობმა თუ უცნობმა შეიძლება ესეც მოიმიზეზოს, რაც ჩვენ ახლა გვჭირს, ომისგან გვჭირს. ომმა და ბოლო დროს ჩვენში დატრიალებლმა მოვლენებმა შეცვალა ჩვენი ფსიქოლოგიაო. მე კი ამგვარი არგუმენტების მომშველიელებს ვეტყვი: ქართველს ომიც ბევრი უნახავს და გასაჭირიც, მაგრამ ერს მოყვასისადმი გასაჭირში ხელის გაწვდის გრძნობა ჩვენსავით არასოდეს დაჩლუნგებია.

ბოლოს და ბოლოს, მეორე მსოფლიო ომზე დიდი, მრისხანე და სასტიკი ომი კაცობრიობას არ ახსოვს. იმ ომმა ჩვენზე, ჩემი თაობისა და ჩვენი მშობლების მხრებზე გადაიარა, მაგრამ ღვარძლი და სიძულვილი და არც უცხოთა და არც შინაურთა მიმართ არ აღგვიგზნია გულში.

თუ რამ შეგვცვალა ასე ძლიერ, ამის მიზეზის მონახვა იქნებ არც, ესე ძნელი იყოს, მაგრამ ახლა ამის ძიებას აქ არ მოვყვები. თუმცა, მიუხედავად იმისა, არ ვიცი, რამდენად უტყუარი იქნება ჩემი ეს დასკვნა და ვარაუდი, მაგრამ თქმით მაინც ვიტყვი: უთუოდ ჩვენმა ადამიანურმა ბუნებამ განიცადა დროში დეფორმაცია. ამან კი ძირეულად შეცვალა დღევანდელი საზოგადოების წევრთა შორის ურთიერთობა და, თუ გნებავთ, ფასეულებებისა და საგნებისადმი დამოკიდებულება. რაშიც არც თუ მცირედი წვლილი ზოგიერთაგან იოლად ნაშოვნ ფულს ანუ ოქროს მომხვეშელობას მიუძღვის. ოქროს, რომელზეც, თუ არ ვცდები, ჯერ კიდევ სოფოკლემ ბრძანა, კაცობრიობას ოქროზე დიდი მტერი არ მოვლენიაო. ხოლო შოთამ მას „კვერთხი ეშმაკთა ძირისა“ უწოდა.

იარაღზე ოცნებაში...

...ავლეს და ფრონიცია ლობჯანიძეებს ათი შვილი ჰყავდათ (მრავალშვილიანი ოჯახებითაც განსხვავდებოდა იმდროინდელი საქართველო ამჟამინდელისაგან). არც ჩემი მშობლები ჩაითვლებოდნენ მცირეშვილიანებად, მაგრამ ჩვენ ასე მრავალრიცხოვანი არ ვყოფილვართ. მშობლები რომ მეგობრობდნენ, ჩვენ, მათი შვილები უფროსებს ურთიერთის სიყვარულსა და პატივისცემაში ვეჯიბრებოდით და ზოგ შემთხვევაში, მგონი, ვაჭარბებდით კიდეც. მაგრამ ჩვენი ოჯახების ეს თბილი, ნათესაობამდე ამაღლებული ურთიერთობა ერთმა საბედისწერო შემთხვევამ კინაღამ მოსისხლე მტრობად აქცია. ახლაც, მრავალი წლის შემდეგ, როცა ამ ამბავს ვიხსენებ, ტანში მცრის და შიშის ურუანტელი მივლის, თითქოს ყველაფერი ამ წუთებში ხდებოდეს და არა რამდენიმე ათეული წლის წინათ.

...ერთ დღეს, ის იყო სკოლიდან დავბრუნდი, რომ პავლე ბიძიას უმცროსი ვაჟი, ჟორა მოვიდა. ოდნავ დაბნეული და აფორიაქებული ჩანდა. დანაყრება არ მაცალა, იქვე მყოფ დედაჩემს რომ არაფერი გაეგო, საიდუმლოს გასანდობად გარეთ გამიხმო.

როცა ყველას თვალს გარიდებულები მახლობელ ცარიელ შენობასთან აღმოვჩნდით, ჟორა შევაჩერე და ვკითხე, რა იყო-მეთქი.

– აი, შეხედე! – მრავალმნიშვნელოვნად მომიგო მან და უბიდან „დამსკის“ რომ ეძახიან, ისეთი მცირეკალიბრიანი ნაგანის სისტემის რევოლვერი ამოაძვრინა და თან აღტაცებისაგან გაფართოებული თვალები შემომანათა. ცხადია, იცოდა, ასეთი სანუკვარი იარაღის დანახვა რომ ჩემზე უდიდეს შთაბეჭდილებას მოახდენდა და ამის წარმოდგენით კმაყოფილი წინასწარ ტკბებოდა.

ვფიქრობ, ბევრს მოეხსენება, განსაკუთრებით ახლა, იარაღს ადამიანებზე როგორი ზემოქმედების ძალა აქვს. ეს ზემოქმედება ერთი-ორად დიდია 10-12 წლის მოზარდზე. ჩვენ, მე და ჩემი მეგობარი ჟორა, მაშინ დაახლოებით ამ ასაკისანი ვიყავით. ახლა ძალიან მიჭირს ზუსტად გადმოგცეთ ის შთაბეჭდილება, რაც ჩემზე იარაღის ჯერ შორიდან დანახვამ და შემდეგ კი ხელში აღებამ მოახდინა.

სანამ ხელში ვატრიალებდი, ვსინჯავდი და ვაკვირდებოდი იარაღს, ჟორას ესეც ვკითხე, ვინ მოგცა, ან სად იპოვე-მეთქი.

ჩემი ძმის მაგიდის უჯრიდან ამოვიღეო, მითხრა.

შოთა, მისი ძმა, იმ დროს ჩვენზე ბევრად უფროსი იყო, თითქმის საცოლე ასაკს მიღწეული.

მან სადღა იშოვა-მეთქი, ახლა ამით დავინტერესდი. ყორამ მხრები აიჩეჩა, არ ვიციო. თუმცა, ამის კითხვა სულაც არ მჭირდებოდა. ყველამ ვიცოდით, რომ ქლუხორის ტერიტორიაზე 1942-1943 წლებში, მათ შორის, მზისაშიც, გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ფაშისტთა და საბჭოთა ჯარებს შორის და იქ, როგორი იარაღიც გნებავდათ, ისეთის პოვნა არავისთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა. ქართველი მოსახლეობის დაბინავების პირველივე დღიდან ხალხი, – დიდებიც და პატარებიც, ხან სად და ხან სად წააწყდებოდნენ ომის დროს გადანახულ თუ გადამალულ სხვადასხვა სახის იარაღს, თანაც თითო ცალობით კი არა, არამედ რამდენიმეს ერთად. იარაღის ვერმპოვნელთა შორის მზისაში, ალბათ, ერთადერთი გამონაკლისი მე ვიყავი.

ᲧᲝᲠᲐ ᲚᲝᲑᲯᲐᲜᲘᲫᲔ

მაშინ, მიუხედავად ჩემი ბავშვური ასაკისა, ისე არაფერი მინდოდა, როგორც რამე სახის იარაღის პოვნა. ჩემთვის, ყველასაგან ფარულად დღე და ღამე იმაზე ვოცნებობდი, სად ან როგორ მეშოვა განსაკუთრებით მცირეკალიბრიანი რაიმე იარაღი. ბავშვობა, თორემ ახლა რომ ვფქირობ, რა ეშმაკად მინდოდა დიდი თუ მცირე ზომის იარაღი. მაგრამ მაშინ ამ ამბავს სულ სხვა თვალით ვუყურებდი. მიზნის მისაღწევად გაუჩხრეკავს არ ვტოვებდი სოფელში ასე თუ ისე ჩემთვის ამ მხრივ მეტნაკლებად საეჭვო ადგილებს, ყორე იქნებოდა ის, სახლის ნანგრევები, საცხოვრებლად უვარგისობის გამო მიტოვებული ბინა თუ სხვა რამ სათავსო, რაც იმ დროს მზისას ტერიტორიაზე უამრავი იყო, მაგრამ იმ დალოცვილ სოფელში 13 წელი ისე ვიცხოვრე, ამ ხნის განმავლობაში არამც თუ პირადად მე, ჩვენს ოჯახში, გარდა ერთი სანადირო თოფის და ერთი ხის ბუდიანი მაუზერისა, სხვა იარაღი არ მინახავს. ის მაუზერი მერე მამამ სადღაც წაიღო. არ ვიცი, აჩუქა ვინმეს თუ სათანადო ორგანოებს ნებაყოფილობით ჩააბარა. რაც შეეხება სანადირო თოფს, მისდამი არავითარი ინტერესი არ მქონია. შეიძლება გაყიდა კიდეც. ერთი კია, რაღაც განზრახვით, ოჯახიდან მოიცილა. ჩემი დიდი სურვილი მცირე ზომის ცეცხლსასროლი იარაღის შოვნა იყო.

ყველაზე მეტად ის მაღიზიანებდა, რომ სადაც მე წინა დღით ყორეს დავანგრევდი, მიტოვებული სახლის სხვენს და საეკვო ადგილებს გავჩხრეკდი და ვერაფერს ვპოულობდი, ჩემს შემდეგ იმავე ადგილებში მისული ჩემზე უფროსი თანასოფლელები სხვადასხვა სახის რამდენიმე ცალ იარაღს და დიდი რაოდენობით გადანახულ ვაზნებს ყუთებით პოულობდნენ. ეს ძალიან მაღიზიანებდა და თითქმის სასოწარკვეთილებაში მაგდებდა.

სიმართლე თუ გნებავთ, ამაზე მერეც არაერთხელ მიფიქრია, მაგრამ ვერ გამიგია, ხელს რა მიშლიდა იმ დროს ამ სანუკვარი ოცნების ასრულებაში, მაშინ, როცა სხვებისთვის ეს არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით ერთი იგავი მახსენდება:

ერთ კაცს ნადირის მოკვლის დიდი სურვილი ჰქონდა და მეზობელს, სახელგანთქმულ მონადირეს თხოვა, შენთან ერთად მთაში წამიყვანე და მანადირე, ასე მგონია, რომ ჩემგან კარგი მონადირე დადგებაო. მეზობელს უარი არ უთქვამს და მეორე დღეს ძველი და ახალბედა მონადირე თურმე უთენია გაუდგნენ გზას მთაში ჯიხვებზე სანადიროდ.

დღე იღბლიანი გამოდგა და მთაში ასვლისთანავე ჯიხვების ფარას წააწყდნენ. გამოცდილმა მონადირემ ახალბედას უხმოდ ანიშნა ჯიხვებზე და შესთავაზა, ესროლეო.

მანაც გადმოიღო თოფი, დაუმიზნა, მაგრამ იმდენ ხანს დააყოვნა ჯიხვების მიზანში ამოღება, ნადირმა საფრთხე იგრძნო და გაიქცა. ასე განმეორდა რამდენიმე დღის და კვირის განმავლობაში. გამოცდილი მონადირე თვითონ განგებ არ ესროდა თოფს ჯიხვებს. ამას ახალბედას ანდობდა. ის კი, სანამ მონადირის მოვალეობას აღასრულებდა, ნადირი საფრთხეს გრძნობდა და გარბოდა. გამოცდილი მონადირე ვერაფერს მიმხვდარიყო, რატომ ვერ ახერხებდა ნადირობის მოტრფიალე მისი ახალბედა მეზობელი ნადირისთვის თოფის სროლას... ამიტომ ჰკითხა, როცა ჯიხვის მოკვლის ასეთი მარჯვე შემთხვევა გეძლევა, ტყვიას რატომ არ ესვრიო.

ახალბედამ უთხრა, რა ვქნა, მეც ძალიან მინდა, რომ ნადირი მოვკლა, მაგრამ როგორც კი თოფს გავმართავ და ნადირის მოკვლას წინ არაფერი უდგას, სასხლეტზე თითის გამოკვრის მეტი, ნადირი ქრება, მის ადგილზე დედაჩემი დგება და დედას ტყვიას ხომ არ ვესვრიო.

გამოცდილ მონადირეს ეს ძალიან გაუკვირდა, რადგან მსგავსი რამ თვითონ ხომ არასდროს განუცდია და ასეთი რამე სმენითაც არავისგან სმეოდა. იგი დაფიქრდა და ახალბედას ურჩია, ნადირობა, როგორც ჩანს, შენი საქმე არ არის. ეტყობა, უფალს არ სურს, რომ შენ ნადირი ხოცო. ამიტომ ქვეყნის შემოქმედი ამგვარი ჩვენებით ნიშანს გაძლევს, რომ ამ საქმეზე ხელი აიღოო.

არ ვიცი, რამდენად მიესადაგება ჩემს მიერ აქ მოთხრობილი ამბავი იარაღის პოვნაში ჩემს მუდმივად ხელმოცარულობას, მაგრამ მაინც მგონია, რომ ამ შემთხვევაში ჩემზე ზედგამოჭრილია დიდი წინაპრის გაუხუნარი შეგონება: „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“-ო.

მიტოვებული სახლის ეზოში მე და ჩემმა ამხანაგმა ერთხანს ხელში ვატრიალეთ რევოლვერი. როცა იგი ბოლოს ჩემს ხელში აღმოჩნდა, სრულიად შემთხვევით, ისე რომ არც კი ვიცოდი შიგ ტყვიები იდო თუ არა, სასხლეტს თითი გამოვკარი. იარაღის ლულა პირდაპირ უმზერდა ჩემს მეგობარს: არ ვიცი, ბედის ასეთი რა წყალობა იყო, რომ ტყვია არ გავარდა.

ამის შემდეგ იარაღის ლულა შენობის კედელს მივუშვირე. ჩახმახს ხელი გამოვკარი თუ არა, ტყვია კედელში გაუჩინარდა.

არ მახსოვს, მაშინ რა დაგვემართა ან ერთს ან მეორეს, მაგრამ ახლა ღმერთს ათიათას მადლობას ვწირავ, რადგან დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ მან მიხსნა მეგობრის, მართალია, უნებლიე, მაგრამ მაინც აშკარა მკვლელობისა და მიუტევებელი ცოდვისაგან.

ამასობაში საიდანღაც ჟორას უფროსი ძმა, შოთა წამოგვაწყდა. თუმცა, მას არ გაუგია, რამდენიმე წუთის წინ ჩვენ რა ხიფათს გადავრჩით, მაგრამ იარაღით ხელში რომ დაგვინახა, ძალიან გაბრაზდა. განსაკუთრებით ძმას გაუჯავრდა, იარაღი წაართვა და შინ სულ ჯიგლიგით და კინწისკვრით გააგდო. ამის შემდეგ ის რევოლვერი არამც თუ ჟორას, არამედ მისი ძმის ხელშიც არასოდეს მინახავს.

რაც შემეხება მე, იმ ამბის შემდეგ, არამც თუ იმ წლებში, საერთოდ გამინელდა ყოველგვარი საბრძოლო იარაღისადმი ლტოლვა და ქონის სურვილი.

მონადირე

ჩემი მეგობრის, ჟორას მამა – პავლე ბიძია, ხელობით მეჩექმე გახლდათ. უნდა ითქვას, რომ მთელ მზისაში კი არა, ასე მგონია, მაშინდელ ქლუხორის რაიონში, ალბათ, სხვა მეორე ხელოსანი არ მოიძებნებოდა, ვინც მასავით მსუბუქი, მოხდენილი და გამძლე ჩექმის, ანუ, როგორც იმ დროს ქლუხორში ეძახდნენ, აზიაცკების შეკერვას შესძლებდა. ამიტომაც იყო, რომ მზისაში, თუ ახლომახლო სოფლებში თავმომწონე მამაკაცს თუ, საშუალება ჰქონდა, ჩექმა პავლე ბიძიასთან იკერავდა. (ნუ გაგიკვირდებათ, იმ დროში ჩექმა-აზიაცკები მოდაში იყო). ისიც გასათვალისწინებელია, რომ პავლე ბიძია არც მეძვირე გახლდათ. მეძვირე კი არადა, არცთუ მცირეთათვის ფეხსაცმელი ნახევარ ფასშიც შეუკერავს. არც ნისია მუშტარი აკლდა გამოცდილ ხელოსანს, რომელთაგან ბევრი, ჩექმას რომ გაცვეთდა, მერე მიუტანდა ხელობის საფასურს. მაგრამ მიუხედავად ასეთი დაგვიანებისა, პავლე ხელოსანს საყვედურის თქმა არ ჩვეოდა, რაკი ხედავდა, რომ ადამიანს ეკონომიკურად უჭირდა. ამასთან ისიც ხომ იცოდა, რომ კაცი უფეხსაცმლოდ ვერ ივლიდა. ალბათ, ამიტომაც ვერავის ეუბნებოდა ფეხსაცმლის ნისიად შეკერვაზე უარს.

უნდა ითქვას, რომ იმ დროს, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ფეხსაცმლის შესაკერი მასალის – როგორც საძირის, ისე საპირის შოვნა მეტად ძნელი იყო. ორივე, უფრო ხშირად, პატრონს თვითონვე მოჰქონდა. ხელოსანი მხოლოდ კერავდა, მაგრამ განა მარტო საძირე და საპირე მასალის შოვნა ჭირდა! მათზე არანაკლებ ძნელი საშოვი იყო ძირების შემოსაჭედი ლურსმანიც. მაშინ წებოს არ ხმარობდნენ. აქ პავლე ბიძიამ მეტად გონებამახვილურ, ორიგინალურ ხერხს მიაგნო: იგი არყის ხეს გარკვეულ ზომაზე დაჭრიდა, გაახმობდა და საჭირო სიგრძეზე, ასანთის ღერებივით წვრილად დახეთქავდა. მერე წვერს წაუმახავდა და იმით ფეხსაცმლის ძირებს ისე მარჯვედ და ოსტატურად შემოჭედავდა, იმაზე გამძლე დღეს ცნობილ ფირმებში შეკერილი ფეხსაცმელიც კი არ იქნება.

პავლე ბიძიას, ქლუხორის რაიონში მანამდე ეცხოვრა, სანამ იქ ქართველი მოსახლეობა დამკვიდრდებოდა. ახლობლებს იგი მხარეში სრულიად ყმაწვილი ჩაეყვანათ და ეს ხელობაც იქვე ესწავლა. ამიტომაც იყო, რომ ყარაჩაული ენა მშობლიური ქართულივით უნაკლოდ იცოდა. მზისაში

ყოფნისას ხშირად მინახავს თავის თანატოლ ყარაჩაელ ალი ბუტასთან ერთად წყაროს პირას ჩამომჯდარი და მის მშობლიურ ყარაჩაულ ენაზე ტკბილად მომუსაიფე.

საერთოდ, პავლე ბიძიას ხელი, მარჯვე ჰქონდა. ამას გარდა, იგი სოფელში ერთ-ერთი ცნობილი მონადირეც გახლდათ. მის ოჯახში ხშირად თავს იყრიდნენ მეგობარი მონადირეები სხვადასხვა სოფლიდან, მათ შორის, ზემო თებერდიდან ვასილ ბელაშვილი და ალიმა ბაინცუზოვი, მეთერთმეტე შახტიდან – ნიკო გოგოჩიშვილი და თომა ბაღაშვილი, აგრეთვე, ვასილ ლობჯანიძე სოფელ ბარიდან. ამათგან განსაკუთრებით მინდა, გამოვყო ვასილ ბელაშვილი. იგი ზედა თებერდაში თავის ვაჟთან – ვალოდიასთან ერთად ერთ-ერთ ცნობილ მონადირედ ითვლებოდა. თუმცა, როგორც ყველა მეთევზესა და მონადირეს, ფაქტების გაზვიადება მასაც გვარიანად სჩვეოდა.

ვასილ ბელაშვილს, მონადირეობის გარდა, ხის მხატვრულად დამუშავებაც ეხერხებოდა. მის მიერ ხისგან გამოთლილი ქვევრ-მარანი, როგორც ხალხური რეწვის ნიმუში, დღესაც ინახება სოფ. მირზაანში, ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმში. იგი სიცოცხლის ბოლო წლებში ამ სოფელში ცხოვრობდა და აქვე გარდაიცვალა ას ერთი წლის ასაკში.

პავლე მონადირე უფრო ხშირად ზემოთ ჩამოთვლილ მეგობრებთან ერთად ნადირობდა, მაგრამ არც თუ ძვირად, მარტოც დადიოდა სანადიროდ.

ქლუხორის მთებში ყოველგვარი ნადირი იყო, რაც კი კავკასიაში საერთოდ ბინადრობს. მათ შორის, ხალიანი ირემი, ჯიხვი, არჩვი, შველი. აღარაფერს ვამბობ კურდღელზე, რომელიც მზისაში უამრავი იყო. განსაკუთრებით მდ. თებერდის ჭალებში, ეს ჭალა სოფელს ზედ ეკვროდა, მაგრამ იქ მათზე მაშინ არავინ ნადირობდა. ან კი კურდღელზე სანადიროდ ვინ მოცდებოდა, როცა ქლუხორის ტყეები სავსე იყო არაერთი სხვა ჯიშის ნადირით. მაგრამ ყველაზე მეტად იქ გარეული ღორი იყო მომრავლებული.

ქლუხორის ტყეებში, ცხადია, მათ შორის, მზისაშიც, ღორების მომრავლებას პირველ რიგში, ხელი, ალბათ, იმანაც შეუწყო, რომ ადგილობრივი მუსულმანური მოსახლეობა ღორის ხორცს არ ჭამდა და, ცხადია, მათზე არც ნადირობდა. ამას გარდა, ის ადგილები ყარაჩაელების გადასახლების შემდეგ ქართველების ჩასახლებამდე, წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ხალხისაგან დაცლილი იყო. ბუნებრივია, ასეთ ვითარებაში ტყეში ნადირს, მათ შორის, ღორებსაც, გამრავლების იდეალური პირობები ჰქონდათ.

საზოგადოდ თუ ვიტყვით, ჩვენ, ადამიანები, უმეტესწილად მანამდე ვითმენთ ჩვენთვის მიუღებელ სხვათა ქმედებებს, სანამ ეს ქმედებები დადგენილ ზღვარს მეტისმეტად არ გასცილდება. ასე იყო მზისელების შემთხვევაშიც. ღორები, განსაკუთრებით პირველ წლებში, მათი სიმინდის

ნათესებს თითქმის პირწმინდად ანადგურებდნენ. ასე გასინჯეთ: მარტო სოფლიდან ასე თუ ისე მოცილებულ ნათესებს კი არა, ღამღამობით ეზოებთან ახლოს საკარმიდამო ნაკვეთებში შესვლასაც არ ერიდებოდნენ მანამ, სანამ მოსახლეობამ ხელში იარაღი არ აიღო და გათავხედებულებს ტყვიით არ გაუმასპინძლდა.

მზისაში ახლობლების მოსანახლებლად სტუმრად ნამყოფ ფროსია ლობჯანიძეს ღებში დაბრუნებისას თანასოფლელებმა ჰკითხეს თურმე, აქედან წასული ჩვენი ხალხი იქ, ქლუხორში როგორ ცხოვრობსო. ქალბატონი ფროსია ენამოსწრებული ქალი გახლდათ და ასე უპასუხნია: რა უშავთ, კარგად ცხოვრობენ, მხოლოდ ეგ არის, ღებელები თოხნიან და ტყის ღორები – ცოხნიანო, ე. ი. რასაც ღებელები თესენ, ღორები ანადგურებენო.

ამის გამოც თითქმის ყოველმა მეორე მამაკაცმა ნადირობას მიჰყო ხელი და ბევრმა მზისელმა ახალგაზრდამ დაიგდო მარჯვე მონადირის სახელი. მათ შორის, ცაცო გობეჯიშვილმა, მამა-შვილმა შოთა და გრიშა ლობჯანიძეებმა, ფრანგა გავაშელიშვილმა ყაითო და რაჟიკო ლობჯანიძეებმა, და სხვებმა. მაგრამ ძველ და ახალ მონადირეთაგან ერთ-ერთ პირველებად მაინც პავლე ბიძია, გრიგოლია გავაშელიშვილი და ლექსო ლობჯანიძე (ქუჩუენთი) ითვლებოდნენ. ლექსოს ღებშივე ჰქონდა მარჯვე მონადირის სახელი გავარდნილი.

მახსოვს, ზამთრის ერთ ნაგვიანევ დილას მე და დედამ საქონელს წყალი დავალევინეთ, ბოსელი დავასუფთავეთ და ბაგა თივით ავავსეთ. ამ საქმეს რომ მოვრჩით, სანამ ეზოში შევიდოდით, ორღობეში გამოსული პავლე ბიძია მოგვიახლოვდა. მოგვესალმა და ვითომ სხვათაშორის უთხრა დედაჩემს:

– სალომე, სანადიროდ მივდივარ და ახლა გამოჩნდება შენ და ეს შენი ბიჭი როგორი მეკვლე-მეფეხურები ხართო.

– პავლე, ჩვენი მეკვლეობა და მეფეხურეობა რას გიშველის ასე დაგვიანებით სანადიროდ მიმავალს. ამ საქმის ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ, როგორც მსმენია, ნადირს დადარაჯებული მონადირეები ღამეს სახუნდარში ათევენ, ან სანადიროდ დილაღამიანად მიდიან. სადაცაა შუადღე წამოვა და ამ დროს, მონადირის თვალის დასანახავად, რა ნადირი გაჩერდება ტყეში. – თავის მხრივ მიუგო დედამ.

– მართალი ხარ, სალომე, ეგ ასეა, როგორც თქვი. ნამდვილად შემაგვიანდა. სიმართლე გითხრა, არც ვაპირებდი სანადიროდ წასვლას, მაგრამ ახალი თოვლი რომ დავინახე, გულმა აღარ გამიძლო, შინ უქმად ჯდომას ტყეში გასეირნება ვარჩიე. წავალ, გავივლი, თუ ვერაფერს მოვინადირებ, გული არ დამწყდება, მუხლს მაინც გავმართავ და ცოტას გავერთობი კიდეც. – თავის მართლებასავით უპასუხა პავლე ბიძიამ.

– ნება შენია. ღმერთმა ხელი მოგიმართოს! – დალოცა დედა. პავლე მონადირე თავისი გზით წავიდა, ჩვენ კი შინ შევედით.

მოგეხსენებათ, ზამთრის დღე მოკლეა და, როგორც იტყვიან, მიხედვ-მოხედვაში ღამდება. დაღამებას ბევრი არაფერი აკლდა, ხელცარიელმა პავლე ბიძიამ ჩვენს ეზოსთან რომ ჩამოიარა. დედას აშკარად შეეტყო, რომ ხელცარიელი მონადირის დანახვა არ ესიამოვნა. საჩქაროდ შინ შესვლა დააპირა, ალბათ, იფიქრა, მეზობელმა არ მისაყვედუროს, რომ ვერაფერი მოვკალი, სულ თქვენი. – შენი და შენი შვილის ცუდი მეკვლეობის ბრალიაო. მაგრამ პავლე ბიძიამ დაასწო და სახეგაბადრულმა უთხრა დეიდას:

– სალომე, არ ვიცი, შემთხვევის ბრალია თუ შენი და შენი ბიჭის კარგი მეფეხურობის. ჯვარიგორს (ასე ერთ ადგილს დაარქვეს ღების მიბაძვით სოფლის უფროსებმა) ტყეში შესული არ ვიყავი, რომ რამდენიმე ღორს წავაწყდი და ყველაზე დიდი ტახი მოვკალი.

– მომილოცავს! – გაუხარდა დედას, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ კარგი მეკვლეები აღმოვჩნდით და მეზობელს საყვედურის საბაბი არ მიეცა.

– მართლაც მოსალოცად მაქვს, სალომე, საქმე, – უმალ დაემოწმა პავლე ბიძია. – მაგრამ მარტო ტახის მოკვლის გამო კი არა. ტყე-ტყე წამოსული შინ ვბრუნდებოდი, წინ რომ უშველებელი დათვი შემომეფეთა. ამას ნამდვილად არ მოველოდი. წელიწადის ამ დროს დათვს, წესით, ღრმად უნდა სძინებოდა. სხვა გზა მაინც არ მქონდა. შეიძლება, დავეტორე, დავასწარი და ორი სროლით ისიც მოვკალი. ასე კარგად დიდი ხანია, არ მინადირია. შენ კი დილას ეჭვი გეპარებოდა, ამ დროს რაღა სანადიროდ წასვლაა, კარგი მონადირე ახლა შინ უნდა ბრუნდებოდესო. – პავლე ბიძია დიდებულ გუნებაზე იყო იღბლიანი ნადირობის გამო. – ბედი თუ გწყალობს და საქმეც მარჯვედ წაგემართება, სადმე ადრე წახვალ თუ გვიან, რა ბედენაა!

– პავლე, ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ნანადირევი რა უყავი? – დაინტერესდა დედაჩემი.

– იქვე დავტოვე, სადაც მოვკალი. ახლა ხარებს შევაბამ მარხილში, გავბრუნდები და ორივეს ერთად ჩამოვიტან, – მიუგო პავლე ბიძიამ.

ასეც მოხდა. პავლე ბიძიამ მოკლული დათვი და ღორი დაბინდებამდე შინ ჩამოიტანა და ნადირის ხორცი ყველა მეზობელს უხვად უწილადა. რაღა თქმა უნდა, მათ შორის, ჩვენც, სხვებზე უპირველესად.

„ვერსად ვერ ნახავ ასეთ“

მზისელ ახალგაზრდებში უმაღლესი განათლების მიღების წყურვილმა ცოტა მოგვიანებით გაიღვიძა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი: ამის წყურვილი მათ მუდამ ჰქონდათ, მაგრამ მის განხორციელებას მოგვიანებით შეუდგნენ. ამას თავისი ობიექტური და, მასთან ერთად, სუბიექტური მიზეზებიც ჰქონდა, რაც ძირითადად, მათი ცხოვრების მძიმე ეკონომიკური პირობებით იყო განპირობებული. თუმცა, ამას გარდა, სხვა არაერთი ხელისშემშლელი გარემოებებიც არსებობდა. ბევრ მათგანზე ზემოთ უკვე ვისაუბრე და აქ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ მოკლედ აღვნიშნავ: იმ ახალგაზრდებიდან, ვინც იმ დროში უმაღლეს სასწავლებელში განათლების მისაღებად მზისადან დედაქალაქს მიაშურეს, პირველები ვალერიან და გრიშა ლობჯანიძეები იყვნენ. მერე მათ მაგალითს მომდევნო თაობის სხვა ახალგაზრდებმაც მიბაძეს, მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდა.



ვალერიან ლობჯანიძე

ვალერიან ლობჯანიძემ (ქუჩრუენთი) ღების საშუალო სკოლა დაამთავრა. ისეთი ახალგაზრდა ვინ ნახა, სამომავლოდ განსახორციელებელი ოცნებებით ცაში არ დაფრინავდეს. გამონაკლისი არც ვალერიანი გახლდათ. სხვა მრავალ ოცნებათაგან, მისი უპირველესი ოცნება და მიზანი უმაღლესში სწავლა იყო, მაგრამ იმ დროს მისი ცხოვრება ისე აეწყო, იძულებული გახდა, ერთხანს ღების საძიებო-გეოლოგიურ პარტიაში ფიზიკურად ემუშავა. კაცმა რომ თქვას, იგი არც ფიზიკურად მუშაობას თაკილობდა და არც შრომას გაურბოდა, მით უფრო, რომ ჯანლონით სავსე ახალგაზრდას ფიზიკური მუშაობა არც უჭირდა, მაგრამ ამით მისი მიზნის განხორციელებას დროებით რომ ხელი ეშლებოდა და გვიანდებოდა, ეს აწუხებდა. თავიდან რას იფიქრებდა, რომ სწორად ეს პირველი ნაბიჯები განსაზღვრავდა მთელ მის შემდგომ ცხოვრებას და უმაღლესში სწავლის გაგრძელების საქმეში ის აღმოჩნდებოდა გადამწყვეტი. ვალე-

რიანი თავიდანვე გულმოდგინედ მუშაობდა ღების საძიებო-გეოლოგიურ პარტიაში. მას არ შეეძლო საქმის უსულგულოდ კეთება და ჩვეულებას არც აქ ღალატობდა, მაგრამ როგორც დიდ საიდუმლოს, გულში სასოებით ატარებდა ცოდნის შეძენა-გაღრმავების გაუნელებელ წყურვილს და უმაღლესში განათლების მიღების იმედს.

ახლა ძნელია იმის თქმა, როგორ წარიმართებოდა ვალერიანის შემდგომი ცხოვრება და შეძლებდა თუ არა იგი თავისი მიზნის დროულად მიღწევას, მისი ბედის სასიკეთოდ წარმართვაში მნიშვნელოვანი როლი რომ არ ეთამაშა იმ დროს ღების საძიებო-გეოლოგიური პარტიის უფროსს, ბატონ მიშა ანჯაფარიძეს.

ბატონი მიხეილი, გარდა იმისა, რომ ღებში საძიებო-გეოლოგიურ სამუშაოებს ხელმძღვანელობდა, ამ სოფელთან მას ნათესაური ურთიერთობაც აკავშირებდა. მისი და – დიდებული ქალბატონი თამარ ანჯაფარიძე, ამავე სკოლის დირექტორის, ბენო გავაშელის მეუღლე და ღების სანაქებო რძალი იყო.

ქალბატონი თამარი ბარე ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ღების – ამ ურთულესი ბუნებრივი პირობების მაღალმთიანი სოფლის მოსახლეობის ჭირისა და ლხინის ერთგული გამზიარებელი ექიმი გახლდათ.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ სიტყვა „ექიმი“ აქ, ამ შემთხვევაში, ვგონებ, სრულად ვერ გამოხატავს იმ დიდ ღვაწლს, რაც ქალბატონმა თამარ ანჯაფარიძემ ღებში ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე, ამ სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვას დასდო. და არა მარტო – ღების მოსახლეობის! იგი ასეთივე გულისხმიერებით, პროფესიული ცოდნით და მონდომებით უწევდა დახმარებას მთის რაჭის სოფლების – ჭიორის და გლოლის მოსახლეობას. ხშირად თავსხმა წვიმასა თუ ზამთრის თოვა-ქარბუქში, დღე-ღამის განურჩევლად, ფეხით თუ ცხენით მისულა ავადმყოფთან, რომ მისთვის სამედიცინო დახმარება აღმოეჩინა და სიკვდილისგან ეხსნა.

დღეს იქნებ ბევრისთვის, თვით მისი კოლეგებისთვისაც კი შეიძლება ძნელად მისახვედრი იყოს ღების მოჭირნახულე მკურნალი ქალის ასეთი თავდადება, მაგრამ მაშინ სხვა დრო იყო. ადამიანებიც მოვლენებს სხვა თვალით უყურებდნენ და პროფესიული მოვალეობასაც სხვაგვარი გულმოდგინებით ასრულებდნენ. ალბათ, ამიტომაც არის, რომ მთის რაჭის სამივე სოფლის – ღების, ჭიორის და გლოლის მოსახლეობას დღემდე ახსოვთ და პატივს სცემენ ამ ქალბატონს მის მიერ ხალხის მიმართ გაწეული სამსახურისა და გამოჩენილი მზრუნველობისათვის.

ბატონი მიხეილი დაზე არანაკლებ შეეგუა ღებს და ღებელებს. ეს კუთხე მას დიდქართველური სიყვარულით უყვარდა და აქაური მოსახლეობაც მის მიმართ ასევე იყო განწყობილი. ღების საძიებო-გეოლოგიური პარტიის რიგითმა მუშამ, ჭიორელმა ვარდენ რეხვიაშვილმა ასეთი ექსპრო-

მტით გამოხატა თავისი პირადი და იქ მომუშავე არაერთი მუშის თუ ინ-ჟინერ-ტექნიკური პერსონალის დამოკიდებულება ბატონი მიხეილისადმი.

„მიშა კარგი კაცი არის,
კარგზე უფრო გვარიანი,
ენაცვალოს კალენიკე,
სვერდლენკო და ქვარიანი“

რამდენიმე ხნის შემდეგ ბატონ მიხეილ ანჯაფარიძის რჩევით და ხელშეწყობით ვალერიანმა მუშაობას თავი დაანება და სწავლის გასაგრძელებლად – მისი სანუკვარი ოცნების აღსასრულებლად – დედაქალაქს ეწვია.

მან ჯერ სავაჭრო-ეკონომიკური ტექნიკუმი დაამთავრა. შემდეგ იმავე განხრით სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

იმის თქმა, რომ ტექნიკუმშიც და უნივერსიტეტშიც წარმატებით სწავ-ლობდა-მეთქი, შეიძლება ზედმეტიც კი იყოს. სწავლას მოწყურებულმა, რაკი მიზანს მიაღწია, პროფესიის ღრმად დაუფლების საქმეს როგორ უღ-ლატებდა!

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ვალერიანის პედაგოგი დის – თამარის განსაკუთრებული თანადგომა, ხელშეწყობა და ყოველმხრივი დახმარება ძმისადმი მთელი სწავლის პერიოდში, რასაც ვალერიანი მთელი ცხოვრების მანძილზე დიდად აფასებდა.

მახსოვს, ზაფხულის არდადეგების დროს თბილისიდან მზისაში ვალე-რიანის ჩამოსვლა ჩვენთვის, მისი უმცროსი მეგობრებისათვის, როგორი ზეიმი იყო. იგი საქართველოდან შორს მყოფებს ენაწყლიანი ხალისი-ანობით გვიამბობდა დედაქალაქის ცხოვრების ამბებს. ეს იქნებოდა „დი-ნამოს“ სანაქებო თამაშთან დაკავშირებული დრამატული შემთხვევები, თეატრალური ცხოვრების წვრილმანები, ოპერაში რამე ახალი სპექტაკ-ლები, კინოს საოცრებები, თუ ქალაქური ჭორ-მართალი.

საუბარი ვალერიანმა მეტად მიმზიდველი იცოდა. ერთ რიგით, ჩვეულებრივ შემთხვევას ისე საინტერესოდ მოყვებოდა, ძალაუნებურად დაგაინტერესებდა და მოსასმენად განგაწყობდა.

ახლა შრომა როგორი გულიანი და ხალისიანი სჩვეოდა! რაც კი სო-ფელში საგლეხკაცო საქმე იყო, ყველაფერი ზედმიწევნით ეხერხებოდა. ტყესა თუ მინდორში სამუშაოდ გასულს თანასოფლელი გლეხკაცებისაგან ვერ გამოარჩევდი. არც რაიმე საგლეხკაცო სამუშაოს შესრულება ეთაკი-ლებოდა, აქაოდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობო. ეს არც არის გასაკვირი. საქმე ის გახლავთ, რომ ისეთი მთის სოფლებიდან გამოსულმა კაცმა, როგორიც ღები, ჭიორა და გლოლაა, თუნდაც აკადე-მიკოსი იყოს, ზაფხულობით მშობლიურ სოფელში ჩასულმა თავისი დიდ-

კაცობა დროებით უნდა დაივიწყოს, გლეხური ჩოხა-ახალუხით შეიმოსოს, ხელში ცელი და ცული აიღოს და ზამთარში საკუთარი ოჯახისთვის შეშა ჭრას და ბალახი თიბოს.

ვალერიანმა ეს დაუწერელი კანონი ზედმიწევნით კარგად იცოდა. ამიტომაც არდადეგებზე მზისაში ჩამოსული ისევე გულმოდგინედ მუშაობდა საკოლმეურნეო მინდორში, ტყესა თუ ოჯახში, როგორც ერთი ჩვეულებრივი რიგითი გლეხკაცი. მუშაობა მას, მართლაც, ხალისიანი, მარჯვე და ლაბა ხარივით გამწევი სჩვეოდა. სხვა რამეშიც, მაგრამ განსაკუთრებით თიბვაში ტოლს არავის უდებდა. უნდა ითქვას, რომ ღებსა და მზისაში ბალახის კარგი მთიბავი ისევე ფასობს, როგორც, მაგალითად, საქართველოს მთიანეთში – თუშეთში, მთიულეთსა და ხევში ცხვრის გამოცდილი სარქალი.

ვალერიანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სავაჭრო-ეკონომიკური ფაკულტეტი დაამთავრა და პროფესიის მიხედვით რიგით მუშაკად დაიწყო შრომა-საქმიანობა. ამ დარგში ყველა საფეხური გაიარა და ბოლოს რაიკავშირის თავმჯდომარედ იმუშავა დედოფლისწყაროში. მთავარი მაინც ის არის, რომ მაღალი ადამიანური ღირებულებებისათვის არასოდეს უღალატია. ზოგს ეს შეიძლება საეჭვოდ მოეჩვენოს, რადგან ყოფილ საბჭოთა კავშირში ვაჭრობის სფეროში მუშაობისას ძალიან ძნელი იყო მაღალი ზნეობის შენარჩუნება. და ამას ერთეულები თუ ახერხებდნენ, ვალერიანმა ბოლომდე შესძლო საკუთარი პრინციპების შენარჩუნება. ამიტომაც იყო, რომ კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა არსად და არასდროს მოჰკლებია.

მის მიერ უმწიკვლოდ გავლილ ცხოვრებას ზედმიწევნით მიესადაგება ტიციან ტაბიძის სულ სხვა გარემოში, დროსა და პიროვნებაზე დაწერილი სტრიქონები:

„ვერ ნახავ ვერსად
ასეთ ვაჭარს,
ვაჭარს ღვთისნიერს.
მთელ ქვეყანაზე
მარტო ერთი
ჩვენი ქვეყანა
გამოზრდის
ასეთ პატიოსან
კომისიონერს!!“

ვალერიანი მუდამ ხელგაშლილი იყო გაჭირვებულის მიმართ. მისთვის ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა დახმარების მთხოვნელი მისი ნაცნობი იყო თუ უცნობი. როგორც შეეძლო, ერთსაც უანგაროდ ეხმარებოდა და მეო-

რესაც. მეგობრები უყვარდა და მეგობრობაც უღალატო იცოდა. სუფრასთან და ცხოვრებაშიც ზედმიწევნით თავაზიანი, კარგი მოქართულე და ხალისიანი თამადა იყო. კარგი ქართული სუფრა და ქეიფი სიამოვნებდა. ღვინო წონასწორობას არასოდეს აკარგვინებდა. ლამაზი და მარილიანი ქართული სიტყვა ეხერხებოდა, ალბათ, ამიტომაც შვენოდა კიდეც მეგობართა ვიწრო წრეში, თუ ფართო საზოგადოებაში სუფრის თამადობა. ბოლომდე გამწევი სმა შეეძლო, მაგრამ არც რამე შეეშლებოდა და ვერც ღვინოს გადაჰყავდა თავის ჩვეულ წესზე. ჭირვეულ ხასიათზე არც მთვრალი და არც ფხიზელი არავის უნახავს.

სამსახურში ხელქვეითებთან ურთიერთობისას არც შეეძლო და არც ჩვეოდა განდიდებული უფროსის პოზიციიდან მბრძანებლური საუბარი. თავი მუდამ უბრალოდ ეჭირა, მაგრამ ამის გამო არც სამსახურში და არც საზოგადოების მხრიდან არასოდეს მოკლებია პატივისცემა.

ნაკითხიც იყო, წიგნი უყვარდა და ლიტერატურულ საკითხებშიც კარგად იყო ჩახედული. მწერლობით დაინტერესებულ კაცთან უმალ გამონახავდა საერთო ენას. როცა ადამიანებთან მის გულთბილ ურთიერთობებს ვიხსენებ, დარწმუნებული ვარ, რომ მისი ხასიათიდან გამომდინარე, მასწავლებლის კეთილშობილური პროფესია უფრო მოუხდებოდა. ან თუ გნებავთ, ღვთისმსახურებით ადამიანთა სულის განმწმედის და სიკეთის გზაზე დამყენებელი მოძღვრის მანტია. მიზეზთა და მიზეზთა გამო, მართალია, მას ბიბლია ღრმად არასდროს შეუსწავლია, მაგრამ მჯერა, რომ ვალერიან ლობჯანიძეს, მისი ცხოვრების რთულ გზაზე, უფლის ათი მცნებიდან შეგნებულად არც ერთი არ დაურღვევია.

მზისაში ცხოვრებისას ვალერიანს გამორჩეული მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ყველასთან, განსაკუთრებით კი – ბადრი და ნესტორ ლობჯანიძეებთან. ბადრი ასაკით ვალერიანის თანატოლი იყო. ნესტორი კი ორივეზე ბევრად უფროსი გახლდათ, თუმცა, ეს ხელს არ უშლიდა ვალერიანს ორივესთან ერთნაირი გულმხურვალეობით ემეგობრა. ნესტორს, მართალია, კლასიკური განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ ბუნებით არაჩვეულებრივად გონებაგახსნილი, ენამახვილი და უამრავი ძველი თუ ახალი საინტერესო ამბის მცოდნე იყო. მას ჩვევად ჰქონდა, სხვა უამბობდა რამე თავსგადახდილ შემთხვევას, თუ სხვებს თვითონ მოუთხრობდა, ამას, როგორც დასტურს, უთუოდ შესაფერ იგავს მოაყოლებდა. ასე მგონია, ვალერიანს მასთან სამეგობროდ უფრო მეტად ნესტორის ეს ნიჭი განაწყობდა. თავის მხრივ, ნესტორი და ბადრი მუდამ ცდილობდნენ, ვალერიანთან ერთს მეორეზე უფრო ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონოდა. ერთხელ ეს სურვილი ბადრისა და ნესტორის უკმაყოფილების მიზეზიც კი გახდა.

...რაღაცის გამო გაფიცხებულმა ნესტორმა ვერ მოითმინა და ბადრის უსაყვედურა, შენ ჩემსა და ვალერიანის მეგობრობას მიტმასნილი ხარო. ბადრიმ ეს ძალიან იწყინა და, თავის მხრივ, უფროს მეგობარს უკმაყოფი-

ლოდ უკიჟინა, მიტმასნილი მე კი არა, შენ ხარ. ჩვენ წლოვანებით თანატოლები ვართ და მეგობრობა ამის გამოც შეგვეფერება, შენთვის კი უმჯობესია, შენი ასაკის ხალხი მონახო და მათთან იმეგობროო.

ამაზე ნესტორმა ბადრის საკმაოდ მშვიდად მიუგო: – ახლა შენ ჩემზე განაწყენებული ხარ და შეიძლება არ მიიღო ჩემი შეგონება, მაგრამ მაინც გეტყვი: მეგობრობა სულთა კავშირი და, ასევე, სულიერი ნათესაობაა და ამ დროს იმას, თუ ვინ რა ხნის არის, მნიშვნელობა ნაკლებად აქვსო.

არ ვიცი, ბადრიმ დაიჯერა თუ არა მაშინ ნესტორის ეს ყურადსაღები შეგონება, მაგრამ ეს კი იყო, სამ მეგობარს სოფელი კვლავ, ჩვულებისამებრ, ყოველ დღე ერთად ხედავდა შეხმატკბილებულად მოსაუბრეებს.

ჩემო ვალერიან!

მე და შენი არაერთი უახლოესი მეგობარი მომსწრე ვართ, როგორი სასოებით ნატრობდი თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს ხილვას, მაგრამ ასეთი გაძვალტყავებულის, ფსევდოთავისუფალის, ყალბად დემოკრატიულის კი არა, როგორადაც ჩვენი საძშობლო ერთმა მუჭა გადაგვარებულმა ვიგინდარებმა ჯოჯოხეთად გვიქციეს, არამედ ნამდვილ თავისუფლებას, რომელზედაც დიდმა ილიამ ბრძანა, თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდელიო. ახლა შენ, დარწმუნებული ვარ, ზეციური საქართველოდან მთელი სულით და გულით ნატრობ ნამდვილი დამოუკიდებელი, ეკონომიკურად მდიდარი და თავისუფალი საქართველოს ხილვას. ღმერთმა ქნას, ეგ შენი წმიდათაწმიდა ნატვრა-სურვილი, ჩვენთვის, ამ ქვეყნად დარჩენილთა საკეთილდღეოდ მალე აგსრულებოდეს შენც, ჩემო ვალერიან, და მანდ ზეცაში შენსავით დავანებულ, აქ ჩვენზე, მიწიურ საქართველოს ბინადრებზე მლოცველ, არაერთ ცოცხალზე უფრო ცოცხალ, ქვეყნის მოჭირნახულე ღირსეულ მამულიშვილს!

მილიარდი

ვალერიანსა და მის ორ მეგობარზე რაც ზემოთ ვთქვი, სრულიად საკმარისად მივიჩნიე და, დარწმუნებული ვიყავი, რომ მეტად აღარ მომიწევდა მათზე საუბარი. მაგრამ შემდეგ გამიჩნდა სურვილი, ნესტორ ლობჯანიძის (ქეხსურეეთი) ცხოვრებიდან, იქნებ ზოგისთვის, ერთი შეხედვით, წვრილმანი, მაგრამ ამ კაცის ბუნებისთვის დამახასიათებელი რამდენიმე შემთხვევა მომეთხრო.

საუბარს ცოტა შორიდან დავიწყებ.

აქამდე არ მითქვამს და ამიტომ, ბარემ ახლა ვიტყვი: მიუხედავად იმისა, რომ ღებში ჩვენი ოჯახი სოფლის ერთ თავში ცხოვრობდა, ხოლო ნესტორისა – მეორეში, მას სხვა ჩემს თანატოლებზე ადრე, მზისაში ჩასახლებამდე ვიცნობდი.

ჩვენი გაცნობა კი ასე მოხდა: მაშინ ჯერ ისევ ღებში ვცხოვრობდით. ადრიანი გაზაფხული იდგა. მზე ნელ-ნელა იკრებდა ძალას, მიუხედავად ამისა, სოფელში და სოფლის გარშემოც, თოვლი ჯერ ისევ იდვა. თუმცა, კრიალა ცა და მომატებული მზის მცხუნვარება ადამიანებს – დიდებსაც და პატარებსაც – ყველას ერთნაირად აიმედებდა, რომ ზამთარსა და რილო-ჟრილოდ შემორჩენილ თოვლს დიდი დღე აღარ ეწერა. სხვა რამესთან ერთად, ამის დასტური ისიც გახლდათ, რომ სოფელი უკვე იჭერდა ხვნათესვისათვის თადარიგს. სანამ თოვლი სრულად დადნებოდა და გუთანი ნაზამთრალ მიწას თესლის მისაღებად გულ-მკერდს გადაუხსნიდა, მანამ ხალხს სავარგულებში მიწის გასანოყიერებლად მარხილებით ნაკელი შეჰქონდა, რომ ხვნის დროს სასუქი ნახნავ ქვეშ მოქცეულიყო. განოყიერებულ ნიადაგში ჩაყრილ თესლს საზრდო რომ არ მოჰკლებოდა და შემოდგომაზე გლეხკაცს თავისი ნაშრომ-ნაღვაწის შედეგი უხვად მიეღო. ეს მერე, დიდი ხნის შემდეგ შევიტყვე, თორემ როცა იმ წელს მიწასთან მოფუსფუსე ჩემს მშობლებს და მეზობლებს ვუყურებდი, ამის ბევრი არაფერი გამეგებოდა. იმ დროს ასე ხუთი-ექვსი წლის თუ ვიქნებოდი.

ერთხელაც ჩვეულებისამებრ, მე და ჩემი მეგობრები უკან ავედევნეთ სოფლიდან მინდვრებისკენ მიმავალ ერთ-ერთ მარხილს და, ვინც როგორც მოვახერხეთ, ზედ შევახტით. ხარები ნელი ტაატით მიათრევდნენ საკმაოდ მძიმე ტვირთს. ხარ-მარხილს გვერდით ზორბა ტანის მამაკაცი მიჰყვებოდა და

სახრის ქნევით და ხმამაღალი შეძახილით ცდილობდა პირუტყვის აჩქარებას, მაგრამ ამაოდ. გზა აღმა მიდიოდა, თოვლი ალაგ-ალაგ გარილებულიყო და ხარებს უჭირდა მიწაზე მარხილის თრევა. ამას ჩვენც ვემატებოდით.

მეურმემ არ ვიცი, ჩვენი მხიარული ხმა გაიგონა, თუ შემთხვევით დაგვინახა მარხილზე შემომჯდარ ბიჭებს, ხმამაღლა დაგვიტატანა და შესაშინებლად სახრეც მოგვიქნია. მუქარაზე დავფრთხით და მარხილიდან ფაცხაფუცხით გადმოვცვივდით. სხვებმა, ეტყობა, ჩემზე ადრე იგრძნეს საშიშროება და თავს დროულად უშველეს. მე მარხილიდან გადმოხტომა შემაგვიანდა და მოქნეული სახრის წვერი ბეჭზე მომხვდა. მემწვავა. სახრის დანარტყამიც და იმ კაცის განრისხებული სახეც სამუდამოდ ჩამრჩა გონებაში. მზისაში ჩასახლების პირველ დღეებში, სანახშოზე კაცებს შორის ჩამდგარი ჩემი გამწკეპლავი, უმალ ვიცანი. ეს კაცი ნესტორ ლობჯანიძე აღმოჩნდა, რომელსაც ყველა, არ ვიცი, მისდამი პატივისცემის გამოსახატავად, თუ იმის გამო, რომ რუსულ გარემოში ვცხოვრობდით და იქ ასე იყო მიღებული, ნესტორ მაქსიმიჩს ეძახდა. (თანასოფლელთა მსგავსად, მოდით, მეც ასე მოვიხსენიებ მას).

ის შემთხვევა და მისგან გადაკრული სახრის სიმწვავე არც მოზრდილობაში დამვიწყებია, მაგრამ ამის გამო წყენა ნესტორ მაქსიმიჩის მიმართ გულში არასოდეს გამივლია. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე და დიდი ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ერთმანეთს დავუახლოვდით, ძალიანაც მსიამოვნებდა მის მიერ მონათხრობი ხალისიანი ამბების, იგავების და ანეკდოტებით შეზავებული შეგონებების მოსმენა, რისი გადმოცემაც ასე ოსტატურად ეხერხებოდა.

დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, დაწყებითის გარდა, რა განათლება ჰქონდა. ვგონებ, არავითარი, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა, სასიამოვნო მოსაუბრე ყოფილიყო.

რევოლუციამდე ნესტორის მამა, მაქსიმე ლობჯანიძე ღების მაცხოვრის ეკლესიის დიაკონი ყოფილა. გადმოცემით, იგი სოფელში ერთ-ერთი განათლებული, ჭკუის საკითხავი და პატივცემული პიროვნება გახლდათ თურმე. ისევ გადმოცემის თანახმად, ღებში არავითარი სასოფლო, სამეზობლო საქმე თუ დავა ისე არ გარიგდებოდა, რომ ამ საქმეში ერთ-ორ გონიერ დარბაისელ ღებელთან ერთად, მაქსიმე დიაკონი არ ჩარეულიყო.

გეოგრაფიული მდებარეობისა და ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების გამო, მთის რაჭის მოსახლეობას, საუკუნეობით ჩამოყალიბებული მჭიდრო, საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან. ცხადია, ამ მხრივ გამონაკლისს არც ღებელები წარმოადგენდნენ. გამონაკლისს კი არადა, მცირე მიწიანობით შეჭირვებული ღებელები ამ მხარის მცხოვრებლებზე ბევრად უფრო აქტიურად ეტანებოდნენ, როგორც ჩრდილოეთ კავკასიის, ისე მის მიმდებარე რუსეთის სოფელ-ქალაქებს; ბევრი თანასოფლელივით, ნესტორს ახალგაზრდობა ნალჩიკში, ვლადი-

286 ᲓᲘᲓᲘᲜᲘᲡᲢᲘᲜᲘᲡᲘᲡᲘᲡ

მეორე ხელი მაქსიმიჩმა ვითომ გაჭირვებით მოიგო.

დარბაზი გამოცოცხლდა, დაიძაბა და ორთაბრძოლისადმი ინტერესმა იმატა.

დადგა გადამწყვეტი – მესამე რაუნდი, როცა დამარცხებულს თამაშის საფასური თანხა უნდა გადაეხადა, ხოლო გამარჯვებულს მაყურებელთა შექება დაემსახურებინა.

უცნობი ნესტორ მაქსიმიჩისთვის რამდენადაც სასიამოვნო იყო ეს გამარჯვება, მით უფრო მტკივნეული იქნებოდა რაიონში თამაში და თანამდებობით გაყოყოჩებული მილიციის უფროსისთვის ვიღაც შემთხვევით ადამიანთან დამარცხება. ალბათ ამიტომ არც ერთი, არც მეორე არ ისურვებდა წაგებულის მდგომარეობაში ყოფნას...

მაქსიმიჩმა ახლა უკვე მთელი თავისი ოსტატობა გამოავლინა და ბოლო პარტია ისე დაამთავრა, რომ მილიციის უფროსს ბილიარდის ბურთულებისთვის კიი ერთხელაც არ დაურტყამს. ასეთ რამეს არავინ მოელოდა. მაყურებელი უცნობი გლეხის მიმართ აღტაცებას ვერ ფარავდა.

მილიციის უფროსმა თანხა გადაიხადა და მაქსიმიჩს ჰკითხა:

– სადაური ხარ? – და ერთხელ კიდევ თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

– ღებელი. – მშვიდად მიუგო მაქსიმიჩმა.

– შევცდი. რომ მცოდნოდა, ღებელი იყავი, არავითარ შემთხვევაში არ გეთამაშებოდი. ასე კარგად სად ისწავლე თამაში? – ჰკითხა ბოლოს, მაგრამ პასუხს არ დაელოდა და თვითონვე დაუმატა: – თუმცა რას გეკითხები. ღებელებს ლამის ნახევარი მსოფლიო გაქვთ შემოვლილი. ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქებში – განსაკუთრებით ნალჩიკში, კისლოვოდსკში, პიატიგორსკში თუ სხვაგან, თითქოს კარის მეზობელთან გადასულხართ ისე დადიხართ. უცხო მხარეებში ნაკლებ ნამოგზაურები თუ ნაცხოვრები არც შენ იქნები და არაერთი კუთხის მომვლელ კაცს ბილიარდის თამაშის სწავლა რავა გაგიჭირდებოდა.

მწარედ წაგებამ გული დამწყვიტა, მაგრამ მაინც კმაყოფილი დავრჩი, ასეთ ოსტატურად მოთამაშეს რომ შეგხვდი. როცა ონში მოხვდე, მინახულე. დრო თუ მექნება, სიამოვნებით გეთამეშები.

სხვების ნაამბობს არც ნესტორ მაქსიმიჩი უარყოფდა. სანამ ქლუხორში წამოვიდოდი, ჩვენი თბილი ურთიერთობა მანამდე არ შეწყვეტილაო...



...თორემ სხვემს...

ნესტორ მაქსიმიჩს ჩვეად ჰქონდა: როცა ვინმეს საქციელი არ მოეწონებოდა, პირდაპირ შენიშვნას არ მისცემდა. ვითომ სხვათა შორის, მისთვის მიუღებელი ნათქვამის თუ ნამოქმედარის შესაფასებლად, მდგომარეობისადმი მისადაგებულ ანეკდოტს, ანდაზას ან ოგავს ისე ოსტატურად გაიხსენებდა და ჩაურთავდა, მსმენელიც კმაყოფილი რჩებოდა და ისიც, ვისაც ოგი ეხებოდა, კარგად ხვდებოდა ყველაფერს, ასე ირიბად რატომ შეაფასეს მისი უხეირო ნამოქმედარი. ასე რომ, ვინც ნესტორ მაქსიმიჩის სიტყვას კარგად დააკვირდებოდა, ბევრ ჭკუის სასწავლებელს იპოვიდა მასში. ამის სამაგალითოდ რამდენიმე შემთხვევას გავიხსენებ.

...მზისაში ერთი კაცი იყო, რომლის სახელის და გვარის გამხელა საჭიროდ არ მიმაჩნია. მას ჩვეულებად ჰქონდა სხვისი დაცინვა, აგირიზება და გამჭირდავი სიტყვებით დამცირება, თუმცა, თვითონ ოგი სხვებზე მეტად იმსახურებდა შენიშვნასაც, გაჭირდვასაც და დარიგებასაც. ნესტორ მაქსიმიჩს ის კაცი არ მოსწონდა, მაგრამ აშკარად თავისი დამოკიდებულება არასოდეს გამოუმჟღავნებია. და აი ერთ დღესაც, როდესაც ეს კაცი თავისი მეზობლების ქილიკს სანახშოზე საქვეყნოდ მოჰყვა, ნესტორ მაქსიმიჩმა დრო იხელთა და ვითომ სხვათა შორის თქვა:

– ერთმა კაცმა გადაწყვიტა სოფელ-სოფელ ევლო და თავისი და სხვების მიერ დაშვებული შეცდომა და ნაკლი აღერიცხა. ოგი ასეც მოიქცა. მხარზე ხურჯინი გადაიკიდა და გზას გაუდგა. როცა თვითონ რამე შეუფერებელ საქციელს ჩაიდენდა, ან საკუთარ თავს უმსგავსო ქმედებაში ამხელდა, ამის შესახებ ინფორმაციას ხურჯინის უკანა თვალში ყრიდა, ხოლო, როცა სხვების უხეირო ნამოქმედარს შენიშნავდა, ყველაფერს ხურჯინის წინა თვალში ათავსებდა, რომ უცხოთა ცუდი ნამოქმედარი მუდამ თვალწინ ჰქონოდა, საკუთარი კი ყველასაგან დაეფარა.

ვფიქრობ, რომ მაშინ ნესტორ მაქსიმიჩმა თავისი ოგავით თანასოფლელის აკვიატებული ხასიათის შესახებ ყველას უცნობს და ნაცნობის ზოგადი, მაგრამ საკმაოდ გონივრული მაგალითის მოხმობით მიანიშნა, კრილოვის ოგავისა არ იყოს, შენს თავზე რომ დაიხედო, ვგონებ, ის აჯობებსო. ვანა ცოტაა ისეთი, ვინც, სხვის თვალში ბეწვს ხედავს, ხოლო საკუთარში – დირესაც ვერა?!

მზისაში, სოფლისთვის სხვა აუცილებელ დაწესებულებებთან ერთად, საპარიკმახეროც იყო. მოგეხსენებათ, სადალაქოში სოფლისა იქნება ის თუ ქალაქის, ხალხი არ ილევა. ამ მხრივ გამონაკლისი არც მზისას სადალაქო იყო. განსაკუთრებით უქმე დღეებში იყო იქ ხალხმრავლობა.

სადალაქოში ერთი ახალგაზრდა კაცი მუშაობდა. მაკრატელს და სამართებელს დიდი ოსტატობით ხმარობდა და, როგორც ამ ხელობის ადამიანთა უმეტესობას, ენაც გვარიანად უჭრიდა. მაგრამ კლიენტთა მომსახურების კულტურას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა. სადალაქო ხშირად დაუველი იყო. ტანზე რამდენიმე კვირის გაურეცხავი ხალათი ეცვა და წვერის გასაპარსად თუ თმის გასაკრეჭად შემოსულ უცხოს თუ შინაურს ჭუჭყიან წინსაფარს აფარებდა.

ნესტორ მაქსიმიჩის მახვილ თვალს ეს არ გამოპარვია. და აი ერთ დღეს, როცა საპარიკმახეროში ხალხიც ბლომად იყო და დალაქიც შეუჩერებლად ატრიალებდა ალესილ სამართებელს და არანაკლებ ალესილ ენას, ნესტორ მაქსიმიჩი, ჩვეულებისამებრ, იქ შეკრებილი მეზობლების გასაგონად ვითომ სხვათაშორის მოჰყვა:

– რუსეთის ერთ მივარდნილ სოფელში, ისევე როგორც აქ, ჩვენთან, მზისაში, საპარიკმახერო იყო გახსნილი და დალაქოსტატს მუშტარიც არ აკლდა.

ერთხელ ამ ჩვენი დალაქის, – ნესტორ მაქსიმიჩმა მეზობლებს მზისელ დალაქზე მიანიშნა, – რუსმა კოლეგამ ერთ-ერთი მუშტარი რომ გაპარსა, მის ადგილზე დამჯდარ, სოფლისთვის უცხო პიროვნებას, სახეზე წინა უკვე ნახმარი, გაურეცხავი საპნიანი ფუნჯი წაუსვა. ამან უცხო კაცი ძლიან აღაშფოთა, ეს რას გავს, ნახმარი და გაურეცხავი ფუნჯით რომ მპარსავო.

პარიკმახერმა აინუნში არ ჩააგდო კლიენტის სამართლიანი აღშფოთება, პირიქით, მისი დამშვიდება ასეთი სიტყვებით სცადა:

– ამას ასე ძლიან ნუ განიცდი. შენ აქ შემოსულ კლიენტებზე ბევრად უფრო კულტურული კაცი ჩანხარ და ასე კარგად იმიტომაც გემსახურები, თორემ სხვებს საპონსაც არ ვუსვამ, სახეში ვაფურთხებ და ისე უსაპნოდ ვპარსავო.

ამ სტრიქონების წამკითხავს ბოდიშს ვუხდი ფურთხის ხსენებაზე. მაგრამ ნესტორ მაქსიმიჩმა იმაზე, რაც მზისელი დალაქის მეშაობაში არ მოსწონდა, სწორედ ამგვარი მოიარებით მიანიშნა და თან ამით ნამუსზე შეაგდო, რომ მთავალში როგორც საკუთარ პროფესიას, ისე მასთან მისულ კლიენტებს მეტი პატივისცემით მოპყრობოდა. ვერ ვიტყვი, რომ მზისას სადალაქო იმ დღის შემდეგ მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე სანიმუშო გახდა და ჩვენი დალაქიც უმალ მისაბაძ დალაქად გადაიქცა-მეთქი, მაგრამ უკეთესობა რომ საგრძნობლად დაეტყო სადალაქოს იერ-სახესაც და დალაქის მომსახურების კულტურასაც, ეს აშკარა იყო. იმ დროში სიტყვას ისევ ბევრ ადამიანებზე აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალა. შეიძლება დღეს ეს ბევრმა არ დაიჯეროს, მაგრამ... ეს ამ დროის ნაკლი და უბედურება იქნება და არა წარსულის.

ნაგვიანევი შესანდობარი

ამ მოგონებების წერისას გადაწყვეტილი მქონდა, ჩემი თაობის ნაცნობ-მეგობრებზე არაფერი მეთქვა. არავინ იფიქროს, თითქოს ამისთვის რამე განსაკუთრებული საჩოთირო მიზეზი გამაჩნდა და ამის გამო ვაპირებდი მათ უგულებელყოფას. ან მათ მიერ განვლილ ცხოვრებაში არაფერი იყო ისეთი საინტერესო და მნიშვნელოვანი, რაც მოსაგონებლად და ფართო საზოგადოებისთვის გასაცნობად ღირდა. პირიქით. საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისას ბევრმა მათგანმა, დიდი საქმე ებარა თუ მცირე, ისე იცხოვრა, თავისი მოქმედებით არც თავი შეურცხვენია, არც ოჯახი და არც ქვეყანა დაუზარალებია. მაგრამ ბოლო დრომდე (ასე გასინჯეთ, თვით ამ სტრიქონების წერის დროსაც კი) მეჩვენებოდა, რომ მეც და ისინიც კვლავ ისეთივე ყმაწვილები ვიყავით, როგორიც იმ წლებში, როცა მშობლიური სოფელი დავტოვეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში ჩვენს მიერ მზისად მონათლულ ქვედა თებერდაში დავსახლდით. ეტყობა, როგორც სულმნათი აკაკი ამბობს, „გული არ იშლის გულობას". გოეთე კი ბრძანებს, „ვინ თქვა სიბერე ბავშვობაში უკუსვლაა, პირიქით, სულის ამოსვლამდე ბავშვებად ვრჩებით" ალბათ, ამიტომაც არ გვსურს, შევეგუოთ თეთრად დათოვლილი ასაკის ავბედით სუნთქვას. თავი მუდამ ჭაბუკები გვგონია, მაგრამ უშანგი გავაშელიშვილის (ოთუკეეთი) გასახსენებელი სტრიქონების წერისას მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ ჩვენი ბავშვობიდან თურმე უზარმაზარი დრო გასულა და მეც და ჩემი თაობის ქლუხორელი ბიჭებიც ბევრად იმაზე ასაკოვანები გავმხდარვართ, ქლუხორში ჩასახლებისას ჩვენი მამები რომ იყვნენ.

ვერ ვიტყვი, რომ ამ „აღმოჩენაში" განსაკუთრებული სიახლე, არაბუნებრივი და, თუ გნებავთ, რამე საგანგაშო იყოს, მაგრამ იმის თვალნთლივ შეცნობამ და დანახვამ, რომ ჩვენი ბავშვობიდან დღემდე ადამიანური ცხოვრების უდიდესი ნაწილი უკვე გასულა და მამებზე უფრო დიდი ასაკისთვის მიგვიღწევია, უსიამოვნო ფიქრები ამიშალა, გული უნებურად დამწყვიტა და დამასევდიანა. მეორე მხრივ, ამან მაიძულა, მივმხვდარიყავი, რომ ვცდებოდი, როცა მეგონა, ჩემი ბავშვობის მეგობრებზე წერა ჯერ ნაადრევი იყო. განსაკუთრებით მათზე მაინც, ვისი სიცოცხლეც შედარებით ხანმოკლე აღმოჩნდა და თითქმის შუა გზაზე მაშინ შეწყდა, როცა ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებულებს როგორც ქვეყნისთვის, ისე საკუთარი ოჯა-

ხისთვის ბევრად მეტი სარგებლის მოტანა შეეძლოთ. ცხადია, მათ შორის, უშანგი გავაშელიშვილსაც. (აქ მინდა მცირე განმარტება გავაკეთო. ამ გვარის მატარებლები გავაშელიშვილებადაც იწერებიან და გავაშელებადაც. ჩემი ვარაუდით, მათი წარმომავლობა, კახეთის სოფელ გავაზთან უნდა იყოს დაკავშირებული და, თუ ეს ასეა, მაშინ თავდაპირველი ფორმა ამ გვარისა გავაზელი იქნებოდა, რომელიც დროთა განმავლობაში, გარკვეული მიზეზების გამო, გავაშელად ან გავაშელიშვილად გადაკეთდა. ღებში მცხოვრებ ამ გვარის წარმომადგენელთა უმეტესობა გავაშელიშვილობაზე დებს თავს. ნათქვამია, კაცია და გუნებაო, ვისაც რომელი სიამოვნებს, ის ატაროს. გვარი კი არა, კაცი ამშვენებს გვარსაც და ქვეყანასაც).

უშანგი გავაშელიშვილი (მარჯვნიდან პირველი) შინაურთა წრეში.

იმედია, ამ ერთგვარ ლირიკულ გადახვევას არავინ მიწყენს, რაც შეეხება დაწყებულ საუბარს, ვიტყვი, რომ მზისაში ღებიდან წამოსული ოთხმოცამდე ოჯახი ვცხოვრობდით. ბიჭების უმეტესობა ერთმანეთის თანატოლები ვიყავით. თუმცა, იყვნენ ისეთები, რომლებიც ჩვენთან შედარებით ორი-სამი წლით ან უფროსი იყო, ან უმცროსი, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლიდა, ერთმანეთთან გვემეგობრა. სხვაგვარად არც იქნებოდა. როგორც უკვე ვთქვი, მზისა რაიონის ცენტრს თვრამეტი-ოცი კილომეტრით იყო მოცილებული, ხოლო უახლოესი სოფელი – თხუთმეტით. მეგობრის ყოლის სურვილი, საზოგადოდ მეგობრობისაკენ სწრაფვა, ამაღლებული და ლამაზი გრძნობაა. იგი, ალბათ, ადამიანის ბუნებრივი ინსტინქტი, თუ უფრო მეტიც, თანდაყოლილი თვისებაა. ეს თვისება მეც და ჩემს თანატოლებს სხვებზე არანაკლები სიძლიერით გაგვაჩნდა და ერთმანეთთან თუ იმის გამო არ ვიმეგობრებდით, რომ ზოგი ჩვენზე უმცროსი იყო, ზოგიც უფროსი, ამ კეთილშობილურ გრძნობას სხვანაირად როგორ დავიკმაყოფილებდით! მზისა, უკვე ვთქვი, ერთი პატარა სოფელი იყო და ჩვენ, მზისელი ბიჭები იქ ჩასახლების პირველი დღიდანვე გავეცანით და დავუმეგობრდით ერთმანეთს.

მახსოვს, უშანგი გავაშელიშვილი თავიდანვე რაღაცნაირად გამორჩეული იყო ყველა ჩვენგანისაგან. ჩუმი, ხათრიანი ბიჭი გახლდათ, რაღაც განსაკუთრებული მამაკაცური ხიბლი ჰქონდა, რითაც ყველას გულს ად-

ვილად ინადირებდა. უშანგის მამა წლების განმავლობაში კომეურნეობას ედგა სათავეში, ეს იმ დროს დიდი და საპატიო თანამდებობა იყო. თავმჯდომარეს სოფლის რიგით ადამიანებთან შედარებით, დიდი უპირატესობა და, გარდა ამისა, მთავრობისგან მინიჭებული უფლებები გააჩნდა. მაგრამ უშანგის ეს უპირატესობა არასოდეს გამოუყენებია ჩვენთან დამოკიდებულებაში.

მრავალ რამესთან ერთად, უშანგისთან დაკავშირებით ერთი ამბავიც დამამახსოვრდა. თუ არ ვცდები, მაშინ იგი მეოთხე თუ მეხუთე კლასში სწავლობდა. ამ დროს, მგონი, გაცივდა, თუ არ ვიცი, რა მოხდა, ავად გახდა. საერთოდ, იგი ჯანმრთელი ბიჭი იყო. იმ ხნის მანძილზე, რაც მზისაში ვცხოვრობდით, მისი ავადმყოფობა არ გაგვიგია. ახლაც, ეტყობა არც თვითონ და არც უფროსებმა მის გაცივებას სერიოზული ყურადღება არ მიაქციეს. ავადმყოფობა გაურთულდა და იმაზე მეტ ხანს გაუგრძელდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. ამის მიზეზით ის წელი, მგონი, სკოლაში კიდეც გაუცდა. ამასაც მოგახსენებთ, ყურადღებას ამაზე რატომაც ვამახვილებ.

უშანგის სახლი მზისაში ზედ ქუჩის პირას იდგა. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ შინისკენ მიმავალთ უთუოდ მათ ჭიშკართან უნდა ჩაგვევლო. ამ დროს, უშანგი თითქმის მუდამ აივანზე იჯდა და პატეფონზე ქართული ხალხური სიმღერების ფირფიტებს უკრავდა (თუ არ ვცდები, ყოველ შემთხვევაში ასე მახსოვს, იმ დროს, ის პატეფონი სოფელში ერთადერთი იყო). ახლა რომ ახალგაზრდების უმეტესობა გადაგებულია იაფფასიან, მდარე უცხოურ მუსიკაზე და მშობლიური ჰანგების მიმართ ერთგვარ აგდებულ დამოკიდებულებასაც კი იჩენს, ჩვენ მაშინ ასე როდი ვიყავით. ისე არ ჩავივლიდით უშანგიანთ სახლის წინ, რომ ჯერ მეგობარი არ მოგვენახულებინა და მერე საათობით ვრჩებოდით მათი სახლის აივანზე და უდიდესი სიამოვნებით ვისმენდით ქართულ ხალხურ სიმღერებს. ქართული სიმღერებით ჩვენს მაშინდელ გატაცებას დღევანდელივით ბევრი რამე არ უშლიდა ხელს, მაგრამ რატომღაც ასე მგონია, და, არა მარტო მგონია, მჯერა, რომ მაშინ ჩვენ, მზისელ ბიჭებს, ყოველგვარი ეროვნულისადმი სიყვარულის გრძნობა განსაკუთრებულად გვქონდა გამძაფრებული. ერთი სიტყვით, თუ თანამედროვე ტერმინს დავესესხები, იმ დროს ჩვენი „დისკოთეკა“ უშანგი გავაშელიშვილის აივანი და მისი პატეფონი იყო. სკოლიდან წამოსულები მისი სახლის აივანზე გამართულ „კონცერტს“ მანამდე არ ვტოვებდით, სანამ ზედმეტად მოძალებული შიმშილი შინ წასვლისა და დანაყრების აუცილებლობას არ შეგვახსენებდა.

უშანგიმ ალალი და უღალატო მეგობრობა იცოდა და ბოლომდე ასეთადაც დარჩა ჩემს მეხსიერებაში. გაბრაზებითაც ძნელად თუ რამეზე გაბრაზდებოდა. საქმეს თუ მოევლებოდა, მუდამ იმას ცდილობდა, მშვიდობიანად მოეგვარებია სამეგობროში წარმოშობილი დავა თუ უსიამოვნება. მნიშვნელობა არ ჰქონდა, ეს უსიამოვნება, დავა თუ გაუგებრობა პირადად

მას შეეხებოდა, თუ ჩვენი სამეგობროს რომელიმე წევრს. ფიზიკურად ბეჭრზე ძლიერი იყო, მაგრამ ვინმეს დაჩაგვრა და დამცირება აზრად არასდროს მოუვიდოდა. სათქმელი და სასაუვედურო თუ რომელიმე ამხანაგთან ჰქონდა, პირდაპირ ეტყოდა და ამით თავდებოდა მისი წყენა. გულში ბოღმას არავის მიმართ არ იტოვებდა.

მზისას რვაწლიანი სკოლა ჩემზე და ჩემს თანატოლებზე ორი თუ სამი წლით ადრე დაამთავრა და სწავლა რაიონის ქართულ საშუალო სკოლაში განაგრძო. როცა მოგვიანებით მეც იმავე სკოლაში მომიწია სწავლა, უკვე ორივენი მოზრდილები ვიყავით და კიდევ უფრო დავმეგობრდით. ასეთი დამოკიდებულება შემდგომშიც არასოდეს გაგვიწყვეტია, თუმცა, დრომ და სივრცემ მერე და მერე ერთმანეთს ხანგრძლივად დაგვაშორა.

არ ვიცი, ვინმემ ურჩია, თუ თვითონ მიიღო გადაწყვეტილება, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, უმაღლესის ნაცვლად, (სამტრედიის რაიონის) დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ჩააბარა გამოცდები და სწავლა საბუღალტრო-ეკონომიკური განხრით განაგრძო. სიმართლე რომ ვთქვა, საქართველოდან საკმაოდ მოცილებულებს, მანამდე არც მე და, ვგონებ, არც ბევრ მზისელ ახალგაზრდას ასეთი ტექნიკუმის არსებობა საერთოდ არ გვსმენოდა.

ერთი-ორი წლის შემდეგ, უშანგის მიბაძვით, მე და რამდენიმე ჩემმა თანასოფლელმა: ბეჟან და კარლო ლობჯანიძეებმა, გურამ გობეჯიშვილმა და ზედა თებერდაში მცხოვრებმა, ჩვენმა თანატოლმა და მეგობარმა მიშა რეხვიაშვილმა დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს მივაშურეთ და ჩვენც იქ ჩავაბარეთ მისაღები გამოცდები. შემდეგ ჩვენს რიგებს ღებიდან შემოუერთდნენ გივი ლობჯანიძე (თვალოენთი) და ოთარ გავაშელი (ბზიკეენთი), რომელმაც შემდეგ სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და თითქმის მთელი ოცდაათი თუ მეტი წელი მშობლიურ სოფელში ჯერ კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ, სოფლების გამსხვილების და კომეურნეობების საბჭოთა მეურნეობებად გარდაქმნიდან მოყოლებული, დიდი წარმატებით, მეურნეობის დირექტორად მუშაობდა.

უნდა ითქვას, რომ სწავლის გასაგრძელებლად დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის არჩევით უშანგი გავაშელიშვილი ნამდვილად არ შემცდარა. ეს მისმა შემდგომმა ცხოვრებამ დაადასტურა და აი რატომ: საქმე ის გახლავთ, რომ 50-60-იან წლებში და შემდგომაც კარგა ხანს, საქართველოში მსგავსი პროფილის ტექნიკუმებს შორის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი პირველთაგანი მაინც იყო, როგორც სასწავლო-თეორიული სწავლების ორგანიზაციის მხრივ, ასევე, პრაქტიკული ჩვევების გამოსამუშავებლად საჭირო კეთილმოწყობილი ბაზითაც. იმ დროს ტექნიკუმს სათავეში ედგა მრავალმხრივ განათლებული, შინაგანი მოწოდებით და პროფესიული თვალსაზრი-

სით ფართოდ განსწავლული პედაგოგი, ასევე, იშვიათი ორგანიზატორული ნიჭის კაცი, აწ განსვენებული პოლიკო მიქაძე. იგი თავისი მოღვაწეობის სტილით და მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდის მიზანსწრაფვით მეცხრამეტე საუკუნის ცნობილ ქართველ მოღვაწეებს მოგვაგონებდა. ბატონი პოლიკო მიუკერძოებელი აღმზრდელის და გონიერი მშობლის პირუთვნელობით მომთხოვნი და შემფასებელი იყო თავისი მოსწავლეების ქცევის, ცოდნისა და ნიჭისა. უნდა ითქვას, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული სწავლა აღზრდის პრინციპი ერთგარ ტრადიციად იყო ქცეული დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მაშინდელი პედკოლექტივისთვის. ისინიც, თავიანთი დირექტორის მსგავსად, უდგებოდნენ ყოველგვარ საკითხს, რაც მოსწავლე-ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას და ქვეყისათვის ღირსეულ პიროვნებებად ჩამოყალიბების საკითხს შეეხებოდა. სტუდენტს როგორც კი სწავლის ნიჭსა და ცოდნის შეძენის სურვილს შეატყობდნენ, ყველაფერს იღონებდნენ, რომ მონდომებულ ახალგაზრდას მიზნის მიღწევაში ხელი არ შეშლოდა. მე თვითონ, სანამ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტს დავამთავრებდი, ოთხი წელი ვისწავლე ამ ტექნიკუმში და ზემოთ ნათქვამის ჭეშმარიტება'ში არაერთხელ დავრწმუნებულვარ. ეჭვი არ მეპარება, იგივეს დამიმოწმებს ყველა, ვისაც ბატონ პოლიკოს დირექტორობის დროს დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში უსწავლია.

ამის აღიარება გახლდათ ისიც, რომ ამ ტექნიკუმდამთავრებული ახალგაზრდები, რომელ უმაღლეს სასწავლებელშიც არ უნდა განეგრძოთ სწავლა, ყველგან მაღალი დონის ცოდნით გამოირჩეოდნენ. მათი მაღალკვალიფიციური პრაქტიკული საქმიანობა სრულად და ჰარმონიულად შეესატყვისებოდა მათსავე თეორიულ მომზადებას. ამის კიდევ ერთი დასტური ისიც გახლავთ, რომ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექცია, წინასწარი შეთანხმებით, თავის ხუთ-ხუთ ფრიადოსან სტუდენტს სწავლის გასაგრძელებლად აგზავნიდა მაშინდელი ქვეყნის ორ საუკეთესო უმაღლეს სასწავლებელში – ლატვიაში, რიგის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტსა და მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში, სადაც დიდი ჯიხაიშიდან წარგზავნილები, ტექნიკუმში შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გათვალისწინებით, უგამოცდოდ ირიცხებოდნენ. ეს განსაკუთრებული პრივილეგია გახლდათ და, როგორც ჩემთვის ცნობილია, მსგავსი შეღავათები საქართველოს არც ერთ ტექნიკუმს არ ჰქონია. ყოველივე ეს ტექნიკუმის დირექტორის, ბატონ პოლიკო მიქაძისა და მისი პედკოლექტივის მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის აღიარება გახლდათ.

ამ ტექნიკუმზე სიტყვა იმიტომ გამიგრძელდა, რომ მინდოდა, მეჩვენებინა, როგორი დონის სასწავლებელსა და ღირსეული პედაგოგების ხელ-

მძღვანელობით ეუფლებოდნენ უშანგი გავაშელიშვილი და, ასევე, ამავე ტექნიკუმის სხვა კურსდამთავრებულები ცოდნას ოთხი წლის განმავლობაში. უნდა ვთქვა, რომ თუ უშანგი საშუალო სკოლაში სხვა მოსწავლეებისაგან განსაკუთრებით არ გამოირჩეოდა, დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმში ჩარიცხვის პირველივე დღიდან იგი ამ ტექნიკუმის ერთ-ერთი ყველაზე წარჩინებული სტუდენტი იყო, როგორც სასწავლო საგნების ათვისებით, ისე დისციპლინით, რასაც ემატებოდა მისი მიღწევები სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ამიტომაც მოხდა, რომ ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ბატონმა პოლიკომ თავის საუკეთესო სტუდენტს ჯერ ურჩია, ხოლო შემდეგ მოთხოვა და დაარწმუნა კიდეც, რომ სწავლა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში განეგრძო.

ეს ასეც მოხდა.

აკადემიაშიც უშანგი ისეთივე გამორჩეული სტუდენტი და სპორტსმენი იყო, როგორც ტექნიკუმში. თუ არ ვცდები, იგი ერთადერთი მზისელი და, ასევე, ერთ-ერთი ღებელი ახალგაზრდა იყო, ვინც იმ დროს მეტად პრესტიჟული ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია დაამთავრა. აკადემიის წარმატებით დამთავრების შემდეგ მან ლამაზი ქართული ოჯახის შექმნა და სამი შვილის შეძენის მამობრივი სიხარულიც განიცადა.

უშანგი ჯერ ისევ მოსკოვში, აკადემიაში სწავლობდა, როცა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი დიდი პოლიტიკური მოვლენების გამო ქართულმა მოსახლეობამ ქლუხორის რაიონი დატოვა. იქ მცხოვრებ ქართველთა ერთი ნაწილი აფხაზეთში დასახლდა. მათ შორის უშანგი ოჯახიც. ცხადია, ახალ საცხოვრებელ ადგილზე დასახლებული აკადემია დამთავრებული, კვალიფიციური სამეურნეო დარგის მუშაკი დაუყოვნებლად ჩაება საზოგადოებრივად აქტიური ცხოვრების ფერხულში. წლების განმავლობაში მან არაერთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იმუშავა და თავისი მაღალი ადამიანური და პროფესიული თვისებებით ყველგან, ხელქვეითების თუ ჩვეულებრივი რიგით თანამშრომლების, გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

დრო კი მიდიოდა შინ და გარეთ კაცურ ცხოვრებაში, სადაც ვერც ვინმე რამეს დაამადლიდა უშანგის და ვერც საყვედურს ეტყოდა, აქაოდა, საქმე ისე ვერ გააკეთე, როგორც ქვეყანას სჭირდებაო. მავანს და მავანს, ქვეყნის მტერსა და ორგულს, არც მისი საქმეში კეთილსინდისიერება მოსწონდა დიდად და არც ქართული საქმისთვის გულმხურვალება. ასეთები, მართალია, თავიანთ დამოკიდებულებას უშანგისადმი ყოველთვის ხმამაღლა ვერ ამჟღავნებდნენ, მაგრამ თავის დროს მოუთმენლად ელოდნენ.

ჩვენდა სამწუხაროდ, ეს დროც მალე დადგა!

რუსეთის სპეცსამსახურების ხანგრძლივი და მიზანმიმართული მუშაობის წყალობით, ასევე, აფხაზ სეპარატისტთა დიდი მონდომებით, აფხა-

დიდი ჯიხაიშის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენთა ჯგუფი (მარცხნიდან მარჯვნივ) დგანან: იპოლიტე მიქაბერიძე, გურამ გობეჯიშვილი, მიშა რეხვიაშვილი, დიმიტრი ლობჯანიძე, გივი გობეჯიშვილი. სხედან: ჟორა ჩირგაძე, კარლო ლობჯანიძე, ბეჟან ლობჯანიძე, უშანგი გავაშელიშვილი და ილო ბუჩუკური. 1955 წ.

ზეთში წყალი დღითიდღე სულ უფრო მეტად იმღვრეოდა. ქართველი ხალხის მტრების მეცადინეობით აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის მიზანმართული შევიწროება იმაზე ბევრად უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე იქ პირველი საბედისწერო ტყვია გავარდებოდა. უშანგიმაც თავისი პრინციპულობის, საქმისადმი პატიოსანი დამოკიდებულების და უკომპრომისობის გამო ბევრჯერ იწვნია დევნა და შევიწროვება აფხაზი სეპარატისტებისა და მათი რუსი მფარველებისაგან. ბინძურ მედროვებთან არაერთხელ ჰქონია შეხლა-შემოხლა, მაგრამ უკან არასდროს დაუხევია და არც ზოგიერთივით თავისი ქვეყნის ინტერესების და უმაღლესი ადამიანური პრინციპებისთვის უღალატნია. თუმცა, დაუმსახურელად მიყენებულ წყენას, უკვალოდ არ ჩაუვლია. მის გულში წლობით ილექებოდა ცილისმწამებელ-

თა მიერ მიზანმიმართულად მიყენებული ტკივილი და, ბოლოს, ყოველივე ამან ავად იჩინა თავი. მისი ზნეკეთილი სული ვეღარ მოერია არაერთი ბოროტისა და ავისმზრახველისაგან მიყენებულ წყენას, რამაც ეს კეთილშობილი ადამიანი კიდევაც იმსხვერპლა.

ძმაო უშანგი!

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ჩვენ ერთმანეთს თითქმის აღარ შევხვედრივართ. მხოლოდ შორიდან ვიგებდით ურთიერთის ამბავს და იმედს არ ვკარგავდით, რომ ჩვენი გზები კვლავ შეიყრებოდა. ვაგლახ, რომ შენმა მოულოდნელმა და ნაადრევმა გარდაცვალებამ გვაიძულა, სიტყვა გაგვეტეხა სიტყვის გატეხვას არჩვეულებს.

შენი ამქვეყნიდან ნაადრევად წასვლასთან ერთად არანაკლებ დამწყვიტა, გული იმანაც, რომ უკანასკნელ განსასვენებლამდე ვერ მიგაცილე, რომ ერთი პეშვი მიწა მიმეყარა შენი საფლავებისათვის და ქართული წესისამებრ, ჭიქა ღვინით, შენდობა მეთქვა.

ეს მცირე წერილი შენც, ჩემო უშანგი და ასევე, ამ ქვეყნიდან შენსავით უდროოდ წასულმა ჩვენმა საერთო მეგობრებმა – გურამ გობეჯიშვილმა, კარლო ლობჯანიძემ, იპოლიტე მიქაბერიძემ, მიშა რეხვიაშვილმა და არაერთმა სხვამ, რომელთა სახელების ჩამოთვლას აქ მიზეზთა და მიზეზთა გამო ვერ ვახერხებ, თქვენს მდუმარე საფლავებთან წარმოთქმულ ნაგვიანევ შესანდობარად ჩამითვალეთ.

ჯაცი აბაშიძეს „გულაგი“-დან

ბელუხორის რაიონის ცენტრში ორი საშუალო სკოლა ფუნქციონირებდა – ქართული და რუსული. ორივე მათგანი სამსართულიან, კეთილმოწყობილ, კაპიტალურ შენობებში იყო განთავსებული.

რუსულ სკოლაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ იმდენად, რამდენადაც მე იქ არ მისწავლია და, აქედან გამომდინარე, იქაური ამბები დაწვრილებით არ ვიცი. ერთი კია, იმ დროს ქვეყანაში გამეფებული ახალგაზრდების სწავლა – აღზრდასთან დაკავშირებული უმკაცრესი მომთხოვნელობა როგორც ქართულ, ისე რუსულ სკოლაშიც კანონად იქნებოდა მიღებული. აქედან გამომდინარე, რასაც ქართულ საშუალო სკოლასა და მის პედაგოგებზე ქვემოთ ვიტყვი, საზოგადოდ, იგივე შეიძლება გავიმეოროთ რუსულ სკოლაზეც.

რაც შეეხება ქართულ საშუალო სკოლას, მიუხედავად თბილისიდან მისი ტერიტორიულად შორს ყოფნისა, ანუ ე. წ. პროვინციაში ფუნქციონირებისა, იგი არაფრით არ ჩამოუვარდებოდა რესპუბლიკის დედაქალაქის სკოლებს არც დისციპლინით, არც მოსწავლეების მიმართ მომთხოვნელობით და პედკოლექტივის პროფესიული დახელოვნებით. ჩემი მოსწავლეობის დროს სკოლის დირექტორი წლების განმავლობაში ალიოშა სანდუხაძე გახლდათ. წარმოშობით ქუთაისიდან იყო და მეუღლესთან და ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა რაიონში. ბატონი ალიოშა, როგორც იტყვიან, წარმოსადეგი, სასიამოვნო გარეგნობის პიროვნება იყო. შეიძლება ითქვას, ზომაზე მეტად სერიოზული, თუ გნებავთ, ამგვარივე მკაცრი ხასიათისა. მომთხოვნი როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებელთა მიმართ, მაგრამ როგორც მისმა ყოფილმა მოსწავლემ შემიძლია ვთქვა: მიუხედავად სიმკაცრისა, არავისგან მსმენია, უსამართლოაო. მკაცრი იყო-მეთქი, კი ვთქვი, მაგრამ შეიძლება, ეს სამსახურში მისთვის საჭირო პოზა გახლდათ, რათა სკოლაში მომთხოვნელობა და დისციპლინა არ შესუსტებულიყო („შიში შეიქმს სიყვარულსა“), თორემ სკოლის გარეთ, მეგობართა წრეში, ლხინის სუფრასთან იქნებ დიდებული მომლხენი, მომღერალი და ხალისიანიც იყო. თუ მხედველობაში მივიღებთ მის იმერლობას და ქუთაისელობას, მისთვის ლხინის სუფრა, მოლხენა და გულღიაობა, ალბათ, უცხო და შეუფერებელი არ უნდა ყოფილიყო. რაც შეეხება სხვა მასწავლებ-

ლებს, თითქმის ყველა მათგანი უაღრესად განათლებული, გამოცდილი და საქმის მცოდნე პედაგოგები იყვნენ, გარდა ერთისა – ისტორიის მასწავლებლისა. დღესაც მგონია, რომ ის კაცი შემთხვევით იყო მოხვედრილი სკოლაში და მოსწავლეების სწავლა-აღზრდა მისთვის ისეთივე უცხო ამბავი გახლდათ, როგორც, ვთქვათ, თავის დღეში ხელში თოფაუღებელი კაცისათვის აფრიკაში ლომებზე სანადიროდ წასვლა. ალბათ, ესეც იყო იმის მიზეზი, რომ სულ მალე, არ ვიცი, დაითხოვეს, თუ თვითონ მიანება თავი პედაგოგობას და სხვა სფეროში, კერძოდ, ვაჭრობაში გადაბარგდა სამუშაოდ. მის გვარსა და სახელს საგანგებოდ არ ვასახელებ, არ მინდა, საქვეყნოდ გამოვაშენო. ნურც იმას იფიქრებს ვინმე, თითქოს მასზე ნაწყენი ვიყო. სულაც არა, ისტორიას მუდამ კარგად ვსწავლობდი და ისიც და სხვა მასწავლებლებიც „ხუთიანზე" ნაკლებ ნიშანს სკოლაში არასოდეს მიწერდნენ. საქმე აქ ჩემს, ან სხვის ნაწყენობაზე არ არის. პედაგოგობა უაღრესად საპასუხისმგებლო საქმეა და ახალგაზრდებს დიდად განათლებული, ამავე დროს, პედაგოგიური ნიჭით დაჯილდოვებული და შინაგანი მოწოდების მქონე პიროვნებები უნდა ზრდიდნენ.

ისტორიის მასწავლებელს მზისას რვაწლიან სკოლაში სწავლიდან ვიცნობდი. იგი იმ დროს არ ვიცი, რაიონის განათლების განყოფილების გამგის მოადგილე თუ ინსპექტორი იყო. ჩვენს სკოლას ხშირ-ხშირად ეწვეოდა ხოლმე და საკმაოდ მკაცრი შემმოწმებლის სახელიც ჰქონდა დავარდნილი. ასე გასინჯეთ, მაგალითად, მზისას სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის ფრიად განათლებული მასწავლებელი მარია ნიკოლაევნა როგორც კი ფანჯრიდან ჩვენი სკოლისაკენ მომავალ იმ ინსპექტორ-შემმოწმებელს დაინახავდა, შემკრთალი გაგვაფრთხილებდა, არ იხმაუროთ, თორემ ჩვენს შესამოწმებლად „კრასნი ჩელოვეკ იდიოტ"– ო. სახის ფერის გამო ეძახდა ასე. იმ კაცს, გამოუსწორებელი ლოთივით, ერთთავად წითელი სახე და ცხვირი ჰქონდა. თუმცა, სმის გადამეტებული მოყვარული იყო თუ არა, არ ვიცი.

ისე კი, როცა თანამდებობა ნებას გაძლევს, შემოწმება სხვა არის, მოსწავლეების აღზრდა – კიდევ სხვა. ამაში უფრო მეტად მაშინ დავრწმუნდი, როცა მზისას რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა რაიონის სკოლაში განვაგრძე: აქ იგი ისტორიის „მასწავლიდა". გაკვეთილის ახსნისას ჩემმა ამხანაგებმა ხუთ წუთში მის მიერ წარმოთქმული 105 „ესე იგი" დაუთვალეს. აქედან გამომდინარე, თვითონ განსაჯეთ, როგორი ხარისხის იქნებოდა მის მიერ ახსნილი გაკვეთილი.

ერთხელ მან ერთ-ერთი ჩემი ამხანაგი ისტორიის კაბინეტში ინგლისის რუკის მოსატანად გააგზავნა. ჩვენმა ამხანაგმა რუკა განგებ თავდაყირა შემოიტანა. მასწავლებელმა ეს რომ დაინახა, უსაყვედურა, ეს რა წამოგიღია, ამ რუკაზე ინგლისს რა უნდა, ინგლისი მწვანე ფერისა არისო. იმ რუკაზე ინგლისი სხვა ფერით იყო დატანილი. მისი აზრით, ინგლისი აუცი-

ლებლად მწვანე ფერით ანუ როგორც ფიზიკურ რუკაზე დაბლობებია, ისე უნდა ყოფილიყო აღნიშნული.

მოსწავლეები უმალ ხვდებიან, რომელი მასწავლებელი როგორი მცოდნეა. არც ჩვენ, იმ „მასწავლებლის“ მოსწავლეებს, გაგვჭირვებია, მივმხვდარიყავით, როგორი განათლებული კაცი გვასწავლიდა ისტორიას. ვატყობ, აქ იმაზე მეტად გამიგრძელდა საუბარი, ვიდრე ვაპირებდი. დასასრულს ვიტყვი: შეიძლება ითქვას, ის ქლუხორის სკოლებში, ერთადერთი გამონაკლისი გახლდათ. ეტყობა, თვითონაც მიხვდა, რომ მასწავლებლობა მისი საქმე არ იყო და, როგორც უკვე ვთქვი, სულ სხვა სფეროში გადაბარგდა სამოღვაწეოდ.

სრულიად საწინააღმდეგო თვისებების გახლდათ ჩემი მათემატიკის მასწავლებელი, არტემ მარგალიტაძე.

ბატონი არტემი პირველად რომ ვნახე (ცხადია, გაკვეთილზე) იგი მაშინ ასე ორმოცი-ორმოცდახუთი წლისა იქნებოდა. საშუალო სიმაღლის, თხელი აღნაგობისა გახლდათ. ლამაზად დაყენებულ, ჭაღარაგარეულ ულვაშებს ატარებდა. თმაშიც ჭაღარა ჭარბობდა.

გაკვეთილზე შემოსული წინა დღის დავალებას ამოწმებდა თუ ახალი დავალება ჰქონდა მოცემული, სანამ ჩვენ მაგალითებს თუ ამოცანას ვხსნიდით, ის მერხებს შორის უხმო ნაბიჯით მიმოდიოდა, მაგრამ არავის არ უცქეროდა. ბეჭებში ოდნავ მოხრილს ამ დროს თავი ძირს ჰქონდა დახრილი. რომ შეგეხედათ, იტყოდით, ფიქრით სხვაგან არის და კლასში რა ხდება, მას სულ არ აინტერესებსო. სინამდვილეში, იქნებ ფიქრით, მართლაც, სხვა რამეზეც ფიქრობდა, ვთქვათ, საკუთარ წარსულს იხსენებდა, მაგრამ ერთი მისხალი რამ არ რჩებოდა შეუმჩნეველი, რაც საკლასო ოთახში ხდებოდა. იქნებ ღიად შენიშვნა ყოველთვის არ მოეცა ჩვენს ყმაწვილურ ეშმაკობაზე, მაგრამ თვალის არედან არაფერი ეპარებოდა. ფოსოში ღრმად ჩამჯდარი მისი თვალები რაღაც დიდ, სხვებისთვის მიუწვდომელ სევდას ფარავდა. სამაგიეროდ, მოსაუბრეს ერთგვარად ეშმაკურად, სულში ჩამწვდომად, იტყოდით, თითქმის დამცინავად უცქეროდა. მისი გამოხედვით თუ დინჯი, მოზომილი საუბრით ადვილად ვერ მიხვდებოდით, როგორი ხასიათი ჰქონდა. ერთი შეხედვით მშვიდი ბუნების, ურეაქციო გეგონებოდათ, რომელსაც ძნელად თუ რამე ააღელვებდა. იქნებ უმეტეს წილად ასეც იყო, მაგრამ სინამდვილეში, თუ ვინმე მიზეზს მისცემდა, სიფიცხეც არ აკლდა და მისი შემწუხებელი მეორედ არ ისურვებდა ამ კაცის წონასწორობიდან გამოყვანას.

ბუნებით კარჩაკეტილი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. იყო კიდევაც სიტყვაძუნწი. საკუთარ გულში ძნელად თუ ვინმეს ჩაახედებდა. თავისი გასაჭირის მით უფრო, საკუთარი წარსულის, გამხელა არ უყვარდა. საუბარში უაღრესად ფრთხილი და სიტყვამოზომილი გახლდათ, განსაკუთრებით რამეს, თუ ვინმეს შეფასებისას. ყველაზე მეტად პოლიტიკაზე

საუბარს, კამათს და მსჯელობას გაურბოდა. თუ მაინცდამაინც არ ასცდებოდა, კარგის მეტს არაფერს იტყოდა. მეტადრე, არსებული წყობილების და მთავრობის მიმართ. მერე თავს ჩაღუნავდა, თითქოს შერცხვა, ეს რა ვთქვიო და ისე ჩუმად, ერთგვარად გამქირდავად, გაიღიმებდა, რომ ვერ გაგეგო, გულში რას ფიქრობდა. კარგად თუ დაკვირდებოდით მის მოქმედებას, შეიძლება გეგრძნოთ კიდევაც, რომ გულში სხვას ფიქრობდა, თქმით კი სულ სხვას ამბობდა. თვით სიარულიც უხმო და ფრთხილი სჩვეოდა, თითქოს მონადირეა და ნადირს ეპარება, ან არ უნდა ვინმეს ყურადღება ზედმეტად მიიქციოს და ამით მდგომარეობა გაიუარესოსო.

ბატონ არტემს ცოლ-შვილი არ ჰყავდა. ყოველ შემთხვევაში, ქლუხორში მარტო ცხოვრობდა. მოსწავლეებმა მისი პირადი ცხოვრებისა და წარსულის შესახებ ბევრი არაფერი ვიცოდით. საკუთარ წარსულზე და პირად ცხოვრებაზე საუბარი არ უყვარდა. ამიტომაც ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, როცა ერთ დღეს კლასში შემოსულმა ფოტო გვაჩვენა. რომელზედაც აღბეჭდილი იყო თვალში საცემი სილამაზის ქალ-ვაჟი. დღემდე დამამახსოვრდა ვაჟის ცოცხალი, მამაკაცურად მომხიბვლელი სახის ნაკვთები, შავი თვალ-წარბი და, ასევე, შავი ულვაშები. ქალიშვილი კიდევ უფრო ლამაზი და მიმზიდველი იყო.

ესეც კარგად მახსოვს, როცა მოსწავლეები იმ სურათს ვათვალიერებდით და იგი ხელიდან ხელში გადადიოდა, თვითონ უხმოდ იდგა მაგიდასთან. გაბრწყინებული სახით და თვალებით შემოგვცქეროდა, თან სურათით ჩვენზე გამოწვეული ზემოქმედების გამო კმაყოფილი ტკბებოდა.

როცა სურათმა მთელი კლასი მოიარა და კვლავ დაუბრუნდა, მოკლედ გვითხრა, ესენი ჩემი შვილები არიანო. ამას რომ ამბობდა, თვალები უდიდესი ბედნიერებით უბრწყინავდა.

ახლა სად არიანო, დაინტერესდა რომელიღაც ჩვენგანი.

ბათუმში, დედასთანო, მოგვიგო ერთგვარი სევდითა და დამცხრალი ხალისით. ჩვენ არ ჩავძიებივართ, რატომ არ იყვნენ ისინი მასთან ერთად. ხმამაღლა არ გვითქვამს, თორემ დარწმუნებული ვარ, გულში ყველანი ამას ვფიქრობდით და ენის წვერზე ეს კითხვა გვიტრიალებდა. თუმცა, ქვეშეცნეულად ვგრძნობდით, ამგვარი კითხვა უხერხულობას გამოიწვევდა. ვფიქრობ, ეს მან ყველაზე უკეთ იგრძნო და საუბრის თემა რომ შეეცვალა, ჯიბიდან სხვა, მეორე სურათი ამოიღო და მოგვაწოდა. მასზე აღბეჭდილი იყო ახალგაზრდების ერთი ჯგუფი. როცა ამ სურათმაც იმ პირველივით მთელი კლასი მოიარა და კვლავ პატრონს დაუბრუნდა, ბატონმა არტემმა გვითხრა, ეს სურათი უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ არის გადაღებული. თან ამას განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, მე და ევგენი ხარაძე უნივერსიტეტში ერთად ვსწავლობდითო და ხელით გვანიშნა ფოტოზე მის გვერდით მდგომი ბატონი ევგენი. მოგვიანებით ისიც გავიგეთ, რომ ჩვენი მასწავლებელი, არტემ მარგალიტაძე უმაღლესის დამთავრების შემდეგ,

სხვა არაერთი ქართველი ინტელიგენტივით, ავადმოსაგონარ ოცდაჩვიდმეტ წელს დაეპატიმრებინათ.

ამის შემდეგ ჩემთვის და, ასევე, ჩემი ამხანაგებისთვისაც ცხადი გახდა, რომ მისი ზედმეტი სიფრთხილის, თავდაჭერილობის, ყველასა და ყველაფრის მიმართ დაეჭვების თუ უნდობლობის მიზეზი მის მიერ განვლილი ძნელი და მძიმე ცხოვრება იყო. ალბათ, ის ავადსახსენებელი ოცდაჩვიდმეტი წელი რომ არა, დარწმუნებული ვარ, ბატონი არტემის სახით საქართველოს კიდევ ერთი მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი ეყოლებოდა მათემატიკის დარგში.

ბატონი არტემი, როგორც პედაგოგი, ყველასაგან განსხვავებული გახლდათ. მოსწავლეებთან ურთიერთობის და სწავლების მეთოდებიც თავისებური ჰქონდა. არასოდეს კმაყოფილდებოდა სასკოლო სახელმძღვანელოებში დაბეჭდილი მაგალითების და ამოცანების ამოხსნით. მიაჩნდა, რომ ეს საკმარისი არ იყო მოსწავლისათვის მათემატიკურ მეცნიერებაში ფართო ცოდნის მისაღებად. იგი ხშირად ჩვენთვის უცნობი სახელმძღვანელოთი ხელში შემოსულა კლასში, მერხებს შორის მისთვის ჩვეული მშვიდი ნაბიჯებით თავდახრილს გაუვლ-გამოუვლია. მერე თავი აუღია, გადაუხედავს კლასისთვის, არ ვიცი, განწყობილების გასაგებად თუ სხვა რამ მიზეზით. შემდეგ ხელი ზევით აუწევია, წიგნი უჩვენებია და უთქვამს: აი, ამ წიგნში დაბეჭდილი ესა და ეს ამოცანა (მაგალითი) სვერდლოვსკის, ლენინგრადის, ირკუტსკის ან ვლადივოსტოკის მეცხრე კლასში გამოცდების დროს მოვიდა ამა და ამ წელსო. თან თხრობას განაგრძობდა: იქ მოსწავლეებმა ეს ამოცანა, ან მაგალითი ამა და ამ ხერხით ამოხსნეს. მაგრამ არსებობს მათი ამოხსნის კიდევ სხვა, უფრო მარტივი ხერხიც. მოდით, ვცადოთ, ვნახოთ, ვინ იყოჩაღებს და მიაგნებს იმ მარტივ ხერხს, რომლითაც ეს ამოცანა (მაგალითი) იხსნებაო.

ასეთი მეთოდით გვაინტერესებდა და ყველანი ვცდილობდით, მიგვეგნო და ამოგვეხსნა მასწავლებლის მიერ ჩვენთვის საჭილდაო ქვასავით შემოგდებული ჭკუა-გონების სავარჯიშო.

არ ვიცი, სწავლების ასეთი ხერხი და მიდგომა რამდენად მიღებულია პედაგოგიკაში, გამართლებულია თუ არა, ვთქვათ, მეცნიერულად, არც ის ვიცი, მაშინ იზიარებდნენ თუ არა მას სხვა მასწავლებლები, მაგრამ ჩვენ, მისი მოსწავლეები ამაში მიუღებელს ვერაფერს ვხედავდით და, ცოდნის გასაღრმავებლად, ეს ზედმეტად სულაც არ მიგვაჩნდა.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბატონი არტემის მოსწავლეებს შორის არაერთი იყო, ვინც დიდებულად ერკვეოდა მათემატიკური მეცნიერების რთულ ხვეულებში. ამის დასტური ისიც გახლავთ, რომ საქართველოს ამ შორეული, ქლუხორის რაიონის, თუ გნებავთ, პროვინციული საშუალო სკოლადამთავრებული მოსწავლეები საბჭოთა კავშირის დიდი ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებში, მისაღები გამოცდების დროს საკმაოდ მყარ

ცოდნას ამჟღავნებდნენ, სტუდენტები ხდებოდნენ და არც თავს და არც აღმზრდელ მასწავლებელს არ არცხვენდნენ. იმ დროს უმაღლესში ჩასარიცხად ფულს არავინ იხდიდა, ცოდნა იყო გადამწყვეტი.

იმასაც იგონებდნენ, გადასახლებაში მყოფ პატიმარ არტემ მარგალიტაძით როგორ დაინტერესდა ირკუტსკის მაშინდელი განათლების რაიონული განყოფილება და, სათანადო შემოწმების შემდეგ, ნება დართეს პედაგოგიური მოღვაწეობა განეგრძო იქაურ საშუალო სკოლაში. ხოლო იქ, პედაგოგთა წრეში, თუ როგორი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ბატონი არტემი, ამაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1953-1954 წლებში ქლუხორის რაიონში ოფიციალური წერილი მოვიდა, სადაც ყოფილ პოლიტპატიმარს და მასწავლებელს კვლავ ეპატიჟებოდნენ სკოლაში პედაგოგიური მოღვაწეობისთვის. დამერწმუნებით, ალბათ, ადგილზეც არ გაუჭირდებათ მცოდნე, გამოცდილი კადრის მონახვა, მაგრამ ეტყობა, ვისაც იცნობდნენ და ვისი ცოდნაც არ ეეჭვებოდათ, კვლავ მას უხმობდნენ თავისთან.

ბატონ არტემ მარგალიტაძეზე ამ მცირე მოგონების წერისას ტელეფონით დავუკავშირდი აკადემიკოს ევგენი ხარაძეს. ავუხსენი, შეწუხების მიზეზი. იგი იმ დროს ავად გახლდათ. მიუხედავად ამისა, ჩემს თხოვნას, ხომ არაფერს გაიხსენებდა თავის ყოფილ თანაკურსელზე, გულისხმიერად გამოეპასუხა, თუმცა, სამწუხაროდ, ვერაფერი ვერ გაიხსენა. იმჟამად ბატონი ევგენი, ისე ჩანდა, საკმაოდ მძიმედ იყო ავად. არადა დარწმუნებული ვარ, ბატონი ევგენის თუნდაც ერთი ფრაზა ბატონ არტემ მარგალიტაძის უნივერსიტეტში სწავლისა და სტუდენტობის წლებზე, უთუოდ გაალამაზებდა ამ ჩანაწერს, გაამრავალფეროვნებდა მის ბიოგრაფიას.

დიდი, ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ბატონი არტემის შესახებ არაფერი მსმენია. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ საგანგებოდ არც დავინტერესებულვარ, რომ გამეგო, ბოლოს როგორ წარიმართა მისი ცხოვრება. მისცეს თუ არა ნება, მიეტოვებინა პროვინციული ქალაქი და, როგორც თავისუფლ მოქალაქეს, საქართველოში სადაც სურდა, იქ ეცხოვრა. არ ვიცი, ქლუხორიდან ქართველი მოსახლეობის წამოსვლის შემდეგ მანაც მიატოვა უკვე შეგუებული ის ლამაზი და მყუდრო კუთხე, თუ დარჩა და ბოლომდე კვლავ იქ განაგრძობდა მოღვაწეობას.

ასე იყო თუ ისე, სრულიად შემთხვევით გავიცანი ერთი მისი მოგვარე და უმალ ჩემს ყოფილ მასწავლებელზე ვკითხე, არტემ მარგალიტაძეს ხომ არ იცნობ-მეთქი.

როგორ არა, მამაჩემის გარე ბიძაშვილი იყოო. თან ისიც დაუმატა, ქლუხორიდან ქართველების წამოსვლის შემდეგ მანაც, თურმე, დატოვა იქაურობა, მშობლიურ ბათუმში დაბრუნდა და ერთ დღეს, როდესაც ტახტზე წამოწოლილი ტელევიზორში რაღაც გადაცემას უყურებდა, მოულოდნელად ცუდად გახდა და სანამ სასწრაფო და ექიმი მოვიდოდა გარ-

დაიცვალაო. გული დამწყდა და ჩემთვის გავიფიქრე, ამაში მაინც გამართლებია მრავალგზის ნატანჯ კაცს, ღვთით, თავისიანებს შორის მშვიდი სიკვდილი რგებია-მეთქი.

სათქმელი, ალბათ, აქ უნდა შემეწყვიტა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა, მისგარდა, ზოგი რამ უფრო დაწვრილებით შემეტყო, განსაკუთრებით მისი ცხოვრების ბოლო წლებზე. ამის გამო ბათუმელ მეგობრებს ვთხოვე, მოეძებნათ ბატონი არტემის შვილები, რომ გამომხმაურებოდნენ. მინდოდა, საკუთარ მამაზე მათი მონათხრობით შემევსო ეს ნაამბობი. ამასთან ერთად, გამოეგზავნათ ოჯახთან ერთად გადაღებული ფოტოსურათი, მაგრამ ამაოდ. მეგობრებმა მაცნობეს, რომ ასეთი გვარსახელის კაცს ბათუმში ვერსად მივაკვლიეთო. გული დამწყდა, მაგრამ რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, ძიება შევწყვიტე და იმით დავკმაყოფილდი, რაც ზემოთ გავიხსენე.

უკმაყოფილო არ დარჩენილა

ქალუხორის რაიონში ე. წ. „მეორე თაობის“ ჩამომსვლელ-მომნახულებელთა შორის ოთარი გავაშელიც (გავაშელიშვილი, ბზიკეენთი) იყო. იგი იმ დროს, ასე, ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა. ამ ასაკში ადამიანთა უმეტესობას ოცნებებით შემოვლილი აქვს თითქმის მთელი ხილული თუ უხილავი სამყარო და მერე იმასაც ცდილობს, ბევრი რამ სინამდვილედ აქციოს.

ცხადია, ღებიდან საქართველოს ამ ახალ რეგიონში გამგზავრებისას ოთარ გავაშელი იქ სამუდამოდ არც დასახლებას აპირებდა და არც დარჩენას. მაშინ, როგორც ახალგაზრდა კაცს, მოგზაურობის და უცხო ადგილების მოხილვის სურვილი და მისწრაფება უფრო ჰქონდა, ვიდრე სადმე დასახლების განზრახვა.

მზისაში ღებიდან გადმოსახლებულთა შორის ახლო ნათესავებიც ჰყავდა და ნაცნობ-მეგობრებიც. ერთი სიტყვით, ჩამოვიდა, რომ ყველა ეს ხალხი მოენახულებინა, ის სოფელიც ენახა, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და მერე... მერე საითაც გული გაუწევდა, იქით წასულიყო.

მზისაში ოთარმა, ძველ ნაცნობ-მეგობრებთან ერთად, ახლებიც საკმაოდ გაიჩინა. განსაკუთრებით თავის თანატოლებს შორის, მაგრამ ეს ჩვენი ნაცნობ-მეგობრობა დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი მალე კვლავ ღებში, მშობლებთან დაბრუნდა.

ამის შემდეგ ერთმანეთს რამდენიმე წელი არ შევხვედრივართ. და აი, ერთ დღეს, დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმში სწავლისას, მე და ჩემს მეგობრებს – ბეჟან და კარლო ლობჯანიძეებს, მიშა რეხვიაშვილს და გურამ გობეჯიშვილს იგი გივი ლობჯანიძესთან ერთად (თვალოენთი) გვეწვია. მას და გივის ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ესწავლათ და, როგორც ამგვარ სასწავლებელთა შორის ყველაზე პრესტიჟულში, დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში გადაეწყვიტათ სასწავლებლად გადმოსვლა.

ჩვენ, მათ ძველ მეგობრებს, ამის საწინააღმდეგო აბა, რა უნდა გვქონოდა. პირიქით, ძალიანაც გაგვიხარდა და მეორე დღესვე ტექნიკუმის დირექტორთან, ბატონ პოლიკოსთან მივყევით და, ერთგვარი რეკომენდაციის გაწევის შემდეგ, ვთხოვეთ, ორივე მიეღო ტექნიკუმში.

ბატონ პოლიკოს წესად ჰქონდა, ყველასთვის მოესმინა, მაგრამ სანამ თვითონ არ დარწმუნდებოდა სხვა სასწავლებლიდან მოსული ახალგაზრდის ღირსებებში, ისე მას ტექნიკუმში არ ჩარიცხავდა.

ოთარის და გივის ზოგი რამე იქვე გამოჰკითხა ბატონმა პოლიკომ. როგორც ჩანს, არაერთი „წვრილმანი“ მათ გარეშეც დააზუსტა და, ბოლოს, ორივენი ჩარიცხა ტექნიკუმში. „მხოლოდ... წარჩინებით უნდა ესწავლათ, დისციპლინა არ დაერღვიათ, რამე უხეირობასა და უსაქციელობაში შემჩნეული არ უნდა ყოფილიყვნენ და ამის შემდეგ თუ სპორტშიც თავს გამოიჩენდნენ, მისგან ყურადღება არ მოაკლდებოდათ“

ოთარი გავაშელი (მარჯვნივ) მეგობართან ერთად.

შეთანხმების დაურღვევლად გაილია ტექნიკუმში სწავლის წლები. ბოლოს ორივე მხარე კმაყოფილი იყო: ტექნიკუმის დირექტორი და პედკოლექტივი – თავისებურად, სტუდენტ-ნასტუდენტარები, როგორც სრულყოფილ სწავლა-განათლება მიღებულები, – მისებურად.

ოთარ გავაშელმა შემდეგ სოხუმის ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა და სწავლა-გასრულებული მშობლიურ რაიონს და სოფელს დაუბრუნდა. აქ იგი ღების კოლმეურნეობაში პრაქტიკული საქმიანობით ამყარებდა ტექნიკუმსა და უმაღლეს სასწავლებელში მიღებულ ცოდნას.

ცხოვრება, როგორც ჩვენი პირადი, ისე მთლიანად ქვეყნისა თუ ერთი რომელიმე რეგიონის, ყოველდღიური ცვლილებების ჯამია. ამ მხრივ საერთო წესიდან გამონაკლისს არც ონის რაიონი და სოფელი ღები წარმოადგენდა. მოხდა ისე, რომ სოფელში კოლმეურნეობის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი დადგა და რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ არჩევანი ოთარ გავაშელზე შეაჩერა. – ადგილობრივი კადრია, უმაღლესი განათლების მქონე, ახალგაზრდა, ენერგიული. სოფელსა და იქ მცხოვრები ხალხის ხასიათს იცნობს და საქმეს უთუოდ კარგად გაუძღვება. თუ ვერ გაუძღვება, როგორც არაერთი გაგვინთავისუფლებია სამსახურიდან და პასუხიც მოგვითხოვია, ისე მასაც გავანთავისუფლებთ და, ცხადია, თუ დარღვევები ექნება, პასუხსაც მოვთხოვთ, ხოლო მის შემცვლელს – სხვას მოვნახავთო.

ასეთი ფიქრისა და ხმამაღალი მსჯელობის შემდეგ ოთარ გავაშელს რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ ღების კოლმეურნეობის თავჯდომარეობაზე რეკომენდაცია გაუწია.

უნდა ითქვას, რომ ოთარს არც მონდომება და არც საქმის კეთების სურვილი ნამდვილად არ აკლდა, მაგრამ სოფლის გაძღოლისათვის მარტო ეს არ იყო საკმარისი. რაღაც უფრო მეტს მოითხოვდა იმ მძიმე და პასუხ-

საგები ტვირთის აწევა, რაც მას დააკისრეს. ცხადია, თუ სურდა, რომ თავი არ შეერცხვინა, ყველაფერი უნდა ეღონა და საქმე გონივრულად წარე-მართა, მშობლიური სოფლის საკეთილდღეოდ.

ოთარ გავაშელს თავიდან კოლმეურნეობის მართვის რთულ მექანიზმში ბევრი რამ იქნებ ბოლომდე გაცნობიერებული არ ჰქონდა, მაგრამ ის კი კარგად იცოდა, რომ მშობლიური სოფლის თავკაცობას ორი მხარე აქვს: ერთი სასიამოვნო, ხოლო მეორე – უსიამოვნო.

სასიამოვნოა, რომ შენმა მშობლიურმა ხალხმა სხვებისგან გამოგარჩია, გენდო, შენი იმედი აქვს და ეს იმედი არ უნდა გაუმტყუნო. მაგრამ, ერთი შეხედვით, ამ მიმზიდველი ტვირთის უსიამოვნო მხარე ის გახლდათ, რომ საერთო საქმეში ყველას ვერ აამებ და ასეთ შემთხვევაში შეიძლება არა-ერთი შენი თანასოფლელი – მეზობელი, მეგობარი, თუ ნათესავი უკმაყო-ფილო დაგრჩეს.

წლების განმავლობაში მრავალი ასეთი შემთხვევა ჰქონია, მაგრამ ოთა-რმა ყველაფერს გაუძლო იმ ოცდაათი წლის თუ მეტი დროის მანძილზე, რაც იგი ჯერ ღების კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, ხოლო სოფლების გაერთიანების შემდეგ – საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

კი ბატონო, არც უნებლიე შეცდომებისგან ყოფილა დაზღვეული, მაგრამ ისეთი არაფერი შეშლია, რომ მისი გამოსწორება არ შეძლებოდა. ყოველ შემთხვევაში წინასწარი განზრახვით სოფლისათვის საზიანო ნაბიჯი შეგნებულად არასოდეს გადაუდგამს, თორემ, მას სათანადო პასუხისმგებ-ლობაც უთუოდ მოჰყვებოდა. რაც შეეხება უნებლიე შეცდომას, ეს ყველას შეიძლება მოუვიდეს.

სადაც კი უმუშავნია ოთარ გავაშელს, მიუხედავად ერთგვარი ფიცხი ხასიათის და სიმართლის პირში თქმის, რაც ყველასთვის და ყოველთვის არ არის სასიამოვნო მოსასმენი, განსაკუთრებით ხელმძღვანელი თანამდე-ბობის პირთათვის, ადამიანების სიყვარული და პატივისცემა არასოდეს მოკლებია.

კიდევ ერთი თვისება, რაც ოთარს, როგორც პიროვნებას, სხვებისგან გამოარჩევს, – ეს არის გულითადი მეგობრობა, გასაჭირში გვერდში დგომა, მშობლიური კუთხის დიდი სიყვარული და... საჭირო დროს და შემთხვე-ვაში კარგ ქართულ სუფრასთან, მეგობართა წრეში, გულიანი მოლხენა.

დიდებული ქართული ოჯახის შამას და რამდენიმე შვილიშვილის ბა-ბუას დღეს ამაყად შეუძლია თქვას, რომ ამ ხნის მანძილზე არც პირად ცხოვრებაში და არც საზოგადოებრივ საქმიანობაში უქმად ნამდვილად არ გახარჯულა.

ამ სტრიქონების წერისას დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის დირექტორის, ბატონ პოლიკო მიქაძის ნათქვამი სიტყვები მახსენდება: მე კარგად მესმის, რომ ყველა ჩვენი ტექნიკუმდამთავრებული ვერც ნიკო მამაიაშვილის და ვერც მიხაკო ორაგველიძის დონის ხელმძღვანელი ვერ იქნება, მაგრამ ჩვენი

აღზრდილების თითო ჯგუფიდან ერთი-ორი მათთან მიახლოებული სოფლის მეურნეობის მუშაკიც რომ გამოვიდეს, მეც და ტექნიკუმის პედ-კოლექტივსაც შეუძლია, თავი კმაყოფილად იგრძნოს და ჩვენი კურსდამთავრებულებით ვიამაყოთო.

დარწმუნებული ვარ, განსჯის საშუალება რომ ჰქონდეს, ბატონი პოლიკო უკმაყოფილო არ დარჩებოდა მისი ნამოწაფარ-ნასტუდენტარ ოთარ გავაშელის მიერ ოცდაათ წელზე მეტი ხნის მანძილზე გაწეული პირადოჯახური თუ საზოგადოებრივი საქმიანობით.

...და ჩადგა ქარი

ნათქმელს მცირე შესავალს წავუმძღვარებ.

მგონია, რომ საზოგადოდ, ადამიანები თავიანთ ბუნებით ერთფეროვნებას დიდხანს ვერ ეგუებიან. იქნებ ესეც იყოს ერთ-ერთი მიზეზი, რომ საცხოვრებელ ადგილს ერთგვარი აზარტითაც კი იცვლიან. ხალხთა დიდი გადასახლებებიდან დღემდე მსგავსი შემთხვევები არაერთხელ ყოფილა. ამის ერთ-ერთ მაგალითად დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებთან დაკავშირებული ამბებიც შეიძლება გამოდგეს, რის შედეგად მჭიდროდ დასახლებული დედამიწის არაერთი ადგილი, ერთი მხრივ, ჭარბი მოსახლეობისგან განიტვირთა და, მეორეს მხრივ, ახალ ქვეყანაში ჩასულ ადამიანებს ღვთით ბოძებული ინდივიდუალური ნიჭისა და ცხოვრების უნარის გამოვლენის საუკეთესო შესაძლებლობა და პირობები შეექმნათ.

ამის დასტურად ამერიკის კონტინენტის აღმოჩენა და იქ ქვეყნიერების სხვადასხვა კუთხიდან დაძრული ადამიანების დასახლებაც იკმარებს.

ამ ქვეყანაზე ყველაფერი შედარებითია. თუ ზემოთ ნათქვამს ნაწილობრივ მაინც გავიზიარებთ, მაშინ, ასევე, პირობითად, ჩვენს დროში, ანუ 1944 წლის მოვლენების შემდეგ ქლუხორის რაიონში საქართველოდან დიდი რაოდენობის მოსახლეობის ჩასვლა და მათი იქ დაბინავება ხალხთა მცირე გადასახლებადაც შეიძლება ჩაითვალოს. მხოლოდ მცირე გადასახლებად, თორემ...

საქართველოსათვის ამ ახლადშემოერთებულ რაიონში სხვადასხვა კუთხიდან ჩასული ადამიანები ადგილობრივ პირობებს კარგად შეეგუვნენ. ზოგიერთი იქ პირველი დღიდან დაემკვიდრა, ნაწილი შემდგომ წლებში შეუერთდა ადრე ჩასახლებულებს და „ძველებმაც“ და „ახლებმაც“ შეხმატკბილებულად დაიწყეს ცხოვრება.

ვალერიან ალხიძეს თავიდან არც უფიქრია ღების მიტოვება და რაჭიდან ასე შორს, ქლუხორში დამოუკიდებლად წასვლა. თუმცა, მასაც, როგორც სულით ხორცამდე რაჭველს, მოგზაურობის და უცხო მხარეების მონახულებისადმი მისწრაფება თავიდანვე გენეტიკურად ჰქონდა კოდირებული.

მან ჯერ კიდევ ღების საშუალო სკოლაში სწავლის დროს იგრძნო პირველი სიყვარულივით სულის შემძვრელი, ამაღელვებელი და სასიამოვ-

ნოდ შემაშფოთებელი პოეტური აღმაფრენა და პირველი სტრიქონებიც იქვე დაწერა.

მართალია, ის პირველი სტრიქონები ჯერ მხოლოდ ნედლი მასალა იყო და ავტორის გაუწაფაობა აშკარად იგრძნობოდა, მაგრამ ძალა არ ყოფნიდა, გულში მოზღვავებული გრძნობებისთვის გზასავალი ლექსად არ მიეცა და ქაღალდზე არ გადაეტანა.

მარცხნიდან მარჯვნივ – კარლო ლობჯანიძე, ვალერიან ალხიძე და სერგო კაპანაძე.

ღების საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ვალერიანი ყველაზე მეტად უმაღლესში სწავლის გაგრძელებაზე ოცნებობდა და თან გულში ფარულად, საკუთარი სტრიქონების ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ხილვას ნატრობდა. მაგრამ იმასაც გრძნობდა, სანამ გამოსაქვეყნებლად სხვებისაგან გამორჩეული ღირებულ რამეს შექმნიდა, ამას, ნიჭთან ერთად, ხანგრძლივი ძიება და დაუღალავი შრომა სჭირდებოდა.

დედის ნაადრევად გარდაცვალებამ ყმაწვილი კაცის არაერთ ოცნებას შეაკვეცა ფრთები და სამომავლო მიზნები დაუმსხვრია. ყველაფერთან ერთად, უმაღლესში სწავლის გაგრძელების ნანატრი სურვილი შორს გადაუდო.

არ ვიცი, ამ პერიოდში ვინ ურჩია, ან ის რა ჩანაფიქრის წინა პირობა იყო, მაგრამ ვალერიან ალხიძემ მოულოდნელად მიატოვა მშობლიური სოფელი და ქლუხორის რაიონს მიაშურა. აქ იმ დროს მისი დეიდის და არაერთი სხვა ნათესავის ოჯახი ცხოვრობდა.

ქლუხორში ერთი კვირის ჩასულიც არ იქნებოდა, როცა რაიონული გაზეთ „განთიადის“ ფურცლებიდან ლექსით „ძმებო, აქა მშვიდობა“ მიესალმა იქ მცხოვრებ თანასოფლელებს.

მაშინ პირადად არ ვიცნობდი ვალერიანს, მაგრამ ის ლექსი მომეწონა და რამდენიმე სტრიქონი დღემდე დამამახსოვრდა. ეს ლექსი მის შემოქმედებაში შეიძლება ერთ-ერთ წარმატებულ ნაბიჯადაც კი ჩაითვალოს.

ბარემ, ამასაც აქვე ვიტყვი: ამ მცირე მოგონების წერის წინაც და შემდეგაც, თბილისში ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ქლუხორის რაიონულ გაზეთ „განთიადის“ კომპლექტები არაერთხელ გადავათვალიერე, რომ ამ ლექსისთვის მიმეკვლია და იგი, ამ სტრიქონებთან ერთად, მკითხველისთვის სრული სახით შემეთავაზებინა, მაგრამ ლექსს ვერსად წავაწყდი. საქმე ის გახლავთ, რომ კომპლექტს რამდენიმე ნომერი აკლია. როგორც

ჩანს, ის ლექსი სწორედ გაზეთის იმ რომელიღაც დაკარგულ ნომერში იყო დაბეჭდილი და მასთან ერთად დაიკარგა. სამწუხაროდ, იგი არც ავტორის არქივში აღმოჩნდა. ნათქვამია, სულ არარაობას ცალუღელი ხარი სჯობიაო. ამ სიბრძნით წაქეზებულს მინდა, რამდენიმე სტრიქონი მაინც შემოგთავაზოთ, რომლებიც ჩემს გონებაში აქამდე შემორჩა. აი ისიც:

„დაქრის სიო ფრთამალი,
ბალი-ბალჩა შრიალებს.
თვალს სიამეს უკიდებს
წყნარი შემობინდება.
თქვენთან შეყრის სურვილი
გულში ტრფობად ბრიალებს.
რომ მშვიდობა აქ არის,
ძმებო, აქა მშვიდობა."

დამეთანხმებით, ახალგაზრდა შემოქმედის პირობაზე ეს სტრიქონები, სათქმელის სისადავით, ფორმის დახვეწილობით, ბუნების სურათის ხელშესახებად დასურათებით და ყველაფრისადმი ავტორის დამოკიდებულების ნათლად გამჟღავნების თვალსაზრისით, ნამდვილად არ დაიწუნება.

ქლუხორში ჩამოსული ვალერიან ალხიძე, დროდადრო შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად, ფიზიკურადაც შრომობდა. თან პერიოდულად ლექსებს რაიონულ გაზეთში აქვეყნებდა.

ფიზიკური საქმიანობა ვახსენე და ამასთან დაკავშირებით, ალბათ, საინტერესო იქნება მისი, როგორც შემოქმედის და, ასევე, პიროვნების, დამოკიდებულება ამ საკითხისადმი:

„რა ვარ, რა ვიყავ, რას ვაკეთებდი? –
წიგნებთან ბევრჯერ ღამეს ვათევდი.
კაცის და მიწის ძმობას ვფიცავდი.
ადრე გუთანსაც დავდევდი კვალში.
ოქროს სტრიქონებს ვთესავდი პწკარში,
მშობელს ვუდექი ჭაბუკი მხარში.
გამოვლილი ვარ ოფლსა და კვამლში,
ასე შევედი ნელ-ნელა ხანში.
ერთ-ერთ იმედად იცით ვინ მყავდა?
რწმენა სიმართლის, რაც მე მიყვარდა,
და გამარჯვებაც მისი მხიბლავდა."

ვალერიან ალხიძე თავისი ლექსების თემებს უმეტესად ყოველდღიური ცხოვრებიდან იღებდა და მათი განზოგადებით უარყოფით მოვლენებს

ღიად გმობდა, ხოლო რაც მოსწონდა, მისდამი თავის დამოკიდებულებას ნათლად და დაუფარავად ამჟღავნებდა. ეს მისი ადამიანური ხასიათი ქვემოთ მოტანილ სტრიქონებშიც ნათლად ჩანს:

„არ წამიბილწავს ნამუსი,
მლიქვნელობით და ხალტურით.
არც აზრი დამიტვირთია
სამკაულებით მაცდურით.
სათქმელს ლამაზად ვამბობდი
ჩემი ლამაზი ქართულით.“

ვალერიან ალხიძე მშრომელი, პატიოსანი ღებელი გლეხკაცის შვილი იყო. მთელი ცხოვრება თვითონაც პატიოსან შრომაში გალია. ცხოვრებას იგი არასოდეს გაუნებივრებია, ალბათ, ამიტომაც იგრძნობა შიგდაშიგ მის ნაწერებში სევდა და იმედგაცრუებით გამოწვეული ტკივილი.

ასე იყო თუ ისე, ბედს ქედს არასოდეს უხრიდა.

და მაინც სიცოცხლის ბოლო წლებში მის სტრიქონებს ერთგვარად სევდის მოძალება ეტყობა. ხშირად საუბრობს სიკვდილზე, რითაც ერთგარად ენათესავება მსგავსი განწყობილების ქართველ ლირიკოსებს.

„ჩადგა ქარი ქუთაისში,
აღარ არხევს მუხის რტოებს,
დღემ განსაცდელს მიმცა პირში
და ღამესთან მარტო მტოვებს“.

თუმცა, მე თუ მკითხავთ, სევდა სულაც არ არის შემოქმედისათვის დასაძრახი, რის დასტურადაც შეგვიძლია გავიხსენოთ გამოჩენილი ქართველი პოეტი მურმან ლებანიძის სტრიქონები:

„სევდა იგი უკვდავი და მარადია,
ნუვინ ჰგონებს – ზადია და ხინჯი!
სევდა იგი პოეტების ტალანტია
და მეფეთა ოდენ დიდი ნიჭი!“

მთლიანობაში ვალერიან ალხიძის პოეზიაში სიცოცხლის მძაფრი სიყვარული და იმედი უფრო იგრძნობა, ვიდრე წარმავლობასთან შერიგება. ამის მაგალითად უთუოდ გამოდგება მისი ეს ლექსი:

„აღარ განმეორდება ის ბავშვობის მაისი,
დრომ თავისი წაიღო, სიყვარულმა თავისი.

ჰეი, ჩემო ძმობილო, ჩქარა ყანწი ამივსე,
იქნებ წამლად შემერგოს, თორემ დარდით ავივსე.
და ვეცადოთ, ბილიკი, ტრფობით განახუნები,
არ გაგვიქრეს უკვალოდ, დაგვრჩეს ნაფეხურები.
ჰეი, როგორ გაფრინდა ის ბავშვური ხალისი,
ქვეყნად დაგვრჩეს სახელი, დრომ წაიღოს თავისი."

ეს მოგონება ერთი ჩანაწერით მინდა დავასრულო. იგი ვალერიან ალხიძის მეუღლეს – თამილა ვარდანიძე-ალხიძეს ეკუთვნის:

„ეს გული იქაც ვერ მოისვენებს, მაინც სახლისკენ მრჩება თვალები"-ო, – წერდი. მჯერა, ასეც იქნება, ძვირფასო. გკეროდეს, მუდამ ჩვენი შვილების გვერდით ვიქნები და ამ ვედრებას ქარს არ გავატან.

„ფეხქვეშ ასე მედება
წარამარა ფიქრები,
გული არა ბერდება
და რომ აღარ ვიქნები,
ვაჰ თუ ჩემი ხსენება
გაქრეს, ვშიშობ, ვღონდები,
მომეცი მოსვენება,
მითხარ, მოგაგონდები."

ძვირფასო, ეჰვს ნუ გაივლებ გულში, იძინე მშვიდად და უდრტვინველად.

გკეროდეს, რომ ჩვენი წმინდა სიყვარულით შედუღაბებული მარადიული ერთობა დროებით საიქიოს და სააქაოს ყოფნით და დაშორიშორებით არც მოიშლება და არც დაირღვევა.

ნუ შიშობ, ნუ ნაღვლობ. შენ ჩემი მუდამ ტკივილიანი მოგონება ხარ".

თამილა ვარდანიძე-ალხიძისა.

...ქარი კი ჩადგა, მაგრამ მოგონება და ხსოვნა არ ქრება.

ღიმიდან ვანკუვერამდე...

სოლო ლობჯანიძე (პაატიანთი) მზისაში ჩასახლების დროს ასე სამოცს მიტანებული იქნებოდა. თუმცა, ასაკი აგრერიგად არ ეტყობოდა. იგი საშუალო სიმაღლის, ჯმუხად ჩადგმული, ჯანიანი კაცი იყო. სპორტს რომ გაყოლოდა, აღნაგობის მიხედვით, ყველაზე უკეთ შტანგისტობას მოერგებოდა. დადიოდა მშვიდად და აუღელვებლად, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვდა, არც ჩქარი სიარული და სირბილი უჭირდა.

საუბრობდა დინჯად, ღიმილით. ფენიმორ კუპერის ერთ-ერთი გმირივით, სიცილი უხმო ჩვეოდა. იტყოდით, ხმა სადღაც ყელში ეკარგება, ან არ სურს ხმამაღალი სიცილით ვინმე შეაწუხოსო.

ვერ ვიტყვი, რომ ფიცხი ხასიათისა იყო, თუმცა, კარგად მახსოვს მისივე ნათქვამი, როცა რამეზე ძალიან გავბრაზდები, წონასწორობას ვკარგავ, თვალთ მიბნელდება და ასეთ დროს შეიძლება, კაციც კი მოვკლაო. ამის დასტურად ერთ შემთხვევას მოიგონებდა: პირველი მსოფლიო ომის დროს ერთ-ერთი თანაპოლკელი თურმე კინაღამ შემოაკვდა. ამ უკანასკნელმა თავისი უხეირო ქცევით, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი სიტყვებით იმდენად გააღიზიანა სოლო, რომ მასზე იარაღით გაიწია და მოჩხუბართა შორის ჩამდგარ ჯარისკაცებს რომ არ გაეშველებინათ, არავინ იცის, ეს წაკინკლავება რით დამთავრდებოდა. ამას რომ ყვებოდა, თავისი ჩუმი ხმით ჩაიცინებდა და დაუმატებდა, ეს შემთხვევა მალევე დამავიწყდა და ერთ-ერთ ხელჩართულ ბრძოლაში ის ჩემი მოჩხუბარი აშკარა სიკვდილს ისევ მე გადავარჩინეო.

არ ვიცი, სიფიცხე, რომელზეც თვითონ საუბრობდა, მისი თანდაყოლილი თვისება იყო, თუ ფრონტზე გადატანილი რამე დიდი ტრამვის შედეგად დარჩენილი ზადი, რომლის გამოც, როგორც თვითონ ამბობდა, გაბრაზებისას თავს ველარ აკონტროლებდა. მაგრამ აქვე ესეც უნდა ვთქვა, რაც ჩვენ ერთ სოფელში ვცხოვრობდით, მისი ასეთი „გონთგადამგდები“ გაბრაზება არასოდეს მინახავს და არც სოფელსა თუ სამეზობლოში სმენია ვინმეს მისი ჩხუბის ამბავი.

სოლოს მზისაში ჩასახლებისას მეუღლე გარდაცვლილი ჰყავდა. მისგან ორი ქალიშვილი დარჩენოდა და მზისაში უმცროს ქალიშვილთან ერთად ჩამოვიდა. მამა-შვილი სოფლის ბოლოს, განაპირა სახლში ცხოვრობდა,

მაგრამ ხშირად წყაროს პირას თავისი ასაკის თანასოფლელებთან ერთად იჯდა და ხალისიანად იგონებდა ახალგაზრდობაში თავს გადახდენილ თუ გაგონილ ამბებს.

უნდა ითქვას, რომ სოლოს საინტერესო ცხოვრება ჰქონდა გავლილი. საინტერესო ცხოვრება ჰქონდა გავლილი-მეთქი, რომ ვამბობ, ნურავინ იფიქრებს, თითქოს სამეფო კარზე ყოფილიყო ნაცხოვრები. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ღებელ გლეხკაცს დიდხანს ემოგზაურა დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. ბევრი რამე, ავი თუ კარგი ენახა და მოსათხრობი და მოსაყოლიც არ ელეოდა. მართალია, ზოგჯერ ერთსა და იმავე ამბავს რამდენჯერმე ჰყვებოდა, მაგრამ მის მსმენელთა უმეტესობას ზრდილობა და მოთმინება ჰყოფნიდა, რომ მისგან ერთხელ მონათხრობი ამბავი ხელმეორედაც მოესმინა. თუ ვინმე მაინც ღიმილით შეახსენებდა, ეგ ერთხელ ხომ გვიამბეო, სოლოს სახეზე უწყინარი ღიმილი გადაეფინებოდა და თავს მობოდიშებით იმართლებდა, შეიძლება, მაგრამ ასეთი რამე სიბერემ იცისო. დარწმუნებული ვარ, ამას სიტყვის მასალად ხმარობდა, თორემ იმ დროს სიბერე მას ნაკლებად ეტყობოდა.

სოლო ლობჯანიძე

ხშირად იტყვიან, რაჭველ კაცს მოგზაურობისადმი სიყვარული დაბადებიდან თან სდევსო. იქნებ ამაში არაფერი იყოს გადაჭარბებული, ვინაიდან რაჭველ კაცს მოგზაურობას მცირემიწიანობა და ცხოვრების მძიმე პირობები აიძულებს, თორემ მათ თავისი ქვეყანა და სამკვიდრო არავისზე ნაკლებად არ უყვარს. შეიძლება, პირიქითაც იყოს. აკი ამ ერთ ლექსშიც მშვენივრად არის ეს აზრი გამოთქმული:

„დამისხი, დამალევინე,
ჭკუას მოვალ გონებასაო,
რაჭას წასვლა მირჩევნია
მილიონის ქონებასაო.“

მოგზაურობისკენ ლტოლვა ღებელებს სხვა თანამოძმეებზე მეტი თუ აქვთ, თორემ ნაკლები არა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ რევოლუციამდე ღებში არაერთ გლეხკაცს შეხვდებოდით, რომლის ჩაცმულობა უცხოს ვერაფრით ვერ აფიქრებინებდა, თუ იგი მშობლიურ სოფელს იქნებოდა

გაცილებული, სინამდვილეში კი შეიძლება, ნახევარი მსოფლი ჰქონოდა შემოვლილი და რუსულის გარდა, რამდენიმე ევროპული ენაც უნაკლოდ სცოდნოდა.

სათქმელიდან ერთგვარი გადახვევა გამომდის, მაგრამ ცდუნებას ვერ ვუძლებ, აქ ერთი მცირე ამონარიდი არ მოვიყვანო ცნობილი მწერლის, ლევან გოთუას მოგონებიდან.

„ერთი, ჯორკოზე მიმჯდარი ტანდაბალი მოხუცი ალექსი ლობჯანიძე ჩვენთან მოდის, ლაფურამდე ცხენს მოჰყვება.

დავიმახსოვრე და ახლა ბნელშიც საკმაოდ ვარჩევ მის ჯაგარა ულვაშებს და ოდესღაც ნაპარსსა და აწ ბურძგლა წვერს.სიტყვას რომ დაბრავს, მკაფიოდ მოუჩანს, მოგრძოდ ჩამოსული ორი ზედა კბილი.

ალექსი რაღაცას ყვება, ყველა უსმენს.

— „მე კაცი ვარ უსწავლელი, უჩინარი, შესაბრალი,

ვიკისრე და ხელთ ავიღე აწ საგანი ზნემაღალი.“

მთამსვლელებმაც ყურები ვცქვიტეთ...

„მცხეთის ახლოს — ღართის კართან კოშკი დგას ათასწლეული,

გადმოსცქერის მაღალ მთასა, ამაყად, თავმონგრეული“...

...მიეხვედი... გამიკვირდა. ნუთუ აქ — ღების თაეზე, რიონის სათავესთან, გორიბოლოს, კოლმეურნეობის ფერმაში მომუშავე მოხუცმა, ზეპირად იცის სიმონ გუგუნავას „თამარიანი“.

ალექსი ლობჯანიძე, დიახაც მგოსანი, უხუცესი კოლმეურნეა. წვრილი შვილიშვილების პატრონი... მართალია თბილისში „ქვე ჯერ“ არ ყოფილა და არც „რუსულშია ჭი“ დახელოვნებული, მაგრამ ამერიკაში — კი ნამყოფია: ჩიკაგოში, ვაშინგტონში, ნიუ-იორკში, კალიფორნიაში. „ნიკალაის დროს“ სიდუხჭირემ ასე შორს წაიყვანა, ბევრიც ატარა, მაგრამ „თამარიანი“ თავიდან ზეპირად სცოდნია და სამშობლოშიც „ასეთივე“ მობრუნებულა. ამ მოხუცმა ერთი „საიდუმლოც“ გამჟღავნა, მან მწარხატოვნად მითხრა... მე ოდნავ შევარბილებ და ჩემებურად გეტყვით: „უცხოეთში ქართული წიგნი, მშობლიური მიწა-წყალია, მისი მთა და ბარია... მისი ხალხია!.. მე სამშობლოდ შორს „თამარიანი“ შემხვდა, უკანაც ამან ჩამომიყვანა!

— კი მაგრამ... წიგნი?.. შენ ხომ ზეპირად...

— შენ წიგნი... მაინცდამაინც ნაბეჭდი ქაღალდი ხომ არ გგონია?

— მაშ როგორ?

— გზაც წიგნია, ცხოვრებაც... აი, მთაც... ზოგი ჯერ დაუწერელი, ზოგი დაწერილი და ზეპირად ნათქვამი... წიგნი აზრია!.. გულის ფიცარზე და შუბლის ძრაღვზე გაკრული ფიქრი.!...

შემდგომ გზაზე ალექსი ლობჯანიძის ნათქვამი, როგორც წიგნის დედა, ისე გამყვა.. ხოლო პირველი „წიგნი“ — რიონი იყო“.

ლევან გოთუა.

(„თეთრი სავალი“ – ფეხმოყინული მთასვლელის დღიურიდან). 1938 წ.

აქ მოტანილი ამონაწერი მწერალ ლევან გოთუას დღიურიდან ცნობილი მთასვლელების ჯაფარიძეების ძმიშვილმა, ჟურნალისტმა ვანო ჯაფარიძემ მომაწოდა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ. რაც შეეხება ალექსი ლობჯანიძეს, ცხადია, პირადად არ ვიცნობდი, მაგრამ მის შესახებ ჩემს აწ განსვენებულ მეგობარს, ვალერიან ლობჯანიძეს არაერთხელ უამბნია. ისინი ღებში მეზობლად ცხოვრობდნენ. ვალერიანი მუდამ პატივისცემით იგონებდა ბატონ ალექსის და ხშირად მის ნათქვამსაც იხსენებდა: კალიფორნიაში ახალგაზრდობაში ყოფნისას ერთ-ერთი მილიონერი თავისი ქალიშვილის ხელს მთავაზობდა და იქ დარჩენის შემთხვევაში უზრუნველ ცხოვრებას მპირდებოდა, მაგრამ ამერიკელების მილიონებს მშობლიური ღები და შოდის შიშველი კლდის ცქერა ვარჩიეო. აქვე დავძენ, რომ ამგვარ ალექსი ლობჯანიძეებს რევოლუციამდე და რევოლუციის მომდევნო, პირველ წლებშიც არაერთს შეხვდებოდა კაცი ღებში, ვისაც რუსეთის გარდა, იაპონიიდან დაწყებული ვანკუვერამდე ქვეყნები კიდით კიდემდე ჰქონდათ მოვლილი.

რაც შეეხება სოლოს, არ ვიცი, რუსულის გარდა სხვა რომელი უცხო ენა იცოდა, მაგრამ ერთი კი დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა: მზისაში ჩასახლებული ღებელებიდან იგი ერთადერთი იყო, ვისაც, სხვა ქვეყნებთან ერთად, ამერიკაშიც ემოგზაურა და იქ რამდენიმე წელი ეცხოვრა. აქედან გამომდინარე, ინგლისური ენა უთუოდ ეცოდინებოდა, თუმცა, ამ ენაზე ჩემი თანდასწრებით არავისთან უსაუბრია. იქნებ იმიტომაც, რომ არც თანამოსაუბრე შეხვედრია.

მე და ჩემი თანატოლები, თუ მდინარეზე საბანაოდ არ ვიყავით წასულები, ფეხბურთს არ ვთამაშობდით, ან სხვა რამე ბავშვური გასართობით არ ვიქცევდით თავს, სოფლის წყაროსთან, უფროსების გვერდით ვისხედით და სიამოვნებით ვისმენდით მათ ნაამბობ-მონათხრობს. მაშინ უკეთესი გასართობი ბევრი არაფერი გვქონდა და დრო ასე გაგვყავდა.

უნდა ითქვას, რომ უფროსებიც არ გვიკრძალავდნენ მათ გვერდით ყოფნას. ესეც ხაზგასმით მინდა, ვთქვა: ერთი შემთხვევაც არ მახსენდება, რომ რომელიმე უფროსს ჩვენი, ყმაწვილების იქ ყოფნის დროს რამე უწმაწური სიტყვა წამოსცდენოდა. სამაგიეროდ, ვერც ჩვენ – ყმაწვილები გავბედავდით უფროსების თანდასწრებით ცუდი სიტყვის თქმას.

დღეს ეს შეიძლება, ბევრს გაუკვირდეს, რადგან ეს ამჟამად, უმეტესი მოზარდის თვალში, ჩამორჩენილობად ითვლება, მაგრამ მაშინ უფროსები მოზარდებს თავისი დარბაისლური ქცევით და მოქმედებით ზრდილობის, უფროსისადმი პატივისცემისა და საზოგადოებაში თავდაჭერილობის მაგალითს აძლევდნენ. ეს ტრადიცია იყო, რომელიც თაობიდან თაობებს გადაეცემოდა. ერთი სიტყვით, ყველა თავისი დროის წესებით და კანონებით ცხოვრობს და ჩვენც ასე ვიცხოვრეთ საქართველოს მოწყვეტილ, რობიზონ კრუზოს კუნძულივით განმარტოებულ მშობლიურ ქლუხორში. ჩვენი სო-

ლო კი იჯდა წყაროს პირას და მოუწყენლად გვიამბობდა სხვათა თუ საკუთარი ცხოვრების საინტერესო ამბებს. კაცმა რომ თქვას, დღეს ის მონათხრობი ბევრს შეიძლება არც საინტერესოდ და არც თხრობის ღირსად მოეჩვენოს, მაგრამ მაშინ ჩემთვის და ჩემი თანატოლებისთვისის მშვენიერი გასართობი გახლდათ.

– გლეხკაცისთვის სოფლად საქმე მუდამ თავზე საყრელია (ნეტავი ასე იყოს ჩვენ დროშიც!). ვირი იყოს, თორემ ბარგი ყოველთვის მოიძებნება. უღელს რამდენსაც გინდათ, იმდენს გათლიან, თუკი დალოცვილი ხარის გაუდრეკელი ქედი იარსებებს. – აგვირისტებდა სოლო სათქმელს და თხრობას განაგრძობდა:

– საქართველოში თუ გამოილეოდა, ან არ მოგვეწონებოდა საქმე, რუსეთში და საზღვარგარეთ მივდიოდით სამუშაოდ. გლეხკაცის პროფესია მარტივია, ფიზიკური მუშაობა და ჩვენც ყველგან, სადაც მივდიოდით, ფიზიკურად ვშრომობდით, მხოლოდ ეგ იყო, ვირჩევდით, ჩვენი შრომის საფასურს სად უფრო მეტს აგვინაზღაურებდნენ.

...ჯერ პირველი მსოფლიო ომი შორს იყო და იმის შემდეგ რუსეთში მომხდარი ჩვიდმეტი წლის რევოლუციასაც ბევრი არავინ ელოდებოდა, როცა ვიღაცამ ღებში ამბავი მოიტანა: კანადასა და ამერიკაში გზებს აშენებენ, ხე-ტყეს ჭრიან, მუშახელი სჭირდებათ და რუსეთში რომ არის ანაზღაურება, იქ იმაზე ორჯერ-სამჯერ მეტიაო.

სოლო მაშინ, ასე 26-27 წლის ახალგაზრდა იქნებოდა. როგორც იტყვიან, იმ დროს, ცა ქუდად არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. ფულის შოვნაზე მეტად უცხო ქვეყნების ნახვაზე ოცნებობდა და კანადასა და ამერიკაში წასვლის მსურველთა ჯგუფს ისიც ხალისით შეუერთდა.

– ფოთში, როგორც საჭირო იყო, შეგვამოწმეს, დაგვაწერეს ზურგზე (ცხადია, ტანსაცმელზე) ნომრები და მისამართები. გვითხრეს, ამერიკაში ჩასულებს ჩვენი წარმომადგენელი დაგხვდებათ და სადაც უნდა მიხვიდეთ, იქ ის მიგიყვანთო. დაგვსხეს გემზე და ოცნებებით გაბრუებულები გავუდექით გზას. – იგონებდა დიდი ხნის მერე ამერიკის ამბებს სოლო.

– კაცი რომ ოცნებობს, მისი ნახევარი რომ სრულდებოდეს, ქვეყანაზე ერთი გაჭირვებულიც არ იქნებოდა და დედამიწაზეც დიდი ხანია, სამოთხე დამყარდებოდა. – ვფიქრობ, ამას რომ ამბობდა, სოლო არ ცდებოდა, მაგრამ ადამიანს საკუთარი სურვილების შესრულების იმედები ატყუებს მუდამ. ისვე აბედვინებს იმას, რასაც ხშირად აკეთებს ხოლმე. ზოგჯერ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი სვებედნიერი აღმოჩნდება, მაგრამ მეტწილად იმედები გვიცრუვდება. თუმცა, წინასწარ ვინ რა იცის, როდის რა მოხდება, სად გაგვიმართლებს და სად გაგვიქრება საპნის ბუშტივით ყველა ნაოცნებარი. ერთი სიტყვით, გაუჭრელ საზამთროს ჰგავს ჩვენი ხვალინდელი დღე: სანამ არ გავჭრით, მანამდე გემოს ვერ გავუგებთ, ასევეა დღეც: სანამ არ დაღამდება, მანამ ვერ გავიგებთ, რას მოგვიტანს იგი.

სოლოსა და მის თანამგზავრებს არც კანადაში და არც ამერიკაში ჩასვლისას ოქროს კლდე არ დახვედრიათ, მაგრამ საკუთარ სამშობლოზე – საქართველოზეც და რუსეთზეც იქაური შრომის პირობებიც და ანაზღაურებაც ბევრად უკეთესი რომ იყო, ამაში პირველივე დღიდან დარწმუნდნენ.

ამერიკაში ჩასულმა ახალბედა ემიგრანტებმა, როცა ასე თუ ისე მოეწყვნენ, ქალაქის დათვალიერება გადაწყვიტეს. უცხო მხარეში შორიდან ჩასულს ყველგან ადვილად გამოარჩევენ ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან. არც ჯგუფ-ჯგუფად ქალაქის თვალიერებით გართული ღებელების ახლად ჩასულებად შეცნობა გასჭირვებია იმას, ვისაც ეს აინტერესებდა. ალბათ, ამიტომაც ვიღაც მიუახლოვდათ და ჰკითხათ, მადამ სკიპი „სკიპიო“ – გართობა ხომ არ გინდათო.

რაო, რა მინდაო, ამ უცხოელმა, იკითხეს იმათ, ვისაც ინგლისური არ ესმოდა, მაგრამ იმას კი მიხვდნენ, რომ ამერიკელს რაღაც აინტერესებდა.

რაო და, გართობა ხომ არ გინდათო, გვეკითხება, – აუხსნა ამხანაგებს იმან, ვინც სხვებზე მეტი საყველპურო ინგლისური იცოდა.

რა გართობას გვთავაზობს, ისევ იკითხა რამდენიმემ.

რადა, ქალებთან დროის გატარება ხომ არ გნებავთო.

– ჩვენ აქ სამეძაოდ კი არ ჩამოვსულვართ, პატიოსნად გვინდა, ვიმუშაოთ, – წყენით უთხრეს მოენეს და განაწყენებულები გასცილდნენ ამერიკული გართობის შემომთავაზებელს იქაური ცხოვრების წესით უკმაყოფილო ღებელები.

სოლო და მისი ამხანაგები, ვისაც რისი კეთება შეეძლო, იმით დაასაქმეს.

– ერთი კვირა რომ ვიმუშავეთ, – ყვებოდა სოლო, – მოვიდა ზედამხედველი და გვისაყვედურა, ცუდი მუშაობა გცოდნიათო.

შევცბით, მაგრამ ვერაფრით მივხვდით, მისი უკმაყოფილება რით დავიმსახურეთ. თავს არ ვიზოგავდით, ისე ვმუშაობდით, ის კი მაინც უკმაყოფილო იყო. ცოტა ხნის შემდეგ თვითონვე აგვიხსნა: თქვენ რომ მუშაობთ, ასე მუშაობას დიდ ხანს ვერ შეძლებთ. ჩვენთან ასეთი წესია, ისე უნდა იმუშაო, რომ ოფლი არ მოგივიდესო. (ზუსტად ასე გვითხრა სოლომ და მეც სიტყვასიტყვით გადმოგცემთ მის ნათქვამს).

რაღას ვიზამდით, უფროსი ის იყო და როგორც მას სურდა, ჩვენც ისე უნდა მოვქცეულიყავით. ან კი რატომ უნდა ვყოფილიყავით წინააღმდეგი, როცა ჩვენთვისაც ასე ბევრად უკეთესი იყო!

იმ დღეს ერთ-ერთი ჩვენი ამხანაგი ზედამხედველმა მიწის გროვასთან მიიყვანა და უთხრა, ეს მიწა, ადგილი უჩვენა, ნელ-ნელა იქ უნდა გადაიტანოო. ისიც შეუდგა მუშაობას. ზედამხედველი რომ წავიდა და მარტო დაგვტოვა, მიწაზე მომუშავე ჩვენი ამხანაგი გადატანილ მიწას ისევე უკან აბრუნებდა და ახალ ადგილზე გადაზიდვას თავიდან იწყებდა. „ჩვენებური მუშაობა თუ არ მოსწონს, ავდგები და მეც თქვენებურად „ვიმუშავებო“. –

იცინოდა მიწის გროვაზე მომუშავე ჩვენი ამხანაგი, – იხსენებდა სოლო.

ახლა რომ ვწერ, იმას საბჭოთა წყობილების დროს ვინ დაგაწერინებდა. რომც დაგეწერა, ვინ დაგიჭერებდა, როცა დღე და ღამე იმას ჩაგვჩიჩინებდნენ, კაპიტალისტები მუშებს შრომით სულს ხდიანო. კაპიტალისტები იქით იყოს. დღესაც ვერ მივმხვდარვარ, რას ნიშნავდა ზედამხედველის შეგონება, ისე იმუშავეთ, ოფლი არ მოიდინოთო; არადა, სოლოს, ამ პატიოსან ღებელ გლეხკაცს რისთვის უნდა დასჭირვებოდა ასეთი სიცრუის გამოგონება!

ჩემი ვარაუდით, სამუშაოდ ჩასული ღებელების დამქირავებლის ამ მოთხოვნის მიზანი, ალბათ, ის იყო, რომელიმე მათგანი ავად არ გამხდარიყო და მისი მკურნალობის საფასურის გადახდა კომპანიას არ დასჭირვებოდა.

რამდენიმე წელი იმუშავეს სოლომ და მისმა ამხანაგმა ამერიკაში. ამასობაში პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და კანადაში თუ ამერიკაში მყოფ რუსეთის მოქალაქეებს გამოუცხადეს, თქვენი ქვეყანა მოითხოვს, სამშობლოში დაბრუნდეთ. ჩვენ არავის გდევნით. ვისაც სურვილი გაქვთ, დარჩით, ვისაც არა, სანამ საზღვრები დაიკეტებოდეს, თქვენს ქვეყანაში წადითო.

– მეც და ჩემს ამხანაგებსაც სამშობლო გვენატრებოდა და ამერიკიდან წამოსვლას ისედაც ვაპირებდით. კიდევაც გაგვიხარდა, საქმე ასე რომ აეწყო. ავიკარით გუდა-ნაბადი და სამშობლოს მოვაშურეთ. ჯერ იაპონიაში მოგვიწია ჩასვლა, იქიდან ვლადივოსტოკამდე გემით ვიმგზავრეთ.

ვლადივოსტოკში გემიდან გადმოვედით თუ არა, რუსმა მესაზღვრეებმა სამშობლოში დაბრუნებულ ემიგრანტებს უმალ პასპორტები მოგვთხოვეს. ჩვენ ამაზე კრინტი არ დაგვიძრავს, მაგრამ ჩვენს შორის მყოფმა ერთ-ერთმა რუსმა ჯიბიდან პასპორტი ამოიღო, მესაზღვრე ოფიცერს მიუგდო და უკმაყოფილოდ მიახალა:

– ოცი წელი ვიცხოვრე ამერიკაში და ამ ხნის განმავლობაში პასპორტი ჩემთვის ერთხელაც არავის მოუთხოვია. დღემდე მეგონა, ჩემი სამშობლო უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, მაგრამ, ეტყობა, შევცდი. რუსეთი ისეთი რომ არ იყოს, როგორიც ახლაა, ამას საუკუნე დასჭირდება. სამშობლოს მიწაზე ჯერ ფეხი ხეირიანად არ დამიდგამს და უმალვე ყელში მეცით, პასპორტი მოგვეცით. წაიღეთ ეს თქვენი პასპორტი და მიიკარით გავაზე!

სოლოს, ასაკი უწევდა და რუსეთში დაბრუნებისთანავე, ომში გაიწვიეს.

პირველი მსოფლიო ომის დროს მანჯურია-ჩინეთში ყოფნას რომ გაიხსენებდა, იტყოდა, ჩინელები ქვიშასავით აურაცხელი ხალხია და მათთან ადამიანი არც ისე დიდად ფასობს. მაგალთად, თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვი რომ გარდაიცვლებოდა, მას მიწაშიც არ მარხავდნენო. ამას კი ვწერ ისე, როგორც სოლოსგან მსმენია, მაგრამ იმას ვერ ვიტყვი, ეს ამ ასი წლის წინათ ნამდვილად ასე იყო თუ არა. რომელი ერიც არ უნდა იყოს, გარდაც-

ვლილი შვილებისადმი ასეთი გულცივი დამოკიდებულება დაუჯერებლად მეჩვენება, მაგრამ თქმით მაინც იმას ვამბობ, რაც სოლოსგან მომისმენია.

– ერთხელ, – გვიამბობდა სოლო – საბრძოლო ოპერაციის დამთავრების შემდეგ ჩვენი ნაწილი სოფლის განაპირას დაბანაკდა. ჯარისკაცებმა საიდანღაც სამი წლის მოზვერი მოიყვანეს. იმჟამად ადგილზე მზარეული არ გვყავდა და ოფიცერმა იკითხა, ვის შეუძლია მოზვერი დაკლას და გაატაყოსო.

არ ვიცი, მებრძოლები დაღლილები იყვნენ და ზედმეტ შრომას მოერიდნენ, თუ მართლა არავინ იცოდა საქონლის დაკვლა და გატყავება, ხმა არავის ამოუღია. მართალია, მაშინ ახალგაზრდა გახლდით, მაგრამ, როგორც ღებელ კაცს, ასეთ საქმეში ხამი არ მეთქმოდა.

დავკალი კიდეც, გავატყავე და ასო-ასოდაც მარჯვედ ავქენი, მაგრამ მარცხს მაინც ვერ გადავურჩი. მუშაობაში ჩამოღამდა, რამდენიმე თანაპოლკელი მოვიდა და მთხოვა, სამწვადედ რბილი ნაჭრები მოგვეცით. უარი არ მითქვამს, სიბნელეში რაც ხელში მომხვდა, ბიჭებს მივაწოდე და თან ვუთხარი, მწვადი ჩემთვისაც ეწილადებინათ.

საქმეს რომ მოვრჩი, სანამ ვახშმად მოგვიხმობდნენ, ბიჭებთან წავედი მწვადის საჭმელად.

ჩემი წამოსვლის შემდეგ ნაწილის უფროსს თირკმელები მოეთხოვა, მომინახეთ, მწვადი შევწვათო.

ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს. რას იპოვიდნენ: სიბნელეში შეცდომით ჩემს მიერ ბიჭებისთვის მიცემულ ხორცს გაყოლოდა.

მეორე დღეს ოფიცერმა რომ დამინახა, ჯერ გვარიანად შემიკურთხა და მერე ესეც დაუმატა, ეტო ტი უკრალ პოჩკი-ო.

თავის მართლება ვცადე, მაგრამ არ გამომდავებია. ამ საქმემ მშვიდად ჩაიარა. მეორე დღეს ბრძოლაში ჩავებით და ამისთვის აღარავის ეცალა.

ჯერ შორიდან თოფებით ვხოცავდით ერთმანეთს, შემდეგ ხელჩართული ბრძოლა გაიმართა. ომი ომია. ამ დროს, სიცოცხლე ყოველთვის ბეწვზე ჰკიდია. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ახალგაზრდა კი ბევრ რამეს უძლებს.

ხელჩართული ბრძოლა არ მიყვარდა. სანგრიდან შორს მყოფ შენისთანა არსებას რომ კლავ, ისე არ განიცდი, როგორც ეს პირისპირ შეტაკების დროს ხდება. მაგრამ ომში შენს ნებაზე არაფერია, არც იმას გეკითხება ვინმე, რა მოგწონს და რა არ მოგწონს. გიბრძანებენ და მოვალე ხარ, ბრძანება შეასრულო. ასეა თუ ისე, შეტევაზე გადასვლისას ყველაფერი აირია და ირგვლივ ნამდვილი ჯოჯოხეთი დატრიალდა. ხიშტების წვერზე შემომჯდარი სიკვდილი თუ ვისკენ მიქროდა, ამის წინასწარ გაგება ვის შეეძლო, თუმცა, მის სტუმრობას ყველა, ასე თუ ისე, შეგუებული ვიყავით. ნაწილობრივ შეგუებული, თორემ რომელი გიჟი შეხვდებოდა მას ხელგაშლილი. ერთი სიტყვით, იმ დროს რას ვფიქრობდი, ყველაფერს ახლა რა გამახსენებს, მაგრამ ის კი, სანამ ცოცხალი ვარ, არ დამავიწყდება, მტრის ორ-

მეტრიანი გოლიათი ჯარისკაცის პირისპირ რომ აღმოვჩნდი და თავიც მკვდრად ჩავთვალე. ჩავთვლიდი, აბა რა იქნებოდა, მე, ასსამოცდათი სანტიმეტრის სიმაღლის სოლო, ორმეტრიან გამხეცებულ გოლიათს უნდა შევებმოდი. გასაქცევიც არსად იყო, ისე მოულოდნელად აღმოვჩნდით ერთმანეთის პირისპირ. გადარჩენის ინსტინქტმა შეუძლებელი შემაძლებინა. მეორე დღეს თანაპოლკელები, ვინც ჩვენს შეტაკებას თვალი მოჰკრა, მეუბნებოდნენ, ხიშტზე წამოგებული იმხელა გერმანელი თავზე რომ გადაივლე, თვალებს არ ვუჯერებდითო.

არავინ იფიქროს, თითქოს უსაქმურობით თავგაბეზრებულმა სოლომ აღარ იცოდა, დრო რითი მოეკლა და სოფლის წყაროსთან ჩამომჯდარი გარდასული ამბების მოყოლით თავს ირთობდა.

სულაც არა.

გარდასული ამბების გახსენება კვირა დღეს და მოცალეობის ჟამს ჩვეოდა. მაგრამ როცა საქმე შინ ჰქონდა, ან ოჯახს გარეთ, უსაქმოდ დამჯდარს ვერავინ ნახავდა.

ბოლო დროს, როგორც ასაკოვან კოლმეურნეს, გამგეობამ სოფლის ახლოს საკოლმეურნეო ნათესების მეველეობა მიანდო და ისიც კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

აქ ერთი კურიოზული შემთხვევა მინდა გავიხსენო.

უკვე ვთქვი: კოლმეურნეობის ნათესი ფართობები სოფელს ზედ ებმოდა. მეველეობისას სოლოსათვის ყველაზე დიდი თავსატეხი ამ უბნის მცხოვრებთა ნახირი იყო. როგორც კი მეველე ნათესი ფართობების დასახედად სხვა მხარეს წავიდოდა, უმეთვალყურეოდ დარჩენილი საქონელი სიმინდის თუ პურეულის ნათესებს შეესეოდა და რა დღეშიც ჩააგდებდა, ამის მიხვედრას დიდი სიბრძნე არ სჭირდება. საქმე ის გახლდათ, რომ როცა უფროსები დილა უთენია საკოლმეურნეო მინდვრებში სამუშაოდ მიდიოდნენ, კერძო პირუტყვის, განსაკუთრებით, თხებისა და ცხვრების პატრონობა ჩვენ, შინ დარჩენილ ბავშვებს გვევალებოდა, მაგრამ ჩვენ, როცა ზოგჯერ ნახირის მწყემსვა მოგვბეზრდებოდა, მათ ნათესებიდან სადმე შორს გავდენიდით და ფეხბურთის თამაშით და წყალში ბანაობით ვერთობოდით.

ის წყეული თხა-ცხვარი, როგორც კი თვალს მოვეფარებოდით, თითქოს ჩვენს ჯინაზე, მთის ფერდობებზე მობიბინე ბალახის ძოვას თავს ანებებდნენ და თვალის დახამხამებაში ყანებს შეესეოდნენ.

სანამ მათ ყანებიდან ვდევნიდით, სოლო მეველეც გამოცნდებოდა და ნათესების დამრბევ თხებს, ცხვრებს თუ ძროხებს წინ გაირეკავდა და თავისი სახლის მახლობლად, კოლმეურნეობის ბოსელში გამოამწყვდევდა. მაგრამ საქმე ამით არ თავრდებოდა. საღამოზე კოლმეურნეობის თავმჯდომარესთვის უნდა მოეხსენებია, ვისი საქონელიც დაიჭირა და ბოსელში გამოამწყვდია. ეს მისი მოვალეობა იყო. კოლმეურნეობის გამგეობა ნახირის

პატრონებს საქონლისაგან გავერანებული ნათესების საფასურად შრომადღეებს ჩამოაჭრიდა. ამის გამო უფროსები ჩვენ გვსჯიდნენ უყურადღბობისათვის.

სოლო მეველის ხელში ყველაზე ხშირად ჩემი მეგობრების – გურამ, იური და ზალიკო ლობჯანიძეების ნახირი ხვდებოდა. ისინი სოფლის თავში ცხოვრობდნენ და კოლმეურნეობის ნათესი ფართობებიც იქვე იყო. მეველეს შინ დარჩენილი თავისი ქალიშვილი გაფრთხილებული ჰყავდა, სანამ ჩემს ქუდს არ მოგიტენენ, დაჭერილი საქონელი პატრონებს არ გაატანოო. ცხადია, ეს მითითება ურყევად სრულდებოდა მანამ, სანამ ბიჭებმა სადღაც არ იშოვეს ისეთივე ნაბდის ქუდი, როგორსაც სოლო ატარებდა. ამ ქუდით მეველის ქალიშვილთან მიდიოდნენ, აჩვენებდნენ ქუდს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მათ ნახირს ამინისტია შეეხო და კოლმეურნეობის ბოსელში დამწყვდეული ნახირი საპატიმრო ადგილს ტოვებდა. მაგრამ ასე დიდხანს არ გაგრძელებულა – სოლომ ბიჭებს ეშმაკობა გაუგო, ბოსელს მძიმე კლიტე დაადო და ქალიშვილიც გააფრთხილა, ჩემს გარეშე ბოსლის კარი არავის გაუღო და არც ნახირი გაატანო ვინმესო. ამის შემდეგ ბიჭებიც იძულებულები გახდნენ, ნახირი უფრო ყურადღებით ემწყემსათ...

ქლუხორიდან რამდენიმე წლის წამოსულები ვიყავით, როცა სოლოს ბოლნისის რაიონის სოფელ რაჭისუბანში შევხვდი. იმჟამად იგი იქ სიძესთან და ქალიშვილთან ერთად ცხოვრობდა. ერთმანეთის ნახვა ორივეს ძალიან გაგვიხარდა. მაშინ იგი კიდევ მხნედ გამოიყურებოდა და საგანგაშო მდგომარეობის არაფერი ეტყობოდა. ამიტომ ძალიან გამიკვირდა როცა რამდენიმე ხნის შემდეგ ერთ-ერთმა საერთო ნაცნობმა მითხრა, სოლო ძია გარდაიცვალაო... გული დამწყდა და უფალს შევევედრე, ღმერთო, ნათელში ამყოფე მრავლის მომსწრე და არაერთი გასაჭირის გადამტანი კეთილი მოხუცის სული-მეთქი.

ინჟინერი ივანე კოტეტიშვილი

საგზაო ინჟინერი ივანე კოტეტიშვილი და მისი ოჯახი 1944 წელს ქლუხორში ჩასახლებულ ქართველთა შორის არამც თუ არ ყოფილან, არამედ, მათ ამ კუთხის მონახულების სურვილი ექსკურსიული მიზნითაც კი თავის დღეში არ ჰქონიათ.

თუმცა, ეს გასაკვირი სულაც არ არის. ძირძველი თბილისელის და სამინისტროს აპარატში მოსამსახურე ინჟინრის ოჯახს, ქვეყნის მთიანი რეგიონებიდან გეგმიური ჩასახლება-გადასახლებით მიმავალ ხალხთან ერთად ქლუხორში გამგზავრება რატომ უნდა შეხებოდა, ან ამის სურვილი რატომ უნდა ჰქონოდა! აკი ვთქვი, არც შეხებიათ და არც ჰქონიათ, მაგრამ ცხოვრებაში, არც თუ იშვიათად, ბევრი რამ ხდება ჩვენი სურვილისაგან დამოუკიდებლად.

ერთ ჩვეულებრივ სამუშაო დღეს სამსახურში მისული ივანე კოტეტიშვილი მაშინდელმა საავტომობილო გზების მინისტრმა, გიორგი რობიტაშვილმა თავისთან იხმო.

მინისტრს კაბინეტში შესულ თანამშრომელთან იმ დროს ერთგავრ წესად ქცეული შეგონებებით არ დაუწყია საუბარი: „შენ პარტიის წევრი ხარ...“ „შენ მოვალე ხარ...“ „საერთო საქმე ამას მოითხოვს...“ და სხვა, არამედ მოკლედ და გასაგებად, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე კახური პირდაპირობით უთხრა: ქლუხორის რაიონში საგზაო სამმართველოს უფროსად უნდა წახვიდეო.

საქართველოს რომელიც გნებავთ რაიონის საგზაო სამმართველოს უფროსობა არც ისე ხელწამოსაკრავი თანამდებობა გახლდათ ამ დარგში მომუშავე ყოველი ინჟინრისთვის. ასე რომ, ამგვარი წინადადების შეთავაზებას თითქოს სიხარულით და კმაყოფილებით უნდა შეხვედროდა სამინისტროს იმ რანგის მუშაკი, როგორიც იმ დროს კოტეტიშვილი იყო. მაგრამ ასე სულაც არ მომხდარა, და ამას სხვა მხარეც გააჩნდა.

კერძოდ, მსგავს ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობა კოტეტიშვილისთვის, როგორც იტყვიან, ახალი ხილი სულაც არ ყოფილა. ამაზე ადრე მას აფხაზეთში, წებელდის (თებერდაში არ აგვერიოს!) 732-ე საგზაო-საექსპლუატაციო უბანი ებარა, რომელიც სოხუმი-ჩერკესკის მაგისტრალს ემსახურებოდა.

სიხარული არ გამოუმჟღავნებია-მეთქი, რომ ვთქვი, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქლუხორი კავკასიონის ქედს იქით მდებარეობდა და გეოგრაფიულად საქართველოდან ერთგვარად მოწყვეტილი გახლდათ. ასე რომ, ოგი დედაქალაქისთვის შორეულ და ძნელად მისადგომ რაიონად ითვლებოდა.

და ერთიც, არანაკლებ ხელმოსაჭიდი მიზეზთაგანი, რომლის გამოც ომგამოვლილი ინჟინერი მინისტრის წინადადებას არ აღუფრთოვანებია.

მოგეხსენებათ, დედაქალაქი მუდამ დედაქალაქია და მას სულ სხვა ხიბლი, მარილი და მიმზიდველობა აქვს. აქედან გამომდინარე, დედაქალაქში მცხოვრები და სამინისტროს აპარატში მომუშავე, გამოცდილი ინჟინრისათვის, თუ მის სურვილს გაითვალისწინებდნენ, დიდი ვერაფერი საბარბიელო და მიმზიდველი იქნებოდა ასეთ შორეულ რაიონში სამუშაოდ რამდენიმე წლით ოჯახთან ერთად წასვლა. ეს ივანე კოტეტიშვილზე ნაკლებად არც მისმა მინისტრმა იცოდა. იქნებ ამიტომაც, სრულიად გულწრფელად, მაგრამ მაინც ერთგვარად გულის მოსაგებად უთხრა:

წადი, ერთი-ორი წელი იმუშავე. შემდეგ ისევ აქეთ გადმოგიყვან და არც ნამსახურობის ღვაწლს დაგიკარგავო.

მინისტრის დანაპირების ფარულ აზრს, „არც ნამსახურობის ღვაწლს დაგიკარგავო", ეს რამდენიმე წლის შემდეგ მისი დაწინაურების პერსპექტივასაც რომ ითვალისწინებდა, ამას მშვენივრად მიხვდა ინჟინერი კოტეტიშვილი.

შეიძლება, სხვა მის ადგილზე ასეთ პერსპექტივას და ავანსად გაცემულ წყალობას უმალ მოეხიბლა და დიდი სიამოვნებით დათანხმებულიყო შეთავაზებულ წინადადებაზე, მაგრამ ბატონი ივანე ჯიუტად დუმდა.

მინისტრი კარგად იცნობდა გამოცდილ თანამშრომელს და მისი სიტყვაძუნწობის მიზეზსაც მშვენივრად ხვდებოდა.

საუბრისთვის რომ უფრო შინაურული ხასიათი მიეცა, დაუმატა:

– ჩემო ვანო, იცი, დანაპირების დავიწყება და შეუსრულებლობა რომ არ მჩვევია. კვლავ გაგიმეორებ, ნამსახურობის ღვაწლს არ დაგიკარგავ, მხოლოდ ამის პასუხად სულხან-საბას ერთ ოგავში რომ არის, ისე არ მკითხო, ერთი-ორი წლის შემდეგ, შენ რომ მინისტრი არ იყო, დანაპირებს ვინ შემისრულებსო, და თავისსავე ნათქვამზე თვითონვე გაეღიმა.

– არა, ეს არც მიფიქრია, ამხანაგო მინისტრო, – წამოიწყო ინჟინერმა კოტეტიშვილმა, მაგრამ მინისტრმა სათქმელის დამთავრება არ აცალა.

– მესმის ჩემი წინადადებით აღფრთოვანებული რომ არ ხარ... ამასაც გეტყვი, იქ გასაგზავნი კანდიდატურის მონახვა არც სამინისტროს აპარატში გამიჭირდება და არც მის გარეთ, მაგრამ თვითონ შენ ქლუხორში წასვლაზე როგორი აზრისაც არ უნდა იყო, მე იქ ყველაზე მართებულად სწორედ შენი გაგზავნა მიმაჩნია.

კი, რეგიონი რთულია, არც საქმის აწყობა იქნება ადვილი ახალ რაიონში, მაგრამ ცოდნა და გამოცდილება არ გაკლია და დარწმუნებული

ვარ, „ზემოდან“ ვერც შენ და ვერც მე ვერავინ გვისაყვედურებს, ქლუხორის საგზაო სამმართველოში საქმე არ კეთდებაო. ჩემთვის ამის საიმედო გარანტია ისიც გახლავს, გამოცდილი მყავხარ და კარგად ვიცი, რომ საქმეში ღალატი არ გჩვევია. ეს კი უმნიშვნელო წვრილმანი როდია ჩემთვის, როგორც მინისტრისთვის და იმათთვისაც, ვინც ჩემთან ერთად სახელმწიფოს სამსახურშია. მათ შორის მთლიანად ჩვენი სამინისტროსთვის.

მინისტრის სიტყვებში ერთგვარი დაჟინებული თხოვნაც იგრძნობოდა და ხელმძღვანელისაგან ხელქვეითის მიმართ, ნდობა ხომ თავისთავად ცხადი და აშკარა იყო. ამიტომ ივანე კოტეტიშვილს, თუკი აქამდე გულში მაინც ჰქონდა შემორჩენილი შემოთავაზებულ წინადადებაზე უარის თქმის განზრახვა, ამის შემდეგ წინააღმდეგობის გაწევა ეუხერხულა და აღარც უცდია, თუმცა, ხმამაღლა არც თანხმობა განუცხადებია. მაგრამ მინისტრმა ხელქვეითის დუმილი თანხმობად მიითვალა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ასეც იყო. მართალია, ერთგვარად იძულებითი, მაგრამ მაინც თანხმობა გახლდათ.

ასე აღმოჩნდა ივანე კოტეტიშვილი ქლუხორში რაიონის საგზაო სამმართველოს უფროსად.

მინდობილ უბანზე საქმეს როგორ აკეთებდა რაიონის საგზაო სამმართველოს ახალი უფროსი, ამის დაწვრილებით თხრობას არ ვაპირებ. მხოლოდ ერთ ფაქტს გავიხსენებ და, ვფიქრობ, ამით ყველაფერი ასე თუ ისე ცხადი გახდება.

1952 წლის მაისი ილეოდა.

ვერ ვიტყვი, რომ ეს წელი მაშინდელ ქლუხორის რაიონში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის, მათ შორის, საგზაო სამმართველოს უფროსის, ივანე კოტეტიშვილის ოჯახისთვის რაიმე განსაკუთრებულობით გამოირჩეოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ის დიდი და დამანგრეველი მსოფლიო ომი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და უამრავი სოფელ-ქალაქი ნანგრევებად აქცია, შვიდი წლის დამთავრებული იყო. ხოლო მშვიდობიან ცხოვრებას დაბრუნებული ხალხი ჩვეული გულმოდგინებით შრომობდა. ქვეყანა ომისაგან მიყენებულ ჭრილობებს ნელ-ნელა იშუშებდა და დანგრეულს, რაც ომს ასე თუ ისე გადაურჩა, მართლაც, რომ ფერფლისაგან აღდგენდა. ალბათ, ამიტომაც, მოიხსენიებდნენ ამ წლებს აღდგენით პერიოდად.

და აი, სწორედ იმ წელს კავკასიონის გადაღმა ახლად დაფუძნებულ ქართულ რაიონში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების, თუ სხვა პრობლემების ადგილზე გასაცნობად ქლუხორს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი მეორე მდივანი ვლადიმერ ცხოვრებაშვილი ეწვია.

დედაქალაქიდან სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელი რაიონს ადრეც არაერთხელ სტუმრებია, მაგრამ ამ დონის თანამდებობის პირის ქლუხორში სტუმრობა პირველი შემთხვევა გახლდათ.

თუ ერთი წუთით წარსულში დავბრუნდებით, იმ დროის პოლიტიკური წყობის და იერარქიის მიხედვით თანამდებობის პირთა უფლებამოსილებებს გავიხსენებთ, ალბათ, არ გაგვიჭირდება იმის წარმოდგენა, რა ფაციფუცში იქნებოდა რაიონის ხელმძღვანელობა, რათა რესპუბლიკის ასეთი მნიშვნელოვანი თანამდებობის პირისათვის თავიანთი გულმოდგინება ეჩვენებინათ, რომ მის თვალში დადებითი შთაბეჭდილება მოეხდინათ და, თუ მადლობა არა, საყვედური მაინც არ დაემსახურებინათ. მაგრამ ამაოდ. ამჭერად ყოველგვარ მათ მცდელობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

რაიკომის ბიუროს გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც დარგის თითქმის ყველა ხელმძღვანელი ესწრებოდა, რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა თითოეული რგოლის მუშაობა ძირიძირეულად გააანალიზა. გააანალიზა და არ დარჩენია რაიონში არსებული თითქმის არც ერთი უბანი, რომლის შესახებაც მკაცრი კრიტიკული შენიშვნები არ გამოეთქვა. ასე გასინჯეთ, თვით რაიკომის პირველ მდივანსაც არ მოერიდა და ბიუროზე საჭაროდ მიუთითა საერთო ნაკლოვანებებზე, რაც რაიკომის ბიუროსა და, უმთავრესად, პირველი მდივნის არადამაკმაყოფილებელი მუშაობით ახსნა. ამით იმის თქმა მინდა, თუ რა უშეღავათო და კრიტიკული იყო რესპუბლიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იმათ მიმართ, ვინც ასეთი კრიტიკას იმსახურებდა.

რაიკომის ბიუროზე სხვების მიმართ მკაცრი კრიტიკული შენიშვნების მოსმენით შემცბარი საგზაო სამმართველოს უფროსი, ივანე კოტეტიშვილი თავისთვის ფიქრობდა:

„ცეკას მეორე მდივანმა ყველა დარგის მუშაობა ცალ-ცალკე განიხილა, გააანალიზა და შეაფასა კიდევაც. ერთადერთი ჩემდამი დაქვემდებარებული უბანი არ უხსენებია. როგორც ჩანს, ყველაზე ცუდი შთაბეჭდილება მასზე გზებმა მოახდინა და იგი ბოლოს ამიტომ შემოინახა, რომ ქვა ქვაზე არ დატოვოს. კი, მართალია, ჩვენი შესაძლებლობის პირობებში მონდომება არ გვაკლია და არც საქმე უნდა გვქონდეს ძალიან ცუდად, მაგრამ მთავარი ის არის, ცეკას მდივნის თვალში როგორ ვჩანვართ...“

ამის გაფიქრება იყო და კოტეტიშვილმა ყურებს არ დაუჯერა, რაც მის შესახებ მოისმინა:

– ამხანაგებო, (პატივცემულო მკითხველო, სიტყვა „ამხანაგი“ ნუ გაგაღიზიანებს. იგი კომუნისტების გამოგონილ-შემოღებული სულაც არ გახლავთ. ამ მხრივ რუსთაველამდე რა მდგომარეობა იყო ქართულ მწერლობაში, არ ვიცი, რადგან ეს საკითხი საგანგებოდ არ მიკვლევია, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ „ამხანაგი“ ბარე თორმეტჯერ მაინც არის ნახსენები ყველა ბრუნვაში. იგივე სიტყვა არჩილ მეფესთანაც საკმაოდ ხშირად ფიგურირებს. ასე რომ...) ქლუხორის რაიონში თუ რომელიმე დარგი კარგად მუშაობს, ეს საგზაო სამმართველო გახლავთ.

კოტეტიშვილი ორი წელიც არ არის, რაც ამ დარგს სათავეში უდგას. ამ ხნის განმავლობაში მის მიერ გაწეულმა შრომამ ყოველგვარ მოლოდინს

გადააჭარბა. უნდა გითხრათ, რომ გულწრფელად მიხარია და სიხარულის მიზეზი ნამდვილად გამაჩნია:

ნევინამინსკიდან აქეთ რომ მოვდიოდი, სანამ რუსეთიდან საქართველოს საზღვრებში შემოვიდოდი, ისეთ დანგრეულ გზებზე ვიარე, მსგავსი არსად მინახავს. უკეთეს მდგომარეობას არც აქეთ მოველოდი და ამას წინასწარ ერთგვარად შეგუებულიც ვიყავი. მაგრამ სარუსეთოდან ჩვენკენ რომ გადმოვედი, ანუ ფეხი იმ ტერიტორიაზე შემოვდგი, რომელსაც ქლუხორის საგზაო სამმართველო ემსახურება, მეც დავისვენე და მანქანამაც. ნევინამინსკისგან განსხვავებით, აქეთ გზის საფარი თითქმის ხავერდოვნად გამოიყურებოდა და უნაკლოდ მეჩვენა. ვიფიქრე, სულ სხვა სამყაროში მოვხვდი-მეთქი. აქ არის ხომ კოტეტიშვილი? – დაინტერესდა ცეკას მდივანი.

როცა ბატონმა ივანემ მოახსენა, აქ ვარო, მან კვლავ განაგრძო:

– ამხანაგო ივანე, დარწმუნებული ვარ, ეს დამსახურებული შექება უარყოფითად არ იმოქმედებს არც შენზე და არც შენდამი დაქვემდებარებული უბნის თანამშრომლებზე და მომავალშიც ასე იმუშავებთ. მაგრამ ახლა რასაც გეტყვი, გინდ თხოვნად მიიღე, გინდაც ბრძანებად. უახლოეს ხანში ნევინამინსკის საგზაო განყოფილებას შენი ძალებით დაეხმარე გზების აღდგენაში. ამით რუს ამხანაგებს კიდევ ერთხელ დავანახოთ, ქართველებს როგორი მეგობრობა გვჩვევია და საქმის კეთებაც როგორ ხარისხიანად და გულიანად ვიცით.

ალბათ, არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქლუხორის საგზაო სამმართველოს უფროსს, ივანე კოტეტიშვილს რესპუბლიკის ამ დონის ხელმძღვანელისაგან მისი შრომის დანახვა და მაღალი შეფასება, თანაც ასე საქვეყნოდ, გულწრფელად გახარებოდა.

გაუხარდა კიდეც. მით უმეტეს, რომ რაიკომის მდივანმაც არ დაიშურა მის მიმართ საქებარი სიტყვები, კოტეტიშვილი თავის საქმეს, მართლაც, კეთილსინდისიერად ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ მის მოვალეობაში არ შედის, იგი, არც თუ იშვიათად, რაიონის შიდა გზების კეთილმოწყობაშიც აქტიურად გვეხმარებაო.

ივანე კოტეტიშვილმა დაფასებად და ნდობის გამოცხადებად მიიღო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის დავალება ნევინამინსკის საგაზო განყოფილებას დახმარების შესახებ. სხვაგვარად არც შეიძლებოდა.მხოლოდ იქვე ისიც დაუმატა, არ ვიცი, რამდენად მოვახერხებ ამას. ამ რამდენიმე დღის წინ მინისტრმა დამირეკა, როგორც შეგპირდი, ალბათ, მალე თბილისში გადმოგიყვან სამუშაოდო.

– მინისტრს მე მოველაპარაკები! – მოსჭრა ცეკას მდივანმა. – შენ კი ჩვეული გულმოდგინებით განაგრძე საქმიანობა.

როგორც მითხრეს, თქვენი მეუღლე, მარიამი სკოლის დირექტორია. თან ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის რაიონის საშუალო სკოლაში და ერთ-ერთ გამოცდილ პედაგოგად ითვლება. ყველა მადლიერი და კმაყო-

ფილია მისი. აგერ, მკარნახობენ, ამასთან საქალაქო საბჭოს დეპუტატიც ყოფილა. ასე რომ, არც ერთი თქვენთაგანი არ ეთმობა რაიონს... დროებით მაინც. – მდივანმა კეთილგანწყობის ნიშნად, რაიკომის ბიუროზე რამდენიმე საათის განმავლობაში მკაცრი შეფასება-საუბრის შემდეგ პირველად გაიღიმა.

რესპუბლიკის ხელმძღვანელი პირისგან ასე ნამუსზე შეგდების შემდეგ, თანხმობის გარდა, სხვა რა ეთქმოდა ივანე კოტეტიშვილს!

ამ ამბიდან ორ წელზე ცოტა მეტი გავიდა.

დადგა 1954 წელი.

ქლუხორის რაიონი რსფს-ს შეუერთეს. რაიონის ახალ დაქვემდებარეებაში გადასვლიდან რამდენიმე კვირასაც არ გაუვლია, რომ საგზაო სამმართველოს უფროსი, ივანე კოტეტიშვილი მოსკოვში გამოიძახა, ახლა უკვე რსფს-ს მინისტრმა სარქისიანცმა.

მოსკოვში ჩასული კოტეტიშვილი მინისტრმა დაუყოვნებლივ მიიღო და, როგორც ძველი ნაცნობი, გულთბილად მოიკითხა.

საქმე ის გახლდათ, რომ 1944 წელს ამიერკავკასიის რესპუბლიკების საგზაო კომიტეტი შეიქმნა, რომელსაც ერთხანს ახლანდელი რსფს-ეს გზათა მინისტრი სარქისიანცი ხელმძღვანელობდა. იმავე წელს ომიდან ახლად დაბრუნებული და თბილისის საგზაო სამმართველოს ხელმძღვანელად მომუშავე კოტეტიშვილი, – როგორც საქმის მცოდნე და გამოცდილი სპეციალისტი – სარქისიანცის დაქვემდებარებაში მყოფ კომიტეტში გადაიყვანეს.

მინისტრმა ძველ და ახალ თანამშრომელთან ჯერ ომისდროინდელი ამბები გაიხსენა, შემდეგ მთავარ სათქმელს გადასწვდა.

საქმე ის გახლდათ, რომ იმ პერიოდში საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობაში გაჩნდა აზრი, ნევინამინსკ-ჩერკესკთან სოხუმის უმოკლესი გზით დასაკავშირებლად კავკასიონის ქედში რვა კილომეტრის სიგრძის გვირაბის გაყვანისა. ივანე კოტეტიშვილს ამ გვირაბის მშენებლობის ხელმძღვანელობა დაავალა რსფს-ის გზათა მინისტრმა სარქისიანცმა.

(მაშინ ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლეს, კარგად მახსოვს ამ გვირაბის გაყვანასთან დაკავშირებით რაიონში რა ფაციფუცი ატყდა. ზოგს უხაროდა, სხვები უარყოფითად იყვნენ განწყობილნი და, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, არცთუ უსაფუძვლოდ).

ბატონმა ივანემ შორს დაიჭირა ეს საპატიო წინადადება და მინისტრ სარქისიანცს გულწრფელად უთხრა: სამინისტროში ჩემზე ბევრად ძლიერი და გამოცდილი სპეციალისტები გყავთ, ვისაც შეგიძლიათ ეს საქმე მიანდოთ და ისინი ამას თავს ჩემზე უკეთ გაართმევენო. მაგრამ მინისტრი არ დაეთანხმა.

– მე ხომ გიცნობ, ამ საქმისათვის თავის გართმევა არც შენ გაგიჭირდება. მით უმეტეს, რომ შენს დაქვემდებარებაში, როგორც მთავარი ინჟინერი, დანიშნულია ჩემი ყოფილი მოადგილე ანტონოვი. ყველაფერი, შენიც და ანტონოვის დანიშვნაც შეთანხმებულია ქვეყნის ზემდგომ პარტიულ ხელმძღვანელობასთან. ასე რომ... მოსჭრა ბოლოს მინისტრმა და ანტონოვი გამოიძახა.

კაბინეტში შემოსულ ანტონოვს და კოტეტიშვილს მინისტრმა ერთმანეთი გააცნო და ორივეს განუცხადა: იმედია, შეთანხმებულად იმუშავებთ და ამ მეტად მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ საქმეში თავს არ შეირცხვენთო.

ანტონოვი მინისტრს მორჩილად დაეთანხმა და, როცა იგი კაბინეტიდან გავიდა, სარქისიანცმა შინაურულად უსაყვედურა კოტეტიშვილს, გატყობ, გეუხერხულება, მინისტრის ნამოადგილარის ანუ ყოფილი უფროსის ხელმძღვანელად ყოფნა. კაცისთვის თავმდაბლობა ცუდი თვისება როდია, მაგრამ ჩვენ, კავკასიელებს, ზოგჯერ უადგილო თავმდაბლობა გვჩვევია. მე თუ მკითხავ, ზოგიერთ რუს მოხელს დრო და დრო მკაცრად მოპყრობა და ზემოდან ქვემოთ სამსახურმონაცვლეობა უხდება კიდეც: ნამეტანი რომ არ გაამაყდეს. ამგვარ წვრილმანებზე ნუღარ ვიკამათებთ, ეს გადასაწყვეტია. მოსჭრა მინისტრმა და კოტეტიშვილს გვირაბის მშენებლობის უფროსად დანიშვნის შესახებ მის მიერ უკვე ხელმოწერილი ბრძანება ჩააბარა.

დრო იყო ისეთი: ზემდგომ ინსტანციებში მიღებულ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას ვერც დაქვემდებარებული სამსახურები და მით უმეტეს ცალკეული პიროვნებები თავიანთი ნება-სურვილით ვერანაირად ვერ ცვლიდნენ. (თუმცა, ეს ერთი რომელიმე დროის დამახასიათებელი თვისება სულაც არ არის. ასე ხდება ყველა დროში. მითუმეტეს ისეთ ქვეყანაში, როგორც საბჭოთა კავშირი იყო, ხელმძღვანელი რასაც მოითხოვდა, ხელქვეითსაც ის უნდა გაეკეთებინა, ან... სამსახური დაეტოვებინა).

ქვეყანაში საერთო ნორმად მიღებული ეს თუ სხვა წესი, გვირაბის მშენებლობის ხელმძღვანელად დანიშნულმა კოტეტიშვილმა სხვებზე არანაკლებად იცოდა. ესეც არ იყოს, ამ შემთხვევაში მას საქმის კეთება ევალებოდა და არა იმ დროისთვის სახელმწიფოებრივად მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, ან უარყოფა. ამიტომაც იგი ჩვეული გულმოდგინებით და კეთილსინდისიერებით შეუდგა მუშაობას.

ჩვენდა საბედნიეროდ, მაშინ საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები ისე განვითარდა, რომ სულ მალე ამ წამოწყებას მთავრობის მხრიდან ყურადღება და სათანადო ხელშეწყობა თანდათან მოაკლდა და, ბოლოს, სულაც შეწყდა. ცხადია, მერე იმ გვირაბის მშენებლობის გაგრძელება არც ვინმეს გახსენებია და არც ვინმეს უცდია.

ჩვენდა საბედნიეროდ – მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მაშინ დაწყებული იმ გვირაბის გაყვანის საქმე რომ ბოლომდე მისულიყო, ალბათ, ის პრობლემები, რაც რუსეთის ხელდასხმით და ხელშეწყობით აფსუა სეპარატისტების მხრიდან ამჟამად გვაქვს, იმავე რუსეთის მიზეზით, თავს ბევრად უფრო მეტი სიმძაფრით დაგვატყდებოდა. თუმცა, ამ პრობლემებს სიმძაფრე, ჩვენდა საბედნიეროდ, არც ამის გარეშე აკლია. ისე კი ნათქვამის სამაგალითოდ როკის გვირაბის გაყვანაც გამოდგება. მაშინ რომ ეს გვირაბიც არ გაგვეყვანა (თუ გაეყვანათ) და მის ნაცვლად საქართველოს სამხედრო გზის მლეთის მონაკვეთიდან ჯვრის უღელტეხილის ქვეშ გვირაბი გაგვეჭრა, რაც ჩვენთვის ბევრად

უკეთესიც იქნებოდა. როკის გვირაბის გაყვანით გამოწვეულ სიმწარეს ჩვენი ქვეყანა დღესაც უხვად იმკის. და ეს, ბევრ სხვა რამესთან ერთად, იმ დროს ქვეყნის სათავეში მყოფთა დიდი ღვაწლი და „წყალობაა!“.

მშენებელი, ზოგ სხვა პროფესიის მუშაკის მსგავსად, იმითაც არის ბედნიერი, რომ მის გულმოდგინედ ნაღვაწს დრო აგრერიგად ვერ უბედავს ხელყოფას და მის მიერ ნაშენი ნაგებობები მომავალ თაობებს ხელუხლებელი რჩება.

კავთისხევის რკინიგზის სადგურთან მტკვარზე რომ ხიდი დღესაც მყარად დგას, მისი გახსენება განსაკუთრებით სიამოვნებას გვრის მრავლისმნახველ მშენებელ-ინჟინერ ივანე კოტეტიშვილს. ეს პირველი მნიშვნელოვანი საქმე იყო, რომლის მშენებლობაზე მთავარი ინჟინრობა 25-26 წლის ახალგაზრდა ივანე კოტეტიშვილს მიანდვეს.

ახლა რომ ჰკითხოთ ბატონ ივანეს, პროფესიის არჩევისას ოჯახურ ტრადიციას რატომ უღალატეო, ვერ გეტყვით. საქმე ის გახლავთ, რომ ძირძველი თბილისელის მამაც და პაპაც სტამბის მუშაკები იყვნენ.

აქ ვწყვეტ საუბარს ქლუხორში ნაცხოვრებ და ნამოღვაწარ ქართველთაგან ერთ-ერთ (თუ ერთადერთ არა) ყველაზე მხცოვან ივანე კოტეტიშვილზე. თუმცა, ალბათ, ჩემი მონათხრობი სრულყოფილად ვერ ჩაითვლება, თუ არ ვიტყვი, რომ 1998 წელს ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, მისი დარგის სპეციალისტთაგან, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით, პირველი სწორედ იგი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ცხადია, ყველა კაცისთვის უდიდესი ბედნიერებაა სამშობლოს მიერ მინიჭებული ყოველგვარი ჯილდო და ამას ბატონი ივანეც ასე უყურებს. მაგრამ ამაზე არანაკლებ (თუ უფრო მეტი არა) ჯილდოდ მაინც ის უნდა მივიჩნიოთ, რომ შვილებით და შვილიშვილებით მორჭმული, ცხრა ათეულ წელს მიახლოებული დიდი პაპა, ივანე კოტეტიშვილი კვლავაც მხნედ გრძნობს თავს. არც მახსოვრობა ღალატობს, არც საუბარი ეშლება. ეს კი ის ფასდაუდებელი ჯილდო გახლავთ, რომლითაც უფალი თავის რჩეულებს აჯილდოებს.

მინაწერი:

ქვეყანაზე მარადიული არაფერია. მათ შორის, არც ადამიანის ცისქვეშეთში ცხოვრება. მოგეხსენებათ, წიგნის დაწერასა და გამოცემას, ბევრ სხვა რამესთან ერთად, დრო და ფულიც სჭირდება. სანამ ეს ნაწერი წიგნის სახით დღის სინათლეს იხილავდა, ცხრა ათეულ წელს მიახლოებული, ნაღვაწი, თავისი გვარის დიდი პაპა, ივანე კოტეტიშვილი სულეთის მარადიულ სასუფეველს შეუერთდა. უფალმა ულხინოს იმ ქვეყანაზე მის სულს.

ლამაზად დაფერფლილი სიცოცხლე

ამ კეთილშობილურ, საპატიო და აუცილებელ პროფესიათაგან, რომელთა გარეშეც კაცობრიობას უამრავი სირთულე შეექმნებოდა, მეტნაკლებად ყველა საჭირო გახლავთ, თუმცა, მკურნალი-ექიმი და მასწავლებელი მაინც ყველასგან გამორჩეულად უნდა ჩაითვალოს.

თუ ვინმე იკითხავს, რატომ მაინცდამაინც მკურნალი-ექიმი და მასწავლებელიო, პასუხი ასეთი იქნება:

ექიმი ადამიანის სხეულის ჯანმრთელობას, ანუ მის სიცოცხლეს დარაჯობს, ხოლო მასწავლებელი ბნელში ანთებული სანთლის მაგივრობას გვიწევს – ჩვენს სულს წვრთნის, აკეთილშობილებს, წარსულის სიბრძნის ძნელ ლაბირინთებში გვახედებს და სამყაროს საიდუმლოებათა შეცნობაში გვეხმარება, რათა სიკეთეს ვეზიაროთ და ზეციური მამის სურვილისა და შეგონების მიხედვით ვიცხოვროთ. ამით ჩვენს თავსაც ვარგოთ და არც სხვები დავაზიანოთ. ეს კი ცოტას როდი ნიშნავს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი სულისა და სხეულის ერთიანობაა და მას არც ერთზე და არც მეორეზე ძვირფასი არც ამქვეყნად და არც მარადისობაში, არაფერი გააჩნია.

ამა თუ იმ პროფესიის სარგებლიანობის შესახებ აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მით უფრო, რომ ჩემს მოსაზრებას ბევრი შეიძლება, არც დაეთანხმოს. ესეც არ იყოს, ჩემი მიზანი სულაც არ გახლავთ პროფესიათა ავკარგიანობის გარკვევა. ამიტომ უმთავრეს სათქმელს რომ უფრო დავუახლოვდე, ვიტყვი: ღებელ ვალერიან (ვალიკო) გავაშელს (ქუტუნეეთი) და ამბროსი ლობჯანიძეს (ჯაჯოენთი) მკურნალ-ექიმობასთან საერთო არაფერი ჰქონიათ. ორივენი პედაგოგები იყვნენ და წლების განმავლობაში ონის რაიონის სოფელ ღების, აგრეთვე, მეზობელი სოფლების – ჭიორის და გლოლის მოსწავლე (თუმცა, არა მარტო მათი!) ახალგაზრდობას საშუალო სკოლაში ერთი გეოგრაფიის საფუძვლებს ასწავლიდა, ხოლო მეორე – ქართულ ენასა და ლიტერატურაში წვრთნიდა და მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის და ერის სიყვარულს უნერგავდა.

ვალერიან გავაშელს და მისი თაობის ადამიანებს ბედმა უმძიმეს და უსასტიკეს წლებში არგუნათ ცხოვრება და მოღვაწეობა.

მართალია, ბევრისათვის იმ დროს ერთგვარი რომანტიკული ხიბლი ჰქონდა, მაგრამ ეს ხიბლი ზერელე და მოჩვენებითი გახლდათ. იმ ეპოქისა-

თვის უმთავრესად დამახასიათებელი იყო ადამიანების ერთმანეთთან დაპირისპირებით, კანონების უგულვებელყოფით, ცალკეულ პიროვნებათა თუ ცალკეული ჯგუფების პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, უდანაშაულო ადამიანთა დასჯა და ანგარიშსწორება.

7-8 წლის იყო ვალერიან გავაშელი, როცა 1917 წლის თებერვლის ცნობილი რევოლუცია მოხდა, რამაც რუსეთის მეფეს ტახტი დააკარგვინა.

ვალერიან გავაშელი

ცხადია, ამ ხნის ბავშვი მაშინ ვერ გააცნობიერებდა, თუ რას ნიშნავდა „მეფის ტახტიდან ჩამოგდება". თუმცა, იმას კი გრძნობდა, რომ ქვეყანაში რაღაც უჩვეულო ამბები ხდებოდა. ალბათ იმიტომ, რომ სოფელში ბევრი რამე შეიცვალა, ხალხი უფრო მეტად გარეთ ტრიალებდა და უფროსები, შეხვედრისთანავე, ერთმანეთს ეკითხებოდნენ: გაიგე, მეფე ტახტიდან ჩამოუგდიათო.

მერე იყო და 1921 წლის თებერვლის სუსხიანი ზამთრის ერთ ავბედით დღეს მეთერთმეტე არმიის წვეტიანქუდიანი ჯარისკაცები გამოჩნდნენ ღების თემშარასა და ორლობეებში.

იმ ჯარის სოფელში შემოსვლა სამუდამოდ დაამახსოვრდა თერთმეტი წლის ვალერიან გავაშელს, მაგრამ მაშინ თერთმეტი წლის ყმაწვილს (გინდაც მასზე ბევრად უფროს) საიდან უნდა სცოდნოდა, მისი მშობლიური სოფლისთვისაც და სამშობლოსთვისაც რა საბედისწერო წელი და დღე იყო ის დღე და წელი. წინასწარ როგორ უნდა მიმხვდარიყვნენ, თუ რამდენ ცრემლსა და სისხლს დაღვრიდა და არნახულ გასაჭირს დაატეხდა თავზე ადამიანებს მამისონის უღელტეხილით გადმოსული წვეტიანქუდიანი ჯარისკაცები, რომლებმაც ღებელებს ოჯახური მყუდროება დაურღვიეს, ხოლო მათ სათაყვანებელ სამშობლოს სანუკვარი დამოუკიდებლობა ხანგრძლივი დროით დააკარგვინეს. რომ სცოდნოდათ კიდევაც თერთმეტი წლის ვალერიანს, ან მასზე უფროსებს, რაც იმ ჯარისკაცების გამოჩენას მოჰყვებოდა. უკვე მომხდარში რას შეცვლიდნენ? ვერც ვერაფერს. დრო და ცხოვრება კი თავისი ჩვეული გზით მიდიოდა და ყმაწვილის სულში შეუმჩნევლად ტოვებდა ბუნდოვან კვალსა და ნაღველს. მაგრამ უფროსებისაგან განსხვავებით, იმ დროს უკვე საშუალო სკოლის მოსწავლის, ვალერიანის საზრუნავი წიგნის კითხვა და ცოდნის შეძენა გახლდათ.

თითქმის შეუმჩნევლად გაილია მოსწავლეობის პერიოდი, რასაც ბუნებრივად მოჰყვა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიულ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება.

ღებისა არ იყოს, მთები არც ლაუვარდოვან აჭარას აკლდა, მაგრამ თვრამეტი წლის ვალერიანზე „ქათქათა ბათუმმა“ და ფირუზოვანმა ზღვამ პირველივე დღიდან განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა.

მერე და მერე, იგი ისე შეეთვისა ამ ძირძველ ქართულ კუთხეს, რომ ვერც კი წამოიდგენდა, თუ ოდესმე მისი დატოვება მოუხდებოდა.

მთის რაჭის უკიდურესი ჩრდილოეთის საზღვრისპირა სოფელ ღებიდან აჭარაში სასწავლებლად ჩასულ ყმაწვილს, როცა ინსტიტუტის მეგობრები კითხავდნენ, აქ თავს როგორ გრძნობო, ვალერიანი ღიმილით მიუგებდა: როგორც მშობლიურ რაჭაშიო და იქვე ხუმრობით დაუმატებდა: სულაც არ არის გასაკვირი, აჭარაში თავს ისე ვგრძნობდე, როგორც მშობლიურ რაჭაში. „აჭარას“ ბოლო ა-ს თუ მოვაცილებთ და, ასევე, ბოლოდან წავიკითხავთ, ხომ „რაჭა“ გამოდისო.

იქნებ სხვა დროსაც, მაგრამ განსაკუთრებით სტუდენტობისას, მართლაც, შეუმჩნევლად გადის წლები. ყოველ შემთხვევაში ვალერიანისთვის, როგორც იტყვიან, ნამდვილად, თვალსა და ხელს შუა გაირბინა სტუდენტურმა ხუთმა წელმა.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ვალერიანს და მის ახლა უკვე სტუდენტობის მეგობრებს საზეიმო ვითარებაში გადასცა დიპლომები და ცხოვრების დიდ გზაზე გასვლა მიულოცა. ეს იყო 1933 წელს, როცა ქვეყნის კოლექტივიზაციასთან დაკავშირებით „თავბრუდახვევა წარმატებისგანაც“ იყო და მასზე არანაკლებ გამოკვეთილი ჩავარდნებიც.

დიპლომირებულ გეოგრაფს, ვალერიან გავაშელს ძალიან გაუჭირდა განშორება, ხუთი წლის განმავლობაში დამეგობრებულ თანაკურსელებთან და ლაუვარდოვანი ზღვით დამშვენებული აჭარის „კეკლუც დედოფალთან“, როგორც მაშინ ერთმა პოეტმა ბათუმს უწოდა, მაგრამ იმ დროს „კადრები წყვეტდნენ ყველაფერს“, ქვეყანას განათლებული თაობა სჭირდებოდა, (თუმცა კადრები როდის და რომელი ქვეყნის ცხოვრებაში არ წყვეტდნენ ყველაფერს და განათლებული კადრები ქვეყანას, ნეტა, როდის არ სჭირდებოდა!) უმაღლესდამთავრებულ ვალერიანს და მის მეგობრებს ქვეყნის ყველა კუთხეში ელოდებოდა საშური საქმეები.

ვალერიანი ონის რაიონის შქმერის რვაწლიანი სკოლის დირექტორად დანიშნეს.

შქმერი, ვალერიანის მშობლიური ღებივით, მაღალმთიანი სოფელია, მთა-გორებით, ტყით, არაჩვეულებრივი ჰაერით და ცივი წყაროებით დამშვენებული. სოფლის სტუმართმოყვარე და გულთბილი მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვდა ახალგაზრდა დირექტორს. თვითონ ვალერიანი ბუნებით მშვიდი ხასიათის გახლდათ. ამას ისიც ემატებოდა, რომ თვითონაც

მთის სოფელში გაზრდილი მთიელი კაცის ბუნებას მშვენივრად იცნობდა, რაც უთუოდ უადვილებდა სოფელთან ურთიერთობას.

და კიდევ: დინჯ და დაკვირვებულ ახალგაზრდას უმცდარად დაამახსოვრდა ბათუმში გამოსაშვებ საღამოზე მისთვის და მისი თანაკურსელი მეგობრებისათვის ლექტორ-მასწავლებელთა, ამჯერად უკვე საბოლოო შეგონება:

– სადაც არ უნდა იყოთ, თქვენი ავტორიტეტი თქვენივე კეთილგონიერებით პირველივე დღიდან უნდა შექმნათ. სოფელში ფეხს შედგამთ თუ არა, თქვენ იქნებ ვერც შეამჩნიოთ, მაგრამ ხალხი უცხო კაცის, ანუ თქვენს ყოველ ნაბიჯს, ნათქვამ სიტყვას და ქცევას მუშტრის თვალით აფასებს, წკვრელავს, წონის და დასკვნებიც უმცდარად გამოაქვს, რადგან ხალხის ფხიზელ თვალს შეუნიშნავი არაფერი რჩება.

აქ, ინსტიტუტში სწავლისას თქვენს მიერ მიღებული ნიშნები და ამით ჩვენგან თქვენი ცოდნის შეფასება, ცხადია, ბევრს ნიშნავს, მაგრამ უმთავრესი ნიშნები ცხოვრებამ უნდა დაგიწეროთ და იმ ხალხმა, ვისი შვილების აღზრდაც მოგიწევთ.

ბავშვს მახვილი თვალი აქვს. მოსწავლემ იქნებ ხმამაღლა არ თქვას, რაც გულში უდევს, მაგრამ ავსა და კარგს ადვილად ამჩნევს და ეცადეთ, არაფერი შეგეშალოთ, ხოლო თუ უნებურად რამე ისე არ გამოგივიდათ, როგორც გსურდათ, იფიქრეთ და იკვლიეთ, რომ მიზეზს მიაგნოთ და უზუსტობა დროზე გამოასწოროთ.

ინსტიტუტიდან გამოყოლილი ამ და არაერთი სხვა შეგონების შედეგი იყო, თუ ახალგაზრდა დირექტორის შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობდა, მას და სოფელს შორის სულ მალე გულთბილი დამოკიდებულება დამყარდა.

პედკოლექტივი პატივს სცემდა დირექტორის მიერ საქმის ცოდნით ნათქვამ ყოველ გონივრულ სიტყვას. მოსწავლეებს მოსწონდათ მათი მასწავლებლის მიერ განსაკუთრებული მონდომებით ახსნილი გაკვეთილები. ეს არც ბავშვების მშობლებს რჩებოდათ შეუმჩნეველი და ისინიც კმაყოფილი იყვნენ მათი შვილების აღმზრდელ-მასწავლებლის.

ვალერიან გავაშელს თავისუფალ დროს გლეხებთან ჩადგომა და სხვადასხვა თემაზე საუბარი უყვარდა. სოფელი სკოლის დირექტორის ამ თვისებასაც დიდად აფასებდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი ვალერიან გავაშელის შქმერში მოღვაწეობიდან.

ბედნიერება ზოგჯერ სრულიად მოულოდნელად ეწვევა ადამიანს. ყოველ შემთხვევაში მაშინ სწორედ ასე გამოუვიდა ვალერიანს, როცა შქმერელი დაუშვილების ერთი ლამაზი და მოკრძალებული ქალიშვილი, ეკატერინე სხვებისგან გამოარჩია და მას თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა. იგი ამ არჩევანით ბედის უზომოდ კმაყოფილი იყო, ხოლო სოფელი – გახარებული, დიდებული სიძის შეძენით.

ცხადია, დირექტორის სხვა თვისებებიც, მაგრამ, ალბათ, სოფლის სიძობაც იყო მიზეზი იმისა, როცა ვალერიანი რაიონის განათლების განყოფილებამ შქმერის სკოლიდან მის მშობლიურ, ღების სკოლაში გადაიყვანა სამუშაოდ, შქმერელებს გულწრფელად დაენანათ მასთან განშორება.

სოფლისა და მოსწავლეებისაგან სიყვარული და პატივისცემა არც ღების სკოლაში მოკლებია თავისი საქმის მცოდნე და ახლა უკვე საკმაო გამოცდილების მასწავლებელს. ეს თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო, იგი ხომ ამ სოფლის მკვიდრი იყო. აქ დაიბადა, გაიზარდა. აქ, თანატოლებიც ბევრი ჰყავდა, ნაცნობ-მეგობრებიც და ნათესავებიც. ამას გარდა, ბევრი მისი ყოფილი პედაგოგი, ახლა უკვე მისი კოლეგა გახლდა. და ერთიც: ვალერიანი მშვენივრად იცნობდა ღებს და მის მკვიდრთ. ეს სოფელი ერთგვარად გამორჩეული იყო მთელი იმ კუთხის სოფლებს შორის. აქ მოუზომელი ნაბიჯის გამო დაცინვაც მწარედ იცოდნენ და, კაცს თუ სიდარბაისლეს შეამჩნევდნენ, სიყვარულიც გამორჩეული სჩვეოდათ. ამიტომაც ყველაზე მეტად სწორედ აქ ევალებოდა თავის გამოჩენა. არც შეურცხვენია თავი. შეურცხვენია კი არა, უმოკლეს დროში ერთ-ერთი წამყვანი პედაგოგის სახელი დაიმკვიდრა სოფელშიც და რაიონშიც.

თითქოს თავიდანვე დაებედა ვალერიან გავაშელს, ერთ ადგილზე ხანგრძლივად არ ემუშავა. ის იყო ღების საშუალო სკოლაში საქმე სანაქებოდ ააწყო, რომ სულ მალე ოზურგეთის რაიონის მთისპირის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად გადაიყვანეს და უმოკლეს დროში, იქაც, გულწრფელად შეიყვარა დიდმა და პატარამ.

კაცმა რომ თქვას, სადაც იმუშავა ბატონმა ვალერიანმა, ხალხის სიყვარული არსად მოკლებია. დამერწმუნებით, ხალხმა რომ გულწრფელად შეგიყვაროს, ამას განსაკუთრებული ნიჭი და დიდი შინაგანი ადამიანური სითბო სჭირდება. ეტყობა, ვალერიან გავაშელს, პროფესიულ ცოდნასთან ერთად, არც ეს შინაგანი სითბო აკლდა.

დიდხანს არც მთისპირის სკოლაში უმუშავნია. მოგვიანებით კასპის რაიონის სოფელ კავთისხევში გაამწესეს სკოლის დირექტორად – ამ სკოლაში გამოცდილი კაცი გვჭირდებაო.

უარი არ უთქვამს შემოთავაზებულ წინადადებაზე. დრო იყო ასეთი, უარი, თუნდაც დასაბუთებული, მაშინ ეჭვის საბაბი ხდებოდა და ხშირად საბოტაჟადაც აღიქმებოდა. ხოლო მესაბოტაჟეებს როგორ ექცეოდნენ იმ დროს, ეს კარგად ცნობილია. კაცმა რომ თქვას, ბატონ ვალერიანს განდგომისა და საბოტაჟისთვის არც რამე მიზეზი ჰქონია და ასეთ რამეზე არც არასდროს უფიქრია. თავისი საქმე იცოდა და მასზე მინდობილ საქმეს მუდამ კეთილსინდისიერად ასრულებდა. ალბათ, ამიტომაც, სადაც გასაჭირი იყო, მდგომარეობის გამოსასწორებლად, მასაც იქით უხმობდნენ.

ვალერიან გავაშელი კავთისხევის სკოლაში მისვლისთანავე ჩვეული გულმოდგინებით მოეკიდა მინდობილ საქმეს და სკოლასაც სწრაფად

დაეტყო გამოცდილი დირექტორის პროფესიულად გაწაფული ხელი და მხურვალე გული.

მალე სწორედ საქმისადმი სიყვარულისა და გულმოდგინების გამო ისე შეიყვარეს კავთისხეველებმა მანამდე მათთვის უცნობი სკოლის დირექტორი, რომ ახლობლობის და შინაურობის ნიშნად ყველა „ჩვენს ვალიკოს" ეძახდა.

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე, პედკოლექტივთან ერთად თითქმის მთელმა კავთისხევმა გააცილა ფრონტზე.

გამომშვიდობებისას უფალს შეავედრეს ყოველგვარი განსაცდელისაგან მისი დაცვა, თან პირობა ჩამოართვეს, მტერზე გამარჯვებული უთუოდ ჩვენთან ჩამოდი და სკოლას შენეული გულმოდგინებით ისევ ჩაუდექი სათავეშიო.

არაფერს ვიტყვი, რა ჯოჯოხეთი გამოიარა ხუთი წლის განმავლობაში ომის ქარცეცხლში მყოფმა პედაგოგმა, რომელსაც სამშობლოს დაცვის აუცილებლობამ ბავშვების აღზრდა იძულებით ავტომატზე გააცვლევინა.

ომის დამთავრებამ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში მოუსწრო, მაგრამ შინ მხოლოდ 1946 წელს კაპიტნის ჩინით და მძიმე ჭრილობით დაბრუნდა. ერთხანს შინ იყო, ოჯახურ სითბოსა და გარემოში იშუშებდა ჭრილობას. შემდეგ ონის განათლების განყოფილებაში პასუხისმგებელ თანამდებობაზე დაიწყო მუშაობა, მაგრამ კაბინეტურ სამუშაოს ვერ შეეგუა. სულით ხორცამდე პედაგოგმა, სკოლა და ბავშვების აღზრდა ამჯობინა ყველაფერს. გაუგეს განათლების განყოფილებაში და უარიც არავის უთქვამს მისი სურვილის დაკმაყოფილებაზე. ახლა უკვე მშობლიური ღების სკოლას დაუბრუნდა და სიცოცხლის, უფრო სწორად, სანამ ჯანმრთელობამ ხელი არ შეუშალა, გეოგრაფიას ასწავლიდა თანასოფლელთა შვილებს.

გულწრფელად გაიხარეს ღების სკოლაში კოლეგებმა, მოსწავლეებმა და თანატოლებმა იქ მისი კვლავ გამოჩენით. მათ შორის, ამბროსი ლობჯანიძემაც (ჯაჯოენთი).

ამბროსი ოთხი წლით უმცროსი იყო ვალერიანზე, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მათი განსაკუთრებული, თბილი და მეგობრული ურთიერთობისათვის. ისინი ხშირად ერთად იგონებდნენ ომის ამბებს, იქ გადატანილ გასაჭირს და, ღვთის განგებით, შინ ცოცხლად დაბრუნებით ხარობდნენ.

ამბროსი ლობჯანიძე ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ღების სკოლაში. მას ქუთაისის პედინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. მე მას შორიდან მანამდე ვიცნობდი, სანამ ერთმანეთს პირადად შევხვდებოდით და ჩვენს შორის თბილი და მეგობრული ურთიერთობა დამყარდებოდა, როგორი სითბო და სიყვარულიც ახლობლობაში მუდამ სჩვეოდა ბატონ ამბროსის.

საქმე ის გახლავთ, რომ ამბროსის დის ოჯახი ქლუხორში ცხოვრობდა. მისი უფროსი დისშვილი, ანზორ გავაშელი (ხათუკეეთი) და მე ერთ კლასში

ვსწავლობდით და, ამასთანავე, ერთმანეთთან ახლო მეგობრობა გვაკავშირებდა.

ქლუხორის რაიონიდან ქართველების წამოსვლის შემდეგ, ანზორი, მშობლებთან ერთად, სოხუმში დასახლდა და ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთმანეთს აღარ შევხვედრივართ. თუმცა, ერთმანეთის ამბავს შორიდან მაინც ვიგებდით საერთო ნაცნობების საშუალებით. მერე აფხაზეთში ყველასათვის ცნობილი ის საშინელი ტრაგედია დატრიალდა, რომელმაც არაერთი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ეს ავბედითი, სისხლიანი, სამარცხვინო ნამოქმედარი ქართველი ერის მიმართ სამუდამოდ დარჩება რუსებს და აფხაზ სეპარატისტებს, როგორც სატანის მიერ შუბლზე დასმული, მარადიული სამარცხვინო დაღი.

ამბროსი ლობჯანიძე

ჩემი მეგობარი ანზორ გავაშელი ბოლომდე სოხუმში იყო და ქართულ საქმეს არ ღალატობდა, როგორც თავისი ქვეყნის არაერთი მისი მსგავსი პატრიოტი. იგი აფხაზმა სეპარატისტებმა შეიპყრეს და თავისი ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლისა და სამშობლოს სიყვარულის გამო სასტიკად ნაწამები დახვრიტეს.

ამ ტრაგიკულ ამბებამდე რამდენიმე ათეული წლით ადრე მე და ანზორი, სხვა ჩვენს თანატოლებთან ერთად, ქლუხორის ქართულ საშუალო სკოლაში სწავლისას ათას რამეზე ვსაუბრობდით, მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს მშობლიური ლიტერატურის მიმართ ვიჩენდით.

ანზორი ჯერ კიდევ მაშინ გიამბობდა ბიძამისის, ამბროსი ლობჯანიძის შესახებ, რომელიც იმ დროს ღების საშუალო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ჩემს მეგობარს არაერთხელ სიამაყით უთქვამს ახლო მეგობრებისათვის, ბიძია ამბროსი ლექსებს წერსო. თან მისი ლექსებიდან რამდენიმე სტროფს ზეპირად იტყოდა ხოლმე. ჩვენ, იმ დროს ქართულ გარემოს მოცილებულ ახალგაზრდებს, გულზე მალამოდ გვხვდებოდა ლამაზ ლექსად გამოჩუქურთმებული ქართული სიტყვა.

როცა დიდი ხნის შემდეგ ახლოს გავიცანი ჩემი მეგობრის ბიძა, ბატონი ამბროსი ლობჯანიძე და, მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, ჩვენს შორის სულ მალე თბილი, მეგობრული ურთიერთობა დამყარდა, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ასეთი დახვეწილი ლიტერატურული გემოვნების, ფაქიზი სულის, თავმდაბალი, კულტურული ბიძის დისშვილს, ანზორ გავაშელს მისით საამაყო ნამდვილად ჰქონდა. რაც მთავარია, იგი თხემით ტერფამდე პოეტური სულის ადამიანი გახლდათ.

1940 წელს ამბროსი ლობჯანიძე მილიონობით მისი ასაკის ახალწვეულებთან ერთად სავალდებულო-სამხედრო სამსახურში გაიწვიეს და საყ-

ვარელ საქმიანობას დროებით ჩამოაცილეს. სავალდებულო სამსახურის დამთავრებამდე დიდი დრო აღარ რჩებოდა, როცა ომი დაიწყო. შინ ვინღა გამოუშვებდა სკოლასა და მოსწავლე-ახალგაზრდობაზე შეყვარებულ პედაგოგს, როცა მთელი ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ომში ჩაება.

დროებით ყველაფერი გვერდზე გადადო პოეტური სულის პედაგოგმა და ომის დაწყების პირველი დღიდანვე სამხედრო საქმიანობაზე გადაერთო. თავის თანატოლ ახალგაზრდებთან ერთად, კალმის ნაცვლად ხელში თოფი აიღო და ფაშიზმის წინააღმდეგ, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლათა რიგებში ჩადგა.

უამრავ სისხლისმღვრელ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა და ყველგან ნამდვილი ჭარისკაცის გამბედაობით იბრძოდა. ამის დასტური გახლავთ არაერთი საბრძოლო ჯილდო, რომელიც სხვადასხვა ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის დაიმსახურა.

ბერლინის შტურმიდან გამარჯვებით გამოსული ამბროსი ლობჯანიძე შინ 1945 წლის დეკემბერს დაბრუნდა. მერე, როცა ვალერიანთან ერთად ომის ამბებს გაიხსენებდა, სულ უკვირდა, ცოცხალი როგორ გადაურჩა იმ, მართლაც, ნამდვილ ჯოჯოხეთს, ასიათასობით ადამიანთან ერთად კავკასიიდან ბერლინამდე რომ გაიარა. ბერლინის შტურმით აღებაში მონაწილეობის შემდეგ მშვიდობიან ცხოვრებას დაბრუნებულმა ამბროსიმ ჭერ ჭიორის სკოლაში იმუშავა სასწავლო ნაწილის გამგედ და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, ხოლო შემდეგ მშობლიურ ღების სკოლაში სპეციალობის მიხედვით განაგრძო პედაგოგიური საქმიანობა.

სწორედ ამ დროს ამბროსი ლობჯანიძის კოლეგას და მეგობარს, ვალერიან გავაშელს ფრონტზე მიღებული ჭრილობა გაურთულდა და იძულებული გახდა, სამკურნალოდ დედაქალაქში წასულიყო. მთელი ღები მოუთმენლად მოელოდა სოფელში მის მალე და მშვიდობიანად დაბრუნებას. ცხადია, მათ შორის ამბროსი ლობჯანიძეც, მაგრამ ვაგლახ, რომ სიკვდილისაგან ვეღარც ცნობილმა დოსტაქრებმა იხსნეს ოცდაცხრამეტი წლის, შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნის ასაკში სიცოცხლეზე, მართლაც, უზომოდ შეყვარებული კაცი.

ყვალამ, ვინც იცნობდა, მწარედ განიცადა ვალერიან გავაშელის ასე უდროოდ გარდაცვალება. განსაკუთრებით მისი მშობლიური ღები ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ სკოლაში გაკვეთილებს ვეღარ ჩაატარებდა მისი ერთ-ერთი გამორჩეული შვილი.

ღებელები – დიდი და პატარა – საზღვართან ორბეთში შეეგება ნაომარი შვილის ცხედარს და მხარზე შედგმული შემოასვენეს სოფელში.

დაკრძალვის დღეს მშობლიურ კუთხესთან გამოსამშვიდობებლად ერთხანს სკოლის ეზოში დაასვენეს ვალერიან გავაშელის ცხედარი და მისი მშობლიური სოფლის მცხოვრებლებთან ერთად ცხარე ცრემლით გამოეთხოვა მარადისობის გზაზე მიმავალს მეზობელი სოფლების – ჭიორის და

გლოლის მოსახლეობაც. ხოლო მისმა კოლეგამ, ამბროსი ლობჯანიძემ ლექსით დაიტირა საყვარელი მეგობარი:

„დადუმებულან ხევები, დადუმებულან მთანია,
რაღაც უეცარ გრძნობასა ეს გული აუტანია.
რა ამბავია, ვიკითხე, ხალხი რამ აამღელვარა,
სკოლის ეზოში ნეტავი, რა სევდამ გაიელვარა?!
ვალიკო აღარ არისო, რაღაც ხმამ გაიბარბაცა,
ვალიკო აღარ არისო, მთებმა მყინვარებს გადასცა.
ჩემო ძვირფასო კოლეგავ, ჩემო ძვირფასო ვალიკო,
სიკვდილის შავმა აშარმა სიცოცხლე როგორ გაგიყო.
ბრძოლის ქარცეცხლში იყავი, სამშობლოს მკერდით იცავდი,
ფაშიზმის კოშკებს ანგრევდი, მამულის სახელს ფიცავდი!
როგორ გაბედა სიკვდილმა, გულზე დაგადო ხელია,
ჩამოგაცილა მეგობრებს, თვალი არ გაგახელია.
დატოვე შენი სახლ-კარი, ეზო ბაღნარად ქცეული,
იყავ სიტურფის ტრფიალი, თვითონ კაცობით რჩეული.
კაი ყმა მოსწონს სიკვდილსაც, ვინ შეძლო მისგან გაქცევა,
შენი პატარა მემკვიდრე მალე ვაუკაცად იქცევა!
არ უღალატებს იმ საქმეს, რაც გულში გედო მარადის,
რასაც დღედაღამ ნატრობდი, შავი სამარის კარამდის.
სიკვდილის შავი აჩრდილით შავ ბილიკს გავუყევითა,
ველარ წამოხვალ სკოლისკენ ლერწამი ტანის რხევითა!“

სიკვდილი მუდამ როდი არის ყველაფრის ბოლო და დასასრული. ვალერიან გავაშელს მშვენიერი ქართული ოჯახი დარჩა და მისი ქალ-ვაჟი – ეთერი და ზურაბი, შვილებთან და შვილშვილებთან ერთად სანაქებოდ აგრძელებენ მამის დაწყებულ საქმეს.

ბატონი ვალერიანი ახლა ჩვენს შორის რომ იყოს, შვილთაშვილის, პატარა ზურიკოს ამქვეყნად მოვლინებით გაიხარებდა და, მართლაც, ბედნიერი დიდი პაპა იქნებოდა.

...სანამ ამ მონათხრობს დავასრულებ, პატივცემულ მკითხველს იმასაც შევახსენებ, რომ ბატონი ამბროსი მთელი ცხოვრება ქართულ სიტყვას თავს ევლებოდა და მისით სულდგმულობდა. იგი ასევე, სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ქართული ლექსის ტრფიალი გახლდათ. ხშირად თვითონაც ლექსით გამოხატავდა საკუთარ სათქმელს, მაგრამ საკუთარი თავისადმი მკაცრი მომთხოვნელობის გამო, არასოდეს გაუბედავს თავისი შემოქმედების მოკრძალებული ნიმუშები ფართო საზოგადოებრიობის სამსჯავროზე გამოეტანა და ჟურნალ-გაზეთების ფურცლებისთვის ენდო. დარწმუნებული ვარ, ცოცხალი რომ იყოს, არც ამჯერად დამთანხმდებოდა

ამაზე, მაგრამ ჩემს თავს ნებას ვაძლევ მისი შემოქმედებიდან კიდევ ერთი მოკრძალებული ნიმუში მკითხველს ეაშნიკად შევთავაზო:

რაჭას

დინჯო და დარბაისელო, ფირუზთვალება რაჭაო,
დედოფალივით ლამაზსა, გიხდება ვაზის ფარჩაო.
ბაღ-ვენახებში ჩაფლულო, სამოთხედ ამოზიდულო.
ვარდ-ყვავილების ხალიჩავ, რიონის ეშხით დიდგულო.
მაღლიდან შოდა დაგცქერის, კავკასიონის მაყარი,
თეთრი ქულაჯით მორთული ზაფხულია თუ ზამთარი.
სიმტკიცე გამოგყოლია ფოლადისა და რვალისა,
ძალა და შეუპოვრობა გმირთ-გმირი ამირანისა.
შმაგი რიონის სიმღერა გულში ოცნებებს ახელებს.
მთებში ფერხული ჩაუდგამთ ელექტრო ციცინათელებს.
ნამუსის ქუდი გახურავს, კაცურ-კაცობის ნიშანი.
მარადის შეუბღალავი, როგორც სხივები მზისანი.
ონი ყვავილნარს მაგონებს, გაშლილს რიონის პირასა,
შოვი – სიცოცხლის სავანეს, უწერა – ყმაწვილს მძინარსა.
ღები მოგრეხილ ჯიხვის რქას, მაღალი მთებით შემკულსა,
ძლევამოსილი რიონი გულში რომ იკრავს ჩვეშურსა.
ამბროლაური ვენახს ჰგავს, ხვანჭკარით დამძიმებულსა,
მაგიდას – შორით გაფენილს, მზიან დღით გაბრწყინებულსა.
რაჭისა წმინდა ხეობავ, ჩემო ხვანჭკარის დედაო.
გამარჯვებები გვიხმობენ, გასწი, ვიაროთ მხნედაო!
ცათამდე ამაღლებულო, გშვენის შრომა და გარჯაო,
გკოცნი, გეხვევი – შვილი ვარ, ჩემო ძვირფასო რაჭაო.

„მომრბანდით, პეტრესთან ხართ დაპატიჟემული“

ვისაც ომის შემდგომი წლების საშუალო სკოლის მეხუთე-მეექვსე კლასის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოში ეგნატე ნინოშვილის „პალიასტომის ტბის“ დასურათება უნახავს, უთუოდ ემახსოვრება, მშფოთვარე სტიქიის ყალყზე შემდგარ ტალღებს ზემოთ მოქცეულ, დასაღუპად განწირულ ტივზე მთელი ტანით აღმართული ივანე, რომელიც ამაოდ დასცქერის ქარიშხლისაგან გამძვინვარებული ტბის ზედაპირს, რომ ეგებ სადმე შვილის სხეულს მოჰკრას თვალი. პეტრე, მზისელი გლეხკაცი, იმ სახელმძღვანელოში დახატულ ივანეს გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა. ამ მსგავსების მოგნება და ის რომ უცნობი მხატვრის მიერ შექმნილი სურათი ჩვენს თანასოფლელ, უაღრესად კეთილ გლეხკაც პეტრეს ჰგავდა, ბავშვებს – მე და ჩემს თანატოლებს ძალიან გვახარებდა.

ახლა ეს იმიტომ გავიხსენე, რომ მინდოდა, უფრო ცხადად წარმომეჩინა, გარეგნობით როგორი იყო მზისელი გლეხკაცი, პეტრე ლობჯანიძე (ჯოტეენთი). აქვე იმასაც, დავამატებ, რომ პეტრე ტანად საშუალოზე მაღალი გახლდათ. ტანხმელი უფრო ეთქმოდა, ვიდრე ტანსრული.

მან რამე განსაკუთრებული ხელობა არ იცოდა, ვთქვათ, დურგლობა, კალატოზობა ან მჭედლობა. როგორც მზისელი გლეხკაცების უმეტესობა, ისიც კოლმეურნეობაში მუშაობდა და, იმისდა მიხედვით, როდის რა იყო საჭირო, ხან გუთნის დედა იყო, ხან ცელით ბალახს თიბავდა საკუთარი თუ კოლმეურნეობის ფერმის საქონლისათვის. შემოდგომაზე ტყეში მიდიოდა და შეშას ამზადებდა ზამთარში ოჯახის საჭიროების თუ სოფლის საზოგადოებრივ დაწესებულებათა გასათბობად.

პეტრე სოფელსა და სამეზობლოში უკონფლიქტო, ადვილი საურთიერთობო კაცი იყო. მშვიდი, თვინიერი, დამყოლი ხასიათი ჰქონდა. ტკბილი, სასიამოვნო საუბარი სჩვეოდა. გაღიზიანებული არასოდეს მინახავს, უხეშ, ხმამაღალ, მითუმეტეს, უწმაწურ სიტყვას მისგან ვერ გაიგონებდით. ყოველ შემთხვევაში, არ მაგონდება, რომ მეზობელთან დავა მოსვლოდა, ან ვინმეს მიმართ საგინებელი სიტყვა წამოსცდენოდა. ატარებდა კოხტად დაყენებულ ულვაშებს და თითქმის მუდამ ორი-სამი კვირის გაუპარსავი იყო. დავძენ, რომ ეს იმდროინდელი გლახკაცისთვის სულაც არ ითვლებოდა უკულტურობის ნიშნად. ის კი არადა, ამ ზომაზე დაყენებული წვერი

კიდევაც უხდებოდა და თავის თანასოფლელებისაგან ერთგვარად გამორჩეულ-ადგილ-ადგილ. იუმორი ეხერხებოდა და სხვებისგანაც უმტკივნეულოდ იტანდა ხუმრობას. დიახ, იუმორის ფასი ნამდვილად იცოდა და ვინმეს მოუზომავ ხუმრობასაც გაუღიზიანებლად ურიგდებოდა. ზოგჯერ გულში იქნებ კიდევაც წყინდა მის მიმართ მავანის მიერ გამოჩენილი ზედმეტი სითამამე. მაგრამ ამას არ იმჩნევდა.

პეტრეს და მის მეუღლეს ოთხი შვილი ჰყავდათ. ორი ვაჟი – ბეგლარი და კარლო, ქალიშვილები: თამარი და ნაზიკო.

უფროსი ვაჟი, ბეგლარი ორმოცდაერთში ომში წავიდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. თუმცა, ოჯახი იმედს არ კარგავდა და შვილის შინ მშვიდობით დაბრუნებას ყოველდღე ელოდა, თვით ომის დამთავრების შემდგომ წლებშიც. ცხადია, პეტრე და მისი ოჯახი მტკივნეულად განიცდიდა ომში უკვალოდ გაუჩინარებული ვაჟის ამბავს, მაგრამ სხვას თავზე არ ახვევდნენ საკუთარ მწუხარებას. შვილის დარდს გულში იკლავდნენ და დანარჩენ სამ ქალ-ვაჟს ზრდიდნენ.

პეტრეს მეორე ვაჟი, კარლო ჩემზე ერთი თუ ორი წლით უფროსი იყო, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლიდა, ერთმანეთთან გვემეგობრა.

კარლო მამასავით მშვიდი ხასიათისა იყო, ჩხუბი და უზნეობა არ უყვარდა. სიმღერა ეხერხებოდა. სმენა ჰქონდა და ხშირად რამდენიმე თანატოლი საღამოობით სადმე ჩავჯდებოდით და ხალისიანად ვმღეროდით ქართულ ხალხურ სიმღერებს.

კარლომ ომის შემდეგ გაიარა სამხედრო-სავალდებულო სამსახური. ჯარიდან სოფელში ზედმეტი ხმაურის გარეშე საღამო ხანს დაბრუნდა. ბუნებრივია, გაიხარეს მშობლებმა შვილის მშვიდობიანი დაბრუნებით. მით უფრო, იმის შემდეგ, რაც უფროსი ვაჟი ომში დაიკარგა.

ომის შემდგომ მძიმე დრო იყო. ეკონომიკური შეჭირვება საბნის ფართოდ გაშლის შესაძლებლობას არ იძლეოდა. ამიტომაც პეტრემ ოჯახის ახლობელთა ვიწრო წრეში გადაწყვიტა შვილის ჯარიდან ჩამოსვლის აღნიშვნა. რამდენიმე კაცი დაპატიჟა და სუფრის თადარიგს შეუდგა.

იმიტომ კი არა, მეზობელს და თანასოფლელს ვაწყენინოთ და გული ვატკინოთო, არა, უბრალოდ, ერთი შეხედვით, ზედმეტად მოუზომავად იხუმრეს მალაქია ლობჯანიძემ (პაატიანთი) და კაკო ლობჯანიძემ (მჭედლიანთი). ისე, რომ პეტრეს ოჯახმა ამის შესახებ არაფერი იცოდა, სოფელი ჩამოიარეს და ხალხს თხოვდნენ, პეტრეს ჯარიდან შვილი ჩამოუვიდა, წვეულებას მართავს და ლხინში გეპატიჟებათო. თუ ვინმე უარს იტყოდა, ყალბი მაპატიჟულები საყვედურით არცხვენდნენ, რომ არ ეწვიოთ, ეწყინება, იტყვის, ჩემი ოჯახის ბედნიერება არ გაუხარდაო. ისინიც რაღას იზამდნენ, რახან კაცი გვეპატიჟება, კიდევაც უნდა ვეწვიოთო.

ზოგმა საყვედურიც კი გამოთქვა, ასე გვიან რაღა დროს კაცის დაპატიჟებაა, ლამის შუაღამემ მოაწიოს, ჩვენი მიწვევა თუ უნდოდა იმ დალო-

ცვილს, ცოტა ადრე გავეფრთხილებინეთო. იმათ რა იცოდნენ, რომ ისინი არც ადრე და არც გვიან პეტრეს არ დაუპატიჟებია.

ამაზე ყალბ მაპატიჟებლებს პასუხი მზად ჰქონდათ, ადრე როგორ გაგაფრთხილებდათ, როცა თვითონაც არ იცოდა, შვილი ჯარიდან რა დროს ჩამოუვიდოდა. ბიჭი ეს-ეს არის მოვიდა და ისიც ლხინის სამზადისს შეუდგაო.

ასეთი პასუხით დამშვიდებული მეზობლები მიდიოდნენ და გულწრფელად ულოცავდნენ შვილის ჯარიდან მშვიდობით დაბრუნებას. პეტრეს ძალიან სიამოვნებდა, რომ მეზობლები გახარებულები იყვნენ მისი ბედნიერებით, მაგრამ იმას კი ვერ მიმხვდარიყო, ამდენი ხალხი დაუპატიჟებლად რატომ მოდიოდა. ბოლოს, ერთ-ერთ მეზობელს წამოცდა, კაკომ და მალაქიამ საშველი არ მომცეს, თორემ ასე გვიან აქ რა მომიყვანდა, ჩემს მოლოცვას ხვალაც მიიღებდიო.

პეტრე ახლა კი მიხვდა, ვისი „მადლი" იყო ამდენი სტუმრის მოწვევა, მაგრამ წარბი არ შეუხრია, მხოლოდ ერთ ახლობელს უთხრა, წადი და ორივე აქ მოიყვანე, ლხინი თუა, ლხინი იყოსო.

ამ ამბიდან რამდენიმე ხნის შემდეგაც კმაყოფილების ღიმილით იგონებდნენ მზისელი მეზობლები პეტრეს ოჯახში გატარებულ საღამოს და ცრუ მიპატიჟებას.

ქლუხორიდან წამოსვლის შემდეგ პეტრე და მისი ოჯახი მშობლიურ ღებს დაუბრუნდა. იქ მამაპაპურ კერაზე მოეწყვნენ და მან და მისმა მეულლემ ღრმა სიბერემდე იცოცხლეს. შვილებმა ქუთაისში არჩიეს ცხოვრება და იქვე დაემკვიდრდნენ. რაც დავცილდით, მას შემდეგ ერთმანეთს არ შევხვედრივართ, თუმცა, საერთო ნაცნობებიდან მათ ამბავს ასე თუ ისე მაინც ვიგებდი. რაც შეეხება პეტრეს, გულმა არ მომითმინა, ორიოდე სიტყვით არ მომეგონებინა ეს კეთილი კაცი, რომლისგანაც მზისაში, ყმაწვილობისას, არაერთი ტკბილი სიტყვა და სიკეთე მახსოვს...

მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი კაცის გახსენება

ამ დღეს მამაჩემი რაღაც საქმეზე იყო რაიონში წასული და შინ მობრუნება დააგვიანდა.

– უთუოდ სანახშოზე ვინმეს შეხვდებოდა. იქ შეყოვნდა და შინ აქამდე. ალბათ ამიტომ ვერ მოაღწია. – შვილების გასაგონად თქვა დედამ და თავისი საქმე განაგრძო.

მართალია, მზე ჩადიოდა და დღე ნელ-ნელა ილეოდა, მაგრამ მამის დაგვიანება საგანგაშო სულაც არ იყო. სხვა დროს ამაზე ბევრად უფრო მეტად დაუგვიანია.

მაშინ ასე ათი-თერთმეტი წლისა ვიქნებოდი. სახლში საქმე არაფერი მქონდა და სოფლის ცენტრისკენ გავეშურე, სადაც თავისუფალ დროს დიდებიც და პატარებიც ვიკრიბებოდით და ხშირად გვიანობამდე ვერთობოდით. მინდოდა, გამეგო, მამა ნამდვილად იქ იყო თუ არა.

მამაჩემი მართლაც იქ აღმოჩნდა. თავისი ასაკის ვიღაც უცხო კაცს ელაპარაკებოდა, რომელიც სოფელში მანამდე არ მენახა.

– რაო, შინიდან გამოგაგზავნეს, მამა მონახე და მოიყვანეო. – რომ დამინახა, ღიმილით მკითხა მამამ.

– არავის გამოვუგზავნივარ, ჩემით წამოვედი. – ვიუარე.

– რამე მოხდა?

– არაფერიც მომხდარა.

– კარგი, კარგი, შინ წავიდეთ, – მითხრა მამამ, – შენც რომ არ მოსულიყავი, უკვე ისედაც ვაპირებდი სახლში წამოსვლას. – მერე გვერდით მჯდომ, იმ უცნობ კაცს მიუბრუნდა: – ნიკო, მკითხე და მეც გითხარი, ცუდად არ გიფიქრია. ეს სოფელი ყოველმხრივ კარგია. კაცი თუ ხელს გაანძრევს, აქ ცხოვრება არ გაუჭირდება, დანარჩენი შენ იცი. ისე მოიქეცი, როგორც შენთვის სასარგებლოდ მიიჩნიო.

– კეთილი რჩევისთვის მადლობელი ვარ. ალბათ, დავრჩები და ვიცხოვრებ. სიმართლე გითხრა, მომწყინდა ამდენი აღმა-დაღმა ხეტიალი. უკვე აღარც ახალგაზრდა ვარ. ბიჭი კი კარგი გყოლია. სასიამოვნოა, შვილი რომ უყურადღებოდ არ ტოვებს მამას, – თითქოს რომელიღაც თავისიანზე გულდაწყვეტილიაო, ისე თქვა.

შინისაკენ მიმავალმა მამას ვკითხე:

– ვინ არის ეს კაცი?

– ჩვენებურია, ღებელი, ნიკო ლობჯანიძე. აქ. მზისაში აპირებს დასახლებას. რჩევა მკითხა, მეც გულახდილად ვუთხარი: თუ დასახლდები, არ ინანებ-მეთქი. არც ინანებს. ან კი როდემდე უნდა იაროს კაცმა ოჯახთან ერთად ასე აღმა-დაღმა, ქალაქიდან ქალაქში. პატარა ხომ აღარ არის. ორმოცდაათს რახანია გადასცდა. – მითხრა მამამ ისე, თითქოს იმ კაცის ბედზე ხმამაღლა ფიქრობდა. შევატყვე, რომ მას კარგად იცნობდა.

ამის შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, ნიკომ, ოჯახი რომ ჩამოიყვანა და მზისაში დასახლდა.

...ნიკოს ჭაბუკობის ასაკში, თუ უფრო ადრე, დაუტოვებია ღები. მას შემდეგ თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი რუსეთის სხვადასხვა ქალაქში გაეტარებინა. ალბათ, ესეც იყო უმთავრესი მიზეზი, რომ უცხო მხარეში დიდხანს ცხოვრებას მასში ქართული ბუნება მოეშალა. ამას დაემატა არაქართველი მეუღლის შერთვაც... ჩემის აზრით, უმეტეს შემთხვევაში, დედა რა ეროვნებისაც არის, შვილებიც იმ ენისა და ბუნების ზეგავლენით იზრდებიან. მით უფრო მაშინ, როცა კაცი, მთლიანად მოწყვეტილია მშობლიურ გარემოს, ხალხს და სულიერად მკვებავ ნიადაგს.

ნიკო ლობჯანიძეს ორი ვაჟი ჰყავდა, მაგრამ ქართული ენა არც ერთმა არ იცოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმცროსი ვაჟის – იურის მიერ სადღაც ორი ენის აღრევით ნასწავლ, კაცმა არ იცის, ვის მიერ დაწერილ „ლექსს“, რომლის განმეორება, არ ვიცი, ქართულის „ცოდნით“ თავმოსაწონად, თუ სხვა რამ მიზეზით, ხშირად სჩვეოდა. თუმცა, ამაში თავმოსაწონი არაფერი იყო. აი ისიც:

„გაზაფხულდა, ვესნა პრიშლა,
ცაში პტიჩკა ლეტაეტ.
გამოსულა მინდვრად გლეხი,
ხარაშო რაბოტაეტ“.

არ ვიცი, როდის, სად და ვისგან ისწავლა ამ რუს-ქართველა ბიჭმა ეს „ლექსი“. მაგრამ ეტყობა, მის სულსა და ბუნებაში სწორედ ასე იყო აღრეული ორი ერის მემკვიდრეობა. ნაცისტური თეორიის მიმდევრობაში ნურავინ ჩამითვლის ამ მოსაზრებას, მაგრამ მიმაჩნია, რომ (განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ეროვნების მამაკაცმა), თუ გნებავთ, დავაკონკრეტებ, ქართველმა, თუ სურს, რომ არ მოწყდეს ეროვნულ ფესვებს, უნდა ეცადოს, რომ ცოლად თავისი ეროვნების ქალი შეირთოს. ქართველზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ იგი ჩემი ერია და მისი ავ-კარგი ჩემთვის უპირველესი სატკივარ-საზრუნავია, მეორეც. ჩვენ ხშირად, ადვილად ვკარგავთ ჩვენსას და ხალისით ვითვისებთ უცხოურს, უმეტესწილად მდარეს, ალბათ, აქაოდა, ვინმეს თვალში ჩამორჩენილებად არ გამოვჩნდეთო.

რაც შეეხება ნიკოს, მაპატიოს მისმა სულმა, თუ აქ მისი პირადი ცხოვრებიდან ზოგიერთ შემთხვევას გავიხსენებ.

ერთ დღეს პეტრე ძია, ჩვეულებისამებრ, მე და ჩემს მეგობრებს ძველ ამბებს გვიყვებოდა. ახლა აღარ მახსოვს, რაღაცასთან დაკავშირებით, ნიკოქებით მოიხსენია, ყოჩაღი ჯეილი იყო, თავის ტოლებში ბევრი ვინმე ვერ ჯობდაო.

რომ არ ეტყობა-მეთქი. – დაეჭვებით ვკითხე.

პეტრე ძიამ თვალი მოგვავლო და გვითხრა:

– თქვენ ყმაწვილები ხართ და ნიკოს კარგად არ იცნობთ. მას რომ ახალგაზრდობაში ცხოვრება აქვს გავლილი და თავს ფათერაკები გადახდენია, მსგავსი ამბებიდან ბევრი ვინმე ადვილად ვერ გამოძვრებოდა.

– ფათერაკები?! – ამიფორიაქა ამ სიტყვამ ბავშვური ცნობისმოყვარეობა.

– კი, კი, სწორედ ფათერაკები. – მეტი დამაჯერებლობისთვის გადაჭრით დამიდასტურა პეტრე ძიამ.

– პეტრე ძია, მას ასე კარგად იცნობ?! – ეჭვით ვკითხე, რადგან მისი ნათქვამი გადაჭარბებულად მომეჩვენა.

– რა თქმა უნდა. – მომიგო პეტრე ძიამ. – ღებში ბავშვობა ერთად გავატარეთ და შემდეგაც არაერთხელ შევხვედრივართ ერთმანეთს. სმენითაც ბევრი რამ მსმენია მის შესახებ. ჩვენი სოფლიდან ასე ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი წაიყვანეს ჩრდილოეთ კავკასიაში და მას შემდეგ იქ იზრდებოდა. ბავშვობაში გვარიანი ჩხუბისთავი იყო. მოზრდილობაში ხომ ხელი სულ იარაღზე ედვა. მაშინ დროც ისეთი იყო. იარაღით და ძალით თუ არ დაიცავდი თავს, უამისოდ დაიღუპებოდი. ამას გარდა, სხვა რამეებიც ემარჯვებოდა. ნიკო რომ ცხრა ხანჯლით „ქართულს“ ცეკვავდა, მის ცქერას არაფერი სჯობდა. ახალგაზრდობაში, ცეკვითა და იარაღის მარჯვე ხმარებით თითქმის მთელი ჩრდილოეთ კავკასია იცნობდა: მტრებიც ბევრი ჰყავდა, უფრო მეტი კი – მოყვრები და მეგობრები.

ამასობაში რევოლუციონერობის საყმაწვილო სენი შეეყარა. ბედმა კიროვსა და ორჯონიკიძეს ვადაყარა და მათთან ერთად მთელი ჩრდილოეთ კავკასია მოიარა. იმ დროს არაფერზე უკან არ იხევდა.

ჩემი აზრით, ნიკოს რევოლუციონერობა შემთხვევით ამბად უნდა ჩაეთვალოს. არ იცოდა მოჭარბებული ახალგაზრდული ენერგია, სად და რაში გაეხარჯა და ამისათვის ყველაზე შესაფერის საქმედ რევოლუციურ მოძრაობაში ჩაბმა მიიჩნია. შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მას რევოლუციონერის მოუსვენარი ცხოვრება უფრო ხიბლავდა, ვიდრე რევოლუციური იდეები. ასე რომ არ ყოფილიყოს, ერთხელ არჩეულ გზას ბოლომდე გაჰყვებოდა და თავისი ნიჭის წყალობით და ცნობილი პარტიული ამხანაგების დახმარებით, როგორც ბევრმა სხვამ, ისიც ადვილად იშოვნიდა რამე გავლენიან თანამდებობას. მაგრამ ეტყობა, დროზე

მიხვდა, რომ რევოლუციონერობა მისი საქმე არ იყო, ან რაღაც მიზეზით თავის ამხანაგებთან უერთიერთობა გაუფუჭდა და ამ ამბებს შეეშვა. მანამდე კი, სანამ მათთან იყო, თავს არაერთი ფათერაკი გადახდა. თუმცა, ფათერაკები არც მერე აკლდა. თითქოს ჩემში რაღაც უსიამოვნო შემთხვევის წყალობით შექმნილი შთაბეჭდილების გაფანტვას ცდილობსო, ისეთი მონდომებით გვიამბობდა პეტრე ძია ნიკოს წარსული ცხოვრების უცნობ ამბებს.

– ასე იყო თუ ისე, ერთხელ, როგორც რევოლუციონერობისათვის დევნილი, დაღესტანსა თუ ჩეჩნეთში, იქური ყონაღების ოჯახს თავს რომ აფარებდა, შუაღამისას ჟანდარმერიამ მიაგნო და მასპინძლის სახლს შეიარაღებულმა რაზმმა ალყა შემოარტყა.

თითქოს თავის დაღწევის შანსი არ ჰქონდა, მაგრამ ნიკო რისი ნიკო იქნებოდა, იარაღი დაეყარა და საცდელი ბოლომდე არ ეცადა.

სანამ ჟანდარმები სახლის გასაჩხრეკად შინ შემოცვივდებოდნენ, ნიკო ერდოდან ბოსელში ჩახტა, უბელო ცხენს შეაჯდა, ღამის სიბნელე იფარა და უკან მიყოლებული ტყვიების წვიმაში ისე გასხლტა, ერთი უბრალო ნაკაწრი არ გაყოლია.

ჩემი მეგობრის მამა, პეტრე ლობჯანიძე სასიამოვნო მთხრობელი გახლდათ. ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ მის მიერ მოთხრობილ ამბავს მსმენელი არასოდეს აკლდა. განსაკუთრებით მე და ჩემს თანატოლებს არასოდეს გვწყინდებოდა მისი ნაამბობის მოსმენა. თუმცა, იმ დროს ყურადღებას არ ვაქცევდით, რა იყო მასში მართალი და რა გამოგონილ – გაზვიადებული.

ბოლო დროს, პეტრე კოლმეურნეობის საწყობებს და სოფლის მაღაზიას ყარაულობდა. ეს შენობები ერთიმეორეს გვერდი-გვერდ იდგა და ამიტომაც არ უჭირდა ერთდროულად რამდენიმე ობიექტის დარაჯობა.

ღამ-ღამობით მარტო ყოფნას, ცხადია, ვინმესთან, თუნდაც ჩემთან და ჩემსავით ყმაწვილ მოსაუბრეებთან ერთად ყოფნა ერჩია. მყუდრო ღამის ერთფეროვანი დრო ასე უფრო შეუმჩნევლად გადიოდა მისთვისაც და არც მე და ჩემი მეგობრებიც ვრჩებოდით მასთან ყოფნით უკმაყოფილონი.

– კიდევ ერთი შემთხვევა მახსენდება. – პირველ ამბავს მეორეც მოაყოლა პეტრე ძიამ. – ნიკოს ცხოვრების წესზე ცუდიც ბევრი მსმენია. მისი წარსული არც უხეირო შემთხვევებისაგან იყო განწმენდილი, მაგრამ არც ერთი კაცის ცხოვრება არ არის მუდამ ერთფეროვანი და, მცირეოდენი გამონათების გარეშე არც ნიკოს უცხოვრია.

ახლა კარგად აღარ მახსოვს, რუსეთის რევოლუციის მესამე წელი იყო, თუ მეოთხე. ჩრდილოეთ კავკასიაში რაღაც უსიამოვნო შემთხვევის გამო აღარ დაედგომებოდა და დროებით იქაურობას გაერიდა, მშობლიური მხარე, სოფელი, დედ-მამა, და-ძმები, ნაცნობ-ნათესავები მოენატრა, თუ

კიდევ რაღაც სხვა მიზეზი იყო, ალაგირიდან რაჭაში მიმავალ ხუთ-ექვს-კაციან ჯგუფს დაეგზავრა. მას იმ ჯგუფიდან ყველა იცნობდა. ზოგი ახლოდან, სხვები – შორიდან მოსმენილ-გაგონილით. მისი მოუსვენარი ცხოვრების შესახებ ჭორიც ბევრი სმენოდათ და მართალიც. ალბათ, ამიტომ იყო, რომ უმეტესობას გულში არ ესიამოვნა ნიკოს დამგზავრება. ქვეყნით ქვეყანაზე ნათრევი კაცია, ყველაფერზე ხელის მომწერი. როგორც ამბობენ, რა ბნელი საქმეები გინდა, ეგ რომ გარეული არ იყოს. ასეთი სულისა და წარსულის კაცი, რა იცი, რა ხიფათს არ შეგყრის და გადაგკიდებსო, ფიქრობდა ზოგი. არც გაემტყუნებოდათ. იმ ჯგუფიდან ზოგიერთი ყოფილი ვაჭარი გახლდათ. შინ ცოტაოდენი ოქრო და უფრო მეტი ქაღალდის ფული მიჰქონდათ. სხვებს ოსეთსა თუ მარყალში მეპურეებად, დურგალ-კალატოზებად თუ სხვა უწყინარ ხელობაზე მუშაობით გვარიანი ფული დაეგროებინათ. ქვეყანა რომ აირია, შედარებით მშვიდ რაჭას და ოჯახს მიაშურეს, რომ მძიმე შრომით ნაშოვნი ფული შეენარჩუნებინათ და ცოლ-შვილისთვის უვნებლად მიეტანათ.

თქვენ პატარები ხართ, ის დრო არც გახსოვთ და არც იცით, მაგრამ მაშინ ქვეყანა მეტწილად ძარცვითა და ყაჩაღობით ცხოვრობდა. დიდი და პატარა იარაღს ატარებდა. ვისაც არ ეზარებოდა, მისთვის კაცის მოკვლა ქათმის დაკვლაზე ადვილი საქმე იყო. მით უმეტეს, თუ იცოდნენ, რომ იმ კაცს ჯიბეში ორიოდე გროში ედო. მაგრამ ნიკოს, მისი სახელის მქონე კაცს, ან იმ ჯგუფიდან, ან სხვა ვინმე ხმამაღლა, პირში როგორ გაუბედავდა იმის თქმას, ვერ გენდობით და ჩვენთან ერთად ნუ იმგზავრებო. (არც მე და არც ჩემმა თანატოლებმა, მართლაც, არაფერი ვიცოდით მაშინ რა ხდებოდა. მაგრამ ახლა ვიცით. თითქოს სასწაული მოხდა და დრო უკან დაბრუნდაო, იგივე ფაქტები ჩვენს დროში ზედმიწევნით ზუსტად განმეორდა).

ამას გარდა, რაჭაში მიმავალთაგან არაერთს თავი ნიკოზე ნაკლებ ვაუკაცად როდი მიაჩნდა და ტანსაცმელს ქვეშ, ყოველი შემთხვევისთვის, ფეხზე შეყენებული იარაღი ჰქონდა გადამალული. მაგრამ იარაღის ტარება ერთია და საჭირო შემთხვევაში მისი მარჯვედ და დროულად გამოყენება, კიდევ სხვა.

რაც შეეხება ნიკოს, მას არც ტანსაცმელი ეცვა ისეთი, რომ მძარცველებს მოსწონებოდათ და წაერთმიათ, თუ კი ასეთი ვინმე გამოჩნდებოდა და, ჯიბეშიც მცირეოდენი წვრილი ფულის მეტი არაფერი მოეძევებოდა. ესეც შეიძლება დაუჯერებელი იყოს... მთელი ცხოვრება იარაღის ტარებას და ხმარებას მიჩვეული, მშობლიურ სოფელში მიმავალს იმ დღეს თან დასაკეცი დანა რა არის, ისიც კი არ ჰქონდა. ალბათ, განზრახ, რაღაც მიზნის თუ მიზეზის გამო, თორემ იარაღს ვერ იშოვიდა თუ რა!

ალაგირიდან რაჭაში მიმავალმა მგზავრებმა ოსეთის საზღვარი რომ გადალახეს, დასახლებულ ადგილებს შორს გასცდნენ და ტყიან ფერდობს

თავში მოექცნენ, ის იყო, თავი სამშვიდობოს დაიგულეს და გულში კმაყოფილებმა გაიფიქრეს, მადლობა ღმერთს, მგონი, ხიფათს გადავრჩითო, რომ თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამჯდარი ყაჩაღთა ოთხი თუ ხუთკაციანი ჯგუფი წინ გადაუდგათ და ისე გაძარცვეს ყველა. ტანზე ყოვლად უვარგისი ძველმანების მეტი არაფერი შეარჩინეს. მერე იარაღის მუქარით უბრძანეს, ახლავე აქედან დაიკარგენით, ჩვენმა თვალებმა მეტად არ გნახოს, თორემ გაძარცვას არ გაკმარებთ, ყველას ადგილზე დაგხოცავთო.

– ყმაწვილებო, – მოულოდნელად თხრობა შეწყვიტა და მოგვიბრუნდა. – თქვენ ჯერ ბევრი რამ არ იცით. მათ შორის ისიც, პატიოსანი შრომით შეძენილ ფულს, ოქროს თუ სხვა ძვირფასეულობას რომ წაგართმევენ, თუმცა, ეს მწარეზე მწარე ასატანია, მაგრამ როცა თავზეხელაღებული ყაჩაღები დაგემუქრებიან, გაძარაცვას არ გაკმარებთ, თუ ახლავე აქედან არ დაიკარგებით, დაგხოცავთო და ისიც იცი, რომ მუქარას უთუოდ შეასრულებენ, ფულიც გავიწყდება, ოქროც და ძვირფასეულობაც, რადგან კაცს სიცოცხლე ყველაფერზე ბევრად უფრო ძვირად უღირს. ნეტავი სიკვდილს გადავურჩეთ და სხვა ყველაფერი ჭირსაც წაუღიაო, გულში ფიქრობდნენ გაძარცვული მგზავრები და სადაც თავის გადარჩენა ყველაზე მეტად ეიმედებოდათ, იმ მხარისკენ თავქუდმოგლეჯილები გარბოდნენ.

თავი რომ სამშვიდობოს დაიგულეს და დარწმუნდნენ, სიკვდილს გადავურჩითო, ერთმანეთი მოიკითხეს. ყველანი ადგილზე აღმოჩნდნენ, მხოლოდ ნიკო არ იყო მათ შორის. უმალ ყველაფერი მას გადააბრალეს. პირში თქმა ვერ გავუბედეთ მაგ ქვეყნით ქვეყანაზე ნათრევ ავაზაკს, თორემ განა ვერ ვხვდებოდით, განგებ გამოგვყვა, რომ გზაზე მისივე მსგავსი ნაძირალების ბანდა დაეხვედრებინა. ახლა, ალბათ, ის და მისი ამფსონები სადმე ტყის პირას სხედან და ნაძარცვს იყოფენო. ეს და არაერთი ამაზე ბევრად მეტი სალანძღავი სიტყვები თქვეს იმ დღეს მისმა თანამგზავრებმა გაუჩინარებულ ნიკოზე. ხალხს სალანძღავი მიზეზი რომ არა აქვს, მაშინაც კი ისეთ ჭორებს დაგიყრის, შენს დღეში მსგავსი რამ რომ გულში არ გაგივლია, მიზეზ-საბაბს იპოვნის და მაშინ დაგინდობს?! ტყუილად როდია ნათქვამი, ქურდმა ერთი ცოდვა ქნა და დამკარგავმა – ათასიო.

ახლა დააკვირდით, რა მოხდა. – მოგვიბრუნდა პეტრე ძია. შევატყეთ, ძალიან სურდა, რასაც მაშინ იტყოდა, გულისყურით მოგვესმინა.

ნიკოზე ყველაფრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ამხანაგის ღალატს, მუხთლობას და ზურგიდან ხანჯლის დარტყმას თავის დღეში არ იკადრებდა. როგორც ჩანს, განვლილმა ცხოვრებამ სიფრთხილე ასწავლა და მსგავს სიტუაციებში გამობრძმედილმა ამხანაგებზე ადრე შენიშნა მოსალოდნელი საშიშროება, მაგრამ, ისე სწრაფად მოხდა ყველაფერი, ეტყობა, თანამგზავრების გაფრთხილება ვეღარ მოასწრო. ყაჩაღებს რომ ხელში არ ჩავარ-

დნოდა, ჯგუფს ისე ჩამოცილდა, ვერც მისიანებმა და ვერც თავდამსხმელებმა ვერ შეამჩნიეს.

როცა ყაჩაღებისგან გაძარცულები შიშისაგან თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ, მძარცველებმა ზურგიდან ტყვიები არ მოგვაყოლონ და არ დაგვხოცონო, ნიკო ამას ყველასგან უჩინრად ტყეში დამალული უთვალთვალებდა.

როგორც კი გაძარცულები თვალს მიეფარნენ, ნაძარცვ-ნადავლის შოვნით გახარებული ყაჩაღები, იმით დაიმედებულნი, რომ არსაიდან არავითარი საფრთხე არ მოელოდათ, იქვე ტყის პირას დასხდნენ და დარხეინებულები ნაშოვნი ნადავლის გაყოფას შეუდგნენ.

ნიკომ ყაჩაღების უყურადღებობით ისარგებლა. შეუმჩნევლად მიეპარათ და ყველაზე ახლოს ზურგით მჯდომი ყაჩაღი თავში ქვის ჩარტყმით ძირს დასცა. მისი იარაღი ხელთ იგდო და სანამ დანარჩენები გონს მოვიდოდნენ და წინააღმდეგობის გაწევას მოახერხებდნენ, ყველანი განაიარაღა, შემდეგ ნაძარცვი წაართვა. თან მკაცრად უბრძანა, სანამ არ დამიხოცნიხართ, აქედან დაიკარგეთო. მძარცველებმა უთუოდ იფიქრეს, ეს მარტო არ იქნება. ტყეში ჩასაფრებულ მის ამხანაგებს ალბათ მიზანში ვყავართ ამოღებული, წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დაგვხოცავენო და ყველაფერს გაქცევა ამჯობინეს. გაქცეულებს რამდენიმე ტყვია უკანიდან უმისამართოდ მიაყოლა, უამისოდაც გვარიანად დამფრთხალები კიდევ უფრო მეტად რომ დაეფრთხო. სული ტკბილია და სიკვდილის შიშსაც დიდი თვალები აქვს. ყაჩაღებს არც თავისი და არც ნაძარცვის დაკარგვა არაფრად მიაჩნდათ, რადგან ცოცხლები გადარჩნენ.

ნიკომ გაძარცულ თანამგზავრებს ხმა მიაწვდინა, დაბრუნდით, თქვენთქვენი დანაკარგი ჩაიბარეთო.

როცა ყველამ უკლებლად დაიბრუნა დანაკარგი, ნიკოს ათასი მადლობა გადაუხადეს, მაგრამ იმაზე კრინტი არავის დაუძრავს, აქამდე რამდენი ცილი დასწამეს, ლანძღეს და აგინეს. ეს არც იყო გასაკვირი. მწარე სიმართლის თქმა, ისიც პირში, ვის სიამოვნებს! არც ერთ მათგანს არ ება ორი თავი, ნიკოსთვის გაემხილათ, მისი წარსული ცხოვრებიდან რაც სააუგოდ მიაჩნდათ და უბრალო მუშაკაცისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო.

პეტრე ძიამ ნიკოს ახალგაზრდობისდროინდელი ამბების მოყოლა დაასრულა და ღამეს ყური მიუგდო, აქ ჩემს მიერ გარდასული ამბების თხრობაში ვინმე ხელმრუდმა ან მაღაზია, ან საწყობი არ გამიტეხოსო. მაგრამ ღამის მყუდროებას სოფლის ბოლოს მიმავალი მდინარე თებერდის თქარათქურის გარდა არაფერი არღვევდა.

მანამდე მე ან ჩემს ამხანაგებს აბა, საიდან უნდა გვცოდნოდა, თუ ერთი შეხედვით, იმ დროს ისეთი უწყინარი და მშვიდი კაცი (როგორიც ნიკო ჩანდა) ასეთი წარსულის მქონე იყო.

მინაწერი:

ამის შემდეგ მზისაში, სანახშოზე, ნიკოს თავგადასავლის შესახებ, სხვებისგანაც არაერთი ამბავი მოვისმინე. ზოგიერთი პეტრე ძიას ნაამბობის სრულიად საწინააღმდეგო შინაარსისა გახლდათ და ნიკოს ცუდი კუთხით წარმოაჩენდა, მაგრამ მე ვერ შევალ იმის განსჯაში, იმ მონათხრობებიდან მიუკერძოებელი, სიმართლე და გაუზვიადებელი რომელი იყო და რომელი არა. ამ შემთხვევაშიც (და სხვა შემთხვევაშიც, თუ გნებავთ) შუამავლის როლი შევასრულე აქ გადმოცემულ ამბების მთხრობელთა და მკითხველთა შორის. ეს არის და ეს.

...„ზოგი მიეთმეეთია“

ბიდხანს ვითრიე ფეხი, მეთქვა რამე თუ არა ვარდენ რეხვიაშვილზე. ჩემი ყოყმანის მიზეზი ის გახლდათ, რომ მის მიერ შეთხზული და დღემდე ხალხში შემორჩენილი რამდენიმესტრიქონიანი ლექსი იქნებ დიდი ვერაფერი პოეტური ღირებულებისა იყოს, მაგრამ ვინაიდან სხვა სახალხო მთქმელი ქლუხორის რაიონში არავინ მახსოვს (და, ვგონებ, არც ყოფილა გლოველი ილოს მეტი, მაგრამ მე მისი არც ერთი სტრიქონი არ ვიცი) გადავწყვიტე რამდენიმე სიტყვა მაინც მეთქვა ამ ადამიანზე.

ვარდენის შესახებ შესახებ ყველაზე პირველად ზედა თებერდაში მისი თანასოფლელებისაგან მოვისმინე: ახალგაზრდობაში მეზობლის გოგო, მარო უყვარდა და მისდამი თავის დამოკიდებულებას ლექსებით გამოხატავდაო. ასე, მაგალითად:

„ხელს ნუ შეუშლით ჩემს სატრფო მაროს,
რომ ზოგჯერ ჩემთან გამოიპაროს.
ერთურთთან შეყრით ორი ყვავილი, –
ვის რას დავუშლით, რომ გავიხაროთ.“

ახალგაზრდობაში ვარდენ რეხვიაშვილს ღების საძიებო-გეოლოგიურ პარტიაში ემუშავა. მაშინ, ცხადია, არაერთ ადამიანთან უხდებოდა ურთიერთობა. მათდამი თავის დამოკიდებულებას ერთ ან ორ სტროფიან ლექსში აყალიბებდა. როგორც ჩანს, იგი ორი ადამიანის ჩხუბს შესწრებია. ერთერთის მოქმედება არ მოსწონებია და ეს ლექსად გამოუთქვამს:

„მე რომ ამ ამბავს შევესწარ,
ავდექი და სახლში ვუსვი.
ამბროსიმ ეს არ იკადრა, –
სახლში გაგვილახა რუსი.“

ღების საძიებო-გეოლოგიურ პარტიაში მუშაობის დროს საქმის მწარმოებელს, გვარად სვერდლენკოს, ვარდენი ძალიან გაუნაწყენებია. ეს განაწყენება მას ასე გამოუხატავს:

„რისთვის მიყვირის სვერდლენკო,
არა ვარ მისი ბალღია.
პატიოსანი მუშა ვარ,
ის კი ქოფაკი ძაღლია.
იმან თბილისში დატოვა
თავისი შეყვარებული,
თვითონ კოდიძირს (ადგილია) ცუღლუტობს,
თავი აქვს შეფარებული."

ომის პირველ წლებში კოდიძირში სამხედრო მნიშვნელობის მადნის მოპოვება ხდებოდა და აქ მომუშავეები დაჯავშნულები იყვნენ. ალბათ, ამას გულისხმობდა ვარდენი, თვითონ კოდიძირს ცუღლუტობს, თავი აქვს შეფარებულიო. მაგრამ ვინც მოეწონებოდა, მის მიმართ ტკბილ სიტყვას არ იშურვებდა: მისი ეს განწყობილება კარგად ჩანს მიშა ანჯაფარიძისადმი დამოკიდებულებაში.

„მიშა არის კარგი კაცი,
კარგზე უფრო გვარიანი.
ენაცვალოს კალინიკე,
სვერდლენკო და ცვარიანი."

ერთ-ერთ მუშას, სახელად აპალონს, თურმე ძალიან უყვარდა სტვენა, რასაც ვარდენი ვერ იტანდა. ამის გამო აპალონისთვის ასეთი ფუნაგორია გამოუთქვამს:

„ზამთარში პალტო მაცვია
და „ფუფაიკა" სათბური.
აფერუმ, ჩემო აპალონ,
ენა ისწავლე ქათმური."

ერთხელ უმცროსი ძმის ქორწილში ვარდენი სტუმრებთან ერთად სუფრასთან მჯდარა და სხვებთან ერთად ქეიფობდა. დედა თურმე რამდენჯერმე მივიდა და ჩუმად სთხოვა, ადექი, სტუმრებს პატივი ვცეთ და როცა წავლენ, მერე რამდენიც გინდოდეს, იმდენი სვი და იქეიფეო.

ვარდენს წყენია დედის შეგონება. მე ამ ხალხთან ქეიფი მსიამოვნებს, თორემ მარტო ღვინის სმას რა თვაში ვიხლიო. ფეხზე წამომდგარა და ლექსად უთქვამს:

„ბიჭებო, ყური დამიგდეთ,
ამას ვიტყვი, ამასაო,
ხვანჩიანი დედაჩემი

არ მანებებს ჭამასაო.
ძაღლი და ღორი მიაკვდა
მის დედას და მამასაო."

ამის შემდეგ სუფრიდან ამდგარა და იმ დღეს საერთოდ წასულა შინიდან.

ერთ-ერთი ინჟინერი, გვარად ვართანოვი, საძიებო-გეოლოგიურ პარტიაში მუშაობის დროს ვარდენს თვალში არ მოსვლია. ამ ვართანოვს უმაღლესი ჟენევაში ჰქონია დამთავრებული. ვარდენს იგი ასე დაუხასიათებია:

„ვართანოვი არის კაცი,
საზიზღარზე უარესი.
მერე რა რომ საზღვარგარეთ
დაამთავრა უმაღლესი."

ცხადია, როცა შინაურებს არ ინდობდა და რასაც მათზე ფიქრობდა, პირში ახლიდა, უცხოს მით უმეტეს არ მოერიდებოდა.

1944 წელს ვარდენ რეხვიაშვილი ჭიორიდან, სხვებთან ერთად, საცხოვრებლად ქლუხორის რაიონის ზედა თებერდაში გადავიდა. აქ რომელიღაც სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის (თავმჯდომარეები ხშირად იცვლებოდნენ!) მუშაობა არ მოსწონებია და თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მისდამი არც დაუფარავს:

„ზემო თებერდის სოფელსა
წინ აფარია გორაო,
როდემდე უნდა ვარჩინოთ
თავს მჯდომი მუქთახორაო."

ომის დამთავრების პირველ წლებში მზისასაში და ზედა თებერდაში, თითქმის ერთდროულად აშენდა ელექტროსადგურები, რომლებიც მხოლოდ ამ სოფლების მოსახლეობას ემსახურებოდა. ცხადია, შეფერხებები მაშინაც იყო ელექტროენერგიით მომარაგებაში, მაგრამ ისე არა, როგორც ჩვენ დროს არის. მიუხედავად ამისა, ვარდენს გაუკილავი არც ეს ფაქტი დარჩენია:

„თებერდისა ელსადგურსა
აღარ უნდა ქება,
შუადღისას გაანათებს,
ღამ-ღამობით ქრება."

ერთი კია, რომელ თებერდის – ზედას თუ ქვედას გულისხმობდა ვარდენი, ამის თქმა ახლა ძნელია. თუმცა, ამას, ალბათ, მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ნაკლი შეუნიშნავი არ რჩებოდა.

ერთხელ თურმე ვარდენს თოხი გაუტყდა და სოფლის სამჭედლოში შესაკეთებლად მიიტანა. მჭედლებს იმ დროს არ ეცალათ და უთხრეს, დატოვე და როცა მოვიცლით, შეგიკეთებთო. ვარდენს უთხოვია, მეჩქარება და ახლავე გამიკეთეთო. მჭედლებმა ხელახლა აუხსნეს, სასწრაფო საქმე გვაქვს და ვერ გადავდებთო. ვარდენს კი იქვე მიულექსია თანასოფლელებისთვის და წამოსულა:

„შემომგლაულა* სამჭედლო,
ჩამოუყრია კედლები,
ვინ დააყენა თებერდას
ასე ჩალახი მჭედლები.“

ერთხელ თურმე ვარდენმა კოლმეურნეობის საწყობიდან თაფლი წაიღო და როცა გასინჯა, გემო არ მოეწონა. ვერ ვიტყვი, ნამდვილად მდარე ხარისხის თაფლი იყო, თუ მას მოეჩვენა უხარისხოდ. თავის დამოკიდებულება ლექსად ასე გამოუხატავს:

„შარშან მაღალი იყავი,
წრეულს ძალიან მედაბლე.
დიდი ცუღლუტი კაცია
ჩვენი ოლიკო მეთაფლე.
ამ ჩვენი სოფლის მეთაფლეს
გაუხმეს ორივ ხელია,
თაფლში წყალი გაერია,
ამიტომ იყო თხელია.“

მოგეხსენებათ, ზომიერების გრძნობა, თუ გნებავთ, საკუთარი შემოქმედების ობიექტურად შეფასების უნარი ზოგჯერ ბევრ ნამდვილ შემოქმედს არ გააჩნია და თუ ვარდენ რეხვიაშვილს მიაჩნდა, რომ იგი ჭეშმარიტი პოეტი იყო, ეს, ალბათ, გასაკვირი არ უნდა იყოს. ცხადია, უთუოდ, ამ რწმენამ ათქმევინა საკუთარ თავსა და შემოქმედებაზე ასეთი სიტყვები:

„ბევრი ვინმე კარგ ლექსებს წერს,
ბევრი მიეთმოეთია.

---

* შემომგლაულა – ამ შემთხვევაში: კედლებ შემოტყაულს, ფარღალალას, მოუწყობელს და მოუცლელს ნიშნავს.

ეს ვარდენი გივიშვილი
ჭეშმარიტი პოეტია."

ვარდენი ვისიანობის მიხედვით გივეენთი იყო. ალბათ, ამიტომ ამბობს ლექსში გივიშვილო, თორემ სინამდვილეში გვარად რეხვიაშვილი გახლდათ.

რაც შეეხება იმას, რაც ვთქვი, ნურავის გაუკვირდება. ცუდი და კარგი ლექსის გარჩევას ასე თუ ისე მეტ-ნაკლებად ვახერხებ, ვარდენი იმიტომ გავიხსენე, რომ მინდოდა, ქლუხორელი ქართველები ამ კუთხითაც წარმოეჩინა, ხოლო ნათქვამის ავ-კარგი, მკითხველმა, თუ კი ოდესმე გამოჩნდება, თვითონ განსაჯოს. აქ კი, ამ ფაქტის აღნიშვნა, ვფიქრობ, არაფერს წაახდენს. მით უფრო, რომ კრიტიკოსების მიერ არაერთ მდარე პოეტზე თქმულა და დაწერილა დაუმსახურებული ქება-დიდება. მე კი არაფერს არ ვაფასებ... მხოლოდ ფაქტი აღვნიშნე, ეს არის და ეს.

„მიწაც ცვმილია, მშობლიური“

მართლაც, ტკბილია და მერე როგორი ტკბილი! სანამ ცოცხლები ვართ, ეშვი ერთი წუთითაც არ გვეპარება, რომ ამ ქვეყნად მშობლიურ მიწაზე ძვირფასი არაფერია. მოვკვდებით და მაშინ ხომ მით უმეტეს.

ღმერთო მაღალო, მშობლიურ მიწას სამარედ ნუ დაუკარგავ სამშობლო ქვეყნის ნურც ერთ მოჭირნახულეს!

...ირაკლი აზანიშვილს მზისაში არ უცხოვრია. იგი გლოლიდან იყო, ზედა თებერდაში ცხოვრობდა და ამ სოფლის საშუალო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობას რამდენიმე წლის განმავლობაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

მას სხვებისაგან კაცი უმალ გამოარჩევდა თვალში საცემი გარეგნობით. ტანად მაღალი, ახოვანი და მხარბეჭიანი იყო, შემოდგომა-ზამთრობით გრძელ პალტოს იცვამდა. დღევანდელისა არ იყოს, მაშინაც მოდაში იყო გრძელი პალტოები.

ასეთ სამოსელში კიდევ უფრო ახოვნად გამოიყურებოდა. ახლა, როცა მის გარეგნობას ვიგონებ, ჩემთვის ვფიქრობ, როგორ მოუხდებოდა ამ წარმოსადეგ ვაჟკაცს ტანზე აბჯარი, წელზე ხმალი და დიდგორსა თუ კრწანისში ხელ-ხმლიანად მტერზე შეტევა. მისი გარეგნობისა და ძალ-ღონის პატრონი ნამდვილად შეძლებდა ბრძოლის ველზე თავის გამოჩენას. საუბრისას ხმის თავისებური ტემბრით და კილოთი ყველასაგან გამოირჩეოდა. უნდა ითქვას, რომ გლოველები სრულიად განსხვავდებიან მთის რაჭის მოსახლეობისაგან საუბრის კილოთი და, თუ გნებავთ, ლექსიკითაც. უცხომ რომ მოუსმინოს გლოველის ლაპარაკს, იფიქრებს, მეთორმეტე საუკუნის დახვეწილ ქართულს ვისმენო. ასე მგონია, რომ დღევანდელ საქართველოში ძველ ქართულად ყველაზე კარგად გლოველები ლაპარაკობენ. თუ ვცდები, მომიტევონ ჩემმა გლოველებმა. თუმცა, მათ ტკბილ ქართულს ვინმესგან შეღავათი არაფერში სჭირდება. ბატონ ირაკლისაც ძალიან შვენოდა მშობლიური სოფლის კილოზე საუბარი, თუმცა, მის ქართულს ვერავინ დაიწუნებდა. ირაკლი აზანიშვილის კიდევ ერთი გარეგნული თვისება ეცემოდა კაცს თვალში, – ენერგიული გამომეტყველება, რაც მისი ხასიათის სიმტკიცეზე მიუთითებდა. ხოლო უკან გადავარცხნილი, დატალღული ლომისებური ფაფარი აგვირგვინებდა ამ კაცის მამაკაცურ მარილიანობას და მიმზიდველობას.

ბატონმა ირაკლიმ რამდენიმე წელი ზედა თებერდაში იმუშავა მასწავლებლად და შემდეგ ქლუხორის ქართულ სკოლაში გადმოიყვანეს. აქაც ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა.

ჩემთვის არ უსწავლებია, თუმცა, მისი მასწავლებლობის დროს ვსწავლობდი ქლუხორის სკოლაში. მაგრამ მეც და იმ სკოლის ყველა მოსწავლემ ვიცოდით, ჩვენი პედაგოგებიდან ვინ როგორი მასწავლებელი იყო. არა მარტო ჩვენ, მოსწავლეებმა, მთელმა ქლუხორის ქართულმა საშუალო სკოლამ იცოდა, რომ ირაკლი აზანიშვილი ფართო განათლების, მაღალი პედაგოგიური ნიჭის პიროვნება გახლდათ. ყოველ აღსაზრდელთან მუშაობის ინდივიდუალური მეთოდით ხელმძღვანელობდა. ამას გარდა, ირაკლი დიდებული მოქართულე და ამბის მთხრობელიც იყო. და კიდევ: იგი მშვენიერ ლექსებსაც წერდა. თუმცა, იმის გამო, რომ სხვებზე არანაკლებ იცოდა, საქართველოში რა სახიფათო და იქნებ საპასუხისმგებლოც იყო პოეტობა, თავს უდიდეს მოთხოვნას უყენებდა და, რამდენადაც ვიცი, ყოველთვის ერიდებოდა თავისი პოეტური შემოქმედებითი ნიმუშების ფართო საზოგადოების სამსჯავროზე გამოტანას. სულიერ მოთხოვნილებას იმით იკმაყოფილებდა, რომ თავის ლექსებს ზოგჯერ მეგობართა ვიწრო წრეს უკითხავდა, ისიც ისეთებს, ვის გემოვნებასაც ენდობოდა და ლიტერატურული ნაწარმოების შეფასებისას მათი პირუთვნელობისა სჯეროდა. არც იმის თქმის მოვერიდები, და ვიტყვი, რომ ირაკლი აზანიშვილის ლექსები სულაც არ იყო მდარე დონის, თუმცა, საკუთარი თავის მიმართ მათი ავტორის უშეღავათო დამოკიდებულებას ისინი, ეტყობა, ვერ აკმაყოფილებდნენ. რას ვიზამთ, ნათქვამია, კაცია და გუნებაო.

ირაკლი აზანიშვილი

გაკვეთილზე მკაცრიც იყო და მომთხოვნიც, მაგრამ თუ მოსწავლეს ცოდნის შეძენის სურვილს შეატყობდა, ნიშანს წაუმატებდა, წაახალისებდა, მეტის სურვილი გაუჩნდება და უკეთ ისწავლისო. შეიძლება ესეც იყო იმის მიზეზი, რომ ქლუხორის სკოლაში მისი მოსწავლეების უმეტესობას მშობლიური ლიტერატურისადმი სიყვარული არ აკლდათ.

იმდროინდელი ქლუხორის ცხოვრებაში წიგნის, თეატრისადმი სიყვარულის გაღვივებას, ხალხური შემოქმედების საღამოების გამართვას, თუ მსგავსი ღონისძიებების ჩატარებას, რაც ქართული სულის სიმტკიცის შე-

ნარჩუნებას და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას ემსახურებოდა და ასაზრდოვებდა, ტონს ადგილობრივი ქართველი ინტელიგენცია აძლევდა. მათ შორის, ისინი, ვინც ამგვარ საქმეში თავკაცები იყვნენ, ირაკლი აზანიშვილი ასეთ ადამიანთა პირველთა რიგებში იყო.

მახსოვს, ბატონმა ირაკლიმ ქლუხორის კულტურის სახლში, სადაც რაიონის მთელი საზოგადოებრიობა ესწრებოდა, რამდენიმე საჯარო ლექცია წაიკითხა ქართული ლიტერატურის საკითხებზე. ერთ-ერთი ლექცია დავით გურამიშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებას შეეხებოდა.

ბატონ ირაკლის მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ ამა თუ იმ საკითხზე ახალი შეხედულების დამკვიდრებას მტკიცე საბუთების მოშველიება, ხანგრძლივი ბრძოლა და დრო სჭირდება. ხოლო როცა ამგვარ ახალ მოსაზრებას დარგის სპეციალისტები გაიზიარებენ და ნორმად აღიარებენ, შემდეგ ამ კონცეფციის უარყოფა და საპირისპირო აზრით შეცვლა მყარ, საპირისპირო არგუმენტაციას მოითხოვს. მაგრამ ლექციების დროს საკვლევ საგანზე განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმას იგი არ ერიდებოდა. რაც მის, როგორც ორიგინალური მოაზროვნისა და გაბედული მკვლევარის თვისებებზე მეტყველებდა.

დღემდე მყარად ჩამრჩა გონებაში ბატონი ირაკლის მიერ გამოთქმული საკმაოდ ორიგინალური მოსაზრებები დავით გურამიშვილის ცხოვრებასთან დაკავშირებით. იგი ლექციის კითხვის დროს კრიტიკულ შენიშვნებს გამოთქვამდა პოეტის როგორც ბიოგრაფიულ დეტალების ლიტერატურათმეცადინეობაში, მისი აზრით, არასწორად გაშუქების გამო, ისე სიმონ ჩიქოვანის პოემაში „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ მოყვანილი ცნობების შესახებ. და ფაქტების შეპირისპირებით ცდილობდა, დაემტკიცებინა თავისი მოსაზრების უპირატესობა მანამდე არსებულ და დამკვიდრებულ შეხედულებებთან შედარებით. ვერ ვიტყვი, რამდენად სწორი იყო მის მიერ გამოთქმული აზრი ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე და ამ დარგის მკვლევართათვის რამდენად მისაღები იყო მისი მოსაზრებები, მაგრამ თავისთავად საინტერესო გახლდათ ბატონი ირაკლის მცდელობა, ლექციის კითხვისას გატკეპნილი გზით არ წასულიყო და არ დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით, რაც ამ საგანზე მის გარეშეც, ისედაც ყველასთვის ცნობილი იყო. ლექციის შემდეგ ცხარე კამათიც იყო, დავაც, საპირისპირო მოსაზრებებიც, რაც, ჩემი აზრით, საკითხის აქტუალობასთან ერთად, ავტორის მიერ წამოყენებული მოსაზრებების სითამამესა და ორიგინალურობაზე მიგვანიშნებდა.

ასეთივე კრიტიკული იყო ირაკლი აზანიშვილის დამოკიდებულება ცნობილი ქართველი მხატვრის, სერგო ქობულაძის მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახეების მიმართაც. ისინი ქართულ ტიპებს არ ჰგვანანო, ამბობდა ბატონი ირაკლი.

მაშინ ცნობილი მხატვრის ნამუშევრების მიმართ ასეთი აზრის გამოთქმის გამო ლამის ჯვარს აცვეს იგი. შენ ვინ ხარ, რომ საქვეყნოდ ცნობილ

მხატვარს სტილს უწუნებო. თუმცა, მას თავისი შეხედულება ამ საკითხზე არც ამის შემდეგ შეუცვლია.

წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც ახლახანს წავიკითხე შალვა ნუცუბიძის მოგონებები სტალინზე, სადაც სტალინი თითქმის ზუსტად იგივეს ამბობს სერგო ქობულაძისეულ „ვეფხისტყაოსნის" გმირთა ილუსტრაციებზე: ტარიელი მონგოლს უფრო წააგავს, ვიდრე ქართველსო*

ირაკლი აზანიშვილს არ შეეძლო, ესარგებლა შალვა ნუცუბიძის მოგონებებით და თავის მოსაზრებაში ი. სტალინს დასესხებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ დროს ეს მოგონებები გამოქვეყნებული არ ყოფილა.

ერთი შემთხვევაც მინდა გავიხსენო მისი ცხოვრებიდან: ჩემი აზრით, იგი ღრმად მორწმუნე ადამიანი გახლდათ, რაც იმ დროს საბჭოთა პედაგოგის, მით უმეტეს, პარტიის წევრისათვის შეუთავსებლად და, თუ გნებავთ, სახიფათოდაც კი, ითვლებოდა.

არ ვიცი, ბატონი ირაკლის რწმენა ღმერთის არსებობასთან უფრო იყო დაკავშირებული, თუ ბედისწერის გარდუვალობასთან.

არაერთხელ შევსწრებივარ: როგორც კი გაწვიმდებოდა და ჭექა-ქუხილი ატყდებოდა, ეს ლომივით ვაჟკაცი, რომელსაც, როგორც ვთქვი კიდევაც, ტანზე ჯაჭვის პერანგი, თავზე ჩაფხუტი და წელზე ხმალი უფრო დაშვენდებოდა-მეთქი, უმალ სამალავს მიაშურებდა, ხეს ან სახლს შეეფარებოდა. ალბათ, მეტ-ნაკლებად ყველა ადამიანი ცნობისმოყვარეა. ერთხელ არც მე მომასვენა ცნობისმოყვარეობამ და დავინტერესდი: ირაკლი მასწავლებელო, წვიმას და ჭექა-ქუხილს ასე რატომ ერიდებით-მეთქი. ვერ შევბედე, ჭექა-ქუხილის ასე რატომ „გეშინიათ-მეთქი", რომ მეკითხა.

არ დაუმალავს, მითხრა:

რამდენიმე წლის წინათ ჩვენებასავით სიზმარი ვნახე. ძილში ვიღაც მოხუცი კაცი გამომეცხადა და გამაფრთხილა, ჭექა-ქუხილს ერიდე. თუ ორმოცი წლის ასაკში მეხმა არ მოგკლა, 84 წელს იცოცხლებო. ეს გაფრთხილება, გინდაც უსაფუძვლო იყოს, რომ ვენდო და დავუჯეროო, რას წამიხდენს, – მომიგო პასუხად.

მაშინ ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიმიქცევია. ის კი არადა, უფლის მიმართ ეჭვით აღზრდილს (მაპატიოს უფალმა წარსულის ყველა შეცოდებანი!), დიდად არ მომწონებია მისი ნათქვამი. მასწავლებელი კაცი ამას როგორ ამბობს-მეთქი, ჩემთვის გავიფიქრე. ცხადია, ჩემი აზრი ხმამაღლა არ გამიმჟღავნებია.

დრომ მოიტანა და ირაკლი აზანიშვილი საცხოვრებლად ახმეტის რაიონში დასახლდა. თითქმის რამდენიმე ათეული წელი არ შევხვედრივარ. ისე კი მესმოდა, იგი იქ ჯერ მასწავლებლად მუშობდა, შემდეგ განათლების

---

* ნ. ზაქარიაძე. სტალინი და საქართველო. თბ. 1997, გვ. 203.

რაიონული განყოფილებას უძღვებოდა და ამ თანამდებობას ხანგრძლივად შერჩა. იქვე გარდაიცვალა 1998 წელს ოთხმოცდასამი თუ ოთხმოცდაოთხი წლის ასაკში. ასე აუბდა სიზმარისეული გამოცდილება.

როგორც მითხრეს, ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა მისი ცხედარი ონის რაიონში წაასვენეს და მშობლიურ გლოლაში სოფლის სასაფლაოზე, წინაპართა შორის დაკრძალეს. მსუბუქი იყოს ამ კეთილშობილი ქართველის გულზე დაყრილი მშობლიური კუთხის მიწა. ვფიქრობ, კმაყოფილი უნდა იყოს იგი იმით, რომ მამაპაპათა საძვლეში ჰპოვა განსასვენებელი. რადგან, როგორც დიდებული ვაჟა ბრძანებს, „მიწაც ტკბილია, მშობლური გულს რომ ეყრება ფხვიერი.“

ხაშმელი ექიმი

ღმოსავლეთ საქართველოს ნახვას მონატრებული, თბილისიდან მივდივარ თუ თბილისში ვბრუნდები, როგორც კი სოფელ ხაშმის გადასახვევს მივუახლოვდები, შოთა მეხაშიშვილი მახსენდება.

...მაშინ მზისას რვაწლიანი სკოლის მესამე თუ მეოთხე კლასში ვსწავლობდი. გაზაფხულის, მართლაც, მშვენიერი დღეები იდგა. მოკრიალებული ცა. ხასხასა მწვანეში ჩაფლული მთა-ბარი. ჰაერი სასიამოვნოდ თბილი, მინდვრები კარგა ხნის დახნული იყო და მიწას გამრჯე მშრომელისგან მიბარებული თესლი უნაკლოდ აღმოეცენებინა. ერთი სიტყვით, ისეთი დღეების მნახველს, იმ გაზაფხულზე რომ იდგა, რაგინდ დარდი და საფიქრალიც არ უნდა გქონოდა, ყველაფერი გულს უმალ გადაგეყრებოდა. ჯერ მიწას დახედავდი, მერე მზერას მზით გაბრწყინებულ ცას მიაპყრობდი და აღტაცებული იტყოდი, ღმერთო, არაფერს გთხოვ, ოღონდ მაცოცხლე და შენს მიერ შექმნილ ამ თვალწარმტაცი ქვეყნიერების ცქერით გამაძღეო.

ახლა რასაც ვწერ, თუ მაშინ ამ აზრის ასე ჩამოყალიბება არ შემეძლო, გრძნობით მაინც ყველაფერს ისე ვგრძნობდი, როგორც კი თვალს გავახელდი და ეზოში გამოვიდოდი.

ის დღეც ერთი ასეთი, ჩვეულებრივი, დღე გაბლდათ, იმ განსხვავებით, რომ ტანთ ჩავიცვი და სკოლაში წასასვლელად მოვემზადე თუ არა, მოულოდნელად მუცელში ისეთი გვრემა-ტკივილი ვიგრძენი, თითქოს ვინმეს შიგ რამდენიმე გავარვარებული შამფური ერთად დაეტრიალებინოს. ამ ამბით შეშინებულმა დედამ დათვის ნაღველა დამალევინა (მუცლის ტკივილზე უებარია წყალში, გინდ რძეში, „გალესილი" ფრინველის თუ ცხოველის, მათ შორის, დათვის გამხმარი ნაღველა). როცა ამან ოდნავი შვებაც არ მომცა. შინაურებმა სხვა შინაურული წამლებიც სცადეს, მაგრამ, როცა ტკივილმა არც ამჯერად დამიკლო, მაშინ ვიღაცამ თქვა, სოფლის ახალ ექიმს ვაცნობოთ, ბავშვს იქნებ იმან უშველოს, თორემ ასე როდემდე უნდა ვიყოთო.

სანამ ექიმი მოვიდოდა, დედამ წყალი აადუღა, სათბურაში ჩაასხა და მუცელზე დამადო. არ ვიცი, რა სასწაულმა იმოქმედა, ხუთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ისე მოვიკეთე, თითქოს საერთოდ არაფერი მტკენოდა. ფეხზე წამოვდექი, ის იყო ისევ ჩავიცვი და სკოლაში წასასვლელად მოვემზადე,

რომ ოჯახში საშუალოზე ოდნავ დაბალი ტანის, შავგვრემანი, სუფთად წვერგაპარსული ახალგაზრდა კაცი შემოვიდა. ყველას თვალი უხმოდ გადაგვავლო და, ალბათ, იმიტომ, რომ თავი შინაურულად ეგრძნო, ან სულაც უბრალოდ რაღაც უნდოდა ეთქვა, იკითხა:

– მითხრეს, ბიჭი ავად არისო. – მერე პირდაპირ მე დამაცქერდა და, რადგან იქ ბიჭი ჩემს მეტი არავინ იყო, დაუმატა: – ალბათ, ეს არის ის ბიჭი, არა?

როცა დაუდასტურეს, ეგ არისო, ახლა პირდაპირ მე მომმართა:

– შენ, ბიჭო, ვაუკაცს გავხარ და ისეთი რა გაგიჭირდა, რომ მთელი სოფელი აქ შეგიყრია, იტირე?

– მტკიოდა, ვერ მოვითმინე და აბა, რა მექნა, – თავის მართლებით ვაღიარე.

– ჰოო, თუ გტკიოდა... – სიტყვა არ დაამთავრა, – როცა ტკივათ, შენზე დიდებიც ტირიან. თუმცა, მოდი, დაწექი, ერთი ვნახოთ, ისეთი რა იყო, რომ შენისთანა ბიჭმაც ვერ გაუძლო.

– ახლა აღარ მტკივა. – ვცადე გასინჯვისგან თავის არიდება, უფრო იმის შიშით, ნემსი არ ეჩხვლიტა. თუმცა, არ ჩანდა ნემსი რომ თან ჰქონოდა.

– რომ არ გტკივა, ეს კარგია, მაგრამ გასინჯვა მაინც აუცილებელია. – ისე მითხრა, მივხვდი, ამას თავს ვერ დავაღწევდი.

გულდასმით გამსინჯა. როცა მსინჯავდა, თვალს არ ვაცილებდი და ასე მეგონა, თითქოს გასინჯვასთან ერთად ყურს საიდანღაც მოსულ, სხვებისთვის მიუწვდომელ ხმებს უგდებდა.

როცა გასინჯვას მორჩა, ცხადია, არ გამოპარვია, რომ ყველა მოუთმენლად ელოდა მისგან რამეს თქმას.

– ბრმა ნაწლავი მეგონა, მაგრამ ეს აქ არაფერ შუაშია. უფრო ფარული თიაქრის გაღიზიანებას ჰგავს. საგანგაშო არაფერია, – დედაჩემს მიმართავდა. – მაგრამ ერთ კვირაში კიდევ ვნახავ. შევამოწმებ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, რაიონში ჩავიყვანოთ და იქ ქირურგს ვაჩვენოთ.

სანამ ლაპარაკობდა, ჩანთას ხელი წამოვავლე და, თუმცა, დაგვიანებული ვიყავი, მაინც გავიქეცი სკოლაში.

ამ შემთხვევის შემდეგ ხაშმელ შოთა მეხაშიშვილს, ჩვენი სოფლის ექიმს, უებარი მკურნალის სახელი დაუვარდა. მოგეხსენებათ, ხშირად ხალხი კაცის ქებაშიც და ძაგებაშიც, როცა ერთისაც და მეორისაც მიზეზი მიეცემა, მოუზომავ გულუხვობას იჩენს.

მოგვიანებით ერთხელ მზისელ გლეხკაცებში ჩამდგარმა შოთა ექიმმა ჩემზე თქვა: მზისაში ახლად ჩამოსულს ამ ბიჭმა გამითქვა სახელი. მისთვის სულაც არ მიმკურნალია, თქვენ კი თქვენი გულკეთილობით ქვეყანას მოსდეთ, შოთა ექიმმა თუ ავადმყოფს ცოცხალს მიუსწრო, საიქიოდან გამოაბრუნებსო.

– შენც ყველაფერს ნუ დაიჯერებ, რასაც ავანსად ვიტყვით, ჩვენი სურვილი მუდამ ის არის, იმაზე მეტი მოინდომო, რაც შეგიძლია. – ღიმილით დაარიგა სერგია გავაშელმა.

უნდა ითქვას, რომ შოთა ექიმს არც პროფესიული მონდომება აკლდა და არც გულისხმიერება, თუმცა, ხშირად არც ერთის გამოყენება სჭირდებოდა და არც მეორესი. საქმე ის გახლდათ, რომ მზისაში მას ბუნებით ჯანმრთელი კონტიგენტი ჰყავდა და, საბედნიეროდ, მზისელ ღებელებს იშვიათად თუ სჭირდებოდათ ექიმის შველა. თუმცა, როცა ამის საჭიროება იყო, შოთა ექიმი თავს არასოდეს იზოგავდა. ერთი სიტყვით, შოთა ექიმს თავისუფალი დრო უამრავი ჰქონდა და, ალბათ, ამან უბიძგა, ექიმის პროფესიასთან ერთად, რეჟისორობაც ეკისრა და მზისელი ახალგაზრდებისგან სცენის მოყვარულთა წრე ჩამოეყალიბებინა. ამ წამოწყებით ერთფეროვნებით გამოწვეული მოწყენილობისაგან თავი თვითონაც დაეღწია და სოფელიც გაერთო.

ერთი სიტყვით, ჩვენ: მე, ჩემს თანატოლებს და, საერთოდ, მზისელ მოსწავლე-ახალგაზრდობას სასიამოვნო და მიმზიდველი საქმე გაგვიჩნდა და ამის შემდეგ სოფლის კლუბი გვიანობამდე არ იკეტებოდა. შოთა ექიმი, რაკი მონდომება შეგატყო, ერთი წუთით არ გვტოვებდა, იმ შემთხვევის გარდა, თუ ავადმყოფის დახმარებისათვის ვინმე არ მოაკითხავდა. ასეთი მომკითხველები, საბედნიეროდ, ძალიან ძვირად აწუხებდნენ. სამაგიეროდ, ჩვენგან არ ჰქონდა მოსვენება. ისიც ჩვენს შორის ტრიალებდა. ხან მსახიობი იყო, ძირითადად კი – რეჟისორი. მისი ხელმძღვანელობით მზისელმა ახალგაზრდებმა რამდენიმე პიესის დადგმა განახორციელეს საკუთარი სოფლის კლუბში და ოგივე დადგმები მეზობელი სოფლების მცხოვრებლებსაც უჩვენეს.

ცხადია, ამ თეატრალურ დადგმებს პროფესიული თვალსაზრისით, არაერთი ნაკლი ექნებოდა, მაგრამ იმ დროს მათ მაინც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა სოფლის ერთფეროვანი ყოფის გახალისებაში.

შოთა მეხაშიშვილმა მზისაში რამდენიმე წელი დაჰყო. გარდა მაღალი პროფესიული ცოდნისა და ხალხისადმი განსაკუთრებული გულისხმიერი დამოკიდებულებისა, იქნებ სულიერების სფეროში მისი მოღვაწეობაც იყო უმთავრესი მიზეზი, რომ სოფელმა ასე ძალიან შეიყვარა და შეისისხლხორცა. მისი წასვლის შემდეგ მზისაში რამდენიმე ექიმი გამოიცვალა, მაგრამ სოფელი ამან კიდევ უფრო დაარწმუნა, რომ შოთა ექიმი მათთვის სულ სხვა ვინმე იყო.

მინაწერი:

ბევრს უთქვამს და მეც გავიმეორებ, ალბათ, ამით არაფერი დაშავდება: დრო, მართლაც, საოცარია. იგი უმოკლეს ხანში უამრავ რამეს შლის და აფერმკრთალებს, მაგრამ არა ყველაფერს.

შოთა ექიმის ქლუხორიდან წამოსვლის შემდეგ თითქმის ოცდაათმა წელმა განვლო, როცა თბილისის პირველ საავადმყოფოში შემთხვევით შევხვდი. ძალიან გამიხარდა.

მივედი, მივესალმე. ვერ მიცნო. ერთი პირობა ისიც კი გავიფიქრე, ღირს კი შორეულ წარსულში დაბრუნება-მეთქი. ბოდიშის მოხდა და გაცლა დავაპირე, მაგრამ გულმა არ მომითმინა და თავი შევახსენე.

მაინც ვერ მომიგონა.

მაშინ საშუალო სკოლის მოსწავლე ვიყავი, ის რომ ოცდაათს მიღწეული კაცი იყო.

მზისა ვუხსენე და მისი ასაკის მზისელები ჩამოვუთვალე.

სახე გაებადრა. კმაყოფილებით მოიგონა იქ გატარებული წლები. იქაურების ამბები გამომკითხა. რაც ვიცოდი, ვუთხარი.

გამომშვიდობებისას მთხოვა, როცა დრო გქონდეს, მინახულე, უფრო დაწვრილებით გავიხსენოთ მზისაც და ის ხალხიც, ვისთან ურთიერთობაც დღემდე ტკბილ მოგონებად მაქვს გულში ჩარჩენილიო.

შევპირდი, უთუოდ გინახულებ-მეთქი, მაგრამ დღესხვალიობაში გარკვეულმა დრომ გაიარა და მიცემული სიტყვა შეუსრულებელი დამრჩა.

ბოლოს ერთ დღეს ყველაფერი გვერდზე გადავდე და ქალაქის პირველ საავადმყოფოს მივაშურე. დერეფანში პირველსავე შემხვედრს ვკითხე, შოთა ექიმის ნახვა სად შეიძლება-მეთქი.

ექიმმა თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა და მერე მითხრა:

შოთა ექიმი რამდენიმე თვეა, რაც გარდაიცვალაო.

ამის გაგონებაზე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს მის სიკვდილში წილი მდებოდა.

– თქვენ ვინ ბრძანდებით? – სახეზე მწუხარება რომ შემატყო, ჩამეძია ექიმი. პასუხი არ გამიცია. ისევ მან მითხრა; თუ რამე გეპირდებათ, ბრძანეთ, იქნებ ჩვენ შევძლოთ დახმარებაო.

არაფერი არ მეპირდება-მეთქი, საკუთარ თავზე გაბრაზებულმა ღრუდ ჩავილაპარაკე და იქაურობა უზომოდ გულდაწყვეტილმა დავტოვე...

სუფრასთან დალია სული

ძველების ტრადიციით, აკაკი გავაშელიშვილი და მისი სამი ძმა „ბზიკე-ენთ“ საერთო ოჯახს ეკუთვნოდნენ. აკაკის მოძმეები ძირითადად სოფლის ცენტრთან ახლოს ცხოვრობდნენ. ხოლო ამ ოთხ ძმას, არ ვიცი, როდის, ან რატომ, საცხოვრებლად საროკავა აერჩიათ.

საროკავა ღებში ერთ-ერთ უბანს ჰქვია და სოფლის აღმოსავლეთით მდებარეობს. ამ უბანში ხალხი შედარებით გვიან უნდა დასახლებულიყო. ამას მაფიქრებინებს მისი სახელწოდება „საროკავა“.

„როკვა“, საბას განმარტებით, „სამას, ცეკვას და მისთანებს“ ნიშნავს, ხოლო „სამა-როკვა და შუშპარია“, იმავე საბას ლექსიკონით. ასე რომ, სახელწოდებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, ეს უბანი ბოლო დრომდე დაუსახლებელი უნდა ყოფილიყო და ალბათ, რელიგიური თუ სხვა სა-ხალხო დღესასწაულების დროს სოფლის მოსახლეობის მასობრივი სეირნობის, ლხინისა და ცეკვა-თამაშის გასამართ ადგილს წარმოადგენდა. ცხადია, „საროკავაც“. უთუოდ, ამიტომ შეარქვეს. უნდა ითქვას, რომ უბანს სხვა, არანაკლებ საინტერესო სახელიც „ტაბაურაც.“ ჰქვია. რაც იმას გვა-უწყებს, რომ ოდესღაც აქ, ტბა უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ამჟამად არამც თუ ტბა, ნატბევარის კვალიც არსად ჩანს. თუმცა, წვიმიანში ამ უბნის ორღობეებში გვარიანად მოზრდილი გუბეები დგება. გამორიცხული არ არის, რომ ადგილს ამის გამო დარქმეოდა ტაბაურა. მოგეხსენებათ, რომ ხალხი უმიზეზოდ და ჰაიჰარად სახელს არაფერს არქმევს. მით უფრო ისეთ სახელს, დღემდე მტკიცედ რომ შემორჩენილა.

ასე იყო თუ ისე, როგორც ვთქვი, აკაკი და მისი სამი ძმა, დედასთან ერთად, ერთ ოჯახად საროკავაში ცხოვრობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ძმებს შრომა არ ეზარებოდათ, ეკონომიკურად მაინცდამაინც გალა-ღებულები სულაც არ იყვნენ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ შე-ჭირვებას აგრერიგად არ იმჩნევდნენ. ის კი არადა, თითქოს გამწევ ლხინის სუფრას უსხედანო, მათი სახლიდან თითქმის ყოველ საღამოს ძმების კარგად ხმაშეწყობილი სიმღერის ხმა გამოდიოდა. მეზობლებს უკვირდათ მათი ასეთი მუდმივი მხიარული გუნება-განწყობილება. უკვირდათ და ფიქ-რობდნენ, ასეთი რა განძი იპოვეს, რომ ყოველ საღამოს გვიან ღამემდე მღერიანო.

კაცმა რომ თქვას, მძიმე ცხოვრებასთან ჭიდილში ამგვარი გაუტეხლობაა ქების ღირსი, თორემ ბედისგან გალაღებულმა ბევრმა იქნებ სიმღერითაც მოიწონოს თავი და მხიარული ქცევითაც.

რაც შეეხება სიმღერას, ოთხივე ძმა, მართლაც, მშვენივრად მღეროდა ქართულ ხალხურ სიმღერებს. მათ ერთი ფინია ძაღლი ჰყავდათ. უბანში ხუმრობის გუნებაზე მოსული ლაზღანდარები იმასაც ამბობდნენ: ყოველ საღამოს ძმების სიმღერის მოსმენით ფინია ისე გაიწაფა, როგორც კი ძმები სიმღერას შემოსძახებენ, უკანა ფეხებზე ჩაყუნცებული ცხოველი თავს მაღლა ასწევს, მათ სიმღერას თავის ძაღლურ ხმას ააყოლებს, თითქოს ისიც მათთან ერთად მღეროდესო.

არ ვიცი, ამ ძაღლის გამო იყო, თუ სხვა რამ მიზეზი გახლდათ, ზოგიერთი მეზობელი, როგორც კი ყურს მოკრავდა ძმების სიმღერას, უკმაყოფილოდ იტყოდა, დაიწყეს ყმუილი ბზიკეენთ მგლებმაო. თუმცა, ეს მეზობლებიც, მიუხედავად ამგვარი დაუმსახურებლად გამქირდავი სიტყვებისა, სხვებთან ერთად მაინც სიამოვნებით უსმენდნენ ძმების მიერ ყოველ საღამოს დაგუგუნებულ ქართულ ხალხურ სიმღერებს.

ომი დაიწყო თუ არა, ოთხი ძმიდან ორი – აკაკი და შალვა მაშინვე გაიწვიეს ფრონტზე. შალვა უგზო-უკვლოდ დაიკარგა ომში პირველივე დღეს და აღარ დაბრუნებულა.

რაც შეეხება აკაკის, ხუთი წელი გაატარა ფრონტზე და არაერთ აუტანელ გასაჭირს და თვით სიკვდილსაც სრულიად უვნებლად გადაურჩა. ჯარიდან დაბრუნებული პირდაპირ მზისაში ჩამოვიდა, სადაც იმ დროს მისი დედა, ფროსია და უმცროსი ძმა, ბარისა ცხოვრობდა.

ომიდან დაბრუნების შემდეგ დიდ დროს არ გაუვლია, აკაკიმ ცოლი შეირთო, მშვენიერი ოჯახი შექმნა და ოთხი ვაჟიც შეეძინა. ვაჟიანობის სიუხვით თავი ძალიან მოსწონდა. კაცმა რომ თქვას, ოთხი ვაჟის მამას ჰქონდა კიდეც თავმოსაწონი!

სამი ვაჟის შემდეგ მეოთხეც რომ შეეძინა, რომელიღაც მეზობელმა ჰკითხა თურმე, რა გაჟავსო. აკაკი არც დაფიქრებულა, უმალ მიუგო ისე, თითქოს ეგ რა საკითხავიაო, რა მყავს და რიკიანიო.

აკაკის რამე განათლება არ მიუღია. მისი ერთადერთი საქმე და ხელობა მიწაზე მუშაობა იყო. ომიდან დაბრუნების შემდეგ უმალ კოლმეურნეობაში დაიწყო შრომა-საქმიანობა. ხარები გაუპიროვნეს, მაგრამ აკაკისთვის ეს მათ მუდმივ სარგებლობაში გადაცემას ნიშნავდა. კაცმა რომ თქვას, ასეც იყო. აკაკი კოლმეურნეობიდან წასვლას არსად აპირებდა. ხოლო მუდმივად სოფელში მცხოვრებ გლეხკაცს ხარიც სჭირდებოდა, ურემიც და გუთანიც. ეს ყველაფერი ჰქონდა, კიდევაც, უვლიდა და ამით ბედის კმაყოფილი იყო. მისთვის ხარები ყველაფერს ნიშნავდა და ვაგლახად ხელს არავის დააკარებინებდა. თუ თვითონ არ მოისურვებდა, თავმჯდომარესაც რომ ეთქვა, ამა და ამ კაცს ხარი ათხოვეო, განკარგულებას აგრერიგად არ დაემორჩილებოდა.

ერთხელ აკაკიმ სოფლის ცენტრში ამოიარა. მეზობლის ქალი, მატრონა მიესალმა. აკაკიმ პასუხად ცივად მიახალა: ვიცი შენი სალამი რასაც ნიშნავს, მაგრამ საშენოდ ჩემს ხარებს არ სცალიაო.

ქალმა იხტიბარი არ გაიტეხა, თავმჯდომარემ იცის, შენთან სწორედ მან გამომგზავნაო.

მიბრძანდი იმ შენს თავმჯდომარესთან და ასე გადაეცი: აკაკის მატრონასთვის სანათხოვებელი ხარები არ ჰყავს-თქო და გასცილდა. მატრონამ იცოდა, ამის შემდეგ ათასჯერაც რომ ეცადა, რადგან თავიდან უარი უთხრა, ვისაც არ უნდა დაეგალებინა, აკაკი ხარებს მაინც არ ათხოვებდა.

ერთადერთი, ვისაც ხარების თხოვებაზე უარს არ ეუბნებოდა, მისი მეგობარი, თემურ გავაშელიშვილი (ოლელეეთი) გახლდათ. ისიც იმიტომ, რომ მათ ერთმანეთთან იმთავითვე თბილი ურთიერთობა ჰქონდათ.

ამას გარდა, თემურს თვითონაც გულიანი, ალალი და უღალატო მეგობრობა სჩვეოდა და აკაკი ამას სხვებზე მეტად აფასებდა. და ერთიც: ისინი ერთად ხმაშეწყობილი მღეროდნენ და თითქმის ყოველდღე ერთად იყვნენ. თუ უგუნებობას შეატყობდა, თემური ჯერ გაეხუმრებოდა, გულიდან დარდს გადაყრიდა, მერე თითქოს სხვათაშორის ეტყოდა: შეშა ან თივა ვერ მომიტანია და რა ვქნა, არ ვიცი. აკაკი რომ მიზეზს ჰკითხავდა, თემური, ეტყოდა, ხარები არა მყავს და როგორ უნდა მოვიტანოო. აკაკი წყენით უსაყვედურებდა, ეგ რა მიზეზია, ჩემი ხარები აქ არ არიან, როცა გინდა, მაშინ წაიყვანე და თუ თავისუფალი ვიქნები, მეც მოგეხმარებიო. აკაკის არ უყვარდა, როცა რამე საქმის გაკეთებას მისი სურვილის წინააღმდეგ აიძულებდნენ.

აკაკის მოსწრებული სიტყვა-პასუხი სჩვეოდა, თუმცა, ზოგჯერ, როგორც ახლა იტყვიან, არაკორექტულიც.

ერთხელ, აკაკის სოფლის რამდენიმე აქტივისტთან ერთად, დამზადების ინსპექტორი, სეფე რეხვიაშვილი ეწვია. დამზადების ინსპექტორი იმ დროში საკმაოდ მრისხანე სახელმწიფო მოხელედ ითვლებოდა, თუმცა, სეფეზე ვერავინ იტყოდა მრისხანე, მკაცრი და მოსახლეობის ამწიოკებელი მოხელე არისო. მან მშვენივრად იცოდა ხალხის მდგომარეობა და არანაკლებად – თვით აკაკის ოჯახის შესაძლებლობა, მაგრამ განგებ, აქაოდა, ისეთი სიტყვა ვათქმევინო, რომ გავიცინოთ და გავმხიარულდეთო, ყასიდად მრისხანედ დაემუქრა, დროზე გამოიტანე შენს ოჯახზე შემოწერილი გადასახადი, თორემ შემოვალ და სახლში რაც გაქვს, ყველაფერს აგიწერო.

აკაკიმ არც აცია, არც აცხელა, უმალ უპასუხა: რას ამიწერ სეფე. ერთი საბნის მეტი არაფერი მაბადია და მასში მე და ჩემი ცოლი სიბაქივით ვართ გახვეულიო. იმ დროს აკაკი ომიდან ახლად დაბრუნებული იყო და დამოუკიდებელი ოჯახიც ახლად ჰქონდა შექმნილი. მართალია, სხვებივით გასაჭირი მასაც არ აკლდა, მაგრამ მთლად ასე წყალწაღებული არ ყოფილა.

სეფე ინსპექტორმა მხიარულად გაიცინა აკაკის პასუხზე და გასცილდა.

კიდევ ერთი შემთხვევა მინდა, გავიხსენო აკაკის თავისებური ხასიათის საჩვენებლად.

აკაკის სიდედრი გარდაეცვალა. ერთ-ერთმა მეზობლებმა თურმე უსაყვედურა, კარგად რომ მიგეხედა, ის ქალი შეიძლება არ მომკვდარიყოო.

აკაკიმ წყენით შეხედა დამრიგებელს და უკმეხად მიუგო:

– მეტი რა მექნა. ერთი მამალი ქვე დაუკალი, მაგრამ არ უშველაო.

ომიდან დაბრუნებული აკაკი გავაშელიშვილი ხშირად გვიამბობდა ბრძოლის ამბებს და იმასაც დასძენდა, ხუთი წელი ფრონტზე ვიყავი, გასაჭირის მეტი რა მინახავს, მაგრამ დაჭრით ერთხელაც არ დავჭრილვარო.

– კაცს როგორც არ უნდა გაუჭირდეს, არა მგონია, სიკვდილი გულით ინატროს. – გვეტყოდა ხოლმე, როცა ომისდროინდელ თავგადასავალს იგონებდა და მეტი დამაჯერებლობისთვის დაუმატებდა: ყოველ შემთხვევაში, სიკვდილი გადაჭრით არასოდეს მინატრია, მაგრამ გაცხარებულ ომში ზოგჯერ სანგრიდან ხან ხელი, ხან ფეხი გამომიყვია, იქნებ ტყვია მომხვდეს, მსუბუქად დავიჭრა და ერთი-ორი თვე ჰოსპიტალში დავისვენო-მეთქი. მაგრამ ტყვია არასდროს გამკარებია. – ვფიქრობ, აქ ალბათ, გასაკვირი არაფერია. თითქმის ხუთი წელი რომ კაცი ტყვიის წვიმაში დგახარ. ხან მტერი მოგდევს მოსაკლავად, ხანაც შენ მისდევ ფეხდაფეხ კავკასიონიდან ბერლინამდე, იმ მტერს, ამ დროს კიდეც რომ დაიღალო და დასვენება ინატრო, ეს სულაც არ იქნება არაბუნებრივი, მაგრამ თუ ასეთ ომში აკაკი რომ იბრძოდა, ყოველგვარი ხიფათი მუდამ გვერდს გვივლის, არც ეს არის გასაკვირი, ვინაიდან ჩვენი გაჩენაც და სიკვდილიც უფლის ნებაა.

ასეთ მრისხანე, სისხლისმღვრელ ომში საღ-სალამათად გადარჩენილმა, თითქმის ოთხმოც წელს მიღწეულმა აკაკი გავაშელიშვილმა შინ, საკუთარ სახლში, სუფრასთან მჯდომმა სადილობისას ისე მშვიდად დალია სული, ერთი არ დაუკვნესია. როგორც ჩანს, უთუოდ ასეთი იყო განგების ნება, მსგავსი წყალობა კი უფლისგან ყველას როდი ეღირსება.

წყაროს პირას მოსმენილი ამბები

ულუადღე გადასული იქნებოდა.

ცა სქელ ღრუბლებს დაეფარა და ღრუბლებს მიღმა დარჩენილი მზე არ ჩანდა.

სოფლის წყაროსთან, ხეებქვეშ, ქვებზე, ჩვეულებისამებრ, ამჯერადაც რამდენიმე კაცი იჯდა.

ერთ-ერთს, რომელსაც რამდენიმე კვირის გაუპარსავი შავი წვერი და, ასევე სქელი, ძალზე შავი თმა ჰქონდა, ხელში გადაშლილი წიგნი ეჭირა. მიუხედავად შუა ხნის ასაკისა, შავ თმა-წვერში ერთი ღერი თეთრი არ ერია.

მე და ჩემი მეგობარი, გივი გავაშელი წყაროსთან მყოფებს მივუახლოვდით და, სადაც თავისუფალი ადგილი ვნახეთ, სხვებივით ქვებზე ჩამოვჯექით.

იმან, რომელსაც წიგნი ეჭირა, კითხვა შეწყვიტა, თავი აიღო და ისე დაგვაცქერდა, თითქოს პირველად გვხედავდა. მერე ორივეს გვკითხა:

– დღეს ჩემი ბიჭი არ გინახავთ?

– ვინ, ნოთა? – კითხვითვე დაუბრუნა პასუხი გივიმ, თუმცა, მშვენივრად იცოდა, ვისაც კითხულობდა მამამისი. ნოთა, ანუ ზურა, ჩვენი თანატოლი იყო და სულ ერთად ვიყავით.

– ნოთა შენა ხარ, იმას ზურა ჰქვია! – უსაყვედურა მამამ და გაიღიმა, რაც იმას ნიშნავდა, რომ არ ბრაზობდა.

– ვიცი. – დაემოწმა გივი.

– ჰოდა, თუ იცი, ნოთას რაღად ეძახი?

– დავითა ძია, ნოთას მარტო მე ხომ არ ვუწოდებ. ნახევარი სოფელი ასე ეძახის. – სცადა თავის მართლება გივიმ. დავითმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ გვერდით მჯდომმა ირალა ბიძიამ დაასწრო და უთხრა:

– ეს ბიჭი მართალია. ხომ იცი, რომ შენს ბიჭს ასე დაცინვით არ ეძახიან. ნამდვილი სახელის ნაცვლად ზოგჯერ შენც წამოგცდება ხოლმე და ამ ბიჭებივით „ნოთას“ ეძახი.

– ჰო, როცა ძალიან გამაბრაზებს, – დაემოწმა ირალას დავითი.

– ესენი კი მაშინაც „ნოთას“ ეძახიან, როცა არც აბრაზებთ და მისგან არც რაიმე სწყინთ. მოვეშვათ ამას, თუ კაცი ხარ და კითხვა განაგრძე.

საინტერესო ამბავი ჩანს. – ირალა, ცხადია, წიგნში ამოკითხულს გულისხმობდა. ნათქვამში შეწყვეტილი კითხვის გაგრძელების თხოვნაც იყო და მოსმენილი ამბის შექებაც. დავითმა ხალხს გადახედა და კითხვა განაგრძო. იგი მართლაც, დიდებულად კითხულობდა რომელიღაც მოთხრობას, რომელსაც მაშინ პირველად ვისმენდი. მერე დავინტერესდი და გავიგე, რომ მოთხრობა, რომლის კითხვა დიდი ხნის წინათ ჰქონდა დაწყებული დავით გავაშელს (ჯაგოენთი) ალექსანდრე ყაზბეგის „მამის მკვლელი“ ყოფილა. კითხვის დროს ამის გასაგებად ხმას როგორ ამოვიღებდი, როცა მსმენელთა გულისყური წიგნში აღწერილი ამბისკენ ასეთი ინტერესით იყო მოპყრობილი.

...დავით გავაშელი ერთი, ჩვეულებრივი ღებელი გლეხკაცი გახლდათ. წერა-კითხვა თავის დროზე, ალბათ, მშობლიური სოფლის სკოლაში ისწავლა, წიგნს, მართლაც, შესაშური ოსტატობით კითხულობდა. და არა მარტო მოთხრობების... ბევრი ქართული ხალხური ლექსი და საგმირო-სათავგადასავლო პოემა, ზეპირად იცოდა.

უნდა ითქვას, რომ მზისაში დავითს მსმენელი არასოდეს მოკლებია. საქმე ის გახლდათ, რომ საქართველოდან შორს, უცხო გარემოში გადახვეწილ ღებელებს გამძაფრებული ჰქონდათ მამულისა და მისი სულიერი კულტურის სიყვარულის გრძნობა. ისინი ისეთები როდი იყვნენ, როგორებიც ბევრი ჩვენთაგანი დღესა ვართ. სწორედ მაშინ, იმავე მზისას წყაროსთან ათი-თერთმეტი წლის ყმაწვილმა იმავე დავით გავაშელისგან მოვისმინე გიორგი საakაძისა და მისი ვაჟის გმირობის ამბავი მარტყოფის ომში, რამაც ფაქტობრივად საქართველო გამუსულმან-გასპარსებას და, ალბათ საბოლოოდ, ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინა.

დღესაც არ ვიცი, ბატონ დავითს სად, ან ვისგან ჰქონდა გაგონილი, თუ ამოკითხული ის ამბავი და შიგ ჩართული ლექსი, რომლის ორი სტროფი დღემდე დამამახსოვრდა. მას შემდეგ, როგორადაც არ ვეცადე, გამერკვია, ეს სტრიქონები რომელიმე ქართველი მწერლის კალამს ეკუთვნოდა, თუ ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუში იყო, მაგრამ ვერაფერი დავადგინე.

აი, ის ამბავიც და ვრცელი ლექსის ორი სტროფი, რომლებიც დამამახსოვრდა.

მარტყოფის ველზე სპარსელების წინააღმდეგ სამშობლოს გადასარჩენად გაცხარებულ ომში დიდ მამულიშვილს, გიორგი საakაძეს უკანიდან წამოეპარა ყორჩიხა-ხანის ვაჟი. ცხადია, გიორგი მას ვერ ხედავდა და, ალბათ, ამიტომაც გათამამებულმა მტერმა ხმალი გულადად აღმართა და სანამ დაჰკრავდა შესძახა:

„ჰა, გიაურო, ესეც შენ,
სპარსეთს რომ გაუმტყუნდია

და სისხლი მამაჩემისა,
შენც მოკვდი, გადაბრუნდია!“

სათაყვანებელი მამის მოსაკლავად აღმართულ მტრის მახვილიან ხელს მოულოდნელად და დროულად შეასწრო თვალი გიორგი სააკაძის სრულიად ახალგაზრდა, პირველ ბრძოლას მოკიდებულმა ვაჟმა – ავთანდილმა და ყორჩიხა-ხანის შვილს პასუხად მიაძახა:

„მამაჩემმა მამაშენი
მოჰკლა, ამოართვა სული.
მე შენ იმას გაგაყოლებ,
დღეს შენია აღსასრული!“.

ამის თქმა და ხმლის ოსტატურად მოქნევით თავი წააცალა. ლექსის ხასიათი მაფიქრებინებს, რომ იგი პროფესიონალ ავტორს უნდა ეკუთვნოდეს, მაგრამ ვის, ეს ვერ დავადგინე. თუმცა, ვინ იცის, იქნებ სულაც ხალხური იყოს!

ამ ლექსს რომ ამბობდა დავით გავაშელი – ღებელი გლეხკაცი, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს მარტყოფის იმ ცნობილ ბრძოლაში სამშობლოს დამცველთა შორის თვითონაც გიორგი სააკაძის გვერდით მტრის წინააღმდეგ ხმლით ხელში იბრძოდა მამულის წინაშე ვალის მოსახდელად.

გიორგი სააკაძის შვილის სახელთან დაკავშირებით უნდა ვთქვა, რომ მას დავით გავაშელი, ამბის თხრობისას ავთანდილს უწოდებდა.

ახლახანს იმდროის ისტორიული წყაროებით დავინტერესდი.

ვახუშტი ბატონიშვილი ამბობს, რომ სპარსელების ჯარის სარდლების დახოცვისას მამას – გიორგი სააკაძეს მისი ვაჟი, ზურაბი ახლდაო. ბერი ეგნატაშვილი წერს, რომ მამას მისი ვაჟი, ავთანდილი ედგა გვერდითო. დავით ჩუბინაშვილი ვახუშტი ბატონიშვილს უჭერს მხარს და მარტყოფის ბრძოლაში მამის გვერდით მებრძოლ შვილს ზურაბის სახელით მოიხსენიებს.

ამ შემთხვევაში ჩემი მიზანი არ ყოფილა იმის გარკვევა, რა ერქვა გიორგი სააკაძის ვაჟს – ავთანდილი თუ ზურაბი, მაგრამ თუკი ამის დამადასტურებელ უტყუარ წყაროს მივაკვლევდი, ამას რა სჯობდა. მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო ეს ვერ მოხერხდა. რაც შეეხება დავითს, იგი ქლუხორიდან წამოსვლის შემდეგ ოჯახთან და თანასოფლელებთან ერთად მირზაანში დასახლდა და ბოლომდე იქვე ეწეოდა პატიოსანი გლეხკაცის ჭაპანს.

ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. დავითთან დაკავშირებით ეს ანდაზა ზედგამოჭრილი აღმოჩნდა. ერთ დღეს ხირსაში ვენახში მუშაობით დაღლილმა მირზაანის კოლმეურნეობის წევრებმა – კახელებმაც და „ახალკაველებმაც“ – მზისელმა ღებელებმაც შუადღისას ბრიგადის

საერთო ბინას დასასვენებლად რომ მიაშურეს, დავითი თავისთვის განცალკევებით დაჯდა. ჩანთიდან გერმანული ეპოსის „სიმღერა ნიბელუნგების“ ქართული თარგმანი ამოიღო და კითხვას შეუდგა.

თანასოფლელებმა ერთხანს უყურეს და ერთ-ერთმა ხმამაღლა უთხრა:

– ჯო, ემაგ წიგნი თუ ასე საინტერესოა, ხმამაღლა წაიკითხე. ჩვენც მოვისმენთ და გავერთობით.

დავითმა თავი აიღო. მისკენ მაცქერალ მევენახეს გადახედა და რომ დარწმუნდა იმ ერთი კაცის ნათქვამი სხვების თხოვნაც იყო, ხმამაღლა განაგრძო წიგნის კითხვა.

იმ დღის შემდეგ სამუშაოს მწკრივში ჩამდგარს ბრიგადის წევრები ხშირად თხოვდნენ, შენ ემანდ რამე საინტერესო ამბები მოგვიყევი და შენს გასაკეთებელ საქმესაც ჩვენ გავაკეთებთო.

ამგვარი თხოვნით კმაყოფილი დავითი არც საქმეს ღალატობდა და მევენახეების თხოვნასაც უდიდესი სიამოვნებით ასრულებდა.

დავითზე ბევრი სხვა რამეც შეიძლება გავიხსენო, მაგრამ, ვფიქრობ, რაც ვთქვი, ესეც საკმარისია. ისე კი ამ მოგონების წერის დროს ჩემთვის მთავარი იყო ორიოდე თბილი სიტყვით გამეხსენებია ერთი ღებელი გლეხკაცი, რომელსაც ქართული წიგნი და ქართული ლექსი თავდავიწყებით უყვარდა და როცა საშუალება მიეცემოდა, ძველ ამბებს მშვენივრად მოუთხრობდა თანასოფლელებს.

მათი ხუმრობა, მღერა, თამაში...

ზემოთ უკვე ვთქვი, მაგრამ ერთხელ კიდევ გავიმეორებ, რომ მთავრობამ ქლუხორში ორგანიზებული წესით ძირითადად საქართველოს მოიანი რეგიონების – რაჭისა და სვანეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ჩაასახლა. მაგრამ თავისი ნებითა და სურვილით იქ წასვლა და ცხოვრება ხელისუფლებას არავისთვის აუკრძალავს. პირიქით.

ამასთან დაკავშირებით მცირეოდენ ექსკურსს გავაკეთებ წარსულში და ვიტყვი: ცნობილია, რომ როცა ერთი ქვეყნის, გინდაც, დედამიწის რომელიმე ნაწილში ახალი მიწების ათვისება ხდებოდა, იქითკენ მსოფლიოს ყველა კუთხიდან ერთბაშად დაიძვრებოდა სხვადასხვა ჯურის, პროფესიის თუ ნიჭის ბედის მაძიებელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები. ასე ჩაეყარა საფუძველი რუსებით ციმბირის დასახლებას, როცა იქ, მე-16 საუკუნეში ატამან ერმაკის მეთაურობით კაზაკთა ერთმა ჯგუფმა ილაშქრა.

ქლუხორის კულტურის სახლთან არსებული მოციკვავე გუნდის „კინტაურის“ წევრები: ჟორა გაბრიაძე, ვალერიან ბუთხუზი, იაგო გობეჯიშვილი და ბონდო ლობჯანიძე.

ევროპელთაგან მიწების მსგავსი, მაგრამ ბევრად უფრო ფართო მასშტაბის ათვისება დაიწყო კოლუმბის მიერ 1492 წელს ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის შემდეგ.

მართალია, ქლუხორს ხალხის ასეთი აურაცხელი რაოდენობა და, ამასთან ერთად, ქაოსური მასა არ მიწყდომია, მაგრამ რაიონში ახალი მოსახლეობის ჩასახლებისას ნახსენებ შემთხვევებთან ერთგვარი მსგავსება

ქლუხორის კულტურის სახლთან არსებული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი. 1953 წ.

უთუოდ იყო. ასე, მაგალითად: იქ ჩასახლებული ხალხის პირველი, ძირითადი ნაკადის შემდეგ, ქლუხორში, როგორც დედაქალაქიდან, ისე რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან, გვარიანი რაოდენობის სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ჩავიდნენ. მათ შორის არაერთი იყო კულტურის დარგის მუშაკი. მათ თავიდან ახალი რაიონის უბრალოდ მონახულება ჰქონდათ მიზნად, მაგრამ, როცა ადგილზე ჩასულებმა ნახეს და დარწმუდნენ კიდეც, რომ იქ მათთვის შრომის, ცხოვრების და, რაც მთავარია, ნიჭის გამოვლენის იმაზე ბევრად უკეთესი პირობები იყო, ვიდრე იქ, საიდანაც წამოვიდნენ, იქვე დარჩნენ და სხვებთან ერთად დასახლდნენ. მაგრამ უბრალოდ კი არ დასახლდნენ, თავის პროფესიის მიხედვით დაუყოვნებლივ შეუდგნენ საქმიანობას. ასეთებს შორის იყო ელიაშვილების ოჯახი, ასევე, ეორა გაბრიაძე, ზაზა ღრუბელაშვილი, ზაურ გოგლიძე, ვალერიან ბუთხუზი და არაერთი სხვა.

ამ ადამიანებმა, ბევრ სხვასთან ერთად, უმოკლეს ვადაში არნახულად გამოაცოცხლეს ქლუხორში კულტურული ცხოვრება და რაიონის კულტურის სახლი მოსახლეობის გართობისა და დასვენების საყვარელ ადგილად აქციეს.

იმ დროს ქლუხორის კულტურის სახლთან ფუნქციონირებდა ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი, ასევე, დრამწრე. მათში

გაერთიანებულ პროფესიონალ შემსრულებელთა თუ მოყვარულთა ძალებით სისტემატურად იმართებოდა თეატრალური წარმოდგენები როგორც რაიონის მოსახლეობისთვის, ასევე, გასვლითი ჩვენებები სოფლებში.

ამასთან ერთად, მათ მიერ შესრულებული ცეკვები, სიმღერები და თეატრალური დადგმები, მუდამ დიდ აღტაცებას იწვევდა მეზობელი სტავროპოლის მხარის ქალაქების თუ სოფლების მცხოვრებლებში.

ადგილობრივ მცხოვრებთა შორის განსაკუთრებული მოწონებით სარგებლობდა კულტურის სახლის ძალებით გამართული იუმორის საღამოები, რომლებსაც, გარდა ღიმილისა თუ სიცილის მომგვრელი შინაარსისა, არც რაიონის სხვადასხვა სფეროში არსებული ნაკლოვანებების მძაფრი კრიტიკა აკლდა.

აქვე ისიც, უთუოდ, უნდა ითქვას რომ ქლუხორის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს არაერთხელ მიუღია მონაწილეობა ხალხური შემოქმედებითი კოლექტივების დედაქალაქში გამართულ რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე და გაუმარჯვია კიდეც.

ამის თვალსაჩინო დადასტურება გახლავთ ისიც, რომ საქართველოს რადიოს ოქროს ფონდში დაცულია და დღემდე ინახება ოლიმპიადებზე გამარჯვებული ქლუხორის კულტურის სახლის ქართული სიმღერის და ცეკვის ანსამბლის მიერ შესრულებული ქართული ხალხური სიმღერების ჩანაწერები.

„მე სამჯოთა ხელისუფლემა ზურგით მოვიცანე“

ალექსანდრე ტომარაძე ქლუხორში ჩასვლისას ორმოცდაათ წელს იქნებოდა მიტანებული. ამ და არაერთ სხვა მიზეზთა გამო, ის და მისი თანატოლები, ცხადია, ვისაც თავის დროზე უმაღლესი განათლება ჰქონდა მიღებული, რაიონში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაობდნენ.

ბატონი ალექსანდრე რაიაღმასკომში სამეურნეო განყოფილებას განაგებდა.

ერთ დღეს მასთან, რაღაც პირად საქმეზე რევოლუციონერთა პირველი თაობის კომუნისტი ნ. გ. მოვიდა.

ამ თაობის ხალხს მაშინ, თავისი წარსულით თავი დიდად მოსწონდათ. მიაჩნდათ, რომ საბჭოურზე უკეთესი წყობილება ქვეყანაზე არ არსებობდა და მის დამყარებაში შეტანილი წვლილით ძალიან ამაყობდნენ.

ვფიქრობ, რომ იმ რევოლუციონერ ბოლშევიკთა უმეტესობას რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობით თავმოწონების გარდა, საბჭოური წყობილების უპირატესობა გულწრფელად სწამდათ.

თუმცა, რაღა მარტო მათ.

მე ვიცნობდი იმ თაობის ადამიანებზე ბევრად უფრო ახალგაზრდას, პარტიის წევრ კაცს. დიდად ნაკითხს, ორგზის უმაღლესი განათლების მქონეს, რომელსაც თავის სამეგობროში მთელი სერიოზულობით განუცხადებია – აბანოში რომ შევდიოდი, ტანის გასაპვნისას, სანამ წყალი არ მჭირდებოდა, ონკანს ვკეტავდი, რომ იგი უქმად არ დაღვრილიყო. ამგვარი მომჭირნეობით მეგონა, რომ კომუნიზმში უფრო მალე შევიდოდითო. ვიმეორებ, ამის მთქმელი ორჯერ უფრო ახალგაზრდა გახლდათ რევოლუციონერთა პირველი თაობის ბოლშევიკებზე, მაგრამ, რწმენით მათ არამც თუ ჩამოუვარდებოდა, ვფიქრობ, კიდეც აჭარბებდა.

ამ რამდენიმე ხნის წინათ საუბრისას სიტყვას მოყვა და ამუამად ქვეყნის მართველობაში დაწინაურებული მდგომარეობის ნაცნობთა წრეში იმ კაცის ნათქვამი გავიხსენე აბანოში ონკანის დაკეტვის და კომუნიზმში შესვლაზე.

იქ მყოფმა ერთ-ერთმა სახელმწიფო აპარატის მაღალჩინოსანმა მოხელემ ავტორიტეტულად განაცხადა: – ამის მიზეზი, ზოგ სხვა რამესთან ერთად, ისიც იყო, რომ ის ხალხი ღრმად, ან, საერთოდ, არ იყო ჩახედული

სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ეშელონების სამზარეულოში და ვერც სახელმწიფო პოლიტიკაში ერკვეოდნენ.

როცა ჩეხ იან ჰუსს ცეცხლზე წვავდნენ, ერთმა ღვთის მორწმუნე მოხუცმა ქალმა, რომელსაც წარმოდგენა არ ჰქონდა, რისთვის სწვავდნენ მას, კოცონს ერთი კონა ფიჩხი მიუმატა იმ რწმენით, რომ იან ჰუსის დაწვაში თავისი წვლილის შეტანით იგი სიკეთის სადიდებლად ბოროტებას ებრძოდა. ამაზე იან ჰუსმა წამოიძახა „წმინდა გულუბრყვილობა„-ო.

როგორც ჩანს ყველა დროში თითეული თავისი სამრეკლოდან რეკავს ზარს და ჭეშმარიტება. პოლიტიკიდან შორს მყოფი ხალხის ფართო მასებისთვის აუცილებელი სულაც არ არის, რომ ღრმად იყოდ ჩახედული სახელმწიფოს მართვის სამზარეულოში. კაცმა რომ გაიგოს როგორი მთავრობა ჰყავს და როგორ ქვეყაში ცხოვრობს, ამის მისახვედრად საკმარისია ის თუ მისი ოჯახი როგორ ცხოვრობს.

ბრმა პაპას შვილიშვილმა უთხრა, დიდ და მსუქან ხორცის ნაჭერს გაძლევო.

– მომეცი შვილო. დიდს ხელი იცნობს, მსუქანს – ყელიო. – მიუგო ბრმამ. ხალხური სიბრძნე ღაღადებს, კუჭმა მოღალა ქვეყანაო. ხოლო აკაკიმ იგივე აზრი ასე გამოხატა: „კუჭზე არის გამობმული ქვეყნის თვალი, ქვეყნის ყური“-ო.

მე თუ მკითხავთ, ესა თუ ის ადამიანი რწმენისა და შეხედულებისადმი ერთგულების გულისათვის კი არ არის გასაკიცხი, არამედ პირადი გამორჩენა-სარგებლიანობის მიზნით რწმენის შეცვლისათვის.

პირადად არასოდეს არც ერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, ვინაიდან პოლიტიკაში ჩაბმული უმეტესობის სიბინძურე მზარავდა. იმ პირველი თაობის ბოლშევიკებზე უფრო მეტად ჩემთვის მიუღებელი ის იყო, ქვეყნის სათავეში ავანტიურისტ ნიკიტას მოსვლის შემდეგ რომ კომუნისტური პარტიის რიგებში თვალთმაქცობა და უზნეობა აღზევდა. ამ თაობის კომუნისტთა უმრავლესობას პარტიაც და ქვეყანაც იმდენად უყვარდათ და სწამდათ, რამდენადაც პარტიაში ყოფნით სარგებელს ნახულობდნენ. ეს ნათლად გამოჩნდა ჩვენს დროში, როცა ვითარების შეცვლასთან ერთად თითქმის ყველა მათგანმა უმალ გადაყარა პარტბილეთები და ახალ მოძრაობას მიეტმასნენ, რომ ახალ დროშიც ისევე ენახათ სარგებელი, როგორც ადრე პარტიის წევრობით სარგებლობდნენ. ასეთები არც წინათ იყვნენ გულწრფელები და, ცხადია, არც ახლა არიან.

ხოლო რაც შეეხება რაიაღმასკომში ალექსანდრე ტომარაძესთან პირად საქმეზე მისულ ძველი თაობის რევოლუციონერს, ბატონმა ალექსანდრემ გულმოდგინედ მოუსმინა და მერე აუხსნა, რაც თქვენ გსურთ, ჩემგან იმის გაკეთება უკანონობა იქნება. ამიტომ ვერ დაგეხმარებით, რადგან ამისთვის პასუხს კანონის ძალით მომთხოვენ და დამსჯიან კიდეცო.

ძველ ბოლშევიკს მოეჩვენა, რომ ტომარაძე რევოლუციისა და ქვეყნის წინაშე მის დამსახურებას სათანადოდ არ აფასებდა და თხოვნაზე უარს

უსამართლოდ ეუბნებოდა. ამიტომაც გაბრაზებულმა ხმამაღლა უსაყვედურა „ბიუროკრატ ხელმძღვანელს“ – შენ მე საბჭოთა კანონებს ნუ მასწავლი, შენი ხნის პარტიული სტაჟი მაქვს, მე საბჭოთა წყობილება ზურგით მოვიტანეო.

ტომარაძე ენამახვილი კაცი გახლდათ და, ამასთან ერთად, არც იუმორზე იყო მწყრალად. უარით გაღიზიანებულ, რევოლუციონერობით თავმომწონე მთხოვნელს ძალიან მშვიდად უთხრა: – შენ თუ საბჭოთა ხელისუფლება ზურგით მოიტანე, მე შენ სახლში მანქანით გაგიშვებ, მაგრამ რასაც მთხოვ, იმის შესრულება არ შემიძლიაო.

ქლუხორი პატარა რაიონი იყო და ყოველი კურიოზული შემთხვევა ხალხში წამიერად ვრცელდებოდა. ძველი რევოლუციონერისთვის ტომარაძის მიერ ნათქვამი სიტყვები აფორიზმივით დარჩა ქლუხორში მცხოვრებთა შორის.

როცა ვინმე რამეს დაჟინებით მოითხოვდა, დამცინავი ხუმრობით ეტყოდნენ, არ თქვა ახლა, საბჭოთა ხელისუფლება ზურგით მოვიტანეო, თორემ ალექსანდრე ტომარაძე აქ არის და შინ მანქანით გაგიშვებსო.

ზემოთ ვახსენე და ისიც ვთქვი, რომ ალექსანდრე ტომარაძე ენამახვილი კაცი იყო და არც იუმორზე გახლდათ მწყრალად. მართლაც, ბატონი ალექსანდრე სამსახურში თავის საქმეს კეთილსინდისიერად და მონდომებით უძღვებოდა. ამასთან ერთად, მეგობრებთან ყოველდღიური ურთიერთობისას ზომიერი იუმორით შეზავებული მომხიბვლელი საუბარი იცოდა.

მით უფრო ლხინის სუფრასთან არანაკლები მხიარულება სჩვეოდა.

ქლუხორში ერთ-ერთ მის მეგობარს, ე-ს ყოველმხრივ კარგი ოჯახი ჰქონდა. სახელმწიფო სამსახურშიც გვარიანი თანამდებობა ეკავა და რაიონში პატივისცემით სარგებლობდა. ერთადერთი, რაზედაც ცხოვრებაში გული წყდებოდა, ის იყო, რომ ხუთი ქალიშვილის მამას ვაჟი არ ჰყავდა. ამას იგი, როგორც ქართველი ვაჟკაცების ერთი ნაწილი, მტკივნეულად განიცდიდა.

იმ დროს ე-ს ახალგაზრდა მეუღლე ორსულად გახლდათ და იმედი ჰქონდა, ამჯერად მაინც გაიმეტებდა ღმერთი მოწყალებას და ნანატრ ვაჟიშვილს აჩუქებდა.

ე-ს სამეგობროს, მათ შორის ალექსანდრემაც, იცოდა ვაჟიშვილის შეძენისადმი მისი დიდი სურვილ-წადილი და მასთან ურთიერთობისას ამას უბოროტო ხუმრობის საბაბად იყენებდნენ.

ერთ დღეს სამსახურიდან შინ მიმავალ ე-ს ალექსანდრე ტომარაძე და ორი სხვა ნაცნობი შეხვდა.

ე-მ მისალმება ვერ მოასწრო, ტომარაძემ ისე შეაგება:

– სამაღარიჩოდ გაქვს საქმე, მე მგონია, ოცნება გისრულდება. ორი დღის წინ სიზმარში გნახე, ბუღაზე იჯექი და რქებში ხელი გეკიდა, წყალი არ გუავა, მეუღლე უთუოდ ვაჟს გაჩუქებსო.

ალექსანდრეს სხვებმაც აუბეს მხარი, მას ჩვენებასავით სიზმარი აქვს, ესეც ნამდვილად ვაჟიანობის მანიშნებელი სიზმარია, პურ-მარილი უნდა იკისროო.

მცირე ყოყმანის შემდეგ ოთხივენი რესტორნისაკენ გაეშურნენ და იმ საღამოს რამდენჯერმე დალიეს ე-ს მომავალი ვაჟის სადღეგრძელო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მას მეუღლემ მეექვსეც ქალიშვილი გაუჩინა.

ამ ამბით ერთხანს უგუნებოდ მყოფი ე. რამდენიმე დღის შემდეგ ქუჩაში შეხვდა ალექსანდრეს და უსაყვედურა, ეს არის ჩემს სიზმარს წყალი არ გუავა, ჩვენებასავით უტყუარია. ბუღაზე იჯექი და უთუოდ ვაჟი გეყოლებაო...

– რაღაც რქებიან ცხოველზე ნამდვილად იჯექი, მაგრამ წინიდან დავინახე და ვერ გავარჩიე. ძროხა იყო თუ ბუღა. – თავი იმართლა ასეთ ამბებში გაწაფულმა ალექსანდრემ.

– ნეტა რას გელაპარაკები. ხომ ვიცი, რომ შენთან სერიოზულ რამეზე საუბარი არ შეიძლება! – მიაძახა უფრო მეტად საკუთარ თავზე განაწყენებულმა ე-მ და გაშორდა...

„სამი წლის მკვდარი გაცოცხლემული“

ვისაც ოდესმე ამ ჩანაწერების წაკითხვა მოუწევს, ალბათ, იმასაც მიაქცევს ყურადღებას, რომ ყოველ პიროვნებაზე საუბრისას მისი ცხოვრებიდან ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ ფაქტს თუ შემთხვევას ვიხსენებ. ამასთან, მინდა, ერთხელ კიდევ გავიმეორო, რაც ზემოთაც აღვნიშნე: თხრობისას პრინციპად მაქვს ქცეული, ყველაფერი ის მოვიგონო, რისი მომსწრე თვითონა ვარ, ან როგორც თვითმხილველმა მიამბო. თუმცა, სხვის მონათხრობს თვითონვე გადავამოწმებ ხოლმე. ამგვარი ხერხით და საშუალებებით ვცდილობ, უფრო ნათლად და შთამბეჭდავად წარმოვაჩინო პიროვნება რთულ სიტუაციასა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვაჩვენო, როგორ დადებით თუ უარყოფით თვისებებს ამჟღავნებს და ამით მინდა, მკითხველის წინაშე ამ ადამიანით ჩემი დაინტერესება გავამართლო. თუ, რამდენად ვაღწევ დასახულ მიზანს, ეს უცხო თვალმა და გონებამ განსაჯოს. ჩემი ასეთი დამოკიდებულება მთლიანად მიესადაგება, როგორც ჩემს ჩანაწერებში ადრე მოხსენიებულ პიროვნებებს, ისე მიხა რეხვიაშვილს (სეხნოენთი).

მიხა რეხვიაშვილი სოფ. ჭიორიდან იყო და ქლუხორის რაიონის სოფელ ზედა თებერდაში ცხოვრობდა.

მიხას და მის მეუღლეს, თეკლეს ხუთი შვილი ჰყავდათ: ოთხი ვაჟი და ერთი ქალიშვილი.

ეს ოჯახი, სოფელში იმთავითვე გამოირჩეოდა ზნეკეთილი, მშვიდი ხასიათით. ასე გასინჯეთ: თვით ღვინის სმის დროსაც კი მათი ოჯახიდან გამოსული მამაკაცები ჭინჭყლობის და აყალმაყალისკენ მიდრეკილებას არასოდეს ამჟღავნებდნენ. მოყვასის დახმარება სჩვეოდათ და, როგორც საგანგებოდ გავიკითხ-გამოვიკითხე, მათი ბაბუიშვილების ოჯახიდან გამოსული ავკაცი სოფელში არავის უნახავს. ერთი სიტყვით, იმ ცნობილი სამოცდაათწლიანი საბჭოთა პერიოდის განმავლობაში ეკლესიისგან იძულებით შორს დგომის მიუხედავად, სეხნოენთ გვარის ხალხი, კერძოდ, კი მიხა რეხვიაშვილი და მისი ოჯახის წევრები, უფლის ათ მცნებას თითქმის არასოდეს არღვევდნენ არა ვინმეს ქადაგების ან ზეწოლის გამო, არამედ მათი შინაგანი რწმენისა და გენეტიკური შეურყვნელობის მადლით და მიზეზით.

თებერდაში ჩასახლების პირველივე დღეებიდან მიხა და მისი ოჯახის წევრები, გარდა მცირეწლოვნებისა, ყველანი კოლმეურნეობაში მუშაობდნენ. სხვაგვარად, მაშინ ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო, კაცი ლუკმაპურს ვერ შეჭამდა. მრავალსულიან ოჯახს კი ყველაფერი ბევრი სჭირდებოდა. გლეხკაცის პირობაზე მიხას ყოველგვარი საგლეხკაცო საქმე ეხერხებოდა და არც შრომა ეზარებოდა. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ის და მისი მეუღლე ოჯახის საქმეებს გონივრულად უძღვებოდნენ. თუმცა, როგორც ჩანს, ზოგჯერ სწორედ ასეთი მართალი კაცი წააწყდება ხოლმე ფათერაკს.

ბოლო დროს ასაკში შესული მიხა მწყემსად მუშაობდა. კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის საქმეს და ყველა კმაყოფილი იყო მისით. მაგრამ, როგორც ხალხში იტყვიან, ეშმაკს თურმე არ ძინავს და როდის სად გვიმუხთლებს, კაცმა არ იცის.

მოხდა ისე, რომ მინდორში, სადაც მიხა კოლმეურნეობის ნახირს აძოვებდა, კოლმეურნეობისავე თავის ზვინს ცეცხლი გაუჩნდა და მთლიანად დაიწვა.

ეს ფაქტი უყურადღებოდ არავის დაუტოვებია. ცხადია, სახელმწიფო ორგანოებს ეგულისხმობ. უყურადღებოდ კი არადა, უმალ ფეხზე დადგნენ იმის გამოსარკვევად, ზვინს შემთხვევით გამვლელის მიერ დაუდევრობით დაგდებული პაპიროსის ნამწვისაგან გაუჩნდა ცეცხლი, თუ ვინმემ, დივერსიული მიზნით, წინასწარი განზრახვით დასწვა.

მეტად მკაცრი და ცუდი დრო იყო მაშინ. სამართალდამცავ ორგანოებს ყველგან დივერსია, ღალატი და ქვეყნის მტრობა ელანდებოდათ. შეიძლება, ამაში ცუდი არც არაფერი იყოს, სიფრთხილე და წინდახედულება ყველა საქმეში აუცილებელია. მით უმეტეს, როცა სახელმწიფო ინტერესები დაცვას შეეხება. აკი, ნათქვამიცაა, სიფრთხილეს თავი არ სტკივაო. ისე კი... იქნებ ჩემგან აქ ერთგავრად უადგილოც იყოს ამის თქმა, მაგრამ მაინც ვიტყვი: მე მგონია, არც ჩვენთვის იქნებოდა ზედმეტი, თუ არ დავივიწყებთ და გადმოვიღებთ იმას, რაც საბჭოთა წყობილების დროს კარგი და სასარგებლო იყო. ამასთან ერთად, არც სიფხიზლეს მოვადუნებთ და არც სახელმწიფო საიდუმლოებებს გავუკეთებთ აფიშირებას რადიოთი და ტელევიზიით, როგორც ამას ხშირად ვაკეთებთ ხოლმე. ამას წინათ ერთ დიდებულ ქართველ გამომგონებელ-კონსტრუქტორს მოვუსმინე ტელევიზიით. კორესპონდენტებს უამბობდა, რომ თურმე მფრინავი თეფშის პრინციპზე სრულიად ახალი ტიპის სამხედრო დანიშნულების საფრენოსნო აპარატი შეუქმნია, რომლის მსგავსი არც ერთი ქვეყნას არ გააჩნია. არ ვიცი, რამდენად შეეფერებოდა ეს ამბავი სინამდვილეს, მაგრამ თუ კი ჩვენში მსგავსი რამ მართლაც შეიქმნა, რა აუცილებელი იყო, ამის ასე საქვეყნოდ გამოქვეყნება მანამ, სანამ იმ აპარატს თუ „მფრინავ თეფშს" შენ თვითონ არ დაამზადებ და არ დააპატენტებ.

ერთი სიტყვით, ამით იმის თქმა მინდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოში, განსაკუთრებით სტალინის დროს, სახელმწიფო საიდუმლოება უმკაცრესად იყო დაცული. ეს ასევეა, უთუოდ ალბათ, დღესაც დალაგებულ ქვეყნებშიც. ამიტომაც ზედა თებერდის მინდორში კოლმეურნეობის კუთვნილი ერთ თივის ზვინის დაწვა სათანადო ორგანოებმა სახელმწიფოს მიმართ მტრობისა და დივერსიის რანგში აიყვანეს.

გამოძიებას თავიდანვე რატომღაც ეჭვი გაუჩნდა, რომ ადგილი ჰქონდა წინასწარ განზრახულ ბოროტმოქმედებას და ძიებაც ამ მიმართულებით წარიმართა. მაგრამ როცა ვერავითარ მამხილებელ საბუთს ვერ მიაკვლია, აზრი შეიცვალა. თუმცა, საქმის გამოძიება არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ. ახლა უკვე ძიება იმის დადგენას შეეცადა, თუნდაც დაუდევრად. მაგრამ მაინც ვინ ჩაიდინა ეს უნებლიე დანაშაული... ეჭვი ბოლოს კოლმეურნეობის მწყემს-მენახირე მიხა რეხვიაშვილზე მიიტანეს. ამ მინდორში ხშირად ის აძოვებს საქონელს, თამბაქოს ეწევა, დროული კაცია. გამორიცხული არ არის, რომ ამ ასაკში ადამიანმა თავის მოქმედებას სათანადო კონტროლი ვერ გაუწიოს, თუ რა მოყვება მის მიერ გადადგმულ, ერთი შეხედვით, უწყინარ ნაბიჯს, ანუ პაპიროსის ნამწვის მინდორში გადაგდებას, სადაც კომეურნეობის თივის ზვინები დგას.

თუ ყველაფერს გამომძიებლის თვალით შევხედავთ, მის მიერ გამოტანილი დასკვნები ლოგიკურთან მიახლოებულად მოგვეჩვენება.

ასე იყო თუ ისე, ბოლოს მიხა დაიბარეს, დაჰკითხეს და უთხრეს: ეს ხანძარი, შემთხვევით თუ განზრახ, ან შენი გაჩენილია, ან უთუოდ იცი, ზვინს ცეცხლი ვინ წაუკიდა და ყველაფერი უნდა გვითხრაო.

მიხამ გადაჭრით უარყო ამ საქმეში განზრახ თუ შემთხვევით თავისი მონაწილეობა და მის შესახებ რამის ცოდნაც. თან ესეც დაუმატა:

– ეს ადგილი გზისპირა მინდორია. აქ, ფეხით თუ მანქანით, ჩემს გარდა, ათასი ვინმე დადის. პაპიროსის ნამწვის გადაგდება ყველას შეუძლია. ამას გარდა, მე ხომ მუდამ ერთ ადგილზე არ ვარ. ნახირს ხან აქ ვაძოვებ, ხანაც ამ ადგილიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით. როგორ შემიძლია იმის დანახვა, რამდენი ვინმე ანთებულ ასასთს თუ ჩაუმქრალ სიგარეტს სად გადააგდებს და მერე იმას რა მოყვება.

ეს არგუმენტები იმდენად დამაჯერებელი და ლოგიკური ჩანდა, რომ გამოძიება იძულებული იყო, ამჯერად მისი უდანაშაულობა ეღიარებინა... მაგრამ მხოლოდ ამჯერად. ამასობაში გავიდა სამი წელი.

გარდაიცვალა სტალინი.

ქლუხორის რაიონი კვლავ რუსეთის შემადგენლობაში გადავიდა და იგი სტავროპოლის მხარეს შეუერთეს. ამ პროცესს თავისთავად მოყვა კადრების შეცვლა, მათ შორის, სასამართლო-მილიციასა და საგამომძიებლო ნაწილშიც.

არ ვიცი, შემთხვევით, არ ვიცი, ვინმეს განზრახ დაინტერესებით, სამი წლის წინათ ზედა თებერდაში თივის ზვინის დაწვის ამბავი კვლავ ამოტივტივდა. როგორც ჩანს, ადრე საქმე შეწყვიტეს, მაგრამ არ დაუხურავთ.

უთუოდ ამიტომ იყო, რომ მიხა რეხვიაშვილი იმ ძველ საქმეზე ახალმა გამომძიებელმა დაიბარა.

მართალია, იგი გლეხკაცი იყო, მაგრამ იცოდა, გამოუცხადებლობა უფრო გაართულებდა საქმეს და გამოძიებას ეჭვის საბაბს მისცემდა. ეს კი ბრალმდებელთა თვალში მის მიერ დანაშაულის აღიარების ტოლფასი იქნებოდა.

გამომძიებლისკენ მიმავალ მიხას მეზობელი შეხვდა და უგუნებობის მიზეზი ჰკითხა, რა მოხდა, ასე რამ შეგაწუხაო. მან ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად უპასუხა მეზობელს:

– რა მოხდა და სამი წლის მკვდარი გაცოცხლებულაო.

მეზობელი ამ ქარაგმისას ვერაფერს მიხვდა, ჩაეძია, ვინ, ან რა სამი წლის მკვდრის გაცოცხლებაზეა ლაპარაკიო.

მიხამ ახლა უფრო გარკვევით და დაწვრილებით აუხსნა, საქმე როგორც იყო.

– კარგა გვარიან შარში გახვეულხარ. – დამშვიდების ნაცვლად, დაუფარავად უთხრა მეზობელმა, – რუსების ამბავი ხომ იცი, თუ გადაგეკიდნენ, ბოლომდე არ მოგეშვებიან.

– რუსების ამბავი როგორ არ ვიცი, ჩრდილოეთ კავკასიაში ვარ გაზრდილი. – მიუგო მიხამ.

– ჰოდა, მათი ხასიათი კარგად გეცოდინება და რაღაც უნდა იღონო, თუ გინდა, რომ უსიამოვნება თავიდან აიცილო. – ურჩია მეზობელმა.

არ ვიცი, ესეც იმ მეზობელმა ურჩია, თუ მიხამ თვითონ მოიფიქრა, რუს გამომძიებელთან რუსულის ცოდნა დაემალა დ თავიც გულუბრყვილოდ მოეჩვენებინა. რომ მის მიერ მიცემულ ჩვენებაში ეჭვი არ შეეტანათ. არადა, მიხა ასეთ საღ გონებაზე არასდროს ყოფილა. რამე რომ არ შეშლოდა, სიფრთხილის გრძნობა უჩვეულოდ ჰქონდა გამახვილებული გამოძიების მთელი დროის მანძილზე. რაც შეეხება რუსულს, სალაპარაკო ენა ხომ უნაკლოდ იცოდა, მისი რუსულად ნაწერი ჩემს პატარა ბიჭობაში მინახავს და შემიძლია, ვთქვა, რომ მისი რუსულ-ქართული ხელწერა საუკეთესო კალიგრაფს შეშურდებოდა.

ასე იყო თუ ისე, მაინც დიდხანს აწვალეს. თითქმის ყოველ დღე გაყავდათ „დანაშაულის ადგილას" და ათას რამეს ეკითხებოდნენ, ცხადია, თარჯიმნის საშუალებით, რადგან მიხამ თავიდანვე განაცხადა, ქართულის მეტი სხვა ენა არ ვიციო.

მიხას გამომძიებლებთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ რასაც ისინი მისი თანდასწრებით ერთმანეთს რუსულად ეუბნებოდნენ, ცხადია, ყველაფერი ესმოდა და გამომძიებლის ყოველ მომდევნო შეკითხვას მომზადებული ხვდებოდა. სათქმელს კარგად წონიდა, რომ რამე არ შეშლოდა და მოწინააღმდეგე მხარეს მის მიერ შეცდომით ნათქვამი სიტყვა თუ წინადადება ბრალდებად არ გამოეყენებინა.

ერთი სიტყვით, გამომძიებლები ამჯერადაც ამაოდ დაშვრნენ. მიუხედავად გულმოდგინე მცდელობისა, მათ ვერ შეძლეს ვიღაცის მიერ განზრახ თუ შემთხვევით ჩადენილი დანაშაულის მისთვის „აკიდება", რომ შემდეგ, როგორც არაერთხელ მომხდარა, სასამართლოზე საქვეყნოდ განეცხადებინათ, სიმართლემ, ბოლოს და ბოლოს, იზეიმაო. სიმართლემ, მართლაც, იზეიმა, მაგრამ არა სიყალბის, არამედ ჭეშმარიტების მიზეზით. საქმე ის გახლავთ, რომ გამოძიება დარწმუნდა, ეჭვმიტანილს ამ საქმეში არავითარი ბრალი არ მიუძღოდა. სამართალდამცავ ორგანოებს ეს რომ ერწმუნათ ამაში მიხა რეხვიაშვილს, საკუთარ სიმართლესთან ერთად, მისი გლეხური გამჭრიახობა და მოხერხებულობაც გვარიანად დაეხმარა.

და ერიც:

იმის გამო, რომ მომხდარი ფაქტი ერგვარად ხანდაზმული იყო, ამასთან ერთად არც რეალური დამნაშავე იკვეთებოდა და არც ხელმოსაჭიდი დანაშაულის მოტივი არ არსებობდა „საქმე" მოისპო და დაიხურა...

ალისტორა

საქართველოს მთიანი რეგიონების მცხოვრებთა ერთი ნაწილის ახალ ადგილას – ქლუხორში გადასახლება-ჩასახლებას ბევრი თავიდანვე ეშვის თვალით უყურებდა. დაეშვებულებში შორიდან უცხო მაყურებელს არ ვგულისხმობ. ამ საკითხზე უარყოფითი აზრის ძირითადად იმავე სოფლის მკვიდრნი გახლდნენ, საიდანაც მათი მახლობლები, ოჯახის წევრები თუ თანასოფლელები იყრებოდნენ და სადღაც მათთვის უცნობ და უცხო მხარეში მიემგზავრებოდნენ.

ამ მხრივ გამონაკლისს არც ღებელები წარმოადგენდნენ. მათი დაეშვების მიზეზი, სხვა მიზეზთა შორის ისიც იყო, რომ უმრავლესობამ, – არც წამსვლელებმა და არც დამრჩენებმა არ იცოდნენ, რას წარმოადგენდა ეს ქლუხორის რაიონი და მთლიანად მხარე, სადაც იგი მდებარეობდა და ღების თუ სხვა სოფლების მკვიდრი მოსახლეობა იქ სამუდამო საცხოვრებლად მიემგზავრებოდა. ადგილზე დამრჩენთაგან ზოგი ღიად ამჟღავნებდა უარყოფით დამოკიდებულებას თავისი სამკვიდროდან ვინმეს აყრის და უცხო მხარეში გადასახლების გამო. მით უფრო ქვეყნისთვის ისეთ უმძიმეს პერიოდში, როგორიც დიდი სამამულო ომი გახლდათ. სხვები გარკვეულ სიფრთხილეს იჩენდნენ და რჩევისაგან თავს იკავებდნენ. თავის მხრივ, ალბათ, ერთნიც სწორნი იყვნენ და მეორენიც – ისინი, ვინც გულში ფიქრობდნენ: ვთქვათ, მოვუწონეთ წამსვლელებს, მაგრამ ჩვენი რჩევა მერე უვარგისი რომ გამოდგეს, გვისაყვედურებენ, თქვენ რომ ჩვენთვის მხარი არ დაგეჭირათ, იქნებ არც წავსულიყავით და ჩვენი საქმე უკეთ აწყობილიყო. სხვებს, სხვა რამე ეთქვა და ასე შემდეგ.

არავინ იცის, ალისტორა გობეჭიშვილი ქლუხორში გადასახლებაზე თავიდან რას ფიქრობდა. ერთი რამ ცხადია: მან, ეტყობა, სიფრთხილე გამოიჩინა და აჩქარებით ამგვარი ნაბიჯის გადადგმას თავშეკავება არჩია. ჩანს, დაელოდა: თუ ჩემი თანასოფლელები ქლუხორში ჩასახლებით კმაყოფილნი დარჩებიან, იქ ჩასვლასა და დასახლებაზე უარს არც მერე მეტყვის ვინმეო.

ასე იყო თუ ისე, ალისტორა ქლუხორში მაინც ჩამოვიდა, ოღონდ, ცოტა მოგვიანებით, მაგრამ, როგორც მახსოვს, არა სამუდამოდ საცხოვრებლად. შეიძლება, მას ერთგვარმა ცნობისმოყვარეობამ უბიძგა, ენახა, ახალ ადგილას როგორ მოეწყვნენ მისი თანასოფლელები. მე მგონია, უფრო დრო-

ებით სამუშაოდ ჩავიდა. გლეხკაცი იყო და ალბათ იმედი ჰქონდა, ქლუ-ხორში დღიურ მუშად იმაზე მეტს გამოიმუშავებდა, ვიდრე ღების კოლ-მეურნეობაში შრომადღეზე უხდიდნენ.

ერთი სიტყვით, აქ ყველა ვარაუდი დასაშვებია, გარდა დიდი ფულის შოვნის იმედისა, ვინაიდან იმ დროს (და იქნებ სხვა დროშიც!) პატიოსანი შრომით დიდი ფული არსად არ იშოვებოდა. მით უფრო საბჭოთა კავ-შირის უკიდეგანო ტერიტორიაზე და ეს ალისტორამ სხვებზე არანაკლებ იცოდა. ან კი ამის ცოდნას რა დიდი რამე უნდოდა, მით უფრო, რომ მის მშობლიურ ღებში იგი გასაბჭოების მომსწრეც გახლდათ, კოლექტი-ვიზაციაც მის თვალწინ მოხდა, ხალხის განკულაკებაც და ავადსახსე-ნებელი ოცდაჩვიდმეტი წელიც. ბრმა ხომ არ იყო, ქვეყანაში ასეთი გან-საკუთრებული მოვლენების თვითმხილველს სწორი დასკვნები ვერ გამოეტანა და იმას ვერ მიმხვდარიყო, ადამიანთათვის როგორი უფლე-ბების მომნიჭებელ და მოთხოვნების წამყენებელ სახელმწიფოში ცხოვრობდა. თუმცა, ჩემმა ასეთმა მსჯელობამ იქნებ ვინმე დააეჭვოს, ასეთ მივარდნილ მთის სოფელში, როგორიც ღებია, გლეხკაცი ამდენს როგორ განჭვრეტდაო.

ჰმ!

ამ ე. წ. მივარდნილ მთის სოფელ ღებში მცხოვრებთაგან, რევოლუცი-ამდე ბევრს ლამის ნახევარი მსოფლიო ჰქონდა შემოვლილი. ათასი რამე ენახათ და ერთ რომელიმე უცხო ენას, მშობლიური ქართულივით ფლობ-დნენ, ხოლო რევოლუციის შემდეგ იგივე „მივარდნილი“ სოფელში მცხოვ-რებ არაერთ გლეხკაცს საბჭოთა ქვეყნის თითქმის არც ერთი მხარე არ დაუტოვებია, რომ რაღაც მიზეზით არ მოენახულებინა.

რაც შეეხება ალისტორა გობეჯიშვილს, ისიც ამ სოფლის ისეთი მცხოვ-რებთაგანი იყო, ვისაც არც შორს მოგზაურობა ეზარებოდა და ქვეყნის არაერთი მხარეც ჰქონდა მოვლილი. მართალია, მთელი ცხოვრება გლეხ-კაცურ საქმიანობას მისდევდა, მაგრამ რაც მის დროს ქვეყანაში ხდებოდა, დარწმუნებული ვარ, ყველაფერში ზედმიწევნით ერკვეოდა და ავის და კარგის გარჩევა არ გაუჭირდებოდა, რადგან წიგნი გუთნის ტარზე ნაკლე-ბად არ უყვარდა. პირადად მინახავს, როგორ კითხულობდა ზეპირად ცალ-კეულ ადგილებს „ვეფხისტყაოსნიდან“, სხვების მტკიცებით კი, ალისტო-რამ ეს წიგნი თავიდან ბოლომდე ზეპირად იცოდა. ამასთან ერთად, გონე-ბამახვილი, ენამოსწრებული, იუმორის მოყვარული და დიდი მოქართულე გახლდათ. ღებში დღესაც იგონებენ მის არაერთ გონებამახვილურ გამონათ-ქვამს. მათ შორის ასეთებსაც:

ერთ დროს ალისტორა ხიდების მშენებლობაზე მუშაობდა.

ერთხელ იგი თავმჯდომარემ დაიბარა და უთხრა, რიონის ხიდი დაზი-ანებულა. ეს საქმე შენ სხვაზე უკეთ იცი. მშენებელთა ბრიგადას სათავეში ჩაუდექი და მყარი და გამძლე ხიდი ააგეო.

ანაზღაურება შესაფერისი იყოს და ისეთ ხიდს ავაგებ, უკეთესი კაცს არ ენახოსო, დააიმედა თავმჯდომარე ალისტორამ.

ყველაფერზე შეთანხმდნენ.

ალისტორამ, გათვალისწინებულზე ადრე დაამთავრა ხიდის მშენებლობა. სანამ მდინარე ჩველებრივად მოედინებოდა, ახალი ხიდით ყველა კმაყოფილი იყო. მაგრამ დაიწყო გაზაფხულის წვიმები, ადიდდა რიონი და ალისტორას აგებული ხიდი კურტმეებიანად წაიღო.

თავმჯდომარემ ალისტორა დაიბარა და უსაყვედურა, ვერ ყოფილარ სიტყვის კაცი და მარჯვე მშენებელი, შენი აგებული ხიდი წყალმა წაიღოო.

რა ვქნა ბატონო, ჩვენ ხიდის მშვიდი რიონისთვის აგებაზე მოვრიგდით და არა გაგიჟებულისთვისო, თავი იმართლა ალისტორამ.

ერთხელ თურმე ალისტორა რაიკომის მდივანთან რაღაცის სათხოვნელად მივიდა. მდივანს არ მოეწონა, რომ იგი მის კაბინეტში ქუდის მოუხდელად შევიდა და უსაყვედურა, აქ რომ შემოდიხარ, ქუდი უნდა მოიხადოო.

ალისტორა არც დაფიქრებულა, ისე მიუგო: ბატონო, ქუდი რატომ უნდა მოვიხადო, რაიკომის მდივანთან საქმეზე მოვედი, მიცვალებულის ჭირისუფალთან სამძიმრის სათქმელად კი არ მოვსულვარო.

ალისტორა წესრიგის მოყვარული კაცი იყო, მაგრამ ერთხელ თურმე ორი კვირის განმავლობაში წვერის გაპარსვა ვერ მოახერხა. სწორედ ამ დროს გამოიძახა უფროსმა და წვერმოშვებული რომ ნახა, სანამ მთავარ სათქმელს ეტყოდა, წყენით უსაყვედურა, წვერი რატომ არ გაიპარსეო.

მამა გარდამეცვალა და ვგლოვობო, გამოსავალი იპოვა ალისტორამ.

– როდის კაცო?! – შეცბა უფროსი, კაცს მამა გარდაცვლია და ეს როგორ ვერ გავიგეო.

– ოცი წლის წინათ. – აუხსნა ალისტორამ.

უფროსი დაიბნა.

– შე კაცო, ოცი წლის წინათ მამა გარდაგეცვალა და წვერი ახლა მოუშვიო. – აშკარად უკმაყოფილოდ უთხრა უფროსმა.

– აბა, რა მექნა, ბატონო, მაშინ პატარა ბიჭი ვიყავი, წვერი არ მქონდა ამოსულიო, – არ დაიბნა ალისტორა.

უფროსს გაეცინა მის უბოროტო ეშმაკობაზე და ალისტორა საყვედურს გადაურჩა.

ალისტორას ერთი ძაღლი ჰყავდა, რომელიც თურმე პატრონს დიდხანს პატიოსნად ემსახურებოდა, მაგრამ ბოლოს, ზოგი კაცივით, გაუნამუსდა და რასაც მოიხელთებდა, ყველაფერს ჭამდა.

ცოლი შეაწუხა ზნეშეცვლილმა ძაღლმა და ქმარს რამდენჯერმე სთხოვა, ოჯახს მოაშორეო.

ალისტორას დაენანა ნამსახური ცხოველის ქუჩაში გაგდება და გამოესარჩლა, რას ერჩი მაგ ძაღლს, იყოს, სახლ-კარს დარაჯობსო.

რასაც მოიხელთებს ყველაფერს თვითონ ჭამს და ნეტა რას დარაჯობსო, მოუჭრა ცოლმა.

ამაზე იტყვიან, ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო. როგორც ჩანს, ალისტორას მეუღლეც გვარიანად ენამახვილი ქალბატონი გახლდათ.

ალისტორა ქლუხორში დიდხანს არ დარჩენილა. გულმა კვლავ მშობლიური სოფლისაკენ გაუწია და იქ მალე დაბრუნდა კიდეც.

ᲗᲝᲗᲝᲓ

ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ, ᲘᲒᲘ ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲛᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲢᲧᲕᲘ, ᲨᲘᲒ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ �თᲣ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ. ᲐᲠᲪ ᲘᲡ ᲕᲘᲪᲘ, ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲕᲘᲜ ᲭᲧᲐᲕᲓᲐ. ᲘᲛ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡᲐᲡ, ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲙᲣᲠᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲔᲣᲬᲕᲘᲐᲗ. ᲛᲗᲔᲚᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲜᲐᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲘᲜ ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲐ ᲑᲔᲭᲨᲘ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲓᲐ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲜᲐᲭᲠᲘᲚᲝᲑᲔᲕᲘ ᲘᲐᲠᲐ ᲘᲛᲣᲐᲛᲐᲓ ᲨᲔᲮᲝᲠᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲢᲙᲘᲕᲘᲚᲡ ᲣᲩᲘᲝᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲙᲚᲐᲕᲡ ᲛᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ ᲮᲛᲐᲠᲝᲑᲓᲐ. ᲘᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲒᲘ 27-28 ᲬᲚᲘᲡᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲝᲓᲐ. ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲖᲔ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ ᲠᲐᲦᲐᲪᲜᲐᲘᲠᲘ ᲒᲣᲚᲗᲑᲘᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲓᲐ ᲛᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ.

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲐ-ᲛᲝᲠᲘᲓᲔᲑᲣᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘ, ᲩᲔᲛᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲜᲑᲔᲚᲝᲖᲔᲑᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ, ᲣᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲝ ᲥᲪᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲡᲯᲐᲡ ᲖᲝᲒᲯᲔᲠ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲩᲕᲔᲜᲪ ᲕᲘᲛᲘᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲓᲘᲗ ᲓᲐ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲡᲐᲭᲘᲠᲝᲓ ᲛᲘᲐᲩᲜᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲡᲯᲐ, ᲒᲕᲡᲯᲘᲓᲐ ᲙᲘᲓᲔᲪ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ „ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ“ ᲐᲛ ᲮᲔᲠᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲐᲠ ᲛᲘᲣᲛᲐᲠᲗᲐᲕᲡ. ᲛᲝᲗᲝᲛᲘᲜᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲘᲒᲘ ᲫᲕᲘᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲝᲓᲐ. ᲐᲮᲚᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲔᲜᲓᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲘᲒᲘ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲕᲘᲜᲛᲔᲡ ᲛᲙᲐᲪᲠᲐᲓ ᲒᲐᲑᲠᲐᲖᲔᲑᲝᲓᲐ. ᲔᲡ, ᲐᲚᲑᲐᲗ, ᲛᲘᲡᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ, ᲗᲝᲠᲔᲛ ᲐᲛᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ, ᲐᲜᲣ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲭᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲕᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲕᲔᲠᲪ ᲘᲛᲐᲡ ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲔᲑ, ᲛᲘᲡ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲖᲔ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲒᲐᲜᲘ ᲖᲠᲓᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲡ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝ, ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲘᲧᲝ, ᲡᲐᲓᲐᲛᲡᲯᲔᲚᲝ ᲮᲔᲠᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲔᲛᲐᲠᲗᲐ. ᲘᲡᲔ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲮᲡᲜᲘᲓᲐ ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲡ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲧᲣᲠᲐᲦᲓᲦᲔᲑᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛᲔᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲒᲕᲔᲢᲐᲜᲐ. ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲣᲓᲐᲛ ᲧᲣᲠᲐᲦᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚ

დამოკიდებულებას იჩენდა. თუ ვინმეს სწავლაში ნიჭსა და მონდომებას შეამჩნევდა, გულს არაფერზე დასწყვეტდა, მისხალს არაფერს დაუკარგავდა. ის კი არადა, ავანსად იმაზე მეტს შეგვაქებდა, ვიდრე მაშინ ჩვენი ცოდნით და მონდომებით ვიმსახურებდით.

უნდა ითქვას, რომ იგი მარტო პედაგოგიური მოღვაწეობით არ იფარგლებოდა. საქმე ის გახლდათ, რომ მზისაში მისი ყოფნის დროს ომი ახალი დამთავრებული იყო. სოფელში მაშინ თითქმის არავითარი გასართობი არ არსებობდა, რომ იქაურ გლეხკაცს მთელი დღის შრომის შემდეგ სულიერად დაესვენა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოძრავ კინოდანადგარს, რომელიც რაიონიდან კვირაში ერთხელ ამოდიოდა და სოფლის კლუბში კინოსურათებს უჩვენებდა. იმ ერთი დღის გარდა, დანარჩენ თავისუფალ დროს ხალხი სანახშოზე იკრიბებოდა და თავიანთ ყოველდღიურ წვრილმანებზე საუბრით იქცევდა თავს.

ვერ ვიტყვი, დიმიტრი მასწავლებელს რამ უბიძგა, სოფლის მცხოვრებთა მოწყენილი ყოფა რომ როგორმე გაეხალისებინა. მაგრამ სინამდვილე ასეთი გახლდათ: ერთ დღეს სოფლის კლუბში წაიკითხა საჯარო ლექცია „შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი“.

ღმერთო მაღალო, შენი წყალობით, ამ სულკურთხეულმა შოთამ, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი ჩვენივე უდარდელობის და დაუდევრობის წყალობით არც კი ვიცით, ეს რა ღვთაებრივი განძი დაგვიტოვა მის მშობელ ერს! განძი, რომელიც ლხინში ხომ გვამაღლებს და ლხინს გვიასმაგებს, ჭირში ასჯერ მეტად მხარში გვიდგას და ის არის ჩვენი „ჭირსა შიგან“ გამამაგრებელი.

შეიძლება ვინმემ იკითხოს, ყოველდღიური ყოფით შეჭირვებული, დილიდან საღამომდე მარჩენალ მიწის ჩამყურე მზისელი გლეხკაცები განა დააინტერესა ამ ლექციამო?

დააინტერესა და მერე როგორ! იმ დღეს შინ უძლური მოხუცებიც არ დარჩენილან, რომ სოფლის კლუბში არ მოსულიყვნენ.

ჩვენ, მე და ჩემი თანატოლები, მით უფრო ჩვენზე პატარები, სავეფხისტყაოსნო ასაკის სულაც არ ვიყავით, მაგრამ ეს ლექცია არც ჩვენ გაგვიცდენია. სკამზე დასაჯდომი ადგილები რომ აღარ გვეყო, ხალხი იატაკზე დაჯდომას და ფეხზე დგომასაც არ თაკილობდა, ლექცია როგორმე რომ მოესმინა. ალბათ, მოწყენილობის გასაქარვებლად მოაწყდა ხალხი კლუბს, თორემ მზისელ გუთნის დედებს, კოლმეურნეობის ფერმის მწყემსებს, მეურმეებს, ხუროებს და მჭედლებს, რა უნდა გაეგოთ იმ ლექციიდან მათთვის საინტერესო და მით უმეტეს „ვეფხისტყაოსნიდანო“, დაასკვნის ალბათ ზოგი.

უნდა ვთქვა, რომ მაშინდელი მზისელი ღებელებისთვის, მეურმე იყო იგი, გუთნის დედა, თუ მწყემსი, მხატვრული ლიტერატურისადმი სიყვარული უცხო ხილი სულაც არ გახლდათ. ბევრმა ზეპირად იცოდა ხალხური „როსტომ-ზურაბიანი“, „ამირანიანი“, „აბესალომ და ეთერი“, ქართული ხალხური პოე-

ზიის სხვა უბრწყინველსი ნიმუშები, რომ აღარაფერი ვთქვა ქართულ ხალხურ ზღაპრებზე. ამიტომაც, დაიწყო თუ არა ლექცია, ყველა სმენად იქცა და დამთავრების შემდეგ უმეტესობა უმალ ჩაება სახელდახელო „დისკუსიაში“.

დარწმუნებული ვარ, რომ დიმიტრი მასწავლებელი, როცა ამ ღონისძიების ჩატარებას გეგმავდა, სულაც არ მოელოდა ხალხის ასეთ აქტიურობას და დაინტერესებას. მაგრამ შემდეგ გამოირკვა, რომ ბევრ იქ დამსწრეთაგანს, მიუხედავად იმისა, უმაღლესი განათლება არ ჰქონდა, „ვეფხისტყაოსანს“ კარგად იცნობდა და არაერთ საინტერესო კითხვასაც სვამდა, რომელზეც პასუხის გაცემა არა მარტო იმდღევანდელ ლექტორს გაუჭირდა, დარწმუნებული ვარ, ბევრი ამ დარგის დიდი სპეციალისტიც ჩიხში მოექცეოდა.

უფროსების საუბარში მეც ჩავერიე, აი, ისე, როგორც ანდაზაშია, კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო.

– მასწავლებელო, თქვენ ამტკიცებთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ნაწარმოებიაო. თუ ეს ასეა, იქ რატომ წერია, ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანებიო.

დიმიტრი მასწავლებელმა ჯერ დარბაზს გადახედა კმაყოფილებისგან სახე გაბრწყინებულმა, რასაც არც გაოცება აკლდა, გესმით, ეს ყმაწვილი რას გვეკითხებაო, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ამ ბიჭმა საიდან იცის, „ვეფხისტყაოსანში“ სად რა წერიაო. და მართალიც იყო, მაშინ წესით მეხუთე-მეექვსე კლასის მოსწავლეს ეს არ უნდა მცოდნოდა. როგორც ვთქვი, მაშინ მეხუთე კლასში ვსწავლობდი, ხოლო იმ დროს „ვეფხისტყაოსანის“ შესწავლას მეცხრე კლასიდან იწყებდნენ.

საქმე ის გახლდათ, რომ ჩემი თაობის ახალგაზრდებისთვის მაშინ ერთადერთი უმთავრესი გასართობი წიგნი იყო. წიგნში მაშინ საგმირო-სათავგადასავლო ამბები მაინტერესებდა და სადაც კი წავაწყდებოდი ამგვარ ნაწარმოებს, შეეფერებოდა თუ არა იგი ჩემს ასაკს, ყველაფერს ვკითხულობდი. ალბათ, ამიტომ, იყო, რომ არც ეს ხელიხელსაგოგმანები წიგნი გამომრჩენია. თუმცა, მასში ბევრ რამეს ვერ ვიგებდი. რაღა მაშინ, ამ ღვთაებრივი წიგნის გაგება დღესაც მიჭირს, თუმცა, ალბათ, არა მარტო მე...

ერთი სიტყვით, იმ საღამოს მზისას კლუბში შეკრებილი დიდი და პატარა, განსაკუთრებით აქაური გლეხკაცები, შუაღამემდე კამათობდნენ და უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ სავარაუდო, საკამათო და ეგების არასწორ აზრებს ამ წიგნის შესახებ და ყველანი უზომოდ კმაყოფილი იყვნენ, რომ რამდენიმე საათით მაინც გამოეთიშნენ ყოველდღიურობას და სულიერი მოთხოვნილებები დაიკმაყოფილეს.

კიდევ ერთი, არც თუ უმნიშვნელო დეტალი: ამ შეკრებამ საფუძველი ჩაუყარა მზისაში მსგავსი კულტურული ღონისძიებების ჩატარებას. ასე, მაგალითად: რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე სოფლის კლუბში მოეწყო ლიტერატურული „გასამართლება“ ეგნატე ნინოშვილის „ქრისტინეს“ მიხედვით. მართალია, „გასამართლებაში“ მონაწილე პირებმა სამოქალაქო

კოდექსის მოთხოვნები არც თუ ისე კარგად იცოდნენ, მაგრამ მათი დამოკიდებულება განსახილველი საკითხის მიმართ, ზნეობრიობის მოთხოვნებიდან ამოდიოდა და აქ მათ ბევრი არაფერი ეშლებოდათ. ალბათ, ამიტომ იყო, რომ „სასამართლო-გარჩევაში“ მთელი დარბაზი მონაწილეობდა, რაც უდავოდ ამტკიცებს იმ ხალხის ინტერესს მსგავსი თემების მიმართ. უნდა ითქვას, რომ პროცესი მეტად საინტერესოდ წარიმართა, ანუ ისე, როგორც ლიტერატურისმცოდნე და მოყვარულ ადამიანებს შეეფერებოდა.

დიმიტრი მასწავლებელი, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, ხშირად სამასწავლებლოში რჩებოდა და იქ გვიანობამდე მუშაობდა.

ეტყობა, ეს მზისელმა გლეხებმაც შეამჩნიეს და ერთხელ მათ შორის ჩამდგარ ჩვენს მასწავლებელს ერთ-ერთმა მზისელმა გლეხკაცმა, ავალა ლობჟანიძემ (მჭედლიანთი) ჰკითხა, ამდენს რას წერო.

დიმიტრი მასწავლებელმა იღლიაში ამოჩრილ სქელ საქაღალდეს თვალი შეავლო, თითქოს სურდა, დარწმუნებულიყო, კვლავ თან ჰქონდა თუ არა და მოსაუბრეს ღიმილით მიუგო, რა ვიცი, ჩემო ავალა, შენ თვითონ ომის მონაწილეს, ალბათ, ჩემზე არანაკლებ მოგეხსენება, რომ ოთხი-ხუთი წელი ფრონტზე ნაბრძოლ კაცს საწერის და მოსაგონებლის მეტი რა ექნება, თუ მის ქაღალდზე გადატანას შეძლებსო.

იმ დღეს ამით დამთავრდა ეს საუბარი მზისას სანახშოზე დიმიტრი მასწავლებელსა და იქაურ გლეხკაცებს შორის, მე კი დღემდე მაინტერესებს, ჩემმა კეთილმა მასწავლებელმა ნეტავი შესძლო თუ ვერა იმ ქარიშხლიან დღეებში განცდილი, ნანახი და თავსგადახდენილი ამბების აღწერა და წიგნად აკინძვა.

დიმიტრი ლოლაძემ მზისაში სამი წელი დაჰყო და ამ ხნის განმავლობაში ნასვამი არავის უნახავს. მხოლოდ ერთხელ, როცა ჩემმა კეთილმა მასწავლებელმა სოფლის დატოვება და მშობლიურ კუთხეში დაბრუნება გადაწყვიტა, დავინახე, რომ იგი თავისი ბინის პატრონის, გლახუა გავაშელიშვილის (ოლელეეთი) აივანზე იჯდა, სოფლის კლუბის გამგესთან, ვახტანგ გავაშელთან ერთად, მცირე სუფრა გაეშალა და ჟიპიტაურს (შინნახად არაყს) სვამდა. ვახტანგ გავაშელი თვითონაც ლიტერატურის მოყვარული კაცი იყო. ეტყობა, ამ სულიერად მონათესავე ადამიანთან უფრო მეტი სალაპარაკო ჰქონდა, ვიდრე უბრალო არყის სმა და თანამეინახობა გახლდათ. შევატყვე, ჩემი მასწავლებელი კმაყოფილი ჩანდა. ალბათ, მშობლიურ კუთხეში და ახლობლებთან მოსალოდნელი შეხვედრა ახარებდა.

უთუოდ...

„აბა, ციხე კარგი ყოფილა?!“

ქლუხორის რაიონში, ყუბანის ულამაზეს ხეობაში მდებარე სოფელ მადნისხევში (ყოფილი აული უჩკულანი) ნაცხოვრებმა ჩემმა მეგობარმა რ-ს-იანმა, როცა ეს შემთხვევა მიამბო, დამანამუსა, „ქლუხორელ ქართველებზე“ მუშაობისას ამ ამბავს თუ სადმე გაიხსენებ, ჩემი და არც სხვების გვარი და სახელი არსად გააცხადო, თორემ ხალხის ამბავი ხომ იცი, სულ მცირე რამეზე გულში უზარმაზარ წყენას ჩაიდებენ და კაცმა არ იცის, ვინ როდის რა ხიფათს შეგამთხვევსო.

სიტყვა მივეცი, როგორც შენ გსურს, უთუოდ ისე მოვიქცევი-მეთქი.

ახლა როცა ის ჩემი მეგობარი ამ ქვეყნად აღარ არის, მისთვის აღთქმასავით მიცემული სიტყვა რომ გავტეხო, ეს, ჩემი მხრივ, ისეთივე მკრეხელობა იქნება, თუნდაც, მომაკვდავის ანდერძი დამერღვიოს.

ბოლოს და ბოლოს, კონკრეტულ პიროვნებათა გვარსახელების გამჟღავნებას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარი ამბავია.

რაც შეეხება სათაურად გამოტანილ ერთი მეზობლის მიერ მეორისთვის ნიშნის მოგებით დასმულ ამ რიტორიკულ შეკითხვას, „აბა, ციხე კარგი ყოფილაო?!“ ალბათ, ბევრი იკითხავს, ასეთი კითხვისთვის მიზეზი თუ ჰქონდაო.

დიახ, ჰქონდა!

ისე კაცმა რომ თქვას, სხვა შემთხვევაში ეს რა საკითხავია. ციხე კარგია თუ ცუდი, როცა ყველას მშვენივრად მოეხსენება ციხე, როგორც თავისუფლების აღმკვეთი დაწესებულება, ადამიანთათვის რომ კარგი არ არის, ამას კითხვა ნამდვილად არ სჭირდება. ეს თავის დროზე ამ კითხვის დამსმელმაც მშვენივრად იცოდა, მაგრამ... ხშირად ბევრი ჩვენგანი ჩვენს ნამოქმედარს ანგარიშს არ ვუწევთ. არა მარტო იმ წუთებში, როცა სააუგო საქმეს ჩავდივართ, არ ვფიქრობთ იმაზე, ჩვენს მიერ მცდარად, თუ გნებავთ, დაუფიქრებლად გადადგმულ ნაბიჯს მერე, რამდენიმე წლის შემდეგ რა მოჰყვება და მას ვინ როგორ შეაფასებს. ალბათ, ბევრი იტყვის, ასეთი შორსმჭვრეტელი რომ იყოს ყოველი ადამიანი, მაშინ ქვეყანაზე ამდენი უბედურება არ იქნებოდაო. ალბათ, ესეც არ არის ჭეშმარიტებას მოკლებული. თუმცა, სჯობია, მოვეშვა ზოგად განსჯას და ჭკუის დარიგებისმაგვარ შეგონებებს...

ეს შემთხვევა, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ქლუხორის რაიონის სოფელ მადნისხევში, იგივე ყოფილ აულ უჩკულანში მოხდა.

...ომის შემდგომი წლებია.

ქვეყანა თითქმის ერთიანად განადგურებულია. ამას ემატება რამდენიმე მოუსავლიანი წელი.

უჭირს მამა-პაპათა ნაფუძარზე მცხოვრებ ძირძველ მოსახლეობას. ხოლო ამ დროს ქლუხორის სოფლების ახალმოსახლეობა რა დღეში იქნებოდა, ეს, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არავისთვის არ უნდა იყოს.

და აი ასეთი შეჭირვების ჟამს სამი არასრულწლოვანი თანატოლი სოფლის გარეთ გასულა და ჯერაც დაუჟამებელი, მკვახე ტყის ხილის ჭამით იოკებს შიმშილის გრძნობას. ამ აღმა-დაღმა ხეტიალში მოზარდები შემთხვევით წააწყდებიან ტყის პირას უპატრონოდ თუ რავი, რა იყო, ბატკანს. მოილაპარაკეს, ბატკანი დაიჭირეს, დაკლეს, დაანთეს ცეცხლი და მწვადებით გემრიელად დანაყრდნენ.

ცხადია, მოზარდებს იმაზე არ უფიქრიათ, ყოველივე ამას რა მოჰყვებოდა. იქნებ იფიქრეს კიდეც, მაგრამ მშივრებმა თავის ქმედებას ანგარიში ვეღარ გაუწიეს.

მეორე დღეს გაირკვა, რომ ბატკანი სულაც არ ყოფილა უპატრონო, იგი კოლმეურნეობის გახლდათ.

ატყდა ერთი ვაი-უშველებელი.

დაიწყო გამოძიება და დამნაშავეებსაც სულ მალე მიაგნო მადნისხევის კოლმეურნეობის ხელმძღვანელობამ. იმ დროში ასეთი ამბავი ასე ალა-ალად ნამდვილად არ ითვლებოდა. მაგალითად, ამ შემთხვევამდე რამდენიმე ხნის წინ სტავროპოლის მხარის ერთ-ერთმა კოლმეურნემ, სამამულო ომში დაღუპულის ქვრივმა, სამი მცირეწლოვანი შვილის დედამ, საღამოზე შინ მისულს მშიერი შვილები რომ დაენაყრებინა, საკოლმეურნეო ნაკვეთიდან, უნებართვოდ, რამდენიმე სიმინდის ტარო წამოიღო. გაუგეს, გაასამართლეს და, როგორც მაშინ ხმა გავრცელდა, სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს „საზოგადოებრივი ქონების დატაცებისათვის“.

ეს სიმინდის რამდენიმე ტაროს მითვისებისათვის!

ახლა წარმოიდგინეთ, კოლმეურნეობის ბატკნის დაჭერას და დაკვლას რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

სანამ საქმეში სამართალდამცავი ორგანოები ჩაერეოდნენ, არასრულწლოვანი ბიჭების მშობლები თავიანთ თანასოფლელ თავმჯდომარეს ეწვივნენ და მოზარდებისთვის დანაშაულის შენდობა და პატიება ითხოვეს. თან დაპირდნენ, რომ ერთი ბატკნის სანაცვლოდ ყოველი მათგანის ოჯახი თითო ბატკანს შეიყვანდა კოლექტივის ფარაში.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ეს ამბავი შორს დაიჭირა. ქურდობა სოფელში გახმაურებულია. იგი სათანადო ორგანოებსაც გაგებული

ექნებათ. ასეთი გარიგებისთვის პარტიის მანდატის და თანამდებობის დატოვებასაც არ მაკმარებენ, თქვენს შვილებთან ერთად მეც ციხეში მიკრავენ თავსო.

ვერაფერს იტყვი. თავჯდომარეს არ გაემტყუნებოდა, იგი წინდახედულობას იჩენდა და საკუთარ ტყავს იცავდა. მაგრამ ბიჭების მშობლები არ ცხრებოდნენ.

ასეთი ბატკანი მადნისხევის კომეურნეობაში ერთი კი არა, ასობით დაუკლავთ და შეუჭამიათ, მაგრამ ამის გულისთვის არამც თუ არავინ დაუჭერიათ, საყვედურიც არავისთვის უთქვამთო, უთხრეს თავმჯდომარეს ბიჭების მშობლებმა, თუმცა, ამან მათი შვილების ბედში ვეღარაფერი შეცვალა. ერთი სიტყვით, ბატკნის მწვადებით ერთხელ დანაყრებულ არასრულწლოვან ბიჭებს რამდენიმე წელი ციხის ბალანდის ჭამა მოუწიათ.

გავიდა დრო.

ბიჭები ციხიდან გამოვიდნენ. ჩადენილი დანაშაულიდან სწორი დასკვნები გამოიტანეს და მშვენიერი მეოჯახე ადამიანები და მოქალაქეები დადგნენ.

ის თავმჯდომარეც სხვა თავმჯდომარეებმა შეცვალეს.

ეს შემთხვევა თითქმის ყველამ დაივიწყა. ყოველ შემთხვევაში, თავმჯდომარისთვის ყმაწვილების მშობლებს ერთხელაც არ უსაყვედურიათ, გასაჭირში ხელი არ გაგვიმართეო. მათ შორის არც დამდურება და არც სხვა რამე არ ყოფილა. მეზობლური ურთიერთობა არც ერთ მხარეს არ გაუწყვეტია. ასე გაიარა ოც წელზე მეტმა. ყველას ეგონა, რომ ეს ამბავი დავიწყებას სამუდამოდ მიეცა.

მაგრამ... მოხდა ისე, რომ ნათავმჯდომარევმა, ახლა უკვე სხვა თანამდებობაზე მომუშავემ, იმ ყმაწვილებზე არანაკლები დანაშაული ჩაიდინა. გაუგეს, დაიჭირეს და... რამდენიმე წელი ციხეში აყურყუტეს.

სასჯელის მოხდის შემდეგ, ციხიდან განთავისუფლებული, სანამ სახლში მივიდოდა და თავისიანებს ნახავდა, სოფელ მადნისხევის ცენტრში, რასაც ფშავ-ხევსურები საფიხნოს ეტყვიან, ხოლო თქვენ რაჭველები – სანახშოს ეძახით, – დამიკონკრეტ-განმიმარტა ამ ამბის მთხრობელმა ჩემმა მეგობარმა რ-ს-იანმა. – შეკრებილ მეზობლებს შეხვდა და, ცხადია, წესისამებრ თითოეულ მათგანს ხელის ჩამორთმევით მიესალმა.

მეზობლებს შორის ოცი წლის წინათ კოლმეურნეობის ბატკნის დაკვლისთვის დაპატიმრებული ერთ-ერთი ყმაწვილის მამაც ერია. თავმჯდომარე-პატიმარყოფილმა, როცა იმასაც, მისალმების ნიშნად ხელი გაუწოდა, ამ უკანასკნელმა არც ხელი ჩამოართვა და არც მიესალმა. ოცი წლის განმავლობაში გულით ნატარები წყენა გაიხსენა და ძალიან მშვიდად ჰკითხა ნათავმჯდომარევ-ნაპატიმრალს:

– აბა, ახლა რას იტყვი, ციხე კარგი ყოფილიყო?!

ნათავმჯდომარეს გაწვდილი ხელი ჰაერში გაუშეშდა და სიტყვა ვერ დასძრა. მხოლოდ ეგ იყო, მოეჩვენა, რომ კვლავ განსასჯელის სკამზე იჯდა და მოსამართლის მიერ რამდენიმე წლის წინათ გამოტანილ განაჩენს ხელახლა ისმენდა. მაგრამ ამჯერად ეს განაჩენი ბევრად უფრო მწვავე, მკაცრი და ულმობელი იყო.

ასე რომ, თუ ცეცხლი არ ჩანს, ნუ გვგონია, რომ იგი ღველფქვეშ არ ღვივის.

„შენ თუ ასათიანი ხარ“

შალვა ასათიანი...

იგი ქლუხორში თერძად მუშაობდა.

აფსუს, იტყვის კაცი. ვინ ასეთი საქვეყნოდ ცნობილი გვარის კაცი და ვინ თერძობაო. მაგრამ ნურც ის დაგვავიწყდება, რომ დროს მოაქვს და მიაქვს ჩვენი დიდება და სიამტკბილობა. დრო ხან აღვაგზევებს და ხანაც, არც თუ ძვირად, დაგვცემს და დაგვაკნინებს. ალბათ, ამიტომ წამოსცდა ხალხურ გენიას ეს დიდი სიბრძნე: დრონი მეფობენ და არა მეფენიო. დიდმა წინაპარმაც ამიტომ გვიანდერძა არანაკლებ საგულისხმო სიბრძნე: ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობასო. ჭეშმარიტად! თუმცა, არ მგონია, მართალი იყოს ის, ვინც დაუფიქრებლად და ნაუცბათევად წამოიძახებს – ვინ ასეთი საქვეყნოდ ცნობილი გვარის კაცი და ვინ თერძობაო. ჩვენს დროში (მეოცე-ოცდამეერთე საუკუნეს ვგულისხმიობ). არც ერთი ხელობა – საქმიანობა სათაკილო არ არის. მით უფრო, თუ კაცი მას სრულყოფილად ფლობს.

შალვა ასათიანი კი, მართლაც, დიდებული თერძი იყო. ალბათ, ამიტომაც მთელი ქალაქი იცნობდა, პატივს ცემდა და აფასებდა.

იმ დროს რაიონში თუ ვინმეს ახალი ტანსაცმლის შეკერვა სურდა, არამცდარამც სხვასთან არ მივიდოდა. ძვირიც რომ დაჯდომოდა, მაინც შალვას მიაკითხავდა. ცხადია, მისი მაღალი პროფესიონალიზმი იყო მიზეზი, რომ რაიონში უმეტესობა მისი კლიენტი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყოველდღე შექეიფიანებული იყო, შეკვეთას ზუსტად დათქმულ დროზე ასრულებდა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხელობას, ნაჩქარეობით და უსულგულობით, ჩრდილს არ მიაყენებდა.

შალვა-თერძს ერთი რამეც ჩვეოდა, რაშიაც პირადადაც დავრწმუნდი: თუ კლიენტი ცდებოდა, აუხსნიდა მას როგორი ფასონის ტანსაცმელი უფრო მეტად მოუხდებოდა. ურჩევდა, რა იყო მისთვის უმჯობესი და შეეცდებოდა, დაერწმუნებინა, მაგრამ თუ იგი თავისას არ დაიშლიდა და გაჭიუტდებოდა, გინდა თუ არა ასეთი მოდელის პალტო ან კოსტუმი შემიკერეო, თუ ამგვარი ნაოსტატარი მის პროფესიულ ღირსებას ჩრდილს მიაყენებდა, შალვა ასათიანი საფასურის ოდენობას არ დაგიდევდა და მისი ხათრით შეკვეთას არ მიიღებდა.

მახსოვს, ერთმა ჩემმა, მეგობარმა შუა აზიიდან დაბრუნებისას, საპალტოე ნაჭერი ჩამოიტანა. მთხოვა, შალვა ასათიანთან მიმყევიო.

შალვამ ნაჭერი გასინჯა, მოეწონა და ხმამაღლაც შეაქო, კარგი ხარისხის ფართალიაო. ჩემმა მეგობარმა აუხსნა, როგორი პალტოც სურდა.

შალვა არ დაეთანხმა, შენ რომ მთხოვ, ასეთ პალტოებს ათი წლის წინათ ატარებდნენ, ახლა სხვა დროაო. ჩემი მეგობარი თავისას არ იშლიდა, გაჯიუტებული იძახდა, მაინცდამაინც ასეთი პალტო მინდაო.

ხელოსანმა იწყინა და უთხრა, შენ, ძმაო, შინელს თუ იკერავ, ჩემთან რას მოდიოდი, ბაზრის კუთხეში სახელოსნოა, შინელებს იქ ერთი ნასალდათარი თერძი კერავს, კრავჩუკია მისი გვარი. მიაკითხე და როგორი შინელიც გინდა, ისეთს შეგიკერავსო. შენ რომ მთხოვ, ისეთი პალტო რომ შეგიკერო, ვინც ნახავს, იფიქრებს, შალვა ასათიანი დაბერებულა, დროს ჩამორჩენილა და ხელობა დავიწყებიაო. ამის თქმის საბაბს შენი პალტოს გულისთვის არავის მივცემო.

ზოგი იტყვის, კლიენტს რაც სურდა, ამდგარიყო ის დალოცვილი, ისეთი პალტო შეეკერა და ხელობის საფასური აეღო, სხვა რა მისი საქმე იყოო. იქნებ, მაგრამ როგორც იტყვიან, კაცია და გუნება. ეტყობა, შალვა თვითონ სულაც არ ფიქრობდა ასე. ამასთან ერთად, როგორც ჩანს, იგი ზოგჯერ არც უცნაურობებისგან იყო თავისუფალი. როგორ ჩანს კი არა, ეს ნამდვილად ასე იყო.

ერთხელ მზისას მაღაზიაში შევესწარი. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც შექეიფიანებული გახლდათ.

ჯერ უშნო ხუმრობა დაუწყო მაღაზიის გამგეს, სერაფო ლობჯანიძეს (მჭედლიანთი). სერაფო ხუმრობაში არ აჰყვა. არ ვიცი, არ მოეწონა მისი ხუმრობა, არ ვიცი, ხუმრობის გუნება-განწყობილებაზე არ იყო. ამის შემდეგ შალვამ არყის ბოთლი გახსნა და მაღაზიაში მოინდომა მისი დალევა. სერაფომ ცივად აუხსნა, აქ არყის დალევა არ შეიძლება. ეს ვაჭრობის წესების დარღვევაა და ვინმემ რომ ნახოს, სამუშაოდან მომხსნიან, დალევა თუ გინდა, წაიღე და სადაც გინდა, იქ დალიეო.

მაღაზიის გამგის მოთხოვნა სამართლიანი გახლდათ, მაგრამ შალვამ იუკადრისა. სერაფოს საკმაოდ მედიდურად და უხეშად უყვირა, ამას როგორ მიბედავ, მე ასათიანი ვარო.

ეტყობა, სერაფოსაც აევსო მოთმინების ფიალა. მით უფრო, რომ იგი ძლიერი ჯანის და ზომაზე მეტად თავმოყვარე კაცი გახლდათ.

შალვას სიტყვებზე, მე ასათიანი ვარო, სერაფო დახლიდან გადმოხტა. ასათიანს ორივე ხელით წელში შეუვარდა. ციმციმ ასწია და კარიდან ეზოში ისროლა, თან მიაყოლა, შენ თუ ასათიანი ხარ, მე ასთერთმეტიანი ვარო.

კიდევ ერთი. ეს ამ შემთხვევაზე ადრე იყო.

რაიონის სასამართლოში პროცესი მიმდინარეობდა. რომელიღაც დაწესებულების ყოფილ ბუღალტერ ქალს ასამართლებდნენ.

შეზარხოშებული შალვა ასათიანი სასამართლო დარბაზში იმ დროს შევიდა, როცა მოსამართლე ბრალდებულ ქალს ათი წლის პატიმრობის განაჩენს უკითხავდა. ამ ქალს, როგორც განაჩენიდან ირკვეოდა, სახელმწიფო ქონება გაეფლანგა. მას რაიონში ყველა იცნობდა. ცხადია, მათ შორის, შალვა ასათიანიც.

იმ დროს, როცა მოსამართლე ელკაზარამ (გვარი, სამწუხაროდ, არ მაგონდება) გამოაცხადა, ათი წელი მიესაჯოსო, ღვინისაგან აწეულ გუნებაზე მყოფი შალვა ქალს გამოესარჩლა და მოსამართლეს მთელი დარბაზის გასაგონად ხმამაღლა უყვირა:

– ელკაზარა, დაეგდე მანდ! ათ წელს რომ უსჯი, შენს ღმერთს რას ეუბნები, ეგ ქალი ცოდვაა, ბავშვები ჰყავს!

იმ დროში ეს იმდენად მოულოდნელი და, ამასთან, სახიფათო განცხადება იყო რომ წუთით ყველა დაიბნა, მოსამართლემ კი იყვირა, ვინ არის ეს თავხედი, ახლავე გაათრიეთო აქედანო.

როცა შალვა დარბაზიდან გაჰყავდათ, მოსამართლისკენ შებრუნდა და ისევ ხმამაღლა მიმართა: მე კი გავალ, ელკაზარა, მაგრამ დაიმახსოვრე, ქვეყანაზე სამართალი უნდა იყოსო.

მოსამართლე ქლუხორში ახალი კაცი იყო და შალვა ასათიანისა და მისი ოფოფების შესახებ იმ დროს არაფერი იცოდა. თუმცა, ამ ინციდენტის გამო მაშინ იგი არავის დაუსჯია. მოსამართლემ შემდეგ გაიგო შალვა ასათიანი ვინც იყო ფხიზელიც და მთვრალიც და მასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა. არც თუ ძვირად, ორივეს ქალაქის რესტორანში საქეიფო სუფრასთან ერთად ნახავდით.

ქლუხორიდან წამოსვლის შემდეგ შალვა ასათიანი როგორ და სად ცხოვრობდა, არ ვიცი. ელკაზარა ბოლოს სოხუმში დასახლდა. მოსამართლეობას თავი მიანება და ვაჭრობის სფეროში გადაბარგდა. ეტყობა, თემიდას ერთგულებას მერკურის სამსახური არჩია. უთუოდ, ეს უკანასკნელი ბევრად უფრო ხელგაშლილი მწყალობელი აღმოჩნდა მისი ქვეშევრდომობის მოწადინე მსახურის მიმართ და ელკაზარამაც ამიტომ შეიცვალა უფალი და პროფესია.

მეგობრის წერილები

ათას ცხრაასა სამოცდა ცხრა წლის ცხრა სექტემბერი იყო. ამ დღეს კოლეგიაზე საქართველოს რადიოს სატირისა და იუმორის რედაქციის კორესპონდენტ-რეპორტიორად დამამტკიცეს. ეს იმჟამად ყოველი ჟურნალისტისთვის დიდ პატივად ითვლებოდა და მეც ასე მივითვალე.

ერთი სიტყვით, მიმიღეს და მუშაობასაც შევუდექი.

წინასწარ ვიცოდი, რედაქციაში ჩემი ორი კოლეგა მუშაობდა – კარლო ფალიანი და ლია ძიძიგური.

ადგილზე დამხვდა ქალბატონი ლია. მან მომილოცა რადიოს თანამშრომელთა კოლექტივში ჩარიცხვა, ჩემი სამუშაო მაგიდა მიჩვენა და წარმატება მისურვა.

ბატონი კარლო იმ დროს შვებულებაში იყო, მშობლიურ მესტიაში ისვენებდა და ერთი კვირის შემდეგ დაბრუნდა.

მახსოვს, სარედაქციო საქმიანობას ერთხანს მოწყვეტილს, უფრო კი დიდებული სვანეთის გრილი მთებიდან ჩამოსულს, სულის შემხუთავ თბილისურ სიცხესთან შეგუება უჭირდა. სამუშაო მაგიდასთან ვერ ჩერდებოდა, ხან ადგებოდა, ხან კვლავ საქმეს მიუბრუნდებოდა. ვატყობდი, სიცხისაგან შეწუხებული აზრს თავს ვერ უყრიდა.

– ამიტომ არ მიყვარს შვებულება. დასვენების შემდეგ პირველ დღეებში ისე ხარ, თითქოს წერას ახლად სწავლობდე. დილას აქეთია მაგიდასთან ვზივარ და ერთი გვერდი ძლივს დავწერე. ისე მითხრა, – თითქოს ეუხერხულებოდა, რომ ასეთ დღეში იყო და ბოდიშს იხდიდა.

– ერთი გვერდი ცოტა არ არის, თანაც ჯერ მხოლოდ შუადღეა. – ვცადე მისი დამშვიდება.

მან დაეჭვებით შემომხედა, ხომ არ დამცინისო. როცა დარწმუნდა, სრულიად სერიოზულად ვეუბნებოდი, ერთგვარად უკმაყოფილომ მომიგო:

– რა, კაცო, ერთი გვერდი რა არის!

– რატომ რა არის. ნიკო ლორთქიფანიძის „გული“, ერთი გვერდი არც იქნება, მაგრამ რამდენ ვრცელ მოთხრობას სჯობია...

– გაჩუმდი, თუ კაცი ხარ, ნამეტანი ნუ გაუტიე! სად ჩვენ და სად ნიკო ლორთქიფანიძის შედევრები. თანაც, მე ხომ მოთხრობას არ ვწერ და არც არასოდეს მიცდია. აქ საუბარია ჩვეულებრივ სარადიო სიუჟეტზე.

ეს, მართლაც, ასე იყო.

არ ვიცი, კარლოს მწერლობაში ბედი რომ ეცადა კიდევაც, მისი შემოქმედებითი საქმიანობა როგორ წარიმართებოდა, მაგრამ უნდა ვთქვა, რომ რადიოჟურნალისტიკაში კალამი გვარიანად უჭრიდა და იცოდა, რა და როგორ დაეწერა.

კარლო ფალიანი

ერთი სიტყვით, ჩვენი პირველი შეხვედრა ამგვარად დაიწყო. თითქმის თხუთმეტი წელი მოგვიწია ერთ რედაქციაში ერთ ოთახში გვერდიგვერდ ჯდომა და მუშაობა. იმ დღიდან მოყოლებული ჩვენი მეგობრობა არც არასოდეს განელებულა და არც ოდესმე გაბზარულა. თუმცა, როცა საქმის ინტერესები მოითხოვდა, არაერთხელ ცხარედ გვიდავია და გვიკამათია კიდეც. სწორედ ჩვენი ერთად მუშაობისას გავიგე, რომ იგი თურმე ჩემსავით ქლუხორში ნაცხოვრები იყო და არაერთი საერთო მეგობარი და ნაცნობი აღმოგვაჩნდა.

...თექვსმეტი წლის ყმაწვილი იყო, როცა ოჯახთან და თანასოფლელებთან ერთად ყუბანის ულამაზესი ხეობის სოფელ ზედვაკეში დასახლდა და საბჭოს მდივნად დაიწყო მუშაობა. შემდეგ კი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა და ქლუხორის დატოვების მერე კვლავ მშობლიურ მესტიას დაუბრუნდა. აქ ერთხანს ადგილობრივ რაიონულ გაზეთს რედაქტორობდა.

ამას მოყვა კვლავ თბილისი, დაოჯახება და საქართველოს რადიოში მუშაობა.

ზემოთ ვახსენე, კალამი გვარიანად უჭრიდა-მეთქი და არც იუმორზე იყო მწყრალად.

ერთხელ მთაში, ფშავში თუ ხევსურეთში მისმა იქაურმა მეგობრებმა ქორწილში დაპატიჟეს.

ნეფე-დედოფლის დალოცვისას ლამაზად უთქვამს სადღეგრძელო და თან ასეთი კაფიათი დაუმთავრებია სათქმელი:

„წუთისოფელი ასეა:
ხან წაღმა, ხანაც უკუა.
შვილი ქორწილობს, ციხეში
ღამეებს ათევს კუკუა“-ო.

კუკუა ნეფის მამას რქმეოდა, რომელიც რაღაც უსიამოვნო შემთხვევის გამო იმ დროს თურმე ციხეში იჯდა. მოგეხსენებათ, ფშავ-ხევსურებს კაფი-

აობა ძალიან უყვართ და მოხდენილად ნათქვამ კაფიასაც და მის მთქმელსაც დიდად აფასებენ. კარლოს კაფია გულწრფელად მოსწონებიათ და ტაშითაც დაუჭილდოვებიათ.

მოხდა ისე, რომ კარლო ფალიანი რადიოდან სხვაგან გადავიდა სამუშაოდ, მაგრამ ჩვენი მეგობრობა არც ამის შემდეგ შეწყვეტილა.

იგი თბილისში მუშაობდა და სისტემატურად მიგზავნიდა ხან ფოსტით, ხან საერთო მეგობრის ხელით ისეთ კრიტიკულ და იუმორისტულ მასალებს, რომელთა გადაცემა რადიოთი მიზანშეწონილად მიაჩნდა. გადავცემდით კიდევაც და ჰონორარსაც ვუწერდით. ასე კი არ იყო წინათ, ამჟამად რომ არის, წიგნს თუ საგაზეთო წერილს შენ წერ და მის დაბეჭდვაში ფულს თვითონვე იხდი. მაშინ ყოველ დაწერილ სტრიქონს ფასი ჰქონდა და ავტორს სათანადო ანაზღაურებაც ეძლეოდა. კარლო იმ თავის წერილებს ხშირად ასეთ მოკლე პირად ბარათებსაც მოაყოლებდა ხოლმე:

„გაუმარჯოს დიმიტრის!

ხომ ხარ ისე, როგორც დაგიბარებია! (მუხრან მაჭავარიანის ერთ-ერთი ლექსის „– გამარჯობა, როგორა ხარ? – როგორც დაგიბარებია“... სტრიქონის მიხედვით, ეს გამოთქმა უყვარდა. დ. ლ.).

ერთ მასალას გიგზავნი. როგორც ყოველთვის, ფაქტები სარწმუნო და ეჭვმიუტანელია. იგი, ალბათ, სახელმწიფო ავტოინსპექციას უნდა გადაეგზავნოს რეაგირებისათვის (მაშინ წესი იყო, რადიოთი გადაცემული კრიტიკული მასალის ასლი, მომხდარზე რეაგირების მიზნით, სათანადო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას უნდა გადაგზავნოდა. დ. ლ.).

ყარაჩაიში წასვლის საქმე როგორ გვაქვს?

გნახე კარგად. მომიკითხე ოთახის ყოველი კუთხე-კუნჭული.

შენი კარლო ფალიანი.

8.09.86 წ.“

მთელი ცხოვრება ქლუხორში ჩასვლა და იქაურობის ნახვა ენატრებოდა. მაშინ ავტომანქანა მყავდა. ყოველ წელიწადს ერთად ვგეგმავდით ქლუხორში წასვლას, მაგრამ ვერ იქნა და თავი ვერ მოვაბით. სწორედ ამ ამბავს მახსენებდა წერილში, ყარაჩაის წასვლის საქმე როგორ გვაქვსო.

„ჩემო ძმაო, დიმიტრი!

მოგილოცავ ახალ წელს. იმედია მაპატიებ, რომ სპეციალურ ბარათზე ვერ გწერ („ატკრიტკა“ რომ ჰქვია, იმაზე).

მრავალ ახალ წელს დაესწარი ოჯახთან ერთად. გისურვებ ჯანმრთელობას, სიკეთეს, ყოველივე კარგს. 1987 წელს მაინც განხორციელებულიყოს ჩვენი დიდი ხნის ოცნება და ერთ მშვენიერ დღეს ყარაჩაიში ამოგვეყოს თავი!

ახლა რაც შეეხება შენს გამოხდილ არაყს. დიდი ხანია არ გვიგემნია და ვაი თუ გემოთი ვეღარ ვიცნო!

სხვაფრივ სულ კარგად ბრძანდებოდე.

პირქვედამხობილებს უფრთხილდი!

ძმური სიყვარულით კარლო ფალიანი.

25.12.86წ.

ღღეს ხომ იცი, რა დღეა! „ოცდახუთსა ამ თვესაო...“ ჰოდა, შენც და შენს ოჯახსაც გწყალობდეთ მისი მადლი, ამინ!

P.S. პატარა მასალას გიგზავნი. გინდ დაიჯერე, გინდ – არა.“

„გაუმარჯოს ძმას!

შე კაცო, რა კენჭობია აგიტყდა ამხელა კაცს! ძალიან მინდოდა მოსვლა საავადმყოფოში. სამსახურში დავრეკე და მითხრეს – აქეთ გვეწვიაო.

(იმ ხანებში შეუძლოდ გავხდი – თირკმელში კენჭის გავლა მქონდა. ამის გამო რესპუბლიკურ საავადმყოფოში მომიწია წოლა და მკურნალობა. ჩემი შეუძლოდ ყოფნა მოგვიანებით გაეგო და მისი წერილი საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ მივიღე).

ვიცი, რა მტკივნეულიც არის ის ობერი. მოახლოებულ ახალ წელს გილოცავ, დიტო, ბედნიერად დაესწარი მრავალს, ოჯახთან ერთად.

ერთ მასალას კიდევ გიგზავნი. აპრობირებულია. დანარჩენი შენ იცი. განახე კარგად.

შენი კარლო ფალიანი.

21.12.87 წ.“

ამ წერილების კიდევ ერთხელ გადაკითხვამ უზომო სევდა და სიხარული მომგვარა. სევდა იმის გამო, რომ ჩემი მეგობარი ამქვეყნად აღარ არის. სიხარული კი წერილებმა იმად განმაცდევინეს, რომ მისი ნაწერი სტრიქონების კითხვისას სულ თვალწინ მედგა კარლო ფალიანი და მეგონა, რომ მის ნაწერს კი არ ვკითხულობდი, თვითონ მესაუბრებოდა.

ეჰ, რა ხანმოკლეა ეს დალოცვილი წუთისოფელი. ალბათ, ამიტომ თქვა იმ სულკურთხეულმა, ვინც თქვა: რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტივით გაგვიფრინდებაო!

მართლაც...

მე, პავლე ინგოროყვა და ჩემი ქართველის მასწავლემელი

ბნდა ვაღიარო, რომ „ქლუხორელ ქართველებზე“ მუშაობისას წერა არც ერთ მონაკვეთზე ისე არ გამძნელებია, როგორც ჩემი ქართული ლიტერატურის მასწავლებლის, ლ. ნ-შვილის შესახებ ამ მცირე მოგონების წერა გამიძნელდა.

რამდენჯერაც სათქმელის ქაღალდზე გადატანა დავაპირე, შინაგანმა ხმამ იმდენჯერ თავშეკავება მირჩია: იქნებ, საერთოდ, არ ღირდეს იმ შემთხვევის გახსენებაო და შეყოყმანებული საწერად გამზადებულ კალამს ძირს ვდებდი.

არაერთხელ თითქმის უკვე დასრულებული ნაწერი გადაკითხვის შემდეგ დავხიე და გადავყარე.

ბოლოს, მაინც ვეღარ გავუძელი ცდუნებას, რომ არ მეთქვა, რასაც ქვემოთ ვიტყვი და ხსოვნას დღემდე უცვლელად შემორჩენილი კიდევ ერთი ფურცლის ქაღალდზე გადატანას შევუდექი.

მაშ ასე:

დღევანდელი გადასახედიდან სკოლაში ჩემს სწავლას უცხო კაცის თვალით თუ შევხედავ და მიუკერძოებელი მსაჯულის თვალით ავწონ-დავწონი, ვერ ვიტყვი, რომ ყველა საგანში ერთნაირ სიბეჯითეს ვიჩენდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არც ჩამორჩენილი მოსწავლე ვიყავი. რაც შეეხება განსხვავებულ საგანს, ჩემთვის ქართული ლიტერატურა ყველასაგან გამორჩეული გახლდათ. იმთავითვე მხატვრული ლიტერატურის კითხვა მიყვარდა და რაზედაც ხელი მიმიწვდებოდა, ყველაფერს, განურჩევლად ვკითხულობდი.

როგორც უკვე ვთქვი, მზისა რაიონის ცენტრიდან 18-20 კილომეტრით იყო დაშორებული. მოსწავლე ახალგაზრდობის რაიონული ბიბლიოთეკიდან სასურველი, საინტერესო წიგნის გამოსატანად, არც მგზავრობის ფული მქონდა და მუდამ არც ტრანსპორტი იყო. ამიტომ იქ არაერთხელ ფეხით ჩავსულვარ. იყო ასეთი შემთხვევებიც, როცა რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში არ აღმოჩენილა ის წიგნი, რომლის წაკითხვა მდომებია და მოზრდილების ბიბლიოთეკიდან არ უთხოვებიათ: ჯერ მოსწავლე ხარ და დიდების ბიბლიოთეკიდან შენზე წიგნს ვერ გავცემთო. დღემდე არ ვიცი, ვის მიერ, ან რა მიზნით იყო დადგენილი ასეთი წესი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მაშინდელი ქლუხორის რაიონის ბიბლიოთეკაში ამ წესს მტკიცედ იცავდნენ. თუმცა, კაცმა თუ მოინდომა, მისთვის

მიუღწეველი არაფერია: მაინც ვახერხებდი დიდების ბიბლიოთეკიდან ჩემთვის სასურველი წიგნის გამოტანას და წაკითხვას.

ერთი სიტყვით, როცა მზისას რვაწლიანი სკოლა დავამთავრე და სწავლა ქლუხორში ქართული საშუალო სკოლის მეცხრე კლასში განვაგრძე, იმ დროს საკმაოდ ნაკითხი მოსწავლე მეთქმოდა.

მეცხრე კლასში ქართული ლიტერატურის მასწავლებლად დედაქალაქიდან ახლად ჩამოსული ქალბატონი ლ. ნ-შვილი დაგვინიშნეს. მას იმ წელს დაემთავრებინა უმაღლესი სასწავლებელი და პირდაპირ ქლუხორში გამოეგზავნათ პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყებად.

ქალბატონი ლ. ჩემზე და, ცხადია, ასევე, ჩემს თანაკლასელებზე, ანუ მის მოსწავლეებზე, ხუთი-ექვსი წლით უფროსი თუ იქნებოდა. თუმცა, გარეგნულად ასაკობრივი განსხვავება ჩვენსა და მას შორის არც თუ ისე ძალიან იგრძნობოდა. მიუხედავად თეთრ სახეზე მცირეოდენი ჭორფლისა, გარეგნულად საკმაოდ მიმზიდველი ქალიშვილი ეთქმოდა.

ახალი მასწავლებლის გაკვეთილზე, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა ჩემს ამხანაგზე მეტად ვაქტიურობდი. ალბათ, იმიტომაც, რომ ქალაქში სოფლის სკოლიდან ვიყავი ჩასული და არ მინდოდა, თავი შემერცხვინა. ვცდილობდი, მასწავლებელს ყველა გაკვეთილზე გამოვეკითხე და შეეფასებია წინა დღით მოცემული დავალება. როცა ამის შესაძლებლობა მომეცემოდა, გაკვეთილის თხრობისას, საზეპიროებს ხომ ზეპირად ვამბობდი, ამასთან ერთად, სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას დამხმარე ლიტერატურაში წაკითხულით ვავსებდი, თუმცა, ასეთი ლიტერატურის წაკითხვას, არც მე და არც ჩემს ამხანაგებს, მასწავლებელი არ გვავალებდა.

ამის გამო ჩემს ახალგაზრდა მასწავლებელს არაერთხელ მოუცია შენიშვნა პირადად ჩემთვის, რაც პროგრამით არ არის გათვალისწინებული, იმის კითხვას და ზედმეტი რამეთი გაკვეთილზე თავის მოწონებას მოეშვიო.

დამატებითი ლიტერატურით სარგებლობისათვის შენიშვნის მოცემა ძალიან მიკვირდა. მეგონა, რომ ჩემს მასწავლებელს ჩემი თუ სხვა მოსწავლეების აქტიურობა პირიქით უნდა გახარებოდა. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვაგვარად იყო.

ხშირად მავიწყდებოდა მასწავლებლის აკრძალვა-გაფრთხილება, რის გამოც მკაცრ შენიშვნებს მაძლევდა და ჩემდამი უარყოფით დამოკიდებულებას ნიშნის აშკარა დაკლებითაც გამოხატავდა. მე ჩემსას მაინც არ ვიშლიდი, თუმცა, გულახდილად ვიტყვი, ჩემი ეს, ასე ვთქვათ, სიბეჯითე, თავის მოსაწონებლად გამოწვეული განზრახვა სულაც არ იყო.

ჩემი და ჩემი მასწავლებლის გაკვეთილის სწავლისადმი სხვადასხვაგვარმა დამოკიდებულებამ უკიდურესობას „ვეფხისტყაოსნის" შესწავლისას მიაღწია.

მოხდა ისე, რომ ერთ-ერთი გაკვეთილის გამოკითხვისას პოემის შინაარსის, გარჩევის და ავტორის ბიოგრაფიულ ცნობებზე საუბრისას 1935

წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ შესავალ წერილში გამოთქმული ცნობილი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას შეხედულებები მოვიშველიე.

მასწავლებელმა ერთხანს მისმინა. მერე უეცრად იფეთქა და მიყვირა: რას მიედ-მოედები, საიდან იგონებ ასეთ დაუჯერებელ სისულელეებსო.

ჯერ დავიბენი. შენიშვნის ასეთი ფორმით მოცემას არ მოველოდი. მერე ახსნა ვცადე: მასწავლებელო, მე არაფერს ვიგონებ, ეს ყველაფერი „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში წერია და ყველაფერი, რაც ვთქვი, პავლე ინგოროყვას ეკუთვნის-მეთქი.

ჩემმა პასუხმა არანაკლებ დააკარგვინა წონასწორობა:

– არ ვიცი მე, სად რა წერია, შენ სანამ მაგ პავლე ინგოროყვას თუ სხვების კითხვისათვის არ დაგიჭერენ, მანამდე არ მოისვენებო. – და ჟურნალში ორიანი ჩამიწერა.

დღემდე ვფიქრობ და ვერ მივმხვდარვარ, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას სახელის ხსენებამ ასე რატომ გააღიზიანა. ნუთუ დედაქალაქის უმაღლესი სასწავლებლის კედლებში მის პროფესორებს ერთხელ მაინც არ უხსენებიათ ამ დიდი მკვლევარისა და საზოგადო მოღვაწის გვარი და სახელი?! ნუთუ მისი არსებობის შესახებ პირველად ჩემგან გაიგო?!

ამის შემდეგ ჩემთვის გაკვეთილი თითქმის აღარასოდეს გამოუკითხავს.

წლის ბოლოს საგანში ორიანი დამიწერა და საშემოდგომო გამოცდა გამომაყოლა.

ამან თავიდან სასოწარკვეთილებაში ჩამაგდო, მაგრამ რას ვიზამდი. ქალბატონმა ლ. ნ-შვილმა იმ წელსვე დატოვა ქლუხორის რაიონი და ამის შემდეგ მის შესახებ აღარაფერი მსმენია.

ის საშემოდგომო გამოცდა უმტკივნეულოდ ჩავაბარე და ლიტერატურისადმი ინტერესი არც ამის შემდეგ გამნელებია. ის კი არადა, ამ შემთხვევამ ერთგვარი ჟინი გამიღვიძა, ჩემი ყოფილი მასწავლებლისთვის დამემტკიცებინა, რომ მისი არც ისე ცუდი მოსწავლე ვიყავი, როგორც მას მივაჩნდი.

...დიდი ხნის შემდეგ, როცა ჩემი მოთხრობების პირველი წიგნი გამოვიდა, სურვილი გამიჩნდა, მომეძებნა ჩემი ქართულის ყოფილი მასწავლებელი, ქალბატონი ლ. და ეს წიგნი მიმერთმია გულწრფელი წარწერით:

„ქალბატონ ლ. ნ-შვილს – მადლიერებით მისი ყოფილი მოსწავლის, დიმიტრი ლობჟანიძისაგან“.

მაგრამ ვერ მივაკვლიე.

...შეჯამანდი აღარ უნდა

მზისაში ჩასახლებიდან პირველი გაზაფხული ილეოდა. მოხნულ და დათესილ მიწას გლეხკაცისაგან მიბარებული თესლი უკანასკნელ მარცვლამდე უდანაკარგოდ აღმოეცენებინა, მაგრამ მოსავლის აღებამდე ჯერ კიდევ შორს იყო.

უჭირდა ხალხს ახალ ადგილზე ცხოვრების თავიდან აწყობა მანამ, სანამ მსუქან და მაძღარ შემოდგომაზე ქვეყნის მარჩენალი მიწა თავის მადლიან კალთას მისებურად უხვად არ დაიბერტყავდა.

სხვებზე უკეთეს დღეში, როგორც ჩანს, არც ჩვენი ოჯახი იყო. როგორც ჩანს-მეთქი, ვამბობ, რადგან მშობლები ოჯახის სარჩოს რის ვაი-ვაგლახით შოულობდნენ, ცხადია, ამას ჩვენ, შვილებს არ გვიმხელდნენ. რომც გაემხილათ, ჩვენ რისი გაკეთება შეგვეძლო!

ეტყობა, ერთ დღეს, ოჯახში საკვების ყოველგვარი მარაგი ბოლომდე გამოილია. იმ დროს კოლმეურნეობის საწყობის გამგედ ირაკლი ლობჯანიძე (ალუკეეთი) მუშაობდა.

ირაკლი და მისი ოჯახი, ქართველების ქლუხორში ჩასახლებამდე დიდი ხნით ადრე იყო ღებიდან წამოსული და მას შემდეგ ნალჩიკში ცხოვრობდა. მზისაში როგორ მოხვდა, არ ვიცი. უთუოდ, ირაკლიმ რომ გაიგო მისი თანასოფლელები ახალ ადგილზე სახლდებოდნენ, ნალჩიკიდან ქლუხორი შორს არ იყო. ჩამოვიდა, რომ თავისი თვალით ენახა, სად ან როგორ ადგილზე უნდა ეცხოვრათ მის ყოფილ მეზობლებსა და ნათესავებს. ალბათ, გულში ისიც კი ჰქონდა განზრახული, თუ ადგილი მოეწონებოდა, ოჯახთან ერთად თვითონაც იქ დასახლებულიყო. არ ვიცი...

დედას სხვა გამოსავალი რომ ვერ უპოვია, ირაკლისთან მისულა და უთხოვია, საწყობში რამე პროდუქტი თუ გაქვს, მითხარი და შრომადღეების ანგარიშზე ბუღალტერიაში გამოვიწერ, თორემ ბავშვებს რა ვაჭამო, არ ვიცი.

იმ დროს მამაჩემი სამუშაოდ იყო სადღაც წასული, რომ ოჯახისთვის ხელი როგორმე შეეშველებინა.

ირაკლის უთქვამს, საწყობში ისეთი არაფერია, რომ მისთვის ბუღალტერიაში მისვლა და გამოწერა ღირდეს. მგონი, მცირეოდენი კარტოფილი უნდა იყოს დარჩენილი, ბიჭი გამომიგზავნე და თუ გამოგადგებათ, ბუღალ-

ტერიაში გამოწერისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე წაიღეთო.

დედამ მითხრა, როგორც იყო საქმე და მეც მაშინვე საწყობში წავედი. იქ, მცირეოდენი კარტოფილი მართლაც, აღმოჩნდა. თანაც ისეთი, სხვა შემთხვევაში კაცი მისთვის რომ არც გაირჯებოდა, მაგრამ იმ დროს საქმე ასარჩევად არც ჩვენ და არც სხვებს არ ჰქონდათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, კოლმეურნეობის საწყობშიც არც მეტი და არც უკეთესი კარტოფილი არ იყო. მეც რაც ვნახე, ავკრიფე, ტომარაში ჩავყარე და შინ მივიტანე.

დედამ კარტოფილი მაშინვე გარეცხა, გადაარჩია, რაც ოდნავ მაინც ვარგისიანად მიიჩნია, გათალა და მოხარშა.

უნდა ვთქვა, რომ არაერთ დიდებულ ნადიმის სუფრასთან ვმჯდარვარ, სადაც, როგორც იტყვიან, პურ-მარილს ჩიტის რძეც არ კლებია, მაგრამ ასე ტკბილად, როგორც მაშინ ის კარტოფილი ვჭამე, არასდროს არაფერი მიჭამია. როგორც ჩანს, არ ცდება, ვინც ამტკიცებს, ძილს სასთუმალი არ უნდა, შიმშილს – შეეჭამანდიო.

ეს მცირე და ერთგვარად სევდიანი შემთხვევა იმისათვის გავიხსენე, რომ მეც, ჩემის მხრივ, კიდევ ერთხელ დამედასტურებია, რომ ადამიანის მიერ გასაჭირში გაწეული დახმარება სიმცირ-სიდიდით არ იზომება. ის მუდამ დიდია და მისი დავიწყება არ შეიძლება. დიდი ხნის შემდეგ ამ მოგონებით მხოლოდ ეს მინდოდა მეთქვა და ამით ბატონი ირაკლის მიმართ მადლიერება გულწრფელად გამომეხატა.

ნოეს აცნობეთ...

ეაგინდ უცნაურად უნდა მოგვეჩვენოს, რიცხვები და თარიღები ცოცხალ ადამიანებს ჰგავს. მაგრამ არა ყველა რიცხვი და თარიღი, არამედ გამორჩეულები. ასე, მაგალითად, თუ ხშირად მრავალი დღე და იმ დღის რიცხვი ჩვენს ცხოვრებაში ისე უხმოდ ჩაივლის, რომ რამდენიმე საათის შემდეგ არავის ახსოვს, სამაგიეროდ, ღვთით კურთხეული ზოგიერთი დიდი პიროვნების მსგავსად, ფეხბედნიერი დღეები და იმ დღეების უკვდავმყოფი გამორჩეული რიცხვები, კაცობრიობის, გინდაც ამა თუ იმ ერის ისტორიაში, ოქროს ასოებით ჩაიწერება და მისი მადლი და ნათელი საუკუნეებს ჩაუქრობელ შუქად მიჰყვება. (განა, დიდბუნებოვანი პიროვნებები ასევე არ არიან)?

ასეთ არაჩვეულებრივ რიცხვთა და დღეთა შორის 1945 წლის 9 მაისიც იხსენიება. თუმცა, მაშინდელი მზისელები თვით 8 მაისს, როცა მთელი დღის შრომით დაღლილნი დაწვნენ და დაიძინეს, როგორ წარმოიდგენდნენ, რომ მომდევნო დღე ასე სასიხარულო გათენებოდა და მათივე მეზობლები, ვინც ის ნანატრი ამბავი, სხვებზე ადრე შეიტყვეს, სოფელს ხმამაღალი ყვირილით ლოგინებიდან წამოყრიდნენ:

– გაიღვიძეთ!

– ადექით!

– გარეთ გამოდით!

– ომი დამთავრდა და ჩვენ გავიმარჯვეთ!

რამდენიმე წუთში მთელი სოფელი, დიდი თუ პატარა, ქუჩაში იყო. ხალხი ცეკვავდა, მღეროდა, იცინოდა და ურთიერთს ეხვეოდა: ყველანი ერთმანეთს ომის გამარჯვებით დამთავრებას ულოცავდნენ.

ამ ამბით გამოწვეული პირველი დღეების აღფრთოვანება მომდევნო კვირეებსა და თვეებში ნელ-ნელა ჩაცხრა, თუმცა, მისი გამოძახილი სოფელში ზოგჯერ კვლავ იფეთქებდა. ეს მაშინ, როცა რომელიმე მზისელის ოჯახში ომში ნაბრძოლი მამა, ქმარი, ძმა თუ შვილი ნაგვიანევად დაბრუნდებოდა.

...ომის დაწყებიდან დამთავრებამდე ფრონტზე მყოფი ნოე გობეჯიშვილის (დეტუეეთი) შინ დაბრუნება, ოჯახის გარდა, სოფლისთვისაც არანაკლებ სასიამოვნო გახლდათ. მართალია, ჯარისკაცმა თან მძიმე ჭრილობა ჩამოიყოლა, მაგრამ ბედს ამის გამო მაინც არ ემდუროდა.

კაცმა რომ თქვას, არც მას და არც ომის შემდეგ მასავით ცოცხლად გადარჩენილ მილიონობით ადამიანს ბედთან, მით უფრო უფალთან, რამე სასაყვედურო ნამდვილად არ ჰქონდა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ისიც და სხვებიც თითქმის ხუთი წლის განმავლობაში, ერთმანეთთან დაპირისპირებული ორი სამყაროდან ერთ-ერთის, ანუ საბჭოთა კავშირის გასამარჯვებლად, ღია ცის ქვეშ ტყვიის წვიმაში, ქარსა თუ მცხუნვარე მზეში, გასაკვირი სიჯიუტით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ კბილებამდე შეიარაღებული მოწინააღმდეგის დასამარცხებლად. ამ ბრძოლაში მილიონობით მებრძოლი იხოცებოდა. ისინი კი, იქნებ რამდენჯერმე კიდეც დაიჭრნენ, მაგრამ მაინც ცოცხლები გადარჩნენ და დიდი ომის გამარჯვებით დამთავრებას მოესწრნენ. ამ გამარჯვებაში მათი წვლილიც იყო და უხაროდათ, რომ კრიალა ცას ხედავდნენ, ბრდღვიალა მზე ათბობდათ, დედამიწაზე უშიშრად დააბიჯებდნენ და უსაყვარლესი ოჯახის წევრების და თანასოფლელების გვერდით იგონებდნენ გადატანილ უამრავ, მაგრამ მაინც უკვე გადატანილ, სადღაც უკან დარჩენილ გაჭირვებას.

ასეთებს, ყოველ ცისმარე დღეს, ასიათასი მადლობა უნდა ეთქვათ უფლის ანგელოზისთვის. იმ ანგელოზისთვის, რომელმაც ისინი ასეთ ჯოჯოხეთურ ყოფაში სხვებისაგან გამოარჩია. განსაცდელის ჟამს წყალობის თვალი ერთი წუთითაც არ მოაცილა და, როცა სხვები იხოცებოდნენ, მათ თავისი მწყალობელი კალთა გადააფარა, კალთა, რომლის ქვეშ მყოფ ადამიანს არაფრის და არავისი შიში არ უნდა ჰქონდეს. ასეთებს თუ არ სჯეროდათ ის, რომ მათ სიცოცხლეს ღმერთი და მისი ანგელოზები იცავდნენ სიკვდილისაგან, ამის შემდეგ მაინც უნდა ერწმუნათ, რომ სწორედ უფალმა გამოარჩია სხვებისგან და გარდაუვალი სიკვდილი ააცილათ. სხვები რას ფიქრობდნენ, ძნელია ამის თქმა. ყველას გულში კაცი ვერ ჩაიხედავს, მაგრამ ნოე გობეჯიშვილი, თუ ხმამაღლა არა, გულში, ალბათ, მუდამ სწირავდა ღმერთს მადლობას ცოცხლად გადარჩენისათვის. ღმერთი კი სწორედ გულს ხედავს და იმით განგვსჯის. მის სამსჯავრომდე მისვლამდე ამქვეყანაზე როგორ ვიცხოვრეთ.

ომში ცოცხლად გადარჩენასთან ერთად, ნოე გობეჯიშვილი ოჯახის შექმნაშიც ქუდბედიანი კაცი აღმოჩნდა. მისი მეუღლე, ფაცა მშვენიერი დიასახლისი და ხუთი შვილის გამზრდელი დედა, მუდამ მხარში ედგა ქმარსა და ოჯახის მამას.

ცხადია, ცოლ-ქმრის შეხმატკბილებული ურთიერთობა და დღედაღამ ბეჯითად შრომა იყო იმის უმთავრესი მიზეზი, რომ მათი ოჯახი უმოკლეს დროში წელში გაიმართა. ესეც სათქმელია, მზისაში გობეჯიშვილების ოჯახს გულღია დახვედრის და სტუმართმოყვარეობის გამო, სტუმარი არასდროს აკლდა.

მოგეხსენებათ, ქართული სტუმარ-მასპინძლობიდან გამომდინარე, შინ წვეულს – უცხოს თუ ნაკლებად უცხოს, დახვედრაც ღირსეული სჭირდება და გასტუმრებაც შესაფერისი.

მართალია, ჩვენდა სავალალოდ, იმ შორეული წარსულისათვის დამახასიათებელი ბევრი ღირსეული ტრადიცია ჩვენს დროში დაიკარგა და მოიშალა, მაგრამ ნოე, მისი სამეგობრო და სამეზობლო თავისი დროის შვილები იყვნენ და ომშიც და მშვიდობიანობის ჟამსაც იმ დროის წესებით ცხოვრობდნენ და ჯერაც შემორჩენილ სანაქებო ადათებს, მტკიცედ იცავდნენ.

უკვე ვთქვი, ნოე გობეჯიშვილის ოჯახი სტუმართმოყვარე იყო-მეთქი. ალბათ, ამიტომაც, არც ხშირი სტუმრიანობა აკლდა. მაგრამ ნოეს ოჯახში სუფრას, მოსულ უცხო სტუმართან ერთად, მისი მეგობრები და მეზობლებიც უსხდნენ და იყო პატიოსან ქართულ ოჯახში უხინჯო ლხინი და გულღია ლაღობა.

ერთი ასეთი სამეგობრო პურ-მარილის დროს ვახტანგ გავაშელმა სადღეგრძელოს თქმისას სხვებთან საუბრით გართული მასპინძლის ყურადღება რომ ვერ მიიქცია, სუფრის წევრთა გასაგონად ნოეს ხმამაღლა გადასძახა: როცა სადღეგრძელოს ვამბობ, მართალია, მოსმენის ღირსად არ მთვლი, მაგრამ თუ მოვინდომე, ერთ დღეს ისეთ სიტყვას ვიტყვი, რომ იმ სიტყვაზე შენს ოჯახში სანაქებო პურ-მარილს გაშლი, ისეთ სუფრას შემწვარი გოჭების და მოხარშული ქათმების გარდა, ხბოს მწვადებიც არ აკლდესო.

– ვის სიტყვაზე, ბატა, შენზე? – გაიცინა ნოემ – შენს სიტყვაზე გოჭს და ხბოს კი არა, ბატსაც არ დავკლავ. – სიცილით მიუგო მეგობარს ნოემ.

– დაკლავ კიდეც და იმ სუფრაზე მეც და ამ ხალხსაც, მოგვიწვევ! – ერთგვარი მუქარით მიუგო ვახტანგმა ნოეს.

– ვინც სიტყვა ვერ შეასრულოს, იმან ამ სუფრაზე უკეთესი პურ-მარილი იკისროს! – დათქვეს და დანაძლევებულებმა ლხინი განაგრძეს.

ამ ამბიდან რამდენიმე თვემ გაიარა. იმ ღამეს დათქმული პირობა ზოგმა მთვრალი კაცის დაუფიქრებელ დანაქადად ჩათვალა. უმეტესობას საერთოდ დაავიწყდა ეს სანაძლეო. ცხოვრება კი მზისაში ჩვეულებრივი გზით მიდიოდა.

...ერთ კვირა დილით სასოფლო საბჭოში ტელეფონმა დარეკა და უცნობმა ნოე გობეჯიშვილი იკითხა.

როცა უთხრეს, ნოე ამჟამად აქ არ არისო, მავთულის მეორე მხარეს მყოფმა განაცხადა: რაიკომის მდივნის დავალებით ვრეკავ. ამ დილით ქლუხორში დედაქალაქიდან, სამ კაცთან ერთად, გერმანე გობეჯიშვილი ჩამოვიდა, რაიონის ხელმძღვანელობასთან საქმეს ერთ-ორ საათში მორჩება და ნოე გობეჯიშვილის მოსანახულებლად, მეგობრებთან ერთად, მზისას ეწვევაო.

გერმანე გობეჯიშვილი ცნობილი მეცნიერი და არქეოლოგი გახლდათ. იგი ნოეს ბიძაშვილი იყო და დედაქალაქიდან მისი მოულოდნელი სტუმრობა რომ ნოემ და მისმა ოჯახმა გაიგო, სიხარულით ცას ეწიენ.

მთელი ოჯახი სასწრაფოდ დატრიალდა საპატიო სტუმრის ღირსეულად დასახვედრად. მით უმეტეს, რომ, როგორც რაიონიდან დარეკეს,

საპატიო სტუმარს თან სხვებიც ახლდნენ. გამორიცხული არც ის იყო, რომ გერმანეს და მის თანმხლებ პირებს თან რაიკომის წარმომადგენლებიც გამოყოლოდნენ. ასეთ ხალხს კი, შესაფერისი დახვედრა სჭირდებოდა.

დიასახლისი სასწრაფოდ დატრიალდა.

დაიკლა გოჭები, რასაც გაფითქინებული სახარე ხბოც მიაყოლეს. კეცებში ჭადი და ხაჭაპურები ცხვებოდა. ბურვაკის ხორცი სამწვადედ ჩააბასტურმეს და სხვადასხვა სახის სასმელიც უხვად მოიმარაგეს.

გერმანე გობეჯიშვილი

ერთი სიტყვით, სამხრობისას ნოე გობეჯიშვილის ოჯახში ნამდვილი მეფური სუფრა იყო გაშლილი.

მხოლოდ საპატიო სტუმრები არ ჩანდნენ, რომელთაც სოფლის ცენტრში მასპინძელთან ერთად, თითქმის მთელი სოფელი ელოდებოდა.

გადავიდა სამხრობა.

მერე მზეც ჩავიდა და ბინდი ნელ-ნელა მოედო ჯერ დაბლობებს, შემდეგ მთა-გორებს.

რაიონიდან მზისას გავლით კუროორტ თებერდისკენ მიმავალ მანქანებს რამდენი კაციც ამოჰყვა. ნოე ყველას ერთსა და იმავეს ეკითხებოდა, ქლუხორში გერმანეს ჩამოსვლის შესახებ ხომ არაფერი გსმენიათო.

პასუხად უარის მიღებისას მხრებს გაკვირვებული იჩეჩავდა, ვერ გამიგია, ყოველივე ეს რას ნიშნავსო.

ნოესაც და სხვებსაც ლოდინი რომ გადაუწყდათ, რაიკომში დარეკეს: იქედან მორიგემ გადაჭრით უარყო გერმანეს და მისი თანმხლები პირების დედაქალაქიდან ჩამოსვლის ამბავი.

– როგორც ჩანს, ვილაცამ უშნოდ იხუმრა, მაგრამ ამას ახლა აღარაფერი ეშველება. –განუცხადა ნოემ მასთან ერთად მომლოდინე მეზობლებს და ყველანი შინ, გაშლილ სუფრასთან მიიწვია. თან გულში იმის გაგებას ცდილობდა, თუ ვინ მოუწყო ეს ოინი. სუფრის გაშლა და გაწეული ხარჯი როდი ადარდებდა, მის ოჯახში სხვა დროსაც არაერთხელ გაშლილა ასეთი სუფრა. ნოეს ყველაზე მეტად ის აწუხებდა, რომ თავიდან ვერ მიხვდა ვიღაცის ამ ეშმაკურ ჩანაფიქრს.

როცა სუფრის წევრებს ღვინომ ხალისი შემატა, ნოემ ყველას გასაგონად თქვა:

– დარწმუნებული ვარ, ამ ოინის მომწყობი ერთ-ერთი თქვენგანია. ოღონდ მითხარით, რომელმა გამაცურა ასე და კიდევ ერთ ასეთ პურმარილს, როცა მეტყვით, მაშინ ვიკისრებ.

ვახტანგ გავაშელი ფეხზე წამოდგა, განსხვავებული სასმისით ნოე და მისი ოჯახი დალოცა და მასპინძელს ორი-სამი თვის წინათ დადებული სანაძლეო გაახსენა.

ნოეს ჯერ ბრაზი წაეკიდა, მაგრამ თავს მალე სძლია. სახიდან რისხვის ღრუბელი გადაიყარა და მასპინძლის პასუხის მოლოდინში ფეხზე მდგომ ვახტანგს უთხრა:

– შენგან ასეთი ციგნობის მეტს რას უნდა მოელოდეს კაცი. თუმცა... რაც არის, არის, სანაძლეო მოგებული გაქვს. ახლა ამაზე საუბარს მოვეშვათ, ლხინის სუფრასთან ვსხედვართ და მოვილხინოთ.

...იმ ღამეს ნოს ოჯახიდან გათენებამდე ისმოდა ლამაზად ნათქვამი სადღეგრძელოები და ხმაშეწყობილი სიმღერები.

ამ ამბიდან რამდენიმე ხნის შემდეგ მზისას წყაროსთან, სანახშოზე შეკრებილი მეზობლებიდან, როცა ვინმე ვახტანგის ამ არც თუ დიდად მოსაწონ, ერთგვარად უკბილო ხუმრობას გაიხსენებდა და იმასაც ეტყოდა, როგორ მოხდა, რომ შენ, ასეთი გამოცდილი კაცი, ამ ეშმაკობას თავიდან ვერ მიხვდიო, ნოე სხვებთან ერთად თვითონაც გაიღიმებდა და თავის მართლებით იტყოდა:

– წინასწარ როგორ უნდა მივმხვდარიყავი, მითხრეს, რაიკომიდან დარეკეს, დედაქალაქიდან მეგობრებთან ერთად გერმანე ჩამოვიდა და მზისასაც ეწვევაო. სრულიად შესაძლებელი იყო გერმანე, მართლაც, ჩამოსულიყო თბილისიდან ქლუხორში თავისი მეცნიერული საქმეებისათვის და, ჩემი ოჯახის გარდა, ჩემი ბიძაშვილი სხვაგან სად წავიდოდა. არც რაიკომია ისეთი დაწესებულება, იქედან შეტყობინებული ამბის სისწორეში ემვი შემეტანა.

მზისელი მოკაფიავლემი

ზოგადად თუ ვიტყვით, ალბათ, ამქვეყანაზე ყველა კაცს გააჩნია რაღაც მისთვის დამახასიათებელი თვისება, რითაც იგი სხვებისგან გამოირჩევა. ამ მხრივ მზისელი თანასოფლელებისაგან არც გიო ლობჯანიძე (ჩოპეენთი) იყო გამონაკლისი.

გიოს მამაზე თუ ბაბუაზე მსმენია, თავმოყვარე, ამაყი და ფიზიკურად ძლიერი გლეხკაცი იყო. ვაგლახად თავს არავის დააჩაგვრინებდაო და ამის დასტურად ერთ შემთხვევასაც გაიხსენებდნენ: რევოლუციამდე, როცა თავადაზნაურობა თავადაზნაურობდა, ერთხელ, ღებიდან ონში მიმავალს, წინიდან ცხენზე ამხედრებული ვიღაც აზნაური მხლებელთან ერთად შეხვედრია. თავის საქმეზე მიმავალ ღებელ გლეხკაცს მისთვის უცნობი იმ აზნაურის და მისი მხლებლისათვის გვერდით უხმოდ ჩაუვლია.

ეს ძალიან წყენია აზნაურს, როგორ თუ ვიღაც გლეხმა ისე ჩამიარა, ქუდი არ მომიხადა და მდაბლად არ მომესალმაო და მისთვის იარაღით ჭკუის სწავლება განუზრახავს. მაგრამ, სანამ აზნაური განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, გიოს მამას თუ ბაბუას იგი ცხენიდან ჩამოუღია, იარაღი აუყრია და მისთვისაც და მისი მხლებლისთვისაც ჭკუა იქეთ უსწავლებია.

ამ ამბავს სანახშოზე უფროსი თაობის გლეხკაცები. სერგია გავაშელიშვილი, ისმაილ ლობჯანიძე და სოგრატ ლობჯანიძე იხსენებდნენ.

რამდენად ზუსტია მათი მონათხრობი, ამის განსჯაში არ შევალ. ვიტყვი მხოლოდ, რომ გიოს იმ თავისი წინაპარივით არც მკლავის ძალა გააჩნდა სხვაზე მეტი და არც ვინმეზე უძალადნია, მაგრამ ეს კი იყო, რომ უკანონოდ თავს არც ის არავის დაჩაგვრინებდა. ბუნებით მშვიდი ხასიათისა გახლდათ. ტკბილი, შეიძლება ითქვას, ერთგვარად შემპარავი საუბარი სჩვეოდა. როგორც ჩანს, ადამიანებთან ურთიერთობისას ერთი, მისთვის მისაღები პრინციპით მოქმედებდა: გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო. ამასთანავე, გიოს არც საგლეჯკაცო საქმეში აკლდა გონებამახვილობა, არც წინასწარ გააზრებული ნაბიჯის გადადგმა ეძნელებოდა და, თუ გნებავთ, ზოგჯერ არც უცნაური ქმედებებისაგან იყო თავისუფალი.

ასე, მაგალითად: მზისაში ოჯახის საჭიროებისათვის ფურნეს ყველა თავის ეზოში ინდივიდუალურად აშენებდა, მაგრამ ყოველ მათგანს ერთი საერთო ნაკლი ჰქონდა: ქარიან ამინდში ფურნედან ავარდნილი კვამლი

მარცხნიდან მარჯვნივ პირველ რიგში სხედან – ძმები: გიო, ლუკა და სერგია. მეორე რიგში: ბონდო და ამროსი ლობჯანიძეები.

დიასახლისს სახეში სცემდა და საქმის კეთების საშუალებას არ აძლევდა, რაც ოჯახში ცოლ-ქმარს შორის ერთგვარი უსიამოვნების საბაბი ხდებოდა.

გიომ, მეუღლის საყვედურებისთვის თავი რომ დაეღწია, სრულიად განსხვავებულ ხერხს მიმართა, რაც აქამდე მზისაში არც ერთ მის მეზობელს არ გამოეყენებინა. რკინის ღერძგაყრილი ურმის ორი თვალი გადმოაყირავა და პერპენდიკულარულად აღმართა. ამის შემდეგ ქვედა თვალი მიწაში ყრუდ ჩაამაგრა, ხოლო ზედა მოძრავი დატოვა. იგი საყრდენ ფსკერად გამოიყენა და ზედ ფურნე დააშენა.

რისთვის და რათაო, შეიძლება იკითხოს ვინმემ. რათა და საჭირო შემთხვევაში, ანუ ქარიან ამინდში დიასახლისს ძალიან ადვილად შეეძლო ფურნის კარის მიბრუნება ქარის საწინააღმდეგოდ და კვამლი აღარ შეაწუხებდა.

მართალია, ეს გამოგონება მსოფლიო მიზიდულობის კანონის მსგავსი აღმოჩენა არ იყო, მაგრამ იგი ნამდვილად მიგვანიშნებს მისი მიმგნები გლეხკაცის – გიოს გონებამახვილობასა და მოხერხებულობაზე.

...ომი ახალი დამთავრებული იყო. მზისაში ღვინო-არაყი აგრერიგად არ იშოვებოდა. თუნდა გეშოვნა, ფული ჭირდა. ამიტომ მზისელები თვითონვე ხდიდნენ ხილისა და ზოგჯერ ხორბლის არაყს და ამით იოლად გადიოდნენ.

მოხდა ისე, რომ საცოლშვილოდ შეღერებულმა მზისელმა ახალგაზრდებმა: ფრანგა, ეგრეზი და ვალიკო გავაშელიშვილებმა, ყაითო, შოთა და ბადრი ლობჯანიძეებმა, გრიშა გობეჯიშვილმა და კიდევ რამდენიმემ ერთად დაჯდომა და პურის ჭამა გადაწყვიტეს.

არაყი?

არაყი გიოს აქვს. მივიდეთ, ვთხოვოთ, ნისიად მოგვყიდოს და საფასური მერე გადავუხადოთო. მოილაპარაკეს მეგობრებმა, შეთანხმდნენ და მათ შორის ყველაზე ენაწყლიან ვალიკო გავაშელიშვილს დაავალეს ამ საქმის მოგვარება. თან ორი თუ სამი მეგობარიც გააყოლეს, რამდენიმე კაცს რომ დაგინახავთ, გიო მეტ პატივს დაგდებთ და არყის ნისიად მოცემაზე უარს არ გეტყვითო.

გიომ მის კარზე მისული ახალგაზრდები რომ დაინახა, უმალ მიუხვდა სტუმრობის მიზანს, მაგრამ არაფერი უგრძნობინებია.

მისალმების შემდეგ აღარც ვალიკოს დაუყოვნებია და ის და მისი მეგობრები რამაც გასაჯა, გიოსთვის ლამაზი კაფიათი გაუმყღავნა. უფიქრია, ენამოგვრილ* გიოს ჩემი ნათქვამი უთუოდ ესიამოვნება და არყის ნისიად მოცემაზე უარს ნამდვილად არ გვეტყვისო.

„გაქებენ და გადიდებენ,
გეძახიან ტარიელსო,
ბიჭები გეხვეწებიან,
ნუ გაგვიშვებ ცარიელსო“.

ასეთ რამეებში გიოც არ იყო ნაკლებ ენამახვილი, რაც იმწუთშივე გამოჩნდა:

„ქვეც მაქებენ, მადიდებენ,
ქვეც მიხმობენ ტარიელსო,
მე რომ არაყი მოგცეთ-ყე
ქვე დამტოვებთ ცარიელსო“.

ბიჭებმა არ იფიქრონ, გიოს ენა აღარ უჭრის და დავჯაბნეთო, ამიტომ ლექსად უთხრა უარი, თორემ არაყი მაინც გაატანათ.

* ენამოგვრილი — ენაწყლიანი, ენამახვილი.

კოლმეურნეობის დუღლში გამოწვევა

ვფიქრობ, ბევრს მოეხსენება, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში კოლმეურნეობა იურიდიულადაც და რეალური უფლებებითაც, ერთ-ერთი ძლიერი სამეურნეო სტრუქტურა გახლდათ. აქედან გამომდინარე, კოლწევრის კოლმეურნეობის წინააღმდეგ წასვლა თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ ამბოხად არა, არც ბევრად ნაკლებ საგანგაშო ქმედებად ითვლებოდა. ამიტომაც ვინც ასეთ რამეს განიზრახავდა, უნდა სცოდნოდა, რომ იგი ამით სახელმწიფოს უპირისპირდებოდა და მისი ქმედება დასჯადი იყო. თუმცა, მოდით, სინამდვილეში მომხდარი ფაქტი განვიხილოთ.

სიმართლე რომ ვთქვა, ეს შემთხვევა ძალიან უცნაურად მეჩვენება და კოლმეურნეობის და პიროვნების ურთიერთობაში გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. ჩემთვის არც ის არის ცნობილი, საკოლმეურნეო კანონმდებლობაში იყო თუ არა ისეთი მუხლი, რომელიც ორი სრულიად განსხვავებული იურიდიული სუბიექტის – ერთი მხრივ, კოლმეურნეობის, ხოლო, მეორე მხრივ, კოლწევრის დავას არეგულირებდა. ასე იყო თუ ისე, ერთ დღეს გიო ლობჯანიძესა და მზისას კოლმეურნეობის გამგეობას შორის, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის ძალითაც გიომ გარკვეული დროითა და საფასურათ, კოლმეურნეობას საკუთარი პირუტყვი (თუ არ ვცდები, თხები) მიაქირავა.

ეს შემთხვევა, მგონი, უცნაური ჩანს, ხომ? ჩემთვის კი, მაგრამ სინამდვილეში ეს ასე მოხდა.

შემდეგ?

შემდეგ გავიდა დრო. მზისას კოლმეურნეობის გამგეობის ერთი თავმჯდომარე მეორემ შეცვალა. ახალმა თავმჯდომარემ გიოსთან ძველი თავმჯდომარის მიერ დადებული ხელშეკრულება უკანონოდ სცნო და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების განაღდებაზე ცივი უარი განუცხადა. ცხადია, იგი დარწმუნებული იყო, რომ კოლწევრს იმის ძალა არ ეყოფოდა, კოლმეურნეობას, დაპირისპირებოდა და სოფლისთვის ეჯობნა. თუმცა, სულაც არ ფიქრობდა გიო ასე. პირიქით, მას სასამართლო დავების მოგების საკმაო გამოცდილება ჰქონდა და ახალ დავაში ერთგვარი ხალისით და აზარტით ჩაება.

სანამ კოლმეურნეობის ახალი თავმჯდომარე გულში ზეიმობდა, რომ ასე ადვილად და უმტკივნეულოდ მოიშორა შარიანი მოდავე, გიომ რაიონს მიაშურა და მაშინდელი რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს, პავლე ჭინიოზიშვილს ეწვია.

ეს პავლე ჭინიოზიშვილი წარმოშობით ახალციხიდან თუ ასპინძიდან იყო. გვარიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, მისი წინაპრები სახალხო მკურნალები უნდა ყოფილიყვნენ. „ჭინიოზა“ – „ჭანიოზი“ – „ჭანაოზი“ – არაბული წარმომავლობის სიტყვაა და ქართულად ექიმს ნიშნავს. „იმერელი ვარ ნამდვილი, იმერეთს დაბადებული. გვარადაც თურმანიძე ვარ, ჭანიოზობით ქებული“-ო, ამბობს აკაკის პოემის „კიკოლას ნაამბობი“ ერთ-ერთი გმირი.

რაც შეეხება ქლუხორის რაიონის სასამართლოს მაშინდელ თავმჯდომარეს, პავლე ჭინიოზიშვილს, იგი ტიპიური ქართველი გახლდათ. სასიამოვნო აღნაგობის, ტანად მოსული, მხარბეჭიანი. შავგვრემანს ისეთი შავი და სქელი ულვაშები ამშვენებდა, ვაუკაცს მუჭში რომ არ ჩაეტეოდა.

როგორ და რანაირად მოხდა, ახლა ძნელია ამის თქმა, მაგრამ ერთი კი ცხადია, გიომ მოსამართლეს მასა და კოლმეურნეობის გამგეობას შორის დადებული ხელშეკრულება წარუდგინა, ალბათ, საქმის ვითარება ზეპირადაც მოახსენა და ამ საქმეში დახმარება სთხოვა.

შემდგომი ვითარებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჭინიოზიშვილმა გიოს დახმარება და დავის მოგება აღუთქვა. რატომ, რისთვის ეს არავინ იცის.

ამის შემდეგ მოსამართლე და გიო მზისაში გიოს ერთცხენიანი ეტლით, სოფელში რომ „ლინეიკას“ (იგივე ეტლი) ეძახდნენ, ერთად ამოვიდნენ და სოფლის კლუბში საკმაოდ ხმაურიანი სასამართლო პროცესი გაიმართა. გიოს არც მოხერხება და ეშმაკობა აკლდა. (ნუ დაგვავიწყდება, რომ ეშმაკობას ზოგჯერ მეორე ჭკუასაც ეძახიან!)

გიოს ცალი თვალი დაზიანებული ჰქონდა. ეს ფიზიკური ნაკლი საბაბად გამოიყენა და სოფელს მოახლოებისას „ლინეიკით“ მასთან ერთად მომავალ მოსამართლეს უთხრა:

– უკვე საღამოა. მე თვალი კარგად არ მიჭრის. ეტლი სადმე რომ არ გადავჩეხო, მეეტლის ადგილას შენ დაჯექი და სადავეც შენ მართეო.

ჭინიოზაშვილს არ უფიქრია, ამაში თუ რაიმე ეშმაკობა იმალებოდა. სადავეები ჩაიბარა და კლიენტთან ერთად ეტლით მზისას კოლმეურნეობის საქმიან ეზოში შევიდა.

ამით გიომ სოფელს დაანახა, მე მოსამართლე მეეტლედ გავიხადე და თქვენ ვინ ხართ, რომ მეჭიბრებითო.

იმ დროისათვის, მართლაც, უჩვეულო სასამართლო პროცესის გასამართავად მზისაში ამოსული ჭინიოზიშვილი თვალში საცემი გარეგნობის გარდა, კაცს არანაკლებ მისი ორიგინალური ჩიბუხითაც დაამახსოვრდებოდა.

ის ჩიბუხი შესაშური ოსტატობით იყო გამოხარატებული ძელქვის თუ ღვიოს ხისაგან.

მოგვიანებით კონან დოილის წიგნის წაკითხვის შემდეგ, ჩიბუხით ხელში და სქელი ულვაშებით თვალწინ ამ წიგნის მთავარი გმირი, შერლოკ ჰოლმსი და ქლუხორის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ჯინიოზიშვილი ჩემს წარმოდგენაში შეიკრა და ერთ კაცად გაერთიანდა.

ზემოთ უკვე ვთქვი და ერთხელ კიდევ ვიტყვი: სოფლის კლუბში ისეთი რა შეკრება უნდა გამართულიყო, რომ მე და ჩემი თანატოლი ბიჭები არ დავსწრებოდით.

არც ეს სასამართლო პროცესი ჩატარებულა უჩვენოდ.

დღესაც თვალწინ მიდგეს სოფლის კლუბში სცენასა და მაყურებლის სკამებს შუა ჩადგმული მაგიდის თავში მჯდომი მოსამართლე, რომელიც ორივე მხარის წარმომადგენელთა განმარტებებს ისმენდა და თან ხელში თავის ჩიბუხს ათამაშებდა.

არავის შეუნიშნავს (ყოველ შემთხვევაში, როცა ამის გახსენება აუცილებელი გახდა, ვერავინ გაიხსენა) მოსამართლემ ჩიბუხი, ჯიბეში ჩადების ნაცვლად, როდის დადო მაგიდაზე და იქედან ის ჩიბუხი ამდენი ხალხის თვალწინ როგორ დაიკარგა.

როცა მოსამართლემ ჩიბუხი მოიკითხა, იგი მაგიდაზე არ აღმოჩნდა. ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს. საკმაოდ უსიამოვნო მდგომარეობა შეიქმნა. სოფელი ქურდობის გამო სირცხვილით თავის მოჭრას წუხდა, მოსამართლე – ჩიბუხის უკვალოდ გაქრობას. გულში, ალბათ, ბრაზთან ერთად, კიდეც ცხვენოდა გამოცდილ მოსამართლეს – კანონის მსახური მქვია და თვალწინ ჩიბუხი ისე ვინ ამაცალა, რომ ვერ შევნიშნეო.

პროცესი მეორე დღისთვის გადაიდო.

შეცბუნებული სოფლის ხელმძღვანელობა მოსამართლეს აიმედებდა, თქვენი ჩიბუხი, უთუოდ, სადმე გადავარდა, თვალს მიეფარა. მოვძებნით, ვიპოვით და დაგიბრუნებთო.

იმ საღამოსვე კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოფელში ხელმრუდობით ცნობილი კ. დაიბარა და მკაცრად მოსთხოვა, შენს მეტი იმ ჩიბუხს არავინ მოიპარავდა. ახლავე მომიტანე, რომ პატრონს დავუბრუნო, თორემ სოფლისთვის თავის მოჭრას არ გაპატიებ. ხვალ მოსამართლეს მე თვითონ ვეტყვი, რომ ჩიბუხი შენ მოიპარე და ამის შემდეგ რაც მოგივა, შენს თავს დააბრალეო.

მუქარამ გაჭრა და კ-მ მოპარული ჩიბუხი გამოაჩინა.

მეორე დღეს თავმჯდომარემ ჩიბუხი პატრონს დაუბრუნა და თან მოუბოდიშა, უთუოდ ხელი შემთხვევით მოგიხვდა და მაგიდიდან გადავარდნილა. ამ დილით დამლაგებელმა სკამებს ქვეშ იპოვაო.

არ ვიცი, მოსამართლემ რამდენად დაიჯერა ეს განმარტება, მაგრამ რაკი ჩიბუხი იპოვა, სხვასა არას დაეძებდა.

იმ დღეს მოსამართლე ჯინიოზიშვილმა ორივე მხარის მტკიცებულებებს ერთხელ კიდევ მოუსმინა და განაჩენი გიო ლობჯანიძის, სასარგებლოდ გამოიტანა და კოლმეურნეობას სრულად დააკისრა იმის გადახდა, რასაც მისი ერთ-ერთი წევრი ედავებოდა.

მაგრამ მოსამართლე ეტყობა, კანონში მონახა მუხლი, რომელიც ადამიანის ინტერესების დაცვას ითვალისწინებდა და გამოიყენა. თუმცა, ამით სასწორზე დადო საკუთარი კარიერა. მაგრამ სახელმწიფო და მისი კანონები ადამიანების სიმართლის და უფლებების დაცვას მოამსახურა.

ფალავნები

მაშინდელი ქლუხორის რაიონი, თავის შვიდ სასოფლო საბჭოში შემავალი თექვსმეტი ქართული, და რამდენიმე სხვადასხვა ერვნებებით დასახლებული სოფლებით, იმდროინდელი საბჭოთა ქვეყნის უკიდეგანო სივრცეში ორი ძიძის მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ყმაწვილს ჰგავდა. რატომ? მართალია, რაიონი იურიდიულად, ანუ ფორმალურად საქართველოს რესპუბლიკის ნაწილი გახლდათ და მასზე ზრუნვა თუ ზედამხედველობა მის ხელისუფლებას ევალებოდა, მაგრამ, მეორე მხრივ, ტერიტორიულად რსფსრ-ს ოლქებისა და მხარეების მჭიდრო გარემოცვაში იყო მოქცეული. ეს კი რაიონში მცხოვრებ მცირერიცხოვანი ერების წარმომადგენლებს, ყოველგვარი აშკარა ძალდატანების გარეშე, ნებსით თუ უნებლიეთ, იძულებულს ხდიდა, რუსული კულტურის თუ ეკონომიკის გავლენის ქვეშ ყოფილიყვნენ. მიზანი ამ მჭიდრო კავშირურთიერთობისა ის გახლდათ, რომ მაშინდელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკიდან გამომდინარე, არავის ერთი წუთითაც არ უნდა დავიწყებოდა, რომ ყველგან საბჭოთა კავშირი, ანუ რუსეთი იყო და ვინმეს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე არ ეფიქრა. ეს ყველასთვის ცნობილი საბჭოთა იდეოლოგია გახლდათ და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ქლუხორის რაიონს როგორც საქართველოდან, ისე რუსეთის სხვადასხვა კუთხიდან ხშირად ეწვეოდნენ ხოლმე თეატრალური თუ სხვა სახის შემოქმედებითი კოლექტივები და სოფლების სახელდახელო სცენებზე თავიანთ წარმოდგენებს მართავდნენ.

ერთხელაც ამგვარი კულტურული ღონისძიების ჩასატარებლად მზისას ქ. სტავროპოლიდან საცირკო ხელოვანთა ჯგუფი ეწვია, რომლის ერთ-ერთი წევრი ძალოსანი, წარმოშობით ქართველი კახეთელიძე იყო.

ამ ჯგუფიდან ყველაზე მეტი მოწონება მაყურებლებში კახეთელიძის მიერ შესრულებულმა ნომრებმა დაიმსახურა და სხვა რამეზე მეტად მეც ისინი დამამახსოვრდა. ასე, მაგალითად, კახეთელიძე მზისას სოფლის კლუბის სცენის იატაკზე დაწვა. მკერდზე ფიცრები დაიწყო. რაც კი იქ მძიმე წონის ნივთი იყო, ზედ დაალაგეს. როცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა, რამდენიმე კაცი იმ ფიცრებზე შედგა, მაგრამ ასეთი ტვირთის ქვეშ კახეთელიძე თავს ისე გრძნობდა, თითქოს მისი წონა ერთი ფუთიც არ ყოფილიყო.

ამის შემდეგ ფეხზე წამოდგა. ბეჭებზე ერთი მსხვილი რკინის ძელი დაიდო, მასზე აქეთ-იქიდან ექვს-ექვსი კაცი ჩამოეკიდა და წყალმიშვებული დოლაბივით ადგილზე ისე მსუბუქად დატრიალდა, თითქოს კისერზე სამი-ოთხი წლის ყმაწვილი ყოლოდა შემომჯდარი. როცა თავისი ძალა ამგვარად გვაჩვენა, დარბაზში მყოფთ თხოვა, სცენაზე რომელიმე ძლიერი ახალგაზრდა ასულიყო. ამასთან დასძინა, სასურველია, თუ იგი ხელობით მჭედელი იქნებაო. მისი მოთხოვნა დაუყოვნებლივ შესრულდა.

სცენაზე ასულ მჭედელს, შოთა ლობჯანიძეს (ქეხსურეეთი) კახეთელიძემ აუხსნა, მე ამ საწონს (ორფუთიან გირს) ტარში ჩაბმული ღვედით კბილებით დავიჭერ და შიშველ მკერდზე ჩამოვიკიდებ. შენ ეს დიდი ურო აიღე და, როგორც სამჭედლოში რკინას ჭედავ, ისეთი ძალით და გამეტებით მკერდზე ჩამოკიდებულ საწონს მანამდე ურტყი, სანამ არ დაიღლები და ძალა არ გამოგელევაო.

შოთა შეყოყმანდა. ალბათ, იფიქრა, ეს ამხელა ურო ამ კაცის შიშველ მკერდზე ჩამოკიდებულ საწონს რომ მთელი ძალით დავკრა, გულ-მკერდს ხომ ჩავუნგრევო. კახეთელიძე ფიქრს მიუხვდა და ღიმილით დაამშვიდა, შენ ნურაფრის გეშინია, არაფერიც არ მომივაო. მჭედელმა, მითითების თანახმად, ურო საწონს მანამდე ურტყა, სანამ არაქათი არ გამოელია. კახეთელიძე ამ დროს მშვიდად იდგა და იმ სიმძიმის ეროს დარტყმას ოდნავადაც არ იმჩნევდა.

როცა ეს ნომერი გვიჩვენა, დარბაზში მყოფთ შეეკითხა, ჩემთან ჭიდაობის მსურველი ხომ არავინ არისო. ცხადია, ასეთი არავინ აღმოჩნდა. იმ დღეს კახეთელიძემ თავისი უჩვეულო ძალის დემონსტრირება სხვაგვარადაც მოახდინა, მაგრამ, ვფიქრობ, სამაგალითოდ რაც აღვნიშნე, ესეც კმარა. მაშინ ჩემთვის და ჩემი თანატოლებისთვის მსგავსი სანახაობები უჩვეულო ამბავი იყო და კარგახანს ერთმანეთში ამის მეტი სხვა სალაპარაკო არაფერი გვქონდა.

ეს კახეთელიძე, მზისაში რომ საცირკო ნომრები გამართა, ცალთვალა იყო. ქვემოთ რასაც ვიტყვი, არ ვიცი, რამდენად შეეფერება სინამდვილეს, მაგრამ ვიღაცამ თქვა და მეც დღემდე დამამახსოვრდა: თურმე, კახეთელიძე ახალგაზრდობაში ბეჭდაუდებელი ფალავანი ყოფილა. ერთ-ერთი შეჯიბრის დროს მისგან დამარცხებულმა მოწინააღმდეგემ მარცხი ვერ აიტანა, შურისძიების მიზნით სახეში თითი ატაკა და თვალი გამოთხარა. ამას კახეთელიძე ისე გაუმწარებია, რომ მეტოქე ადგილზევე მოუკლავს. ჭიდაობა მიუტოვებია და ამის შემდეგ ცირკში დაუწყია მოღვაწეობა.

ამ ამბიდან თითქმის ერთმა თვემ გაიარა. ერთ კვირა დღეს, მზისელი გლეხკაცები, ჩვეულებისამებრ, სოფლის წყაროსთან, ხეების ჩრდილში იდგნენ და მშვიდად საუბრობდნენ. ჩვენ, ბიჭებიც, იმ დროს იქვე ვტრიალებდით.

ისე მოხდა, რომ უფროსებიდან, ვიღაცამ კახეთელიძე ახსენა და თითქოს სხვათაშორის იკითხა, როგორ გგონიათ, კახეთელიძე და კოსტა მაისურაძე

ერთმანეთს რომ დაᲭიდებოდნენ, რომელი მოერეოდაო... მახსოვს, როგორც ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, აზრი ორად გაიყო. მომხრეები და მოწინააღმდეგეები ერთსაც აღმოაჩნდა და მეორესაც. მაგრამ კოსტა მაისურაძის დასაცავად სხვებზე მეტად თავი ეგნატე ლობᲯანიძემ (ზარმანეეთი) გამოიდო. რას ამბობთ, კოსტას მომრევი მსოფლიოში თითქმის არავინ იყო და კახეთელიძე Ჭიდაობაში მასთან როგორ მოვიდოდაო.

კოსტა მაისურაძე.

– შენ ისე ლაპარაკობ კოსტა მაისურაძეზე, თითქოს პირადად იცნობდი. – რატომღაც ერთგვარი Ჯიბრითა და გაღიზიანებით შეედავა ეგნატეს მასზე ბევრად ახალგაზრდა ეგრეზი გავაშელიშვილი.

– პირადად რომ ვიცნობდი, ამიტომ ვამბობ, კოსტას Ჭიდაობაში ბადალი არ Ჰყავდა-მეთქი. – ისე მიუგო საკამათოდ შემართულ – მოწარწᲣულ* ეგრეზის ეგნატემ, მის სიმართლეში ეᲭვს ვერავინ შეიტანდა. მაგრამ მეზობლებმა, ზოგმა გაკვირვებით, ზოგმა ეᲭვით, უმეტესობამ კი ცნობისმოყვარეობით შეხედა. ეგნატემ, იქ მყოფთა უნდობლობა რომ გაეფანტა და ცნობისმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა, თავისი ნათქვამის დასტურად კოსტა მაისურაძის ცხოვრებიდან აᲭამდე უცნობი ეს ეპიზოდი გაიხსენა:

– კოსტა მაისურაძე რევოლუციამდე კისლოვოდსკში გავიცანი. მაშინ 15-16 წლის ბიᲭი ვიყავი. ისიც დაახლოებით ამ ხნის იქნებოდა და ერთ-ერთ იქაურ სამზარეულოში დამხმარე მუშაც იყო და შეგირდიც. მაშინ ასე იყო მიღებული, ამ ასაკის ყმაწვილებს, რასაც დაგვავალებდნენ, იმას ვასრულებდით.

მართალია, იმ დროს კოსტას ხნოვანებით თითქმის ბავშვი ეთქმოდა, მაგრამ ტანის სისრულით და აღნაგობით თავისზე უფროსებს არ ჩამოუვარდებოდა. რაც შეეხება ღონეს, მაშინაც, მართლაც, უᲩვეულო ღონის პატრონი იყო.

მახსოვს, სამზარეულოში კერძების მოსახარშად უზარმაზარ ქვაბებს ხმარობდნენ. თითოში დაკლული ხარიც ადვილად ჩაეტეოდა. როდესაც იმ ქვაბებს წყლით აავსებდნენ, ღუმელზე შემოსადგმელად, კარბაში რკინის კეტს გაუყრიდნენ და ადგილამდე ოთხ-ხუთ კაცს ძლივს მიᲭონდა. კოსტა კი იმ ქვაბს მარტო დგამდა ღუმელზე.

---

* მოწარწᲣული – შემართული, გაცხარებული, გაავებული.

ჭიდაობით? ჭიდაობით მაშინ არ ჭიდაობდა. არ ვიცი, რატომ. შეიძლება იმიტომ, რომ მთელი დღე სამზარეულოში ტრიალებდა და დრო არ ჰქონდა, ან ამისკენ იმ დროს გული არ მიუწევდა. მაგრამ ერთმა სრულიად მოულოდნელმა შემთხვევამ კოსტა მაისურაძის ჩვეული ცხოვრების წესი სრულიად შეცვალა, ბუნებით ნაბოძები ნიჭი და მოწოდება აპოვნინა, რითაც შემდეგ სახელი მთელ მსოფლიოში გაითქვა.

მაშინდელ კისლოვოდსკში შაბათ-კვირას, ყველაზე ხალხმრავალ ადგილას, სხვადასხვა სახის სანახაობები და აზარტული თამაშობები იმართებოდა. მათ შორის შეჯიბრებები ჭიდაობაში. ჭიდაობის მოყვარულები საჭიდაო მოედანს განსაკუთრებით მას შემდეგ მიეძალნენ, რაც ქალაქში რუსეთის რომელიღაც მხარიდან პროფესიონალ მოჭიდავეთა ერთი ჯგუფი გამოჩნდა.

ამ ჯგუფს თავისი განსაკუთრებული პროგრამა ჰქონდა და არჩეული ხელმძღვანელიც ჰყავდა. ჯგუფის წევრები სანაძლეოზეც ჭიდაობდნენ, დიდ თანხაზეც. ერთმანეთში პირველობის დასამკვიდრებლადაც ინტერესის გამოც და ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშეც.

შაბათ-კვირას, როცა მოედანზე ხალხი შეიკრიბებოდა, ჯგუფის ხელმძღვანელი მაყურებლის წინაშე გამოვიდოდა და მოუწოდებდა, ვისაც სურვილი გაქვთ და გულიც გერჩით, ჩვენს მოჭიდავეებთან თქვენი ძალა და შესაძლებლობა შეამოწმეთ. გამარჯვებული, სახელთან ერთად, ფულად ჯილდოსაც მოიპოვებსო.

ამგვარი მომხიბვლელი წინადადების შემდეგ ბედს ბევრი ცდიდა, მაგრამ უფრო ხშირად გამარჯვებაც და დაწესებული ჯილდოც ჩამოსულ მოჭიდავეთა ჯგუფის წევრებს რჩებოდათ. ეს არც იყო გასაკვირი. ისინი პროფესიონალები იყვნენ, როცა მათ მოწინააღმდეგეთა უმეტესობას ამ საქმეში მცირე გამოცდილება თუ ჰქონდათ და ძირითადად ფიზიკური ძალის იმედს იყვნენ მინდობილნი. მაგრამ ერთ შაბათ საღამოს კისლოვოდსკში სამუშაოდ ჩამოსულმა ერთ-ერთმა რაჭველმა იმ პროფესიონალ მოჭიდავეთა ჯგუფის ორი წევრი წააქცია. ამ წარმატებით გათამამებულმა რაჭველმა მომდევნო შაბათს ორთაჭიოლაში თვით პროფესიონალ მოჭიდავეთა ჯგუფის ხელმძღვანელი გამოიწვია, რაზედაც თანხმობა მიიღო.

საჭიდაო წრეში შესვლისთანავე მოჭიდავეთა ჯგუფის ხელმძღვანელმა მასზე ნაკლებად გამოცდილი მოწინააღმდეგე კისრულზე წამოიღო და მიწაზე ისეთი ჯიბრითა და გამეტებით დაახეთქა, ამ უკანასკნელს კისერი მოსტეხა.

ეს სამწუხარო ამბავი კისლოვოდსკში მყოფ ქართველებს შორის მაშინვე გავრცელდა. შეჯიბრებას კოსტა მაისურაძე არ დასწრებია, მაგრამ ყველაფერი დაწვრილებით შეუტყვია. შეიტყობდა, აბა, რა იქნებოდა, იმ დღეებში კისლოვოდსკში მცხოვრებ თუ დროებით სამუშაოდ ჩამოსულ ქართველობას მეტი სალაპარაკო არაფერი ჰქონდა.

მომდევნო შაბათს კოსტას, იმისთვის, ვისთანაც სამზარეულოში შეგირდად მუშაობდა, ეთქვა, დღეს მეც წამოვალ შეჯიბრებაზე და კიდეც ვიჭიდავებო.

ერთი დაშლა კი დაუშალეს, თურმე, ამხანაგებმა, მოეშვი, თუ კაცი ხარ, ეგ რა შენი საქმეა, რომელი მოჭიდავე შენ ხარ, იმ საცოდავივით შენც რამე არ მოგტეხონ და თავი არ გაიუბედუროო.

ვინ გაიგონა!

იმ დროს იქ, კისლოვოდსკში, დროებით თუ მუდმივად მცხოვრები ქართველები ყველანი ერთმანეთს ვიცნობდით და შეჯიბრების საყურებლად მოსული კოსტა მაისურაძე რომ დავინახეთ, ეს განსაკუთრებულ ამბად არავის შეგვიცხადებია. მოვიდა, მერე რა, სხვები თუ მოდიოდნენ, იმის მოსვლა განსაკუთრებულ ამბად რატომ უნდა ჩაგვეთვალა.

როცა რამდენიმე წყვილმა იჭიდავა და წრეში შემოსულმა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ჩვეულებისამებრ, გამოაცხადა, ვისაც გსურთ, გამოდით და ჩემს ნებისმიერ მოჭიდავეს შეებრძოლეთო, ყველასთვის მოულოდნელად, საჭიდაო წრეში კოსტა მაისურაძე გადავიდა. ამან მისი ნაცნობი ქართველები გააკვირვა და დააბნია კიდეც. რადგან მისი ჭიდაობა მანამდე არავის ენახა, ყოველ შემთხვევაში, კისლოვოდსკელი ქართველებიდან მაინც, და არც გაეგონა. როგორც გითხარით, კოსტა ამ დროს ძალიან ახალგაზრდა იყო, თუმცა, არც შეხედულება აკლდა და არც ჯანი. აკი ვთქვი კიდეც, ოთხ-ხუთ კაცს რომ აწევა უჭირდა, იმ ქვაბს ღუმელზე მარტო დგამდა-მეთქი. ასეთი ძალის პატრონს, ვინც უნდა იყოს, თუ ცოტაოდენი ხერხებიც იცის, მოყვარულის დონეზე, წესით, ჭიდაობა არ უნდა გაუჭირდეს. – უხსნიდა და უმტკიცებდა ეგნატე თავის მზისელ თანასოფლელებს. – ეს ჩვენი ახალბედა მოჭიდავე – კოსტა მაისურაძე საჭიდაო წრეში ამდენი ხალხის წინაშე პირველი გამოსვლით, ერთგვარად დაბნეულ-დარცხვენილი, თავს უხერხულად გრძნობდა. ალბათ, ამიტომ, თუ რა ვიცი, რა მოსდიოდა, თვალებს აქეთ-იქეთ ისე აცეცებდა, იტყოდით, ვიღაცის მოულოდნელი თავდასხმის მოლოდინში ზედმეტად დაძაბული იმას ცდილობს, უცნობი მოწინააღმდეგის გამოჩენას მომზადებული დახვდეს. არც ერთი მისი ნაბიჯი არ გამორჩეს და თვით უმცირესი მოძრაობაც, უყურადღებობით არ გამოეპაროსო.

ამბის თხრობისას ყველაფრის დაწვრილებით აღწერა და დასურათხატება სჩვეოდა ეგნატე ბიძიას და ამ წესს არც ახლა ღალატობდა.

ჯგუფის ხელმძღვანელმა წესისამებრ, როგორც სხვებს, მასაც ჰკითხა, ვისთან გსურს ჭიდაობაო. კოსტამ თამამად მიუგო, შენთანო.

ასეთმა, ერთი შეხედვით, თავხედურმა გამოწვევამ, ყველა იქ მყოფი გააკვირვა.

ამგვარმა დაუფიქრებელმა სითამამემ ერთ შენისთანა ბიჭს, წინა შაბათს კისერი მოატეხინა. ფრთხილად იყავი, შენც იგივე არ დაგემართოსო, მუქარით გააფრთხილა კოსტა მოწინააღმდეგემ.

კოსტას პასუხი არ გაუცია, არც გადაწყვეტილება შეუცვლია.

პირველსავე გაბრძოლებაზე ყველანი მივხვდით, რომ მოწინააღმდეგე კოსტას გამოცდილებით და ილეთებით ჯაბნიდა, მაგრამ მასთან ძალით

ვერ მოდიოდა. არ ვიცი, იმიტომ, რომ კოსტა მაისურაძე თავის მოწინააღმდეგეზე ბევრად ახალგაზრდა იყო, ან იქნებ იმიტომ, რომ შესახედავად იგი არაჩვეულებრივად მომხიბვლელი აღნაგობის ვაჟკაცი იყო, ეგებ იმის გამოც, რომ ეს ჯგუფი თავისი თავხედური ქცევებით ქალაქში ყველას აღიზიანებდა, ჭიდაობის საყურებლად მოსულთა დიდ უმრავლესობას, უცნობთაც და ნაცნობთაც, ყველას კოსტას გამარჯვება სწყუროდა, თუმცა, ამის იმედი ბევრს არავის ჰქონდა.

შერკინებიდან რამდენიმე წუთში მოწინააღმდეგეს, შეეტყო, რომ ახალბედა მოჭიდავის დიდი ფიზიკური ძალა იგრძნო და სიფრთხილეს უმატა. თუმცა, ამან მაინც ვერ უშველა. არავინ იცოდა, შემთხვევით მოხდა, თუ კოსტამ იმარჯვა, ალბათ, ერთიც იყო და მეორეც. იგი მოწინააღმდეგეს წელში შეუვარდა და თავისი გოლიათური ძალით ისე შებოჭა რომ, ამ უკანასკნელმა მკლავები ჩამოყარა და ვერავითარი ილეთის გამოყენება ვერ შეძლო. ახალბედა ფალავანმა მეტოქე ადგილიდან მოსწყვიტა და მიწაზე ისეთი ძალით დაანარცხა, წაქცეულმა გრძნობა დაჰკარგა და განძრევა ვერ შეძლო. მაყურებელს აღტაცების შეძახილები ამოხდა.

იმ წუთას წრეში დამარცხებულის თანაგუნდელები შეცვივდნენ და გონზე მოუსვლელი თავიანთი ხელმძღვანელი წრიდან გაიტანეს. ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, იმ გუნდმა კისლოვოდსკი სამუდამოდ დატოვა.

ეს იყო კოსტა მაისურაძის პირველი ჭიდაობა და პირველი გამარჯვება. შემდეგ მან ყველაფერს თავი დაანება, ჭიდაობას მიჰყო ხელი და საქვეყნოდ ცნობილი ფალავანი გახდა. ყველაფერი ეს ასე იყო, როგორც გიამბეთ, ვინაიდან რაც ვთქვი, ჩემს თვალწინ მოხდა. ისეთი დაბეჯითებით განაცხადა ეგნატე ბიძიამ, რომ საწიანაღმდეგო თქმა არავის უცდია.

ეგნატე ლობჯანიძის ეს ნაამბობი, როგორც დამამახსოვრდა, ისე გადმოვეცი. მონათხრობისთვის არც რამე დამიკლია და არც მიმიმატებია. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, კოსტა მაისურაძის სპორტულ ბიოგრაფიაში ეს ფაქტი არსად არ არის აღნუსხული. იგი შთამომავლობას რომ არ დაკარგვოდა, ამიტომ გადავწყვიტე მისი აქ მოთხრობა. ამასთან ერთად, იმაზე ფიქრი არ მასვენებდა, ეს ნაამბობი რამდენად შეეფერებოდა სინამდვილეს. ამასაც ვფიქრობდი, ამ ამბის მომსწრე რომ არ ყოფილიყო, ასეთ რამეს საიდან გამოიგონებდა, ან რისთვის სჭირდებოდა მისი შეთხზვა.

ხანდაზმულ ღებელებს და, ასევე, ჭიორლებს კიდევ ერთხელ გამოვკითხე ეს ამბავი და რამდენიმემ დამიდასტურა, სრული სიმართლეა. ყველაფერი სწორედ ასე იყო, კოსტა მაისურაძემ პირველად ნამდვილად კისლოვოდსკში იჭიდავაო.

ნახტომი

ქუჩაში მძიმე ნაბიჯებით მიმავალი, ხელჯოხიანი, გინდაც, უხელჯოხო ხანდაზმული ქალის თუ კაცის დანახვაზე არაერთხელ მიფიქრია: რა მუხთალია ეს ოხერი წუთისოფელი და წლებიც როგორ ცვლის-მეთქი ადამიანს. ალბათ, ერთ დროს ეს ქალბატონი ულამაზესი გოგონა იყო. მკვირცხლი, ლაღი და მოუსვენარი. შეუდარებლად ეშხიანს უბნის ბიჭები უთუოდ მტრედის გუნდივით სულ უკან დასდევდნენ და თითოეული მის ალერსს ნატრობდა, ხოლო თვითონ ეს მხიარულად მოკისკისე ქალიშვილი გაზაფხულის უცხო ყვავილივით შვენოდა ქუჩას, სოფელს თუ ქალაქს და შორიდან ატკბობდა ყველას, სანამ, როგორიც თვითონ სურდა, ისეთ გულის სწორს არ იპოვიდა და ოჯახურ ბედნიერებას არ ეზიარებოდა.

ეს კაცი კი, ახლა რომ ამ დღეშია, ვინ იცის, იქნებ ჭაბუკობისას ტოლებში გამორჩეული ვაუკაცი იყო და თავზე ვაგლახად ბუზს არ ისვამდა. ლაღი, ფიცხი და უშიშარი, ცხრა ხანჯლით ცეკვავდა და ცხრა ნაბდის სიგრძეზე ხტებოდა-მეთქი.

დიახ, ხშირად ასე გამიფიქრებია გუნებაში ყოველი მოხუცი ქალის თუ უძლური ბერიკაცის დანახვაზე. თუმცა, სინამდვილეში სულაც არ ვიცოდი, იყვნენ თუ არა ის ქალი და კაცი ახალგაზრდობაში ისეთები, როგორადაც მყავდნენ წარმოდგენილნი. მაგრამ მათი იმგვარი ყოფის ცქერისას წუთისოფლის სიმუხთლესა და დრო-ჟამის უხანობაზე მწყდებოდა გული, ვინაიდან ეს მოხუცები ახალგაზრდობაში თუ ისეთი ყამარები და ამირანები, არ იყვნენ როგორებადაც ჩემს ფიქრსა და ოცნებაში ვსახავდი, ვიღაც სხვები, ვისაც მე არ ვიცნობდი, ისინი ხომ იქნებოდნენ ახალგაზრდობაში ჩემი ოცნების ყამარ-ამირანებთან მიმსგავსებულები. მაგრამ უეჭველია, რომ წუთისოფელმა არც ისინი დაინდო და სიბერემ ახალგაზრდობის დროინდელი სილაღის და სილამაზის ნატამალი არც მათ შეარჩინა. ასეთ დროს ხალხში გაგონილი ნათქვამი გამხსენებია: ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, ღმერთმა ჩემი სიბერე არ ანახოსო.

წუთისოფლის დაუნდობლობით გამწარებული კაცის მიერ, ვინ იცის როდის, არც თუ მთლად კორექტურულად ნათქვამმა სიტყვებმა, ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, ღმერთმა ჩემი სიბერე არ ანახოსო, ერთ დროს გულისხმაში ჩამაგდო და ბევრ რამეზე კიდევ უფრო მეტად დამაფიქრა.

უთუოდ ამიტომაც ჩემი მზისელი დროული მეზობლები, მათი ცხოვრების მიმწუხრის ჟამს, მეც არაერთ სხვასავით ხელაღებით რომ არ განმესაჯა და მათ წარსულ ცხოვრებაზე, ბევრის მსგავსად, მცდარი წარმოდგენა არ მქონოდა, გადავწყვიტე, სანამ მათ შესახებ რამეს ვიტყოდი, რამდენიმე ათეული წლით მათი ახალგაზრდული წლების წარსულში დავბრუნებულიყავი და შიგ ჩამეხედა. ამ ჩახედვის ჟამს ბევრი მათგანის ნამოქმედარ, არაერთ ისეთ საინტერესო შემთხვევას წავწყდომივარ, წინასწარ ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ ეს, ერთი შეხედვით, ცხვარივით მშვიდი ასაკოვანი ადამიანები ახალგაზრდობაში მსგავსი საქმეების გაკეთებას შეძლებდნენ.

...საგულდაგულოდ დახნულ-დათესილი ვრცელი მინდვრის თავში, ხეების ჩრდილში მწვანე მოლზე, შუა ხანს გადაცილებული ორი კაცი – გაბო ლობჯანიძე (კაცელეეთი) და სერგია გობეჯიშვილი (ბაჭილეეთი), ჩვეულებისამებრ, ისხდნენ. აქედან ის მინდორიც და იმის იქეთ ამწვანებული ფერდობები თუ წამოზრდილი ხე-ბუჩქებით დაფარული ხევხუვები, მართლაც, ხელისგულივით მოჩანდა. ხეებქვეშ ჩამომსხდარ გაბოს და სერგიას უთუოდ საგანგებოდ ჰქონდათ შერჩეული ეს ადგილი, რომ სამეველეო მინდვრისთვის უფრო კარგად ეთვალთვალათ.

გაბოს ხელში გაზეთი „კომუნისტი“ ეჭირა და შიგ რომელიღაც წერილს ჩუმად, მაგრამ ინტერესით კითხულობდა. მოწყენილობასაც იქარვებდა და გაზეთში აღწერილ, მისთვის საინტერესო ამბავსაც იგებდა. სამაგიეროდ, სერგიას, ამ დროს, თვალი ნახნავ-ნათესი მინდვრისკენ ეჭირა, შიგ სოფლის ნახირი რომ არ შესულიყო და ამის გამო კოლმეურნეობის თავმჯდომარის რისხვა არ დაემსახურებინა. ცხადია, თუ რომელიმე თავნება პირუტყვი ნათესში შესვლას დააპირებდა, სერგია მეველე, გასაფრთხობგასაფრთხილებლად, ჯერ ხმამაღლა დაუტატანებდა ამგვარ გუნებაზე მოსულ ოთხფეხს, მაგრამ თუ შეძახილი სასურველ შედეგს ვერ გამოიღებდა, ახლოს მისვლასაც არ დაიზარებდა და მეველის მსხვილი ჯოხით ისე მოიყვანდა ჭკუაზე, მეორედ ნათესისკენ უბრალოდ გახედვის სურვილიც არ გასჩენოდა. მაგრამ იმ დროს სოფლის ნახირი ნათესს გადაღმა ფერდობს შეფენოდა და, იქ მსუყე ბალახის ძოვით გართულს, ნახნავ-ნათესში შესვლა ფიქრადაც არ მოსდიოდა.

სერგია ერთხანს უხმოდ აბოლებდა პაპიროსს. როცა ბოლომდე დაიყვანა და ტუჩზე მისი ცეცხლის სიმხურვალე იგრძნო, მიწაზე ჩაქრო და გაზეთში თავჩარგულ გაბოს ერთგვარი უკმაყოფილებით ჰკითხა:

– რაო, გაბო, მაგ გაზეთში ისეთი რა წერია, რომ თვალი ვერ მოგიცილებია. ის ხომ არა, მეველედ გაბო დარჩეს და სერგია განთავისუფლდესო.

ძნელი სათქმელია, სერგიას ყური ჰქონდა მოკრული, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, ორი მეველიდან ერთ-ერთი დატოვოს და გაშვების კანდიდატი მე არ აღმოვჩნდეო, თუ მეწყვილის საუბარში გამოწვევა სურდა და ამიტომ იკითხა, რაც იკითხა.

გაბომ გაზეთი განზე გადადო. ამხანაგს მიუბრუნდა და მშვიდად მიუგო:

– სერგია, კოლმეურნეობის მეველედ გაბო დარჩეს თუ სერგიაო, ასეთ რამეებს გაზეთებში არ წერენ. ამეებს კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა აწესრიგებს, მაგრამ შენ ნუ გედარდება, მე და შენ მეველეობიდან კიდევ კარგა ხანს არავინ დაგვითხოვს.

– აგაშენა ღმერთმა! – ამგვარი დაიმედების გამო სერგიამ ისეთი კმაყოფილებით გადაუხადა მადლობა მეწყვილეს, თითქოს ამ უკანასკნელს ხელმოწერილი მილიონნიანი საბანკო ჩეკი გადაეცა. (როგორც ჩანს, სამუშაოდან დათხოვნა და მისი კვლავ შოვნის გასაჭირი მარტო ჩვენს დროში არ ყოფილა ადამიანების საფიქრალ-საზრუნავი. მით უფრო ასაკოვანი ხალხისათვის).

გაბო და მისიანები მზისაში დასახლების შემდეგ გავიცანი. რაც შეეხება სერგიას ოჯახს... სერგიას ოჯახს ღებიდანვე ვიცნობდი. ისინი ჩვენი კარის მეზობლები იყვნენ. მათი სახლი, ომის დაწყების წინ, ბიძაჩემმა ონისიმემ ააშენა და გააწყო კიდეც. ბიძაჩემი ონისიმე, სანამ ომში წავიდოდა და უგზო-უკვლოდ დაიკარგებოდა, მთელ ღებში ერთ-ერთი სანაქებო ხურო და კალატოზი გახლდათ. სოფელში დღესაც არაერთი სახლი დგას მისი აშენებული და იმ ძლიერი მიწისძვრის დროსაც კი, როცა თითქმის მთელი რაჭა დაინგრა და დაზიანდა, იმ სახლებს ოდნავი ბზარიც არ გასჩენიათ. მათ შორის ბიძაჩემის მიერ აგებულ ჩვენს საგვარეულო ქვიტკირის ორსართულიან და, ასევე სერგიას ერთსართულიან სახლს.

ამას გარდა, მე და სერგიას საშუალო ვაჟი – გურამი პირველი კლასიდან ერთ კლასში ვსწავლობდით. შემდეგ დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ერთად დავამთავრეთ და ბოლომდე უახლოეს მეგობრებად დავრჩით. გურამმა ტექნიკუმის დამთავრებისთანავე ცოლი შეირთო და მეუღლის მშობლიურ ზესტაფონის რაიონის სოფელში, ფუთში დასახლდა.

რაც შეეხება მამამისს, სერგიას, მისი ცხოვრებიდან რამდენიმე შემთხვევა მინდა გავიხსენო. ზოგიერთი ამბავი პირადად მისგან მომისმენია, ზოგიც მისი თანატოლი კაცებისაგან დიდი ხნის წინათ გამიგონია. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ისინი სხვებისთვისაც საინტერესო იქნება და ამიტომ არ მინდა, დავიწყებას მიეცეს. ქაღალდი კი, მოგეხსენებათ, ხანგრძლივად ინახავს მისთვის განდობილ ყოველგვარ საიდუმლოს, რამე ღირებულებას წარმოადგენს იგი, უმნიშვნელოა, ხანგრძლივად შესანახი, თუ არა.

თხრობის დასაწყისში ვთქვი, ხანდაზმული ქალისა და კაცის დანახვაზე არაერთხელ მიფიქრია, ეს ოხერი წუთისოფელი ადამიანს როგორ ცვლისმეთქი. და კიდევ ისიც ვთქვი, სერგიას ღებიდან რომ ვიცნობდი.

ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ადამიანები არც ისე ძვირად, ვუახლოვდებით ერთმანეთს. ვსაუბრობთ, ვდაობთ, ვკამათობთ, ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს გამოვთქვამთ და ასეთი ურთიერთობის შემდეგ დარწმუნებული ვართ, რომ ერთმანეთს უკანასკნელ წვრილმანამდე ვიც-

ნობთ. მაგრამ არის კი ეს მუდამ ასე?! საეჭვოა. ამაში სერგია გობეჯიშვილის მაგალითზე დავრწმუნდი. მე მას მაშინ შევხვდი და გავიცანი, როცა ამ ცხოვრებაში ყველა საქმე თითქმის მოთავებული ჰქონდა. მაგრამ ადამიანი მისი ცხოვრების აყვავების ხანაში რა და როგორი იყო, ალბათ ეს უფრო მნიშვნელოვანია. ის კი არადა, მგონია, რომ უამისოდ კაცის განვლილ ცხოვრებაზე სრულყოფილ წარმოდგენას ძნელად შევიქმნით.

ონისიმე ლობჯანიძე
ცოლ-შვილთან ერთად.
სოფ. ღები. 1938 წ.

ვინც სერგიას ჩემსავით ახალგაზრდობაში არ იცნობდა და სამოცდაათს მიტანებულს მეველის ჯოხით ხელში ნახავდა, მართალია, მასზე ვერავინ იტყოდა, დავრდომილი ბერიკაციაო, მაგრამ ათას ვინმეს რომ ემტკიცებინა, ეს კაცი ჯეელობაში ცხრა ნაბადზე ხტებოდაო, არავინ დაიჯერებდა. არადა, თუმცა, ცხრა ნაბადზე არასოდეს გადამხტარა, მაგრამ მის მიერ ჭაბუკობაში ორჯერ განხორციელებული ნახტომი ცხრა ნაბადზე გადახტომაზე იოლად შესასრულებლად და ნაკლებად თავმოსაწონად სულაც არ ჩაითვლებოდა. ცხრა ნაბადზე გადახტომაზე იოლი კი არადა, ახლა, რომ ვფიქრობ, ზოგჯერ, იგი უფრო ძნელად მისაღწევიც კი მეჩვენება.

...ზამთარში თოვლით ღებში ვის გააკვირვებ, მაგრამ იმ წლის ზამთარი მაინც ნამეტანი უხვთოვლიანი გამოდგა.

ღებში წესია: შემოდგომაზე გათიბულ ბალახს ზვინებად დგამენ და ზამთარში თოვლის მოსვლამდე იქვე, მთაში ტოვებენ. თოვლი აქ, თუ სხვა რამეში ხელისშემშლელია, როგორც არ უნდა გაგვიკვირდეს, ოგი მთიდან ზვინების ჩამოტანისას ღებელი კაცის ხელშემწყობად გამოდის: ტონიანი ზვინდადებული მარხილი თოვლზე ადვილად მოცურავს. თუმცა, მას სხვა არაერთი პრობლემის შექმნაც შეუძლია და ხშირად უქმნის კიდეც აქაურ გლეხკაცს იმ „არაერთ“ პრობლემას. მიუხედავად ყოველივესი, თოვლი იმაზე ბევრად დიდიც რომ იყოს, ვიდრე ჩვეულებრივად მოდის ხოლმე ღებში, აქაური გლეხკაცი, სურს თუ არა სურს, მთაში მაინც უნდა წავიდეს და თივა ჩამოიტანოს, თორემ საქონელი შიმშილით დაეხოცება. ხოლო უსაქონლოდ ღებელი გლეხკაცი ოგივეა, რაც ერთი ვინმე ბოგანო ცხვრის ფარის გარეშე დარჩენილი სარქალი.

სერგია გობეჯიშვილი ცოლ-შვილთან ერთად.

სერგიამ და მამამისმა, წინა დღეს გადაწყვიტეს და განთიადისას მეზობლებთან ერთად შთალის მთაში ზვინების ჩამოსატანად წავიდნენ. რამდენიმე კაცი რაზმს წინ მიუძღოდა ნიჩბებით ხელში და უკან მომავალ ხარსა და კაცს გზას უკვალავდა. უამისოდ შეუძლებელია მთაში ასვლა და იქიდან ზვინების ჩამოთრევა. თოვლის გამკვალავების ერთი ჯგუფი რომ დაიღლებოდა, მათ სხვები ენაცვლებოდნენ. ასე ააღწიეს შთალას თივების თავმოსაყარამდე. აქ მცირე ხნით ხარსაც დასვენება სჭირდებოდა და კაცსაც. დაისვენეს. მერე, სანამ პატრონები ზვინებს თოვლისაგან ანთავისუფლებდნენ, ხარები თივით ნაყრდებოდნენ.

როგორღაც მოხდა ისე, რომ სერგიასა და მამამისის ერთ-ერთი ხარი უღლიდან გამოძვრა და თავქვეზე სოფლისაკენ სირბილით დაეშვა. ამ დროს, მთიდან ბარად ხარის გაქცევა შინ უთივოდ დაბრუნებას ნიშნავდა. მთელი დღის წვალებას რომ თავი გავანებოთ, ეს სოფელში თავისმომჭრელი სირცხვილი იყო. როგორ კაცო, ვის უნახავს, რომ შთალას თივის ჩამოსატანად წასულ ღებელ მეურნეს უღლიდან ხარი გამოექცეს და შინ საღამოზე უთივოდ, ხელცარიელი დაბრუნდეს! ამ ამბავს ქვეყანას მოსდებდნენ გირიზ – დაცინვის მოყვარულები.

მამამ თავის 16-17 წლის შვილს მწყრალად უსაყვედურა, ხარი როგორ გაგექცაო. მერე არანაკლებ მკაცრად დაავალა, ამ წუთში გამოუდექი და, რითაც გინდა და როგორც გინდა, უკან დააბრუნეო. ხარის უკან დაბრუნებას სხვა შემთხვევაში ბევრი არაფერი უნდა. ამას იქაური ბავშვიც ადვილად მოახერხებს, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმეს ის ართულებდა, რომ გზა-სავალი თოვლში იმდენად ვიწრო იყო, კაცი ხარს გვერდს ვერ აუვლიდა. ხოლო უკან ადევნებული კაცი საქონელს არამც თუ ვერ გააჩერებს, პირიქით, აფრთხობს და ძალაუნებურად წინ მიერეკება. ეს დევნა შეიძლება სოფელში ჩასვლამდე გაგრძელდეს და ამასობაში ზამთრის მოკლე დღე თვალსა და ხელს შუა შემოგადნეს. ეს მეთივე კაცებმა მშვენივრად იცოდნენ და ამის მიხვედრა არც სერგიასათვის იყო ბერმუდის სამკუთხედის საიდუმლოს ამოხსნის ტოლფასი სიძნელე. ჰოდა, სერგიამ სხვა გამოსავალი რომ ვერ მოიფიქრა, ერთგან, როცა ხარს ძალიან ახლოს წამოეწია, გავაზე ორივე ხელი ოდნავ დაჭკრა, სიგრძისად გადაახტა და წინ დაუდგა. პირუტყვს, რადგან გასაქცევი არსად ჰქონდა, იძულებული გახდა, გაჩერებულიყო.

უფროსები ამ ამბავს თვალს ინტერესით ადევნებდნენ და არც ერთს იმედი არ ჰქონდა, რომ ბიჭი ხარის უკან დაბრუნებას შესძლებდა. სერგიას სიმარჯვემ, ყველა გააკვირვა. ხართან ერთად უკან დაბრუნებული ახალგაზრდა უფროსებმა გულწრფელად შეაქეს. მხოლოდ მამას არ დაუძრავს კრინტი. ზვინთან საქმიანად მოტრიალემ საკმაოდ გაღიზიანებულმა მარტო ეს უთხრა:

– მოიყვანე ეგ უზნეო კაწაბახა, ულელში შეაბი და ვნახოთ, მარხილსაც ისევე ყოჩაღად თუ წაათრევს, როგორც სოფლისკენ ცარიელა გარბოდა!

იმ დღის შემდეგ ეს შემთხვევა, დიდხანს სალაპარაკოდ ჰქონდათ სამეზობლოში.

შეიძლება ზოგმა თქვას, ეს რა ისეთი დიდი ამბავია, რომ იგი სამეზობლოში გაკვირვების და სალაპარაკო საგნად ქცეულიყოო. სხვისი არ ვიცი, მე კი დღესაც მაოცებს. საქმე ის გახლავთ, რომ, ჯერ ერთი, ასეთი ნახტომის დროს გასათვალისწინებელია ხარის სიგრძე, ისიც, რომ იგი ადგილზე კი არ იდგა, მოძრაობდა. ამასთან ერთად, მხედველობაშია მისაღები რქების წინაღობა. სირბილით მიმავალ ხარს რომ მდევარი ტანის სიგრძეზე გადაახტეს და წინ დაუხვდეს, მან ჰაერში ცხოველზე რამდენადმე მეტი სისწრაფე უნდა განავითაროს. კაცმა, რომ ეს შესძლოს, გამოსარბენი ადგილი და პირობები უნდა ჰქონდეს. იქ კი იმ დროს, ცხადია, ამის არავითარი პირობა არ არსებობდა. ის კი არადა, ძნელი წარმოსადგენია, კაცი გაჩერებულ ხარს სიგრძისად გადაახტეს, მით უფრო გაქცეულს. ისიც უვარჯიშებელი ახალგაზრდა. თუ ყოველივე ზემოთქმულს გავითავლისწინებთ, მაშინ, ალბათ, აღარ დაგვაეჭვებს ის, თუ უვარჯიშებელ ღებელ ახალგაზრდა სერგია გობეჯიშვილს როგორი სპორტული მონაცემები ჰქონია. გულ-

დასაწყვეტია, რომ მიზეზთა და მიზეზთა გამო, ყოველივე ამან განვითარება ვერ ჰპოვა და ხალასი ნიჟი და ადამიანური შესაძლებლობა ჩანასახშივე ჩაკვდა. ამის თქმის უფლებას მეორე შემთხვევა მაძლევს, რაც ქვემოთ უნდა გავიხსენო.

იმავე წლის გაზაფხულზე, რაჭველი გლეხკაცის ჩვეულებისამებრ, სერგია, მამასთან ერთად, ჩრდილოეთ კავკასიაში, მაშინდელ ძაუგში სამუშაოდ გაემგზავრა. სანამ ადგილზე მივიდოდნენ, ფეხით მიმავალმა მამა-შვილმა მინდორში სამხედრო კარვები შენიშნა, რომლის მახლობლად ოფიცერი ჯარისკაცთა ოცეულს ავარჯიშებდა: მიწაში ჩასობილ ხის ორ ბოძზე ზემოდან ხისავე გარა იყო გადებული, რომელსაც, გამორბენით, თითოეული ჯარისკაცი რიგრიგობით ზედ უნდა გადავლებოდა. ერთი სიტყვით, ისევე, როგორც ეს სიმაღლეზე ხტომაში შეჯიბრების დროს ხდება. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჯარისკაცებს დამხმარე ჭოკი არ ჰქონდათ.

ჯარისკაცებს მიახლოებული მამა-შვილი ერთხანს იქვე გაჩერდა და ჯარისკაცების წვრთნას თუ ვარჯიშს თვალს ინტერესით ადევნებდა.

რამდენიმე ჯარისკაცმა სცადა ოფიცრის ბრძანების შესრულება, მაგრამ სავალდებულო დონეზე ეს ვერც ერთმა ვერ შესძლო. ოფიცერმა ოცეული ერთ მწკრივად მოაწყო და ხელახლა უბრძანა სიმაღლის დაძლევა, მაგრამ ერთი თუ ორის გარდა, ვერც ამჯერად შესძლეს წინაღობის გადალახვა. ამან ოფიცერს წონასწორობა დააკარგვინა და ჯარისკაცებს უკანასკნელი სიტყვებით დაუწყო ლანძღვა-გინება. თვითონაც არ იცოდა, სერგიას იმ წუთებში რა ბზიკმა უკბინა, უთუოდ, ახალგაზრდულმა სითამამემ უბიძგა საკუთარ შესაძლებლობაში დარწმუნებულს: ეს რა ისეთი ძნელი რამეა, რომ ამდენ ჯარისკაცს მასზე გადახტომა ვერ მოუხერხებიათო. ადგილიდან მოწყდა. ჯარისკაცების სავარჯიშოს მიუახლოვდა და ზედ ისე გადაევლო, ზემოდან გადებულ გარას, მგონი, ნახევარი მეტრით ასცდა.

უკან, მამისკენ რომ გამობრუნდა, ოფიცერმა თავისთან ხმამაღლა მოუხმო, აქ მოდიო. მამა-შვილი ოფიცრის მიერ ბიჭის თავისთან მოხმობამ ძალიან შეაშფოთა. განსაკუთრებით მამა. იფიქრა, ბიჭის თვითნებობამ უამისოდ გაღიზიანებული ოფიცერი კიდევ მეტად გააღიზიანა. შეიძლება, მთელი ჯავრი ჩვენზე იყაროს უთუოდ და მკაცრადაც დაგვსაჯოსო. არადა, არც სხვა გზა ჰქონდათ, რომ ოფიცრის ბრძანებას არ დამორჩილებოდნენ.

ახლოს მისულ სერგიას ოფიცერმა დაწვრილებით გამოკითხა, ვინ იყო. სერგიამ სალაპარაკო რუსული გვარიანად იცოდა და ყველაფერზე ამომწურავი პასუხი გასცა.

ოფიცერი ახლა იმით დაინტერესდა, სიმაღლეზე ხტომაში თუ გივარჯიშნიაო. არაო, მიუგო სერგიამ. ოფიცერმა ახალგაზრდა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა. ჯიბიდან მოვერცხლილი პორტსიგარი და ოცდახუთმანეთიანი ამოიღო და გაუწოდა, ასეთი ყოჩაღი ბიჭი რომ ყოფილხარ, ეს ჩემგან საჩუქრად გქონდესო. მერე თავისი ოცეულის ჯარისკაცებს მიუბრუნდა:

– სირცხვილით თავი სად უნდა გამოყოთ, რუსეთის მეფის არმიის ჯარისკაცებს უბრალო გლეხის ბიჭმა გაჯობათო.

...მამა-შვილი ერთხანს გონს ვერ მოსულიყვნენ ამგვარი მოულოდნელი საჩუქრის გამო. იმ დროს ოცდახუთი მანეთი ჯოგში ამორჩეულ უღელ ხარს ყიდულობდა. პორტსიგარი კიდევ სხვა იყო.

შეიძლება, ეს შემთხვევა ბევრს უცნაურად და დაუჯერებლადაც მოეჩვენოს, მაგრამ განა ამ ქვეყანაზე ცოტა რამე ხდება უცნაური და დაუჯერებელი?!

და კიდევ:

ის, ვინც სერგია გობეჯიშვილს ახალგაზრდობაში არ იცნობდა და ბოლო დროს თავის კარ-მიდამოში მშვიდად მოფუსფუსე, ცხოვრების არაერთჭირგამოვლილ, სისხლდამცხრალ და ასაკმოძალებულ ერთ რიგით, ჩვეულებრივ სოფლელ გლეხკაცს ნახავდა, როგორ წარმოიდგენდა, თუ იგი, მისი ცხოვრების გარიჟრაჟზე ასეთი ცქვიტი და ფეხმარდი ჭაბუკი იქნებოდა! ალბათ ვერა, რადგან ეს არც მე წარმომედგინა.

უთუოდ, ამიტომაც თქვა ასეთი გულისტკივილით, ვინც თქვა: ვისაც ჩემი ახალგაზრდობა არ უნახავს, ღმერთმა ჩემი სიბერე არ ანახოსო. ასაკმოძალების გამო დაუძლურებულ ამის მთქმელს ამ მწუხარე ამოოხვრაში წყევლა კი არ ჩაუდვია, არამედ დიდი დარდი და სინანული ცხოვრების წარმავლობაზე. ალბათ, უფრო მეტი ნატვრა და სურვილი, ნეტავი ვინც ჩემს დამაუძლურებელ მოხუცებულობას შეესწრება, მას ჩემი ლაღი სიჭაბუკეც ჰქონდეს ნანახი და ისიც იცოდეს, მაშინ რა ჩაუქი ვიყავიო.

ქვის გდება

ჩემს პატარა ბიჭობაში მიმაჩნდა, რომ გართობა-თამაშობანი მხოლოდ ჩემი და ჩემი თანატოლების საქმე იყო და ამასთან უფროსებს არაფერი ესაქმებოდათ. იმ დროს, ჩემი ღრმა რწმენით, უფროსებს დარბაისლური ქცევა, დინჯი საუბარი, საქმის აწონ-დაწონა, ყოველგვარ სიტუაციაში თავდაჭერილობა და სიმშვიდე შვენოდათ, ევალებოდათ და უხდებოდათ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მჯეროდა. ამიტომ წარმოიდგინეთ ჩემი უსაზღვრო გაოცება, როცა ერთ კვირა დღეს სოფლის ცენტრში თავშეყრილმა და მშვიდად მობაასე კაცებმა – ევტიხი გობეჯიშვილმა (კოტეენთი), აფრასო ლობჯანიძემ (ნიკოლეეთი), შალვა გავაშელიშვილმა (ნაწილიანთი), აფრასო ლობჯანიძემ (ნაშოენთი), ერმილე გავაშელიშვილმა (გივიტიანთი), ავალა ლობჯანიძემ (მჭედლიანთი) და რამდენიმე სხვამ, რომლებიც იმ დროს მზისაში მეურნეოის სხვადასხვა დარგს უძღვებოდნენ, ერთმანეთს შესთავაზეს, ასე უქმად დგომას სჯობია, ერთმანეთს ქვის გადაგდებაში შევეჯიბროთ, კიდეც გავერთობით და კიდეც ვივარჯიშებთო.

უნდა ვთქვა, რომ ქლუხორში ქართველების იქ ჩასახლების პირველ წლებში, როგორც მზისაში, ალბათ, ასევე, სხვა სოფლებშიც, გართობისა და თავისუფალი დროის მიზანმიმართულად გამოყენების არც ტრადიცია ჰქონდათ და არც სხვა რამე მეთოდი და მექანიზმი. გართობა კი, მოგეხსენებათ, ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებაა და მის გარეშე, როგორც ჩანს, კაცს უჭირს ცხოვრება.

უთუოდ, ამიტომ იყო, რომ მზისაში ჩასახლებამდე მშობლიურ სოფელ ღებში – ჭიდაობაში, მოკლე და გრძელ მანძილზე სირბილში, მკლავის გადაწევაში, ანუ, როგორც დღეს უწოდებენ – მკლავჭიდში, სიმძიმის აწევაში, ქვის გადაგდებაში თუ სპორტის სხვა სახეობებში მუდმივად ტარდებოდა შეჯიბრებები. აქ, მთის ამ სოფელში ძველად თუ ჩვენს დროში შესანიშნავი სპორტული მონაცემების არაერთ ახალგაზრდას შეხვდებოდით, რომელთაც, სათანადო აღზრდა რომ მიეღოთ, რომელიც გნებავთ სახეობაში შეიძლებოდა, მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენები გამხდარიყვნენ.

სოფლის უხუცესების ნაამბობს თუ დავუჯერებთ (ან კი რატომ არ უნდა დავუჯეროთ?) შორეულ წარსულშიც და მეცხრამეტე საუკუნეშიც ღებში ბევრ არაჩვეულებრივი ძალ-ღონის მქონე გლეხკაცს უცხოვრია.

ასე, მაგალითად: მოგვითხრობენ, რომ მეთვრამეტე საუკუნეში ერთ-ერთი ღებელი გლეხკაცი მარხილს რომ გამართავდა, ნეფსაში, ანუ ხის წინა ღერძში, რომელიც კავებს ერთმანეთთან აკავშირებს, ხელს თურმე ჩაავლებდა, მიწიდან თავსზევით ასწევდა და დაატრიალებდა. თუ ამას თვითონ გაუჭირვებლად შესძლებდა, იტყოდა, მსუბუქი მარხილია, ხარებს მისი ტარება არ გაუჭირდებათო.

თუ ეს მონათხრობი სიმართლეა და არა ლამაზი ლეგენდა, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ იმ ღებელ გლეხკაცს, მართლაც, რომ გოლიათური ძალა ჰქონია. ვინც მარხილი იცის, ან თუნდაც ერთხელ უნახავს, დამერწმუნება, რომ მისი ცალი ხელით აწევას და მერე თავს ზემოთ შემოტრიალებას სწორედ რომ ტიტანური ძალა სჭირდება. ხოლო ვისაც ასეთი რამის გაკეთება შეეძლო, ცხადია, რომ ის სწორედ ზღაპრული ძალის პატრონი იქნებოდა და სათანადო წვრთნის შემდეგ მისგან დიდებული სპორტსმენიც დადგებოდა.

მზისაში უფროსებისგან ასეთი ამბავიც მსმენია: მე-19 საუკუნეში მცხოვრები ერთ-ერთი ღებელი, არ ვიცი, გასართობად, არ ვიცი, თანასოფლელებისთვის თავისი უჩვეულო ფიზიკური ძალის საჩვენებლად, ფეხზე თოკით მორს მოიბამდა და მორმობმული რიონის გაღმა ნაპირიდან გამოღმა ნაპირზე გამოდიოდაო.

მთხრობელები იმასაც აკონკრეტებდნენ, ეს ორი უჩვეულო ძალის ღებელი რომელ გვარსა და ოჯახს ეკუთვნოდა, მაგრამ აქ არც ოჯახს ვასახელებ და არც მათ გვარს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ფაქტები გაზვიადებულად მეჩვენება. თუმცა, იმას კი ვიტყვი, ღებელ ახალგაზრდებს შორის ჩვენს დროშიც არა ერთი ყოფილა ისეთი, ვისი ფიზიკური ძალა და სპორტული მონაცემები იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ თუ ისინი სათანადოდ გაიწვრთნებოდნენ, შედეგსაც უთუოდ სასურველს მიაღწევდნენ.

რაც შეეხება ქვის გდებას, სპორტის ეს სახეობა, უფრო სწორი ვიქნები თუ ვიტყვი, ეს სპორტული შეჯიბრება-თამაში ღებში თავის დროზე საკმაოდ პოპულარული გახლდათ. ეს თამაშობა, ჩემი აზრით, ბირთვის კვრის წინაპრად უნდა ჩაითვალოს. როგორც ბირთვის კვრა, ქვის გდებაც ბირთვის კვრისმაგვარად სრულდება და ქვის შორს მანძილზე სროლას გულისხმობს. გამარჯვებული ის არის, ვინც ქვას სხვებზე შორს ტყორცნის. ქვის გდება, პოპულარულ თამაშობად ითვლებოდა, აგრეთვე ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ მთიელებს შორისაც. რაც შეეხება იმას, თუ სად ჩაისახა ეს თამაშობა პირველად, ამის შესახებ მტკიცებულებები არ გამაჩნია და ამაზე საუბარს აქ შევწყვეტ.

მზისაში ჩასახლებულმა ასაკოვანმა ღებელებმა ეს ტრადიციული თამაში გაიხსენეს თუ არა, უმალ შეჯიბრშიც ჩაებნენ. ისინი ათი-თორმეტი იქნებოდნენ, რაც შეეხება მაყურებელს, სანახშო მოედანზე მათ საყურებლად თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. ხალხი ხალისიანი შეძა-

ხილებით ამხნევებდა ყველა მონაწილეს. ბოლოს შეჯიბრში აფრასო ლობჯანიძე (ნიკოლეეთი), ევტიხი გობეჯიშვილი (კოტეენთი) და შალვა გავაშელიშვილი (ნაწილიანთი) დაწინაურდნენ. მათ რამდენჯერმე მოახდინეს თავიანთი ძალისა და ოსტატობის დემონსტრირება. უმნიშვნელო მანძილით, მაგრამ მაინც ყველას ევტიხი გობეჯიშვილმა აჯობა.

აქ ერთიც უნდა ითქვას: იმ დღეს შეჯიბრში მონაწილეთაგან, ქვის გდების ორიგინალური ხერხით ყველასაგან აფრასო ლობჯანიძე (ნიკოლეეთი) გამოირჩეოდა. იგი ნეკსა და არათითს მოღუნავდა და ხელის გულზე დადებულ ქვას ისე ისროდა. მახსოვს, დროულმა კაცებმა თქვეს მაშინ: აფრასო რომ ისვრის, ასე ქვის გდება ყარაჩაელებს სჩვევიათ. ეს ხერხი, ეტყობა, აფრასომ მათგან ისწავლაო. მართლაც, სანამ ჩვენ მზისაში დავსახლდებოდით, აფრასო იქ დიდი ხნით ადრე, ბავშვობაში იყო ნამყოფი და ნაცხოვრები. ყარაჩაული ენა მშობლიური ქართულივით უნაკლოდ იცოდა.

ჩაბმული

ეს მზისაში ჩვენი დასახლების პირველ ზამთარს მოხდა. სოფელში ნახევარ მეტრზე მეტი თოვლი იდო და ისევ მშვიდად და ბარაქიანად თოვდა.

არ ვიცი, ვინ, ან როდის მოასწრო, სოფლის მთავარ მოედანზე, მაღაზიის წინ, თავისუფალ ადგილას თოვლსა და მიწაში ჩაბმულას ჯოხის ჩამაგრება.

მე და ჩემი თანატოლები – გივი და ბერდია გავაშელიშვილები, გურამ გობეჯიშვილი, იური, ლეო, კარლო და გურამი ლობჯანიძეები, აგრეთვე ჩვენთან შედარებით გვარიანად მოზრდილი, თითქმის საცოლედ შეღერებული რამდენიმე ბიჭი ერთდროულად მივედით იმ ადგილას. მაშინ არც თუ ისე კარგად ვიცოდი ჩაბმულას თამაშის წესები. ალბათ, ამიტომაც სხვებზე უმალ ვტაცე ხელი ჩაბმულას ჯოხს, ვიფიქრე, ამასობაში მოზრდილი ბიჭები შეთანხმდებიან და ჩაბმულას თამაშში ერთმანეთს შეეჯიბრებიან-მეთქი. მაინტერესებდა, როგორი იყო ამ თამაშში შეჯიბრის წესი.

ჯოხზე ხელის მოკიდება ვერ მოვასწარი, რომ ვიღაცის გამეტებით მოქნეული წიხლი მომხვდა. უმალ ძირს დავეცი, თუმცა, ჩაბმულას ჯოხისთვის ხელი არ გამიშვია. მალევე წამოვდექი ფეხზე, მაგრამ ამ მოულოდნელი დარტყმით ისე ვიყავი დაბნეული, ვერაფრის გაკეთება ვერ მოვახერხე. ამასობაში კიდევ მომხვდა ვიღაცის წიხლი. ახლა უკვე გარკვევით დავინახე, ჩემი თანატოლების ნაცვლად, ბევრად უფრო მოზრდილი ბიჭები „მეთამაშებოდნენ“.

სწორედ ამ დროს ჩემს კვლავ „ჩასაწიხლად“ მომზადებული ბიჭის მისამართით ვიღაცის გაღიზიანებული, მკაცრი და დამტუქსავი ხმა მომესმა:

– რას ჩადიხართ! არა გრცხვენიათ, ამხელა კაცებს თითის სიგრძე ბავშვი ჩაგიგდიათ ხელში და ვირებივით წიხლებს თავდაუზოგავად ურტყამთო?!

– სერგეი ლუკიჩ, ჩაბმულა ხომ წიხლებით ცემით თამაშია... – თავი იმართლა ერთ-ერთმა მოზრდილმა ბიჭმა.

– შეწყვიტეთ თავდასხმა! – გასცა ბრძანება „სერგეი ლუკიჩმა“ და თან ახსნა განაგრძო – კი, ჩაბმულა წიხლებით ცემით თამაშია, მაგრამ თქვენს თანატოლებს ეთამაშეთ, თორემ... ამათ თუ არ ეყოთ გონიერება, შენ რა ღმერთი გაგიწყრა, რომ ჯოხს ხელს არ უშვებ, რა, გსიამოვნებს წიხლის ცემა?! – უკვე მე მომმართავდა ბატონი „სერგეი ლუკიჩი“, ანუ სერგო ლობ-

ჯანიძე (ნანუკიანთი). თვითონაც ღებელი. იყო, ომიდან ახალდაბრუნებული და რატომღაც ყველა ასე მიმართავდა სოფელში. ბატონი სერგო რამდენიმე წლის შემდეგ ჩვენი სკოლის დირექტორად დაინიშნა და თან ქიმიას გვასწავლიდა.

იმ დღეს ჩემი „ცემის" გამო მოზრდილი ბიჭები გვარიანად შეახურა.

როცა ურთიერთობა გაირკვა, იქ მყოფთაგან ვიღაცამ ჰკითხა:

– სერგეი ლუკიჩ, ეს ჩაბმულა ძალიან მკაცრი თამაშია. თქვენ როგორ მოგწონთ, უფრო დაწვრილებით რა იცით მის შესახებ.

მარჯვნიდან მარცნივ პირველ რიგში: ხუტა მასწავლებელი (გვარი არ მახსოვს) სერგო ლობჯანიძე, აკაკი გავაშელიშვილი. დგანან მეორე რიგში: თამარ გობეჯიშვილი და სვეტლანა ლობჯანიძე.

– დასაწუნი ამ თამაშს ნამდვილად არაფერი აქვს. – წამოიწყო სერგეი ლუკიჩმა: იგი ზამთრის თამაშია. მოთამაშეები წინასწარ შერჩეულ ადგილას მეტრამდე სიფრძის მავთულს მიწაში ჩაამაგრებენ ისევე, როგორც ახლა აქ არის ეს მავთული ჩამაგრებული. მერე ზედ, ხელის მოსაკიდებლად, მტკაველის სიგრძის ჯოხს მიაბამენ, როგორც ამჟამად აქ ამ მავთულს აქვს მომბული. წილს ყრიან და ვისაც წრეში ჩადგომა შეხვდება, მავთულის ბოლოში მობმულ ჯოხს ხელს მოჰკიდებს, ისევე, როგორც – ხელით ჩემზე ანიშნა ბიჭებს, – ამას ეკიდა ხელი და წრეში მყოფი მინდორში პალოზე დაბმული ცხენივით ტრიალებს. დანარჩენი მოთამაშეები გარს შემოერტყმიან და თავს ესხმიან, ხან ცალ-ცალკე, ხანაც რამდენიმე ერთად. ვინც როგორ მოასწრებს და მოახერხებს იერიშის მარჯვედ მიტანას და თავდასხმას. თავდასხმა მავთულიან ჯოხზე ხელჩაკიდებულ მეჩაბმულავეზე წიხლის დარტყმას გულისხმობს.

თავის მხრივ, საჯარიმო წრეში მყოფი უნდა ეცადოს, თავდამსხმელს ცრუ მოძრაობით განზე გაუსხლტეს, მოატყუოს მოწინააღმდეგე და დარტყმა აიცილოს, მხოლოდ ისე, რომ ჯოხს ხელი არ გაუშვას, არც წრიდან გავიდეს. ამასთან ერთად, ყოველმხრივ უნდა ეცადოს და მოახერხოს, რომ წრის გარეთ მყოფ მოწინააღმდეგეს წრიდან ფეხი მიაწვდინოს და „დაჭრას".

ამის შემდეგ დაჭრილი წრეში დგება, ხოლო ის, ვინც მანამდე წრეში იდგა, წრის გარეთ მყოფებს უერთდება და ახლა თვითონაც თავდამსხმელი ხდება.

– ჩაბმულა „ლახტს" ჰგავს. – ჩაურთო იური ლობჯანიძემ.

– სწორია. – დაეთანხმა სერგეი ლუკიჩი, – ოღონდ ჩაბმულა ლახტზე უფრო მკაცრი და უშეღავათო თამაშია. ლახტში ორ თანაბარ ნაწილად გაყოფილი მოთამაშეთა ჯგუფი ეჯიბრება ერთმანეთს, ხოლო ჩაბმულაში ერთი ებრძვის მრავალს. ამიტომ ჩაბმულას თამაში მეჩაბმულავისაგან უჩვეულო გამძლეობას, ჯანს, სისხარტეს, მოხერხებულობას და ამტანიანობას, ანუ ყველაფერს ამას ერთად მოითხოვს.

– ეს თამაში უსამართლო და უთანასწორო თამაში ჩანს. – თავისი უკმაყოფილება ვერ დაფარა ყველაფერში განსხვავებული მოსაზრების გამოთქმის მოყვარულმა კარლო ლობჯანიძემ.

– ასე რატომ გგონია? – ჩაეკითხა სერგეი ლუკიჩი და გამომცდელად დააკვირდა.

– როგორ თუ რატომ? აბა, ერთის წინააღმდეგ მრავალის ბრძოლა სწორი და სამართლიანია?! – წყენით მიუგო კარლომ ისე, თითქოს რომელიმე იქ მყოფი ვყოფილიყავით ამის მიზეზი.

– შენ მართალი ხარ. – დაემოწმა კარლოს ბატონი სერგო და ესეც აგვიხსნა: – ჩაბმულა უშეღავათო და უთანასწორო ორთაბრძოლაა. იგი უხსოვარ დროში შექმნილი სამხედრო თამაშია, იმ დროინდელი, როცა ქვეყნის თავდასაცავად პირველი ციხე აშენდა და მისი პირველი მოალყე თავდამსხმელი გაჩნდა.

ჩაბმულა ვაუკაცობის გამოცდის საუკეთესო ხერხი და საშუალებაა. მეჩაბმულავე თავისიანებს მოწყვეტილი, მტრის გარემოცვაში ჩავარდნილი მარტოკაცი და მარტოციხეა, რომელსაც, ძნელბედობის გამო, მტრის პირისპირ დარჩენილს, საკუთარი თავის გარდა, დახმარების იმედი არავისგან უნდა ჰქონდეს. ამ მარტოკაცმა, ანუ იგივე მარტოციხემ, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ბოლომდე უნდა გაუძლოს გარშემორტყმულ, ძალითა და რიცხობრივად მასზე ათასჯერ მეტ მტერს. აიტანოს შიმშილი, გაუძლოს დამთრგუნველ წყურვილს, არ უღალატოს მხნეობამ და გამბედაობამ, ეცადოს, არ დარიოს ხელი უიმედობამ და კაცისთვის სავალალო გულგატეხილობამ.

მიუხედავად აუტანელი გასაჭირისა და მოსალოდნელი საფრთხისა, თავი უნდა გაიმამაცუროს. მისთვის სასურველი დრო შეარჩიოს და თვითონ მიუხტეს მტერს. უშიშრად დაჰკრას მკერდში მახვილი, სძლიოს და გაიმარჯვოს.

ჩაბმულა მარტო უბრალო გასართობი თამაში კი არა, თავდაცვითი სამხედრო ხელოვნებაა. იგი მხოლოდ საქართველოს მსგავს მცირერიცხოვან და თანაც მრავალმტრიან ქვეყანას უნდა შეექმნა, რომელსაც თავის დღე და წუთისოფელი უთვალავი მოძალადე მტრების წინააღმდეგ უწევდა ბრძოლა.

– ასე რომ, არც ისე ცუდი და დასავიწყებელი თამაში ყოფილა. – თქვა თემურ გავაშელიშვილმა. იგი ჩვენზე რამდენიმე წლით უფროსი იყო, მაგრამ ჩვენთან მეგობრობდა.

– სულაც არა, – დაემოწმა ბატონი სერგო, – რამდენიმე წელში ჯარისკაცობა მოგიწევთ. ამისთვის რაც უფრო კარგად მოემზადებით, მით უფრო ადვილად აიტანთ მეომრის სიძნელეს და გასაჭირს.

სერგეი ლუკიჩი მალე წავიდა. მოზრდილი ბიჭები განზე გადგნენ და მე და ჩემი თანატოლები რიგ-რიგობით ვცვლიდით ერთმანეთს ჩაბმულას წრეში. ამ დროს კი ზეციდან შეუწყვეტლად მოდიოდა ვაუკაცის ხელისგულისტოლა ფანტელები და გამალებით ეფინებოდა დედამიწას.

მუღმის მრძოლა

ერთფეროვნება კაცს მალე სწყინდება.

წაიკითხავს თუ არა ვინმე ამ წინადადებას, ალბათ, დამცინავად გაიღიმებს და იტყვის: აღმოაჩინა ახლა ამანაც ახალი ამერიკა, არქიმედის, თუ მსოფლიო მიზიდულობის კანონიო.

ღმერთი, რჯული, ასეთი რამ წუთითაც არ მიფიქრია. რომც მეფიქრა კიდეც, ან ერთს, ან მეორეს, ან მესამეს აღმოვაჩენდი თუ რა! ვერა, რა თქმა უნდა, იმ უბრალო (თუმცა, არც ისე უბრალო!) მიზეზის გამო, რომ ღვთის წყალობით და ჩვენდა საბედნიეროდ, ისინი დიდი ხანია, რაც აღმოჩენილია და თანაც ჩემზე ბევრად უფრო ქკვიანი ადამიანების მიერ. მიუხედავად ამისა, კვლავ ვიტყვი: ერთფეროვნება მოსაწყენია და ამის გამო, ადამიანებს კიდეც მალე სწყინდებათ იგი. ერთფეროვნება უძრაობაა, უძრაობა კი ყველაფერს ახავსებს, აჭაობებს და ანადგურებს. უფალმა უთუოდ ამიტომაც შექმნა ქვეყანა „უთვალავი ფერითა“, რომ იგი მოსაწყენი არ ყოფილიყო. მერე წელიწადი ოთხ დროდ დაყო – გაზაფხულად, ზაფხულად, შემოდგომად და ზამთრად, რათა იგი უფრო გაეხალისებინა და მრავალფეროვანი გაეხადა.

როგორ ჰგავს წელიწადის დროის ოთხ მონაკვეთად დაყოფა ადამიანის სიცოცხლის, ასევე, ოთხ პერიოდს: ბავშვობა – გაზაფხულს მაგონებს, ზაფხული – სიჭაბუკეს, შემოდგომა – კაცის ჭარმაგობას, ხოლო ზამთარი ნამდვილად ადამიანის მხცოვანების ხანაა. იქნებ ხელოვნური, პირობითი და არაზუსტია წელიწადის დროების ჩემეული მორგება და მისადაგება წუთისოფელში ადამიანის სიცოცხლის ცვალებადობასთან, მაგრამ მერე რა, ამით რა შავდება? აკი, არაერთხელ თქმულა: ყოველგვარი პარალელები სახიფათოა და ყოველი შედარება მოიკოჭლებსო. ალბათ, მაგრამ ასე იყო თუ ისე, მზისაში მე და ჩემი თანატოლები ასე რთულ რამეებზე არ ვფიქრობდით, არც წელიწადის რომელიმე დროს ვემდუროდით და არც უკმაყოფილო ვიყავით. ყველა დრო თავისებურად გვხიბლავდა. მაგრამ შემოდგომა წელიწადის სხვა დროზე მეტად ნამთეური საქონლის ბარში ჩამოყრით გვიყვარდა. (ნამთეურს საქართველოს სხვა კუთხეებში ნაიალაღარს ეტყვიან, საქონელს – ნახირს). „მე არც ერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართულის გვარისა“, მაგრამ ამ შემთხვევაში, რაჭაში როგორც ამბობენ, მეც ისე ვიტყვი.

ნამთეური საქონლის ბარში ჩამოყრისას უმალ ერთბაშად გამოცოცხლდებოდა სოფელი. იმ შემოდგომაზეც ასე მოხდა, როგორც მრავალჯერ.

სოფელს ასაღები რაც ჰქონდა – აეღო, დასაბინავებელი – დაებინავებია, მოსამარაგებელიც, შეძლებისდაგვარად, მოემარაგებინა და ასე თუ ისე, ყოველმხრივ მომზადებული ელოდებოდა თოვლით, ყინვით და ქარბუქის ზუზუნით მომავალ ზამთარს. თუმცა, იგი ჯერ არ ჩანდა. ბარში, თორემ მთაში მისი მსუსხავი სუნთქვა ქედებს წვერებზე თეთრ ჭიღად აჭდა.

მოახლოებული ზამთრის ჩუმი ნაბიჯების ხმა ყველაზე პირველად მთის საძოვრებზე მყოფმა მწყემსებმა იგრძნეს და ნაცნობ არე-მარეს დანატრებული ნახირი ბარში აბღავლებული ჩამოყარეს.

მზისელმა მწყემსებმა კოლმეურნეობის საქონელი, დროებით, იქვე ახლოს, მდინარის ნაპირას, განიერ ჭალაში დააბინავეს, ხოლო საბავშვო სახლის ჯოგი მათგან ასი, ასორმოცდაათი მეტრის მოშორებით იყო გაშლილი. მწყემსები შუაზე იდგნენ, რომ ერთის მხრივ კოლმეურნეობის და მეორეს მხრივ – საბავშვო სახლის კუთვნილი ნახირი ერთმანეთში არ არეულიყო.

ჩვენ, მე და ჩემი თანატოლები, უმალ ჭალაში გავჩნდით. უფროსებს ხან ვეხმარებოდით, უფრო მეტად კი, ხელს ვუშლიდით. ისინიც, ასეთ დროს, მრისხანედ დაგვიტატანებდნენ, მოგვშორდით, ყველანი შინ წადით, ხელში წიგნი აიღეთ და გაკვეთილები ისწავლეთო.

მთელი კვირა მოუთმენლად ველოდებოდით მთიდან საქონლის ჩამოყრას და ახლა შინ წავიდოდით, როგორ არა!

მწყემსების შეძახილზე დროებით სხვაგან გადავინაცვლებდით და იქედან ვწკვრელავდით ნამთეურ, ნასუქალ მოზვრებს, დეკეულებს თუ ფურებს და იმაზე ვდაობდით, რომელი რომელს სჯობდა. თან თვალი საბავშვო სახლის ნახირისკენ გვეჭირა. გავიგეთ, რომ იმათ ახალი ბუღა შეეძინათ და დარწმუნებული ვიყავით, თუ საშუალება მიეცემოდათ, ის და ჩვენი კოლმეურნეობის ბუღა ერთმანეთს უთუოდ შეებრძოლებოდა, თავი რომ გამოეცადათ, რომელი უფრო ძლიერი იყო. იმ დროს ჩვენთვის ბუღების ჭახაობის ყურება მეტად ხალისიანი გასართობი იყო.

რაღა მარტო ჩვენთვის! მოგვიანებით გავიგე, რომ ბუღების, ხარების და თვით ძროხების შეჯიბრება არაერთ ქვეყანაში ყოფილა წესად და ჩვეულებად. ესპანური კორიდა ასეთი შეჯიბრების მოწყობის ნაირსახეობა არ არის?

ბუღების და ხარების შეჯიბრის გამართვას კიდევ რა უშავს. ამას წინათ ერთ კინოჟურნალი ვნახე, იტალიის ერთ-ერთ პროვინციაში ძროხების შეჯიბრი მოეწყო წლის ყველაზე ლამაზი და ძლიერი ძროხის გამოსავლინებლად. იქ ისეთი ძროხები აჩვენეს, მგონი, ჩვენებურ ხარებსაც კი აჭარბებდნენ ზომასა და წონაში.

იმ დღეს კი, რა დღეზეც აქ ვსაუბრობ, ბუღების მოსალოდნელ ბრძოლაზე ჩემი და ჩემი თანატოლების სურვილი და წინასწარი ვარაუდი გამართლდა.

სანამ ჩვენ ჯერ ისევ ნამთეური მოზვრების და დეკეულების თვალიერებით ვიყავით გართული, საბავშვო სახლის ჯოგს მათი ბუღა გამოეყო და ჩვენი ჯოგისკენ ამაყად თავაწეული, მტკიცე, მოზომილი, საკუთარ ძალასა და შესაძლებლობაში დარწმუნებული ნაბიჯებით გამოემართა. დროდადრო მცირე ხნით შედგებოდა, ხრინწიანი, მაგრამ მრისხანე ხმით დაიბღავლებდა და მიმართულების შეუცვლელად მოდიოდა. მის მძიმე, დაკუნთული ტანის რხევაში ძალისა და ენერგიის მოზღვავება იგრძნობოდა.

ბუღა კოლმეურნეობის ჯოგს საკმაო მანძილით რომ მიუახლოვდა, ამჯერად უფრო ხანგრძლივად შეჩერდა. თავი ძირს მძიმედ დახარა, ისე, რომ ლამის ცხვირი მიწას შეახო. ბალიშივით ამობურცული სქელი და მძიმე ქედი კიდევ უფრო დაბერა. მიწას რამდენჯერმე მძლავრად ჩაბღავლა, თითქოს იქ ვიღაცას მომავალ ორთაბრძოლაში გამარჯვებას შესთხოვდა. მერე ფეხებით მიწის თხრა და ბღვირაობა დაიწყო. წინა ფეხებით მოთხრილ მიწას უკან-უკან ისროდა და საკუთარ ტანზე იყრიდა. ამით, ჯერ შორიდან იწვევდა მოწინააღმდეგეს ორთაბრძოლაში და თან მისებურად ემუქრებოდა, აშინებდა. წინასწარ შიშის ზარს სცემდა, რაც ადამიანურ ენაზე, ალბათ, ასე გამოითქმებოდა: მოვდივარ და თუ ბიჭი ხარ, დამიხვდი. მაგრამ თუ თავი არ მოგძულებია, შენთვის ბევრად უმჯობესი იქნება, სანამ მოვალ, მანამდე გამეცალო, თორემ მანდ როცა მოვალ, მრთელს ერთ რქას არ შეგარჩენო.

მზისას კოლმეურნეობის ბუღამ როგორც კი საბავშვო სახლის ჯოგიდან მისკენ მომავალი მეტოქის ბრძოლაში გამომწვევი ბღავილი გაიგონა, თავი მაღლა ასწია, არე-მარე დაყნოსა, იქაურობა მიათვალ-მოათვალიერა და მოწინააღმდეგეზე არანაკლები მრისხანე ხმით დაიბღავლა, რითაც უთუოდ თავისებურად ასეთი პასუხი გასცა: ვინ გგონივარ, ასე რომ მემუქრები. გეტყობა, კარგად არ მიცნობ, მაგრამ თავს მალე გაგაცნობ. ვინც შეგიშინებია, გირჩევნია, ისევ ის შეაშინო, ჩემთან ასეთები არ გაგივა, მე ჯამათას ტყუილად როდი მეძახიანო, და მოწინააღმდეგისაკენ რისხვით დაბღვერილი თვალებით და ზარიანი ბღუილით გაემართა.

ჩვენი კოლმეურნეობის ბუღას ნამდვილად ჯამათა ერქვა. ეს ჯამათა მეტად ავი იყო. ცხოველებზე კი არა, ხშირად ადამიანებზეც იწევდა. ერთხელ ერთი მწყემსი მინდორში გაემარტოვებინა, დადევნებოდა და მანამდე ედია, სანამ არ წაექცია. მწყემსს მისი დევნისაგან თავი რომ ცელარ დაეღწია და ვერც რამეს შეფარებოდა, მოსალოდნელი აშკარა ხიფათისგან გადასარჩენად მიწაზე დაწოლილიყო. მიახლოვებული ჯამათა წინა ფეხებზე დაჩოქილიყო და ისე ცდილობდა მწყემსის რქებზე წამოგებას.

არავინ იცის, ბოლოს საქმე რით დამთავრდებოდა, რომ საფრთხეში ჩავარდნილს სხვა მწყემსები არ მიშველებოდნენ და გაბოროტებული ცხოველი ჯოხის ცემით არ აეძულებინათ, იქაურობას გაცლოდა.

აი ამ ჯამათას იწვევდა ორთაბრძოლაში მზისას საბავშვო სახლის ახლადშეძენილი ბუღა.

ამასობაში ურთიერთს მიახლოებული ბუღები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაეტაკნენ. მათი რქების ჯახანი მდინარის გაღმა ისმოდა. თავდახრილები და ურთიერთზე რქებმიბჯენილები ერთიმეორეს მთელი ძალით აწვებოდნენ. ხან ერთი და ხან მეორე რამდენიმე ნაბიჯს უკან დაახევინებდა და მიწაზე ფეხებით, როგორც საბნისი, ისეთ კვალს ტოვებდნენ. ალბათ, გაჭირვებისაგან ორივენი შემზარავი ხმით ხაოდნენ და თან პირიდან დუუსა და დორბლებს ყრიდნენ. თავს არც ერთი არ იზოგავდა, რომ მეტოქე როგორმე დაეჯაბნა და გამარჯვებული გამოსულიყო. ეს გამარჯვება ბრძოლის მომგებს ორივე ჯოგზე გააბატონებდა.

როგორც ჩანს, თვისტომთა შორის პირველობის მოპოვების ლტოლვისკენ, წინამძღოლობის ნდომა-წადილი და სხვების დამორჩილებისა და მართვის დაუოკებელი სურვილი მარტო ადამიანებისთვის არ უნდა იყოს დამახასიათებელი. ეს გრძნობა დედამიწის მკვიდრ თითქმის ყველა სახეობის არსებათა თანდაყოლილი თვისება ჩანს და იგი ჯოგებად მონადირე ცხოველებში და გუნდ-გუნდად მობინადრე ფრინველებში, ადამიანებზე არანაკლებ ძლიერი უნდა იყოს. ამის დამადასტურებლად ცხოველთა და ფრინველთა სამყაროდან არაერთის მაგალითები მოხმობა შეიძლება. თვალსაჩინოებისათვის სპილოების, მგლების, ჯიხვების და ცხვრებში ყოჩების შერკინებაც კმარა. ხოლო ფრინველთაგან ჩვენთვის ყველასათვის ცნობილი მამლების „დაკორტნაც“ გამოდგება. გავიხსენოთ დავით გურამიშვილის ცნობილი სტრიქონი „რა მამალმა სხვის მამალი დაჰკორტნოს და წაეკიდოს“, როცა დაკორტნილ-დამარცხებული ასპარეზს ტოვებს და გამარჯვებული თავისი თუ მეზობლების ეზოს ქათმებზე ბატონდება. ჯოგში ამგვარი გაბატონებისთვის იყო იმ დღეს გამართული ბუღებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, და იმას, თუ რით დამთავრდებოდა ეს ბრძოლა, არა მარტო ჩვენ – პატარები, არამედ მწყემსები და სოფლიდან მოსული უფროსებიც დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს.

ერთმანეთის რამდენჯერმე აქეთ-იქით გათრევ-გამოთრევის შემდეგ, ბოლოს მაინც ამგვარ ბრძოლებში გამობრძმედილმა ჯამათამ იმარჯვა. მოულოდნელად მეტოქეს წინიდან გამოეცალა, თვალის დახამხამებაში გვერდიდან მოექცა, ფერდში რქა ამოჰკრა და მტკაველის სიგრძეზე გაუხია. ამ იაღლიშით მოწინააღმდეგემ რამდენჯერმე სიმწრით დაიბღავლა, ბრძოლას თავი ანება და განზე გავარდა. ჯამათამ სულის მოთქმა არ აცალა, უპირატესობით ისარგებლა და გამარჯვების დასაგვირგვინებლად უკან გამოედევნა. დამარცხებული, ალბათ, დარწმუნდა, რომ ბრძოლის გასაგრძელებლად ძალა აღარ ეყოფოდა, მარცხს შეურიგდა და გაიქცა. ჯამათა მაინც არ მოეშვა, კიდევ ერთხელ ამოსაკრავად რქის მიწვდენა დააპირა, მაგრამ ვეღარ მისწვდა. დამარცხებული ბუღა უკმაყოფილების გამომხატველი ბღავილით გაექცა და მტერს განერიდა.

– ახლა ამის ჯოგში მოყვანა და შემორიგება არ გინდა?! – უკმაყოფილოდ თქვა საბავშვო სახლის ჯოგის მწყემსმა.

– ეგ ისეა გაგუებული*, ერთ-ორ თვემდე არც გულს მოიბრუნებს და არც ჯოგს გაეკარება. ასე მარტო ივლის გარე-გარე მანამ, სანამ მარცხს არ დაივიწყებს და ჯავრი არ გაუვლის. – უთხრეს პასუხად მენახირეს კოლმეურნეობის მწყემსებმა და მერე ყველა თავის საქონელს დაუბრუნდა, რათა ჯოგი ღამის სათევად დაებინავებინათ.

---

* გაგუება – ცხოველის, გინდ ადამიანის რამეზე განაწყენება, გაბუტვა.

მობურთალსა — მოედანი...

ცხვისი არ ვიცი, მაგრამ მე ასე მგონია, რომ ადამიანს, ბევრ რამესთან ერთად, თამაშისადმი მიდრეკილება ქვეცნობიერად დაბადებიდან დაჰყვება თან. მისდამი სწრაფვა და სურვილი, ასაკობრივ ზრდასთან ერთად, ჩვენგან დამოუკიდებლად, მთელი ძალით გვიპყრობს და მერე სიცოცხლის ბოლომდე არ გვტოვებს. უთუოდ ამიტომ არის, რომ ახალგაზრდის ცხოვრება სპორტული თამაშებისა და გართობის გარეშე წარმოუდგენელია.

სპორტისადმი ყურადღება უდიდესია არა მარტო ჩვენს დროში, მას მუდამ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა. ამის მაგალითია, თუნდაც, ძველ საბერძნეთში ოლიმპიური შეჯიბრებები. უფრო მეტიც, წარსულში ამ თამაშების მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ ამ დროს მეომარი მხარეები უმალ ზავდებოდნენ და ქვეყანაში საომარი მოქმედებები წყდებოდა.

აქედან გამომდინარე, ალბათ, არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს თუ ვიტყვი, რომ მაშინდელი ქლუხორის რაიონის მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტული თამაშებით გატაცება თითქმის ზღვარდაუდებელი გახლდათ. მთელი რაიონის მოზარდები ჩაბმული იყვნენ კრივის, ტანვარჯიშის, კალათბურთის, მძლეოსნობის და ფეხბურთის სექციებში. მაგრამ მარტო უბრალოდ ჩაბმულნი კი არ იყვნენ ამა თუ იმ წრეში, არამედ თვალსაჩინო წარმატებებსაც აღწევდნენ. ასე, მაგალითად: 1953 წელს ქლუხორელთა კალათბურთის გუნდი, ახალგაზრდებს შორის სტავროპოლის მხარის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1955 წელს სოხუმში გამართულ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ქლუხორის მოსწავლეთა კალათბურთის გუნდმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ გურამ ჩიმაკაძე (კაპიტანი), ბონდო ლობჟანიძე, ანზორ გავაშელი, ომარ გოცირიძე და გივი ჭიჭინაძე, საპატიო მეორე ადგილი მოიპოვა.

1954 წელს სტავროპოლის მხარის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ქლუხორის ქართული საშუალო სკოლის მოსწავლეთა გუნდის წევრებმა ზურაბ გავაშელმა, ბონდო ლობჟანიძემ და ძმებმა კარლო და ზაური ქარსელაძეებმა თავის თანატოლებს შორის კრივში პირველი ადგილი დაიკავეს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რაოდენ დიდია სტავროპოლის მხარე და რამდენი სოფელი თუ რაიონი შედის მასში, მაშინ ადვილი წარმოსადგენი იქნება,

როგორი ძნელი და, ამდენად, საპატიო და მნიშვნელოვანი იქნებოდა ქართველი მოსწავლე-ახალგაზრდობის ესეთი წარმატებები.

ამავე სპარტაკიადაზე ხუთკილომეტრიან დისტანციაზე რბოლაში სტავროპოლის მხარის ჩემპიონობა მოიპოვა ქლუხორელმა მოსწავლემ, ვალერიან კობაიძემ. იმ შორეულ წარსულში ქლუხორის რაიონის ახალგაზრდობის სპორტით ასეთ წარმატებებში დიდი წვლილი შეიტანა რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ შურა ახალშენიშვილმა და კრივის სექციის მწვრთნელმა ალე ხალიზოვმა.



1955 წელს სტავროპოლის მხარის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე გამარჯვებული ქლუხორის ქართული საშუალო სკოლის ფეხბურთელთა გუნდის წევრები მარცხნიდან: ზურაბ გავაშელი, ბონდო ლობჯანიძე, ანზორ კვიტაიშვილი, ვალერი კობაიძე, კარლო ქარსელაძე, კარლო ცუცქირიძე, გურამ გოგრიჭიანი, ომარი გოცირიძე, დიმა კოტეტიშვილი, გივი ჭიჭინაძე და ენგური ჩიშაკაძე.

უნდა ითქვას, რომ ქლუხორელთა შორის სპორტის ყველა სახეობა დიდი სიყვარულით სარგებლობდა, მაგრამ რაიონის ახალგაზრდობის ფეხბურთით გატაცებას მაინც ვერაფერი შეედრებოდა. ეს ბუნებრივიც არის, თუ გავითვალისწინებთ მსოფლიოში იმ დროსაც და დღესაც, ფეხბურთის უდიდეს პოპულარობას.

ქლუხორის რაიონის ფეხბურთელთა გუნდი არა მარტო ახლომახლო ქალაქებში, მთლიანად სტავროპოლის მხარის საფეხბურთო გუნდებს შორის მუდამ ერთპიროვნული ლიდერი იყო, რასაც განაპირობებდა რაიონის ქართველი ახალგაზრდობის არამარტო ფეხბურთისადმი დიდი სიყვარული, ამასთან ერთად დახვეწილი თამაში და მაღალი პროფესიული ოსტატობა.

ქლუხორის ფეხბურთელთა გუნდში სხვადასხვა დროს წარმატებით თამაშობდნენ მიშა ლობჯანიძე (ჯოტეენთი), ზურაბ გავაშელი, ბონდო ლობჯანიძე (მეკარე), გურამ ჩიმაკაძე, ლერი ქირია (მეკარე), გოგი ჩივაძე, ვანო რეხვიაშვილი და სხვები.

მიშა ლობჯანიძის მშობლები ონის რაიონის სოფელ ღებიდან საცხოვრებლად კისლოვოდსკში ომამდე გადასახლებულან. იქედან სოხუმში გადასულან, სადაც მიშამ ბავშვობის წლები გაატარა. იგი იქვე დაუახლოვდა ზღვისპირეთში შემოდგომობით საწვრთნელად ჩასულ თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის წევრებს და ხშირად მათთან თამაშობდა ფეხბურთს. მას წარმატებებს უწინასწარმეტყველებდნენ დიდ ფეხბურთში და „დინამოს" შემადგენლობაში აყვანას პირდებოდნენ, მაგრამ ოცდაჩვიდმეტი წლის ცნობილი მოვლენების დროს მოულოდნელად მიშას მამა დააპატიმრეს და ყმაწვილის ცხოვრებაში ყველაფერი აირია.

1944 წელს მიშა დედასთან და უმცროს და-ძმასთან ერთად ქლუხორში გადმოვიდა საცხოვრებლად, სადაც მისი ერთ-ერთი საყვარელი საქმიანობა სპორტი იყო, განსაკუთრებით კი ფეხბურთი. აქ იგი ქართველების მიერ ქლუხორის რაიონის დატოვებამდე გუნდის უცვლელი კაპიტანი და წამყვანი ფორვარდი გახლდათ.

შედარებით ახალგაზრდა ფეხბურთელთა თაობის წარმომადგენელი იყო ლერი ქირია. იგი გამოირჩეოდა სიტუაციაში სწრაფი გარკვევის უნარით და დახვეწილი სათამაშო ტექნიკით.

მან და მისმა ოჯახმა მალე დატოვა ქლუხორი. ამან ლერი ქირიას ცხოვრებაში გარკვეული დადებითი როლი ითამაშა. იგი ხანმოკლე შემოწმების შემდეგ, მაშინდელმა „დინამოს" მწვრთნელმა ანდრო ყორდანიამ ძირითად შემადგენლობაში მეკარედ აიყვანა.

ფეხბურთზე თავდავიწყებამდე შეყვარებული ზურაბ გავაშელი მზისაში მშობლებთან ერთად ჩამოვიდა. თავისი ფიზიკური მონაცემებით მას სპორტის არაერთ სახეობაში შეეძლო თვალსაჩინო წარმატებების მიღწევა, მაგრამ ფეხბურთი მისთვის ყველაზე ძვირფასი და მიმზიდველი აღმოჩნდა და ბოლომდე თავდაუზოგავად ემსახურა კიდეც.

ერთხელ მზისაში ზურაბს და მის მეგობარს, გუნდის მეკარეს ბონდო ლობჯანიძეს რაიონიდან ტელეფონით აცნობეს, სტავროპოლის მხარის პირველობაზე ჩერკესკის ნაკრებს ვხვდებით და სასწრაფოდ რაიონში ჩამოდითო.

მაშინ ტრანსპორტი ასე ხშირად როდი დადიოდა სოფლებსა და რაიონის ცენტრს შორის, ახლა რომ ფეხს ვერ აუქცევ. ზურაბი და ბონდო ერთხანს ელოდნენ მანქანას და რომ არ გამოჩნდა, რაიონისკენ სირბილით გაუდგნენ გზას. იმ დღეს ფეხით 20 კილომეტრი გაიარეს და მაშინ, ჩავიდნენ რაიონში, როცა მეორე ტაიმი იწყებოდა. ამ დროს მათი გუნდი 2:0 აგებდა.

...ის თამაში 3:2 დამთავრდა ქლუხორის რაიონის ფეხბურთელთა გამარჯვებით. ამ გამარჯვებაში ზურაბ გავაშელის და ბონდო ლობჯანიძის დიდი წვლილიც იყო.

ზურაბ გავაშელი ერთხანს თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის სათადარიგო შემადგენლობაშიც თამაშობდა, მაგრამ ბოლოს საქმე რაღაც ვერ აეწყო და „დინამოს" თავი მიანება. ამის შემდეგ საქართველოს არაერთი რაიონის გუნდში სცადა ბედი. ბოლოს კი გურჯაანში დამკვიდრდა, აქ ჯერ მოთამაშე იყო, შემდეგ – მწვრთნელი. საბოლოოდ ოჯახს მოეკიდა და საცხოვრებლად იქვე დარჩა.



ალექსანდრე ჩივაძე თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილი კაპიტანი.

ქლუხორელ ფეხბურთელებზე საუბრისას, ალბათ, გვერდს ვერ ავუვლი რაიონის ფეხბურთელთა გუნდის წევრს გოგი ჩივაძეს.

ამ გვარის გამოგონებისას ბევრს, ვისაც ერთხელ მაინც სმენია გიორგი სააკაძის ერთგული თანამებრძოლი, პაპუნა ჩივაძე, მას უთუოდ გაახსენდება ჩვენი დროის საქვეყნოდ ცნობილი თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ფორვარდი და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე. გაახსენდება და, დარწმუნებული ვარ მაშინვე გაიფიქრებს, ნეტავი, ცნობილი ფეხბურთელი ალექსანდრე ჩივაძე პაპუნა და გოგი ჩივაძეების ნათესავი ხომ არ არისო?

ვერ ვიტყვი, ჩვენს თანამედროვე გოგის და ალექსანდრე ჩივაძეებს გიორგი სააკაძის თანამებრძოლ პაპუნა ჩივაძესთან, გვარის გარდა, რა სისხლისმიერი ნათესაობა აკავშირებთ, მაგრამ ის კი ჭეშმარიტებაა, რომ გოგი ჩივაძე ქლუხორელია და საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელის ალექსანდრე ჩივაძის ალალი მამა გახლავთ.

ალექსანდრე ჩივაძე ქლუხორშია დაბადებული და ამ სტრიქონების ავტორს, როგორც თვითონაც იქ ნაცხოვრებს, ეს ძალიან ეამაყება.

მაშინ ჯერ ჩვილი ვაუის – ალექსანდრეს მამას, გოგი ჩივაძეს, როცა ზოგჯერ ქლუხორის ფეხბურთელთა გუნდის წევრთა თამაში არ მოეწო-

ნებოდა, მუქარანარევი უკმაყოფილებით, დაუფარავად უსაყვედურებდა მეგობრებს: თქვენ რა ფეხბურთელები ხართ! გავზრდი ჩემს ბიჭს და ის გიჩვენებთ, ფეხბურთის თამაში როგორ უნდაო.

გოგი ჩივაძის ეს სიტყვები სხვა შემთხვევაში შეიძლება არც დამახსოვრებოდათ მის მეგობრებს. სხვა შემთხვევაში, თორემ ახლა, როცა რამდენიმე ათეული წლის შემდეგ მისი წინასწარმეტყველური სიტყვები სრულად ახდა და უტყუარ ჭეშმარიტებად იქცა, – ქლუხორში დაბადებული ის ჩვილი ბავშვი, მართლაც, მისაბაძი და საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელი გახდა, მამის ის ქლუხორელი მეგობრები კმაყოფილებით იგონებენ მის სიტყვებს და თან გაოცებას ვერ ფარავენ: ასეთი რიხით რომ გვპირდებოდა, გავზრდი ჩემს ბიჭს და ის გიჩვენებთ, ფეხბურთის თამაში როგორ უნდაო, ნეტა რა იცოდა, რომ მაშინ მისი თითის სიგრძე ბიჭი ასე საქვეყნოდ ცნობილი ფეხბურთელი დადგებოდაო.

ალბათ იცოდა!.. ხშირ შემთხვევაში მშობლები არ ცდებიან შვილების მომავლის გამოცნობაში.

გზა ნაგზურს და...

როგორც ჩანს, მზის საუფლოში, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ესეც მარადიულ კანონზომიერებას ემორჩილება: ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი საწყის მდგომარეობას უბრუნდება, ზოგი შეცვლილი ფორმით, სხვა – პირვანდელი სახით. მოკლედ რომ ვთქვათ, ისეა, როგორც ანდაზაშია. გზა ნაგზურზე, წყალი – ნარწყულზე.

ამ ჭეშმარიტებაში სიცხადის შესატანად, უფრო სწორად, ანდაზიდან გამომდინარე, ქლუხორში გადასახლებულ ქართველებთან დაკავშირებული ზოგიერთი მოვლენის ასახსნელად რამდენიმე საგულისხმო შემთხვევას გავიხსენებ.

...იმ დროს ისევ სკოლაში ვსწავლობდი. მაშინ ქართველების მიერ ქლუხორის დატოვება და სამშობლოში დაბრუნება ფიქრად არავის მოსდიოდა.

ერთ დღეს, გაკვეთილების შემდეგ, მე და ჩემი თანაკლასელები – ანზორ კვიტაიშვილი და ვალიკო ჩიკვაიძე სკოლიდან შინ ვბრუნდებოდით. ანზორის მშობლები, თუ არ ვცდები, წარმოშობით გურიიდან იყვნენ. რაც შეეხება ვალიკოს, ჩიკვაიძეები, მართალია, წარმოშობით ლეჩხუმელები არიან, მაგრამ, როგორც მახსოვს, ვალიკოს მამა თელავში მუშაობდა, მომავალი მეუღლე იქვე გაიცნო და დაქორწინების შემდეგაც ერთხანს კვლავ იქვე ცხოვრობდნენ.

ანზორისა და ვალიკოს მშობლებ საქართველოდან ჩრდილოეთ კავკასიაში მათივე სურვილით გადასახლდნენ, ვინაიდან ქლუხორში მთავრობამ გეგმიურად მხოლოდ საქართველოს მთიანი რეგიონების მცხოვრებლები ჩაასახლა. ჩემი მეგობრების ოჯახმა, ისევე, როგორც არაერთმა სხვამ, თავიანთი სურვილით გადაწყვიტა საქართველოს ამ ახალ რაიონში ცხოვრება და ასე მოხდა ჩვენი – სხვადასხვა კუთხის ქართველობის ქლუხორში შეხვედრა.

ქართველების ქლუხორიდან წამოსვლის შემდეგ კვიტაიშვილების ოჯახი გარდაბნის რაიონის სოფ. გამარჯვებაში დასახლდა. ვალიკომ და მისიანებმა, გადაჭრით ვერ ვიტყვი, საცხოვრებლად რომელი ადგილი აირჩიეს. ერთი კი ვიცი, რომ ორივე ჩემმა მეგობარმა უმაღლესი დაამთავრა, მაგრამ რაც ერთმანეთს დავშორდით, მას შემდეგ არც ერთ მათგანს არ შევხვედრივარ.

ქლუხორში კი სამივენი ერთ მხარეს ვცხოვრობდით და, როგორც სხვა დროს, იმ დღესაც, საუბარ-საუბარში შეუმჩნევლად გავიარეთ ნახევარი ქალაქი. ანზორი თავის სახლს მიუახლოვდა და მალე დაგვცილდა.

ორნი რომ დავრჩით, ვალიკომ, ბევრ სხვა რამესთან ერთად, ისე, თითქოს სხვათაშორის, ესეც თქვა: ქლუხორიდან გასახლებული ყარაჩაელები თურმე გამუდმებით დადიან მოსკოვში. იქ მთავრობის ხელმძღვანელებს ხვდებიან და მშობლიურ ადგილებში დაბრუნებას ითხოვენო.

მარცხნიდან მარცხნივ: ანზორ კვიტაიშვილი, დიმიტრი ლობჯანიძე, ვალიკო ჩიკვაიძე.

მართალია, ჯერ ისევ პატარები ვიყავით, მხოლოდ მეცხრეკლასში ვსწავლობდით და ცხოვრებისეულ რთულ საკითხებში საფუძვლიანად გარკვევა და სწორი დასკვნების გამოტანა გვიძნელდებოდა, მაგრამ ის კი კარგად გვესმოდა, თუ მთავრობა ყარაჩაელებს ქლუხორში დაბრუნების ნებას დართავდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ ამით იგივე მთავრობა, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, იქ მცხოვრები ქართველების იქედან გამოდევნას აკანონებდა.

შექმნილი სიტუაციიდან, შეიძლება სხვა გამოსავალიც მოძებნილიყო, მაგრამ მაშინ ამას ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ვხედავდით. იქნება არც

ვცდებოდით, როცა ორივენი ერთი აზრისანი ვიყავით: ქლუხორის რაიონი ტერიტორიის სიმცირის გამო, ერთდროულად ჩვენ, იმჟამად იქ მცხოვრებ ქართველებსა და თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უკან მობრუნებულ ყარაჩაელებს ვერ დაგვიტევდა. ასეთ შემთხვევაში ბუნდოვანი იყო, ხელისუფლება ვის მხარეს დაიჭერდა. იქ ცხოვრებაზე პრეტენზიის მქონე ორი ერიდან უპირატესობას ვის მიანიჭებდა. თუმცა, აღარც ამ კითხვაზე იყო პასუხი ძნელი გასაცემი:

რატომ?

თუ საკავშირო მთავრობა ყარაჩაელებს თავიანთ სამშობლოში დაბრუნების ნებას მისცემდა, ამით იმ მიწა-წყალზე მათ უფლებებსაც აღიარებდა. ეს კი იქედან, ქართველების აყრას და გამოძევებას ნიშნავდა. ხოლო თუ ამას ხმამაღლა არავინ გვეტყოდა, სიბრძნე ჩვენ თვითონ უნდა გვყოფნოდა და გაგვეშვრიტა, რომ ამით იგივე საკავშირო მთავრობა ქართველებსა და ყარაჩაელებს შორის ეთნოკონფლიქტის გასაღვივებლად ფაქტობრივად ნიადაგს ამზადებდა. ცხადია, ამას იმ დროს წინასწარ ვერც მე და ვერც ჩემი მეგობარი ვალიკო ვერ მივხვდებოდით... ამაზე ჩვენზე ბევრად გამოცდილ და საქმეში ჩახედულ უფროს თაობას უნდა ეფიქრა. თუმცა, შინაგანი ხმა ყრუდ, მაგრამ მაინც გვაფრთხილებდა, თუ ჩვენ ქართველები, ყარაჩაელების იქ დაბრუნების შემდეგ ქლუხორში დავრჩებოდით, ჩვენსა და ყარაჩაელებს შორის უთუოდ წარმოიშობოდა კონფლიქტი და არა მარტო ტერიტორიულ, ასევე, ეთნიკურ და რელიგიურ ნიადაგზეც, რაც სისხლისღვრასაც არ გამორიცხავდა. (მაშინდელი ჩვენი ეშვიანი წინათგრძნობა მრავალი წლის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა მთლიანად დაადასტურა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიებზე რუსეთის მთავრობის ხელშეწყობით წარმოშობილმა არაერთმა ეთნოკონფლიქტმა.) ასე რომ თუ მშვიდად ვერ ვიცხოვრებდით, მეზობლებთან ერთთავად დაძაბული ურთიერთობა გვექნებოდა. უფრო მეტიც, მუდმივად საბრძოლო მდგომარეობაში ყოფნა მოგვიწევდა, ასეთ პირობებში ცხოვრებას რა აზრი ექნებოდა!

თუმცა, მაშინ ვალიკოს ნათქვამი ბოლომდე არ მირწმუნია, მაგრამ რაღაც უსიამოვნო ეშვმა გულში მაინც დაისადგურა და არა მარტო ჩემს გულში, არამედ ყველა ქლუხორელის გულში, ვინც ჩემამდე თუ ჩემს შემდეგ ჩემსავით ჭორის დონეზე გაიგო მოსალოდნელი გულსატკენი ამბავი. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ იმ დროს არავის ბოლომდე არ გვირწმუნია ყარაჩაელების ქლუხორში დაბრუნების რეალობა. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა. კერძოდ, ხელშეუხებლობის იმედს ჩვენ ის გვაძლევდა, რომ ამ დროს, ასე ვთქვათ, ქლუხორში ქართველების ჩასახლების ხელდამსხმელი – ი. სტალინი ჯერ ისევ ცოცხალი იყო და სახელმწიფოს მართვის სადავეები ხელში მტკიცედ ეჭირა. ყოველ შემთხვევაში, ხალხს – დიდებსაც და პატარებსაც ასე სჯეროდათ: აქედან გამომდინარე, საბჭოთა ქვეყანაში მის დაუკითხავად და ნება-სურვილის გარეშე, როგორც იტყვიან, კატა კუდს

გვერდზე ვერ გაიქნევდა და სადღაც მინდორში უპატრონოდ დაგდებულ ერთ კენჭსაც კი ადგილს ადვილად ვერავინ შეუცვლიდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იმუამად ქლუხორში ქართველების ყოფნა-არყოფნას არანაირი საფრთხე არსაიდან არ ემუქრებოდა. დარწმუნებულები ვიყავით, ბელადის დაუკითხავად ვაგლახად ხელს ვერავინ გვახლებდა. მაგრამ... გულში ეშვის მარცვალი უკვე ჩაგდებული იყო და ის ეშვის მარცვალი ქლუხორში მცხოვრებ არც ერთ ქართველს მოსვენებას არ აძლევდა.

რატომო, თუ ვინმე იკითხავს, პასუხი ასეთი იქნება: მიუხედავად ზემოთ დასახელებული მიზეზებისა, ისიც ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ამქვეყანად მუდმივი არაფერია. დროთა განმავლობაში ყველაფერი იცვლება: ყალიბდება ახალი შეხედულებები და ფასეულობები ფერმკრთალდება ესა თუ ის ისტორიული მოვლენა და ახლებურად ხდება მათი გააზრება. საქმის ამგვარი შეცვლის საშიშროება მუდამ მოსალოდნელი იყო ისეთ ქვეყანაში, როგორიც მაშინ საბჭოთა კავშირი, იგივე რუსეთი გახლდათ, რომელმაც მეოცე საუკუნის ოციან წლებში საქართველოს სრულიად უბოდიშოდ წაგლიჯა მისი განუყოფელი მხარე – სოჭი და მასთან ერთად უკანონოდ დაითავისა ჩვენი სხვა მიმდებარე ტერიტორიებიც. ამას გარდა, იმავე საბჭოთა კავშირის, ანუ რუსეთის ხელდასხმით, საქართველოს ძველთა-ძველი მხარე – საინგილო და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიის დიდი ნაწილი იქ განლაგებულ ქართულიკულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლებთან ერთად აზერბაიჯანის შემადგენლობაში მოექცა. მაშინ ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა შორის განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდა ი. სტალინი. თუმცა, იგი 1946 წელს დიდ ქართველ მსახიობთან, აკაკი ვასაძესთან საუბარში დანანებით და თავის მართლებით ამბობს: „ის შეცდომა იყო და მე მასში მონაწილეობა არ მიმიღია (საუბარია რუსეთისათვის სოჭის გადაცემაზე. დ. ლ.).

უჩემოდ მოაგვარეს ეგ საქმე, ისე რომ მე არც კი შემკითხებიან თვით ქართველი ამხანაგები და ახლა ლენინის ხელმოწერილი დოკუმენტების შეცვლა, ცოტა არ იყოს, უხერხული გამოგვივა“, ბოლოს კი დასძენს: „ერის ტერიტორიის დათმობის და გაჩუქების უფლება არავის აქვს. ერის ტერიტორია ხელშეუხებელია“. (ნოდარ ზაქარიაძე „სტალინი და საქართველო“, 1997 წ. თბილისი, გვ. 236).

სოჭის, საინგილოსა და დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის დედა სამშობლოსთვის წაგლეჯა... ასეთი უტყუარი და გაუგონარი ფაქტების შემდეგ არავის შეეძლო იმის დაბეჯითებით მტკიცება, რომ რუსეთის სინამდვილეში, ქლუხორში მცხოვრებ ქართველებს ვითომ იქიდან არყის და გამოსახლების არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა.

ზემოთ მოთხრობილის შემდეგ პარადოქსულად და ერთგვარ ამოუხსნელ გამოცანად ჩანს (ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მაინც... და იქნებ ბევრი სხვისთვისაც) თუ როგორ და რა განზრახვით გადაეცა საქართველოს

რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ქლუხორის რაიონი ყარაჩაელების შუა აზიაში გადასახლების შემდეგ. ვთქვათ, სოჭის რუსეთთან მიერთებისას სხვა დრო და სხვაგვარი ვითარება იყო. მაგრამ ახლა, 1943 წელს იმის მტკიცებას ხომ ვერავინ მოუვებოდა, რომ ამ სახელმწიფოებრივად მეტად მნიშვნელოვან საკითხს „ვინმეები" ისე გადაწყვეტდნენ, რომ სტალინს არ შეუთანხმებდნენ. შეუთანხმებდნენ და მერე როგორ!

ერთი შეხედვით, გულუბრყვილო კაცმა შეიძლება მიამიტურად ესეც იფიქროს, ქლუხორი, თებერდა – ოდესღაც ძველი ქართველი ტომების – კულხების და თუბალების საცხოვრისი იყო, რაზედაც დაწვრილებით მოგვითხრობს ზ. რატიანი თავის შესანიშნავ ნაშრომში „წყაროთა ღაღადი ანუ პირიქითა საქართველო" (თბილისი, 1995 წ.) და რუსეთმა წინაპართა მიწები მათ შორეულ შთამომავლებს – ანუ ჩვენ, ქართველებს დაგვიბრუნა და ამით ისტორიული სამართლიანობა აღადგინაო. ვიცი, ამაზე არაერთი გაღიზიანებული მკითხველი შემახსენებს, როდის იყო რუსეთს ვინმესთვის გინდაც მისი კუთვნილი რამე დაებრუნებიოს, ან რომელიმე ქვეყნის უფლებები თავისი ნებით ეცნოს, ასეთი სულგრძელობა და კეთილშობილება ამ შემთხვევაში რომ გამოეჩინაო. მართლაც, ძნელი დასაჯერებელია, რომ კულხას და თუბალების ტომების ქლუხორის ტერიტორიაზე ოდესღაც ცხოვრების ამბავი რუსეთს ამ საქმის სამართლიანობის ქვათკუთხედად გაეხადა. მით უფრო, ქვეყანამ იცის, რომ რუსეთი მუდამ იმაზე დგას, ვის რა წაგლიჯოს და უკვე მიტაცებულსა და დათავისებულს უკან დაგიბრუნებს!

ამის დასადასტურებლად რამდენიც გნებავთ, იმდენი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ აქ ეს ერთიც საკმარისი იქნება.

სტალინის გარდაცვალებიდან ხეირიანად ერთ წელსაც არ გაუვლია და მის მიერ თერთმეტი წლის წინათ 1943 წელს საქართველოსთვის „ნაჩუქარ" ქლუხორის რაიონს 1954 წელს ისევ რუსეთის შემადგენლობაში აბრუნებენ. ან ამდენ ხანს როგორ მოითმინეს ეს, მაგრამ იძულებული იყვნენ, ასე მოქცეულიყვნენ. ვის ჰქონდა ორი თავი, ეს საკითხი ბელადის სიცოცხლეში დაესვათ. დრო დაუდგათ და ოცნება აისრულეს, რითაც, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ და მიზანმიმართულად ამზადებდნენ ნიადაგს, თავის დროზე სახელმწიფო ღალატის ბრალდებით შუა აზიაში გადასახლებული ყარაჩაელების სარეაბილიტაციოდ და უკან, მათ ძველ საცხოვრებელ ადგილებში დასაბრუნებლად. რაც მოხდა კიდეც რამდენიმე წლის შემდეგ.

მაგრამ მანამდე, ანუ ყარაჩაელების დაბრუნებამდე, 1954 წელს ქლუხორის რაიონის კვლავ რუსეთის შემადგენლობაში შეყვანამ იქ მცხოვრებ ქართველ მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

საქმე ის გახლავთ, რომ მიუხედავად ქლუხორის რაიონის ტერიტორიულად საქართველოდან შორს ყოფნისა, იქ მცხოვრებ ქართველებს მიგვაჩნდა, გვეიმედებოდა და გვჯეროდა, რომ დედა-სამშობლოსაგან – საქართველოსაგან ყოველ მხრივ – ფიზიკურადაც და სულიერადაც განუყო-

ფელი ვიყავით. რუსეთის შემადგენლობაში გადასვლით ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხე ვიგრძენით. ამიტომაც ეს ჩვენთვის თითქმის ისეთივე უბედურების ტოლფასი იყო, როგორიც, ვთქვათ, მოტაცებულ ქართველთა გაყიდვა სტამბოლოს მონათა ბაზარზე და თავისი ქვეყნიდან მათი სამუდამოდ ამოძირკვა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, როგორც ჩანს, ხალხის განწყობილება იგრძნო და ამას რაიმე გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგი რომ არ მოჰყოლოდა, მოსახლეობის დასამშვიდებლად, ქლუბორში რამდენიმეკაციანი ჯგუფი მოავლინა. ამ ჯგუფიდან ორი კაცი ჩვენს სოფელს – მზისასაც ეწვია.

თბილისიდან ჩამოსულ სამთავრობო დელეგაციასთან შეხვედრისას ქლუხორის რაიონის სხვა სოფლების მცხოვრებთა რეაქცია როგორი იყო, ამას ვერ ვიტყვი, მზისაში კი მაშინ არაერთი, თუ გნებავთ, პოლიტიკრად ძალზე თამამი და მწარე განცხადება გაკეთდა, რაც იმაზე მეტყველებდა, რომ უბრალო, რიგით ადამიანებში ეროვნულობის შენარჩუნების სურვილს მძლავრი ფესვები ჰქონდა გადგმული.

შეხვედრის დაწყებისთანავე ერთ-ერთმა მზისელმა გლეხკაცმა სტუმრებს ჯიქურ ჰკითხა, საქართველოს მთავრობამ ის მაინც გვითხრას, რუსეთს რამდენად მიგვყიდაო.

დღეს არამც თუ ამგვარი, ბევრად უფრო მწვავე პოლიტიკური განცხადებები საჯაროდ კეთდება როგორც მთავრობის, ასევე, პრეზიდენტის მიმართ, თუმცა, მასზე არავინ არავითარ რეაგირებას არ ახდენს. მაგრამ დროში ყველაფერი იცვლება. ნახევარი საუკუნის წინათ, როცა საბჭოთა კავშირის მსოფლიოს ეშინოდა და ქვეყნის შიგნით მის მოქალაქეებს ხელისუფლების რომელიმე რგოლის მიმართ (მით უმეტეს, რესპუბლიკის მეთაურთა მისამართით) უბრალოდ უწყინარი შენიშვნის გამოთქმაც კი ლამის სახელმწიფო გადატრიალების ტოლფას მცდელობად აღიქმებოდა. ამიტომ საქვეყნოდ ასეთი თამამი განცხადების გაკეთება ბევრს, შეიძლება, დაუჯერებლად მოეჩვენოს, მაგრამ ეს მაშინ სიტყვა-სიტყვით ასე ითქვა და მე, რახან მაშინდელ ამბებზე ვწერ, მოვალე ვარ, ყველაფერი ისე აღვნუსხო, როგორც სინამდვილეში იყო. ზემოთაც მითქვამს და აქ კვლავ ვიმეორებ: ამ პრინციპს არსად არ ვღალატობ.

მე იქვე ვიდექი, როცა მზისელმა გლეხმა (მის გვარ-სახელს განგებ არ ვასახელებ) ეს სიტყვები ზუსტად ასე წარმოთქვა. ხოლო თუ მას ხელისუფალთაგან მწვავე რეაქცია არ მოჰყოლია, ალბათ, იმიტომ, რომ არავის სურდა, ან ხელს არ აძლევდა, ეს სიტყვები მთავრობის ყურამდე მიეტანა და ხალხი კიდევ უფრო არ გაეღიზიანებინა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ ქლუხორში მოვლინებული ჯგუფის წევრები მშვიდად შეეცადნენ სოფლის ცენტრში შეკრებილი მოსახლეობისთვის დამაჯერებელი პასუხები გაეცათ როგორც ამ, ერთი შეხედვით, პროვოკაციულ კითხვაზე, ისე ყველა დანარჩენზეც,

რაც ხალხს აწუხებდა, მათ წინაშე სვამდა და ამომწურავ პასუხს მოითხოვდა.

სხვა რამესთან ერთად, დედაქალაქიდან მოვლინებულებმა ხალხს ისიც უთხრეს, რომ ქლუხორის რაიონის რუსეთის შემადგენლობაში უკან გადაცემაში საგანგაშო არაფერი იყო და ამით ჩვენ, ანუ იქ მცხოვრებ ქართველობას არავითარი საშიშროება არ გვემუქრებოდა. ბოლოს და ბოლოს, საქართველო რუსეთის შემადგენლობაში პირველად ახლა ხომ არ შედის. იქ ჩვენს ერთად ყოფნას საუკუნენახევარზე მეტი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ამით არც ჩვენს ენას და არც ეროვნულობას არავითარი ზიანი არ მოსვლია. მომავალშიც ასე იქნება. ამიტომ ქლუხორის რაიონის რუსეთის შემადგენლობაში შესვლით ამ რაიონში მცხოვრები ქართველების ქართველობას, როგორც უკვე გითხარით, არავითარი საფრთხე არ ემუქრება. მათ, იმ დელეგაციის წევრებს, ან გონიერება ან შორსმჭვრეტელობა არ ყოფნიდათ, მიმხვდარიყვნენ, რომ თითქმის ხუთმილიონიანი საქართველოს საბჭოთა კავშირ-რუსეთის შემადგენლობაში ყოფნა სხვა იყო და საკუთარ მიწა-წყალს მოწყვეტილი ერთი რაიონის მოსახლეობის ასორმოცდაათმილიონიან რუსეთის ზღვაში ჩაკარგვა კიდევ სხვა.

ამაზე მაშინ, მე ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლემ, როგორც შემეძლო, ისეთი პასუხი გავეცი:

– თავის დროზე საქართველოს რუსეთთან შეერთებას რა დადებითი და უარყოფითი შედეგები მოჰყვა, ეს ქლუხორის რაიონის რუსეთის შემადგენლობაში ამჟამინდელ შესვლის გასამართლებლად და ხალხის დასამშვიდებლად ნაკლებად გამოდგება. დღეს შეიძლება ყველაფერი იოლად გვეჩვენება, მაგრამ მომავალში, როცა ქლუხორის რაიონი მოწყდება საქართველოს, აქ მცხოვრებ ქართველებს იმის თავდებად ვინ დაგვიდგება, რომ ჩვენს ეროვნულობას არავითარი საფრთხე არ დაემუქრება. მით უმეტეს, რომ ამის მსგავსი არაერთი მაგალითი წარსულში უკვე გვაქვს. მეფე ვახტანგ VI-მ საქართველოდან რუსეთში 1500 გამორჩეული ქართველი წაიყვანა, დღეს მათ შთამომავალთ არც ქართველობა შერჩენიათ და არც გვარი.

მაშინ ამ ჩემი სიტყვებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიმიცია. მაგრამ მოხდა კი ისე, რომ იგი მთელ რაიონს უმალ მოედო. ქლუხორის რაიონის რუსეთის შემადგენლობაში გადასვლას უთუოდ სხვებიც ასე უყურებდნენ და ყველას გულზე მოხვდა ჩემი ნათქვამი. უფრო მეტიც, ამ ამბიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ ნალჩიკში ბიძებთან სტუმრად ჩასულს, იქაური ქართველებიც ჩემს სიტყვებს იმეორებდნენ და მეკითხებოდნენ, ნამდვილად ასე თქვი თუ არაო.

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნულობის დაკარგვის საფრთხე ჩრდილოეთ კავკასიაში – ნალჩიკში, კისლოვოდსკსა და ორჯონიკიძე-ვლადიკავკაზში მცხოვრები ქართველების წინაშე არანაკლები სიმწვავით იდგა მაშინ და დღესაც არანაკლებ მწვავედ დგას. იქ მცხოვრები ქართველები სულ უფრო ძნელად ახერხებენ მშობლიურ ენაზე მეტყველებას და წერას. განსაკუთ-

რებით ახალგაზრდობა. თუ ეს პროცესი ერთხანს კიდევ ასე გაგრძელდა, ორსამ ათეულ წელიწადში მათი ქართველობიდან თითქმის აღარაფერი დარჩება.

უცხო ერის თუ ერების გარემოცვაში მცხოვრებმა ადამიანებმა უნდა იცოდნენ, რომ მცირერიცხოვანი ერების თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე დიდ ერებს არც არასოდეს უზრუნიათ და არც მომვალში იზრუნებენ. ისინი მათ ან ძალის გამოყენებით იმორჩილებენ და ისრუტავენ, ან, არადა, გარეგნული ეფექტის მოსახდენად, რამე უმნიშვნელო სატყუარას გადაგდებით თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქცევენ. საბოლოოდ კი მათ შთანთქმას, ასიმილაციას ისახავენ მიზნად. ვინც ამას დროზე ვერ მიხვდება და თავისი ეროვნულობის გადასარჩენად არაფერს იღონებს, ადვილი შესაძლებელია, რომ იმ ერს მიწისაგან პირისა გაქრობის საფრთხე დაემუქროს.

ზემოთ უკვე ვთქვი, შუა აზიაში გადასახლებული ყარაჩაელების მოსკოვში გამუდმებულ ჩასვლებსა და მშობლიურ ადგილებში დაბრუნების მცდელობის შესახებ მოარულ ხმებს ქლუხორში მცხოვრები ქართველებიდან თავიდან სერიოზულ ყურადღებას არავინ აქცევდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, ძალიანაც ეცდებოდით. თუმცა, ეს რა გასაკვირია. განა ახლა აფხაზეთშიც რაც დაგვემართა ჩვენი, ქართული უდარდელობით არა გვჭირს?

ბიბლიური, ასევე, ხალხური სიბრძნე ღაღადებს: ვინც აკაკუნებს, კარს მას უღებენო. ან კიდევ: თითქოს რა ისეთი რამეა წვეთი წყალი, მაგრამ ხომ ცნობილია, ხანგრძლივი სიჯიუტით ერთსა და იმავე ადგილზე დაცემული წყლის წვეთი უმტკიცეს ქვასაც კი ხვრეტს. ყარაჩაელებმა უთუოდ იცოდნენ ეს, ან რამე ამის მსგავსი სიბრძნე, ამიტომ მათმა გამუდმებულმა მცდელობამ, შეუპოვარმა სწრაფვამ დასახული მიზნისაკენ, უფრო კი სტალინის გარდაცვალების შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკური ვითარების შეცვლამ, ავანტიურისტი ნიკიტას სიძულვილმა ქართველი ხალხისადმი, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა მისი სტალინთან ფარული დაპირისპირება და მტრობა, სასურველი შედეგი გამოიღო. – ყარაჩაელებს სახელმწიფოს წინაშე სამამულო ომის დროს ჩადენილი დანაშაული შეუნდეს და ცამეტწლიანი გადასახლების შემდეგ სამშობლოში დაბრუნების ნება დართეს.

ქლუხორში მცხოვრებმა ქართველობამ ყველაფერი აწონ-დაწონა და მეზობელ ხალხთან რამე გართულებას ადგილი რომ არ ჰქონოდა, კავკასიელ ხალხთა შორის იმთავითვე არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობები რომ არ დარღვეულიყო და სხვათა უბედურებაზე თავიანთი ბედნიერება არ აეგოთ, თავი ვალდებულად ჩათვალეს, თავისი ნებით, მშვიდობიანად დაეტოვებინათ ის ადგილები, სადაც ამდენი წელი იცხოვრეს, იშრომეს, არაერთი სასიკეთო საქმე გააკეთეს და შორეული გადასახლებიდან დაბრუნებულ ადამიანებს მშობლიურ ადგილებში ყოველგვარი გართულების გარეშე, უმტკივნეულოდ დაბინავების საშუალება მისცეს. ჩვენ, ქლუხორელმა ქართველებმა ხელუხლებლად დავტოვეთ არა მარტო მოვლილი, ნაპატიები, ჩვენი შემწეობით გავერანებას, გაპარტახებას გა-

დარჩენილი სახლ-კარი, არამედ ყველაფერი, რაც ჩვენი ხელით ავაგეთ და ავაშენეთ. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ამ ხნის განმავლობაში უმძიმეს პირობებში, დიდი შრომითა და გარჯით შევქმენით. დიახ, ეს გავაკეთეთ ჩვენი ნებით და არა ვინმეს კარნახით, ბრძანებით თუ დავალებით. ამგვარი მოქმედება და საქციელი ქართველი ხალხის შინაგანი ბუნების გამოხატულება გახლავთ. ჩვენი ხალხისათვის მუდამ უცხო იყო და იქნება იმგვარი ქმედებები, რასაც ჩადიან ჩრდილოეთ კავკასიიდან 1943-44 წლებში გადასახლებული ერთი ხალხის ტერიტორიაზე დასახლებული ადამიანები მეორე მეზობელი ერის წარმომადგენლების მიმართ, როცა ცოცხალი თავით არ უბრუნებენ კუთვნილ ტერიტორიებს მათ ნამდვილ პატრონებს, უფრო მეტიც, არ აძლევენ მათ საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნების უფლებას.

ქლუხორში ქართველების ცხოვრების დროს ეთნიკურ ნიადაგზე არ ყოფილა არავითარი დაპირისპირება სხვა ერების არც ერთ წარმომადგენელთან. სიყვარულისა და მეგობრობის გამოხატულება გახლდათ ისიც, რომ ჩვენ, წამოსასვლელად გამზადებულებს, ადგილობრივი მოსახლეობა – ოსები, ჩერქეზები, რუსები, ებრაელები, რომელბიც მაშინ იქ ბლომად ცხოვრობდნენ, გულწრფელად გვთხოვდნენ, დავრჩენილიყავით და არ დაგვეტოვებინა რაიონი. გვეუბნებოდნენ, რომ ძალიან შეგვეჩვივნენ, დაგვიახლოვდნენ, კარგად გაგვიცვნეს და გულწრფელად შეგვიყვარეს. ცხადია, ამ სიყვარულის და მეგობრობის გაღვივება მარტო ჩვენი, ქართველების დამსახურება არ ყოფილა. ერთი კი უდავოა, ჩვენ რაც შეგვეძლო და გვევალებოდა, ყველაფერი გავაკეთეთ, რომ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებთან სიამტკბილობით და მეგობრულად გვეცხოვრა, რასაც ისინიც, თავის მხრივ, ასეთივე ქმედებით გვპასუხობდნენ. მაგრამ წილი უკვე ნაყარი იყო და რამის შეცვლა არავის შეეძლო.

ქლუხორის დატოვების შესახებ ჩვენს განზრახვას სანამ ხმამაღლა განვაცხადებდით, აქა-იქ გამოჩენილ ყარაჩაელებს არ შევუწუხებივართ არც საქმით, არც სიტყვით, ვთქვათ, თქვენ მოსულები ხართ, ჩვენს მიწა-წყალზე ცხოვრობთ, ახლა კი დროა, ადგეთ და საიდანაც მოხვედით, იქით მიმბრძანდეთო. მართალია, დროდადრო, კანტიკუნტად, თითო-ოროლა ყარაჩაელი გამოჩნდებოდა როგორც რაიონში, ისე სოფლებში, მაგრამ ფარულად და მორიდებით. ყოველ ასეთ „მოხალისეს" მშვენივრად ახსოვდა ზემდგომი ორგანოების გაფრთხილება, რომ მათ ჩვენი შევიწროების უფლება არ ჰქონდათ და თუ ჩვენ მათ შესახებ წესისამებრ განვაცხადებდით სადაც ჯერ არს, ან უჩვენოდ მიწვდებოდა ხმა მას, ვისაც ამგვარ საქმეებზე თვალისშერა ევალებოდა, კანონის დამრღვევთ სასჯელი არ ასცდებოდათ. სასჯელი კი ყარაჩაელებს გამოვლილ-ნაწვნევი ჰქონდათ და მშვენივრადაც მოეხსენებოდათ, როგორი მკაცრი იყო იგი.

მაგრამ რაკი სახელმწიფომ ყარაჩაელებს გადასახლების ადგილების დატოების ნება დართო და უფლება მისცა, მშობლიურ ადგილებთან თუნ-

დაც ასი კილომეტრის მოცილებით დასახლებულიყვნენ, ეს აშკარად თუ არ რთავდა ნებას, იგულისხმებოდა, რომ მათ თავიანთი ნაცხოვრები ადგილების მონახულება შეეძლოთ, მაგრამ ჩვენთვის რამე პრეტენზიების წამოყენების გარეშე. ეს ჰო, მაგრამ, არა მგონია. ქვეყნის სათავეში მყოფთ არ სცოდნოდათ, რომ ხალხს, რომელსაც ცამეტი წელი არ ენახა თავიანთი მშობლიური ადგილები, რაიონი, სოფელი, სახლ-კარი და უცებ იმ ადგილებთან ასე ახლოს აღმოჩნდებოდნენ, ძნელი იყო, ცდუნებას გამკლავებოდნენ და არ მოენახულებინათ თავიანთი სამშობლო, თუნდაც ამის ნება არ ჰქონოდათ. ამიტომაც ზოგ-ზოგები მოსალოდნელ სასჯელს არ ერიდებოდნენ და თავიანთი ნამოსახლარისთვის თუნდაც თვალის შესავლებად სოფელში შემოდიოდნენ და ხარბად ათვალიერებდნენ ყველაფერს, მოიკლავდნენ მოძალებულ სურვილს და კვლავ უკან ბრუნდებოდნენ, თუმცა, მერე და მერე, როცა დარწმუნდნენ, რომ ჩვენ მათ წინააღმდეგობას არ ვუწევდით და არც სადმე ვასმენდით, მნახველები უფრო და უფრო მომრავლდნენ. ისინი ხშირად მთელი კვირაობითაც რჩებოდნენ სოფლებში და გასაოცრად მშვიდად იქცეოდნენ. ყოველდღე სანახშოზე გამოდიოდნენ, ერთმანეთს ვესალმებოდით, მერე კი ისინი ცალკე იკრიბებოდნენ და ურთიერთშორის საუბრობდნენ.

შეიძლება ზოგიერთმა იკითხოს, თუკი არავინ გაძალებდათ, დარჩენილიყავით ქლუხორში, რატომ მოდიოდით საქართველოშიო. შეიძლება ასეც მოვქცეულიყავით, მაგრამ ხალხი წინ იხედებოდა და არავინ იცოდა, მომავალში რა მოხდებოდა. ისინი თავიდან იმიტომ არ გვავიწროვებდნენ, რომ ელოდებოდნენ, რას მოვიმოქმედებდით. როცა დარწმუნდებოდნენ, რომ არსად არ მივდიოდით, აი მაშინ სხვაგვარად მოიქცეოდნენ. ამას გარდა, არაერთი სხვა მიზეზიც იყო, რამაც საბოლოოდ გადაგვაწყვეტინა ქლუხორის დატოვება.

როცა ოფიციალურად გამოვთქვით ჩვენი სურვილი, დაგვეტოვებინა რაიონი, ამის შემდეგ ქლუხორს სადავემოშლილი საგუბარიდან დაძრული ნიაღვარივით ყველა მხრიდან, მოაწყდნენ ყარაჩაელები, მისი ცენტრით დაწყებული და სოფლებით გათავებული. ყველაფერი ეს რაღაცით ჰგავდა წაგებული ომის შემდეგ გამარჯვებული ჯარის მიერ დამარცხებული ქვეყნის ტერიტორიის დაპყრობას. სინამდვილეში ასეც იყო. გამარჯვებული, კმაყოფილი და ბედნიერი ყარაჩაელები ზეიმით უბრუნდებოდნენ თავიანთ ნალოლიავებ მიწა-წყალს.

ჩვენ... ჩვენ ქართველობას არ გვშურდა მათი ბედნიერება, მათ არც რამეში ვადანაშაულებდით, მაგრამ განცდით ყველაფერს მწარედ განვიცდიდით და ვერ აგვეხსნა, ბედმა რატომ გვარგუნა ასეთი ხვედრი, არაერთხელ რატომ აგვიწეწა საბუდარი. მოტყუებულები ვიყავით ყოველმხრივ და ყველასაგან. გაძარცულები, დამცირებულები, პატივაყრილები და, თუ გნებავთ, მიუსაფარნიც. ჩვენ ეს არც ქცევით, არც შრომით, არც რაიმე შებღალული სულიერი უღირსობით დაგვიმსახურებია არც უცხო და არც

საკუთარი ერის წინაშე. არადა, ჩვენი იმდროინდელი ყოფა ბევრი რამით ჰგავდა დამნაშავისთვის ყველასაგან სამაგიეროს მიზღვას.

ჩვენ ვგავდით იმ ადამიანს, რომელსაც თავის დღეში არ უფიქრია ამაზე, მაგრამ ერთ დღეს მოულოდნელად გამოეცხადა სახელმწიფო მოხელე. მოუტანა ბეჭედდასმული ღერბიანი სიგელი და უთხრა: ამ საბუთის ძალით საჩუქრად გეძლევა და როგორც წყალობა და საჩუქარი შენს სამუდამო საკუთრებაში გადმოდის ეს დიდებული ადგილ-მამული მეფური სასახლით, ყოველგვარი უძრავ-მოძრავი ქონებით, ტყით, მთით, სახნავ-სათესით და საძოვრებით. ყველაფერი ეს მხოლოდ შენია და შენი შთამომავლების სამარადჟამოდ!

ცხადია, იმ კაცს ამგვარ საჩუქარზე უარი არ უთქვამს. მიიღო ყველაფერი ეს, ვითარცა უფლის მიერ ნაბოძვარი წყალობა და როგორც საკუთარს, ისე დაუწყო მოვლა-პატრონობა, რადგან ჩათვალა, რომ მისი საკუთრება იყო. რაც ჩააბარეს, იმაზე ასჯერ მეტად აქცია ნაწყალობევი. როცა საბოლოოდ შეეგუა იმ აზრს, რომ ეს ყველაფერი მისი და მისი შთამომავლობის საკუთრებაა, (კაცმა რომ თქვას, თუ ამ ქვეყანაზე სადმე მართალი სამართალია, ის მისი საკუთრება იყო, მაგრამ ამ ქვეყანაზე, მით უფრო საბჭოთა კავშირში, იგივე რუსეთში ოდეს ყოფილა მართალი სამართალი!) ამ დროს ისევ მოვიდა ის კაცი, ვინც რამდენიმე წლის წინათ ნაჩუქრობის სიგელი ჩააბარა და გამოუცხადა, ყველაფერი უკან დაგვიბრუნე. შენ აქ არაფერი გეკუთვნის, ამის პატრონები სამოგზაუროდ იყვნენ წასულები და ადგილ-მამული რომ არ გავერანებულიყო, დროებით მისი დარაჯობა და მოვლა-პატრონობა დაგავალეთ. ახლა კეთილ ინებე, ყველაფერი უკლებლივ დაგვიბრუნე და შენი ოჯახ-მონაგრიანად სადაც გსურს, იქით წაბრძანდიო.

დიახ, ჩვენი იმდროინდელი მდგომარეობა თუ ზუსტად არა, რაღაცით მაინც ჰგავდა იმ გამოძევებელი ალალ-მართალი გლეხკაცის ხვედრს. ასევე, გუბერნატორად დანიშნული სანჩო-პანსას, რომელსაც მალევე ჩამოართვეს გუბერნატორობა და ქარის წისქვილებთან მებრძოლ თავის ძველ პატრონს უბირ მსახურად დაუბრუნეს.

ჩვენს ამგვარ ყოფაში ჩაყრისათვის ყარაჩაელებს როდი ვადანაშაულებდით. ასე ურცხვად, უნამუსოდ და უპასუხისმგებლოდ მთავრობა მოგვექცა, მან მოგვატყუა. სად თქმულა, ან სად გაგონილა, ამდენი ხალხი აყარო თავიანთი ადგილ-მამულიდან, ჩაასახლო სადღაც უცხო მხარეში, მერე რამდენიმე წლის შემდეგ კი ისეთ მდგომარეობაში ჩააყენო, რომ აიძულო, ახალი საცხოვრისი ეძიოს. მაგრამ ისეთ ქვეყანაში, როგორიც საბჭოთა კავშირი იყო, შეიძლებოდა, ყოველგვარი უკუღმართობა მომხდარიყო, ამიტომ ასეთიც და ამაზე უარესიც ხდებოდა კიდეც.

ზემოთ, როცა ჩემს მშობლებზე ვსაუბრობდი, ერთგან ვთქვი: დედა-ჩემმა თუ არა, მამაჩემმა ხომ იცოდა, როგორ სახელმწიფოსთან ჰქონდა საქმე. მან ხომ მისი მოხელეებისგან არაერთხელ იწვნია ავკაცობა, და კვლავ

რატომ ენდო-მეთქი. იგივე მინდა ვთქვა ჩვენს უფროს თაობაზეც: როგორ ენდნენ მაშინდელი მთავრობის თუ მისი მოხელეების დაპირებებს, აიყარნენ მამა-პაპის მიწა-წყლიდან და უცხო მხარეში გადასახლდნენ. მერე რა, რომ ქლუხორის რაიონი დიდებული ადგილი იყო. თუ კი ადამიანებს ოდესმე მოდავე ეყოლებოდათ, ადგილის დატოვება მოუწევდათ, ანუ, თუ ეს ადგილი სამუდამოდ თავისუფალი არ იყო და ის ჩვენი ხალხის სამუდამო საკუთრება-მფლობელობაში არ იქნებოდა, რა აზრი ჰქონდა იქ დროებით დასახლებას. განა სხვაგან კი ცოტაა დიდებული ადგილი! ყველა ადგილი დიდებულია, რომელიც შეგიფარებს, მიგინაგვარლებს, ანუ შეგიტკბობს და სამშობლოობას გაგიწევს.

...ქლუხორში დაბრუნებით გახარებულმა ყარაჩაელებმა ქალაქის მთავარ ქუჩაზე უზარმაზარი სუფრა გაშალეს. იმ სუფრასთან, ცხადია, ძირითადად ყარაჩაელებმა მოიყარეს თავი, თუმცა, არც სხვას ვინმეს ეკრძალებოდა იქ მისვლა, საერთო ზეიმში მონაწილეობა, სმა-ჭამა და ქეიფი.

როცა სუფრა ხალხით გაივსო, თამადა ფეხზე წამოდგა. სავსე ჭიქა მალლა ასწია და საკმაოდ ხმამაღლა, ისე, რომ მისი სიტყვები ყველას გაეგონა, თანამეინახეებს პირველად სტალინის სადღეგრძელო შესთავაზა.

ჩანდა, იქ შეკრებილი თანამემამულეები ამას არ მოელოდნენ და, უკმაყოფილების ნიშნად, სუფრა აჩოჩქოლდა. და ეს არც იყო გასაკვირი: ყველა გასაჭირი, რაც ამ ხალხმა ნახა, გადასახლებიდან ბოლო დღეებამდე, მათი ღრმა რწმენით, ეს სტალინის ბრალი იყო. ახლა კი ეს, მათივე თანამოძმე, ისე, თითქოს ამის შესახებ არაფერი იცოდა, ამდგარა და პირველივე ჭიქით მათთვის ამ გასაჭირის დამტეხს – სტალინს ადღეგრძელებს.

თამადამ მშვენივრად იგრძნო სუფრის განწყობილება, მაგრამ წარბი ოდნავ არ შეუხრია, არც სიმშვიდე დაუკარგავს. ხალხს დაწყნარება აცალა და განაგრძო: – მე ვადღეგრძელებ სტალინს იმიტომ კი არა, რომ იგი თითქოს თქვენზე მეტად მიყვარდეს. მე ვადღეგრძელებ მას იმიტომ, რომ ეს კაცი ნამდვილად იმსახურებს ჩვენგან, ყარაჩაელებისაგან დღეგრძელობას. მართალია, მან, ჩვენს მიერ ჩადენილი თუ ჩაუდენელი დანაშაულისთვის მამაპაპური მიწა-წყლიდან აგვყარა და აქედან შორს, უცხო მხარეში გადაგვასახლა, მაგრამ შეიძლება ბევრმა თქვენგანმა არ იცოდეს, რომ, ამასთან ერთად, მანვე, ჩვენ, ყარაჩაელები, ერთიანად მოსპობას გადაგვარჩინა.

როცა კასპიის ზღვის გავლით, გემით შუა აზიაში გადავყავდით, თურმე მასთან დაახლოებული მაღალიჩინოსანი სამხედროების ერთმა ჯგუფმა სტალინს სვასტიკიანი თვითმფრინავიდან ჩვენს გემზე ორი ბომბის ჩამოგდება ურჩია. ის ხალხი სამშობლოს მოღალატეები არიან და სამშობლოს მოღალატეებისთვის ამგვარი სასჯელი დამსახურებული იქნებაო. სტალინს რომ მათთვის ყური დაეგდო, ჩვენ დღეს აქ, საკუთარ მიწა-წყალზე კი არა, ყველანი ზღვის ფსკერზე ვიქნებოდით და ყარაჩაელთა სახსენებელი სამუდამოდ მოისპობოდა დედამიწაზე.

– ომია, ყველაფერი გერმანელ ფაშისტებს დაბრალდებოდათო. – ასე გაუმართლებია თავიანთი წინადადება იმ მაღალჩინოსანი სამხედროების ჯგუფს. მაგრამ სტალინი ამის წინააღმდეგ წასულა.

– ცოცხლები რომ ვართ და ჩვენს მიწა-წყალს დავუბრუნდით, ამას სტალინს უნდა ვუმადლოდეთ. ახლა თქვენ თვითონ განსაჯეთ, სწორი ვარ თუ არა, პირველად ჩვენი გადამრჩენი სტალინის სადღეგრძელო რომ შემოგთავაზეთ.

სუფრა ერთხანს გაოგნებული დუმდა. შემდეგ ყველანი ფეხზე წამოდგნენ და ერთხმად დალიეს სტალინის სადღეგრძელო. ცხოვრება აღსავსეა უცნაური შემთხვევებითა და მოულოდნელობებით. ვინმესთვის არც ეს უნდა იყოს დაუჯერებელი, ხოლო თუ საიდან მიაღწია ამ ამბავმა ყარაჩაელთა ყურამდე, იქ ამის შესახებ არაფერი თქმულა და, ცხადია, მეც არაფერი ვიცი.

ზოგს შეიძლება ზემოთ თქმული არადამაჯერებლად მოეჩვენოს, და ისიც თქვას, ასე ღიად სტალინისადმი სიძულვილის გამომჟღავნებას მაშინ ვინ გაბედავდაო. მართლაც, დაუჯერებელი იქნებოდა, ეს რომ მომხდარიყო სტალინის სიცოცხლეში, მაგრამ შეგახსენებთ, რომ მაშინ ორმოცდაჩვიდმეტი წელი იყო, როცა ყარაჩაელები ქლუხორის რაიონში დაბრუნდნენ. სტალინი ამ დროს ოთხი წლის გარდაცვლილია და, ხელისუფლების ხელდასხმით და წაქეზებით, მისი კრიტიკა და ლანძღვა-გინება მოდაშია.

ახლა, ალბათ, საჭირო იქნება, მოკლედ გავიხსენო ქლუხორელი ქართველების ოდისეას ბოლო, უკან, საქართველოში დაბრუნების ამბავი.

თუმცა, ამ დროს მე ქლუხორში არ ვყოფილვარ, მაგრამ მეზობლებმა, მათ შორის, ჩემმა უმცროსმა ძმამ – შალვამ, ყველაფერი დაწვრილებით მიამბო. მისი და სხვათა ნაამბობის მიხედვით ვიტყვი, რა და როგორ მოხდა.

...როცა ქლუხორის დატოვება საბოლოოდ გადაწყდა, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გადასახლება-ჩასახლების სახელმწიფო კომიტეტმა რამდენიმე რაიონი შეარჩია სამშობლოში დასაბრუნებული ხალხის ჩასასახლებლად. ესენი იყო: თელავი, წითელი წყარო (ამჟამად დედოფლის წყარო) ბოლნისი, გაგრა და თეთრი წყარო.

ამის შესახებ ქლუხორში მოსახლეობას ეცნობა. ყველა სოფელმა, რამდენიმე კაციანი ჯგუფი შეარჩია. ცხადია, იმათგან, ვისაც ყველაზე მეტად ენდობოდა და მათ მიერ შერჩეული რაიონისა და სოფლების მოსანახულებლად ადგილებზე მიავლინა.

სხვებისას ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ. რაც შეეხება მზისას, ამ სოფლის მცხოვრებლებმა წითელი წყაროს რაიონში გადაწყვიტეს დასახლება და იქ თავიანთი წარმომადგენლები: ნოე გობეჯიშვილი, რაუიკო და ვალიკო ლობჯანიძეები მიავლინეს.

კომუნისტებს ყველაფრის ორგანიზება მუდამ უმაღლეს დონეზე ჩვეოდათ. წესიდან გამონაკლისი არც ამჯერად მომხდარა.

მზისადან წითელწყაროში ჩასული ჯგუფის წევრებს უბრწყინვალესი შეხვედრა მოუწყვეს რაიონის მაშინდელმა ხელმძღვანელებმა. ეს არც იყო გასაკვირი.

მოგეხსენებათ, საქართველოში სტუმრის მიღების კულტი ძველთაგანვე უმაღლეს დონეზეა აყვანილი. ამასთან ერთად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამის განყოფილებას რაიონის ხელმძღვანელობა საგანგებოდ ეყოლებოდა გაფრთხილებული, სტუმრებთან არაფერი შეშლოდათ და ორი თავი ვის ჰქონდა, ზემდგომი ორგანოების მითითება არ შეესრულებინა! ესეც არ იყოს, თვითონ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებული ამ რაიონის სოფელ მირზაანში ქართველი მოსახლეობის ჩასახლებით.

საქმე ის გახლდათ, რომ ნიკო ფიროსმანის მშობლიური, ძველთაძველი ისტორიული სოფელი, მირზაანი უწყლობის გამო დაცარიელების პირას იყო მისული. იმის გამო, რომ სოფელს ადგილზე წყალი არ ჰქონდა, მირზაანელები ათეული წლების მანძილზე მეზობელი არბოშიკიდან ვირებით ეზიდებოდნენ სასმელ წყალს. ცხადია, ალბათ ამიტომაც შეიქმნა ეს ხალხური ლექსი:

„მირზაანში ჩავიარე, წყალი იყო მეტად ძვირი.
პატარძალსა წყალი ვთხოვე, მომაწოდა ლეღვის ჩირი.
დაჯექ, ცოტა დაისვენე, წყალზე არის ჩვენი ვირი.
სანამ ვირი მოვიდოდეს, ამით გაისველე პირი“

უწყლობა მადლიან-ბარაქიანი კახეთისთვის მუდამ იყო და დღესაც არის აქილევსის ქუსლი. ამ მხრივ გამონაკლისი არც მირზაანი იყო. უწყლობამ აიძულა, ძირძველი მირზაანელები მასობრივად აყრილიყვნენ თავიანთი მამაპაპური საცხოვრისიდან და იქ დასახლებულიყვნენ, სადაც წყალზე გასაჭირი არ იყო. ასე გაშენდა უწყლობას გამოქცეული მირზაანელებით წითელწყაროს რაიონის ტერიტორიაზე სოფლები – „გამარჯვება“ და „ჯაფარიძე“. ამას გარდა, არაერთი მირზაანელი გადასახლდა რაიონის ცენტრში. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სავარაუდო იყო, რომ მიგრაციის პროცესი კვლავაც გაგრძელდებოდა და, ალბათ, გამორიცხული არ იყო, უმოკლეს ხანში, ეს მშვენიერი ისტორიული სოფელი ნასოფლარად გადაქცეულიყო. რაც, ცხადია, არც რესპუბლიკის და, მით უმეტეს, არც რაიონის ადგილობრივ ხელმძღვანელობას არ უნდოდა, ასე მომხდარიყო.

უნდა ითქვას, რომ ამ სოფლის ტერიტორიაზე, ე. წ. ქვემო მირზაანში დიდებული ბუნებრივი წყაროს წყალი ამჟამადაც ამოჩუხჩუხებს. დებეტიც საკმარისია, რომ ერთი სოფლის მოსახლეობა სასმელი წყლით უზრუნველყოს, მაგრამ ხალხისთვის ამ წყლის მუდმივად მიწოდება დღემდე ვერ მოხერხდა.

იმედია, უახლოეს დროში, ხალხი მონახავს გზას და საშუალებას, რომ ეს წყალი მირზაანელებს მოემსახუროს.

რაც შეეხება წითელიწყაროში ჩასულ ჯგუფის წევრებს, მათ ჯერ რაიონი დაათვალიერებინეს, მერე მირზაანიც აჩვენეს. ადგილობრივი ხელმძღვანელობა მონდომებული იყო მათ მოსწონებოდათ როგორც მთლიანად რაიონი, ისე მათი მომავალი საცხოვრებელი სოფელი – მირზაანი.

კაცმა რომ თქვას, კახეთის მადლიან მიწას ვისგან რა აქვს დასაწუნი, მაგრამ მზისელი ღებელები, რომლებიც მირზაანში უნდა დასახლებულიყვნენ, როგორც რაჭაში, ასევე, ქლუხორშიც, წყაროს წყლებით და მდინარებით გალაღებულ ადგილებში ცხოვრობდნენ. ცხადია, ასეთი ხალხი, თუ ყველაფერს დაწვრილებით შეიტყობდა, უწყლო მირზაანში ცხოვრებას არ მოისურვებდა.

...კახეთში მოგზაურობიდან შინ, მზისაში, თავიანთ ხალხთან დაბრუნებულმა დელეგაციის წევრებმა მირზაანის შესახებ ყველაფერზე დადებითი პასუხი მოიტანეს და ხალხიც საქართველოში გამგზავრების თადარიგს შეუდგა.

ცხადია, მანამდე საქართველოს ხელისუფლებას, მაშინდელი წესების თანახმად, ყველაფერი მოსკოვთან ექნებოდა შეთანხმებული.

დადგენილ ვადაში სადგურ ჩერკესკში მატარებელი ჩამოდგა და ქლუხორიდან აყრილ ქართველებს საქართველოში წასაყვანად ელოდებოდა.

უცნაური რამეა ბედისწერა. და კიდევ, იქნებ ხშირად არა, მაგრამ ზოგჯერ ისტორიაც მეორდება. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს შემთხვევაში, ვინც ქლუხორში ვცხოვრობდით, ცამეტი წლის შემდეგ ყველაფერი ზუსტად განმეორდა. განსხვავება მხოლოდ ის იყო, თუ მაშინ ქლუხორში ბაქოს გავლით მივდიოდით, უკან სამშობლოში შავი ზღვის სანაპიროსა და სოხუმის გავლით ვბრუნდებოდით. მაშინაც მატარებლით, ახლაც – მატარებლით. როგორც საქართველოდან წასვლისას, ახლაც ხალხის უმეტესობას წარმოდგენა არ ჰქონდა იმ ადგილებზე, სადაც საცხოვრებლად იძულებით მიდიოდა. აქ თავს ნებას მივცემ და, ბოდიშის მოხდით, დიდ ილიას აზრსა და ნათქვამს ოდნავ შეცვლილად დავესესხები: არავინ ვიცოდით, ცამეტი წლის განშორების შემდეგ, როგორ შეგვეყრებოდა ჩვენი ქვეყანა. ვინ იცის, იქნებ ზურგიც შეეექცია ჩვენთვის, როგორც უცხო ნიადაგზე გადარგულებისა და აღზრდილებისათვის. შეიძლება, ყველა არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ზოგ-ზოგს მაინც მოუვიდოდა თავში ასეთი, ან დაახლოებით ასეთი ფიქრი. თუმცა, ჩვენს ყოფასთან დაკავშირებულ სინამდვილეს ვერავითარი ფიქრი ვერ შეცვლიდა.

ზემოთ მოხმობილი არც დიდი ილიასეული აზრი და, მით უმეტეს, არც ის ნათქვამი, იძულებით მივდიოდით-მეთქი, სულაც არ იყო მომხდარი ფაქტის მიმართ გაზვიადებული დამოკიდებულება.

იძულებით იმიტომ, რომ ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ გვაიძულა, დაგვეტოვებინა ის მხარე, კუთხე თუ მიწა-წყალი, რომელსაც, თუმ-

ცა, ძნელად, მაგრამ, წლების განმავლობაში, ბოლოს მაინც შევეგუეთ, შევეთვისეთ, და, თუ გნებავთ, შევიყვარეთ კიდეც. დიახ, შევიყვარეთ და ეს არავისთვის გასაკვირი არ უნდა იყოს.

ბევრი ჩვენგანი, ვინც ახლა უკან ვბრუნდებოდით, ქლუხორში სასკოლო ასაკისაზე პატარები, სხვები კი სასკოლო ასაკის ყმაწვილები ჩავედით. ბევრიც იქვე დაიბადა და აღიზარდა, რომელთაც მათი მშობლიური, დიდი დედა-საქართველო არც ენახათ. მოგეხსენებათ, ადგილმა, როგორც ამქვეყნად ბევრმა სხვა რამემ, შეჩვევა და შესისხლხორცება იცის. ჩვენც შევეჩვიეთ ქლუხორს, შევიყვარეთ და, როგორც ნამდვილი სამშობლო, ისე გავითავისეთ.

ამ სიტყვების გამო ზოგმა შეიძლება, უკმაყოფილება ვერ დაფაროს და საყვედურით მითხრას: „როგორც „უფალი“ სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა“-ო და უცხო მიწა-წყალი, როგორც ნამდვილი სამშობლო, ისე როგორ გაითავისეთო.

თუ ასეთი ვინმე აღმოჩნდება, მათ გასაგონად ვიტყვი: ქლუხორი, სანამ იქ ვცხოვრობდით და ძალით არ წაგვართვეს, ჩვენთვის საქართველოს ნაწილი, ნამდვილი საქართველო იყო, ისე, როგორც თელავი, სოხუმი, ზუგდიდი, ქუთაისი თუ ბათუმი. ამიტომაც მოვალენი ვიყავით, ისევე გვყვარებოდა, როგორც, რომელიც გნებავთ, ქართული კუთხე. გვიყვარდა კიდეც, რადგან შეგუებული ვიყავით იმ აზრს, რომ ოგი სამუდამოდ ჩვენი სამკვიდრო მიწა-წყალი იყო და სულაც არ მოველოდით, თუ ბოლოს ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც სინამდვილეში მოხდა. არსებობს ერთი ქართული ანდაზა, რომელიც იქნებ სრულად არა, მაგრამ ერთგვარად მაინც ესადაგება ჩემს მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას: „ჩიტი სადაც დაიბადა, მისი სამოთხე ის არისო“. უკვე ვთქვი: ბევრი ჩვენგანი ქლუხორში დაიბადა და გაიზარდა და ოგი ჩვენს შემეცნებაში ნამდვილი სამშობლო – საქართველო იყო.

ალბათ.

ადრეც ხშირად მიფიქრია და ამ წუთებშიც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, მინდა ახსნა მოვუნახო იმას, რაც მოხდა, მაგრამ სწორი პასუხი დღემდე ვერ მიპოვნია ჩემთვის ამ მეტად მნიშვნელოვან კითხვაზე: ქლუხორში ჩვენი გადასახლება იმთავითვე განსაზღვრული ბედისწერა იყო, თუ ადამიანების მიერ ბრმად და აუწონ-დაუწონავად გადადგმული გამოუსწორებელი მრუდე ნაბიჯი, როგორც იქ გამგზავრებული ხალხის მხრიდან, ასევე, საკავშირო და რესპუბლიკის ხელისუფალთაგან.

ალბათ, ერთიც და მეორეც, ანუ ყველაფერი ერთად.

ღმერთო, ბოშების ტომივით ადგილიდან ადგილზე, წინ და უკან ხეტიალი რად დაგვაბედე! ამაში მცირედი მსგავსება უთუოდ არის ქლუხორში ჩვენს წასვლას, უკან დაბრუნებასა და ებრაელების ეგვიპტეში დასახლებასა და იქედან მათ გამოქცევას შორის. მცირე მსგავსებით, თორემ სად ის და სად ეს! თუნდაც იმიტომ რომ ჩვენ ებრაელებივით არც მოსე

გვიძღოდა წინ და არც უფალი გვიცავდა და გვმფარველობდა. უფალს რომ ჩვენთვის ემფარველა, ამდენ გასაჭირსაც არ გადავიტანდით!

უკვე ვთქვი: მატარებელი ხალხს საქართველოში წამოსაყვანად ჩერქესკში ელოდებოდა. იქამდე მოსახლეობა სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი მანქანებით მივიდა.

საცხოვრებლიდან აყრილმა ხალხმა გზაში რა გასაჭირიც გადაიტანა, ამის დაწვრილებით აღწერა ძალიან ძნელია. კაცმა ყველაფერი საკუთარ თავზე უნდა იწვნიოს, (ღმერთმა ნურავის გამოაცდევინოს ის, რაც ჯერ ქლუხორში წასულმა და მერე იქედან დაბრუნებულმა ჩვენმა ხალხმა გამოცადა და გადაიტანა!) რომ იმ ადამიანების მდგომარეობა უფრო ნათლად წარმოიდგინოს. კიდევ ერთხელ ვიტყვი: არავის ვუსურვებ ასეთი მოგზაურობის გამოცდას.

როგორც იქნა დასრულდა ჩვენი მრავალწლიანიც და მრავალდღიანიც მომთაბარეობა და რის ვაი-ვაგლახით საქართველოში ჩამოვაღწიეთ.

აქ უთუოდ გაჩნდება სრულიად ბუნებრივი კითხვა: თავის დროზე საქართველოდან წასული ქართველები, მათ შორის მზისადან წამოსული ღებელები, (ასევე, სხვა სოფლელებიდან წასულები.) კვლავ მშობლიურ კუთხეს და სოფელს რატომ არ დაუბრუნდნენ. ჩემი აზრით, არაერთ სხვა მიზეზთან ერთად, ალბათ, იმიტომ, რა მიზეზითაც დიდი ხნის წინათ დატოვეს მშობლიური კუთხე და სოფელი: – რაჭაში, ასევე საქართველოს მთიანეთში ჭარბი მოსახლეობა იყო და მიწა არ ყოფნიდათ. ამიტომ ხალხი იძულებული იყო, სხვაგან ეპოვნათ საარსებოთ უკეთესი სამკვიდრო და საცხოვრებელი. მოკლედ და ხატოვნად რომ ვთქვა, იმიტომ არ დაუბრუნდნენ, რატომაც არ უბრუნდებოდა კვერცხს წიწილა. ალბათ, იმიტომ.

არ ვიცი, რამდენად სწორია ჩემს მიერ გამოთქმული ეს ვარაუდი და დამეთანხმება თუ არა ამაში ის ხალხი, ვის შესახებაც ეს სტრიქონები იწერება, მაგრამ, ვფიქრობ, სიმართლის რაღაც მარცვალი უთუოდ არის იმაში, რაც ზემოთ ვთქვი.

პირადად მე თუ ვინმე მკითხავს, იმის მიზეზით და იმედით, აქ არ ვარგა და სხვაგან უკეთესად ვიცხოვრებო, კაცმა არ უნდა მოიშალოს საუკუნეობით ჩაყრილი ფუძე, მიატოვოს მშობლიური მიწა-წყალი და ბედი უცხო მხარესა და უცხო ხალხში ეძებოს. ადამიანისთვის ფრთების გაშლის ასპარეზი ყველა კუთხეშია, თუ კაცს უფლით ნაწყალობევი გონება გააჩნია და შრომაც არ ეზარება. რაც შეეხება იოლი გზით კარგად ცხოვრებას, ასე ამ ქვეყანაზე მხოლოდ ის მცირედნი ცხოვრობენ, ვისაც ბედი აქვთ და უფალი სწყალობთ. იქნებ სხვა მიზეზებიც იყოს, რითაც ზოგი, ერთი შეხედვით, სხვებისაგან არც თუ გამორჩეული კაცი ბევრ ვინმეზე უკეთესად მოაწყობს თავის ცხოვრებას, მაგრამ მე არ ვიცი ამის მიზეზი და მეტად ამის განსჯაში არ შევალ. ისე კი, მგონია, დღესაც ბევრი ჩვენგანი დიდად მოიგებს, თუ დიდი წინაპრის შეგონებით იხელმძღვანელებს: „რაცა ვისცა ბედმა მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს“-ო. საქართველოდან ჩვენი

წასვლა და ქლუხორში დასახლება უფლისაგან რომ ყოფილიყო კურთხეული, ჩვენ იქ სამუდამოდ დავმკვიდრებოდით.

იყო კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც მზისაში ნაცხოვრები ღებელები (და, ალბათ, სხვებიც) მშობლიურ სოფელს არ, თუ ვერ დაუბრუნდნენ. საქმე ის გახლდათ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ქლუხორში დასახლების შემდეგ უმეტესობამ საბოლოოდ ირწმუნა, რომ იქ ისინი სამუდამოდ დაემკვიდრდნენ და აწი არსად მოუწევდათ წასვლა, უპატრონობით რომ არ გაერანებულიყო, საქართველოში დატოვებული სახლ-კარი ზოგმა მეზობელს მიჰყიდა ჩალის ფასად, ზოგმაც სრულიად უანგაროდ დაუთმო ღებში დარჩენილ მოძმეს და ბიძაშვილს, რითაც სამუდამოდ მოიშალა ბუდე მამა-პაპური მიწა-წყლიდან. თუმცა, ქლუხორიდან წამოსვლის შემდეგ რამდენიმე ოჯახი მაინც დაბრუნდა ღებში, მაგრამ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არაერთი ძნელად მოსაგვარებელი პრობლემის გამო, მათ მალევე დატოვეს იქაურობა და იმ რაიონებს და სოფლებს დაუბრუნდნენ, სადაც მათი თანასოფლელები რესპუბლიკის ჩასახლება-გადასახლების მაშინდელი სახელმწიფოს კომიტეტის მიერ იყვნენ ჩასახლებულნი.

უნდა ითქვას, რომ მირზაანში ჩასულ მზისელებს ახალ ადგილთან შეგუება ბევრად უფრო გაუჭირდათ, ვიდრე ოდესღაც ქლუხორთან და მის სოფლებთან.

საქმე ის გახლავთ, რომ მზისაში ცხოვრებისას ეს ხალხი მთის გრილი ჰაერით, წყალუხვი მდინარეებით და მთის ცივი წყაროებით იყვნენ განებივრებულები, როგორც რაჭაში, ისე ჩრდილოეთ კავკასიაში. ასეთ ბუნებრივ პირობებში ნაცხოვრებმა ადამიანებმა მკვეთრად განსხვავებული კლიმატურ გარემოში მოხვედრა ვერ აიტანეს და არაერთი მათგანი მირზაანში ჩასახლების პირველ ხანებშივე დაიღუპა. ახალი საცხოვრებლით დიდად კმაყოფილნი არც ცოცხლად დარჩენილები იყვნენ, მაგრამ რადგან სხვაგან წასასვლელი უკვე არსად ეგულებოდათ, იძულებულნი იყვნენ, ბედს შერიგებოდნენ და შეურიგდნენ კიდეც, მაგრამ, როგორც იტყვიან, ვაი ამ შერიგებას. მიუხედავად იმისა, რომ არაერთგზის აყრა-დაყრით მრავალჭირგამოვლილ მზისელებს არც მოთმინების უნარი აკლდათ, არც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნისას გამოსავლის პოვნის მიხვედრილობა, არც ჭირთაგამძლეობა და ძნელად ასატან ყოფასთან შეგუების ნიჭი, ახალ ადგილზე ცხოვრების აწყობა მაინც ძალიან გაუჭირდათ. სხვა მრავალ მიზეზთა შორის, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლდათ, რომ მირზაანში ჩასახლებულ ოჯახებს იმჟამად საკუთარი არც სახლი გააჩნდათ და არც კარი. მათთვის სახლების მშენებლობა მთავრობამ მხოლოდ მათი ადგილზე გამოჩენის შემდეგ დაიწყო და ეს პროცესი კაი ორი-სამი წელიწადი გაგრძელდა.

აბა, ამ ხნის განმავლობაში ეს ხალხი ღია ცის ქვეშ ცხოვრობდა, თუ საქმე როგორ იყოო, ბუნებრივად დაისმის კითხვა.

არა, საქმე აქამდე, ანუ ღია ცის ქვეშ ცხოვრებამდე ნამდვილად არ მისულა.

სხვაგან, სხვა რაიონებსა და სოფლებში ჩასული ქლუხორელების მდგომარეობა როგორი იყო, ამაზე დაწვრილებით არ შევჩერდები. რაც შეეხება წითელი წყაროს რაიონის სოფლების – მირზაანის, ქვემო და ზემო მაჩხაანის, აგრეთვე, არბოშიკის ადგილობრივ კახელ მოსახლეობას, ისინი უდიდესი ყურადღებით და გულისხმიერებით შეხვდნენ მათთან საცხოვრებლად ჩამოსახლებულებს.

ამ სოფლების მოსახლეობა ქუჩებში იყვნენ გამოფენილი და იქ ხვდებოდნენ მათ მომავალ თანასოფლელებს და მეზობლებს. ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ, რათა ახალმოსულები თავიანთ სახლებში წაეყვანათ და საკუთარ ოჯახებში დაებინავებინათ მათთვის უცნობი ხალხი.

პირადად ჩემმა ოჯახმა მირზაანში ხვთისო და სირანა ბიკაშვილების ოჯახში ორ წელზე მეტ ხანს იცხოვრა და დიდი მადლიერებით მინდა აღვნიშნო ჩვენდამი ამ ადამიანების მიერ გამოჩენილი სითბო, გულისხმიერება და თანაგრძნობა. იმ ორი წლის განმავლობაში ამ ოჯახში შესახლებულებს ერთი წუთითაც არ მოგვკლებია მათი თანადგომა. არც საუბარში, არც გამოხედვაში, არც სხვაგვარ ადამიანურ საქციელში არც ერთი წუთით არ გვიგრძვნია იოტისოდენი უკმაყოფილება მათთან ცხოვრების გამო. ამ სოფელში ჩვენი ჩასახლებიდან დღემდე ასე გაგრძელდა ეს დიდი სიყვარული და ნათესაობამდე ამაღლებული მეგობრული დამოკიდებულება. ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ამგვარი დამოკიდებულება მარტო ჩვენს ორ ოჯახს შორის არ ყოფილა. იგივე შეუძლია თქვას დღემდე მირზაანში მცხოვრებმა ნებისმიერმა მზისელმა ღებელმა. ესაა ჭეშმარიტი ქართული ხასიათის კიდევ ერთი გამოვლინება.

მადლობა მათ, ამ სოფლების ადგილობრივ, კახელ მოსახლეობას, ჩვენდამი გამოჩენილი დიდქართველობისთვის!

დასასრულს მინდა ვთქვა, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში არაერთი ჭირ-ვარამის გადამტან კახელებს სისხლში გენეტიკურად აქვთ გამომუშავებული თანამოძმისადმი მხარში დგომის და გასაჭირში დახმარების დიდი უნარი. თუმცა, ეს თვისება, ალბათ, საქართველოს არც სხვა კუთხის მოსახლეობას აკლია, რაც აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის დროსაც თვალნათლივ გამოჩნდა.

უჭირისუფლო საფლავები

ა...მ ქვეყანაზე ბევრი რამეა საოცარი, საკვირველი და ჩვენი თვალგულის აღმაფრთოვანებელი, მაგრამ მათგან, რაც უფალმა ადამიანს გაჩენის დღიდან უწყალობა, ენა ყველაზე ძვირფასია და გამორჩეული.

ზოგადად თუ ვუტყვი, ალბათ, ყველა ხალხის ენაში არის რამდენიმე განსაკუთრებულად მრავლისმთქმელი, ღრმაშინაარსიანი და უჩვეულოდ ლამაზი სიტყვა, რომელიც, ჯერ მისი შემოქმედი ხალხის, ხოლო შემდეგ ყველა იმ გარეშეს თუ უცხოელის აღტაცებას იწვევს, ვინც ამ ენის წიაღში შეაღწევს, ენის საიდუმლოებას ჩასწვდება და მის ღირსებასაც ბოლომდე შეიგრძნობს.

ამ მხრივ სხვათა ენების ავკარგიანობაზე არაფერს ვიტყვი... რაც შეეხება ქართულს, მას არც ისე ცოტა სწორუპოვარი და ღვთის მადლით ცხებული სიტყვები მოეპოვება, რომელთაგან ერთ-ერთი „დედამიწა“ გახლავთ.

ნეტა, თავიდან ვინ ღვთითკურთხეულის გულმა იგრძნო და გონებამ შეიმეცნა მიწის დედობა და წარმოსთქვა ეს დიდებული სიტყვა „დედამიწა“?!

მიწა, მართლაც, რომ ჩვენი ყველას საერთო დედაა. უთუოდ ამიტომაც იგი ერთნაირი გულმოდგინებით, მზრუნველობითა და მშობლიური სიყვარულით ალალ-ახარებს თავის მადლიან მკერდზე ყველაფერს – ცუდსაც და კარგსაც, ვარდსაც და ლენცოფასაც. თუმცა, ასე იქნებ ჩვენ გვგონია, რომ ლენცოფა ცუდია, ხოლო ვარდი – კარგი. დედამიწისთვის ყველა ერთნაირად ძვირფასი და საყვარელი პირმშო შვილია, რასაც მის წიაღში ფესვი გაუდგამს, გაღვივებულა, გაუხარია, მზის დასანახად ამოსულა, გაფურჩქნილა, მშობლის მკერდი მოუქარგავს და მისი გული გაუხარებია. უთუოდ ამიტომაც არის, რომ დედამიწა, ღვთით გაჩენილ ყველა არსებაზე, მშობლის მიუკერძოებლობით, ერთნაირი გულმოდგინებით ზრუნავს, უფრთხილდება და განსაცდელისაგან იცავს და იფარავს, რაც მის მკერდზე ხარობს და კაცის თვალისთვის საჩინოა. ამასთანავე, იმასაც რუდუნებით უვლის და ეფერება, რასაც მისი დიდი და მადლიანი მკერდი ფარავს. მათ შორის იმ მიცვალებულთა საფლავებსაც, რომლებიც ჩვენ – ქლუხორიდან იძულებით აყრილებს იქ, იმ მიწაზე დაგვრჩა.

მიწა რომ ჩვენი დიდი დედაა და იგი ალალი მშობლის ჭირისუფლობით იზრუნებდა ყველასა და ყველაფერზე, რასაც მას მივანდობდით, მივაბარებდით და შევავედრებდით, ეს იმთავითვე ყველამ კარგად ვიცოდით, როგორც კი ჩვენს საცხოვრისად ქლუხორის მხარე გავიხადეთ. ამიტომაც მთელი იქ ცხოვრების განმავლობაში იმ მიწას, დროდადრო, უდიდესი მწუხარებითა და გულისტკივილით ვაბარებდით ჩვენთვის ყველაზე ძვირფას ახლობლებს, ზოგი – მშობლებს, ზოგი – და-ძმებს, სხვები – საყვარელ შვილებს და არცთუ მცირენი – შვილიშვილებს. ანუ იმათ, უფალი როდის ვის სულს მოითხოვდა იმ ქვეყნად წასაყვანად. ისინი ჩვენი მარტო ხორცი ხორცთაგანი როდი იყვნენ... ჩვენ მათთან ერთად ჩვენი სულის უძვირფასეს ნაწილს ვაბარებდით ქლუხორის მიწას და თან უზომოდ გულმოკლულები ვევედრებოდით როგორც მიწას, ასევე, იქაურ ცას, მთას, წყალს, ტყეს და ველს – ალალ პირმშოსავით მოევლო და ეპატრონა მათთვის. იქვე იმასაც ვუმხელდით ჩვენი მიცვალებულების გულში ჩამკვრელ დედა-ბუნებას, სულ მთლად შენს იმედად და მარტო შენს ანაბარა როდი ვტოვებთ ჩვენს ამ ძვირფას მიცვალებულებს, რომლებიც სიკვდილმა ხელიდან ასე ულმობლად გამოგვტაცა. ჩვენც აქ ვართ და მათ მზრუნველობას და ყურადღებას არც დღე მოვაკლებთ და არც ღამე-თქო.

იმ დროს, როცა ქლუხორის მიწა-წყალს ჩვენს მიცვალებულებს ვკრძალავდით, დარწმუნებულები ვიყავით, რომ იმ მიწა-წყალს ჩვენც, ცოცხლებიც უხილავი ძაფით სამუდამოდ ვუერთდებოდით და ეს ერთობა არც არასოდეს დაირღვეოდა. მაშინ რა ვიცოდით, თუ ძალიან მალე, ჩვენდა სამტროდ აშლილი უცხო ძალის მიზეზით და მონდომებით ჩვენი – ცოცხლებისა და მიცვალებულების ერთ მიწაზე ყოფნა-კავშირი უღვთოდ მოიშლებოდა. მაგრამ ვაგლახ, რომ გულცივი და ბოროტი ადამიანების მიზეზმცდელობით ეს ყველაფერი სწორედ ასე მოხდა. ჰოდა, პირველად მაშინ გამიარა თავში მწარე და უსიამოვნო ფიქრმა – ჩვენ, ადამიანები უთუოდ იმიტომ მოვდივართ ამქვეყანაზე, რომ ერთმანეთს ტკბილი სიცოცხლე გავუმწაროთ და, ამ ხანმოკლე წუთისოფელში, რაც შეიძლება მეტი შხამგესლი ვასვათ-მეთქი ერთმანეთს. მაგრამ ამას ყოველთვის როდი ვაცნობიერებთ.

აკი ზემოთაც ვთქვი, ამ დალოცვილ ცისქვეშეთში, მართლაც, უამრავი რამეა საკვირველი და ჩვენთვის შეუცნობელი. მათ შორის ერთ-ერთი ადამიანის მიცვალება და სამუდამო განსასვენებელში გადასახლება გახლავთ, რომლის არსში ბოლომდე ჩაწვდომას, შეცნობას და ახსნას ადამიანი, ძალიანაც რომ ეცადოს, ალბათ, ვერასოდეს შეძლებს... მიუხედავად ყოველივესი, როცა ქლუხორში დარჩენილ, გნებავთ ასე ვიტყვი, რადგან ეს უფრო ზუსტი და მართებული მგონია, როცა ქლუხორში უჭირისუფლოდ მიტოვებულ საფლავებზე ვფიქრობ, მეჩვენება, რომ მიცვალებულები ცოცხლებთან კავშირს არასოდეს წყვეტენ, ხოლო თუ ეს თვალთა ჩვენ-

თათვის აშკარად არ ჩანს, ეს, ალბათ, ჩვენი, ცოცხლების უღონობის ბრალია. მაგრამ ისინი, ქლუხორში უმჭირისუფლოდ დარჩენილი მიცვალებულები, ჩვენს მიმართ თავიანთ უკმაყოფილებას, მარადიული დუმილით, ანუ როგორც და რითაც შეუძლიათ, იმით გამოხატავენ. ეს დუმილი ჩემთვის ყოველგვარ სიტყვაზე მეტრმეტყველია. დიახ, ისინი თავიანთი დუმილით გვსაყვედურობენ და გვეკითხებიან: უცხო მხარეში რად მიგვატოვეთო. და ეს მათი ჩუმი საყვედური ჩემს სულში ზეციური რისხვის ზარივით რეკავს. განსაკუთრებით მაშინ, როცა აღდგომას თუ სხვა რელიგიურ დღესასწაულებზე, მათ შემდეგ გარდაცვლილ და ამჟამად ჩვენს საცხოვრებელ ადგილებში დაკრძალულ სხვა ახლობელთა საფლავებთან მივდივართ. იქ იმ განსვენებულებს სანთლებს ვუნთებთ, ჭიქა ღვინით შენდობას ვუთვლით, მათ სულებს უფალს ვავედრებთ, საფლავზე აღდგომის კვერცხს გადავაგორებთ და იმავე საფლავის მიწას ღვინოს ვაპკურებთ. იმ წუთებში დარწმუნებული ვარ, მიცვალებულებს ისე უხარიათ ყველაფერი ეს, თითქოს მკვდრეთით აღმდგარიყვნენ. მათი სიხარულით ჩვენ, ცოცხლებიც ვხარობთ, მაგრამ ამ დროს ყურში ცხადად ჩამესმის ქლუხორში დარჩენილი იმ იდუმალ ქვეყნის ბინადართა საყვედური: – ეგ ახალი მიცვალებულები რომ არ გავიწყდებათ, მათ საფლავებზე რომ სანთლებს ანთებთ და აღდგომის კვერცხებს აგორებთ, შენდობას უთვლით და საფლავსაც ღვინოს აპკურებთ, ჩვენ ისეთი რა დაგიშავეთ, რომ დაგვკარგეთ, დაგვივიწყეთ და მანდედანაც კი არ გვითვლით შენდობასო.

არ ვიცი, მიწიდან თუ ზეციდან, იქნებ ორივედან ერთდროულად შემოტყორცნილ ამ მწარე საყვედურს რომ ვისმენ, თავს უსაშველოდ დამნაშავედ ვგრძნობ მათ წინაშე, ვინც ერთ დროს ჩვენს ქლუხორში, ახლა უკვე უცხო მიწა-წყლად ქცეულ ქლუხორში, იქედან წამოსულებს იქ საფლავებში დაგვრჩა.

ერთთავად აკვიატებულ ფიქრად და წუხილად ქცეული ეს დამმუნათებელი გრძნობა მას შემდეგ უფრო მომეძალა და სინდისის ქენჯნად მექცა, როცა ამ ოცდაათი წლის წინათ მე და ჩემი ოჯახის რამდენიმე წევრი მზისაში ჩავედით. ჩვენი მიცვალებულების სამუდამო განსასვენებელი სასაფლაო მოვინახულეთ და იქ დაკრძალული მამის ნეშტი სამშობლოში გადმოვასვენეთ.

არ ვიცი, ამ დროს ჩემთან მყოფი ჩემი ახლობლები რას ფიქრობდნენ და რას განიცდიდნენ, მაგრამ მე მეჩვენებოდა, რომ იმავე სასაფლაოზე და, ასევე, ქლუხორის სხვა სოფლების სასაფლაოებზე დაკრძალული ჩვენი მიცვალებულები სამარიდან ამოდიოდნენ და მკაცრად შუბლშეკრულები გვსაყვედურობდნენ, ეგ რომ სამშობლოში მიგყავთ ახლობელთა გვერდით დასაკრძალავად, კარგია, მაგრამ ჩვენ რომ აქ გვტოვებთ, განა ჩვენ კი ცოდონი არა ვართ. როგორ გგონიათ, განა ჩვენ კი არ გვენატრება სამშობლოს მიწა-წყალი და ახლობელ ადამიანებთან – ცოცხლებთან თუ მიცვალე-

ბულებთან ახლოს ყოფნა! ხომ არ დაგავიწყდათ, რომ ჩვენც თქვენი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი ვიყავით, ვართ და ვიქნებითო.

ამას რა დაგვავიწყებდა, მაგრამ ის არ ვიცოდით, მათთვის პასუხად რა უნდა გვეთქვა, თავი რითი გვემართლებინა მათ სამართლიან მოთხოვნასა და საყვედურებზე. თუმცა, მცირეოდენ სანუგეშოდ მხოლოდ ის გვქონდა და მწუხარებასაც ნაწილობრივ ის გვიმსუბუქებდა, რომ თავის დროზე იმ ჩვენი მიცვალებულების განსასვენებლად მშვიდი, მყუდრო და ლამაზი ადგილი გვქონდა შერჩეული... მზისა ვაკეზეა გაშენებული. სოფლიდან ასი მეტრის მოშორებით, ფერდობს მაღლა ვრცელი ზეგანია, რომელსაც არც სიგრძე აკლია და არც სიგანე. მაღლიდან კი იმ ზეგანს ტყით დაბურული ულამაზესი მთები გადმოსცქერის.

ჩვენი ძვირფასი მიცვალებულების განსასვენებლად თავის დროზე ზეგანის ის ადგილი შევარჩიეთ, რომელიც დასახლებასთან ყველაზე ახლოს იყო და სოფელს ზედ გადმოჰყურებდა. როცა ამის აუცილებლობა დადგა, პირველი სამარე, იმ ზეგანზე გავჭერით და იქ ჩვენი პირველი მიცვალებული დავკრძალეთ. მერე, რადგან სიკვდილი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია (ერთნი თუ ვიბადებით, მეორენი – ვკვდებით). იმ პირველ მიცვალებულს სხვებიც მიემატა. მაშინ სოფელს ყურადღება არავისთვის მოუკლია. ჭირისუფლებმა, წესისამებრ, ყველა მათგანს, ზოგს ხის კარავი დავადგით, ზოგს – რკინის. ნაწილს ქვა დავადეთ და ზედ გვარ-სახელიც ამოვკვეთეთ, დაბადება-გარდაცვალების თარიღთან ერთად. ამას გარდა, ყველა მათგანის საფლავზე ხის ჯვრები აღვმართეთ როგორც ამ ქვეყანაზე ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთის – სამყაროს შემოქმედის და ქრისტიანული სარწმუნეობისადმი ერთგულების, მიმდევრობის და აღმსარებლობის დასამოწმებლად, ხოლო მიცვალების შემდეგ იქ, იმ მარადიულ გრძელ სოფელში, ამავე რწმენით წასვლის დასტურად.

ვიცი, არაერთი იკითხავს, ოცდაათი წლის შემდეგ მამის ნეშტის გადმოსასვენებლად მზისაში ჩასულებს სასაფლაო რა დღეში დაგხვდათო.

რა დღეში და, ეტყობა, შუა აზიიდან მობრუნებულ მზისელ ყარაჩაელებს სასაფლაოდ ჩვენს მიერ შერჩეული ადგილი მოეწონათ და ჩვენი მიცვალებულებიდან გარკვეული მანძილის მოშორებით იმავე ზეგანზე თავიანთი სასაფლაო გაეხსნათ. მერე, ალბათ, იფიქრეს, სიკვდილი ყველას ათანასწორებსო და ორივე სასაფლაოსთვის – თავიანთისთვისაც და ჩვენიანებისთვისაც – ერთი საერთო მესერი შემოუვლიათ, რომ ჩვენი მიცვალებულებიც ისევე ყოფილიყვნენ დაცული ვინმე უკეთური უგვანოს ხელყოფის და შეურაცხყოფისაგან, როგორც იმათი.

სხვადასხვა აღმსარებლობის – ქრისტიანი და მუსულმანი მიცვალებულების, თუმცა, შორი-შორს, მაგრამ მაინც ერთ სასაფლაოზე განსვენება რელიგიურად რამდენად მართებულია, რჯულის საკითხებში არაკომპეტენტურობის გამო ამის განსჯაში ვერ შევალ, თუმცა, ამის გამო ერთგვარ უსიამოვნებას მაინც ვგრძნობ.

იმ დროს იქიდან მომავალს ერთი ფიქრი არ მასვენებდა... ის ფიქრი დღესაც თან მდევს და დარწმუნებული ვარ, ზოგადად უცხოეთში, ხოლო ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქლუხორ – მზისაში დარჩენილ ჩვენს მიცვალებულებს ისევე ენატრებათ სამშობლოს მიწა-წყალი, სამეგობროს და სანათესაოსთან ახლოს ყოფნა, როგორც თავისი ქვეყნიდან შორს, უცხო მხარეში მყოფ ცოცხალ ადამიანებს.

ასე მგონია, ჩვენს, აწ უკვე უცხო მიწაზე მიტოვებულ მიცვალებულებს სიკვდილზე არანაკლებად აშინებთ ის, რომ შთამომავალთაგან უყურადღებოდ დარჩენილთ, ულმობელი დრო-ჟამი სამუდამოდ წაშლის მათ ამქვეყნიურ ნაკვალევს და სახსენებელს. სამწუხაროდ, ამ შიშსა და სევდაში საეჭვო თითქმის არაფერია, თუ გავითვალისწინებთ, დრო როგორი ვერაგი და მუხანათია. მით უფრო, რომ მათ საფლავებზე დადებული სამარის ქვები, ზედ აღმართული ჯვრები და ხის თუ რკინის კარვები, უკვე აღარსად ჩანან: რკინა ჟანგს შეუჭამია და უკვალოდ გამქრალა, ხე დამპალა და მტვრად ქცეული მიწას შერევია, ქვა მიწაში ჩაფლულა და ჩაძირულა. ზედ ბალახს გადაუვლია და ყველაფერს სამარადისო დავიწყების ჩრდილი დასცემია. ამის მხილველს გული არ მითმენს, რომ ყველა ცოცხალის გასაგონად არ ვიყვირო, ჭირისუფალნო, ნუ მიატოვებთ უცხო მხარეში უჭირისუფლოდ მიცვალებულებს, თორემ მათი სულები იმ ქვეყნადაც ვერ პოვებენ შვებას და ამის გამო უფალი პასუხს ჩვენ – ცოცხლებს მოგვთხოვს!!!

მიღოთქმა

ვერ ვიტყვი, რომ ამ წიგნის ყდებს შიგნით მოქცეული ამბების სრულყოფილად გადმოცემას ცდა და მონდომება დავაკელი, ანუ სათქმელს, რაც შემეძლო და როგორც შემეძლო, ისეთი გულმოდგინებით არ მოვეკიდე... მიუხედავად ამისა, როცა ბოლო წერტილი დავსვი და ნათქვამ-უთქმელი უცხო და უშეღავათო გამკითხავის თვალით გავჩხრიკე, აღმოჩნდა, რომ ზოგი რამ დაზუსტებას და განმარტებას მოითხოვდა.

ასე, მაგალითად:

წიგნზე მუშაობის დაწყებისას და, მერეც, განზრახვაც და სურვილიც დიდი მქონდა, ქლუხორის რაიონის სოფლებსა და იქ მცხოვრებ ადამიანებზე, თუ ყველაზე ცალ-ცალკე არა, დიდ უმრავლესობაზე მაინც, – ზოგზე ვრცლად, ზოგზე მოკლედ, რამდენიმე თბილი და ტკბილი სიტყვა მეთქვა. ამას ისინი თავიანთი კაცურკაცობით ნამდვილად იმსახურებდნენ. ჩემდა სამწუხაროდ, ეს ვერ შევძელი. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ღრმად და საფუძვლიანად ქლუხორის რაიონის ვერც ყველა სოფელს ვიცნობდი და მით უფრო, ვერც იმ სოფლებში თუ რაიონის ცენტრში მცხოვრებ ყველა ადამიანს. უამისოდ კი მიზანშეუწონლად მივიჩნიე ჩემთვის ნაკლებად ცნობილ ადამიანებზე რამე ღირებულის თქმა, ხოლო მოვალეობის მოხდის მიზნით ნათქვამი მშლე, მდარე, უნდილი და უფერული სიტყვა იმ ხალხს ვერ ვაკადრე. მიუხედავად ამისა, წიგნის მიღმა დარჩენილ ადამიანებს ბოდიშს ვუხდი და მიტევებას ვთხოვ.

ვფიქრობ, მკითხველისთვის უთუოდ თვალში საცემი იქნება ისიც, რომ ჩემი თხრობის დიდი ნაწილი მზისას და მზისელებს ეთმობა.

მინდა ყველა დავარწმუნო, რომ ეს წინასწარ აკვიატებული განზრახვით, თუ მზისელებისადმი განსაკუთრებული მიკერძოებული დამოკიდებულებით არ მომსვლია... წიგნზე მუშაობისას ერთი უმთავრესი პრინციპით ვხელმძღვანელობდი: ვინმეზე ნათქვამი სიტყვა რომ ზერელე, ზოგადი და ყალბი-რიოში არ გამომსვლოდა, გადავწყვიტე, მომეთხრო მხოლოდ იმ ხალხზე და იმ გარემოზე, ვისაც და რასაც კარგად ვიცნობდი... მე თვითონ მზისაში ვცხოვრობდი და, ბუნებრივია, იმ სოფელსა და იქ მცხოვრებ ადამიანებზე საუბრის მეტი მიზეზი და შესაძლებლობა მქონდა. თუმცა, ამას ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავ, მზისას და მზისელების მიმართ გამოხატული ჩემი დამოკიდებულება ქლუხორის რაიონის ყველა სოფლისა და იქ ნაცხოვრებ თითეულ ქართველს თანაბრად ეხება.

წიგნზე მუშაობისას ქლუხორის რაიონთან დაკავშირებულ არაერთ წყაროს გავეცანი. ზოგიერთ მათგანში მოთხრობილი აზრი და დებულება, რომელიც მისაღები და საფუძვლიანი მეჩვენა, მათი ავტორებისადმი დიდი მადლიერებით დავიმოწმე კიდეც.

რაც შეეხება აკაკი კაცაძის ნაშრომს საქართველოს მთიანი მოსახლეობის მიგრაციის შესახებ, მასში მოტანილი ზოგიერთი ცნობა დაზუსტებას მოითხოვს. მკვლევარი წერს, რომ ქლუხორიდან... უკან დაბრუნებული ქართული მოსახლეობა ძირითადად კახეთში (ს. მირზაანში) და ქვემო ქართლში – ბოლნისში დამკვიდრდა.

ამ საკითხმა შესაძლოა, მომავალში ვინმე დააინტერესოს და მასაც და სხვებსაც რომ უტყუარი ცნობა ჰქონდეთ, ბარემ აქვე ვიტყვი: ქლუხორიდან წამოსული, მზისაში ნაცხოვრები ღებელების დიდი უმრავლესობა წითელწყაროს რაიონის სოფელ მირზაანში დასახლდა. ამავე სოფელში მათთან ერთად დაიდვა ბინა ზემო თებერდიდან წამოსულმა რამდენიმე გლოველის და ერთი ჭიორელის – გრაფია რეხვიაშვილის ოჯახმა. მზისელთა ერთი ნაწილი მირზაანში ცხოვრებას ვერ შეეგუა და ზოგმა თბილისთან ახლოს, გარდაბნის რაიონის სოფლები – გამარჯვება და ჯანდარა აირჩია საცხოვრებლად, რამდენიმე ოჯახი კი თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურში დამკვიდრდა და ამჟამადაც იქვე ცხოვრობენ.

მზისელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ჯგუფმა თავიდანვე ზღვისპირეთს მიაშურა და გაგრის რაიონის სოფელ განთიადში დასახლდა. ისინი იქვე ცხოვრობდნენ აფხაზეთში მომხდარ ცნობილ მოვლენებამდე და კიდევ: მზისელი ღებელებიდან რამდენიმე ოჯახმა ქუთაისსა და სოხუმს მიაშურა და სამემკვიდრო იქვე გაიჩინა.

რაც შეეხება თავის დროზე ზედა თებერდაში ჩასახლებულ ჭიორლებს და გლოველებს, საქართველოში უკან მობრუნების შემდეგ მათ ბოლნისის რაიონის სოფელ რაჭისუბანში არჩიეს ცხოვრება, ხოლო კამენომოსტში, ანუ იგივე ახალშენში ნაცხოვრებმა უწერლებმა თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ასურეთს მიაშურეს.

ყუბანის ხეობის სოფლებიდან უკან მობრუნებული სვანების ერთი ნაწილი მამაპაპურ კუთხეს დაუბრუნდა. მათი დიდი უმრავლესობა კი გაგრასა და ზუგდიდის რაიონის სოფლებში ჩასახლდა.

ასე და ამრიგად, აქ ვწყვეტ თხრობას ქლუხორელ ქართველებზე. მაგრამ სანამ წერტილს დავსვამდე, გულწრფელი მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონებს: ელენე ვარამაშვილს და ნინო ქადაგიშვილს, ბატონებს კოტე ამაღლობელს და, რა თქმა უნდა, წიგნის რედაქტორს, ომარ შურღაიას წიგნის გამოსაცემად მომზადებისას უანგაროდ გაწეული დახმარების, სასარგებლო რჩევებისა და მუდმივი თანადგომისთვის, რამაც წიგნს თავისი კეთილისმყოფელი კვალი დააჩნია.

ამასთანავე, კიდევ ერთხელ მინდა, მადლობის გრძნობით მოვიხსენიო ბატონი თორნიკე კოპალეიშვილი, რომლის ქველმოქმედების გარეშე ეს წიგნი დღის სინათლეს ვერ იხილავდა.

თბილისი. 1998-2004 წელი 5 აპრილი.

შინაარსი

სიცოცხლის ხის ფოთლები 5

გულის ძახილი 11
ლეგენდების საუფლო 20
ფროტისპირა სოფელი 30
სიკვდილის გზაზე... 36
უცხო მხარეში გამგზავრება 47
ბალანგარა 55
კვიცი 58
კაცი დაიკარგა 62
ისტორიულ-ტოპონომიკური ექსკურსი 64
პირიქითა საქართველოში 72
„ყაჩაღები“ 84
ყარაჩაელი ბავშვები ქართულ სკოლაში სწავლობენ 90
რაუიკო მასწავლებელი 96
დილა მშვიდობისა, ერმილე! 105
ორი სტეფანე 112
თავჯდომარე... პუანკარე 117
ცაცო 125
ურჩი 142
დაქცეული ოჯახი... 148
გოგია-პელე 157
ექსპერიმენტმა გაამართლა 160
შემთხვევა, რომელიც კინაღამ საბედისწეროდ– მექცა 170
ყაითო 174
საბია ბაბუა 187
ცხენის ტყავი 195
მარადიული მევალე 206
„შევიპერი რა, ზელიმხანის კავალერია კი არ მხლებია“... 210
„ჰოი, დედანო“... 215
მცირედი ჩრდილიც არ გაჰყოლია 224
ლოდინმა ცოლი დაადნო 227
უკუღმა დაწერილი ანბანი 231
სამი ქალი ყანას მკიდა 236
ნიშნობის ბეჭედი 242
თითქმის ოთარაანთ ქვრივისებურად 246
აწმყო – მშობელი მომავლისა 248
ფურნეში გამომწვარი ბავშვები 251
„თვითონ ძაღლსაც ეხსომება“ 255
დაგვიანებული ბოდიში 258
„რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების“... 263
მეფუტკრე 266

რამ, რამ შეგვცვალა?! 268
იარაღზე ოცნებაში... 270
მონადირე 274
„ვერსად ვერ ნახავ ასეთ“... 278
ბილიარდი 284
...თორემ სხვებს... 288
ნაგვიანები შესნდობარი 290
კაცი არქიპელაგ „გულაგი“-დან 298
უკმაყოფილო არ დარჩებოდა 305
...და ჩადგა ქარი 309
ღებიდან ვანკუვერამდე... 314
ინჟინერი ივანე კოტეტიშვილი 324
ლამაზად დაფერფლილი სიცოცხე 332
„მობრძანდით, პეტრესთან ხართ დაპატიჟებული“... 342
მშობლიურ ფესვებს მოწყვეტილი კაცის გახსენება 345
...„ზოგი მიეთმოეთია“..... 353
„მიწაც ტკბილია, მშობლიური“... 358
ხაშმელი ექიმი 363
სუფრასთან დალია სული 367
წყაროს პირას მოსმენილი ამბები 371
მათი ხურობა, მღერა, თამაში... 375
„მე საბჭოთა ხელისუფლება ზურგით მოვიტანე“ 378
„სამი წლის მკვდარი გაცოცხლებულა“... 382
ალისტორა 387
უთუოდ 391
„აბა, ციხე კარგი ყოფილა?!“ 395
„შენ თუ ასათიანი ხარ“... 399
მეგობრის წერილები 402
მე, პავლე ინგოროყვა და ჩემი ქართულის მასწავლებელი 406
...შეეამანდი აღარ უნდა 409
ნოეს აცნობეთ... 411
მზისელი მოკაფიავეები 416
კოლმეურნეობის დუელში გამოწვევა 419
ფალავნები 423
ნახტომი 429
ქვის გდება..... 437
ჩაბმულა 440
ბუღების ბრძოლა 444
მობურთალსა – მოედანი... 449
გზა ნაგზურს და... 454
უპირისუფლო საფლავები 473

ბოლოთქმა 478

დიმიტრი ლობჟანიძე

ქართველები ქლუხორში

დოკუმენტურ-მხატვრული ნოველები

ფასი სახელშეკრულებო

სტამბა, შპს გაზეთი „საქართველოს მაცნე“.
თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა.